

644/
1961/3



Օրազրոյ

3



ლიტერატურა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწიროლთა კავშირის ორგანო

7
288

მწირო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ

1961

მარტი

გამომცემლობა
„საბჭოთა
მწიროლი“

რ. შვიშვილი — საგარეჯოს მზიანი დღეები	8
აღ. გომიშვილი — სად არის ქვეყნად სხვა დარიალი (ლექსი)	13
ბ. კალაძე — ლექსები	16
ს. კორინთელი — სანამ ცოცხალი ხარ (რომა- ნი. გაგრძელება)	19
მ. კახიძე — ლექსები	35
ლ. სულაბერიძე — გაწვეტილი ხმა (ლექსი)	36
ბ. ცეცხლაძე — ლექსები	38
ბ. პაუხტოშვილი — თეთრი კურდღლები, ინგლი- სური სამართებელი (მოთხრობები. თარგმ- ნა ვ. ძიძიგურმა)	40
ნ. ნარსია — მე კიდევ მინდა (ლექსი)	46
თ. კანდელაკი — დედას (ლექსი)	47
დ. წარადინი — ლექსები	48
ბ. მილერი — კომივოიჟერის სიყვდილი (პიესა ორ მოქმედებად. ინგლისურიდან თარგმნა ც. კარბელაშვილმა)	50
ბ. დე მიუსე — აღმზიანი და მწუხარება	75
პ. შირაზი — სიმღერა შემოდგომისა (ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა გ. ქავთარაძემ)	77



3. პეპეპორი, ტ. პანტური — ზავშეთა ექიმი . 78

პუბლიკაციები

3. ინგოროშვა — ილია ჭავჭავაძის წერილები . 81

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

3. ნატროშვილი — ფიქრები ჩვენს კრიტიკაზე . 124

3. იმედაშვილი — ოტია იოსელიანის ნოველები . 133

დ. თუხარაძე — ლიტერატურული წერილები . 135

5. ხომარაძე — დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში . 141

სკორტი

ბ. ბალპერიანი — „რალა უნდა ვიღონოთ“ . 149

ყოველი მხრიდან

ქონიკა . 155



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

ხარედაქციო კოლეგია:

- თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.


რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 441. უფ. 02402. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითა სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

საგარეჯოს მუხის დღეები



ჩანახატები დ. ერისთავისა და თ. შირვაშვილისა

ერთი დღე იშვიათად მგავს მეორეს; ამინდი ადამიანის გუნებასავით ცვალბადა. თებერვლის თვეს იშვიათად ენდობა კაცი, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ საგარეჯოშიც ისეთივე კარგი ამინდი დაგვიხვდება, როგორც თბილისში დავტოვეთ.

ვარაუდი არ მართლდება. საგარეჯოს შემოგარენი ნისლს დაუბურავს. თინულავს. რაიონის ცენტრში წვიმის წყალს ასფალტი დაუღებია. ალაგ-ალაგ გუბეებიც დგას.

პ რ ი ბ ა

რაიკომის მშვენიერ შენობაში უჩვეულო გამოცოცხლებია. დღეს აქ რაიონის მოწინავე მწველავთა ტრადიციული თათბირია. გვიხარია, ჩვენი ჩამოსვლა ასეთ საინტერესო ღონისძიებას რომ ემთხვევა. კლუბში შევედივართ და კოლმეურნეთა შორის ადგილებს ვიკავებთ.

ასეთი თათბირი აქ ყოველი თვის დამდეგს ეწყობა ხოლმე.

კლუბი ხალხითაა სავსე. მწველავები, თავმჯდომარეები, ფერმის გამგეები და ზოოტექნიკოსები ერთმანეთში ირევიან. უმრავლესობა პირდაპირ სამუშაოდან მოსულა.

მოხსენებას აკეთებს თეორიის (სარევიზიო კომისიის) თავმჯდომარე. დარბაზში არც ოფიციალური სიჩუმეა, არც საზეიმო განწყობილება იგრძნობა. პირიქით, კოლმეურნეები ხმაურობენ, იციინიან. უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ან ეთანხმებიან მომხსენებელს. ხანდახან რომელიმე მონაცემის განმარტებას, უფრო დაკონკრეტებასაც მოითხოვენ.

ასახელებენ გამარჯვებულებს, მოწინავე მწველავებს გადასცემენ ფულად პრემიებს. ერთი კოლმეურნეობა სინანულით ეთხოვება გარდამავალ დროშას, ხოლო მეორე სოფლის ფერმის გამგე უხერხულად იჭერს ხელში გამარჯვების ამ სიმბოლოს და ამაყად იდიმება უღდავებში.

კრების მონაწილენი ხმაურობენ, ხუმრობენ; დასცინიან ჩამორჩენილებს, აქებენ ერთმანეთს და თავს იმართლებენ.

მხატვარ დიმიტრი ერისთავის ალბომში უკვე იღანდება პირველი ჩანახატები. უკანა რიგებიდან მწველავები ალბომში იჭყიტებიან, გაკვირვებულნი მხრებს იჩენენ და მოურიდებლად იციინიან. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი დაუფარავი ცნობისმოყვარეობა სასურველად მოქმედებდეს მხატვრის მოთმინებასა და ოსტატობაზე.

ჩვენ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ სტუმრები ვართ. ამ კოლმეურნეობის ვერც ერთ მწველავს რატომღაც გამარჯვებულთა რიგებში ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, ჩვენს მგვარბრებს არც ისე კარგად აქვთ საქმე.

ეს კი არა, ერთმა პატარა გაუგებრობამ ღამის მთლად გაგვიფუჭა შეხედულება ჩვენს მასხინძლებზე. ეს მაშინ, როცა შაქრო და ქეთო ქურხულები ჩამორჩენილთა რიგებში დასახელებს. ქეთო ქურხული, ხანში შესული პატარა დედაკაცი, გაკვირვებული დგას ფეხზე. საქმე ის არის, რომ მისი ქმარი შაქრო სულაც არ არის მწველავი: როცა ქეთომ შემთხვევით მკლავი

მოიტება, მისი მეუღლე შაქროს ორ კვირას უვლიდა ცოლის ძროხებს. უფროსი შაქროს მოწვე-
ლილი რძე ცალკე დაწერა და მისი ცოლის მოწვევლილი კიდევ—ცალკე. მერე ქეთო ქურბულის
ძროხებიდან მიღებული გეგმაზე მეტი რძე ორად გაყვეს და ვითომ ის არ კმაროდა, რომ რაი-
ონში ცნობილი მწველავი ქალი სახალხოდ გააწითლეს, ქმარიც ზედ მიაყოლეს.

ამ შეცდომის ახსნა-განმარტება ვერც ისე იოლად მოახერხა ფერმის გამგე რომინზონ
ჩონთაშვილმა, თუმცა იგი ისეთივე ორატორი აღმოჩნდა, როგორც ფერმის გამგე.


მ ი რ ი

ტრიბუნაზეა სართიქალის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი მერი კვაპანტირაძე-
მერი ლამაზი გოგოა. წახლისფერი თმები აქვს და თაფლისფერი ჯიუტი თვალები. ეს ქალი-
შვილი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მოწინააღმდეგეა. ეს ის მერია,
რომლის მოხსენებაც ამ თათბირზე დიდი ინტერესით მოისმინა ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვმა-
და შემდეგ ილაპარაკა კიდევ სართიქალელი მწველავის გამობრუნებაზე.

მერი თავისუფლად გრძნობს თავს ტრიბუნაზე. კი არ ლაპარაკობს, საუბრობს — უბრალოდ,
წინაურულად, მსმენელებს მოუთხოვს ახლადნაკისრ ვალდებულებათა, პრეპარატშარდოვანას
ცხიმინობის გაზრდის შესაძლებლობისა და სხვა ამბებს.

მერი კვაპანტირაძემ გასულ წელს
დაამთავრა საშუალო სკოლა. მას შემე-
დეგ ფერმაში მუშაობს. მერი გაუ-
თხოვარია. დარბაზში შეიძლება შე-
ნიშნოთ რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟი,
რომლებიც სულ სხვაგვარი თვალით
შესციციანებენ ლამაზ ქალიშვილს.
ასეთები ალბათ კიდევ ბევრია.

მერის ისეთი ვალდებულად ვალდებ-
ბულება აქვს ნაკისრი, რომ თავისი
დანიშნულების შესრულების შემდეგ
საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი გაბ-
დება, ხომ არ დააფრთხობს ეს
ამბავი მის თავყანისმცემლებს, ანდა
თვითონ ქალი ხომ არ გაყოყნი-
დება?..



ვფიქრობ, არც ერთი მოხდება და არც მეორე.

მართალია, მერის უამრავი საქმე აქვს, მაგრამ მინც დაარჩება იმის დრო, რომ თორმეტო
საფიცარი ძროხის გარდა სხვასაც მიაქციოს ყურადღება.

კ ა ნ ტ ო რ ა

საგარეგნო კოლმეურნეობა „საქართველოს“ კანტორა ერთი ტიტული გორის ძირში
დგას. გარეგნობით თვითონ შენობაც არ იქცევს დიდ ყურადღებას. რამდენადმე ჩამოკვავს
კიდევ მის თავზე წამომდგარ მოტიტვლებულ გორას. კანტორიდან ხელმარჯვნივ თეთრი,
უგუმბათო საუდარი მოჩანს. მთაზე ნისლა შეფენილა.

გრძელ, დერეფნის მსგავს ოთახში მაგიდები ერთმანეთზეა მიწყობილი. სიჩუმეს სქელ.
დავართა ფურცლების შრიალი და საწვარიშოს ჩხაკუნი არღვევს. კანტორის მუშაკები თავიან-
თი საქმით არან ვართული. ისინი სხვათაშორის გვათვალერებენ. ეტყობათ, ჩვენისთანა
სტუმრები სხვებიც ბევრი უნახავთ.

ჩვენ არც ისე კარგად გვქონია საქმე, როგორც ვფიქრობდით. ამ უზარმაზარი კოლმეურ-
ნეობის გაცნობა არც ისე იოლი ჩანს.

ამიტომაცაა ალბათ, რომ კანტორის მუშაკები ასეთი თანაგრძობით გვიყურებენ. ძალიან
ვებრალებით თუ არა, ვერ იტყვი, მაგრამ როგორც შეუძლიათ, გვანუგეშებენ.

— თქვენ რომ გინდათ, ისე არ გამოვა. ამხელა კოლმეურნეობას როგორ დათვალერებთ!
უველა ფერმა 15—20 კილომეტრითაა ჩვენგან დაშორებული. ამჟამად ტრანსპორტის ყველა
სახე დაკავებულია, თუმცა მანქანაც ვერ გიშველით, — გვიხსნის კოლმეურნეობის ბუღალ-
ტერი და ქვითრების ქექვას ვანაგრძობს.

— აბა მე თუ მკითხავთ, ისეთი ცუდი ამინდია, ვერაფერს ვერ დახატავთ... არც გამოიდა-
რებს, მე გგონი, — ამხნევეებს მხატვრებს მოანგარიშე.



თ ა შ მ ჯ ღ ო მ ა რ ი

ასეთი გულთბილი საუბრის დროს შემოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი დუნიძე. გივი ახალგაზრდა კაცია. ერთი შეხედვით თითქოს არც მკავს თავმჯდომარეს. კრავლის ხაყელოიანი ტუავის მოკლე პალტო აცვია. დადის მჩატედ და საქმიანად. ეტყობა, თავის რთულ შოვალიუობას ხალხით და ძალდაუტანებლად ასრულებს.

გივი თავის კაბინეტში გვეპატივება: კაბინეტი სუფთაა და უბრალო. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, სკამებია. სკამები მაგიდის ორსავე მხარესაა ჩამწყობებული. კუთხეში პატარა ლუმენი ლულუნებს. მაგიდის კუთხეში სხვადასხვა ზომისა და ჯიშის მწიფე სიმინდის ტარობები ალაგია.

თავმჯდომარეს ჩვენი და კანტორის მუშაკების საუბრის შინაარსს ვაცნობთ. გივი იცინის. ეს ენერგიული კაცი ყველაფერს გვიადვილებს:

— ისე გავაკეთებთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის არც ერთი კუნჭული უნახავი არ დაგჩნეთ. იწყება მეგობრული საუბარი. გივი დუნიძე გვაცნობს თავის სოფლის, მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთ უდიდეს კოლმეურნეობას, თავისი სახნავ-სათიბითა და სამოვრებით, თავისი მითითა და მდებლობით.

— საგარეჯოში ადრე სამი კოლმეურნეობა იყო. სწორედ მათ ბაზაზე წარმოიქმნა კოლმეურნეობა „საქართველო“. ჩვენთან ძირითადად მევენახეობა და მეცხოველეობაა განვითარებული. ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა სიმინდს, რისი განვითარებაც მეცხოველეობის გაზრდის საუკეთესო პერსპექტივას იძლევა. ვცდილობთ სიმინდის სასურველი მოსავალი მივიღოთ ურწყუავს პირობებშიც.

სწორედ ამ კაბინეტში გივი დუნიძესა და სხვა ამხანაგებს გულთბილად ესაუბრა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. თავმჯდომარე აღტაცებული გვიზიარებს ამ დაუვიწყარი შეხვედრით მიღებულ შობაბუნებებს. თავმჯდომარესთან და სხვა მოწინავე კოლმეურნეებთან საუბარს ნიკიტა სერგის ძემ (როგორც ამას სოფელში ყველანი დაბეჯითებით აღნიშნავენ) საათი და ათი წუთი დაუთმო.

გივი დუნიძე აღფრთოვანებულია ნიკიტა სერგის ძის პიროვნებით, მისი დაუცბრომელი ენერგიით, საქმის სიყვარულითა და ყოველგვარი წვრილმანის-ცოდნით.

გივი თავისთავს მხოლოდ ორიოდ სიტყვით გვაცნობს. დაიბადე 1931 წელს. სტეციალობით ვეტექიმი ვარ. თავმჯდომარედ სამი წელია ვმუშაობ. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით საქმე ჩვენთან ურიგოდ არ მიდის.

ამ ახალგაზრდა კაცს, რასაკვირველია, გადაჭარბებული წარმოდგენა არა აქვს საკუთარ პიროვნებაზე, მაგრამ თავისი თავის ფასიც იცის.

გივი არ ამირებს კოლმეურნეობის მიღწევები და წარმატებანი კანტორის ციფრებითა და მშრალი ანგარიშებით გაგვაცნობს. გვიჩვენებს — ადგილზე, შრომის პროცესშივე გაუხსნელოთ მათს ცხოვრებას.

მ ა მ ა - შ მ ი ლ ი

ახლა ჩვენ საგარეჯოელი კოლმეურნის გიორგი ჭიხოსროშვილის ოჯახის სტუმრები ვართ.

ღამეა. ოთახში თბილა. ოჯახის წევრები და სტუმრები მოზრდილი თუნუქის ლუმენის ირგვლივ ვართ შემომსხდარნი. სველი შეშა ტყაუნებს, მუგულულები სკდება და ვარდისფერი ნაკვერცხალი ხანდახან იატაკზეც ეცემა.

გიორგი ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე ზის, უღმუნებს ისწორებს და დინჯად ლაპარაკობს. ეს ორმოცდაცხრა წლის კაცი სამი დასაოჯახებელი შეილის მამა და დოვლათით ხვსენ ოჯახის უფროსია.

გიორგი ჭიხოსროშვილი მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ბრიგადირის მოვალეობას და ამჟამადაც მერგოლურად მუშაობს. ამ ხნის მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, რასაკვირველია, ერთ საღამოს ვერ გავიზიარებთ. ვატყობთ, როგორ ამოკლებს სათქმელს, როგორ ცდილობს ყველაფერი გახაგებად მოგვიზიაროს.





გიორგის შვილი ავთანდილი, მთელ რაიონში ცნობილი მესიმინდე, ხშირად ეკამათება მამას. ეს კამათი ერთ მომენტში ისეთ პრინციპულ ხასიათს იღებს, რომ გვეშინია კიდევ, უსიამოვნება არ მოხდეს. მამა-შვილი სასოფლო-სამეურნეო ტერმინების კორიანტელს აყენებს. ამ დავის დროს ოჯახის დიასახლისი და ახლგაზრდა ქალიშვილები იციინან: ვიღებთ ჩვენც და, რასაკვირველია, მოკამათენიც.

რა არის მიზეზი მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი „უთანხმოებისა“? მამას, გიორგის მამანია, რომ უკეთესია სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, ეს მამან, როცა შვილი მწკრივად დათესილ სიმინდს ამჯობინებს. ორივე ამ მეთოდის ავტორიტეტს ძირითადად მქაინებელი თესვის ხარისხიანობაზე უფოილა დამოკიდებული.

— შარშან, — გვიყვება ავთანდილი, — ბექტარზე 56 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე. ჩემი რაიონისათვის ეს მიღწევა, მაგრამ მე ხომ ვხვდები, რომ მეთის გაკეთება შეიძლებოდა. სხვათა შორის, ცუდად იყო დათესილი და ზოგიერთ ადგილზე ცარიელი მიწები დარჩა. ტრაქტორის დისკოები თესლს კარგად ვერ ატარებს, ბევრს ამტვრევს და საერთოდ სიმინდს კარგად ვერ ანაწილებს. კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს შრომა ბევრად იოლდება, მაგრამ მცენარეთა სისშირე არ არის უზრუნველყოფილი.

— სამაგიეროდ მწკრივად დათესილ სიმინდს თონის დროს ტრაქტორი აფუჭებს, აწყვეტინებს მამა.

— სულ არ მინდა ტრაქტორი, ხელით ვავთონი, ხანამ ამ იარაღს არ გააუმჯობესებენ და ჩვენს პირობებს არ შეუფარდებენ.

ავთანდილი ყველაფერს ამას მორიდებით მყვება და ხშირად თავიც კი აქვს ჩაღუნული; თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, რომ ხანდახან უსაშველოდ დიდი თმები ხელით გაისწოროს და სახის პროფილი გამოაჩინოს. იგი ხვდება, რომ ტახტზე, მუთაქებს შორის რბილად მოკალათებულ მბატერებს მისი სახე გულმოადგიენდ გადააქვთ ქალღღრღე.

ავთანდილს ბრიჯადირად ნიშნავდნენ, მაგრამ უარი განაცხადა, რადგან წველს ორი ბექტარი მიწა იყო დასამუშავებლად და დრო აღარ რჩება.

თავის ნაკეთზე ავთანდილმა მისი რაიონისათვის სარეკორდო მოსაგალი—ბექტარზე 120 ცენტნერი სიმინდი უნდა მოიყვანოს. მისი საყანე ადგილი სოფელს 18 კილომეტრით არის დაშორებული. ეს



ერთგვარ სიძნელეს ქმნის, ცხადია, მაგრამ ავთანდილს გადამწყვეტილი აქვს, მუშაობის პროცესში მტერი წილი ღამისა მიწოდროში გაითენოს. ამჟამად იგი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტია.

თბილისშივე სწავლობს მისი და მედეა. მედეა სოფელმა გაგზავნა სასწავლებლად.

უმცროსმა დამ, თინამ საშუალო ახლახან დაამთავრა და სამუშაოდ სოფელში დარჩა. მათა დედა, ფერმის თანამშრომელი ქალი წარჩინებული მეწიწილია.

მამა, დედა და შვილები სიმაღლეშიაც ეჯობებენ ერთმანეთს. მამა და ვაჟი შავგვრემანები, წვრილი წელითა და თხელი გულმკერდით, ქალიშვილები და დედა ღია ჩაღისფერი თმებითა და ცისფერი თვალებით იქცევენ ყურადღებას. ეს ორი ფერი საოცრად ალამაზებს ამ ოჯახის გარეგან მორთულობასაც.

ჩვენ ფეხზე ვდგებით და წასვლას ვაპირებთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მოსვლა იყო ჩვენი ნება, წასვლა კი მასპინძლების განკარგულებაში რჩება. ამ არც თუ ისე ბრძნული ანდა-ვის ხისწორებს განსაკუთრებით შუაღამისას ვგრძნობდით.

პ ო ე ტ ი

სოფრაზე ოჯახის ახლობლები, ავთანდილის მეგობრები სხედან. ამათში ერთი, გურამ ტახტაძე, პოეტი აღმოჩნდა. ეს ამბავი ძალიან გვახარებს.

გურამი თეთრი ბიჭია, წვერ-ულვაშიცა და თმებიც თეთრი აქვს. სოფელში „თეთრო



გედოსაც“ ეძახიან თურმე. გურამ ტაბატაძეც თბილისში სწავლობს დაუსწრებლად. თვალბრძანების სისუსტის გამო ფიზიკური მუშაობა აკრძალული აქვს, მაგრამ ეს გამრჯე ქაბუცი ყანაში მუშაობას თავს არ ანებებს. გასულ წელს ბევრითი შრომისათვის ფოტოაპარატი და საათიც კი მიუღია საჩუქრად. ამხანაგები ეხუმრებინან: ურჩევნე ყანას თავი დაანებოს, შრომადღებებს ლექსებშიც დაუწერენ.

პოეტი მალ-მალე კითხულობს ლექსებს. ერთ ლექსს „ჩემი სოფელი ძველად და ახლა“ რამდენჯერმე ამეორებინებენ.

იყო გოდება საგარეჯოში...

ვცდილობ ნაწყვეტები მაინც დავიმახსოვრო.

კავ-ბარი, თოხი, ხახნისი... (მგონი ნიჩაბიც)


მუჭეუმს გადავაბარეთ...

საგარეჯოელები, ჩანს, ამაყობენ გურამ ტაბატაძით. ჯერ ძნელია თქმა, ეს კაცი თავის სოფელს ლექსებით გაუთქვამს სახელს თუ სიმინდის მოყვანით, მაგრამ ერთი რამ ახლავეცხადია: გურამი ჩვენს ქვეყნის სასიქადულო ახალგაზრდა და სასახელო მოქალაქედ დარჩება.

მ ი ნ დ ვ რ ა დ

მეორე დღე. საუცხოო ამინდი დგას. დილიდანვე იდარბს. მზე არის უელამდე. ხაოცრად თბილა.

ჩვენთვის განკუთვნილი „ვილისი“ რაიკომის შენობის წინ დგას.



— უკეთესი მანქანა არ გამოდგებოდა მინდვრებში სასიარულოდ, — ბოდისობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ფარნაოზ კავთუაშვილი. მანქანა მართლაც დანჯღრტულია, ცალი კარი ორად არის გაყოფილი. მძღოლი ჩაჯდომისას ჯერ ერთ ნაწილს ხურავს, შემდეგ მეორეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს საკმაოდ მსუბუქად და მოხერხებულად ასრულებს.

მალე გავცდით ასფალტთან გზას და თვალუწვდენელ მინდვრებში, სახნავ-სათიბებსა და საძოვრებში ჩავიკარგეთ. დღეში ალბათ რამდენჯერ გადაუვლის ეს მანქანა ამ უსწორ-მასწორო მინდვრებსა და კოლბოხებს; რა განაკვირია, რომ საკმაოდ შელანძლულა. თუმცა ეს ამბავი ჩვენ ხულაც არ გვადარდებს, თავს მშვენივრად ვგრძნობთ; მით უმეტეს, ასეთი მხიარული მძღოლი და თავაზიანი მასპინძელი ფარნაოზი გვახლავს. მძღოლი რატომღაც ისე ვახარებული ათვალისწინებს ყველაფერს და ისე იზიარებს ჩვენს აღტაცებას, თითქოს იგივე პირველად იყოს ამ გზაზე.

სოფელთან ყველაზე ახლოს მეცხოველეობის ფერმაა. შორიდანვე მოჩანს აგურბრძანით დაწყობილი, დაპრესილი თივის ზეინები. პირველად ძალღები გვეგებებინან. თეთრი, კუდაპრესილი ნაგაზები ყველთ მოკვდივენ.


მივაღვეით კიდეც ფერმას და ახლა მთელი სისწრაფით ვუვლით ირგვლივ ამ უზარმაზარ ბონელს, ჯერ ერთხელ, შემდეგ მეორედ და ასე შემდეგ. მანქანის გაჩერება ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გაავებული ძაღლები შეიძლება მოშლიდებულ კარებში შეიშვავებინან, შემდეგ ალბათ თავისებურად გვემევენ კიდეც პატავს. როგორც იქნა გამოჩნდნენ კომბლიანი მწყემსები და ბრაზიანი ნაგაზები მიაჩუმეს.

გრძელი, დაბალჭერიანი ზოსელი ლაქვიური ძროხებით არის გავსებული. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, თითქოს ინკუბატორიდან იყვნენ გამოსულნი. ყველა ერთი ზომისა და ერთი ფერისაა: შავითა და თეთრით მოხატული.

ვეება ნაგაზების ტოლი ოთხი ხზო ცალკე გადაღობილში მისურხლულა. ჩვენს ადერსზე თავაზიანად გვპასუხოვნ და ხელებს გვილოკავენ.

— ამათი დედების გარდა, ყველა დანარჩენი უშობელია, — გვისხნის ფარნაოზი, — ესენი ლაქვიიდან არიან მოყვანილნი, მაგრამ აქაურ პირობებს შესანიშნავად შეეგუენ. ბაგურ კვებაზე არიან, ისე მინდორშიაც გაგვუავს. ჯერჯერობით რძეს არ გვაძლევენ... ძროხის სულადობაში კი ყველანი გვიწერია. ამიტომ წველადობის გეგმაც გაზრდილი გვაქვს და მხოლოდ ამის ბრალია, რომ ამჟამად წველადობის საქმეში პირველ ადგილზე არა ვართ.

ძროხები ამჟამად ბაგებში ჩაურბლ თივას მიერთმევენ. ისინი მიჯრით დგანან და ერთმანეთს გვერდებს უხახუნებენ. ხანდახან ერთმანეთს სასიყვარულოდ რქასაც სთავაზობენ.




გარეთ გამოვდივართ. მზე პირდაპირ თივებს მისდგომია, ირგვლივ ნებისა და ხმელი ბალახის სუნი დგას. თეთრი ძაღლები ზვინებს უკან მიწოლილან და, როგორც კი მწუქებს თვალს მოარიდებენ, კბილებს გვაჩვენებენ.

მანქანა დაიძრა. ძაღლები მოგვდევენ და ყველთ მიგვაცილებენ, ორა მარჯვნიდან და ორი მარცხნიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ოფიციალური ცერემონიალიც მთავრდება.

გავდივართ ივრის წყალში. იორი ძლივსდა მოწანწკარებს. ასე დაჩიავა იგი თბილისის ზღვამ და სამგორის სარწყავებმა.

ივრის იქით მთლიანად შიშვლდება ყველაფერი. ჩვენს წინ კახეთის ზეგანია. „და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიან, მცირე-თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავთაა მშვენიერი, ხოლო ზაფხულ ცხელი“...




მანქანა სვლას უშაბტებს. ჩვენსკენ და ჩვენს საწინააღმდეგოდ მორბის მინდვრები შავი ნახევრებით, ელექტრონის მაღალი ანძებით, ბორცვებითა და ბუჩქნარებით.

— მარჯვნივ სავენახედია დაბრუნებული, აქეთ სიმინდი დაითესება. იქით ხეხილის ხალებია: ვაშლი და ატამი. ეს ქარსაცავი ზოლებია, — გვიხსნის ფარნაოზი.

დახნულ მინდორში შავი პატავი გროვა-გროვად დგას. მინდორში გაფანტული გროვები კარუსელივით ტრიალებს. ახლა მანქანა ისე სწრაფად მიქრის, ჯაუჯაუს ველარ ვგრძნობთ. მარჯვნივ მოწითალო ტრაქტორი მიარღვევს მიწას. უფრო აქეთ გლუხებს სასუქი შეაქვთ მინდორში. შორს ვაკეში ცხვრის პატარ-პატარა ფარებია გაფენილი. შორიდან ისინი გაშეშებული ჩანან და შეგიძლია დიდრონ ბელტებსაც მიამგვანო. ზოგიერთი ბორცვის ძირში თოვლია შერჩენილი. თოვლის ეს პატარა ნაგლეჯები ბორცვების ჩრდილიან მხარეზე ცხვირსაბოცებივითაა დაფენილი.

მინდვრები უფრო და უფრო იცვლის ფერს. ზოგან ბაცდება, თეთრდება, ზოგან ჩამავალი შუის ფერს დაიკრავს.



შ ა რ ც ხ ი

ახლა ჩვენ მეცხვარეობის ფერმის პირველ ბრიგადაში ვართ. ცხვრის ახლადგებული სადგომები გობივით ტაფობშია მოქცეული. ნიავი მხოლოდ ზევით უბერავს. მიწაზე სასიამოვნო მუყუდროებაა.


მოშორებით გაუქმებული მიწური სადგომები მოჩანს. ამ ძველ მიწურებს ახლა მიწასთან ასწორებენ. ახალი ფარებები მსუბუქი ბეტონითაა ნაგები. შიგ სინათლე და სისუფთავეა.

ფარებებს ბრიგადირი გიორგი გიგინაშვილი გვათვალისწინებინებს. ბატკნების სადგომში ტაქსიმულია გრძელი თოკი, რომლის უამრავ მარყუჟებში თივის ბლუჯებია გაჩრილი. საქოვრებიდან დაბრუნებული ბატკნები ალბათ სიამოვნებით შეეცევიან ამ საკვებს.

— დღლი მთლიანად დავამთავრეთ, — ამბობს ბრიგადირი, — ნამატი ძალიან ბევრია. ახლა ბევრი რამ ბატკნების მოვლა-პატრონობაზეა დამოკიდებული. ამინდს კარგი პირი უჩანს.

გარეთ მართლაც თებერვლის საუცხოო დღეა... თივის ბულულებში ბელურები შეიკვივებენ. იქვე თავდასიებული ძაღლის ლეკვები კოტრიალობენ. ვცდილობთ, რომელიმე მათგანი მაინც მოვიტყუოთ ახლოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

— ძალი უკვირიაო, ამბობენ, მაგრამ ცხვრის ძალი ძალიან უკარება. ცხენი უფრო თვინირია, როგორც გინდა ისე მოექცევი, — გვეუბნება მინდვრის მეველე, დაბალი, მომღიმარი ხახის კაცი სოლომონ ურდულაშვილი და თავის ცხენზე გვითითებს. ცხენთან მივდივარ



და სოლომონის პატივისცემის მიზნით, ვცდილობ თავზე ხელი გადავუსვა. პირტუტყვი, პატრონის სიტყვების დასამტკიცებლად, კბილებს მიკრეჭს და ახლოსაც არ მიკარებს.

ახლა ჩვენ ცოტა მოშორებით მობალახე ცხვრის ფარაში შევერით და დანარჩენ მწყემსებს ვეცნობით. მეველე სოლომონი დიდი ჯოსით ხელში გვერდიდან არ გვშორდება. იგი ძაღლების მოსალოდნელი თავდასხმის ასაკილებლადაა ჩვენზე გაპიროვნებული.

ვემშვიდობებით სტუმართმოყვარე მწყემსებს. მეველე ცხენზე ჯერ ხურჯინს დებს, შემდეგ ეს სამოცდასამი წლის კაცი მარდად ექცევა თავის მერანს ზურგზე, ბეჭზე ორღულაიან აფხს იხწორებს და მიდის. ცოტა რომ გაგვიცდილება, ალბათ წაიღილინებს კიდევც...

ქ ა ტ მ მ ა რ ი



„ვილიისი“ მოურთიდეზლად იჭრება მექათმეობის ფერმის ეზოში. დამფრთხალი ქათმები კრიახით გარბიან და გზას გვითმობენ.

სამი უზარმაზარი საქათმე (თუ შეიძლება ამათ საქათმე ეწოდოს) ერთმანეთს კარგა მანძილით არის დაშორებული. ერთ-ერთ მთავარ შენობასთან ვიკრდებით. ცხენის ზურგის მოყვანილობის ზეგანი ქათმებს გადაუთვთრებიათ. წითელი ხაჯიშე მამლები აქა-იქ ყუაჩოებივით მოჩანან. ეს მამლები დალეღლების წითელი, ხახხახა ბიბილოები საოცრად ეხამება თეთრ ფერს. ირგვლივ ალპიური მდელოს ხილამაზეა. უფრო შორს მდინარის კალაპოტი ჩანს. ეტყობა, იორმა გზა მოგვიჭრა და წინ გადაგვიდგა.

შეგდვართ ფერმის შენობაში. კედლებთან მოწყობილი უზარმაზარი კასრები და კალათები კვერცხებით პირამდეა ავსებული.

საქათმე, აქაც საოცარი სისუფთავეა. წღვის ბალახით სუფთა, რბილი თევზა ძირს დაფენილი. ირგვლივ საბუღრებია. ვიწრო ჯიხურებიდან კვერცხის დასადებად დამწვარი ქათმები მელიებივით გვიყურებენ.

— ფრთხილად იყავით, კვერცხს ფეხი არ დაადგათ, ფეხსაცმელი დაგესვრებათ, — გვფრთხილებს მექათმე დიასახლისი, — ქათმები ყველგან დებენ კვერცხს: იატაკზე, ეზოში, ჯაგებში... აკრეფას ვერ ავუღივართ.

ამ ქალის სიტყვების სისწორეში მალე ვრწმუნდებით. საითაც ვახედავ, კვერცხია გაგორებული. ერთი ქათამი ხის ღირწეც კარის დამწვარი, ბელურებს ურიაშული გააქვთ. წოვიერთი სახორცე დედალი თერთ ქათმეში ოხლადვითაა გარეული.



ა მ ი რ ა ნ ი

შენობის კუთხეში, ქათმებს შორის ვეებერთელა ტანის კაცს ვამჩნევთ. იგი ჩვენსკენ მოდის.

— გაიცანით მექათმეობის ფერმის გამგე, ამირან რატოშვილი.

ამოღენა კაცს თითქოს სულაც არ შეეფერის ამ ფერმაში მუშაობა. ჩვენ გველიმება, თანაც საქმალე მოურჩილებლად, რადგან ამირანი რატომღაც თვითონვე გულისანად იციანის.

მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— ერთი წელიწადია, რაც აქ ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე ძალიან შემეყვარდა ქათმეობა... ხე, ხე...

— ერთი რაღაც უნდა შეგეკითხოთ, თუ შეიძლება, — ეუბნება დიმიტრი ერისთავი, — როგორც ფერმის გამგეს, თქვენ გეცოდინებათ, ქათამი უწინ გაჩნდა თუ კვერცხი?

— ჩვენს ფერმაში ჯერ ქათამი გაჩნდა და სხვაგან ვერ ვიტყვი, ხე, ხე, ხე... — ხუმრობაზე იციანის ფერმის გამგე. შემდეგ განაგრძობს:

— ჩვენ 15 ათასამდე ფრთა ქათამი გყავს. აქედან მესამედი კვერცხის მდებელია. დღეში 1500-1700-მდე კვერცხს ვიღებთ. ვცდილობთ სულ მალე 2000-მდე გავზარდოთ კვერცხის ყოველდღიური შემოსავალი. ვეიშინი ქათმებია. უმრავლესობა ყოველდღე დებს კვერცხს. წოვიერთი მათგანი მოკრუხდება ხოლმე, შეიღების გამოჩეკას მოინდომებს ინკუბატორის გარეშე, მაგრამ მაგათი წამალი კი ვიცი: კრუხს წყლით ხავსე კასრში ჩავაყუდებთ და მორჩა... ყველაფერი გაუვლის. ხე, ხე, ხი, ხი...

უ კ ა ნ

ახვ მინდვრები. სამოვრები, გადაბრუნებული მიწები, ცხვრის ფარები, ელექტრონის ანძები, ვენახები, ჯაგები და ბუჩქნარები.

შორს — გომბორის მთები. უფრო ახლოს — ცივკოდან გაშიშვლებული კალთები. მოტიკვლებულ გორებზე ბილიკები თითქოს ცარციით დაუხზავს ვიდაცას.

საგარეგო სამკუთხედად შექრილა მთის ფერდებში. მარჯვნივ გიორგიწმინდაა, მარცხნივ ნაწოწმინდა თავისი ტაძრის მაღალი სამრეკლოთი. ეს ხამი წმინდანი (საგარეგო გარეჯის მონასტრის ეკუთვნოდა) ერთმანეთს გადაბმია.


მთის კალთების ძირში და რკინიგზის გადაღმა გაწოლილი ეს ხამი სოფელი ჩვენსკენ მოდის და სწრაფად გვიახლოვდება.

გადატრუსულ ბუჩქნარებთან თენგიზ მირზაშვილი მანქანას აჩერებინებს. ძირს ჩამოვდ-
ვართ. თენგიზი საგარეგოს მთლიან ზედს იხატავს.

შოფერი გამხმარ ძეძვებში დაძვრება, შავად მბზინავ ბეწვიან დედოფალებს დასდევს და
ჩვენ გვექაზის.

სალამო. კანტორა. ნაცნობები, მეგობრები. გზამშვიდობისა და მეორედ ჩამოსვლის სურ-
ვილები.

რბილი მანქანა ასფალტზე მიჰქრის. ნაცნობ მიდამოებს სალამოს ჩრდილები ეფინება. უკან
რჩება საგარეგო, კოლმეურნეობა „საქართველო“, მშრომელი ხალხი, გლეხები... უკან რჩება
იქ გატარებული რამდენიმე დღე და მოგვეყვება იმ დღეთა შთაბეჭდილებები, ნაცნობებისა და
მეგობრების სიბზო და სიყვარული.



აღექსანრა გომიანვილი

სად არის ძვენად სხვა დარიალი

მაჩაბლის ქუჩა. მწერალთა სახლი.
დგას დათოვლილი ბალი პატარა.
ამ ბაღში ბევრი სიმღერა ლალი
ავგაროზივით გულმა ატარა.

ახლა ზის მერხზე ბერი ბულბული
და მეგობრულად ახლებს უცინის:
როგორ ვმღეროდით ზათქით-გუგუნით
ჩვენ, პოეტები რევოლუციის.

ბალი რა არის! ლაქვარდი ღელავს
და ფიქრი შედის ზეცის უბეში, —
ღრუბლებს გადააქვს მთების სიმღერა
საუკუნიდან საუკუნეში.

და მე არ მინდა, ეს ჩემი ლექსიც
იყოს დაკრული ტორზე — ტორისა,
როცა ისედაც ჰყვავის ალერსი
პუშკინისა და ლერმონტოვისა.

შენ მეუბნები, ბულბულო ჩემო,
კარგი არის, რომ მივბაძო ვაჟას, —
მაგრამ გრიგალებს ვეღარ ვცილდები
და ეყენებივით ვაქლერებ ლაქვარდს.

მეგობართ შორის, როგორც ონისე,
მეც ხომ ვყოფილვარ გელას მაყარი,
მაშ, რად არ ვუმღერ სოფელ ტორნისელ
გლებსის ქორწილს და საწყალ მაყვალას.

რამ დამავიწყა ჰაბუქს ორი მზე
ცისკრის სხივებად ცაზე გაშლილი:
სტეფანწმინდაში — მოჩხუბარიძე,
ჩარგალში — ლუკა რაზიკაშვილი!

შენ როგორ ფიქრობ: მთიელ მაყვალას
 ისევ ცრემლი სდის შეუსრობელი?! —
 როცა ონისემ წისლი გაჰყარა
 და გზას მოარღვევს, როგორც შოფერი.

შენ როგორ ფიქრობ: ზვიადაურებს
 კვლავ ჯარეგაში მტრობენ ქისტები?! —
 თუ, სხვათაშორის, ლექსში აურევ,
 როგორც პოეტი დადაისტების!

და ვტოვებ ქალაქს...
 ფიქრებს შემოსავს
 მკერდშებოლილი მწვანე სერები.
 მთების სელა აგავს ზღვაზე შემოსვლას
 აჯანყებული კრეისერების.

სანდრო ყაზბეგი მყინვარის შუბლით
 ბურსაჭირიდან ღელეში ჩადის,
 იქ წარაფევით აწვდილა შუბი
 და შუბის ფხაზე ციხეა ჩადის.

ჩადის ციხეში ორბელიანი
 ისევ არაგვის სრბოლას გაჰყურებს
 და ეზმანება მღვრიე მორევში
 წინანდლის ვარდი... ნინო... საყურე...

მხოლოდ მთებია სილაღით სავსე
 ყველა არწივის და ლექსის დედა. —
 და ვით არწივებს, მყინვარის თავზე
 ჩემთა წინაპართ აჩრდილებს ვხედავ.

ვხედავ: ცახცახებს ტყეში ფოთოლიც,
 ისმის დემონის ავი ჩხავილი
 და ლერმონტოვის სული ობოლი
 კლდეებზე დაჰქრის ქარიშხალივით.

ისევ ნაცნობი გუგუნნი ისმის,
 გადაუარეს მყინვარს ქარებმა...
 ბეთლემის კარზე შრიალებს წისლი
 და ხევში თერგი მიეჭანება.

მყინვარწვერიდან ნამქერი წივის,
 დგება ჭალარა აჩრდილი მთაზე
 და ჰავეჰავაძე, ბრძენი არწივი,
 მთლად საქართველოს დაჰბრუნავს თავზე.

ვაჟა დასტირის დაქანგულ გორდას,
 მთაში მანქანის მოსვლა აწუხებს. —
 აწუხებს, როცა გვირაბებს გორთან
 გულში უჭერენ რკინის მარწუხებს.

აწუხებს ხევისურ მინდიას ბედი
 და ხევისბრობა ბლოელ აფშინას. —
 დგება ჭაუხი გადამწვარ ფერდით
 და შავნისლივით ცხვარი აშლილა.

აშლილა ნისლი... სამხედრო გზაზე
 თეთრად ქათქათებს ბერი მყინვარი
 და მყინვარიდან მთელ ქვეყანაზე
 ისმის არწივთა ხმა გამყივარი.

აქ დაიბადა, აქ აღიზარდა
 არწივის ხმაში სიმღერა ვრცელი
 და ვით სამების გუგუნნი ზართა,
 რეკავს ხმა ქვეყნის მალეძებელი.

ანდა — სად არი სხვა დარიალი,
 ლალი სიმღერის ადგილის დედა?!
 მთებია ჩემი ლექსის პარნასიც
 და გამჭრიახი არწივის ხედვა.





კარლო კალაძე

აფხაზური ეპიგრაფიკა

აქ, ათას ცხრაას ოცდაერთიდან

არა, მთის შუბლი არ იღრუბლება,
ტყეებს აღვიძებთ ლალი შრიალი:
„თავისუფლება, თავისუფლება!“
ზღვა გაიძახის ქარიშხლიანი!..

ქარს ბნელი ღამე გაუხანჯლია,
მიაქვს ბინდის და ღრუბლის ნაფლეთი,
ზეცას ჭრილობის კვალი აჩნია
ჩრდილოეთიდან — აღმოსავლეთით.

უცებ ამაღლდა მთების მკერდი და
უცებ ცხენების თქარა-თქურია...
ამ ათას ცხრაას ოცდაერთიდან
აქ მხოლოდ მზე და გაზაფხულია!

გაზაფხულია ამ მთებში მხოლოდ
და ღელვა მარად მწვანე ბაღების,
და ღელვით როგორ არ მოვიგონოთ
სურათი პირველ დღის გაჩაღების!

დილაჲ, ო, დილაჲ!

დილაჲ, ო, დილაჲ, დილაჲ ახალო,
მეც ნუთუ უცხო მგზავრევით მცდიდი,
ენგურით როგორ ფიქრობ აპყარო —
ვეფხვის გაბედულ ნახტომს ჰგავს ხიდი!
რაო, რა გინდა ამ გულს ახარო,
ნაპერწყალივით რომ გაჰკარ ბწყალი, —
წყალ-გალმა გვიცდის სამურზაყანო,
წყალ-გალმა უკვე გალია, გალი!

დილავე, ო, დილავე, დილავე ახალო,
მეც ნუთუ უცხო მგზავრევით მცდიდი,
გადმოვიარე ცხრა მთა, ცხრა წყარო
და ლილო-ჭირილო მინდორი დიდი,
ცისკენ მიიწევს გზა უსახლკარო,
ტყვეს უკვე თმაში ეჭრევა ქლალი,
ფერს იღებს მიწა, მიწა აყალო
და სარკეებად ჩამდგარი წყალი.

დილავე, ო, დილავე, დილავე ახალო,
ჩვენი სიცოცხლის მაღალო დილავე,
თუ მზის ამოსვლით გასურს გაგვახარო,
გულს უკვე ღრუბლით ნუ დაგვიჩრდილავე!..

ჩხალთა, წებელდა

მიწას აქა-იქ აჩნია კვალი:
იქით ჩხალთაა, აქეთ წებელდა,
აფხაზური და სვანური გვარი
უხსოვარ დროის დამმიწებელთა!

სააფხაზოდან უკვე სვანური
სოფლები მოსჩანს... და აი, ჩხალთაც
ყოფილა ჩვენი ზღვის მოყვარული, —
აქეთ ისწრაფის ფეხისხმა წყალთა!

მგზავრო, ამ ზვირთთა სვლას დააკვირდი,
კიჟინი-მისი ვაქეკატურია:
ასად რომ გაპყო მდინარის ზვირთი
ის მაინც სვანურ-აფხაზურია!

ხვეიდან ხევში ღვარს ერთვის ღვარი,
ეხმიანება სოფელი სოფელს
და ძალით ვინ-და დაუდოს ზღვარი
ჩვენს ამომავალ ღღეს განუყოფელს!

არ გიყვართ განა...

ვეწვიოთ მთებზე გადმომდგარ ოდებს, —
ჩვენი ხალიჩა — მწვანე მოლია!
ვაზი ერთ მტრევანს ჩვენც მოგვაწოდებს
ხეს ხვეენით მაღლა რომ აპყოლია!

ჩვენს თვალწინაა სიმინდის ყანა —
ჩაბალახების შრიალ-შრიალი!
აყალო მიწა არ გიყვართ განა,
ან და ფერღობი ნიაღვრიანი!



არ გიყვართ განა, რომ ჩაის ბუჩქებს
გუნდისხეები თავს ადგას გუნდად!
კოდორს მღელვარე გული თუ უჩქედს —
ტალღებს ნაპირზე აფრენა უნდათ...

და არ ვიკითხოთ — რაა ასეთი,
ჩვენც რად გვაჩოქებს აქვე ბუნება?
— სხვა საქართველო, სხვა აფხაზეთი,
არა, ჩვენც არსად არ გვეგულება!

ბზიბი

ზღვას დასცქერის კლდე და
ცა თვალ-მოკამკამე —
ათას ერთი დღეა,
ათას ერთი ღამე!..

როგორც ლექსი, უცებ,
როგორც მუნასიბი
მიძინებულ ზღვაში
შემოიჭრა ბზიბი...

მივსწვდი მეც ერთ ტალღას
და შევაველე პეშვი,
წაეჩურჩულე: — ასე
რისთვის გადმოეშვი?

ერთი სიტყვა მითხრა,
ერთი... როცა ვკითხე:
— განა კლდე ვარ გულქვა,
მღუმარედ რომ ვიდგე!



სოსო კოჩინთაი

სწავლა და სიყვარული

რომანი

მეხუთე თავი

— რა მოხდა, დეიდა სონია? — ჰკითხა დათომ.

დეიდა სონია აიენის ბოძებს შორის გაბმულ ალუმინის მავთულზე აბრე-
შუმის წითელ საბნებს ამხეურებდა. იგი დილიდანვე ბუზღუნებდა, ილანძლე-
ბოდა.

— ვინ გაგაჯავრათ, დეიდა სონია, რა მოხდა? — გაუმეორა დათომ.

— რა მოხდა? რა მოხდებოდა! ქალებს გასწყვეტს შავი ჭირი... — დეიდა
სონიამ ჩითის ჭრელი თავსაფარი ენერგიულად მოიძრო და მერე ისე წაიკრა
თავზე, რომ ჭაღარა თმები და ყურებიც დამალა. იგი წარმოსადეგი, მსუქანი
ქალი იყო. სახის მსხვილი, მამაკაცური ნაკვთები ჰქონდა და გაბოხებული ხმით
ლაპარაკობდა.

დათომ ხელები გადაიჯვარდინა გულზე და იღვა. ხმა არ ამოუღია.

— ცბიერები არიან, ორგულები, გაუტანლები... — განაგრძო დეიდა სო-
ნიამ.

— ქალებზე ამბობთ? — ჰკითხა დათომ.

— ქალებზე მოგახსენებ! არ მიყვარს ქალები, მაგათი ბალანი კი დაიწვას.
შავ ჭირსაც გაუწყვეტია ყველა ერთ დღეს, არაფრის მაქნისი ისინი არ არიან...
ჯარშიც კი არ იწვევენ.

დათოს გაეღიმა, მაგრამ დამალა.

— ეგ უკვე ზედმეტია, დეიდა სონია. — თქვა მან.

— თავშიც ქვა უხლიათ. რატომ არ უნდა გაიწვიონ ჯარში! მუქთახორე-
ბი... არაფერში ისინი არ გამოდგებიან. მხოლოდ ღალატი შეუძლიათ და ორგუ-
ლობა... გასაწყვეტლები!

ირაკლი აივანზე იჯდა და მზეს ეფიცებოდა. ყველაფერი გაიგონა. ებრა-
ლებოდა დეიდა სონია, მაგრამ არც მის რძალს ამტყუნებდა.

ვაჟის ომში დაღუპვის ამბავი დიდი ხანია მოუვიდა დეიდა სონიას. რძა-
ლი — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მაინც ელოდა ქმარს. ელოდა, ვიდრე ყოველ-
გვარი იმედი არ გადაუწყდა. ამ ერთი კვირის წინ კი გათხოვდა და დედამთი-
ლის სახლი დატოვა.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2.

ირაკლი არ ამტყუნებდა დეიდა სონიას რძალს. ახალგაზრდა ქალი იყო, სიცოცხლით სავსე, ცხოვრება უხელოდა, ბედნიერება უნდოდა, რა ექნა?

დათო ირაკლისთან მივიდა, გვერდით დაუდგა და ხმადებლა უთხრა:

— მეცოდება დეიდა სონია. ერთადერთი შვილი დაეღუპა, ახლა რძალმაც მიატოვა... მარტოხელა დარჩა.

ირაკლიმ დათოს შეხედა. არაფერი თქვა.

— საწყალი ქალი... — დათო ჩაფიქრებული გაპყურებდა სივრცეს.

ირაკლიმ ახლაც არაფერი თქვა. საწყალი! ყველა საწყალია. შოთა მოაგონდა, დეიდა სონიას ვაჟი. კარგი ბიჭი იყო, დინჯი და ჭკვიანი, რალაც გამოგონებაზე მუშაობდა ომში წასვლის წინ... ის კი არ არის საწყალი? ან მისი ცოლი? სიყვარულით გაპყვა შოთას. ელოდა, დიდხანს ელოდა და არ დაუბრუნდა.

ყველა საწყალია.

— შენ გახსოვს შოთა? — ჰკითხა დათოს.

— ბუნდოვნად. ის კი მახსოვს, რომ მაწვალებდა.

— ჰო, ლოყებს გარმონივით გაგიწვლავდა ხოლმე... — თქვა ირაკლიმ.

— და ქუდს ცხვირამდე ჩამომამფხატავდა.

— ჰო, უყვარდა შენი წვალება...

დათომ ძმას მხარზე ხელი გადასდო და თვითონაც აივნის მოაჯირს გადაეყრდნო.

ირაკლის სიამოვნებდა, რომ ხელში ფარგალი ეჭირა. რეზო თვალს არ აცილებდა მისი ხელის მოძრაობას... და ენით ეხმარებოდა. ენით თავის პუტყუნა ლოყებს იმ მხარეს გამოებრავდა, რომელი მხრითაც ირაკლი ფარგალს ატრიალებდა.

ირაკლი ხშირად გაკვეთილების მომზადებაში შველოდა რეზოს. ბოლოდროს რუსულ ენას ასწავლიდა. ახლა კი ხელნაკეთი გემის ნახაზს აკეთებდნენ. ირაკლის სიამოვნებდა, რომ გვერდით რეზო უჯდა. რეზო თამამი ბიჭი იყო. თავი ყველასთან თავისუფლად და ძალდაუტანებლად ეჭირა. ეზოს უფროს ბიჭებთან შელაზღანდარებული იყო, მაგრამ ირაკლის წინაშე მოკრძალებას გრძნობდა.

— გმ... მმადლობთ, ძია ირრ-რაკლი, დ... დდანარჩენი ხვალ დავევხაზოთ.

— ჰო, დანარჩენი ხვალ დავხაზოთ.

რეზომ ნახაზები დააგორგალა და ილიაში ამოიღო. შემდეგ გავიდა ოთახიდან. მეორე ოთახში დათო იცვამდა. რეზო შედგა, ხმის ამოუღებლად შეპყურებდა, როგორ იცვამდა დათო. მერე ჰკითხა:

— ეწ... წწყობი?

— როგორც ხედავ.

— სს... სად მიდიხარ!

დათომ გაკვირვებით ასწია წარბები, ვითომდა რა შენი საქმეაო.

— ვ... ვვიცი სსადაც მიდიხარ... — ჩაიცინა რეზომ. — შშ... შეყვარებულთან.

— რა თქვი?

— გგ... გუშინწინ დაგინახე, ა... ასე რომ მიპყებოდი ქქქ... ქქრა ქქალი-შვილს, — რეზომ აჩვენა, როგორ მიპყებოდა დათო.

— ნუ გაქვს გრძელი ენა. რა შენი საქმეა, სად მივდივარ, ვისთან მივდივარ, ვის როგორ მივეყებოდი... — დაუცაცხანა დათომ, მაგრამ შემდეგ თავი ვერ შეიკავა და გაელიმა.

— მმართლა შშ... შეყვარებულთან მიდიხარ? თ.. თთქვი, რა მოგივიდა!

— შენ ერთი ჯაგრისი მომწოდე, ისა სჯობს. ეგ არა, ტანსაცმლის, ეგერ სკამზე დეგს.

— ძალიან კი იბრ... რრანკები. — უთხრა რეზომ და ჯაგრისი მიაწოდა.

— გითხარი, შენი საქმე არ არის-მეთქი და მოკეტე!

— მმ... მოკეტე, მოკეტე. — ჩაიცინა რეზომ.

იგი იდგა ოთახის შუაგულში, იღლიაში დაგორგოლავებული ნახაზი ამოეჩარა და ეტყობოდა, წასვლას არ აპირებდა.

— ვითომ შენ კი არ გეყოლება შეყვარებული, რა ბიჭი ხარ! — უთხრა დათომ.

— მმ... მყავს. რრ... რატომაც არა.

— უყურე შენი რა ჰქვია?

რეზომ პასუხად დინჯად და დამცინავად ჩაიცინა.

— თქვი, რა ჰქვია?

— სს... საიდუმლოა.

— აბა ეგ რა საიდუმლოა?! გინდა ვითხრა ჩემი შეყვარებულის სახელი?

— მით... თთხარი რაა, რრა ჰქვია?

— დესპინე.

— დდ...დესპინე არა... — გაიცინა რეზომ. — მით...თთხარი რა!

— დესპინე, დესპინე, აბა რა? შენსას რა ჰქვია?

რეზომ არ უპასუხა.

— ჰა, მითხარი! რა ჰქვია? თუ გრცხვენია თქმა, შე გლახაკო!

— ნნ...ნელი... ნელი ქვია.

— ნელი? ბიჭოს? რომელ კლასშია?

— მმ...მეშვიდეში, ჩემს ჯგუფშია.

— გიყვარს?

— ჰა?

— გიყვარს-მეთქი?

— ისს...სე რა. ვვ...ვერთობით.

— რაო! — გამოეკიდა დათო. — დაიკარგე აქედან, შე ლაწირაკო!

რეზომ კარი გამოაღო და თავს უშველა.

— ხედავ, რა თქვა! ირა, გესმოდა, რა თქვა? — დათო იცინოდა.

ირაკლიმ მთელი საუბარი მოისმინა და რეზოს უკანასკნელ პასუხზე მასაც გაეცინა. „ვერთობითო! უყურე შენ, ვერთობითო!“

ირაკლის ოთახში დათო შემოვიდა. იგი ხარხარებდა.

— რა თქვა, ჰა? დიდი ცუდლუტი ბიჭია.

— რეზო კარგი ვაჟკაცი დადგება, შენ ნახავ. — თქვა ირაკლიმ.

დათომ არაფერი უპასუხა. ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე თქვა:

— დღეს ჩვენი კურსელები ბანკეტს ვიხდით ფუნქიულიორზე. ხვალ კი ჩვენს სახლში კონცერტი უნდა გაემართოთ.

— რა კონცერტი?

— ჩვეულებრივი კონცერტი ოჯახში. ჯიმშერისგან მაგნიტოფონს მოვიტან. ძალიან კარგი სიმღერები და მუსიკა გვაქვს ჩაწერილი... ვმართავთ კონცერტს ორ განყოფილებად, — დათო ცალ ქუსლზე შემოტრიალდა, — პროგრამაში იქნება: ქართული ხალხური და საესტრადო მუსიკა, შუალამეზე რადიომიმღებით დაჭერილი ჯაზები და აგრეთვე ჩვენივე სიმღერებისა და ხუმრობის ჩანაწერები...

— ეს როგორ?

— ჩვენზე სიმღერები და ხუმრობა ჩაეწერეთ. ძალიან კარგი გამოვიდა. სხვათა შორის, უცნაური გრძნობა გეუფლება, როცა საკუთარ ხმას ისმენ.

— ჯერ არ მომისმენია ჩემი ხმა. — თქვა ირაკლიმ.

უსაზღვროდ სიამოვნებდა და ამშვიდებდა ძმასთან საუბარი ირაკლის. დათო ბევრი რამით ჰგავდა მას და ყმაწვილობას აგონებდა.

— იცი რა კონცერტს მოვაწყობ, რა ცეკვებს გავმართავ!

— შენ კარგ გუნებაზე ხარ, — შენიშნა ირაკლიმ.

— მართლა კარგ გუნებაზე ვარ. — გაიცინა დათომ. — გამოცდები დაემათვრე, ყველა სავანში ფრიალი მივიღე. მალე უმადლეს სასწავლებელთა პირველობა ჩატარდება კალთბურთში და ოდესაში გავემგზავრები. ამ საღამოს ბანკეტი, ხვალ კონცერტი... მეტი რა გინდა?

— მოკვდავისთვის სავსებით საკმარისია. — გაიცინა ირაკლიმ.

დათომ თმა დაივარცხნა, ერთხელ კიდევ შეითვალეოთ თავი სარკეში და წავიდა. ირაკლი მართო დარჩა ოთახში. წიგნი აიღო და გადაშალა. უკვე შებინდებული იყო. შუალაქამდე კითხულობდა. მერე თვალეები დაეღალა და დაწვა. დათო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

ირაკლი იწვა და ჰერს მიშტერებოდა. არ ეძინებოდა. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიძინებდა, სანამ დათო არ დაბრუნდებოდა. შუალაქე კარგა ხნის გადასული იყო, როცა დათომ ფრთხილად შემოალო მისი ოთახის კარი და ჩურჩულით იკითხა:

— ირა, გძინავს?

— არა, არ ძძინავს. შემოდი.

დათო ოდნავ ბარბაცებდა. პირიდან ღვინის სუნი ამოდიოდა. იგი საწოლზე ჩამოუჯდა ირაკლის. იჯდა დიდხანს და უყურებდა ძმას. ხმას არ იღებდა, მხოლოდ შეუშინებლად ირწეოდა.

— ირა, კარგია ცხოვრება, არა?

ირაკლიმ უცბად ვერ უპასუხა. მერე კი აღარ უპასუხა. არ უნდოდა გუნება წაეხდინა ძმისთვის. მაგრამ დათო არც დალოდებია მის პასუხს.

— ირა, მე ბედნიერი ვარ!

ირაკლიმ ხმა ვერ ამოიღო. დათომ გადაიხარხარა.

— ხომ არ შეშინდი? არ გავგიჟებულვარ.

— რა მოხდა, დათო?

— არაფერი. დავიძინოთ. — ირაკლის მკლავები შეუხვალრი და წამოგდა. შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ტანსაცმელი სასწრაფოდ გაიძრო, თხელი საზაფხულო საბანი ააფრიალა და ლოგინში ჩახტა.

ირაკლის გაურკვეველი ღიმილი შერჩენოდა ბაგეებზე. „ცხოვრება? — ვისთვის კარგია, ვისთვის ცუდი. ერთსა და იმავე დროს ათასებისათვის კარგია და ათასებისათვის ცუდი...“

დათომ ჯიმშერისგან მაგნიტოფონი მოიტანა. ირაკლიმ თავიდან ბოლომდე მოისმინა ჩაწერილი სიმღერები და მუსიკა. შემდეგ დათომ მისი ხმა ჩაწერა. ირაკლის არასდროს მოესმინა თავისი ხმა.

„ადამიანი იცნობს თავის სახეს, — ფიქრობდა იგი, — რადგან სარკე საკმაოდ ზუსტად იმეორებს გამოსახულებას. მალე ალბათ საკუთარი ხმაც ისეთივე ნაცნობი გახდება, როგორც საკუთარი სახე“.

ირაკლიმ პირველად ვერც იცნო თავისი ხმა, როცა დათომ მაგნიტოფონი ჩართო, შემდეგ კი მართლაც აუხსნელი გრძნობა დაეუფლა.

დათო მთელი დღის განმავლობაში აღტაცებული იყო, აღტყინებული. კი არ დადიოდა — დაფრინავდა. ავეჯს განზე აწყობდა, რომ საცეკვაოდ მეტი ადგილი დარჩენილიყო. ირაკლი აქ ვერაფერში დაეხმარებოდა, ამიტომ თავის ოთახში გავიდა და წიგნის კითხვა განაგრძო. თავაუღლებლად კითხულობდა, გატაცებით. მხოლოდ დროდადრო თუ მოჰკრავდა ყურს, როგორ დარბოდა დათო აქეთ-იქით, აწყობდა ავეჯს, დედას დავალებებს აძლევდა.

დათო კონცერტისათვის მზადებაში გაერთო. საღამოს, როცა მოიცილა, წვერი გაიპარსა და გამოეწყო. მერე შეამჩნია, რომ ირაკლი ამდენი ხანია თავის ოთახში ჩაკეტილიყო და კითხულობდა, თუ ფიქრობდა. ძმის ოთახის კარი ღიმილით შეაღო, შევიდა და ჰკითხა:

— არ დაიღალე ამდენი კითხვით?

ირაკლიმ წიგნიდან თავი აიღო.

— ოჰო, ბლომად წაგიკითხავს, მოგწონს?

— კარგი წიგნია, — უპასუხა ირაკლიმ.

ირაკლის ერთგვარი მამობრივი გრძნობა ჰქონდა დათოსადმი. როგორც მამებს სურთ დაინახონ შვილებში თავის გამგრძელებელი, რომელიც გააკეთებს ყველაფერს, რაც თავად ვერ მოასწრეს ან ვერ მოახერხეს, ისე ირაკლისაც უნდოდა, რაც თვითონ დააკლდა, რისი მიღწევაც სურდა და ვერ მიადწია, დათოს განეხორციელებინა.

— მალე ამხანაგებიც მოვლენ. — თქვა დათომ.

— ვინ და ვინ იქნება? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ბიჭებიდან თითქმის ყველა ჩემი მეგობარია, ქალიშვილებიდან რამდენიმე თანაკურსელი და ორი კიდევ სხვა.

— მაია იქნება? — ჰკითხა ირაკლიმ და გამომცდელად შეხედა.

— ცხადია, იქნება. მაია, ცხადია, იქნება.

— მაია რომ შენი კურსელი არ არის?

— მერე რა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

დათო არც გაწითლებულა, არც ხმა შეცვლია. ირაკლი კი მოელოდა ამას. ამიტომ უყურებდა გამომცდელად.

„ისე ლაპარაკობს მაიაზე, ვითომ არაფერი... — გაიფიქრა მან. — მე რომ მაგის ხნისას ასე შემკითხოვდნენ ხათუნაზე, უთუოდ ავირეოდი. ახლა სხვანაირი თაობა იზრდება... მართო ამით არ განსხვავდებიან ჩვენგან. რალაცნაირი თავდაჭერილობა აქვთ, ცოტა ლაპარაკი იციან; უსარგებლო, არაფრის მაქნის საუბარს ერიდებიან...“

დათომ მცირე ხანს იყუჩა, მერე ძმა შეათვალიერა და ჰკითხა:

— ირა, მოგწონს მაია?

— შენ მოგწონს?

— რატომ მეკითხები, ხომ იცი რომ მომწონს. შენ მოგწონს?

— კარგი გოგოა. ლამაზია და მგონი, უჭკუოც არ უნდა იყოს.

— მართალს ამბობ. მაია ჰკვიანი გოგოა. — თქვა დათომ. მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — იცი, რატომ ვიყავი წუხელი გახარებული?

— რატომ?

— მაიასაც მოგწონვარ. მითხრა, რომ მოგწონვარ...

ირაკლიმ ვერაფერი თქვა. არ იცოდა, რა ეთქვა. დათო ისე უბრალოდ ლაპარაკობდა ამაზე. თვითონ ვერაფრით ვერ ეტყოდა ხათუნაზე ვერავის. ვერც მისი ტოლები იტყოდნენ ასე უბრალოდ, ბუნებრივად. ამიტომ არ იცოდა, რა ეთქვა.

„სხვანაირი თაობა იზრდება, უფრო თავისუფალი და უბრალო. — ფიქრობდა იგი. — ასე სჯობს. ეგ ალბათ იმის შედეგიც არის, რომ დათო და მისი ტოლები სხვანაირად გაიზარდნენ. ჩვენ არ გვექონია ასეთი ცხოვრება. ჩვენ ახალგაზრდობაც არ გვექონია. ჭაბუკები ვიყავით და მერე ეგრევე სერიოზულ მამაკაცებად ვიქცით. სხვანაირად შეუძლებელი იყო...“

ირაკლის კაეშანი შემოაწვა. მოიწყინა. დათომ რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გაარჩია, რა თქვა.

— დათო, მე გავისეირნებ...

— გაისეირნებ?! რას ამბობ, მალე ამხანაგები მოვლენ, სიმღერა, ცეკვა, მხიარულება გვექნება...

— ჰოდა მე წავალ, გავისეირნებ.

— ირა, ძალიან გთხოვ...

— საქმეც მაქვს. ახლა გამახსენდა, რომ საქმე მაქვს. გარეთ უნდა გავიდე. — თქვა ირაკლიმ.

იგი არ უყურებდა დათოს.

უცერად შეშურდა, რომ მისი ძმა ასე ტანადი და მოხდენილი ვაჟაკიცა, ასე მაღალი და ძლიერი ფეხები აქვს, უყვარს ცხოვრება, სჯერა ბედნიერება და ჰყავს საყვარელი ქალიშვილი... და ამ ქალიშვილსაც მოსწონს იგი... და მალე სტუმრები მოუვლენ, იცეკვებენ, იმღერებენ, გამხიარულდებიან...

ირაკლი კი კუნძივით უნდა იდოს სკამზე და უყუროს, როგორ იცეკვებენ, იმღერებენ, იმხიარულდებიან... არა, გავა გარეთ და გაივლის.

— მე უნდა წავიდე, დათო.

— არსადაც არ წახვალ... ირა, გთხოვ, დარჩი.

— უნდა წავიდე, საქმე მაქვს.

— არაფერი საქმეც არა მაქვს. ახლა რა საქმე უნდა გქონდეს? დარჩი რა! — შეეხვეწა დათო და კინაღამ უთხრა: დარჩი, თორემ გარაჟიდან მანქანას არ გამოგიყვან და როგორ წახვალო, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი. კიდევ კარგი რომ დაიჭირა. წარმოიდგინა, გულს როგორ ატყენდა ძმას.

ირაკლი გამოვიდა ეზოდან. სწრაფად მიჰყავდა მანქანა. უცნაური გრძნობა დაეუფლა. რაც უფრო შორდებოდა სახლს, მით უფრო უკეთესად გრძნობდა თავს, სახლს, სადაც მალე მხიარულება, ცეკვა-თამაში დაიწყებოდა და სადაც თვითონ კუნძივით უნდა დებულყო სკამზე. თითქოს ახლა დაინახა პირველად, როგორ განსხვავდებოდა მისი ცხოვრება ძმის ცხოვრებისაგან.

როცა დათოს ხნის იყო, შინ კონცერტის გამართვა კი არა, არტილერიის გამაყრუებელ კონცერტს ისმენდა...

მანქანა გარბოდა. ირაკლიმ არ იცოდა, საით მიდიოდა. სულერთი იყო. უფრო მოუმატა სიჩქარეს. სიამოვნებდა, რომ მანქანა სწრაფად მიდიოდა. ტენტი გადახდილი ჰქონდა და გრილი ჰაერი სახეს უგრილებდა.

„მოგწონს მათა?“ — გაახსენდა მოულოდნელად დათოს შეკითხვა. და შემდეგ: „რატომ შეკითხები, ხომ იცი, რომ მომწონს. უნ მოგწონს?“

დათო შეყვარებულია. აი რატომ იყო ისეთი წუხელ. დღესაც ფრთები რომ ჰქონოდა — გაფრინდებოდა, ისე იყო აღტაცებული...

იყო დრო, როდესაც ირაკლი დათოსავით შეჰხაროდა ცხოვრებას. ისიც აღტაცებული და გაბრუებული იყო, როცა ყველაფერი გაუმხილა ხათუნას. ის საღამოები, ის შეხვედრები...

რა იცოდა, რას წარმოიდგენდა, რომ ქვეყანა ასე უკუღმართად დატრიალდებოდა, ყველაფერი ასე შეიცვლებოდა...

მანქანა მოაბრუნა და უკან წამოვიდა. ახლა უფრო ნელა მოდიოდა. სოლოლაკს გამოცდა და რუსთაველით გაეშურა სახლისაკენ.

უკვე გვიანი იყო. პროსპექტზე შეთხლებულიყვნენ მოსიერნეები. კინოებიდან და თეატრებიდან გამოსული ხალხი თულა დადიოდა.

უფრო მოუკლო სიჩქარეს. ახლა სულ ნელა მიჰყავდა მანქანა. სახლს რომ მიუახლოვდა, საათს დახედა. ფოსფორული ისრები ერთმანეთს ასხდნენ, თორმეტს აჩვენებდნენ. „ალბათ უკვე დაიშალნენ“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

არ უნდოდა მაშინ დაბრუნებულიყო შინ, როცა ხმაური და მხიარულება იქნებოდა. არ უნდოდა თავისი მოღუშული სახით სიცივე და მოწყენილობა შეეტანა სხვების დროსტარებაში.

სახლს გაუსწორდა. დანიანა, რომ მისი ფანჯრის წინ დარგულ აკაციის ხესთან ქალი და კაცი იდგნენ. მიუახლოვდა. დათო და მაია შეიცნო. ხის ჩრდილს შეფარებოდნენ, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ირაკლიმ შეაჩერა მანქანა. არც ერთს არ მოუხედავს მისკენ.

„ერთმანეთის გარდა ახლა მათთვის აღარავინ და აღარაფერი არსებობს“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

მერე მოესმა, რომ დათომ რაღაც თქვა. მაიას ხმა არ გაუგონია. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ დათომ კვლავ თქვა რაღაც. ახლა უფრო დიდხანს ლაპარაკობდა. მანქანა თუხთუხებდა, მაგრამ არც ერთი ყურადღებას არ აქცევდა. ირაკლი იდგა და მანქანას არ ძრავდა.

„ნუთუ შეიძლება ისე იყო გართული, რომ მანქანის მოახლოება და თუხთუხი ვერ გაიგო? — უკვირდა მას. — ჩანს, რომ შეიძლება. და ისიც ჩანს, რომ დავბერებულვარ, რადგან მიკვირს“.

ძალიან უნდოდა ცოდნოდა, რას ეუბნებოდა მისი ძმა მაიას. ირაკლიმ იცოდა, რას ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მაგრამ მას უნდოდა გაეგო, როგორ და რანაირად იტყოდა მისი ძმა.

შეეშინდა, არ შემამჩნიონ და ხელი არ შეეშალო. მანქანა დაძრა და ეზოში კი არ შევიდა, მოუხვია და აღმართს აუყვა. ახლა უფრო იგრძნო, რას ნიშნავს, როცა საყვარელ ადამიანს დასცილდები. ახლა უფრო იგრძნო, რა ბედნიერი ყოფილა მაშინ, როცა ყოველ საღამოს ხვდებოდა ხათუნას და სეირნობდნენ, ანდა ისე, როგორც ახლა დათო და მაია, იდგნენ ხის ქვეშ და ერთმანეთის გარდა ქვეყნად აღარაფერი ახსოვდათ, ველარაფერს ამჩნევდნენ.

მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ...

ეს იყო მაშინ, როცა გული იმედითა და რწმენით ჰქონდა სავსე, ეს ქვეყანა მშვენივრად მოწყობილი ეჩვენებოდა, სადაც მხოლოდ კეთილი, ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანები ცხოვრობენ და საშიში არაფერია. არაფერს შეუძლია ხელი შეუშალოს მათ ბედნიერებას...

ეს იყო მაშინ, როცა ირაკლისაც ჰქონდა ფეხები, გრძელი და ძლიერი, როგორც დათოს, დაკუნთული და ჰარღვიანი... ბურთს დაარტყამდა და ფეხბურთის მოედნის ერთი კარიდან მეორემდე მიაწვდენდა. როგორ წარმოიდგენდა მაშინ, თუ ოდესღაც სანატრელი გაუხდებოდა ის დრო. მაშინ მხოლოდ მეტ ბედნიერებაზე ფიქრობდა.

... თურმე მანქანა შეუჩერებია, წითელი აგურებით ნაშენ უზარმაზარ ნაგებობასთან იდგა. მესამე სართულზე, ერთ ბინაში სინათლე ენთო. ესე იგი ხათუნას არ ეძინა. ღია ფანჯრიდან ფარდა გამოფრენილიყო და ნიავე თავის ნებაზე აფრიალებდა.



საიდანღაც მიჩუმებული, სევდიანი მუსიკა მოისმოდა. მიჩუმებული, სევდიანი მუსიკა ახსენებდა ყველას, ვინც კი უსმენდა, რომ ქვეყნად არსებობდა არა მარტო ბედნიერება და სიხარული, არამედ დარდი და მწუხარებაც.

ორთქლმავალმა საზარელი ხმით შეჰკივლა. ირაკლიმ თვალები გაახილა. ეს უკვე მესამე დღეა მიჭრის მატარებელი სამხრეთისაკენ. ეს უკვე მესამე დღეა, სხედან ამ კუბეში სამივენი და ირაკლის თვალს რული არ მიჰკარებია. არ ეძინება არც დღისით, არც ღამით. მატარებელი კი მიჰქრის სამხრეთისაკენ და დროდადრო საზარლად შეჰყვირებს. ირაკლის თვალები მოხუჭული აქვს, რომ იგი მძინარე ეგონოთ და არ ელაპარაკონ. მას არ უნდა ლაპარაკი, არც რაიმეს მოსმენა სურს.

ფანჯარაზე ფარდები გადაწეულია. მაინც ბნელა კუბეში. ღრუბლიანი, მრუამე დღეა. ბუნება გარინდებულია აედრის მოლოდინში. ირაკლი ქვედა ნარზე წევს. ხელები თავქვეშ აქვს ამოდებული. დედა ფეხთით უზის. არჩილი მოპირდაპირე ნარზეა წამოწოლილი. მას ჯარისკაცული უსამხრეებო გიმნასტურა და შარვალი აცვია. ეს ჩექმებიც ალბათ ჯარიდან გამოჰყვა. სამხრეების ადგილიც ისევე გახუნებულია, როგორც მთელი ტანსაცმელი. თურმე ექვსი თვეა, რაც შინ დაბრუნდა.

არჩილი ლაპარაკობს. როგორც კი ირაკლი თვალს გაახელს, იგი ლაპარაკობს. განუწყვეტლივ იგონებს წარსულს, ან უამბობს ამხანაგებზე, ვინ დაბრუნდა, ვინ დაიღუბა. უამბო, რაც თავს გადახდენოდა.

დედა ჩუმდაა ზის. იგი არაფერს ამბობს ოჯახზე. მხოლოდ ისა თქვა, დათოსაც უნდოდა წამოსვლაო.

დათო! დათო ახლა დიდი ბიჭი იქნება. მამა? მამა როგორ არის? მამა ძალიან მძიმე ავადმყოფი ყოფილა.

— ბევრგან არის დაჭრილი?

— დაჭრილი? ჰო, დაჭრილიც არის და... ძალიან მძიმე ავადმყოფია. დედა თვალებში ვერ უყურებს ირაკლის, ისე ლაპარაკობს.

როცა შინ აიტანეს და დივანზე დასვეს, ირაკლიმ მიმოიხედა და იმ წამსვე იგრძნო, რომ მამა არ იყო ოჯახში, რომ იგი საერთოდ აღარ იყო.

„მამაც აღარ არის“, — გაიფიქრა მან, მაგრამ არაფერი თქვა.

— როდის მიიღეთ ცნობა? — ჰკითხა რამდენიმე დღის შემდეგ დათოს.

— ორმოცდაოთხი წლის ბოლოს. — უბასუხა დათომ და თავი დახარა.

ირაკლიმ მეტი აღარაფერი ჰკითხა. „ორმოცდაოთხის ბოლოს. — გაიმეორა თავისთვის გონებაში. — ორმოცდაოთხის ბოლოს“...

მოდითდნენ ნათესავები, მოდიოდნენ ახლობლები, მოდიოდნენ ამხანაგები — ნახულობდნენ, ამხნევებდნენ, უამბობდნენ. ცდილობდნენ ფეხებისაკენ არ ეცქირათ. თვალს არიდებდნენ. ეს უფრო აცბუნებდა ირაკლის, ისევე, როგორც ზოგიერთებს რცხენიათ, როცა გადამეტებული ყურადღებით ათვალთვლებენ.

საწყალი ბებია მამო! სიბერისაგან გარეთ ვერ გამოდიოდა. ირაკლი მაინც მოინახულა. ატირდა. ირაკლიმ სახე განზე წაიღო. ჩვეულებრივზე უფრო ნერვიული და მგრძობიარე გახდა, როცა ნათესავებში, საკუთარ ოჯახში დაბრუნდა. ყველაფერზე ნერვები ეშლებოდა. ნერვებს უშლიდა ბებია მამოს ტირილიც,



მისი შემწვარი ვაშლივით დანაოჭებული სახე და ჩიფჩიფა პირი, რომელშიც მხოლოდ ერთადერთი წინა კბილი შერჩენოდა. კბილი საოცრად გრძელი და ყვითელი იყო. იგი გასალიზიანებლად გამოშვერილ ნეკა თითს ავონებდა ირაკლის.

ბებია მაშოს სხვებიც აპყვენენ და სლუკუნი ასტეხეს, თითქოს მათ წინაშე მიცვალებული დებულიყოს. ირაკლიმ ჭიქა მიაფშენა კედელზე, ათრთოლდა, აკანკალდა და ნათესავეები გარეკა. მთელ დღეს ვერ დამშვიდდა.

საშინელ აპათიას განიცდიდა იმ დღეებში. არავის ნახვა არ უნდოდა, არავისთან საუბარი. მნახველები მხოლოდ ნერვებს უშლიდნენ, წონასწორობას უქარავდნენ. მას არავის ნახვა არ უნდოდა და მით უფრო ისეთი თანაგრძნობა, როგორც ბებია მაშომ გამოიჩინა.

„მთავარია, გული არ ამიჩუყდეს. — ფიქრობდა ირაკლი. — მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნო. ჩემთვის აუცილებელია იმის შეგნება, რომ ყველაფერი უბრალოდ და მარტივად ხდება. ადამიანი იბადება, იზრდება და შემდეგ უბედურდება. ჩემს დღეში ათასობით კაცია. მხოლოდ მე ერთს ხომ არ დამმართნია ასე... ამაში არაფერია საოცარი, განსხვავებული. ჩემთვის საჭიროა სრული სიმშვიდე და რწმენა, რომ ყველაფერი მარტივად და უბრალოდ ხდება... მარტავად და უბრალოდ“...

ხათუნას ნაბიჯების ხმა შორიდანვე გაიგო, იცნო. ხათუნა მოეხვია. გულში ჩაიკრა. შემდეგ აქვითინდა. ირაკლის ბევრი უფიქრია ამ შეხვედრაზე. და აი ეს დროც დადგა. ხათუნას დაბალუპით ჩამოდიოდა ცრემლები. გულაჩნდის, აღრენილს, განახევრებულს ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. სხვანაირად გაეგო ეგ ცრემლებიც. უხეშად მოიშორა ხათუნა, ხელები გააშვებინა.

ხათუნამ უთხრა ირაკლის, რომ ელოდა, რომ ღამეებს ათენებდა მასზე ფიქრით, რომ როგორც იქნა დაუბრუნდა იგი — მისი ოცნება, მისი სიცოცხლე...

ირაკლის ეამა. ხათუნა ეუბნებოდა ზუსტად იმას, რისი მოსმენაც მისგან ეწადა.

ხათუნა ყოველთვის, მუდამ იმას ეუბნებოდა ირაკლის, რისი მოსმენაც იმ წამში ყველაზე მეტად ეწადა... ასე იყო გაცნობისას, ასე იყო შემდეგაც. ამიტომაც ვერ დაუფიწყნია...

ხათუნა მხარზე ხელს უსვამდა ირაკლის, თმას უჩეჩავდა, ეალერსებოდა. იმ კარგ დღეებს ახსენებდა, ცრემლებით სავსე თვალებით იციწინოდა.

წამით ირაკლის გაჭერქეშებულმა, გაბოროტებულმა გულმა ამდენი ხნის შემდეგ კვლავ იგრძნო სითბო, მოღვა და გადაავიწყდა ყველაფერი...

მერე შენიშნა, რომ ხათუნას თითები აღარ უჩეჩავდა თმას, მისი თბილი და ტკბილი ტანი აღარ ეხებოდა... ხათუნა გარინდებულყოფი, ცრემლები უშვრებოდა თვალებზე, მხოლოდ ნიკაპთან დარჩენოდა ერთი წვეთი. და შორს, შორს იყურებოდა...

ირაკლი გამოერკვა. მან სიზმარი ნახა და გამოეღვიძა. ტკბილი ბურანი გაქრა. წამიერი ბედნიერება სადღაც ჩაიჩეხა. იგი იქ, ვენის მისადგომებთან დარჩა, მის ფეხებს გაპყვა და სადღაც ჩაიფლითა, მიწასა და ტალახში აეხილა.

ან რა გულუბრყვილობა! შეხედა ამ გარინდებულ, მშვენიერ სახეს, საიდუმლოებით სავსე თვალებს, რომლებიც შორს, შორს იქიქებოდნენ და იგრძნო, რომ ხათუნა მისთვის სხვა გამხდარიყო, უცხო გამხდარიყო...

ალარაფერი დარჩა. დაცარიელდა.

ფრონტზე წასვლისას თავგადასხორტილს რცხვენოდა ჩვენებოდა ხათუნას, ახლა უფეხებოდ დაბრუნდა, განახევრებული...

მართალია, თავისი სხეულის ნახევარი ქვეყანას შესწირა, ხათუნასაც შესწირა, მაგრამ...

მაინც ნახევარია, კუნძია...

ირაკლიმ შუალამზე უეცრად თვალი გაახილა. კანკალებდა, შუბლზე ოფლის ხვითი გადადიოდა. თურმე წამით ჩასძინებოდა და ეზმანა: ზღვა, უკიდევანო ზღვა. ახლოს მივიდა და ზღვა სისხლისა აღმოჩნდა. შფოთავდა სისხლის ზღვა. მერე იგი დაიწრიტა და ფსკერზე, კენჭებისა და სილის ნაცვლად, ადამიანების მოგლეჯილი თავები, კიდურები, სხეულის სხვადასხვა ნაწილები გამოჩნდა...

წამოიმართნენ მოჭრილი ფეხები, სიმაღლეზე მოეწყვენ და მარშირება დაიწყეს. ერთმა წყვილმა ვერ ააწყო ფეხი, კოლონას გამოეცალა და ირაკლისაკენ გამოემართა...

მაგრამ სანამ ირაკლიმდე მიღწევდა, სხვა ფეხებიც აიშალნენ, შემოეხვივნენ მას გარშემო, დახტოდნენ; იკლაკნებოდნენ, მერე კომბლებივით დატრიალდნენ.

მერე წამოვიდა სისხლის ნიაღვარი, ერთ წამს შედგა, მთასავით აიმართა, შემდეგ ერთბაშად ჩამოიქცა, დაიფშვნა, წითლად აქაფდა და ზედაპირზე მოიგდო თავებიც, ხელებიც, ფეხებიც და ირაკლიც. ირაკლის ახრჩობს სისხლის ზღვა...

შუბლზე ხვითი გადადიოდა. საცვლებიც სველი ჰქონდა. ძაგძაგებდა. ვერ იქნა და ველარ დაიძინა. ეშინოდა კიდევ დაძინების. ასე გაატარა მთელი ღამე. სულწასული ელოდა განთიადს. ჰაპიროსს აღარ აქრობდა, დამწვარზე ახალს უკიდებდა.

აღარ ეშველა, აღარ გათენდა. ეს წყეული დრო სწრაფად გარბის, როცა კაცი ბედნიერია, და უსაშველოდ იწელება, როცა კაცი იტანჯება.

ხათუნამ მოაკითხა. იგი იცინის. იგი სულ იცინის. ირაკლი გრძნობს, რომ ეძინება. როცა ხათუნა მოაკითხავს, მშვიდდება და ეძინება. ხათუნა თავითი უზის, რალაცას უყვება, მერე გაიცინებს, ირაკლის ეძინება, თვალეზი უნებურად ეხუტება. ისე ტკბილად დაეძინება ახლა...

ხათუნამ კვლავ გაიცინა. ირაკლი ძილღვიძილშია. მას ყველაფერი ესმის, მაგრამ ვერაფერს არჩევს. შორს, შორს წაიღო ძილმა... მერე თვალეზი გაახილა და დიდხანს უყურა ქერს. რალაც ძალიან მნიშვნელოვანი გაახსენდა. გაახსენდა და იმ წამსვე დაავიწყდა. მეორედ ველარაფრით გაიხსენა. ხათუნას მიუბრუნდა და უთხრა:

— რალაც მინდოდა მეტქვა შენთვის და დამავიწყდა...

— რა უნდა გეტქვა?

— აღარ მახსოვს. ძალიან კი მინდოდა მეტქვა...

ხათუნამ შუბლზე გადაუსვა ხელი. ირაკლიმ თვალეზი დახუჭა. ხათუნას ხელი გრილი იყო და საოცარი სურნელება ჰქონდა.

— ჰო, გამახსენდა. — თქვა ირაკლიმ. — ერთხელ იქ... ჰო, ერთხელ იქ... რალაც მოხდა... რალაც მოხდა და აღარ მახსოვს. მაშინ გადავწყვიტე აუცილებ-



ლად მემამბნა შენთვის, როგორც კი დავბრუნდებოდი. მაგრამ რა მოხდა? რატომ ვადამაგიწყდა? რალაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო...

— დამშვიდდი. როცა გავახსენდება, მაშინ მომიყვები. თუ გინდა, დაიძინე. მე აქ ვიქნები და შენ დაიძინე.

— რატომ აღარ მახსოვს? როგორ ველოდი, რომ გნახავდი და მერე ვიამბობდი...

— ნუ დარდობ. გავახსენდება და მერე მომიყვები. როდისმე ხომ გავახსენდება? მე კი სულ შენთან ვიქნები და მომიყვები. დამშვიდდი.

ირაკლიმ კვლავ დახუჭა თვალები. ხათუნა შუბლზე და საფეთქელთან უსვამდა ხელს. ირაკლის ძალიან სიამოვნებდა და სურდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ასე, მაგრამ ხათუნამ მალე აიღო ხელი.

— ხომ ხედავ, — თქვა ირაკლიმ და თვალები გაახილა, — ისეთი აღარა ვარ. აღარც მახსოვრობა, აღარც ფეხები... აღარა ვარ ისეთი, ადრე რომ ვიყავი...

— ნუ ამბობ. — თხოვა ხათუნამ.

— მე ვიცი.. ახლა კუნძი ვარ... მე ვიცი...

— ირა გაჩუმდი...

— კუნძი... ნერვებმოშლილი, მახსოვრობადაკარგული... ხომ ხედავ, აღარა ვარ ისეთი.

— არ არის სწორი. შენ ისეთივე ხარ, ირა...

— კმ... — მწარედ ჩაიციხა ირაკლიმ.

— ისეთივე ხარ, როგორიც ადრე იყავი...

ირაკლიმ კვლავ მწარედ ჩაიციხა.

— ისიც იცოდე, თუ მიყვარდი, ამაში შენ გარეგნობას ყველაზე ნაკლები წილი ედო. შენში სხვა რაღაცაა...

— მამშვიდებ?

— შენ ჩემთვის ისეთივე ძვირფასი ხარ, როგორიც ადრე... ისეთივე.

ირაკლიმ თვალები დახუჭა. მას უნდოდა კიდევ ელაპარაკა ხათუნას. მას უნდოდა, კიდევ გაემეორებინათ მისთვის, რომ იგი ისეთივეა, როგორიც ადრე. ირაკლიმ იცოდა, რომ ეს არ იყო ასე, მაგრამ მაინც სურდა მოესმინა საწინააღმდეგო.

საღამო ხანს ტირილის ხმამ გამოადვიდა. იგრძნო, რომ ლოგინზე ვიღაც უჯდა. თვალები არ გაუხელია, მაგრამ წამწამებს შუა დაინახა, რომ დედა იყო. დედა დასცქეროდა და ცრემლები ღაპალუბით ჩამოდიოდა ღაწვებზე, ნიკაპზე...

ირაკლის არ უნდოდა დაენახა ატირებული დედა. თვალები ისე მოხუჭა, რომ ეტყინა. ასე იწვა გულალმა, მღვიძარე, მაგრამ თვალებდახუჭული.

დედა კვლავ ქვითინებდა ხმადაბლა. იგი ვერ გრძნობდა, რომ ირაკლიმ გაიღვიძა. ცდილობდა, დაედრჩო ტირილი. ამას ვერ ახერხებდა და იგუდებოდა. ირაკლიმ კვლარ მოითმინა, თვალები გაახილა და უთხრა:

— კარგია, კმარა... ნუ ტირი...

დედა შეკრთა, სასწრაფოდ ამოიმშრალა თვალები. ირაკლიმ სახე განზე წაიღო. იგრძნო, რომ თვითონაც ცრემლები მოერია. გაბრაზდა. მას შეეძლო უცრემლებოდ გადაეტანა თავისი უბედურება, მაგრამ უძლური იყო აქვითინებული დედის წინაშე.

— ნუ ტირი, გესმის, ნუ ტირი... — იყვირა მან. — ან გადი გარეთ.

დედა ძლივს წამოდგა. თვალებზე ხელებაფარებული გავიდა ოთახიდან. ირაკლიმ შეამჩნია მისი მოხრილი მხრები, არეული, ლასლასა ნაბიჯი. ხელები

მომუჟა, კბილები ერთმანეთს დააჭირა და გააკრაჟუნა. მიხვდა, რომ უკან დაიხია. სისუსტე მოერია და იმიტომ გააგლო დედა. უკან დაიხია. შეშინდა, მაგრამ არა საკუთარი უბედურების წინაშე. დედის ცრემლებს ვერ გაუძლო, მის ქვითინს...

ხათუნა თითქმის ყოველდღე აკითხავდა იმ ხანებში. უმთავრესად მაშინ, როცა დედა და დათო შინ არ იყვნენ, დედა დილით სამსახურში მიდიოდა, დათო — სკოლაში.

ირაკლის გადაწყვეტილი ჰქონდა, იგი ყოველდღე ფიქრობდა ეთქვა ხათუნასათვის ყველაფერი, რაც განზრახული ჰქონდა. მაგრამ ვერ ეუბნებოდა. ვერ ეუბნებოდა, რადგან ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი და არ იცოდა საიდან დაეწყო. და თანაც დარწმუნებული იყო, რომ ვერასდროს ეტყოდა ისე, როგორც ფიქრობდა. მას ყოველთვის ეძნელებოდა საჭირო სიტყვების პოვნა, როცა ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი.

— იცი... — დაიწყო ირაკლიმ.

— თქვი, რა გინდა? — აღერსიანად ჰკითხა ხათუნამ.

— ალბათ ვერასდროს გეტყვი, რისი თქმაც მინდა, — გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— მე ისედაც მესმის შენი... სიტყვები არ არის საჭირო.

— შენ არ იცი, რისი თქმა მინდა.

ხათუნამ გაიცინა.

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი. — თქვა მან. — მაგრამ არ ვიცი, როგორ იბრძოლე, რა გადაგხდა თავს. არასდროს არაფერს არ მიაშობ ხოლმე.

ირაკლის უსიამოვნოდ დაეღრიჯა სახე.

— მიაშბე, ირა, ფრონტის ამბები.

— ვერ გიამბობ... არ შემიძლია.

— საოცარია. ყველა ომგადახდილი ისეთი ხალისით ყვება... შენ კი...

— მე არ შემიძლია.

— მე ისიც არ ვიცი... — დაიწყო ხათუნამ და მერე ტუნზე იკბინა. მას უნდოდა ეთქვა, მე ისიც არ ვიცი, როგორ დაჰკარგე ფეხებიო...

— მე ისიც არ ვიცი, რომელ ფრონტებზე იბრძოდი, რა ქვეყნები მოიარე.

— ქვეყნები მოვიარე... — ირაკლიმ მწარედ ჩაიცინა. — მე არ მომივლია ქვეყნები, ხათუნა, ნაქვეყნარები მოვიარე. რომელ ქალაქშიც კი შევდიოდით, ქალაქის სახე აღარ ჰქონდა...

— შენ მაინც იმდენი ნახე, ირა...

— ნეტავ არაფერი მენახა.

— და ადამიანის ბუნება შეისწავლე... მე მგონია, ადამიანი გასაჭირში, დიდი საფრთხის წინ ყველაზე მეტად აელენს თავის ბუნებას...

ირაკლიმ არაფერი თქვა.

— მე მინდოდა, ფრონტზე რომ მოვხვედრილიყავი. ბავშვობიდანვე მიზიდავდა ძლიერი განცდები... — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ ჩაიცინა.

— შენ ბავშვი ხარ, ხათუნა. — თქვა მან.

— ჩემი საყვარელი გმირები ტრაგიკული ადამიანები არიან... ჩემი საუკეთესო როლიც ალბათ ტრაგიკული იქნება.

ხათუნა იმ წელს სამსახიობო ფაკულტეტის მეორე კურსზე იყო.

ირაკლის პაპიროსი მოუნდა და ხათუნას თხოვა:

— მომაწოდე პაპიროსი.

— მოითმინე, მოგლავს ამდენი წევ-

— მომაწოდე... ვერ წარმოიდგენ, როგორ მშველის.

— არ მოგაწოდებ... მე ვეპყვიანობ. სანამ მე აქა ვარ, სხვა მშველელი არ უნ-

და გასურდეს...

— ხათუნა!

— დამპირდი, რომ სანამ შენთან ვიქნები, არ მოსწევ.

— ხათუნა!

— თუ არ მოსწევ, მეცოდინება, რომ მე ყველაფრის მაგივრობას გიწევ.

— კარგი, სანამ შენ აქა ხარ, არ მოვწევ...

ირაკლიმ თვალეზი მილულა. არ ეძინა. გაურკვეველ ბურანში იყო. იცო-

და, რომ არ ეძინა, მაგრამ სიზმრებს მაინც ხედავდა. თუმცა ეს არ იყო სიზმარი...

... თვალეზი გაახილა. მნმოიხედა. ძლივს გამოერკვა ბურანისაგან. მერე

დინახა, რომ ხათუნა კვლავ გვერდით უჯდა.

— არ გეგონოს, რომ მეძინა. — უთხრა ირაკლიმ.

ხათუნამ გაუღიმა, შუბლზე ხელი გადაუსვა.

— მომაწოდე პაპიროსი.

— ავი დამპირდი, სანამ ჩემთან იქნები, აღარ მოვწევო?

— ჰო, მაგრამ ახლა მომაწოდე... გთხოვ!

— იცოდე, როცა წავალ, პაპიროსსაც წავიღებ. რომ აღარ გექნება, რა-

ღას მოსწევ?

— ნუ, ხათუნა! — შეევედრა ირაკლი. — უპაპიროსოდ მაინც ნუ დამტოვებ.

ხათუნამ საქმე მოიმიზეზა და წავიდა. ირაკლის ესმოდა, როგორ გაიარა ხა-

თუნამ მეზობელი ოთახი, გამოალო კარი, მერე მოიხურა და გავიდა აივანზე.

შემდეგ ნაბიჯების ხმა ირაკლიმდე აღარ აღწევდა, მაგრამ მან თვალეზი დახუ-

ჭა და ცხადად ხედავდა, როგორ გაიარა ხათუნამ აივანი და ნელა, მოხდენილად

დაეშვა კიბეზე... ხათუნას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და საფეხუ-

რებზე ფრთხილად ჩადის...

მერე მოაგონდა, როგორ მოსწონდა, როცა ხათუნა კიბეზე აღიოდა, ან ჩა-

დიოდა. განსაკუთრებით, როცა აღიოდა...

დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ მკლავგაყრილნი აღიოდნენ

რუსთაველის თეატრის კიბეზე. მაშინ ირაკლი გაოცდა: ხათუნა უბრალოდ კი არ

აღიოდა, არამედ მიცურავდა, მიფრინავდა, თითქოს წონა არ ჰქონოდა. უზო-

მოდ სასიამოვნო გრძნობა დაეფულა ირაკლის. ასე ეგონა, გამისხტება, გამიფ-

რინდება ბედნიერებაო, და მარდად მიჰყვებოდა ხათუნას. მერე ვერ მოითმინა

და უთხრა:

— რა შესანიშნავად აღიხარ კიბეზე!

ხათუნამ გაუღიმა ირაკლის და გვერდით სარკეში ჩაიხედა.

... დიდხანს გაჰყურებდა ირაკლი იმ კარს, საიდანაც ხათუნა გავიდა. შემდეგ

ხელი სკამისკენ წაიღო, რომ პაპიროსი აეღო, მაგრამ პაპიროსი არ მოხვდა ხელ-

ში. შეკრთა, ხათუნამ ხომ არ წაიღო. წამოიწია. სკამზე აღარ იდო პაპიროსის

კოლოფი, არც მაგიდაზე. იატაკი მოათვალიერა. არც იქ იყო.

წაუღიოო, გაიფიქრა და ეწყინა. ძალიან მოუნდა პაპიროსი. მით უფრო

მოუნდა, რომ აღარ ჰქონდა. როგორ გაძლოს უპაპიროსოდ? ირაკლისათვის აუცილებელია გამუდმებით ეჭიროს ხელში ეს მშრალი, თბილი ღერი. აუცილებელია მუდამ გრძნობდეს მის სუნს და ოთახში იდგეს პაპიროსის ბოლი, რომელსაც შეისუნთქავენ და ამოისუნთქავენ მისი ფილტვები.

ირაკლის ჩქარი ნაბიჯების ხმა მოესმა. ოთახში ხათუნა შემოვიდა. იგი აჩქარებულად სუნთქავდა.

— ჩქარა ვიარე, — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ ყურადღებით შეათვალიერა იგი.

მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მოესულიყავი. ხომ არ მოიწყინე?

— მოვიწყინე. — თქვა ირაკლიმ.

ხათუნას პაერზე ყოფნისა და ჩქარი სიარულისაგან დაწვები შეფაკლოდა. ირაკლი თვალს ვერ აცილებდა მის მშვიდ, ალერსიან გამოხედვას, სახის საოცრად ნაზ და პრიალა კანს, საუცხოო მბზინავე, ხშირ თმებს, რომლებსაც დაემალათ პატარა და წითელი ყურები. ხათუნა მოვიდა და თან მოიტანა თავისი უსაზღვროდ სასიამოვნო, ირაკლის საყვარელი სურნელება. ეს იყო ხათუნას სურნელება, მისი ტანის განუყრელი თვისება.

ირაკლი თვალს ვერ აცილებდა ამ უსაზღვროდ საყვარელ, სასურველ ტანკენარ ქალიშვილს და მით უფრო მტკივნეულად იგრძნო, რომ თვითონ პირდაუბანელი და გაუპარსავი იყო. ხათუნა გვერდით მიუჯდა, თმებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ნაციხარ არსენას ჰგავხარ: გამხდარი, ფერმკრთალი, წვერმოშვებული, ჩაფიქრებული დიდრონი თვალებით...

ირაკლიმ შენიშნა, რომ ხათუნას ახალი კაბა ეცვა — კვერცხისგულისფერი, ფაქიზი მძიმე ქსოვილის კაბა და ზამშეს შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. არ ესიამოვნა, მოიღუშა.

— რატომ იღუშება არსენა, რა არ მოსწონს? — გაიცინა ხათუნამ და შებლზე ხელი გადაუსვა ირაკლის. — გაშალე კოპები. აი ეგრე!

— ისე გამოწყობილხარ, თითქოს კონცერტზე მიდიოდე...

— არ მოგწონს? შენ გინდა, რომ ცუდად ჩაცმული მოვიდე?

ირაკლიმ არ უპასუხა. კვლავ მოიღუშა.

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მე შენთვის ვეწყობი... საგანგებოდ, შენთვის. მინდა, რომ ძალიან მოგწონდე... — თქვა ხათუნამ ხმადაბლა.

ირაკლიმ ხათუნას დაკვირვებით შეხედა. თავის თავზე ბრაზობდა, რომ მისი სიტყვების გულწრფელობა არ სჯეროდა.

— ირა, რატომ ფანჯრებს არ ალებ? მოტაცების ხომ არ გეშინია?

ხათუნა წამოდგა და გააღო ფანჯრები. მერე თქვა:

— მძიმე პაერია, ხშირად უნდა გაანიაგო ოთახი.

ირაკლი ხმას არ იღებდა. ხათუნას ადევნებდა თვალყურს.

— ირა, მოდი ვიმღეროთ... რა ხანია აღარ გვიმღერია. — თქვა ხათუნამ და ირაკლის გვერდით მოუჯდა. — ხომ არ გადაგავიწყდა სიმღერა?

— ხათუნა... ადექი და სკამზე გადაჯექი...



— რაა?

— ადექი და სკამზე გადაჯექი-მეთქი...

— რატომ?

— გადაჯექი. დაუბანელი ვარ...

— კიდევ არ დაგიბანია პირი? უკვე პირველი საათია, ძილისგულდავ! — ხათუნამ გაიცინა.

ირაკლიმ განზე გაიხედა.

— მოგიტანო ტაშტი და წყალი?

— არა, არ მინდა. — თქვა ირაკლიმ.

— ახლავე მოგიტან. — ხათუნა წამოდგა.

ირაკლიმ თვალი გააყოლა და შენიშნა, რომ კაბა ძალიან კარგი შეკერილი იყო და შესანიშნავ ტანს უჩენდა. რატომღაც არ ესიაშოვნა. ახლა იგი ზიზღს გრძნობდა კარგი ჩაცმისადმი. და საერთოდ ჩაცმისადმი. ადრე კი სხვანაირად ფიქრობდა. ადრე არა მარტო ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ქალები ბევრს ზრუნავენ ლამაზად ჩაცმაზე, არამედ ძალიანაც უყვარდა ლამაზად ჩაცმული ქალის დანახვა, მით უფრო მის გვერდით ყოფნა.

ხათუნამ შემოიტანა ტაშტი და წყალი ტოლჩით.

— ო, საპონი დამავიწყდა, ახლავე მოგიტან.

ირაკლის არ უნდოდა, რომ ხათუნას დაებანინებინა მისთვის პირი. ეუხერხულეობდა.

— მოდი, დაიბანე, ირა. ჩამოდი ლოგინიდან და გამომიშვირე პეშვი.

— ხათუნა, მომეშვი...

— ახლა გეზარება? კარგი, მერე დაიბანე. — ხათუნამ ტაშტი და ტოლჩა კუთხეში მიდგა. მერე რაღაცას მხიარულად უაძიობდა, თან ხშირად იცინოდა.

— ირა, არ მისმენ?

— როგორ არა, ვისმენ. — გამოერკვა ირაკლი.

ახლა ხათუნა ერთ-ერთ თავის პედაგოგზე, ცნობილ კომიკოსზე უამბობდა.

— იცი, — თქვა მან, — ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა უთხრა: — გენაცვა, როცა მოკვდები, თავდახურული კუბოთი უნდა გაგასვენოთ, თორემ საფლავამდე სულ სიცილ-ხარხარით მიგაცილებენო.

ირაკლი გაფანტულად უსმენდა ხათუნას. თვითონ ხმას არ იღებდა.

„ყოველდღე მნახულობს, მართობს... — ფიქრობდა იგი, — ცინ იცის, შეიძლება თავის მოსვლას ქველმოქმედებად თვლის, ან მოვალეობად განახევრებული მეომრის წინაშე... მოვიდა, რომ ვაართოს გაუბედურებული საბრალო ჯარისკაცი... სიბრაულელი!“

ირაკლი აღარ უსმენდა. დროდადრო, მაშინ, როცა ხათუნა ხმამაღლა გაიცინებდა, იგი გახედავდა და უკვირდა, თუ როგორ შეინარჩუნა ხათუნამ ასეთი ხალისიანობა, მხიარულება... ვერ გაეგო აღარ ესმოდა, როგორ შეიძლება კაცმა ასეთ უბრალო რამეებზე ასე გულიანად იცინოს...

გულიანად სიცილი! როცა იცინი და სხვაზე აღარაფერზე ფიქრობ, იმ წამში აღარაფერი გაწუხებს, მხოლოდ იცინი... ბედნიერია, ვისაც შეუძლია ყველაფრის დავიწყება, გულიანი სიცილი.

— ...ჯერ უკბილო ხუმრობით ავცილო, მერე, როცა შეზარხოშდა, სიმღერა წამოიწყო. საშინლად ტყუოდა, სულ არ ჰქონდა სმენა. ერთმა უთხრა: — ბიჭო, შე უღმერთო, გაჩუმდი, აღარც სმენა გაქვს და აღარც სინიდიისიო?

ხათუნა იცინის, გულიანად იცინის.

„მე დავკარგე ილუზიები, — ფიქრობს ირაკლი, — თავის მოტყუების უნა-

რი დავკარგე. უამისოდ კი ძნელია იყო ბედნიერი თუნდაც რამდენიმე წუთით. ყველაფერი: საგნები, ადამიანები, მათი ნამოქმედარი, ნალაპარაკევი ჩემთვის დიდი ხანია წარმოადგენს მხოლოდ იმას, რასაც ისინი უბრალოდ, ფიზიკურად წარმოადგენენ. აღარაფერი აღარ აღაჩაზებს ჩემს თვალში მათ.

რატომ არ უნდა ვიცინოდე ხათუნასთან ერთად? რატომ არ უნდა ვტკბებოდე მისი სიახლოვით? სანამ მოვიდოდეს და ვნახავდე, ლოდინი მღევს, მოვა და მერე იმაზე ვფიქრობ, რომ ჩვენ სულერთია მალე დავცილდებით...”

ხათუნა წავიდა.

წავიდა...

ირაკლის უნდა წამოდგეს და გამოედევნოს. მას უნდა იყვიროს:

— ნუ წახვალ, ნუ წახვალ!

მაგრამ ვერც წამოდგება, ვერც გამოედევნება, არც ეძახის. სევდიანი თვალებით აცილებს კარამდე... კართან ხათუნა შემოტრიალდა და ხელი დაუქნია, მერე ჩქარი ნახიჯით გაიარა მეზობელი ოთახი.

წავიდა...

ხათუნა წავიდა. ოთახი მიყუჩდა, დაცარიელდა. აღარავინ იცინის, აღარავინ ლაპარაკობს. სიმარტოვე ჩამოწვა, სიმარტოვე და სიჩუმე.

მარტოობა...

მაშინ სულ პატარა იყო, შვიდი-რვა წლისა თუ იქნებოდა. მამამ სანადიროდ წაიყვანა. ნადირობიდან რომ ბრუნდებოდნენ, უცნობ გზაჯვარედინზე მოხვდნენ. ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო. ცოტა მოშორებით, მალლობზე, ქოხი მოჩანდა. მამა ქოხისკენ გაემართა, რომ ეკითხა, რომელი გზით უნდა წასულიყო.

— შენ აქ მომიცადე, ახლავე მოვალ. — უთხრა მამამ ირაკლის.

მამა შეუდგა მალლობს. ირაკლი მარტო დარჩა უკაცრიელ ველზე. და მერე შიშმა აიტანა — მარტოობის შიშმა. თვითონაც არ იცოდა, რისი ეშინოდა, მაგრამ მარტო დარჩენა არ უნდოდა. არ უნდოდა მარტო დარჩენა ამ უკაცრიელ ველზე. თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. ცოტაც და აღრიალდებოდა, მაგრამ მოკურცხლა და მამას წამოეწია. მთელი დღის ნახეტილები დაღლილი იყო, არაქათი გამოცლოდა, მაგრამ ერთ წამში აირბინა აღმართი და მამასთან ერთად განაგრძო გზა.

ირაკლის ახლაც ძალიან არ უნდოდა მარტო დარჩენა. ახლაც უმალ გამოედევნებოდა ხათუნას, როგორც მამის მამას, მაგრამ არ შეეძლო. მას ახლაც ცრემლები მოადგა თვალებზე და უნდოდა აღრიალდებულყო, მაგრამ არ აღრიალდა. იგი რვა-ცხრა წლის ბალღი აღარ იყო.

ასე გადიოდა დღეები... ყოველდღიური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ყოველ დღეს თავისი წვრილმანი, უმნიშვნელო საჭიროებანი ჰქონდა...





მედეა კახიძე

ახლა არ ვიცი

აქამდე ვიყავ მთა თოვლიანი
და სიმყუდროვე ვერ მოვიცილე,
მე დაკარგული მქონდა სიცილი,
გულში ზოდებდა მეწყო სიცივე.
მზე ჩემს ზურგს იქით ამოდიოდა,
გულზე მარტყამდა სხივებს შოლტივით,
თვალეებზე თოვლის ცრემლი მდიოდა,
მაინც ვიდექი ტანაშოლტილი.
მე უკარება ვიდექ მწვერვალი,
არ მინატრია შემწედ სხვა ვინმე.

ნისლში ჩაფლული ვიდექ წელამდი,
არ დამცდენია ერთი ვაიმეც.
ახლა, მდინარედ თავი გადავდე,
და შენ მოგეცი ჩემი სადავე,
მზისა და შენი გულის თანხლებით,
ახლა არ ვიცი ვოვლი სადამდე.
მე გავათავე ერთი სიცოცხლე.
ახალ სიცოცხლის შენ ხარ თავდები,
ახლა არ ვიცი, სად მაქვს სათავე,
სად ვიწყები და სად გავთავდები.

ჩვენ დავდიოდით სულ მუდამ ორნი
და ერთ სიცოცხლედ ვიქეციით ლამის,
და დაგვყვებოდა ქალების ჭორი,
როგორც ხეობას ქვიშა და ლამი.
მე თუმც მემახდნენ თვალეებრივლას,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის, ამჯერად,
დასშული მქონდა თვალი და სმენა
სხვათა ცქერად და სხვათა საშურად.
შენ აღსდექ ჩემს წინ, როგორც პამირი,

გიბოვე, როგორც მიწა აყალო,
შენს იქით იყო ფუჭი ყამირი
და თავდებოდა მთელი სამყარო.
შენ მოხვალ, როგორც ბუბუნი თელის,
როგორც შემოდის ვენახში რთველი,
მინდა, სულ მუდამ ასე გენახო,
რომ მზესუმზირის მქონდეს სიმორ-
ცხვე,
მე შენთვის ვიყო სართვლო ვენახი,
მკრიფო და მკრიფო მთელი სიცოცხლე.

ჩემი სიცოცხლე ჩუმი და უხმო
პატარა ლელედ მოწანწყარებდა,
მოხვედ ჩემთან მწყურვალი მგზავრი
და შესდექ ჩემი გულის კარებთან.
ქვეყნად არავინ არ შევიკედლე,
მე თვით გიჩვენე ბალის მესერი,
მოხველ და ჩემი ჩუმი სიკერბე
ვით დარუბანდის კარი შეხსენი.
და როგორც ხელზე გაზრდილ ბოჩოლას
ყელზე შემაბი ჭრელი ბეწარი.

და სიყვარული ისე დამკარი,
რომ დაფიქრებაც ვერ მოვასწარი.
უშენოდ ყველა მეხის გავარდნა
და ყველა წუთი ღმერთმა დალაზვროს,
შემომავშველე მხრები ყავარჯნად,
რომ დაკეცილი ფრთები იმ მნახო.
მინდა მარწიო როგორც თავთავი,
მეკმაროს კენტად ყოფნა აქამდე.
და როგორც ღელის სიცოცხლე ზღვაში
ჩემი სიცოცხლე შენში გათავდეს.



ღარო სვლაბეჩიძე

გაწყვთილი ხმა

გალაღა

ის დააყენეს თეთრ კედელთან,
 ხაკის ხალათი
 ჩამოჰხეოდა
 და უჩანდა შიშველი მკერდი.
 კარაბინებით მის წინ იდგა
 ათი ჯალათი,
 ათიათასი ტყვე ვიდექით
 ჩვენ იმის გვერდით.
 თავაწეული დადგა იგი
 იმ თეთრ კედელთან,
 ჩვენ გვიყურებდა,
 დაბოროკილი ჰქონდა მაჯები.
 რიქრაქი იყო,
 ის-ის იყო ახლად შეთენდა
 და ჩვენ ვიდექით იმის ახლოს
 რუხ ფარაჯებით.
 იდგა იგი და
 მე მეგონა, მკერდში უცემდა
 ათიათასი კაცის გული
 ერთად შეკრული,
 მიტომ ის წამი არა დრეკდა,
 არ ახუცებდა,
 არ იდგა, როგორც საწყალი და
 ვინმე ბედკრული.
 ხვრელი გათხარა
 და გაქცევა სურდა მტერთაგან,
 წაასწრეს...
 ახლა მიუღირეს კარაბინები.
 სიკვდილის ყინულს
 სიკვდილამდე ვერ გაეთანგა
 და უკვდავება
 ჩვენს წინ იდგა დანამდვილებით.
 ჩამოძონძილნი, ჩამომხმარნი,



ღონედაცლილნი
 ვიდექით ჩვენ და
 გვაქრუოლებდა ეს მოლოდინი...
 ათიათას ტყვეს გვიცქეროდა
 ერთი ყმაწვილი,
 მკერდი მიეკრა თეთრ კედელზე
 სიბი ლოდივით.
 ფეხზე წამოდგნენ
 ხეიბრებიც, დავრდომილებიც.
 შემოვიკრიბეთ,
 რაც ძალ-ღონე შემოგვრჩენოდა,
 როგორც მარშლის წინ,
 იმნაირი განწყობილებით
 ვიდექით მაშინ,
 ყველა იმის სიტყვას ელოდა.
 „— გაუმარჯოსო სამ...“ —
 იქუხეს კარაბინებმა.
 „... შობლოს!“ —
 აღმოსკდა ათიათას კაცის მკერდიდან.
 სიტყვა შეუწყდა,
 დაცემას კი არ აპირებდა.
 ათიათას გულს
 მისი სიტყვა გამოეკიდ-
 ათიათასში გაღმოსახლდა
 სიცოცხლე მისი...
 ათმა ჯალათმა
 დაახალა ტყვეები ერთად,
 იმისი გული თუ გაგლიჯეს,
 იმისი სისხლი
 ათიათასი კაცის ძარღვებს
 შემოუერთდა.
 და დარჩა იქვე
 დაცხრილული თეთრი კედელი, —
 ათიათასი კაცის მკერდი
 ერთად შეკრული.
 გავარდა ეჭოდ...
 ახლაც მესმის შეუწყვეტელი
 ის ხმა,
 ამდენი წლის წინარე დაქუხებული.



გრიგორ ტახტაძე

ფიქრი მტკვრის პირას

შვილი პატარა ქვეყნის,
არაზვიადი გვარის,
ვზივარ და ვუცქერ ტალღებს, —
ჩემს წინ დუღუნებს მტკვარი.

ოდიდან მომდინარეს,
მტკვარს ბევრი რამე ახსოვს, —
ცნობისმოყვარე ჩემ სულს,
„ქართლის ცხოვრებას“ აქსოვს.

სიყვარული და მტრობა
რაც მე წილად მხვდა ქვეყნად.
თითქოს არ იყო მცირე,
მაინც არა ღირს კვებნად.

გზა რაც მე გავიარე
მაინც მოკლეა,
მარა
მას ემატება გრძელი
„ქართლის ცხოვრების“ შარა.

მე ვცხოვრობ სიყვარულით
ჩემი მიწის და ცისა,

ათასი წლების იქით,
მივდევ ოცნების ისარს.

მე ვცხოვრობ სიყვარულით
ქართული მიწა-წყალის;
მაგრამ მსოფლიოს სივრცეს
მინდა სწვდებოდეს თვალი.

ადამიანთა შორის
მე არ დავდივარ კენტად.
მე ვლელავ მთელი გულით
ჩემს ეპოქასთან ერთად.

დეე, დამეწვას ფრთები,
როგორც მითიურ იქარს, —
მინდა ავიჭრა ცაში,
იქ შევეგებო ცისკარს,

მარადისს,
უღიადესს,
ვეტრფი ოცნებას მაღალს,
„ქართლის ცხოვრებას“ ძველს და
„ქართლის ცხოვრებას“ ახალს.

ჰალაროსანი თავის წინ

ღროს თან მიჰყვება,
ღროსთან იწურვის
ადამიანის ღონე და ძალა.
ფრთა ეკვეცება ფერად-ფერ
სურვილს, —
განგება არვის შეარჩენს ღალას.

გაზაფხული და ტურფა ზაფხული
უკვე წავიდა, არ მოვა ისევ.

ცხოვრება მაინც არის ზღაპრული,
შემოდგომასაც აქვს სიხალისე.

იღუწალ მესმის:
ნუ გაავდები!
ნუ შეგაშინებს განგების ვალი!
რა ვუყოთ!
შენ თუ ჰალარავდები,
თმახუტუტ შვილით ხომ ხარობს
თვალი?..



წიფინელა ჭრელო

ტაბილად მაგონდება
ჩემი სიყრმის წლები.
სოფლის ცივი წყარო,
ველ-მინდვრები, მთები.

ფეხშიშველა გავლა
სისხამ დილის ცვარში,
როცა აღმასები
კრთიან კონდარში.

ნაცრიანი კვერის
მაგონდება გემო
და ბებიას ლექსი:
„წიფინელა ჩემო,
წიფინელა ჭრელო,
ჩემო საყვარელო!..“

აღერსი და სითბო,
სიხარული ჭარბი,
ღარიბული ყოფა, —
მდიდრის შესახარბი.


მევენახეს

როს რიყრაჟი გრძნეულ ყალმით
შინდისფერად ხატავს თაღებს,
დალოცვილო, მევენახევ,
ზეცა კარებს შენთვის აღებს.

მე ისეთი გარეწარი
ქვეყანაზე ვერვინ ვნახე, —
არ უყვარდეს ვენახები,
არ უყვარდეს მევენახე.

სოფლის მყუდრო საღამოებს
როცა ბედი გვითავაზებს,
მევენახევ, შენთან ერთად,
ქალაქელნიც ვკოცნით ვაზებს.

ლალისფერი, შინდისფერი
გულს ახარებს ყურძნის წვენი,
უიმისოდ ეს ცხოვრება
იქნებოდა მოსაწყენი.



კონსტანტინე პაუსკოვსკი

იქორი კურდღლები

პანს ვერმელი ყველაზე გამოცდილ ქურდად ითვლებოდა ლეიტენანტ კნობ-ფის ასეულში. ისღა აოცებდა ყველას, რომ შესახედავად სულაც არ გახლდათ ისეთი, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო მშვიდობიანი დროის ქურდი. ერთი თვალეზჩადამებული, დონდლო, მოუხეშავი ჯარისკაცი იყო. ძალზე ცოტას ლაპარაკობდა და ისიც ზანტად. სიარულის დროს ჩექმებს უშნოდ დააბრაზუნებდა, ხიხინით სუნთქავდა და შავი თითები ცეცხლწყვილებული ყუმბარის ასაღებ მარწუხს მიუგავდა. მაგრამ ომის დროს ეს სულაც არ უშლიდა ხელს, რომ დაეჭირა და სამი თითით მოეგულა ქათმები.

ყოველ ადამიანს რაიმე უცნაურობა სჩვევია. ვერმელსაც გააჩნდა ასეთი უცნაურობა. ის ძალღვივით დიდხანს ყნოსავდა ხოლმე მოპარულ ნივთს. თუ სუნი არ მოეწონებოდა, გადაადგებდა, ამას გარდა, შეეძლო დილიდან საღამომდე გაუჩერებლივ ეჭამა. ერთი ლაზათიანი დაბოყინება საკმარისი იყო, რომ ისევე თავიდან მოშვიებოდა. ერთი სიტყვით, ფაშისტური რასის უდრეკი წარმომადგენელი გახლდათ, — ავი და ლენჩი, ცხოველისათვის დამახასიათებელი ყურადღებიანი ტყვიისფერი თვლებით. სამხრეთის ერთ-ერთ საბჭოთა ქალაქში საქმლის ძებნის დროს ვერმელი მიტოვებულ ვეტერინარულ ლაბორატორიაში შეფრატუნდა. ანჯამაზე ჩამოგლეჯილ კართან ერთი შავტუხა იტალიელი გუშავი იდგა. მან ხიშტით გადაუღობა ვერმელს გზა. ვერმელმა ხელი აუკრა შაშხანას და ყბა კინალამ ჩაულეწა. იტალიელმა დაიყვირა, მაგრამ ვერმელმა გულმკერდში წიხლი ჩააზილა.

— ხმა გაიწყვიტე, გაწლიკულო! ტილიანო მუსოლინი!

იტალიელმა ხელი ჩასჭიდა შაშხანას და გადააფურთხა. მერე შეივინა და მიატოვა საგუშავო, თუმცა ამით თავს საფრთხეში იგდებდა. გუშავის მოვალეობის შეუსრულებლობისთვის შეიძლებოდა ჩამოეხრჩოთ კიდევ.

ლაბორატორიაში სიმყავეების ცივი სუნი ტრიალებდა. იატაკი პაპიროსის ქალღღვივით სიფრიფანა კოლებების ნამსხვრევებით იყო მოფენილი. ერთ კუთხეში გალიები იდგა.

ვერმელმა სუნი აიღო და ჩექმების ბრაზუნით იჭითვენ გაემართა. გალიებიდან თბილი მატყლისა და ნაკელის სუნი მოდიოდა. ფუსფუსა თეთრ კურდღლებს დრუნჩი ბადეზე მიეკვლირათ და გერმანელ ჯარისკაცს ყნოსავდნენ, თან პაწაწინა ვარდისფერი თვალეზით შესცქეროდნენ. ვერმელმა დათვალა — რვა იყო. ბადეხლართი მისწი-მოსწია და ერთი კურდღელი ყურით ამოათრია, შემ-



დღე მეორე, მესამე. მთელ ოცეულს ეყოფოდა სადილად. ნაზი ქორთვა ხორცი-საგან ნამდვილი სადღესასწაულო სადილი გამოვიდოდა.

ქნობვის ასეული ლეიტენანტ სპალეტის იტალიელ ჯარისკაცთა ასეულის მახლობლად იყო განლაგებული. საღამოს სპალეტის ასეულში დვარძლიანი მი-თქმა-მოთქმა ატყდა — აქაოდა, მეზობელი გერმანელები კურდღელს დააძღნენო.

გუშავმა სპალეტის მოახსენა იმ გერმანელი ჯარისკაცის ამბავი, რომელიც კუთხიდან თავს უეცრად დაესხა, შაშხანა ხელიდან გაავდებინა და გალიიდან ყველა კურდღელი გამოიყვანა. მერე მარმარილოს მაგიდაზე თავით დაახლა და ისე დახოცა... ყველა ტილიან ქურთუკში გაახვია და თან წაიღო. სპალეტი დახ-ვრებით დაემუქრა გუშავს და ეს ამბავი ლეიტენანტ ქნობვს აცნობა.

კურდღლის ხორცით გამომძღარი ათი გერმანელი დანგრეული კინოთეატ-რის დარბაზში მიგდებულიყო სხვა ჯარისკაცებთან ერთად, რომელთაც კურ-დღლის ხორცი არ ერგოთ და ბრაზით გულზე სკდებოდნენ. ვერმელი აბოყი-ნებდა და იფურთხებოდა.

კარი გაიღო. ვილაცამ გარედან ჩექმიანი ფეხი ჰკრა და ისე გააღო.

— ადექით! — დაიძახა წიკეინა ქალური ხმით ქნობვმა და კარში აიშარათა. წინ პოლკის ექიმი შემოუშვა, — ადექით-მეთქი, ძალღის შვილებო!

ჯარისკაცები ზღაზვნით წამოდგნენ და გაიჯგიმენ. ქნობვმა ჩექმის ყელეები აიჭიმა და საპატიო მანძილზე ჩაუარა.

— აბა, ბიჭებო, — ალერსიანად მიმართა ჯარისკაცებს, — რომელმა მოი-პარა კურდღლები და არც კი ისურვა ერთი უკანა ბარკალი მიინც ერგუნებინა მეთაურისთვის.

ჯარისკაცები დუმდნენ.

— ვინ ჩაცეცხლა კურდღლები? — ისე შეჰყვირა ლეიტენანტმა, რომ ხმა ჩაუწყდა.

ჯარისკაცები ადგილზე ფეხს წარამარა ინაცვლებდნენ და ხმას არ იღებ-დნენ.

— ისე გასისინებულხართ, რომ ენას ველარ ანძრევთ, — მშვიდად თქვა ლეიტენანტმა, — ყოველ გერმანელ ჯარისკაცს უფლება აქვს მიირთვას მოსახ-ლეობისათვის წართმეული საქონელი და ფრინველი. მაგრამ ცოტა ჰკუთა ხომ მიინც უნდა დაატანოთ, იკითხოთ, რას იჩრით მაგ ოხერ ხახაში! იცით თუ არა, თქვე მამაძაღლებო, რომ ის კურდღლები ცდების ჩატარების მიზნით, ცოფით იყვნენ დაავადებულნი?

ჯარისკაცები შეკრთნენ და გაყუჩდნენ.

— ვინ ჩაცეცხლა კურდღლები?

ჯარისკაცები არ იძვროდნენ.

— თავს ნუ იგდებთ, — თქვა ბოლოს პოლკის ექიმმა, — თქვენ ხომ იტა-ლიელები არა ხართ. სიკეთე გვინდა თქვენთვის. ვინც კურდღლის ხორცი ჰპაჟა, სხვებისაგან გამოვაცალკეებთ, ზურგში გავგზავნით და ცოფის საწინააღმდეგო აცრებს ჩაეუტარებთ.

— ზურგში! — შეჰკივლა ლეიტენანტმა, — ხომ ხედავთ, რა ჩაიღინეთ, არამზადებო! უკანასკნელად გიბრძანებთ: კურდღლის შემჰკმელები ორი ნაბი-ჯით წინ!

ვერმელი წინ გადმოდგა. ლეიტენანტი უკან გადახტა. მწყობრი შეკრთა, შე-ტოკდა და სამი ნაბიჯი წინ გადმოდგა. ოცდაორი კაცი! ოცდაორ ადამიანს მოე-ხერხებინა რვა კურდღლის შეჭმა!

შემდგომი ამბები ამ ოცდობრივ კაცისათვის ძალიან ხელსაყრელად დატრიალდა... უბრძანეს დროებით ჩაებარებინათ იარაღი. ათმა დამნაშავემ უხმოდ გაირია „კურდღლის ამბავში“ თორმეტი უდანაშაულო ადამიანი, — ყველას უნდოდა ზურგში წასვლა და აბა რა ექნათ.

როგორც კი იგრძნეს, რომ ზურგში ცხოვრება ახლოვდებოდა, ყველა, ეს ოცდობრივე ადამიანი ერთბაშად მიხვდა, როგორ ჰქონდათ გული გადაღეული ომისაგან. ეს სულ არა ჰგავდა აღრინდელ ამბებს. პირქუში გასეირნება მანქანებით დანიის მიწა-წყალზე. სალაშქრო ჯუბების სახელოები მერქვევ ქალებივით აპრიალებოდათ და მძაღვ რძის სუნი ასდიოდათ, — ისე ხშირად იწმენდნენ ნაღების ჭამის შემდეგ პირს სახელოთი. ეს არც საფრანგეთის ამბებს ჰგავდა, უქმად გდებისაგან ჩანთებში ტყვია-წამალი რომ უმტვრიანდებოდათ, არც ბელგიას, სადაც დანაღმული გზაც კი არ შეხვედრიათ.

აქ საშინელი ყინვა იძულებულს ხდიდა სისხლის დენამდე ესრისათ ყურები. აქ ყოველი ბუჩქი ბრძოლით უნდა მოეპოვებინათ. აქ ირგვლივ ყველაფერი ღმუროდა და ფეთქდებოდა, მიწა კი ცეცხლის კვამლში იყო გახვეული ათეული კილომეტრების მანძილზე, როგორც უზარმაზარი ვულკანის კრატერი. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ასეთ ომს! ომის შემდეგ ალბათ იმასაც ვერ მოახერხებს კაცი, რომ ოროთახიანი ბინა მოიწყოს თავის მშობლიურ ქალაქში, ორადგილიანი საწოლის ნაცვლად არყის ჯგერის ქვეშ უნდა განისვენოს და რუსული ქარბუქის სტენას უსმინოს. ჯანდაბას ასეთი ომი!

ღამით ჯარისკაცები დაამწყრივეს და სადღაც წაიყვანეს. მათ ხალისიანად მოიგდეს ზურგზე ჩანთები და გაფაციცებით მიაბიჯებდნენ გათოშულ რუსულ მიწაზე. მაგრამ ზურგში არავის არ წაუყვანია ისინი. რაც უფრო მეტ მანძილს გადიოდნენ, მით უფრო გოაცებული რჩებოდნენ, სანამ ბოლოს არ მიხვდნენ, რომ ისინი ფრონტისაკენ მიჰყავდათ, დიდი თხრილისაკენ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ტყვიამფრქვევის ბუდეები იყო გამართული.

— ეს რას ნიშნავს, რა ჯამაზობაა? — წაიბურტყუნა ერთმა ჯარისკაცმა. სხვები აიბუძვნენ, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, როცა გენერალმა ცოფიანი კურდღლების ამბავი მოისმინა, ფეხებზე მკიდია თქვენი აცრებიო, იყვირა და ბრძანა ფიურერის ოცდობრივე ჯარისკაცი დაეხვრიტათ და რაც შეიძლება ღრმად ჩაეფლათ მიწაში. ცბიერი მოხუცი იყო გენერალი. მაშინვე მიხვდა, ოცდობრივ კაცი ვერ შეჰქამდა რვა კურდღელს, მაგრამ დამნაშავეთა მიგნებაც გაძნელდებოდა.

ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერით ყველას ერთნაირად გაუსწორდნენ. ასე დაასრულა სიცოცხლე ოცდობრივმა გერმანელმა ჯარისკაცმა, რომელთაც აღარ ეღივრათ შეესრულებინათ ამ ქვეყნად ყველაფერი ის, რასაც ფიურერი ავალბებდა და ჰპირდებოდა და რომელთაც ოცდობრივ ტყვია დაუზოგეს რუს მებრძოლებს.

ასეთი ყოფილა თურმე ადამიანების სამართალი, — იტალიელები იმათ კი არ დასცინოდნენ, ვინც ცოფიანი კურდღლის ხორცი ჭამა, არამედ იმ თორმეტს, რომელთაც ხორცი გემოთი არ უნახავთ და ტყუილუბრალოდ წააგეს თავი. ისე ძალიან კი ვააცურა ისინი პოლკის ექიმმა!



ინგლისური სამართიუბელი

მთელი დამე გადაუღებელი თქორი და თქეში იყო. ჩრდილოეთის ქარი სტენით დაზუზუნებდა სიმინდის დამპალ ღეროებში. გერმანელები გატრუნულიყვნენ. ზღვის პირას ჩადგმული ჩვენი გამანადგურებელი კანტიკუნტად ისროდა მარიუპოლისკენ. სიბნელეში ყუმბარები თავს ისეთი ტყაცანით გადაგვიქროლებდნენ, გეგონებოდათ, დაჭიმული ტილო ფაფხრიწესო.

განთიადისას წვიმისაგან აპრიალეებულ მუზარადიანმა ორმა მებრძოლმა ერთი ტანდაბალი მოხუცი შემოიყვანა მაიორის მიწურში. მოხუცს კუბოკრული სველი პიჯაკი ტანზე მკიდროდ შემოტმასნოდა. ფეხებზე თიხის ვეება ტალახი ბელტად აკვეროდა.

მებრძოლებმა უხმოდ დაულაგეს მაგიდაზე მაიორს პასპორტი, სამართებელი და საპარსავი ფუნჯი — ყველაფერი, რაც მოხუცს გაჩხრეკისას აღმოჩენოდა, და მოახსენეს, ხრამში ჭის მახლობლად დაეკავეთო.

მოხუცი დაჰკითხეს. მარიუპოლის თეატრის პარიკმახერი, ავეტიკა ვარო, თქვა, და მოჰყვა ამბავს, რომელიც მერე დიდხანს გადადიოდა ნაწილიდან ნაწილში.

პარიკმახერს მარიუპოლიდან გამოქცევა ვერ მოესწრო გერმანელების მოსვლამდე. თეატრის სარდაფში დამალულიყო და ორი პატარა ბიჭიც დაემალა, — მეზობელი ებრაელი ქალის შვილები. ბავშვების დედა წინა დღით პურის საყიდლად გასულიყო ქალაქში და აღარ დაბრუნებულყო. ალბათ დაიღუპა დაბომბვის დროს.

პარიკმახერმა მთელი დღე დამე გაატარა სარდაფში ბიჭებთან ერთად. ბიჭები ერთმანეთს მიჰკვროდნენ, ყურები დაეცქვიტათ და თვალს რული არ ეკარებოდათ. შუაღამისას უმცროსმა ღრიალი მორთო. პარიკმახერი გაუწყრა. ბიჭი გაჩუმდა. მაშინ პარიკმახერმა პიჯაკის ჯიბიდან ბოთლით თბილი წყალი ამოიღო, უნდოდა დაეღვეინებინა, მაგრამ ბავშვი უარზე იდგა, პირს იქით იბრუნებდა. პარიკმახერმა ნიკაპი აუწია — ბიჭს ცრემლით დანამული სახე უხურდა. წყალი ძალით დააღვეინა. ბიჭი ხმაურით, სლუკუნით სეამდა და მღვრიე წყალთან ერთად ცრემლებსაც ყლაპავდა.

მეორე დღეს გერმანელმა ეფრეიტორმა და ორმა ჯარისკაცმა ბავშვები პარიკმახერთან ერთად სარდაფიდან ამოათრიეს და თავის უფროსს ლეიტენანტ ფრიდრიხ კოლბერგს მიჰგვარეს.

ლეიტენანტი ქალაქიდან გაქცეული კბილის ექიმის ბინაში ცხოვრობდა. ფანჯრებში ჩალეწილი მინების მაგივრად ფანერები იყო ჩასმული. ბინაში ბნელოდა და ციოდა, რადგან აზოვის ზღვას ყინულიანმა გრიგალმა გადაუარა.

— ეს რა ამბავია?

— სამინ არიან, ბატონო ლეიტენანტო! — მოახსენა ეფრეიტორმა.

— თავის მოსატყუებელი რა გვაქვს, — ტკბილად წარმოთქვა ლეიტენანტმა, — ბიჭები ებრაელები არიან. ეს მახინჯი ბებერი კი ტიპიური ბერძენია, ელინთა დიდი შთამომავალი, პელოპონესის მაიმუნი. სანაძლეოს დავდებ, თუ გინდათ. რაო! სომეხი ვარო? მერე და რითი დამტკიცებ მაგას, დამპალო ლეშო?

პარიკმახერმა არაფერი უთხრა. ლეიტენანტმა ფეხი წაჰკრა და ცეცხლში შეუძახა ოქროსვარაყიანი ჩარჩოს უკანასკნელ ნატეხს. მერე ბრძანა, ტყვეები იქვე ცარიელ ბინაში მოეთავსებინათ. სალამოს ლეიტენანტი თავის მეგობარ-



თან, ჩასუქებულ მფრინავ ერლისთან ერთად მიბრძანდა იქ, თან ქალაღღში გახვეული ორი ბოთლი მიიტანა.

— სამართებელი თანა გაქვს? — ჰკითხა ლეიტენანტმა პარიკმახერს, — კი? აბა, გადაპარსე თავები ამ ურიის კუპილონებს.

— ეგ რალა მოიგონე, ფრი? — ზანტად იკითხა მფრინავმა.

— ლამაზი ბავშვები არიან, — თქვა ლეიტენანტმა, — ხომ ასეა? მინდა ოდნავ დავამახინჯო. მაშინ ნაკლებად შეგვეცოდება.

პარიკმახერმა ბიჭებს თავები გადაპარსა. ისინი ტიროდნენ თავჩაქინდრულნი, დალაქი კი ილიმებოდა. როცა რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს ავეტიკას, ყოველთვის ცალყბად ილიმებოდა. სწორედ ამ ღიმილმა შეაცდინა ლეიტენანტი. ვადაწყვიტა, ჩემი უწყინარი ხუმრობა ახალისებს ბებერ სომეხს და იმიტომ იცინისო. ლეიტენანტმა ბიჭები სკამზე დასვა, ბოთლი გახსნა და ოთხი ჭიქა არყით აავსო.

— შენ არ გაგიმასპინძლები, აქილევსო, — უთხრა პარიკმახერს, — ამ საღამოს უნდა გამპარსო. მინდა ერთი თქვენს ლამაზმანებს ვესტუმრო.

ლეიტენანტმა კრიჭა გაუხსნა ბავშვებს და თითო ჭიქა არაყი ჩაასხა პირში. ბიჭები იმუხხნებოდნენ, იგუდებოდნენ, თვალებიდან ცრემლები ცვივოდათ. კოლბერგმა ჭიქა მიუჭახუნა მფრინავს და უთხრა:

— მე ყოველთვის მსუბუქი სასჯელის მომხრე ვიყავი, ერლი.

— ტყუილად ხომ არ გქვია შენ ჩვენი კეთილი შილერის სახელი, — მიუგო მფრინავმა, — ესენი ახლავე მაიუფესის ცეკვას დაიწყებენ.

— მოგეცა ლხენა, დაიწყებენ!

ლეიტენანტმა კიდევ თითო არაყი დაუსხა ბავშვებს. ისინი თავს არიდებდნენ სასმელს, მაგრამ ლეიტენანტმა და მფრინავმა ხელები გაუკავეს, თან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რომ ჭიქა დაეცალათ და თან დასძახოდნენ:

— ეგრე! ეგრე! გემრიელია? აბა ერთი კიდევ! შესანიშნავია!

უმცროს ბიჭს პირის ღებინება აუტყდა. თვალბუჩქი სისხლი მოაწვა. სკამიდან ძირს ჩამოცურდა და იატაკზე დაწვა. მფრინავმა ხელი ამოსდო ილიებში, ასწია, სკამზე დასვა და მესამე ჭიქაც ძალით დააღვეინა. მაშინ კი შეპყვირა უფროსმა. გულისგამგმირავად ყვიროდა და თან ელდისაგან გაფართოებულ თვალებს არ ამორებდა ლეიტენანტს.

— ხმა ჩაიწყვიტე, კანტორო! ¹ — შეუტია ლეიტენანტმა.

მერე თავი გადაუწია უფროს ბიჭს და პირდაპირ ბოთლით ჩაასხა არაყი პირში. ბიჭი სკამიდან ვადმოვარდა და კედლისაკენ გაცოცდა. კარს ეძებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაბრმავებულიყო, თავით კარის ამჟოლს მიეხეთქა და მიყუჩდა.

— ... ღამით, — დაასრულა დალაქმა, რომელსაც სუნთქვა უმძიმდა, — ორთავე მოკვდა. ისეთი მიღებული და გაშავებულიები იწვნენ, გეგონებოდათ, ელვას დაუხრუკავსო.

— მერე! — თქვა მაიორმა და მაგიდაზე დადებული რალაც ბრძანება ახლოს მიიწია, ქალაღღმა გაიშრიალა. მაიორს ხელები აუკანკალდა.

— მერე? — იკითხა დალაქმა, — როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ. ლეიტენანტმა მიბრძანა, გამპარსეო. მთვრალი იყო, თორემ როგორ ჩაიდენდა ასეთ სისულელეს. მფრინავი საღდაც წავიდა. ლეიტენანტმა თავის გამთბარ ბინაში წამიყვანა. ის სარკეს მიუჯდა, მე კი რკინის შანდალში სანთელი ავანთე, ღუმელზე წყალი გავათბე და სახის გასაბუნა დაეფუყე. სანთელი სარკესთან სკამზე

¹ კანტორი — მაგლობელი ებრაელთა სინაგოგაში.

დავდგი. ალბათ გინახვთ ასეთი შანდლები: თმაგაშლილ ქალს ხელში შროშანი უჭირავს. სანთელი შროშანის ჯამში იდგმება. საპნიანი ფუნჯი თვალებში ვატაკე ლეიტენანტს. მან დაიყურა, მაგრამ დავასწარი და რკინის შანდალი საფეტქელში ჩავცხე.

— იქვე გააფრთხოვინე სული?

— კი. მერე მთელი ორი დღე მოვუნდი თქვენთან გადმოსვლას.

მაიორმა სამართებელს დახედა.

— ვიცი, რატომაც უყურებთ, — უთხრა პარიკმახერმა. — თქვენ გგონიათ სამართებელი უნდა მეხმარა. ეს უფრო ნაღდი იქნებოდა, მაგრამ დამენანა. იცით, ძველებური სამართებელია, ინგლისური. ათი წელია, ვხმარობ.

მაიორი წამოდგა და ხელი გაუწოდა პარიკმახერს.

— აჰამეთ ამ ადამიანს, — ბრძანა მან, — და მშრალი ტანსაცმელი მიეცით.

პარიკმახერი მიწურიდან გავიდა. მებრძოლები მას სველე სამზარეულოსაკენ გაუძღვენ.

— ეჰ, ძმაო, — ჩაილაპარაკა ერთმა მებრძოლმა და მზარზე ხელი დაადო დალაქს, — ცრემლები გულს ასუსტებს. მიზანსაც ისე კარგად ვეღარ ხედავ. თუ გვინდა, რომ ყველანი გავწყვიტოთ ერთიანად, თვალი მშრალი უნდა გვქონდეს. ხომ მართალს ვამბობ?

დალაქმა თავი დაუქნია.

გამანადგურებელმა ქვემეხები ააგუგუნა. ტყვიისფერი წყალი შეტორტმანდა, ჩაშავდა, მაგრამ სულ მალე დაუბრუნდა არეკლილი ცის ფერი — მომწვანო და ჩანისლული.

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა



ნოღა ნახსია

მე კიდევ მინდა

მე კიდევ მინდა ქროლვა იმ ქარის,
მაშინ რომ სწეწდა იმ აკაციებს.
თორემ მოდიხარ ღიმილმიმქრალი
და შენს ღიმილში სხვა სიმკაცრეა.

მე კიდევ მინდა ქროლვა იმ ქარის,
მთლად უსაშველო ქარი რომ ჰქვია...
შენ ისევ იყო მორცხვი, მიმქრალი
და აგიტაცო, ხელი მოგხვიო.

ველზე დაჰქროდე, როგორც ქურციკი,
ფეხქვეშ დაგეგოს ველი ჭილობად...
შენ აღარ იყო ასე გულცივი
და მიმრთელებდე ყველა ჭრილობას.

და მერე დავთვრე... ტრფობის ეამს ღვინით
გავბრუნდე... ფიქრით გავცდე სივრცეებს.
თმა დაგიშვენო მინდვრის ეასმინით
და გოცებულ თვალთ მიცქერდე.

... მე კიდევ მინდა ძალა იმ ქარის,
მთლად უსაშველო ქარი რომ ჰქვია...
თორემ მოდიხარ ღიმილმიმქრალი
და აღარ ძალმიძს — ხელი მოგხვიო.



თამაზ კანდელიანი

ღედას

რა კარგი ხარ, თმებზე თეთრად
 დათოვლილო ჩემო ღედა,
 შენისთანა მეგობარი
 ბევრი მყავდეს კიდეც ნეტა!

რა კარგი ხარ, ჩემთან ახლოს
 როცა ხარ და როცა გხედავ,
 ამის შემდეგ თუნდაც მოვკვდე,
 არ ვიდარდებ ჩემო ღედა!

მითხარ, როგორ დავივიწყო:
 ჩვენ ვიყავით ორნი სახლში
 და პირველი ვაჟაკაღური
 ცრემლი დამსკდა შენს კალთაში.

როცა ჩემი გაგანდევნი
 გრძნობა ტრფობით მორეული,
 თითქოს გავხდი უფრო მკვიდრი,
 თითქოს უფრო შორეული.

ვიცი, მჯერა, ჩემი გესმის,
 ჩემთან ერთად გტკივა გული,
 აკი, ღედა, ჩემთვის ბევრჯერ
 თვალნი გქონდა დანამული.

რა ტკბილი ხარ თმებზე თეთრად,
 დათოვლილო ჩემო ღედა,
 შენისთანა მეგობარი
 ბევრი მყავდეს კიდეც ნეტა!



დავით ნაქიძიანი

სქანური სიმღერები

მგზავრი

მზე. შემოდგომა. შრიალა ნეშო.
გზა. ტყის ნაპირი. ხაბო დამრეცი.
ხეები რუხი განძარცულ ტყეში
აცქერდებიან ჩრდილებს ამრეზით.
დაღლილი მგზავრი. ნაბიჯი ნელი.
ის არ გაჰყვება ქარებს ფრთიანებს,
სადაც ზღვაა და ფიქრები ვრცელი
ქალაქის დარად წუხს და ხშიანებს.
მაგრამ ნელდება ტალღის დინება,
განერთხმებიან სანაოები
და ფოთლებივით ძირს ეფინება
ლურჯი სამეფო ამოების...
მიდიან გზები, შეჭრილნი ცერად,
ის კი ივლის და მივა ბოლომდის,
სადაც ელიან ანთებულ მზერით
და არც მალავენ თავის მოლოდინს,
სადაც აწვალენ გაშლილ დარბაზებს
მდუმარება და წუხილი ქართა,
სადაც ვალეებულ ხის დარაბაზე
გადაფენილი ირხევა ფარდა.

— ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
სად მიხვალ, მირანგულა, სად?
+ ამ მათათა გადაღმა მთებია მაღალი,
მათ მიღმაც მაღალი მთებია.
იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის.
ირმებს რქებით სურთ გალაენის შემსხვრევა,
ოქროს რქებით სურთ გალაენის შემსხვრევა,
ვაიმე, ირმები, ბედკრული ირმები!
ის კოშკი ვისია, არ იცის არავინ,

მრავალი წავიდა და აღარ დაბრუნდა,
 ჰოი, აღარცერთი აღარ დაბრუნდა,
 ვრცელნი იქნებიან კოშკის დარბაზები.
 — ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
 მაღალნი არიან მწვერვალები,
 მრავალნი არიან მოსისხლენი,
 გზები კი შორია ძალიან.
 — ცხენი უბადლო ჰყავს მირანგულას,
 ხანჯალი ბასრი აქვს მირანგულას,
 მუხლი მაგარი აქვს მირანგულას,
 თვალი აქვს ორბივით მჭრელი.
 — ვაი, რომ უმტყუნებს ცხენი მირანგულას,
 ხანჯალი დაუქანგდება მირანგულას,
 მუხლი გაედუნება მირანგულას,
 სიბნელე ჩაუდგება თვალში.
 ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
 სად მიხვალ, მირანგულა, სად?
 — იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის...
 — დედა აგიტირდება, მირანგულა,
 ცოლი დაგიქვირდება, მირანგულა,
 შვილი დაგიობლდება, მირანგულა...
 — იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის...

ისინი სამნი წავიდნენ ერთად
 ბედნიერების მოსანახავად.

სოფლად დატოვეს ლურჯი მშვენება
 და მზე, რომელიც მშვიდ საღამოთი
 მათაა გადაღმა ჩაესვენება
 და მზე, რომელიც დილით ამოდის,
 როცა იცრება ნისლის სამოსი
 და მის სანაცვლოდ გორების თხემზე
 სისხამი დილით ნახირს ამოშლის
 ეზოებიდან საბრალო მწყემსი.
 სოფელი იყო, ისე ვით წინათ,
 ველები — ვრცელი, ტყეები — ხშირი
 და გაზაფხული, რომელსაც სძინავს,
 ან გაზაფხული, რომელიც ტირის.
 ისინი სამნი წავიდნენ ერთად,
 არ გაიხსენეს სატრფოს ფერება,
 არც შემოდგომა დაბინდულ ფერთა
 და არც ზაფხული ნათელ ფერებად.

ისინი საით წავიდნენ ნეტა,
 სად დაეძებნენ ბედნიერებას?



პირველი მიწვევა

წიგნების კავშირი

ზოგიერთი ქართველი საზოგადოებრივი
ორ მოქმედებად და რამდენიმე
მოქმედი პირნი

- ვილი ლომენი
- ლინდა
- ბიფი
- შეპი
- ბერნარდი
- ქალი
- ჩარლი
- ძია ბენი
- პოვარდ ვაგნერი
- ჯენი
- სტენლი
- მის ფორსაიტი

პირველი მოქმედება

ისმის ფლეიტის ხმა. ეს მელოდია უბრალოდ და მიმზიდველად უმღერის ბალახს, ზეგებს, ცის კამარას. ფარდა იხდება.

ჩვენს წინ კომპოზიციის სახლია. სიღრმეში ვამჩნევთ მაღალი, კუთხოვანი შენობების მოხაზულობებს, რომელნიც ყოველი მხრივ ეკვრის ამ სახლს. სახლი და ავანსცენა ზეცის ცისფერი შუქითაა განათებული, ირგვლივ კი ყველაფერი თითქოს აებდითი ნარინჯისფერი ალით ღვივის. სცენა თანდათან ნათდება და ჩვენ ვხედავთ, რომ ირგვლივ აღმართული შენობები მძიმე აკლამის მსგავსად გადაჰფარებიან ამ პატარა, უმწეო სახლს. აქ ყველაფერს სიზმრის ფერი ადევს, სიზმრისა, რომელიც სინამდვილემ დაბადა. სცენის ცენტრში მოწყობილი სამზარეულო თითქმის ნამდვილს ჰგავს, რადგან იქ დგას სამზარეულო მაგიდა, სამი სკამი და მაცივარი, მაგრამ ამის მეტი იქ არაფერია. სამზარეულოს უკანა კედელში ფარდაჩამოფარებული კარებია, რომელიც სასტუმრო ოთახში გადის. სამზარეულოს მარჯვენე ორი საფეხურის სიმაღლეზე საწოლი ოთახია, სადაც მხოლოდ ორი თითბრის საწოლი და სკამი დგას. საწოლს ზემოთ, თაროზე, დგას ვერცხლის საპირბო თასი. ფანჯარაში მეზობელი სახლი მოჩანს.

სამზარეულოს უკან, დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე, ბიჭების საწოლი ოთახია, რომელსაც ახლა ძლივს ვარჩევთ. ბუნდოვნად ისახება ორი საწოლის კონტური, უკანა კედელ-



ში მცირე სარკმელია დატანებული (ეს ოთახი სასტუმრო ოთახს ზემოთაა, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ). სამხარეულოში მარცხნივ მოთავსებულ ხვეულ კიბეს ავუკავართ ამ ოთახში.

დემორაცია მთლიანად ან ზოგან გამჭვირვალეა. სახურავის ხაზი მხოლოდ მინიშნებულა — ამ ხაზის ზემოთაც და ქვემოთაც მოჩანს საცხოვრებელი სახლები. სახლის წინ ავანსცენაა, რომელიც რამპიდან ორკესტრში ჩადის. ესაა ლომენის სახლის ეზო, სადაც ამავე დროს მიმდინარეობს როგორც ვილის მიერ წარმოდგენილი, ისე ქალაქში მომხდარი სცენები. როდესაც მოქმედება აწყობს დროში მიმდინარეობს, მსახიობები იცავენ წარმოსახვითი კედლების საზღვრებს — სახლში მხოლოდ მარცხნივ მოთავსებული კარები შედიან. მაგრამ როდესაც მოქმედება წარსულს ეხება, ეს პირობითი საზღვრები ისობა და მსახიობები ოთახში შედიან ან გამოდიან ავანსცენაზე „მოწყობილ“ კედლებში.

მარჯვნიდან შემოდის ვილი ლომენი, კომპიოვიაციური, მოაქვს ვასაყიდი საქონლის ნიმუშებით ისევე ორი დღი ჩემოდანი. ფლეიტა კვლავ უკრავს. ლომენი შეუძინებლად გრძნობს მუსიკას. იგი საბოც წელსაა გადაცილებული, უბრალოდ აცვიდა. როდესაც იგი სცენაზე კარბისკენ მიდის, ეტყობა, რომ დაქანცულია. ვილი აღებს კარს, შედის სამხარეულოში და შევებით დგამს ბარს ჩემოდნებს. ხელისგულებს ისრებს. უხმოდ რადაცას ჩურჩულებს, შეიძლება ამბობდეს — „ოჰ, ბიჭო, ოჰ, ბიჭო“. ხურავს კარებს. ფარდაჩამოფარებული კარით გადის სასტუმრო ოთახში და გააქვს ჩემოდნები.

მარჯვნივ, საწოლ ოთახში ლინდა, მისი ცოლი, წამოიწეხს საწოლიდან, დგება და ხალათს იცვამს, თან სმენდალა ქვეუთლი. ბუნებით სათნო ლინდა ბევრს უთმენს ვილის, რადგან თითქმის აღმერთებს ქმარს, თითქმის მისი დაუცხრომელი ხასიათი, სიფიცხე, მწარე ოცნებები და ერთგვარი სიმკაცრე ლინდასთვის მხოლოდ გარეგნული გამოვლინებაა ვილის იმ მძაფრი სურვილები, რომლებსაც თვითონაც იზიარებს, მაგრამ ტემპერამენტი არ ჰყოფნის არც მათ ვასაყვებად და არც მათ ვანსაცვალად.

ლინდა — (ვილის ფეხის ხმის გავონებაზე შეშფოთებული იძახის) ვილი!

ვილი — არაფერი მომხდარა, შინ დავბრუნდი.

ლინდა — რატომ, რა მოხდა? (მცირე პაუზა) ხომ არაფერი შეგემთხვა, ვილი?

ვილი — არა, არაფერი.

ლინდა — მანქანა ხომ არაფერს დააჯახე?

ვილი — (ერთბაშად გაბრაზდება) ვითხარი — არაფერი მომხდარა-მეთქი. ვერ გაიგე?

ლინდა — ხომ კარგად ხარ?

ვილი — საშინლად დავიღალე. (ფლეიტის ხმა მიწყდა, ვილი ლინდას გვერდით საწოლზე ჩამოჯდება), ვერ შეეძლო, გესმის, ლინდა — ვერ შეეძლო!

ლინდა — (ძალიან ფრთხილად, ნახად) სად იყავ მთელ დღეს? სახეზე ფერი არ გადევს.

ვილი — თითქმის იონკერსადღე მივედი, მერე ყაეის დასალევალ შეეჩერდი. იქნებ სულაც ამის ბრალი იყო.

ლინდა — რა?

ვილი — (პაუზის შემდეგ) მანქანა ვეღარ წაყვიყვანე, სულ გვერდ-გვერდ მიდიოდა. წარმოგიდგენია?

ლინდა — (ცდილობს როგორმე დაეხმაროს) იქნებ კვლავ საუბე გაუფუჭდა. მე მგონია სტუდენტეკრებისა ენჯელის არაფერი გაეგება.

ვილი — არა, მე თვითონ... ჩემი ბრალია. უეცრად თავში გამკრა, რომ საათში ას კილომეტრს ვაკეთებ, მაგრამ როდის გადავიდი ამ სიჩქარეზე, ვეღარ გაიხსენე. უეცრად აღარ შემიძლია... ყურადღება მაქვს დაფანტული...

ლინდა — არა, ალბათ სათვალეს ბრალია, რატომ არ გამოაცვლევიენებ?

ვილი — სათვალე რა შუაშია, მშვენიერად ვხედავ. უკან დაბრუნებისას ოც კილომეტრსლა ვაკეთებდი. იონკერსიდან აქამდე ოთხ საათს მოვუნდი.

ლინდა — (მორჩილად) უნდა დისკენო, ვილი, ასე აღარ შეიძლება.

ვილი — ახლანანს არ დაებრუნდი ფლორიდიდან!

ლინდა — ეგ კი, მაგრამ გონება არ დაგისვენებია, ვილა, ფიქრით ხარ გადაღლილი, მთავარი კი სწორედ ეგ არის, ძვირფასო.

ვილი — დილაზე წავალ. იქნებ უკეთ იყო. (ლინდა ვილის ფეხსაცმელს ხდის) ამ წყევულმა სუპინატორებმა სისხლი გამიშრეს!

ლინდა — ასპირინი დალე. გინდა მოგცე? ტკივილს გაგიყუჩებს.

ვილი — (გონს კიდევ ვერ მოსულა) გესმის, ლინდა, — მიყავს მანქანა და თავს მშვენიერად ვგრძნობ. მიდამოსაც კი ვთვალეირებ — წარმოგიდგენია, მთელი ჩემი ცხოვრება გზაში ვავატარე და მიდამოს ვთვალეირებ — მაგრამ იქ ძალზე კარგია, ლინდა — ირგვლივ და-



ბურული ტყეა, მზე კი აცხუნებს. სარკმელი ჩამოვწიე და სახე თბილ ნიაჲს მივეუწვირე. და უცებ — როგორ მოხდა, არ ვიცი — გზიდან გადავედი. გუეზნები, სულ დამავიწყდა, რომ მინჭანა მიმყავს! კიდევ კარგი, თეთრ ხახს არ გადავცდი, თორემ ვინმეს გავიტანდი. გზა განვავარძე და ისე წავედი ფიჭვებში, რომ კინაღამ... (თვალეზებზე თითებს მიიფარებს) რა არეული მაქვს თავი, რა უენაური ფიჭვები მომდის...

ლინდა — ვილი, გენაცვალე. უთხარი ვაგნერს, განა არ შეიძლება აქ მოგცეს სამუშაო?

ვილი — აბა, რას გამოვადგები ნიუ-იორკში? ჩემი სპეციალობა ახალი ინგლისია. იქ მე აუცილებელი ვარ!

ლინდა — კი, მაგრამ უკვე სამოცისა ხარ. როდემდე უნდა გატარონ აქეთ-იქით!

ვილი — პორტლენდში დებეშა გასაგზავნი. ხვალ დილით ათ საათზე ბრაუნს და მორისონს უნდა შევხვედროდი საქონლის საჩვენებლად. ოპ, დასწყევლოს ღმერთმა, რამდენ საქონელს გავყიდი! (იცივამს პიჯაკს).

ლინდა — (პიჯაკს გამოართმევს) ხვალ მიდი კანტონში და ჰოვარდს უთხარი ნიუ-იორკში გადმოგიყვანოს. შენ მეტისმეტად მორიდებული ხარ, ვილი!

ვილი — ბებერი ვაგნერი ცოცხალი რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ნიუ-იორკში ვიმუშავებდი. რა კაცი იყო! ნამდვილი ტიტანი! მისი ვაჟბატონი კი არავის აფასებს! პირველად ჩრდილოეთში რომ წავედი, ვაგნერის კომპანიამ არც კი იცოდა, სად იყო ახალი ინგლისი!

ლინდა — მერე, მაგას რატომ არ ეტყვი ვაგნერს, ძვირფასო!

ვილი — (მხნველდება) ვეტყვი, უთუოდ ვეტყვი... ყველი გვაქვს?

ლინდა — ახლავე მოგიშხადებ სენდვიჩს.

ვილი — არა, წადი, დაიძინე. ცოტა რძეს დაგლევე. ახლავე მოვალ. ბიჭები შინ არიან?

ლინდა — სძინავთ უკვე. ჰეპიმ ბიფი საღლაც სტუმრად წაიყვანა ამ საღამოს.

ვილი — (დაინტერესებული) მართლა?

ლინდა — ნეტა გენახა, ორივენი სააბზანოში ერთად რომ იდგნენ და პირს იპარსავდნენ! მერე

ერთად წავედნენ. ნუთუ ვერ ამჩნევ, მთელი სახლი საპნის სუნითაა გაჟღერითილი!

ვილი — წარმოგადგენია, მთელი სიცოცხლე წელს იწყებო, გინდა როგორმე სახლი გამოისყიდო, და ბოლოს, როდესაც სახლი უკვე შენია, აღარავინ გყავს, რომ შიგ იცხოვროს.

ლინდა — რას იზამ, ძვირფასო, ცხოვრება განშორებაა — ახალგაზრდები მუდამ სხვაგან მიდიან. ყოველთვის ასე იყო.

ვილი — არაფერიც, ზოგიერთები... ზოგიერთები რაღაცნაირად აქაც აღწევენ მიზანს. დილას რომ წავედი, მერე ბიფს ხომ აღარაფერი უთქვამს?

ლინდა — არ უნდა გასწყრომოდი, ვილი, მით უმეტეს, რომ ის-ის იყო ჩამოვიდა. ასე არ უნდა გაეცხარდე ხოლმე.

ვილი — აბა, როდის გავცხარდი? მარტო ის ვკითხვე, ფულს თუ აკეთებ-მეთქი. ეს რა ლანძღვაა?

ლინდა — კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რანაირად უნდა გააკეთოს ფული?

ვილი — (შეწუხებული და გაბრაზებული) ხასიათი სულ გაუფუჭდა, გულჩახვეული გახდა. ბოლოში მოვიხადე?

ლინდა — ბიჭი ძალიან გამწარებულია, ვილი. ხომ იცი, როგორ უყვარხარ. ნეტავ მალე გაიკვლიოს გზა, მაშინ ორივე დამშვიდდებით და აღარ იჩხუბებთ.

ვილი — ფერმასი რა უნდა გააკეთოს? იქ რა ცხოვრებაა? მოჯამაგირედ დადგეს? როცა ახალგაზრდა იყო, გუნებაში ვამბობდი — რა უყოთ, ინტიალოს, ყველა სამუშაო სცადოს-მეთქი. უკვე ათი წელიწადი გავიდა და ახლაც კვირაში ოცდათხუთმეტ დოლარზე მეტს ვერ შოულობს...

ლინდა — ჯერ ვერ იპოვა თავისი ადგილი, ვილი!

ვილი — ოცდათხუთმეტი წლის კაცს თავისი ადგილი კიდევ ვერ ეპოვოს — სირცხვილია!

ლინდა — შუშ!

ვილი — სულ მაგისი სიზარმაცის ბრალე...

ლინდა — ვილი, შენი ჰირიმე!

ვილი — უქნარაა და მაწანწალა!

ლინდა — უკვე სძინავთ. ჩადი ქვევით, ჰამე რა-ე.

ვილი — რისთვის დაბრუნდა? ნეტავ ვიცოდე — ჩამ მოიყვანა შინ.

ლინდა — არ ვიცი. მე გჯონი დაბნეულია, ძალიან დაბნეული, ვილი, არ იცის რა ქნას.

ვილი — ბიფ ლომენი დაბნეულია, არ იცის რა ქნას! ამისთანა ახალგაზრდამ თავისი ადგილი ვერ მონახოს მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში? თანაც როგორი მუშაა! სხვა რაც გინდა თქვი, მაგრამ სიზარმაცეს კი ვერ დასწამებ!

ლინდა — მართალია!



ვილი — (გულაჩვილებული, მტკიცედ) ხვალ დილით ვნახავ, ტკბილად მოველაპარაკებ. როგორმე კომიზოვიასის ადგილს ვუშოვი. ნახე რა კაცი დადგეს! ღმერთო ჩემო! გახსოვს, ხვალაში როგორ უყვარდათ? ერთს რომ გაილიმებდა, ყველას სახე გაუნთღებოდა ხოლმე. ქუჩაში როცა ჩაივლიდა... (მოგონებებმა გაიტაცეს).

ლინდა — (ცდილობს მოგონებები გაუფანტოს) ვილი, ჩემო კარგო, დღეს ამერიკული ყველი ვიყიდე, შედღვებილია.

ვილი — რას ყიდულობდი ამერიკულ ყველს, არ იცი, რომ მე შვეიცარული მიყვარს?

ლინდა — ვიფიქრე, — იქნებ მომზებდა-მეთქი...

ვილი — არაფერიც არ მომზებრებია! შვეიცარული ყველი მინდა! რატომ შექცევით მუდამ ჯიბრით?

ლინდა — (სიცილს ძლივს იკავებს) მეგონა სიურპრისს ვაგვიკეთებდი.

ვილი — თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ფანჯრებს რატომ არ აღებ?

ლინდა — (უსასწვრო მთამინებით) ყველა ფანჯარა ღიაა, ძვირფასო.

ვილი — როგორ ამოგვექოლეს ყოველი მხრიდან! აფურები და ფანჯრები, ფანჯრები და აფურები.

ლინდა — გვერდით რომ ნაკვეთია, ისიც უნდა გვეყვოდ.

ვილი — ქუჩა მანქანებითაა სავსე. ახლომახლო ვერსად ჩაყლაპე სუფთა პაერს. ბალახი აღარ იზრდება, სტაფილოსაც კი ვერ დათესავ ეზოში. რაიმე კანონი უნდა შემოიღონ ამდენი სახლების შენების წინააღმდეგ. გახსოვს აქ ორი მშვენიერი თხმელა რომ გვედგა? მათ შორის მე და ბიფმა საქანელა ჩამოვაცხით!

ლინდა — პო, ვითომ ქალაქიდან შორს ვიყავით.

ვილი — იმ თხმელების მოპრისათვის ამ სახლის ამშენებელი ციხეში უნდა ჩავდეთ. სულ გადაჩვენეს აქაურობა! (უიმედოდ) ამ ბოლო ხანს უფრო ხშირად ვიგონებ ხოლმე იმ დღეებს, ლინდა. ამ დროს იასამანი და გლიცინია უკვე ყვავოდა, მერე პიონები იშლებოდა, შემდეგ ნარგისი. რა სურნელება იდგა ხოლმე ოთახში!

ლინდა — კი მაგრამ ხალხმაც ხომ უნდა იცხოვროს სადმე...

ვილი — ახლა ხალხი ძალიან გამრავლდა.

ლინდა — არა, ეგ კი არა, მე მგონი...

ვილი — ახლა ხალხი მეტია-მეთქი! სწორედ ეგ ლუპავს ქვეყანას. მოსახლეობა მეტისმეტად იზრდება. ისეთი კონკურენციაა, კაცს ქუჩაზე შეგშლის! იჯექი და სხვისი ნასუნთქი პაერი ყლაპე. აგერ, იქითაც ამენებენ!.. შენ იცი რანაირად დღეებენ ყველს?

(ვილის ბოლო სიტყვებზე ბიფმა და პეპიმ წამოიწიეს საწოლში, ლაპარაკს მიაყურეს).

ლინდა — ჩაღი ქვემოთ, გემო უნახე. ოღონდ წყნარად იყავი.

ვილი — (ლინდას მიუბრუნდა, თავს დამნაშავედ გრძნობს) შენ ჩემზე ნუ იღარღებ, კარგი, ძვირფასო?

ბიფი — უსმინე!

ლინდა — შენ ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს, ვილი, ასეც არ შეიძლება!

ვილი — შენა ხარ ჩემი იმედი, ლინდა!

ლინდა — დაწყნარდი, ძვირფასო, ბუხს სპილოდ ნუ აქცევ ხოლმე.

ვილი — იმ ბიუს მებს აღარაფერს ვერცევი. თუ ისევ ტეხასში სურს დაბრუნება, მიბრძანდეს.

ლინდა — იპოვის თავის გზას.

ვილი — უთუოდ, ბევრი ძალიან გვიან პოულობს თავის გზას. თუნდაც თომას ედისონი... ან გუდრიჩი. რომელიღაც მათგანი ყრუ იყო (მიღის საწოლი ოთახის კარებისკენ). მთელ ჩემს ქონებას ბიფზე რომ ჩამოვიდე, არაფრის შემეშინდება.

ლინდა — მართლა, ვილი, თუ კვირას კარგი ამინდი გამოვა, ქალაქკარეთ წავიდეთ. მანქანის მინები გავხსნათ; საუზმეც წავილოთ.

ვილი — არა, ახალ მანქანებში მინები არ იხსნება...

ლინდა — წელან აკი თქვი, დღეს გავხსენიო.

ვილი — მე? არა! (შეჩერდა) რა უცნაურია! ვანა შესანიშნავი არ არის?.. (განცვიფრებული და თანაც შეშინებული გაშეშდა, რადგან შორიდან ფლეიტის ხმა მოესმა.)

ლინდა — რა იყო, ძვირფასო?

ვილი — უცნაურია, ღმერთმანი.

ლინდა — რა, გენაცვალე?

ვილი — შევიზე ვფიქრობდი. (მცირე პაუზა) თას ცხრაას ოცდა რვაში... წითელი, შვეროლე რომ გვეყავდა... (სიტყვა გაუწყდა) სასაცილო არ არის? თუ გინდა დავიფიცებ, რომ დღეს ამ ძველი მანქანით მივდიოდი...

არტურ მილერი

- ლინდა — ეგ არაფერია, ალბათ ისე გაგახსენდა...
- ვილი — სოციარია. სსს. ვახსოვს ის დრო? როგორ უწვლიდა ბიფი მანქანას? როცა ვყიდდი, არავის სჯეროდა, რომ იმ მანქანით 150 ათასი კილომეტრი მქონდა გაკლილი! (თავს გაიქნევს) ეჰ! (ლინდას) დიძინე. მე ამ წუთას ამოვალ! (გადის საწოლი ოთახიდან).
- ჰეპი — (ბიფს) ღმერთო ჩემო, ნეტავ დღესაც ხომ არაფერს დააჯახა მანქანა!
- ლინდა — (ვილის გასძახის) კიბეზე ფრთხილად ჩადი, ჩემო კარგო! ყველი შუა თაროზე დევს! (მობრუნდება, მიდის საწოლისაკენ, აიუებს ვილის პიჯაკს და გადის ოთახიდან. ბიჭების ოთახში სინათლე ინთება. ვილი არ ჩანს, მაგრამ ისმის როგორ ელაპარაკება თავისთავს — „ასორმოცდაათი ათასი კილომეტრი“, თან იცინის. ბიფი დგება საწოლიდან, ოდნავ წინ მოდის, სმენადაა ქვეული. ბიფი ჰეპიზე ორი წლით უფროსია, კარგი აღნაგობისაა, მაგრამ ახლა სახე შეწუხებული აქვს და შეშფოთება ეტყობა. მან ცხოვრებაში ვერ ვერაფერს მიაღწია, უფრო მეტზე ოცნებობს, ვიდრე ჰეპი, მაგრამ მისი ოცნებები უფრო ძნელად განსახორციელებელია, ვიდრე მისა. ჰეპი მაღალია, მოსული, ვენებიანი, რასაც ქალები, როგორც მკაფიო ფერს ან სურნელს. ისე გრძობენ. ისიც ძმასავით გზააბნეულია, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. მას არ ჰყოფნის გამბედაობა თვალი გაუსწოროს მარცხს, თუმცა კი ეტყობა, ცხოვრებისა ის უფრო კმაყოფილია, ვიდრე ბიფი).
- ჰეპი — (დგება საწოლიდან) თუ ასე ვაგრძელებ, მანქანის ტარების უფლებას ჩამოართმევენ. იცი, ბიფ, ძალიან მაწუხებს მამას ამბავი.
- ბიფი — თვალთ ველარ უჭრის.
- ჰეპი — არა, მასთან ერთად მივლია მანქანით, მშვენივრად ხედავს, მაგრამ გონება სადღაც გაუტრბის. ამას წინათ სიტყვი ვიყავით, მწვენი სინათლეზე მანქანა გააჩერა, წითელზე კვდაძრა. (იცინის).
- ბიფი — იქნებ ფერებს ვერ არჩევს.
- ჰეპი — მამაჩემი და ფერებს ვერ არჩევდეს? მაგ პროფესიის კაცმა ფერებზე უკეთ რა იცის, განა შენც არ იცი?
- ბიფი — (ჯდება საწოლზე) დაეიძინებ.
- ჰეპი — ნაწყენი ხომ არ ხარ მამაზე, ბიფ?
- ბიფი — არა...
- ვილი — (მათ ქვემოთ, სასტუმრო ოთახში) დიდი, სერ, ას ორმოცდაათი ათასი კილომეტრი — უფრო მეტიც — ასსამოცი ათასი!
- ბიფი — ეწყვი?
- ჰეპი — (იღებს პაპირისის კოლოფს) გინდა?
- ბიფი — (იღებს სიგარეტს) ვერ ვიძინებ, როცა ამის სუნი მომდის.
- ვილი — აი, ამას ჰქვია მანქანის მოვლა!
- ჰეპი — (მეტად მგრძობიარად) განა სასაცილო არ არის, ბიფ, რომ ისეც ამ ოთახში გვიჩინავს? ჩვენი ძველი საწოლები (სიყვარულით უთათუნებს თავის საწოლს) რამდენი რამ გვეოტყავს აქ, მიუღი ჩვენი ცხოვრება აქ გავატარეთ.
- ბიფი — პო... რამდენი გეგმა და ოცნება გვექონდა!
- ჰეპი — (ღრმა, ვენებიანი სიცილით) სულ ცოტა ხუთასი ქალი მიინც ოცნებობდა გავგო — რას ვამბობდი ამ ოთახში. (უხმოდ იცინიან).
- ბიფი — ვახსოვს ის ბეტსი, თუ რა ერქვა, არ მაგონდება — ბაშუიკ ავენიუდან?
- ჰეპი — (თმის ვარცხნილ) შოტლანდიური ძაღლი რომ ჰყავდა?
- ბიფი — პო, სწორედ ის. ვახსოვს, იმასთან რომ მიგყავანი?
- ჰეპი — კი, ჩემთვის ის პირველი იყო, მგონი. რა ღორი იყო! (იცინიან, უხეშად) რაც კი რამ ვიცი ქალზე, სულ შენ მასწავლე, იცოდე.
- ბიფი — როგორ მორცხვობდი ხოლმე, განსაკუთრებით ქალიშვილებთან!
- ჰეპი — მათთან ახლაც მრცხენია ხოლმე, ბიფ.
- ბიფი — წადი ერთა!
- ჰეპი — მრცხენია, მაგრამ ვფარავ. ახლა კი, მგონი, შენ ჩემზე მორცხე ვახდი. რა დაგემართა, ბიფ? ვახსოვს, როგორ გჯეროდა საკუთარი თავის, სად არის შენი ძველი სითამამე? (ბიფს მუხლზე ხელს დაჰკრავს, ბიფი ადგება და მოუხვეწრად ბოლთას სცემს ოთახში) რა მოხდა?
- ბიფი — რატომ დამცინის მამა მუდამ?
- ჰეპი — არა, კი არ დავცინის...
- ბიფი — რაც უნდა ეთქვა, მუდამ მასხარად მიგდებს. მის გვერდით ვერ გავჩერებულვარ.
- ჰეპი — უნდა რომ შენგან რამე გამოვიდეს. რამდენი ხანია მიინდა მამაზე მოგელაპარაკო, ბიფ.

მამას... რაღაც დაემართა. თავისთავს ელაპარაკება ხოლმე...

ბიფი — მეც შევამჩნიე ამ დილას. მაგრამ მამამ წინათაც იცოდა ჩურჩული.

პეპი — ასე ძალიან არა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფლორიდაში გავგზავნე, იქნებ დაისვენოს მეოქო. და იცი, მეტწილად სულ შენ გელაპარაკება.

ბიფი — რას ამბობს ხოლმე?

პეპი — რა ვიცი...

ბიფი — მე იმას გეკითხები, ჩემზე რას ამბობს ხოლმე?

პეპი — ალბათ გზას რომ ვერ დაადექი...

ბიფი — სხვა რამეებიც აწუხებს, ჰეპ.

პეპი — შენ როგორ გგონია?

ბიფი — არ ვიცი, ოღონდ ყველაფერს მე კი ნუ გადომობარალებ!

პეპი — იქნებ ფეხზე რომ დადგე... უტრა დამიგდე. არის იქ რაიმე იმედი?

ბიფი — უკვე ვითხარია, ჰეპ, არც ის ვიცი, არის თუ არა რაიმე იმედი, და არც ის — რისი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს.

პეპი — ეგ როგორ გავიგო?

ბიფი — კარგი, გავაგებინებ. სკოლის დამთავრების შემდეგ ექვს თუ შვიდ წელიწადს ვცდილობდი რაგორმე ხალხში გამოვსულიყავი. სატრანსპორტო აგენტი, კომიუნისტური, კვლავ აგენტი, ეს, ის... ესეც ცხოვრებაა, რაღაც ზევით მხევა, შენ კი ჩაიდი მიწის ქვეშ, მეტროში, მთელი შენი სიცოცხლე საქონელს უნდა დაკანკალებდე, აქეთ-იქით რაკო ტელეფონით, გაყიდო, იყიდო... წელიწადში ორმოცდაათი კვირა იმისათვის იწვალა, რომ საცოდავი ორი კვირის შევხულება მიიღო! კაცი ნატრობ პერანგი გაიძრო და გარეთ გახვიდა, სულთა პაერი ისუნთქო. შენ კი სულ იმის ფიქრში ხარ — სხვას გაუსწრო. მერე და — რისთვის იკლავ თავს, რას მიღწევ?

პეპი — მაშ შენ ფერმა მართლა მოგწონს? კმაყოფილი ხარ?

ბიფი — (აღვნიშნული) ჰეპი, ომამდე, შინიდან რომ წავედი, ოცი თუ ოცდაათი სხვადასხვა ადგილი გამოვიცვალე და ყველგან ერთადიგივე იყო. ამას ამ ცოტა ხნის წინ მიუხვდი, ნაბრასკოში რომ საქონელს ვმწყემსავდი, შემდეგ დაკოტაში, არიზონაში, ახლა კიდევ ტეხასში. სახლშიც იმიტომ დავბრუნდი, რომ ამას მიუხვდი. ახლა იმ ფერმაში, სადაც მე ვმუშაობ, გაზაფხულია, გესმის? ორმოცდაათი კვიცი მაინც ეყოლებათ, მეტი თუ არა. იმაზე კარგი და ლამაზი რა უნდა იყოს, ფაშატა და მის კვიციებს რომ უყურებ. ახლა იქ ცივა, გესმის? ტეხასში ახლა ძალზე ცივა, გაზაფხულია. გაზაფხული როცა მოვა, თავში ფიქრები ამერება ხოლმე, ცხოვრებაში რომ ჯერ ვერაფერს მივალწიე... რა ეშმაკი შინდა ცხენების ჯოგში, კვირაში ოცდარვა დოლარისათვის რომ ვმუშაობ. ოცდაათობმეტი წლისა ვარ, ჰეპ, გაიგე... აი რატომ გამოვბრძვიარ ხოლმე სახლში კისრისტეხით. ახლა კი აქ ვარ და არ ვიცი, რა გვაკეთო. (პაუზის შემდგომ) რაც თავი მახსოვს, სულ ვბრუნდები. ვხედავ, ცხოვრების ფლანგვის მეტი არაფერი მიკეთებია.

პეპი — იცი, ბიფ, შენ პოეტი ხარ! შენ... შენ მეოცნებე ხარ!..

ბიფი — არა, თავში რაღაც აბდალებდა მაქვს. იქნებ ცოლის შერთვამ მიშველოს, იქნებ მამინ დავუღლო გული რამეს. ეგებ სწორედ ეგ მაწუხებს. ახლა ბიჭსა გვაჯარ. ცოლი არ მყავს, საშუაო არ მაქვს, სწორედ... ნამდვილი ბიჭი ვარ. შენ კი კმაყოფილი ხარ, ჰეპ? შენი საქმე ხომ კარგად მიდის? ხომ კმაყოფილი ხარ?

პეპი — ეშმაკს წაუღია ყველაფერი — არა!

ბიფი — ფულს ხომ კარგად აკეთებ?

პეპი — (ენერგიულად დაბაიჯებს ოთახში, უესტიკულაციით) მარტო ის დამრჩენია, რომ საეკრო განყოფილებას უფროსს სკვედის ველოდო. ვთქვათ, მის ადგილზე დამაყენეს. ის კაცი ჩემი მეგობარია, ამ ცოტა ხნის წინათ ლონგ აილენდზე ისეთი ვილა წამოვიბა, ჰუკას დაკარგავ. ორიოდე თვე იცხოვრა იმ ვილაში და გაყიდა, ახლა მეორეს იმუნებს. როგორც კი საქმეს ბოლომდე მიიყვანს, მაშინვე ჰხებრდება. ვიცი, რომ მეც ასე ვიქნები. არ ვიცი, რა ჯანდაბისათვის ვმუშაობ. ზოგჯერ შინ მარტო ვზივარ ხოლმე და გფიქრობ — ჭირას რამდენს ვიხდი. კაცი გავიქვდება პირდაპირ! სულ კი ამას ვოცნებობდი — საკუთარი სახლი, მანქანა, ქალები... დასწყველოს ღმერთმა, მაინც მარტო ვარ.

ბიფი — (ენტუზიაზმით) მომისმინე, რატომ არ გინდა ჩემთან წამოხვიდე დასავლეთში?

პეპი — მე და შენ ერთად?

ბიფი — ჰო, იქნებ ერთად რანჩო ვიყიდოთ, ჯოჯი მოვაშენოთ, ჩვენი ხელით ვიმუშაოთ. ჩვენი



- აღნაგობის კაცი სუფთა პაერზე უნდა მუშაობდეს.
- პეტი** — (ხარბად) ძმები ლომენები — ქარვია, არა?
- ბიფი** — (მეტი აღფრთოვანებით) აბა, აბა! — მთელი ქვეყანა გაგვიცნობს.
- პეტი** — (გაბატებული) იცი, ბიფ, მეც სწორედ მაგაზე ვოცნებობ. ზოგჯერ მინდა ხოლმე შუა მაღაზიაში გამოვიდე, ტანსაცმელი ჩამოვიგლიჯო და თაყში რამე ჩავცხო იმ ჩვენ უფროსს! ჩვენი განყოფილების ყველა თანამშრომელს ვაჯობებ კრივში, სირბილშიც, ჰილობაშიც და მაინც იმ ვიგინდარების ბრძანებები უნდა ვასრულო, იმ ძაღლისშვილების შიკრიკი ვიყო, ყელშია, რა, მოსული!
- ბიფი** — ხომ გეუბნები, ბიჭო, შენ თუ ჩემთან წამოხვალ, ვინ იქნება ჩემზე ბედნიერი!
- პეტი** — (აღტყენებით) იცი, ბიფ, გარშემო ყველა ისეთი ორპირი და ფლილია, რომ უკვე აღარავისი მწამს...
- ბიფი** — ჩემო ბიჭუნე, ერთად რომ ვიქნებით, ერთმანეთს მხარში რომ ამოვუდგებით, ვიღასი უნდა გვეშინოდეს?
- პეტი** — შენთან რომ ვიყო...
- ბიფი** — ჰე, საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ფულების ხვეტა არავის უსწავლელია და არც ვიცი...
- პეტი** — მე კი ვიცი?!
- ბიფი** — მამ მონი წავედეთ!
- პეტი** — მაგრამ საქმე ის არის — იქ რამდენს ვიშოვით?
- ბიფი** — ახლა არ მითხარი შენი ნაცნობის ამბავი? მთელი სასახლე წამოიჭიმა და გული კი მაინც ვერ დაიმშვიდა!
- პეტი** — ეს კი ასეა, მაგრამ მაღაზიაში რომ შემოვა ხოლმე, ყველა გზას უთმობს — აქაო და წე-ღიწვადში ორმოცდათორმეტიათასდღარიათა შემობრძანდა კარებში! მე კი ფრჩხილში მეთი ჭკუა მაქვს, ვიდრე იმას თავში...
- ბიფი** — ახლა არ ამბობდი, რომ...
- პეტი** — ჯერ მინდა იმ ვაბეროლ ბაიუშებს გავაგებინო, რის გაკეთება შეუძლია ჰე ლომენს. მინდა ისე შეედოლოდ კარებში, როგორც ის ვაბატონი. მერე კი წამოვალ შენთან, ბიფ, გუფიები, ერთად ვიქნებით. თანაც ის წუხანდელი გოგოები — გადასარკვეები არიან, არა?
- ბიფი** — ვინც კი მყოლია, ყველას ეგენი სჯობიან.
- პეტი** — რამდენიც გინდა, იმდენი მყავს, ბიფ. გული მარტო იმაზე დაგწყდება, რომ ეს ყველაფერი კვდის თამაშს უფრო ჰგავს — ხან ერთია, ხან მეორე, გულს კი არავინ კვარება. გოგოები ისევე ბევრი გყავს?
- ბიფი** — არა. ნეტა ისეთი გოგო მამოვინა, ერთგული იყოს, ჭკვიანი...
- პეტი** — მეც ამას ვნატრობ!
- ბიფი** — წადი ერთი შენ შინ ჯდომა არ გიყვარს!
- პეტი** — არაფერიც! აი, ისეთი გოგო რომ მანახა, მტკიცე ხასიათი ჰქონდეს, ყველაფრის ატანა შეეძლოს, ერთი სიტყვით, ჩვენი დედა რომ არის, იმისთანა, გესმის? უსინდისოს დამიძახებ, ახლა ერთი რაღაც რომ გითხრა — იცი, წუხელ ჩემთან რომ იყო, ის გოგო — შარლოტა — დანიშნულია, ერთ თვეში თხოვდება. (ისინჯავს ახალ შლიაბას).
- ბიფი** — რას ამბობ!
- პეტი** — ლმერთმანი. მაგის საქმრო ჩვენს მაღაზიაში უნდა დანიშნონ დირექტორის მოადგილედ. მე თვითონაც არ ვიცი, რატომ — ჯიბრით თუ სხვა მიზეზით — შევადინე და ახლა თავს ველარ ვანებებ. უკვე მესამედაა, ჩემს უფროსებს მაგისთანა ონს რომ ვუწყობ. თან ისიც დაუმატე, რომ მაგათ ქორწილებზეც უნდა ვიარო! (ზიზღით, მაგრამ სიცილით) რა ეგა და რა ქრთამის ადება! ვინ იფიქრებს, რომ მე ქრთამის ამღები ვარ, მაგრამ ფაბრიკის პატრონი ჩუმიად ასდღარაჩანს ჩავიდებს ჯიბეში, რომ პატარა დაკვეთა მოუხერსო. ხომ იცი, რა პატროსანი ვარ, მაგრამ ესეც ამ გოგოს ამბავს ჰგავს. მუზიზლება ჩემი თავი. სულ არ მინდა არც ეგ გოგო, არც ქრთამი, მაგრამ, მაინც... ვიღებ!
- ბიფი** — მონი დავიძინოთ!
- პეტი** — მაინც ვერაფერი გადავწყვიტეთ, არა?
- ბიფი** — ერთი აზრი მომივიდა და ვცდი.
- პეტი** — რა?
- ბიფი** — გახსოვს ბილ ოლივერი?
- პეტი** — ჰო, ოლივერი ახლა დიდი კაცია. გინდა კვლავ მასთან იმუშაო?



ბიფი — არა, მაგრამ როდესაც მასთან მუშაობას თავი დაეანებე, ერთი რამე მითხრა. **მხარზე** დამადო ხელი და მითხრა: „ბიფი, თუ როდისმე რაიმე დაგპირდეს, მოდი ჩემთან“.

პეპი — მეც მასსოვს. ეგ კარგი რამეა.

ბიფი — მივალ. ათი ათასი, არა, თუნდაც რვა ან შვიდი ათასი დოლარიც რომ მასესხოს, კარგ რანჩოს ვიყიდი.

პეპი — ნახე თუ არ მოგცეს! ოლივერი შენ ძალიან გაფასებდა, ბიფი, მარტო ის კი არა, სველა გაფასებდა, ყველას ძალიან უყვარდი. ამიტომაც გორჩევე აქ გადმოსახლდე. ერთად ვიცხოვრებთ, თანაც იცოდლე, რომელი გოგოც უნდა მოინდომო...

ბიფი — ერთი რანჩო რომ მქონდეს, რაც მინდა, იმას გავაკეთებდი, ჩემგანაც კაცი გამოვიდოდა! რამდენჯერ მიფიქრია — ნეტა ბილ ოლივერს თუ ჰგონია, რომ ის ბურთები მე მოვიპარე...

პეპი — შენც ერთი! ალბათ დიდი ხანია დაავიწყდა კიდეც! ათი წელი მაინც იქნება მის აქეთ. ძალზე ეჭვიანი ხარ. თანაც ოლივერს შენ სამსახურიდან არ დაუთხოვიხარ.

ბიფი — არ დაუთხოვივარ, მაგრამ დათხოვნას კი აპირებდა, სწორედ იმიტომ წამოვედი. მაინც ვერ გავიგე — მიხვდა იმ ამბავს თუ არა. ჩემზე კი მართლაც მუდამ კარგი აზრისა იყო, მხოლოდ მე მანდობდა ხოლმე მალაზიის გასაღებს.

ვილი — (ქვემოთ) მანქანას შენ გარეცხავ, ბიფი?

პეპი — სსს!

ბიფი შეყურებს პეპის, რომელიც იატაკს მისჩერებია და სმენად ქცეულა. **ვილი** სასტუმრო ოთახში რალაიას ბუტბუტებს.

პეპი — გესმის?

ყურს უგდებენ. ვილი გულიანად იცინის.

ბიფი — (ბრაზდება) არ იცის, რომ შეიძლება დედამ გაიგოს?

ვილი — ბიფი, სვიტერი არ გაიქუჭუციანო!

ბიფის სახეზე ტანჯვა აღებუჭდება.

პეპი — რა საშინელებაა! დარჩი, ბიფი, ნულარ წახვალ! აქაც იშოვი სამსახურს. უნდა დარჩე. დურთმანი, არ ვიცი, რა ვუყო მამას, მრცხენია პირდაპირ...

ვილი — იი, მანქანის მოვლაც ამას ჰქვია!

ბიფი — დედას ყველაფერი ესმის!

ვილი — გეყო ხუმრობა, ბიფი, მართლა პემანი გაქვს? საოცარი!

პეპი — ახლა დაიძინე, მაგრამ დილას კი მოელაპარაკე, კარგი?

ბიფი — (უკმაყოფილოდ წვება საწოლში) დედაც აქვია, შინ. ჩემო ძამიკო!

პეპი — (წვება საწოლში) მინდა ერთი კარგად მოელაპარაკო. (სინათლე მათ ოთახში ნელ-ნელა ქრება).

ბიფი — (თავისთვის, საწოლში) ეგოისტი, გამოთავჯანებული...

პეპი — შშშ... დაიძინე, ბიფი!

მათ ოთახში სინათლე ჩაქრა. ვიღრე ბიჭები ლაპარაკს გაათავებდნენ, ჩაბნელებულ სამხარეულოში ბუნდოდნად გამოჩნდება ვილი. გახსნის მაიციარს, რალაიას ექებს და ბოლოს გამოიღებს რძიან ბოთლს. სახლების სილუეტები ქრება და ახლა ვილის სახლ-მწვანეშია ჩაფლული. მუსიკა ხმამაღლა ჟღერს.

ვილი — ფრთხილად იყავ გოგოებთან, ბიფი, არ დაივიწყო. არაფერს შეპირდე, სულ არაფერს. იცოდლე გოგოები ყველაფერს მალე იჯერებენ, რაც უნდა უთხრა. შენ კი ძალზე ახალგაზრდა ხარ, გავოებთან სერიოზული ლაპარაკი ჯერ არ შეგიძლია.

(სამხარეულოში ინთება სინათლე. ვილი ლაპარაკობს, თან მაიციარის კარებს ჭურავს. მივა სამხარეულოს მაგიდასთან, ფინჯანში რძეს ჩაასხამს. ფიქრებშია წასული და ოდნავ ეღიმება).

ვილი — შენ ძალზე ახალგაზრდა ხარ, ბიფი, ვერ სკოლა უნდა დაამთავრო, როცა ფეხზე დადგები, შენისთანა ბიქს გოგოები ბუზივით დაესევია. (სამხარეულოს სკამს უღიმის) გაიგე? მამ შენი გულისათვის გოგოები ფულს ხარჯავენ? (იცინის) აი წარმატებაც მეგას ჰქვია. ზვილის ახლა ყურადღება მთლიანად გადააქვს სცენის გარეთ, ხმას თანდათან უმატებს და ბოლოს ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს). ბიფი, ვერ გამიგია, ნეტა რატომ აკრიალებ მანქანას ასე, ჰა? არ დაგავიწყდეთ მასრების გაწმენდა, ზამში გადაუსვით. ჰეპ, მინები ჭალაღლით გაწმინდე, ძალზე ადვილია. ბიფი, უჩვენე ერთი, როგორ უნდა ახლა ხომ ხედავ, ჰეპი? დაქმუნვე, კარგად დაქმუნვე ჭალაღლი! ჰო, სწორედ ასე! კარგია, კარგი, ჰეპ! (ღუმს, რამდენიმე წამს მოწონების ნიშნად თავს უქნევს, შემდეგ ზევით აიხედავს).

ბიფ, იცი ჯერ რა უნდა გავეთვოთ? — აი, ის დიდი ტოტი უნდა მოვტკრაო, სახლისაყენ რომ არის გამოშვებული, თორემ ქარიშხლის დროს შეიძლება ჩამოტყდეს და სახურავი დაახიანოს. მოდი ასე ვენათ — ჩამოვაბათ თოკი და განზე გავეწოთ, მერე კი ავიდეთ ხეზე და ტოტი გადავხერხოთ. მალე მორჩით მანქანის წმენდას. ბიჭებო, რაღაც... რაღაც მოგიტანეთ!

ბიფი — (სცენის გარეთ) — რა, მამიკო?

ვილი — არა, ჯერ დაამთავრეთ. საქმე შუა გზაზე არასოდეს არ მიატოვოთ — კარგად დაიმახსოვრეთ (იყურება „დიდი ხეებისკენ“) ბიფ, ოლბენიში მშვენიერი ჰამაკი ვნახე. შემდეგ მგზავრობისას უთუოდ ვიყიდი, ამ ფიქვებს შორის ჩამოვავათ. ხომ კარგი იქნება? ამ ტოტებს ქვეშ ვიქანავებთ... იცი, ბიჭო... (იქიდან, საითაც ვილი იყურებოდა, შემოდიან ბიფი და ჰეპი. ბიჭები. ჰეპის მოაქვს რაღაც ნაჭრები და სათლით წყალი. ბიფს აცვია სვიტერი, გულზე ასო „A“ აწერია, ხელში ფეხბურთის ბურთი უკავია).

ბიფი — (უჩვენებს სცენის იქით, სადაც მანქანა დგას). როგორ მოგწონს, მამი? შოურტებზე ნაკლებად ვაკეთებ?

ვილი — მშვენიერია, კარგად გიმუშავიათ, ბიჭებო. ყოჩაღ, ბიფ!

ჰეპი — შენი საჩუქარი სადღაა, მამიკო?

ვილი — უკანა სკამის ქვეშ დევს.

ჰეპი — ვაჰა! (გარბის).

ბიფი — რა არის, მამიკო? რა გვიყიდი?

ვილი — (იციანის, ალერსით მუჯღუტუნს წაჰკრავს) ის, რაც მინდოდა გქონოდათ.

ბიფი — (მობრუნდება და გარბის) რა არის, ჰეპ?

ჰეპი — (სცენის გარეთ) მოკრივის მსხალი!

ბიფი — მამიკო!

ვილი — ზედ ჯინ ტანის ხელმოწერა აქვს!

ჰეპი შემოვარდება სცენაზე, ხელში მოკრივის მსხალი უჭირავს.

ბიფი — საიდან იცი, რომ ამას ვნატრობდი?

ვილი — საეარჯიშოდ ამაზე კარგი რა იქნება!

ჰეპი — (ხურგზე წვება და ფეხებს ისე ამობრავებს, თითქო პედალებს აწვებოდეს) მამა, მატყობ, რომ ვხდები?

ვილი — (ჰეპის) თოკზე ხტუნვაც ძალიან რგებს.

ბიფი — ნახე ჩემი ახალი ბურთი?

ვილი — (სინჯავს ბურთს) სად იშოვე?

ბიფი — მწვრთნელმა მითხრა — ბურთის გადაცემაში ივარჯიშეო.

ვილი — მართლა? ბურთი იმიტომ მოგცა?

ბიფი — არა, ბურთი კლუბის საწყობიდან ვითხოვე. (იციანის).

ვილი — (ბიფის ქურდობაზე ეცინება) ბიფ, მე მინდა ბურთი უკან დაუბრუნო.

ჰეპი — აკი გეუბნებოდი — მამა გაჯავრდება-მეთქი.

ბიფი — (გაბრაზებული) მერე რა მოხდა? უკან წავიღებ!

ვილი — (რომ ბოლო მოუღოს ამ კინკლაობას, ჰეპის) ბიფს საეარჯიშოდ ხომ ნამდვილი ბურთი სჭირდება! (ბიფს) ასეთი დამოუყიდებელი ხასიათისთვის მწვრთნელმა იქნება შეგაქოს კიდევ!

ბიფი — მწვრთნელი მუდამ მაქვს ხოლმე დამოუყიდებლობისათვის!

ვილი — იმიტომ რომ უყვარხარ. რა ამბავი ატყდებოდა, ვინმე სხვას რომ წაეღო ეგ ბურთი ახალი რა იციო, ბიჭებო?

ბიფი — სად იყავი ამდენ ხანს, მამა? უშენოდ ძალიან მოგვეწყინა.

ვილი — (ნასიამოვნები ხელებს გადახვევს შვილებს და ასე მოდიან ავანსცენისკენ) მამ მოგეწყინათ?

ბიფი — სულ შენს ხსენებაში ვიყავით.

ვილი — განა არ მიტყვამს თქვენთვის, ბიჭებო? მამ საიდუმლოდ გაგიმხელთ, სიტყვა არავისთან დაგვადეთ — მალე ჩემს საყუთარ საქმეს დავიწყებ და სახლიდან წასვლა აღარსად მომიხდება.

ჰეპი — ძია ჩარლისავით, არა, მამა?

ვილი — ძია ჩარლი რა სათქმელია! თქვენი ძია ჩარლი არავის მოსწონს. არა, როგორ არა, მოსწონთ, მაგრამ... ძალიან არა.

ბიფი — ახლა სად იყავი, მამა?

ვილი — ჩრდილოეთით, პროვინდენსში. იქ ქალაქის მერი ვნახე.

ბიფი — პროვინდენსის მერი!

ვილი — სასტუმროს ვესტიბიულში იჯდა.

ბიფი — რა გიტხარა?

ვილი — შეუბნება — „ილა მშვიდობისა“, მე კი ვბასუბობ — „რა საუცხოო ქალაქი გაქვთ“, მერე ყავა დავლეით ერთად. პროვინდენსიდან უოტერბერიში წავედი, ისიც მშვენიერი ქალაქია, თავისი საათებით არის განთქმული. ცნობილი უოტერბერული საათები. ბლომად საქონელი გავყიდე. იქიდან ბოსტონში წავედი, ბოსტონი ჩვენი რევოლუციის აკანია. შესანიშნავი ქალაქია. მერე მესაჩუხეტისის ორიოდ ქალაქშიც ვიყავი, პორტლენდში და ბანგორშიც შევიარე, იქიდან კი პირდაპირ შინ წამოვედი.

ბიფი — იცი, მამი, როგორ მინდა შენთან ერთად წამოსვლა!

ვილი — მოიცა, გამოზახულდეს და წაგიყვანთ.

ბეპი — მაშ მართლა წაგიყვან?

ვილი — სამივენი ერთად წავალთ — შენ, ბეპი და მე. ქალაქებს გიჩვენებთ. ამერიკაში უთვალავი ლამაზი ქალაქია, იქ ღირსეული და კეთილშობილი ხალხი ცხოვრობს და მე ყველა მიცნობს. ახალი ინგლისის ყველა კუთხე-კუწუხულში მიცნობენ. მე რომ თან წაგიყვანთ, ჩემო ვაჟკაცებო, ჩვენთვის ყველა კარი ღია იქნება. იცით რატომ? — მე ბევრი მეგობარი მყავს და იმიტომ. ახალ ინგლისში სადაც უნდა დავტოვო ჩემი მანქანა, პოლიციელები საკუთარსავე მიხედავენ. მაშ ამ ზაფხულს წავსულვართ, ხომ, ბიჭებო!

ბიფი და ბეპი — (ერთად), წაივლეთ, აბა რა!

ვილი — თქვენი საბანაო კოსტუმებიც წამოიღეთ!

ბეპი — შენს ჩემოდნებს ჩვენ ვატარებთ, მამა!

ვილი — უპ, რა იქნება! შევდივარ ბოსტონის მალაზაებში, უკან კი ჩემს ბიჭებს ჩემოდნები მოაქვთ. აი, მესმის სენსაცია! (ბიფი აქეთ-იქით დახტის, ბურთის გადაწოდებაში ეარჯიშობს).

ვილი — ამ შეჯიბრის გეშინია, ბიფ?

ბიფი — სულაც არა, თუ შენ ჩემთან იქნები.

ვილი — სკოლაში რას ამბობენ, რაც გუნდის კაპიტანად დავნიშნეს?

ბეპი — ყოველ დასვენებაზე გოგონები კუდივით უკან დასდევენ.

ბიფი — (ცილის ხელს მოაკიდებს) მამა, ამ შაბათს შენს სახელზე ერთ ბურთს გავიტან.

ბეპი — შენი საქმე ბურთის გადაწოდებაა.

ბიფი — შაბათს მარტო მამიკოსთვის ვითამაშებ. შენ კარგად მიყურე, მამა, როგორც კი შეამჩნევ, რომ ქულზე ხელი მივიღე, იცოდე, რომ წინ გავიქრები და მერე ნახე, როგორ გავარღვევ იმთ დაცვას!

ვილი — (ჰკონის ბიფს), მთელ ბოსტონს მოვდებ ამ ამბავს! (შემოდის ბერნარდი, მოკლე შარვალი აცვია. სერიოზული ბიჭია, ბიფზე უმცროსი და მისი ღიდი ერთგული. ახლა შეწუხებულია).

ბერნარდი — ბიფ, სადა ხარ აქამდე? ავი ჩემთან ერთად უნდა გემყვადინა?

ვილი — შეხედეთ, ბერნარდი! რატომ ხარ ასე გაყვითლებული, ბერნარდი?

ბერნარდი — ბიფმა უთუოდ უნდა იმეცადინოს, ძია ვილი. იმ კვირას მზრუნველთა საბჭო უნდა შედგეს.

ბეპი — (ბერნარდს ამბავებს, აქეთ-იქით ატრიალებს) მოდი ვიკიდაოთ, ბერნარდი!

ბერნარდი — ბიფ! (გაუსხლტება ბეპის) მომისმინე, ბიფ! მისტერ ბირნზომმა თქვა, თუ არ მოვზადა მათემატიკაში, უთუოდ ჩავეჭირო და აღარც ატესტატს მოგკემენ. ჩემი ყურით გავიგონე!

ვილი — წადი, ბერნარდთან იმეცადინე, ბიფ, აბა, ცოცხლად!

ბერნარდი — ხომ ვამბობ — ჩემი ყურით გავიგე-მეთქი!

ბიფი — მამიკო, ჩემი ბუცები რომ არ გინახავს!

(ფეხს ასწევს, რომ მამას დაანახოს).

ვილი — როგორ მოგიხატია!

ბერნარდი — (წმენდს სათვალეს) რაკი თავის ბუცებს ვირჯინიის უნივერსიტეტი მიახატა, მაგისთვის კი არ დაამთავრებინებენ სასწავლებელს, ძია ვილი!

ვილი — (გაბრაზებული) რას მიუღ-მოიღებენ? ბიფს სამი უნივერსიტეტი სტიპენდიას ჰპირდება და ჩაურას ვინ გაუბედავს?

ბერნარდი — მაგრამ ჩემი ყურით გავიგე, რომ მისტერ ბირნზომი ამბობდა...

ვილი — რა წურბელსავით გადაგვეკიდე? (თავის შვილებს). რა ლაყე ვინმე!

ბერნარდი — მამ კარგი, სახლში დაგელოდები, ბიფ. (ბერნარდი გადის, სამივენი იციან).

ვილი — ბერნარდი მაინცდამაინც არ უყვართ სკოლაში, არა?

ბიფი — უყვართ, როგორ არა; მაგრამ ძალიან კი... არა.

პეპი — მაინცდამაინც არ უყვართ.

ვილი — მეც მაგას ვამბობ. ბერნარდს შეიძლება სკოლაში ყველაზე კარგი ნიშნები ჰქონდეს, გესმით, მაგრამ როცა საქმიან ხალხში გამოვა, თქვენ მასზე მთელი თავით მაღლა იდგებით. სწორედ ამიტომ ვუშაღლი ყოველადღიერ ღმერთს, რომ აღონისივით ტანადები ხართ ორივენი. საქმეში წინ ის კაცი წავა, ვისაც კარგი გარეგნობა აქვს და თავიც შეუძლია მოგაწონოს. თუ ხალხს მოსწონხარ, საქმე მუდამ კარგად გექნება. აი, თუნდაც მე: მიყვარდები ძებნა არასოდეს არ მჭირდება. საკმარისია გაიგონ — „ვილი ლომენი ჩამოვიდარ“ — და საქმე მორჩენილია.

ბიფი — ყველა ბეჭებზე დადე, მამა, არა?

ვილი — პროვიდენსში ბეჭებზე დადე, ბოსტონში კი ნოკაუტში ჩავაგდე.

პეპი — (კვლავ გულაღმა წეგს და ფეხებს ამოძრავებს) ხედავ, მამა, წონაში კვლავ ვიწებოდა? შენთვის ახალგაზრდა ლინდა, დარეცხილი თეთრეულით სავსე კალათი მოაქვს.

ლინდა — (ახალგაზრდული ხალისით) გამარჯობა, ჩემო საყვარელო!

ვილი — ჩემო ძვირფასო!

ლინდა — ჩვენი „შევი“ როგორ დადის?

ვილი — შევროლე საუკეთესო მანქანაა, ჩემო ლინდა. (ბიჭებს). როდის აქეთია, რაც დედა-თქვენს თვითონ დააქვს კიბეზე სარეცხი?

ბიფი — ჩაქიდე ხელი, პეპ!

პეპი — სად წავიღოთ, დედა?

ლინდა — ზემოთ, თოქზე გაფინეთ. შენ კი ჯობია შენს ბიჭებს მიხელო, ბიფ, მთელი ხარადი შენი ბიჭებიოთაა სასე და არ იციან, რა გააკეთონ.

ბიფი — როცა მამა შენ ბრუნდება ხოლმე, ცოტა მოიცადონ, არ აწყენთ!

ვილი — (კმაყოფილი იცინის). სჯობს სარდაფში ჩახვიდე და რაიმე საქმე გაუჩინო!

ბიფი — საცეცხლეს დავაგვევიანებ!

ვილი — კარგია!

ბიფი — (გადის, სამხარეულოს კედელს იქით და გასაბის) ბიჭებო, საცეცხლე დაგავეთ. ამ წუთს მოვალ!

ბმები — კარგი, ბიფ! ახლავე!

ბიფი — ჯორჯ, სემ და ფრენკ, აქ მოდი, სარეცხი უნდა გავფინოთ! აბა, პეპ, ცოცხლად! (მას და პეპის მიაქვთ კალათი).

ლინდა — როგორ უჯერებენ ყველაფერს!

ვილი — ფეხბურთი, ფეხბურთი აკეთებს ყველაფერს. ხომ გეუბნები, ვაქრობის საქმე გადასარეცხად მიდის, მაგრამ შენ გიყვით გამოვიქვით...

ლინდა — მთელი ჩვენი უბანი მოვა მაგის თამაშის საყურებლად. გაყიდე რამე?

ვილი — ხუთასი გროსი პროვიდენსში გავყიდე, შეიდასიც ბოსტონში.

ლინდა — მართლა? მოიცა, ფანჯარი აქ მაქვს. (იღებს ფანჯარს და ქაღალდს წინსაფრის ჯიბიდან) მამ შენ საკომისიო გასამრჯელო გერგება... ორასი დოლარი! ღმერთო ჩემო — ორასი თორმეტი დოლარი!

ვილი — ჯერ კარგად არ მიანგარიშია, მაგრამ...

ლინდა — რამდენი გაყიდე?

ვილი — ვიცი, მე... მე... დაახლოებით ას ოთხმოცი გროსი პროვიდენსში. არა, სულ... ერთი სიტყვით, ამ მგზავრობაზე სულ ორას გროსამდე გავყიდე...

ლინდა — (აუღელვებლად) ორასი გროსი? მამ, გამოდის... (ანგარიშობს).

ვილი — საქმე იმან გაუჭირა, რომ ბოსტონში სამი მაღაზია არ ვაქრობდა, აღწერა ჰქონდა. თორემ ნახავდი, რამდენს გავყიდდი, ყველა რეკორდს გადავაჭარბებდი.

ლინდა — გამოდის სამოცდაათი დოლარი და რამდენიმე ცენტი. ესეც კარგია.

ვილი — ვალი რამდენი გვაქვს?

ლინდა — ჯერ მაცურის ფული უნდა გავისტუმროთ, თქვენსეტი დოლარი.

ვილი — რატომ თქვენსეტი?

ლინდა — იმიტომ რომ ვენტილატორის ღვედი გაწყდა — ერთი დოლარი და 80 ცენტია მისაკემი.

ვილი — მაცურარი ხომ სულ ახალია.

ლინდა — ოსტატმა მითხრა ახალმა ასე იცისო. („კედლის“ გველით სამხარეულოში შეღანი).



ვილი — ნეტა ხომ არ მოეტყუვდით, ეგ მაცივარი რომ ვიყიდეთ?

ლინდა — რა ვიცი, რეკლამა კი დიდი აქვს და...

ვილი — არა, მაცივარი უთუოდ კარგია. სხვა რა?

ლინდა — ცხრა დოლარი და 60 ცენტი სარეცხი მანქანისა... თხუთმეტისთვის მტვერსასარეცხისა სამწახევარი დოლარი გვაქვს შესატანა, სახურავისა 20 დოლარი დაგვრჩა კიდევ მისაცემი.

ვილი — წვიმა ხომ არ ჩამოდის?

ლინდა — არა, ძალიან კარგად გააკეთეს. ფრენკისა კარბიურატორის ფული გმართებს.

ვილი — არაფერსაც არ მივცემ! რა დაწყველილია ეს შეფროლე, ნეტავ რატომ არ აკრძალავენ მაგის გამოშვებას?

ლინდა — ეგ ასე იყოს, მაგრამ ფრენკისა სამდოლარნახევარი გმართებს. ერთად, წვრილმანებსაც თუ დავემატებთ, თხუთმეტისთვის ას ოცი დოლარი გვაქვს შესატანი.

ვილი — ას ოცი დოლარი ღმერთო ჩემო, საქმე თუ არ გამოსწორდა, არ ვიცი, რა მეშველებს!

ლინდა — შემდეგ კვირას უკეთ ივაჭრებ!

ვილი — ნახე, შემდეგ კვირას ყველას ძირს დავანარცხებ! პარტფორდში წავალ, იქ ყველას ვუყვარვარ, იცი, ლინდა, მე ის მიწუხებს, რომ ხალხს ერთბაშად თვალში არ მოვდივარ ხოლმე. (მოდიან ავანსცენისკენ).

ლინდა — სისულელეა!

ვილი — ხელად ვგრძნობ ხოლმე. მგონი დამცინიან კიდევ.

ლინდა — რატომ? რატომ უნდა დაგცინონ? მაგას ნუ ამბობ, ვილი. (ვილი სცენის კიდეისკენ მიდის. ლინდა სამზარეულოში შედის და ქალის წინდების კემსვას იწყებს).

ვილი — არ ვიცი რატომ, მაგრამ ზოგჯერ სულ არ მამჩნევენ ხოლმე. რაღაც შეუმჩნეველი ვარ.

ლინდა — კი მაგრამ, შენი საქმე ხომ კარგად მიდის, ჩემო ძვირფასო. კვირაში 70-100 დოლარს აკეთებ.

ვილი — სამაგიეროდ მაგ ფულისთვის დღეში ათი, ხშირად თორმეტი საათი უნდა ვიწინწალო, სხვები კი — არ ვიცი, რანაირად — უფრო ადვილად ახერხებენ. რატომ მემართება, ვერ გამოვიგია, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, ვეღარ ვჩერდები ხოლმე. ჩემი ხელობის კაცი ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს. აი, ჩარლის ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და ამიტომაც პატივს სცემენ.

ლინდა — შენ ბევრი ლაპარაკი არ იცი, მაგრამ ძალზე ცოცხალი ხასიათი გაქვს!

ვილი — (ღიმილით) ჯანდაბას ყველაფერი ცხოვრება ისეთი მოკლეა, ორჯერ ზედიზედ გახუმრებნასაც ვერ მოასწრებ! (თავისთვის). მე კი ძალზე ბევრს ვხუმრობ! (ღიმილი გაუქრბა).

ლინდა — შენ სულაც არ...

ვილი — სრული ვარ. ძალიან... ძალიან სასაცილო შესახედი ვარ, ლინდა. აქამდე არ მითქვამს შენთვის, — აღდგომას ჩემს მუშტართან შევიარე, ერთი კომივოიჟერი უჯდა კანტორაში, ვიცნობ იმ კაცს. შევდივარ და მესმის: ლომთევზაო. გაუქვანე და ვლიწუე სახეში. ჩემი შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ, არავის გვაბედინებ! მაგრამ მაინც დამცინიან, ვიცი, რომ დამცინიან.

ლინდა — ჩემო კარგო...

ვილი — გადავაჩვევ დაიცნვას, ნახე თუ არ გადავაჩვიო! იქნებ ისე არ მაცივია, როგორც საპიროა?

ლინდა — ვილი, ჩემო საყვარელო, შენ ყველაზე ლამაზი ხარ...

ვილი — არა, ლინდა...

ლინდა — ჩემთვის ყველაზე ლამაზი ხარ. (მცირე პაუზა). ყველაზე ლამაზი. შორიდან ქალის სიცილი ისმის. ვილი იქით არ იყურება, მაგრამ ლინდას სიტყვებს ქალის სიცილი თან სდევს.

ლინდა — ბიჭები პირდაპირ გიყვებიან შენზე. იშვიათად, რომ მამას ასე აღმერთებდნენ შეილები.

სცენის იქით, სახლის მარცხენა მხრიდან ისმის მუსიკა. ბუნდოვნად მოჩანს ქალის სილუეტი. იგი ტანთ იცვამს.

ვილი — (გრძნობით) შენ ყველას სჯობიხარ, ლინდა. შენ ნამდვილი მეგობარი ხარ. იცა. ზოგჯერ გზაში როცა ვარ, მომიხედება ხოლმე მოგეხვით, მაგრად, მაგრად მოგეხვით და კოცნით დაგახრჩო... (ახლა სიცილი უფრო ხმამაღლა ისმის, ვილი მიდის მარცხნივ სცენის განათებული ნაწილისაკენ, სადაც კულისებიდან გამოსული ქალი დგას ვითომდა „სარკის“ წინ, ქულის იხურავს და იცინის).

ვილი — თავს ძალიან მარტო ვგრძნობ ხოლმე და იმიტომ... მით უმეტეს, როცა ვაპრობა ცუ-



დად მიდის და გვერდით არაფერს მყავს, რომ ველაპარაკო. მაშინ ისე მგონია, ველარასოდეს ვერაფერს ვერ გავყვიდი, ფუღს ვერ ვიშოვი, ბიჭებს გზაზე ვერ დაღაყენებ-მეთქი. (მის ლაპარაკს ქალის სიცილი ერთვის; ქალი „სარკემში“ იყურება და კონტაობს) როგორ განტრობ...
ქალი — ვის ნატრობთ, ვილი? მე? თქვენ რა, მე თვითონ ამოვირჩიეთ.
ვილი — (ნასიამოვნები) მაშ თქვენ ამირჩიეთ?
ქალი — (საკმაოდ კარგი შესახედობისაა, წლოვანებით ვილის ტოლი იქნება). დიად, მე. ვზი- ვარ ჩემს მაგიდასთან და ვთვალღერებ კომივოიფერებს, ყოველდღე რამდენი რჩევა, ვინ დათვლის! მაგრამ თქვენ სხვა ხართ, ვილი, თქვენ ისეთი ხუმარა ხართ! ჩვენ ერთად ძალიან მზიარულად გავატარებთ დრო, არა?
ვილი — დიად, დიად, როგორ არა. (მოეხვევა) რატომ მიდიხარ?
ქალი — ღამის ორი საათია...
ვილი — არა, ჩემთან წამოდი! (თავისკენ ეწევა).
ქალი — არა, ჩემი დები რას იტყვიან! კიდევ როდის ჩამოხვალთ?
ვილი — ორ კვირაში. ამოხვალ ჩემთან?
ქალი — უთუოდ. რამდენი მაციენთ! ჩემთვის სსსარგებლოა სიცილი. (მოეხვევა და ჰკოცნის).
 საოცარი კაცი მგონიხართ, ვილი!
ვილი — მაშ შენ თვითონ ამირჩიე?
ქალი — აბა რა! კარგი ხართ, ხუმარა!
ვილი — ბოსტონში როცა ჩამოვალ, უთუოდ განახავ.
ქალი — ყველა მყიდველს თქვენ გამოგიგზავნი.
ვილი — (ხუმრობით უკან ხელს მიართყვამს და იცინის). კარგია აბა, ყოჩაღად!
ქალი — პირდაპირ მომეკალი სიცილით, ვილი! (უცერად ვილი ხელს მოხვევს და უხეშად ჰკოცნის). ნუ დამხარჩე! გმადლობთ წინდებისთვის. მიყვარს როცა ბევრი მაქვს. აბა, წავედი, ღამე მშვიდობისა.
ვილი — ძილი ნებისა, ისუნთქე ღრმად.
ქალი — ოჰ, ვილი! (ქალს სიცილი წასკდება, მის სიცილს ლინდას სიცილი ერთვის. ქალი სიბ- თელემში ქრება. ახლა სინათლე იქ ინთება, სადაც სამზარეულო მაგიდა დგას. ლინდა ისევ თავის ადგილას ზის და აბრეშუმის წინდებს ეკმსავს).
ლინდა — გეუბნები, ყველაზე ღამაზი ხარ-მეთქი, ვილი. რატომ გგონია, რომ შენ...
ვილი — (მოდის იმ ჩაბნელებული ადგილიდან, სადაც ქალი იდგა, უახლოვდება ლინდას). ჩემს დანაშაულს გამოვისყიდი, ლინდა, მე უთუოდ...
ლინდა — შენ არაფერი დავიშავებია, ჩემო ძვირფასო. შენი საქმე კარგად მიდის, სხვებზე უკეთესად...
ვილი — (შეამჩნევს, რომ ლინდა ქალის წინდებს ეკმსავს). ეს რა არის!
ლინდა — წინდებს ეკმსავ. ძალიან ძვირი ღირს...
ვილი — (გაბრაზდება, წართმევს). არ მინდა, რომ აკერებდე, ვესმის? ახლავე მოაშორე აქე- დანი! (ლინდა წინდებს ჯიბეში ჩაიღებს).
ბერნარდი — (შემოვარდება) ბიფი სად არის? რა ეშველება, თუ არ იმეცადინა?
ვილი — (მიდის ავანსცენისაკენ, ძალზე აღელვებულია). შენ უკარნახებ!
ბერნარდი — კარნახით კი უკარნახებ, მაგრამ მზრუნველთა საბჭოზეც მე ხომ არ ვეყოლები სახელმწიფო გამოცდა, კარნახისათვის შეიძლება დამამატიმრონი!
ვილი — სად არის? ვცემ, ცემით მოგვკლავ!
ლინდა — ვილი, უთხარი ბიფს ბურთი უკან დააბრუნოს. ასეთი რამ კარგი არაა.
ვილი — ბიფ! სად არის ის ბიჭი? რატომ მოაქვს სხვისი ნივთები?
ლინდა — გოგოებსაც უხეშად მქეცა. ყველა მშობელი უჩივის.
ვილი — ვცემ!
ბერნარდი — მძლოლის უფლება არა აქვს და მანქანას კი ატარებს! (ისმის ქალის სიცილი)
ვილი — ხმა ჩაიწყვიტე!
ლინდა — ყველა დედა...
ვილი — ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი!
ბერნარდი — (შეშინებული უკან-უკან იხევს). მისტერ ბირნბომი ამბობს, — ჩაიკრებაო.
ვილი — მოშორდი აქედანი!
ბერნარდი — თუ ჯგუფს ვერ დაეწია, უთუოდ ჩაპრიაან მათემატიკაში. (გადის).
ლინდა — ბერნარდი მართალია, ვილი, შენ უნდა...
ვილი — (აუყვირდება ლინდას). ბიფს არაფერიც არ მოუვა! რას ერჩით იმ ბიჭს? გინდათ ბერ-

ნარდივით ჭიკაძეს ჰგავდეს? მტკიცე ხასიათი აქვს. თავმოყვარეა... (როდესაც ვილი ლაპარაკობს, ატირებული ლინდა ოთახში შედის. ვილი მარტოა სამზარეულოში, წელში მოიხარა, თვალი გაუშტერდა, ფოთლები გაჭრა. ღამეა და სახლის უკან მოჩანს უზარმაზარი შენობები).

ვილი — სული ამოხადეს პირდაპირ, მოსპეს საწყალი ბიჭი! აბა, რა მოიპარა? განა ისევ უკან არ აბრუნებს ხოლმე? რატომ ქურდობს? მთელი ჩემი სიცოცხლე კარგის მეტს რას ვასწავლიდი?

კიბეზე ჩამოდის ჰეპი, ტანთ პიჯამა აცვია; ვილი უეცრად დაინახავს მას.

ჰეპი — წამო, წავიდეთ.

ვილი — (მიუჯდება სამზარეულო მაგიდას). ნეტავ ვიცი, რას იწყებებს წელს დღეაშენი ამ იატაკების გაპრიანებით? განა ვერ ხედავს, იატაკის გაპრიანება ისე ღლის, ფეხზე ვეღარ დგას.

ჰეპი — კარგი, ნუ ბრაზობ. ამაღამ რათ დაბრუნდი?

ვილი — იცი, რა შიში გქამე — ონკერსში კინაღამ ბავშვი გავიტანე. ღმერთო ჩემო, რატომ არ გაეყევი მაშინ ჩემს ძმას ალიასკაზე? ბენი! აი, კაცი ის იყო, ქუდბედი ჰქონდა დაყოლილი როგორ მივექარი! როგორ მიხვოდა — წამომყევიო!

ჰეპი — რაღა დროს სინანულია...

ვილი — თქვენ რა ხართ! ბიძაშენმა დაკონკილი ტანსაცმლით დაიწყო და ალმასის საბადოებით დაამთავრა!

ჰეპი — ნეტა როგორ, ა?

ვილი — მიხედე? იმ კაცმა იცოდა, რაც უნდოდა და გაიტანა კიდეც თავისი, ჯუნგლებში შევიდა და როცა ოცდაერთი წლის იქიდან გამოვიდა, უკვე მდიდარი იყო! ლოჯინში კოტრიალით ცხოვრებას ვერ მოეწევი!

ჰეპი — მამა, ხომ გიოხარი, სამსახურს თავი დაანებე-მეთქი!

ვილი — მერე ვინ შემიწავს? კვირასი რას იღებ — სამოცდაათ დოლარს! ეგ ვის ეყოფა — შენს გოგონებს, მანქანას, ბინას? სამსახურს თავი დაანებე! ღმერთო ჩემო, დღეს ონკერსში ვეღარ ჩავდი! სადა ხართ, ჩემო ბიჭებო? მიშველეთ! მანქანას ვეღარ ვატარებ! კარებში ჩარლი გამოჩნდება, მსუქანი კაცი, ნელა და ცოტას ლაპარაკობს, ზანტია. მის ყოველ სიტყვაში იგრძნობა ვილის სიბრაღული. ახლა კი ამას სულიერი მღელვარებაც ემატება. პიჯამას ზემოთ ხალათი აცვია, ფეხზე — საშინაო ფლოსტები. შემოდის სამზარეულოში.

ჩარლი — ხომ არაფერი მომხდარა?

ჰეპი — არა, ჩარლი, არაფერი...

ვილი — რა იყო?

ჩარლი — რაღაც ხმაური მომესმა, ვიფიქრე — ხომ არაფერი მოხდა-მეთქი. ნეტა რა უნდა მოეუხერხოთ ამ კედლებს? თქვენ აქ ცხვირს რომ აცემინებთ, მე ჩემს ოთახში თავიდან ქუდი მვარდება!

ჰეპი — წამო, მამა, დავიძინოთ!

ჩარლი ანიშნებს ჰეპის წავიდეს.

ვილი — შენ წადი, მე დალლილი არ ვარ.

ჰეპი — (ვილის). ნურათფერზე გაბრაზდები, კარგი? (გაღის).

ვილი — ზეზე რატომ ხარ?

ჩარლი — (ჯდება ვილის პირდაპირ სამზარეულო მაგიდასთან). ვერ ვიძინებ, გულსა მძმარავს.

ვილი — ჰეპი არ იცი და იმიტომ.

ჩარლი — რატომაც არ ვიცი, საუშელს პირით ვჰამ.

ვილი — ხეპრე ხარ, ვიტამინებისა არაფერი გაგეგება...

ჩარლი — მოდი კარტი ვითამაშოთ, ცოტა გავერთობით.

ვილი — (ყოყმანით). კარგი. თან გაქვს?

ჩარლი — (იღებს კარტის დასტას ჯიბიდან). აბა რა, მუდამ თან დამაქვს. ეგ ვიტამინები რაოა?

ვილი — (კარტს არიგებს). ვიტამინები ძელებს ამაგრებს. ჭიმიია, ჭიმიია!

ჩარლი — მე გულსა მძმარავს, ძვალი რა შუაშია?

ვილი — რას მიეღ-მოეღები? რა გაგეგება მაგისა?

ჩარლი — ნუ ცხარობ.

ვილი — რაც არ გესმის, ნუ ამბობ. (თამაშობენ კარტს. პაუზა).

ჩარლი — სახლში რატომ ხარ?

ვილი — მანქანას რაღაც გაუფუჭდა.

ჩარლი — ჰოო... (პაუზა). სიამოვნებით გავისეირნებდი კალიფორნიაში.
ვილი — მართლა!
ჩარლი — გინდა, სამუშაო გაშოვნინო?
ვილი — მე სამუშაო მაქვს, რამდენჯერ მოთქვამს. (მცირე პაუზის შემდეგ). რა გამიწყალე გუ-
 ლო მაგ შენი სამუშაოთი!
ჩარლი — ნუ ცხარობ!
ვილი — შენც ნუ გამაცხარებ!
ჩარლი — ვერ გამოვიცა, რას ებღალუკები მაგ შენ სამუშაოს?
ვილი — მშვენიერი სამუშაო მაქვს. (მცირე პაუზა). რისთვის მოდიხარ ხოლმე ჩემთან?
ჩარლი — წაუვიდე?
ვილი — (პაუზის შემდეგ, გულდაწყვეტილად). ვერაფერი გამოვიცა. ისევ ტეხასში უნდა დაბრუ-
 ნება. რა ეშმაკი იზიდავს იქით?
ჩარლი — გაუშვი.
ვილი — რა მაქვს, რა მივცე! არაფერი მამბადია!
ჩარლი — შიმშილით არ მოკვდები. შიმშილით ჯერ არავინ მომკვდარა. ნუ ფიქრობ მასზე.
ვილი — მაშ ვილაზე ვიფიქრო? შენთვის სათქმელად ადვილია.
ჩარლი — არა, არ არის ადვილი.
ვილი — ნახე, სასტუმრო ოთახის ქერი როგორ ავწიე?
ჩარლი — შესანიშნავი რამაა. მე მაგის არაფერი გამეგება. როგორ ვააყეთე?
ვილი — შენ რაში გეკითხება?
ჩარლი — მინდა ვიცოდე.
ვილი — შენც ქერის აწივას ხომ არ აპირებ?
ჩარლი — მე სად შემიძლია?
ვილი — მაშ რაღას მეკითხები და მაწუხებ, ჯანდაბას შენი თავი?
ჩარლი — აი, ისევ ვაცხარდა.
ვილი — ის რა კაცია, ჩაქუჩს ხელში რომ ვერ დაიჭერს? მეზობლები პირდაპირ.
ჩარლი — კარგი ერთი...
 სახლის მარჯვენა მხრიდან ავანსცენაზე გამოდის ძია ბენი, ხელში საკვოთაი და
 ჩემოდანი უტირავს, 60 წელს გადაცილებული დინჯი, მბრძანებლური გამომეტყველე-
 ბის თავდაჯერებული კაცია, გრძელი უღვაშები აქვს. ეტყობა შორეულ ქვეყნებში
 უმოგზაურია. შემოდის სწორედ მაშინ, როცა ვილი ლაპარაკობს.
ვილი — საშინლად დავიჭიანკე, ბენ.
 ისმის მელოდია ბენის თემაზე. ბენი იქაურობას ათვალეირებს.
ჩარლი — ითამაშე, ითამაშე, უკეთესად დაგეძინება. მე ჩარლი მქვია, ბენი კი არა!
 ბენი საათზე დაიხედავს.
ვილი — სასაცილოა, შენ რატომღაც ჩემი ძმა ბენი მომაგონე.
ბენი — სულ რამდენიმე წუთი დამჩნა. (მდიდროდის, იქაურობას ათვალეირებს. ვილი და ჩარ-
 ლი თამაშს განაგრძობენ).
ჩარლი — ხომ არაფერი გაგიგია შენს ძმასზე?
ვილი — ვანა ლინდამ არ გითხრა? ამ ორიოდ კვირის წინ მისი ცოლის წერილი მივიღე აფრი-
 კიდან. ბენი მოკვდა.
ჩარლი — რას ამბობ!
ბენი — (ბითბითით). მაშ თქვენი ბრუკლინი ეს ყოფილა!
ჩარლი — არაფერი გიანდერათ?
ვილი — საიდან. თვითონ შეიდი შვილი ჰყავს... ოჰ, რა შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან...
ბენი — მატარებელზე მაგვიანდება, ვილი, სარეწაოები უნდა დავათვალეირო ალიასკაზე.
ვილი — მაშ, მაშ! მაშინ ალიასკაზე რომ გავყოლოდი, დღეს ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.
ჩარლი — როგორ არა! წახვიდოდი და გაიყინებოდი კიდევ!
ვილი — რას ამბობ?
ბენი — ალიასკაზე გამდიდრების დიდი შესაძლებლობაა, ვილიამ. მიკვირს, რომ ჯერაც არ წა-
 სულხარ იქით.
ვილი — დიდი შესაძლებლობაა.
ჩარლი — რა?
ვილი — ეს ერთადერთი კაცი იყო; რომელმაც გამდიდრების საიდუმლოება იცოდა.
ჩარლი — ვინ?
ბენი — სახლში როგორ ხართ?



ვილი — (მაგიდიდან ფულს მიითვლის, ეღიმება). კარგად, კარგად.
 ჩარლი — დღეს რალაც ძალიან ეშმაკობს!
 ბენი — დედა შენთან ცხოვრობს?
 ვილი — დედა დიდიხანია გარდაიცვალა.
 ჩარლი — ვინ?
 ბენი — როგორ მეწყინა! სამაგალითო ქალი იყო დედაჩვენი.
 ვილი — (ჩარლის). რა იყო?
 ბენი — მე კი მეგონა, დედას ვნახავდი.
 ჩარლი — ვინ მოკვდა?
 ბენი — მამასი ხომ არაფერი გაგიგია?
 ვილი — (განერვიულებული). რაო, ვინ მოკვდა?
 ჩარლი — (იღებს ფულს). რაზე ლაპარაკობ?
 ბენი — (საათს დახედავს). ვილი, უკვე ცხრის ნახევარია!
 ვილი — (ჩარლის ხელს დაუკერს). ახლა ჩემი აღება!
 ჩარლი — მე ტუხს ჩამოვედი!
 ვილი — თუ თამაში არ იცი, მე ფულის გადაყრას არ ვაპირებ!
 ჩარლი — (დგება). ღმერთმანი, ტუხს ჩამოვედი!
 ვილი — მორჩა, აღარ გეთამაშები!
 ბენი — დედა როდის გარდაიცვალა?
 ვილი — დიდი ხანია. თამაში არასოდეს არ იცოდი!
 ჩარლი — (იღებს ბანქოს და მიღის კარებისკენ). კარგი, მეორედ რომ მოვალ, ხუთ ტუხიან კარტს მოგიტანი!
 ვილი — მე პატიოსნად ვთამაშობ!
 ჩარლი — (მიუბრუნდება). გრცხვენოდეს!
 ვილი — მართლა?
 ჩარლი — მართლა (გადის).
 ვილი — (კარს მიუჯახუნებს). ხეპრე!
 ბენი — (ვილი უახლოვდება ბენს, გაივლის სამზარეულოს „ქედელში“). შენ ხარ, ვილიამ?
 ვილი — (ხელს ართმევს). ბენ, რახანია გელოდები... მითხარი, როგორ გამიღიღინა?
 ბენი — ეგ გრძელო ამბავია!
 აიანსკენაზე გამოდის ახალგაზრდა ლინდა, სარეცხით ხავე კალათი მოაქვს.
 ლინდა — თქვენ ბენი ბრძანდები?
 ბენი — (თავაზიანად). როგორ გიკითხოთ, ჩემო კარგო!
 ლინდა — სად იყავით ამდენ ხანს? ვილის სულ უკვირდა, ნეტავ რატომ...
 ვილი — (მოუთმენლად მიაბრუნებს თავისკენ). სად არის მამა? შენ იმას არ გაყევი? რითი დაიწყე?
 ბენი — არ ვიცი, შენ გახსოვს თუ არა?..
 ვილი — რა თქმა უნდა. ბევრე ვიყავი, სამი თუ ოთხი წლისა...
 ბენი — სამი წლის და თერთმეტი თვის...
 ვილი — რა მესხიერება გაქვს, ბენ!
 ბენი — ბევრი საწარმო მაქვს, დავტრები ანგარიში კი არასოდეს მიწარმოებია.
 ვილი — მახსენდება, ფურგუნის ქვეშ ვიჯექი, მგონი ნაბრასკაში, არა?
 ბენი — სამხრეთ დაკოტაში... მე მინდვრის ყვავილების კონა მოგიტანე.
 ვილი — მახსოვს, უკაცრიელ გზაზე მიდიოდი...
 ბენი — (სიცილით). ალიასკაში მივდიოდი მამას საძებრად.
 ვილი — ახლა სად არის?
 ბენი — მაშინ გეოგრაფიაზე წარმოგდგენაც არ მქონდა, ვილიამ. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ პირდაპირ სამხრეთისკენ მივდივარ და ალიასკის ნაცვლად აფრიკაში ამოვყავი თავი.
 ლინდა — აფრიკაში!
 ვილი — ოქროს ნაპირზე!
 ბენი — უფრო სწორად — ალმასის საბადოებზე!
 ლინდა — ალმასის საბადოებზე!
 ბენი — დიალ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ მე სულ რამდენიმე წუთი-და დამჩნა...
 ვილი — არა! ბიჭებო, ბიჭებო! (შემოდინა ბიფი და ჰეპი — ბიჭები). ყური დაუგდეთ ერთი! ეს თქვენი ბიძა ბენია, უდიდესი აღამიანი! ჩემს ბიჭებსაც უთხარი, ბენ!



ბენი — ბიჭებო, ჩეიღმეტი წლისა ჯუნგლებში შევედი და ოცდაერთი წლისა, ღმერთია მოწამე, (იციანს) მდიდარი გამოვედი იქიდან.

ვილი — (ბიჭებს). ახლა მაინც შეიგნეთ, რასაც გეჩინებთ ხოლმე? ხომ შეიძლება...

ბენი — (დაჰყურებს საათს). ხუთშაბათს კეტჩიკანში საქმიანი შეხვედრა მაქვს.

ვილი — არა, ბენ, გვიამბე რამე მამაზე, მინდა ჩემმა ბიჭებმა გაიგონ. მინდა იცოდნენ, რა ჩამომავლობისანი არიანი! მე მართა ის მახსოვს, რომ მამას გრძელი წვერი ჰქონდა, მე ცეცხლის პირას დედას კალთაში ვუჯექი და რაღაც საამური მუსიკა მესმოდა...

ბენი — ფლეიტა — მამა ფლეიტაზე უკრავდა!

ვილი — პო, პო, ფლეიტა, მართალია! (ამ დროს მოისმის მუსიკა). მდიდარი, მხიარული მელოდია.

ბენი — მამაჩენი სხვა კაცი იყო, დაუღვრომელი გული ჰქონდა. ბოსტონში ფურგონს რომ შეიბამდა, ჩაგვეამდა შიგ მთელ ოჯახს, გარკვედა ცხენებს და მთელ დასაველეთ შტატებს ოგაიოს, ინდიანას, მიჩიგანს, ილინოისს ვადასეკრავდა ხოლმე. ქალაქებში ვჩერდებოდით და გზადაგზა მამას გაეთებულ ფლეიტებს ვყიდდით. დიდი გამოგონებელი იყო მამა. ერთი უბრალო რაღაცით კვირაში მეტსა შოულობდა, ვიდრე შენისთანები მთელ თავის სიცოცხლეში იშოვნიან.

ვილი — მეც სწორედ ასე ვხრდი ჩემს შვილებს, ბენ, ღონივრები, მომხიბლავნი, ხელმარჯვეები უნდა იყვნენ...

ბენი — მართლა? (ბიფს). აბა, ბიჭუნი, რაც ძალი და ღონე გაქვს, გამარტყი! (მუცელს გამოებრავს).

ბიფი — არა, სერ, როგორ იქნება!

ბენი — (მოკრივის პოზას დაიჭერს). აბა, მოდი! (იციანს).

ვილი — აბა, ბიფ, შენ იცი, უჩვევე სერი!

ბიფი — კარგი! (მუშტებს შეეუმშავს და უახლოვდება ბენს).

ლინდა — რატომ უნდა ეჩხუბოს, ჩემო კარგო?

ბენი — (ბიფს ეტრეება). ყოჩაღ, ბიჭო! ყოჩაღ, ბიჭო!

ვილი — როგორია, ბენ?

ბენი — მარცხენათი მიდი, ბიფ!

ლინდა — რატომ ჩხუბობთ?

ბენი — ყოჩაღ, ბიჭო! (უცერად ბიფს ფეხს გამოსდებს, თავზე დაადგება და ქოლგის წვერს თვალთან დაუტრიალებს).

ლინდა — ფრთხილად, ბიფ!

ბიფი — ვაი!

ბენი — (ბიფს მუხლზე უთათუნებს). უცხოს პატროსნად არ ებრძოლო, ბიფ, თორემ ჯუნგლებიდან ვერ გამოხვალ (ლინდას ხელს ჩაჰკიდებს, თავს დაუკრავს). ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენთან გაეცნობა, მეტად კმაყოფილი ვარ, ლინდა.

ლინდა — (ცივიად გამოაცლის ხელს; შეშფოთებული). გზა მშვილობისა.

ბენი — (ვილის). წარმატებას გისურვებ. მართლა, რას აკეთებ?

ვილი — ვკაპრობ...

ბენი — აბა, კარგი... (გამოთხოვების ნიშნად ყველას ხელს უქნევს).

ვილი — არა, ბენ, არ მინდა გეგონოს, რომ... (მკლავში ხელს ჩასჭიდებს, რომ უჩვენოს). რა თქმა უნდა, ეს ბრუკლინია, მაგრამ ჩვენც ვნადირობთ ხოლმე...

ბენი — წუთო...

ვილი — დიად, დიად, აქ გველებიც არის და კურდღლებიც, სწორედ ამიტომ გადმოვსახლდი აქ. ბიჭებო, გაიქეცი, სადაც ახალ სახლს აშენებენ და სილა მოიტანეთ! ნახე, ამ წუთში ვერანდას გავაკეთებთ, შენ გვიყურე, ბენ!

ბიფი — დიად, სერი! აბა, ჰეჰ, სირბილი!

ბენი — (გარბის ბიფთან ერთად). ხედავ, მამა, წონაში ვკლებულობ! (ვიდრე ბიჭები გავიდოდნენ, შემოდის ჩარლი, მოკლე შარვალი აცვია).

ჩარლი — იცოდე, თუ იმ მშენებლობიდან კიდევ რამე მოჰპარეს, დარაჯი პოლიციას გამოიძახებს!

ლინდა — (ვილის) ბიფს აუტრძალე, რომ...
ბენი ხარხარებს.

ვილი — ერთი გენახა, რა ფიქრები მოათრევს იმ კვირას... რა ფული დამიჯდებოდა!

ჩარლი — ყური მიგდე — თუ დარაჯი...

ვილი — რა თქმა უნდა, კარგად გავჯორე, მაგრამ რა უშიშარი ბიჭები მყვანან!

- ჩარლი — ვილი, ცხნეები სწორედ უშიშარი ბიჭებით არის საესე.
- ბენი — (ვილის მხარზე ხელს დაჰკრავს, ჩარლის დასცინის). ეს რაღა საფონდო ბიჭაა, ჩემო მეგობარო!
- ვილი — (ბენის სიცილს აჰყვება). შენი შარვალი სულ ეგ არის?
- ჩარლი — რა ვენა, ჩემმა ცოლმა ასეთი მიყიდა...
- ვილი — ახლა გოლფის ჩაქუჩი-ლა გაკლია, აილე და წაღი დასაძინებლად. (ბენს). იცი, რა სპორტსმენია ეგ და მაგისი ვაჟკაცი ბერნარდი ერთ ლურსმანსაც ვერ ჩაარტობენ!
- ბერნარდი — (შემოვარდება). ბიფს დარაჯი გამოუღდა!
- ვილი — (გაბრაზებული). ვაჩუმილი ბიფს არაფერი მოუპარავს!
- ლინდა — (შეშფოთებული გაიქცევა მარცხნივ). საუ არის? ბიფ, შევილი! (გადის).
- ვილი — (მიდის მარცხნივ. ბენს დაშორდება). არაფერი მომხდარა. რა დაგეპართა?
- ბენი — ფიცხი ბიჭია, თანაც ამაყი. კარგია.
- ვილი — (სიცილით). ოჰ, ბიფს ნერვები რკინისა აქვს.
- ჩარლი — ვერაფერი გამიგია. ჩემი აგენტი ნაცემივით დაბრუნდა ახალი ინგლისიდან, სისხლი გაუშრტეს პირდაპირ.
- ვილი — ნაცნობობაა საქმე, ჩარლი, იცი, მე რა ნაცნობობა მაქვს!
- ჩარლი — (გესლიანად). ძალზე სასიამოვნოა, ვილი. მერე მოდი ჩემთან, კარტი ვითამაშოთ. პორტლენდში ნაშოვნი ფულიდან ცოტას მოგიგებ. (გადის).
- ვილი — (მიუბრუნდება ბენს). საქმე ძალიან ცუდად არის, მაგრამ რა თქმა უნდა ჩემი კა არა...
- ბენი — აფრიკაში წასვლამდე კიდევ შემოგივლი...
- ვილი — (ვედრებით). იქნებ ორიოდ დღეს დარჩე ჩემთან, ბენი ძალიან მჭირდები, ბენ, რადგან... მე ძალიან კარგი პირობები მაქვს, მაგრამ... ხომ იცი, სულ პატარა ვიყავი, როცა მამა წავიდა, ერთხელაც ვერ ველაპარაკე ხეირიანად და მე ჩემი თავი ამ ცხოვრებაში ისევ... ისევ მდგმური მგონია...
- ბენი — მატარებელზე მაგვიანდება... (ისინი სცენის თავსა და ბოლოში დგანან).
- ვილი — ბენ, ჩემი ბიჭები... ნუფუ ვერ ვილაპარაკებთ? ბიჭები ცეცხლში გადავარდებიან ჩემი გულისთვის, მაგრამ მე...
- ბენი — ვილიამ, შენ მშვენივრად ზრდი ბიჭებს. არაჩვეულებრივი, მამაცი ყმაწვილები არიან!
- ვილი — ოჰ, ბენ, როგორ მიხარია, რომ მაგას ამბობ! ზოგჯერ შიში ამიტანს ხოლმე, ვაიი-უ ისე არ ვასწავლი, როგორც... ბენ, როგორ უნდა ვასწავლო?
- ბენი — (ბოროტი თავხედობით). ვილიამ, ჩვიდმეტი წლისა ჯუნგლებში შევედი, და ოცდართი წლისა, ღმერთი მოწამეა, უკვე მდიდარი გამოველ იქიდან! (გადის სიბნელეში სახლის მარჯვენა მხარეს).
- ვილი — მდიდარი! აი, სწორედ ეგ მინდა ჩავვაზონ ჩემს ბიჭებს! შედით ჯუნგლებში! მე სწორი ვიყავი, სწორი, სწორი! (ბენი წასულია, მაგრამ ვილი კვლავ მას ელაპარაკება. სამზარეულოში შემოდის ლინდა. ღამის პერანგზე ხალათი აცვია. ლინდა ვილის ეძებს, კარბთან მივა, გარეთ გაიხედავს და ვილის დაინახავს. უახლოვდება).
- ლინდა — ვილი, ჩემო ძვირფასო, ვილი!
- ვილი — მე სწორი ვიყავ!
- ლინდა — ჰამე ყველი? (ვილი არ პასუხობს). უკვე ძალიან გვიანაა, ძვირფასო, წამო, დავიძინოთ, კარგი?
- ვილი — (ზევით იქიჩრება). კისერიც რომ იღრძო ცაში ცქერით, ერთ ვარსკვლავსაც ვერ დაინახავ ამ ვზოს ზემოთ.
- ლინდა — შემოხალ?
- ვილი — რა იქნა ის აღმასიანი ძეწქვამი ვახსოვს, ბენი აფრიკიდან რომ დაბრუნდა, სწორედ მაშინ მაჩუქა საათის ძეწქვი, შიგ ალმასი იყო ჩასმული!
- ლინდა — აგი დააგირავე, ძვირფასო, ამ თორმეტ-ცამეტი წლის წინათ ბიფის სწავლისთვის ქირა რომ გვეწონდა შესატანი.
- ვილი — აფსუს, რა კარგი რამ იყო! ცოტას გავივლი.
- ლინდა — ფეხთ რომ ფლოსტები გაცვია!
- ვილი — (სახლს მარცხნიდან შემოუვლის). სწორი ვიყავი, სწორი ვიყავი! რა კაცი იყო! აი, იმასთან ღირდა ლაპარაკი! სწორი ვიყავი!
- ლინდა — ვილი, ფეხთ ფლოსტები გაცვია! (ვილი უკვე წასულია, როდესაც კბეებზე ჩამოდის ბიფი და სამზარეულოში შედის. პიეპა აცვია).
- ბიფი — იქ რა უნდა?
- ლინდა — სსს!



ბიფი — ღმერთო ჩემო, მითხარი ერთი, დიდი ხანია რაც ეს დაემართა?
 ლინდა — ჩემოდ, არ გავიგოს.
 ბიფი — რა ჯანდაბა მოუვიდა?
 ლინდა — დილაზე გაუვლის!
 ბიფი — ვერაფრით ვუშველით?
 ლინდა — ოჰ, ჩემო კარგო, დაგაგვიანდა, ახლა აღარაფერი გაეწყო. წადი, დაიძინე! (შეპი ჩამოდის კიბეზე და საფეხურზე ჩამოჯდება).
 ბიფი — არასოდეს არ გამოვიდა, რომ ასე ხმამალა ელაპარაკოს, დედა.
 ლინდა — უფრო ხშირად მოდი ხოლმე და გაიგონებ. (მაგიდას მიუჯდება), ვილის პიჯაკს სარჩულს აკერებს).
 ბიფი — რატომ ერთხელ მაინც არ მომწერე, დედა?
 ლინდა — როგორ უნდა მომეწერა, სამ თვეს შენი მისამართი არ ვიცოდი!
 ბიფი — პო, სულ ვმოგზაურობდი. მაგრამ ხომ გჯერა, მუდამ შენზე ვფიქრობდი. ხომ მართლა გჯერა, ჩემო მეგობარო?
 ლინდა — მჯერა, ჩემო ძვირფასო, მჯერა... მაგრამ მამაშენს წერილების მიღება უყვარს, მაშინ ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.
 ბიფი — ყოველთვის ასეთია ხოლმე, დედა?
 ლინდა — შენ რომ ჩამოდიხარ, უარესი ხდება.
 ბიფი — როცა მე ჩამოვდივარ?
 ლინდა — როცა იწერები მოვდივარო, სიხარულით სახე უცინის, მომავალზე ოცნებობს... რაც უფრო ახლოვდება შენი ჩამოსვლის დღე, მით უფრო ღელავს; ჩამოხვალ და სულ თავისთვის ეკამათება, შენზე წაღვლობს. მე გგონია, მაგის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ შენ... გული ვერ გაგახსნევინა. რატომ შეიძულეთ ერთმანეთი? რატომ?
 ბიფი — (პასუხს თავს არიდებს). მე სულაც არ მძულს, დედიკო.
 ლინდა — კი, მაგრამ კარებში ფეხი არ შემოვიდგამს და უკვე ჩხუბობთ.
 ბიფი — ვერაფერი გამოვიდა... მინდა გამოვიცვალო, ძალიან ვცდილობ! დედა, გამიგე?
 ლინდა — ღარჩები?
 ბიფი — რა ვიცი, ჯერ მივიხედ-მოვიხედო, ვნახო საქმე როგორ წავა...
 ლინდა — როგორ შეიძლება მთელი წენი ცხოვრება მიხედ-მოხედვას მოანდომო?
 ბიფი — ჯერ ვერაფერს დაეუღე გული, დედა. ცხოვრებაში ჩემი გზა ჯერ კიდევ ვერ მიპოვია.
 ლინდა — ბიფ, კაცი ფრინველი ხომ არ არის — გაზაფხულზე მოფრინდეს და შემდეგ გაფრინდეს?
 ბიფი — შენი თმა... (თმას ხელს შეაჭებს). როგორ გაგთეთრებია...
 ლინდა — თმა მამინაც თეთრი მქონდა, შენ რომ სკოლაში დადიოდი, ახლა აღარ ვიღებავ, იმტომაც გაეთთრდი.
 ბიფი — შეიძლება ხოლმე, კარგი? არ მინდა დამიბერდე (იღიმება).
 ლინდა — რა ბავშვი ხარ! შენ კვლავ გგონია, რომ შეიძლება ერთი წლით ვადაიკარგო და როცა... კარგად დაიხსომე, ერთხელაც იქნება მოაკაქუნებ და კარს უცხო ხალხი გაგიღებს...
 ბიფი — მაგას რად ამბობ? ჯერ ხომ სამოციასაც არ ხარ, დედა!
 ლინდა — მამაშენი?
 ბიფი — (უხერხულად). ისიც...
 ლინდა — ბიფ, ჩემო ძვირფასო, თუ მამაშენი არ გიყვარს, მაშინ არც მე გყვარებოვარ.
 ბიფი — შენ მიყვარხარ, დედა.
 ლინდა — არა, მარტო ჩემს სინახავად არ უნდა მოდიოდე... მე მამაშენი მიყვარს. (მის ხმაში იგრძნობა, მხოლოდ იგრძნობა ცრემლები). მთელ ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი ჩემთვის მამაშენია და არაფერს მივცემ ნებას აგრძობინოს — არ გვინდობხარ, დაამციროს, დაჩაგროს. ახლავ გადამწყობე, ჩემო ძვირფასო, სხვა გზა არ გაქვს — ის ან მამაშენია და მამის საკადრისი პატივი უნდა სცე, ან და აქ ფეხსაც ვერ დაადგამ. ვიცი, მამაშენთან ადვილი არ არის მორიგება... ჩემზე კარგად ეგ ვინ იცის, მაგრამ...
 ვილი — (მარცხნიდან, სიცილით). ეი, ეი, ბიფ!
 ბიფი — (პირებს მამასთან ვასვლას). რა ეშმაკი ემართება? (შეპი აჩერებს).
 ლინდა — ახლოს... ახლოს არ მივკარო!
 ბიფი — ბოდიშებს ნუ ხდი! ეგ არ იყო, რომ არაფრად გავდებოდა, ოღონდ პატივსაც არ გცემდა!
 ბიფი — არაფერიც, მამა დედას მუდამ პატივს სცემდა...
 ბიფი — შენ მაგისი რა იცი?
 ბიფი — (გაბრაზებით). აბა, მამასთვის ერთი გიყი დაგიძახნია!

ბიფი — სუსტი ხასიათი აქვს — ჩარლი ამას თავის დღეში არ იზამდა! საკუთარ სახლში... ასე ამოანთხიოს გონებაში დაგუბებული საზიზღრობა!

ჰეპი — ჩარლის ამდენი არ გადაუტანია.

ბიფი — სხვებს ვილი ლომენზე მეტიც გადაუტანიათ, დამეჯერება, ჩემი თვლით ვნახე!

ლინდა — მაშინ ჩარლი გაიხადე მამად, ბიფ. რა, არ შეგიძლია? მე არ ვამბობ, თითქოს მამაშენი დიდი ვინმე იყოს, ვილი ლომენი დიდი ფულის მოპეები არასოდეს არ ყოფილა. არც გაზეთებში დაუწერიათ მაგაზე რამე, არც ხასიათით არის უნაკლო. მაგრამ ვილი ლომენი ადამიანია და ახლა რაღაც საშინელი ემართება. ყურადღება სჭირდება. უპატრონო ძალღივით ხომ არ უნდა ჩავიდეს სამარეში! ამ კაცს ახლა ყურადღება სჭირდება, გესმით, ყურადღება. შენ მას გიყი უწოდებ...

ბიფი — მე ის კი არ მითქვამს, რომ...

ლინდა — არა, ბევრი ფიქრობს, რომ ვილის... გონება აებნა. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ მიხედო, რა ემართება. მაგ კაცს ქანცი გამოეღია.

ჰეპი — მართალია!

ლინდა — წელს მარტში ოცდათექვსმეტი წელი გახდება, რაც მამაშენი ვაგნერის კომპანიაში მუშაობს, ახალი ბაზრები უშოვა საქონლისათვის, და ახლა, როცა დაბერდა, ფირმამ ჯამაგირი წაართვა.

ჰეპი — (აღშფოთებით). ეგ შე არ ვიცოდი, დედა!

ლინდა — ხომ არც გიკითხავს, ჩემო ძვირფასო! ახლა ჯიბის ფულს ისეც შოულობ და მამა რაღაში გეკითხება?

ჰეპი — ამას წინათ ხომ მოგეცი ფული...

ლინდა — საშობაოდ რამდენი მომეცი? ორმოცდაათი დოლარი! ცხელი წყლის გამოყვანა კი ოთხმოცდაჩვიდმეტხანხევარი დოლარი დაჯდა! უკვე ხუთი კვირაა, რაც მამაშენი მარტო საკომისიო გასამარჯელოზე მუშაობს, თითქოს ვინმე დამწყები კომივოიაჟერი იყოს!

ბიფი — ეგ უმადური არამზადები!

ლინდა — როდესაც მამაშენი ფირმას მოგებას აძლევდა, როდესაც ახალგაზრდა იყო, ადამებდნენ კიდევ. მაგისი ძველი მეგობრები, ძველი მეუბრები ან დაიხონენ, ან სამსახურს თავი დაანებეს. წინათ ბოსტონში ექვს-შვიდ მაღაზიას თავისუფლად მოივლიდა, ახლა კი საკაპარისია მანქანიდან ჩემოდანი გადმოიღოს, უკვე დაღლილია. სიარულის ნაცვლად ახლა მხოლოდ ლაპარაკობს. ვაიელის შეიდას მიღს, ჩავა ქალაქში და ხედავს, რომ იქ მას უკვე აღარაფერ იცნობს, აღარაფერ ეგებება. რა ფიქრი არ მოუვა კაცს თავში, როდესაც სახლამდე შეიდასი მილი აქვს ვასავლელი, ჯიბეში კი ერთი ცენტრიც არ უდევს! განა არ დაუწყებებს ლაპარაკს თავისთვის? აბა მიპასუხეთი ყოველ კვირა ჩარლისგან ორმოცდაათი დოლარი სესხებულბა და მე კი მატყუებს, ჯამაგირი ავიღო. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? რამდენ ხანს? შენ კი მეუბნები, მამას ნებისყოფა არ აქვსო, მამას, რომელმაც მთელი სიცოცხლე თქვენ შემოგალიათ! განა ესაა მაგის ჯილდო, როცა სამოცდასამი წლის კაცი ხედავს, რომ მისი ერთი ვაჟი, რომელიც თვლის ჩინს ერჩივნა, ქალებს ვადაპყობია...

ჰეპი — დედა!

ლინდა — სხვა არაფერი გამოვიდა შენგან, ჩემო ბიჭიო! (ბიფს). შენ... შენ რაღამ ვაგიქრო მამაშენის სიყვარული? როგორი მეგობრები იყავით! გახსოვს, ყოველდამ ტელეფონით რომ ელაპარაკებოდი ხოლმე? როგორ ნალელობდა, ვიდრე შინ დაბრუნდებოდი!

ბიფი — კარგი, დედა, აქ დაგრჩები, სამსახურსაც ვიშოვი, ვეცდები, არ ავყვე ხოლმე, მეტი რა გქნა!

ლინდა — არა, ბიფ, როგორ იქნება შინ დარჩე და დაუსრულებლად იკინკლაოთ...

ბიფი — ნუ დაივიწყებ, რომ მამაჩემმა სახლიდან გამავლო.

ლინდა — მეტი რატომ? შე დღემდე არაფერი ვიცი.

ბიფი — იმით რომ მატყუარაა და არ უნდა გვერდით ჰყავდეს, ვინც ეს იცის!

ლინდა — როგორ თუ მატყუარა? რაინიარა? რისი თქმა გინდა?

ბიფი — ყველაფერს მე კი ნუ გადმოიმბარალები ეს შე და იმან ვიცი. მეტს აღარაფერს ვიტყვი. ანგარიშს როგორმე გავუსწორებ — ჯამაგირის ნახევარს მივცემ, ყველაფერი მოგვარდება, მამაც კარგად იქნება, ახლა კა წავალ, დავიძინებ. (მოდის კიბისკენ).

ლინდა — არა, მამა არ იქნება კარგად.

ბიფი — (შემოტრიალდება საფეხურზე, გაბრაზებული). ეს ქალაქი მამას და მამაც ვერჩები, მეტი რა გინდა?

ლინდა — მამაშენი დაღუპვის პირზეა, ბიფ.



პევი სწრაფად შებრუნდება დედისკენ, შეშფოთებულია.

ბიფი — (პაუზის შემდეგ). დალუპვის პირზე? რატომ?

ლინდა — თავის მოკვლას აპირებს.

ბიფი — (ძალზე შეწინებულად). რა?

ლინდა — დღე რომ მშვიდობით ჩაივლის, ვფიქრობ — ნეტა ხვალ რა იქნება-მეთქი.

ბიფი — რას ამბობ?

ლინდა — ვახსოვს, რომ გწერდი — თებერვალში მანქანა ისევ დაამტვრია-მეთქი?

ბიფი — მერე?

ლინდა — დაზღვევის ინსპექტორი მოვიდა, მითხრა — მოწმევა გვყავს, რომ შარშანდელი უბედური შემთხვევები სულაც არ იყო... სულაც არ იყო უბედური შემთხვევები...

პევი — მაგის თქმა როგორ გაბედა! სიცრუეა!

ლინდა — თურმე ერთმა ქალმა... (სულს ძლივს ითქვამს).

ბიფი — (მკვახლად, მაგრამ თავშეკავებით). ვინ ქალმა?

ლინდა — იმ ქალმა...

ლინდა — რა?

ბიფი — არაფერი, განავრძე.

ლინდა — რა თქვი?

ბიფი — არაფერი. ვიკითხე მხოლოდ — ვინ ქალმა-მეთქი.

პევი — რა ქნა იმ ქალმა?

ლინდა — ჰოდა, თურმე ის ქალი გზაზე მიდიოდა და მანქანა დაუნახავს. მანქანა არც დიდი სისწრაფით მიდიოდა და არც ბუქსაობდო. იმ ქალს უთქვამს — მანქანა პატარა ხიდს მიაცუნა და მოაჯირის განგებ დააჯახა, მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ წყალი თხელი იყო.

ბიფი — არა, არა, ალბათ ისევე ჩაედინა.

ლინდა — არა მგონია ჩასძინებოდა.

ბიფი — რატომ?

ლინდა — იმ თვეში... (ძლივს). ოჰ, ბიჭებო, რა ძნელი ამის თქმა თქვენ მამა მხოლოდ მოხუც, სულელ ადამიანად მიგაჩნით, მე კი გეტყვით, რომ მამათქვენი ბევრ სხვასა სჯობს... (ცრემლები ახრჩობს, თვალებს მოიწმენდს). ელექტრომკვლელები უნდა გამესინჯა. სინათლე გადაიწვა და იმიტომ ჩავედი სარდაფში. მცველის ყუთს უკან — შემთხვევით გადმოვარდა იქიდან — რეზინის მილი იდო... მოკლე მილი...

პევი — ხუმრობ!

ლინდა — ბოლოთი ოდნავ მიმაგრებული იყო. მაშინვე მივხვდი ყველაფერს. მართლაც, წყლის სადღურას ბოლოში, გაზის მილზე ახალი ნიპელი მიმაგრებული.

პევი — (გაბრაზებული). ეგ რაღა!

ბიფი — ხომ მოაშორებინე იქიდან ეგ ყველაფერი!

ლინდა — მე... მე მრტყენია. როგორ უნდა ვუთხრა? ყოველდღე ჩავლივარ ქვევით და ამოაქვს გადასაღებლად, მაგრამ შინ რომ ბრუნდება, უკანვე ვდებ. განა შემიძლია ვაწყენინო? არ ვიცი რა ვქნა. დღეს ძლივს ვღამებ, ბიჭებო. გეუბნებით, მისი ყოველი ფიქარი ვიცი. იქნებ ეს შეტად მოსაწყენი და სულელურია, რასაც გეუბნებით, მაგრამ მამამ მთელი სიცოცხლე თქვენ შემოგალიათ, თქვენ კი ახლა ზურგი შეაქციეთ. (მოიხარა, ტირის, სახე ხელებში აქვს ჩაფლული). ბიფ, ღმერთმანი, ბიფ, მამაშენის სიცოცხლე შენს ხელში!

პევი — (ბიფს). როგორ მოგწონს ეს წყველი ჩერჩეტი?

ბიფი — (პკოცნის). კარგი, დედიკო, კარგი. ყველაფერა მორჩა. ვიცი, მე სწორი არ ვიყავი. დედა. მაგრამ ახლა შინ ვრჩები, გეფიცები, რაიმე გზის მოძებნი (დაიჩოქებს დედის წინ, თავისთავს არ ინდობს). იცი, დედა... საქმე ისაა, რომ ასეთ რამეებში არ ვვარგდვარ. არა, ცდით კი უთუოდ ვეცდები, ვეცდები, ჩემსას მაინც ვაეტიან!

პევი — ვაიდან კიდევ! კომერციამო ბელმა იმიტომ გიმტყუნა, რომ ხალხისთვის თავის მოწონებას არა ცდილობდი.

ბიფი — ვაი, მე...

პევი — აი, თუნდაც პარისონთან რომ მუშაობდი, ბოზ პარისონი შენზე ამბობდა — უკეთესი არავინ შეგვლუბაო, შენ კი რა სისულელეებს ჩადიოდი — ვილაც ტაკიმასხარასავით ლიფტში უსტვენდი!

ბიფი — (გაბრაზებული). მერე რა მოხდა? ზოგჯერ მაყვარს სტვენა!

პევი — პასუხსაგებ სამუშაოზე ვინ დანიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ლიფტში უსტვენს!

ლინდა — კარგით, ახლა მაგაზე ნუ იკამათებთ.

პევი — ანდა სამუშაო საათებში განა სამსახური არ მიგიტოვებია და საცურაოდ არ წასულხარ?



ბიფი — (თანდათან ბრაზი ერევა). შენ კი არ გარბიხარ ხოლმე სამსახურიდან? თქვი, არ მიდიხარ ხოლმე? მაგალითად, ზაფხულის პაპანაქება დღეს?

ჰეპი — თუ კი მივდივარ, თავის დაძვრენაც ვიცი!

ლინდა — ბიჭებო!

ჰეპი — თუ ათესვა მოვინდომე, ბოსმა სადაც უნდა დარეკოს და მიკითხოს, ყველგან ეტყვიან, ამ წუთას გავიდაო. ამის თქმა არ მინდოდა, ბიფ, შენთვის, მაგრამ სავაჭრო წრეებში ზოგიერთები ფიქრობენ, რომ შენ გაკლია.

ბიფი — (გაბრაზებულად). ჯანდაბანს სავაჭრო წრეები!

ჰეპი — მართალია, ჯანდაბანს, მაგრამ მაინც უნდა იცოდეს კვალის წაშლა!

ლინდა — ჰეპ, ჰეპ!

ბიფი — მიმიფურთხებია მათი ნაფიქრალისთვის! მამას მთელი წლების განმავლობაში დასცინოდნენ და იცი, რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ამ ქალაქის საგიეტოს არ ვეკუთვინით! ჩვენ თიხას უნდა ვზედდეთ სადმე გაშლილ მინდორზე, ან... ან ხუროები ვიყოთ. ხუროს სტევენას ვერაიენ აუტრქალავს. (მარცხენა კარებიდან შემოდის ვილი).

ვილი — პაპაშენიც კი ხუროზე მეტი იყო! (პაუზა, ვილის აკვირდებიან). შენგან არაფერი გამოვა. ბერნარდი ლიტვში სტევენას არ დაიწყებდა არასოდეს, დამიჯერე.

ბიფი — (ცდილობს სიცილში ჩაუტაროს). კი, მაგრამ, შენც ხომ უსტევენდი, მამა?

ვილი — ჩემს სიცოცხლეში ლიტვში არ დამისტვენია! ეგ ვინ ფიქრობს სავაჭრო წრეებში, ვილი ლომენი გივიაო?

ბიფი — ეგ არავის უთქვამს, მამა. მოდი ბუზს სპილოდ ნუ გადავაქცევთ, კარგი?

ვილი — დაბრუნდი დასავლეთში! ვინდ ხურო გახდი, ვინდ კოვბოი, როგორც გენებოს!

ლინდა — ვილი, ბიფი ამ წუთში ამბობდა, რომ...

ვილი — კარგად გავიგე, რაც ოქვა!

ჰეპი — (ცდილობს ვილი დაამშვიდოს). კარგი ერთი, მამა...

ვილი — (აწყვეტილებს). მაშ დამცინოდნენ? აბა, მიდი ბოსტონში ფაილინთან, ჰაბთან, სლატერისთან, ახსენე ვილი ლომენის სახელი და ნახავ, რა მოხდება! ვილი ლომენი ცნობილი კაცია!

ბიფი — კარგი, მამა.

ვილი — ცნობილი-მეთქი, გესმის?

ბიფი — კარგი!

ვილი — რატომ მაყენებ მუდამ შეურაცხყოფას?

ბიფი — მე კინტიც არ დამიძრავს. (ლინდას). განა ვთქვი რამე?

ლინდა — არაფერი უთქვამს, ვილი.

ვილი — (სასტუმრო ოთახის კარებთან მივა). მაგრე იყოს. ძილი ნებისა, ძილი ნებისა!

ლინდა — ვილი, ჩემო ძვირფასო, ბიფმა გადაწყვიტა...

ვილი — (ბიფს). ხვალ თუ მოტნარება მოგებურდეს, სასტუმრო ოთახში ჰქერი შეღებე.

ბიფი — დილას ადრე მივდივარ.

ჰეპი — ხვალ ბილ ოლივერის ნახვას აპირებს, მამა!

ვილი — ოლივერის ნახვას? რისთვის?

ბიფი — (ძალისძაღად). ოლივერი მუდამ მეუბნებოდა, დაგეზმარებო. მინდა რამე საქმე წამოვიწყო და იქნებ ისიც დავიყოლიო.

ლინდა — განა საუცხოო არ იქნება?

ვილი — ნუ მაწყვეტინებ. რა ნახე ამაში საუცხოო? ნუ-იორკში ორმოცდაათი კაცი მაინც გამოჩნდება ისეთი, ვინც ამას მხარს დაუჭერს. (ბიფს). სპორტული საქონელი?

ბიფი — მაგრე ვფიქრობ. მაგისი ცოტა გამეგება და...

ვილი — გესმით, რას ამბობს — ცოტა გამეგება! სპორტსაქონლის ცოდნაში შენ თეთი სპოლდინგიც ვერ შეგედრება! რამდენს მოგცემს?

ბიფი — რა ვიცი, ოლივერი ჯერ არ მინახავს, მაგრამ...

ვილი — მაშ რაღას ლაპარაკობ?

ბიფი — (ბრაზი ერევა). მე რა ვთქვი — ოლივერის ნახვას ვაპირებ-მეთქი! სხვა ხომ არაფერი მითქვამს!

ვილი — (გაბრუნდება). თევზის წყალში დაფასება დაიწყე ისე?

ბიფი — (მიღის კიბეებისკენ). დალახეროს ეშმაქმა, წავალ, დავიძინებ!

ვილი — (მიამახებს). ამ სახლში გინება აღარ გაბედო!

ბიფი — (მიუბრუნდება). როდის აქეთ გახდი ასეთი ენაშენახული?

ჰეპი — (ცდილობს ორივე დააწყნაროს). მოიცაათ...



ვილი — ასე ნუ მელაპარაკებინ მე ნებას არ მოგცემ!

ზები — (ბიფს ხელს ჩასვიღებს, ყვირის). ერთ წუთს მოიცაოთ რალაც იღვა დამებოდა! შესრულება ძნელი არ არის! მოდი, ბიფ, მოვილაპარაკოთ, გონიერულად აეწონ-დაეწონოთ. ამას წინათ ფლორიდაში რომ ვიყავი, სპორტსაქონლის გასაღების შესანიშნავი ახარ დამებოდა! ახლა ისევე გამახსენდა! მე და შენ, ბიფ, სხვანაირად ვივაჭრებთ — ლომენების ფირმა! ორიოდე კვირას ვივარჯიშებთ და შერე ორიოდე შეჯიბრს მოვაწყობთ, გამიგე?

ვილი — აი, იდეაც ამას ჰქვია!

ზები — დამაცა. შევადგენთ კალათბურთის ორ გუნდს, გესმის? ორსაც წყალბურთისას. ვთამაშობთ ერთმანეთის წინააღმდეგ! მართო ეს რეკლამა ღირს მილიონად! წარმოგიდგენია — ორი ძმა! ძმები ლომენები! ვიტრინა „სამეფო პალატაში“ მოვაწყობთ, სხვა ოტელებშიც! რინგზე და კალათბურთის მოედნებზე ალბები — „ძმები ლომენები“! ნახავ, ჩემო ბიჭუნო, როგორ ვაგვიასაღდება სპორტსაქონელი!

ვილი — ეს იღვა მართლაც მილიონად ღირს!

ლინდა — ბრწყინვალეა!

ბიფი — შე თუ მკითხავთ, არც მე დავიწყუნებ!

ზები — ამის სილამაზე ის არის, ბიფ, რომ სამსახურს სულაც არ ემგვანება! ძველებურად ვითამაშებთ ბურთს...

ბიფი — (აღტაცებით). აი ეს მესმის...

ვილი — მილიონ დოლარად...

ზები — არც შენ მოგებურდება, ბიფ, ოჯახიც ისევე ოჯახი იქნება, წინანდებური პატივისცემა, მეგობრობა... თუ კი შენ საყურადღებოდ მოგინდება წასვლა, ან სხვაგან სადმე — ვინ დაგვიშლის, მიბრძანდეს!

ვილი — ყველას აჯობებთ! თქვენ ორნი ერთად, ბიჭებო, მთელ ქვეყანას აჯობებთ!

ბიფი — ხვალ უთუოდ ენახავ ოლივერს. ჰვებ, ჩვენ თუ ეს საქმე გამოგვივიდა...

ლინდა — ნეტა...

ვილი — (უცნაურად აღტაცებული, ლინდას). ნუ მაწყვეტინებ! (ბიფს). იცოდე, სპორტულ კოსტიუმით არ მიხვიდე ოლივერთან!

ბიფი — არა, მე...

ვილი — ჩაიცვი სადა კოსტიუმი, რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკე და შენებურად ოხუნჯობას არ მოჰყვე.

ბიფი — ოლივერს ჯალიან მოეწონდი, მუდამ მოეწონდი.

ლინდა — ოლივერს უყვარდა!

ვილი — (ლინდას). აღარ გაჩერდები? (ბიფს). შედი ძალიან დარბაისლურად, სამუშაოს სათხოვრად ხომ არ მიდიხარ, ფული უნდა გამოართვა! მშვიდად იყავი, თავი კარგად დაიკირე, სერიოზულობა არ დაკარგო. ყველას მოსწონს ოხუნჯობა, მაგრამ ოხუნჯს ფულს არავინ ასესხებს!

ზები — მეც ვეცდები ფული ვიშოვო, იქნებ მოვახერხო რამე!

ვილი — ბიჭებო, წინ მშვენიერი მომავალი გაქვთ, მორჩა ჩვენი ვაჭირებვა! მაგრამ დიხსომეთ — დიდით დაიწყეთ და დიდითვე დაამთავრებთ! თხუთმეტი ათასი გამოართვი. შენ როგორ ფიქრობ?

ბიფი — მშ, არ ვიცი...

ვილი — ნუ ამბობ „მშმ“, „მშმმ“, — ასე ბიჭებმა იციან. კაცი, რომელიც თხუთმეტი ათასი დოლარის სასესხებლად მიდის, მშმ-ს არ იტყვის!

ბიფი — ათსა ვთხოვ, მეტს ვერა!

ვილი — ნუ ხარ გაუბედული! შენ მუდამ ძალზე ცოტას თხოულობ ხოლმე. ოლივერთან მზიარული შედი, მოწყენილი არ ეჩვენო. ორიოდე ანგელოტიც უამბე, რომ საქმე კარგად წავიდეს! საქმე ის კი არაა, რას უამბობ, მთავარი ის არის — როგორ უამბობ, იმეტრომ რომ მთავარია კაცს მოეწონოს!

ლინდა — ოლივერს მუდამ მოსწონდა ბიფი!

ვილი — დამაცდი ლაპარაკს?

ბიფი — დედას ნუ უყვირი, გესმის?

ვილი — (გაბრაზებული). მე ხომ ვლაპარაკობდი...

ბიფი — გუბუნები, არ მომწონს, რომ დედას სულ უყვირი!

ვილი — შენა ხარ უფროსი ამ სახლში?

ლინდა — ვილი...

ვილი — (მთებრუნდება ლინდას). შენ კი მუდამ ამას ნუ უქერ ხოლმე მხარს, ჯანდაბას თქვე-

ნი თავი!

ბიფი — (განრისხებული). ნუ უყვირი!

ვილი — (ერთბაშად მოეშვა, თითქოს ნაცემიო, სინდისი ჰქენჯნის). ბილ ოლივერს ჩემვან მოკითხვა გადაეცე — იქნებ კიდევ ვახსოვდე! (შედის სასტუმრო ოთახში).

ლინდა — (ხმადაბლა). ისევ რად დაიწყე. (ბიფი გაბრუნდება). ნახე, როგორი კარგი გახდა, როცა იმედიაანდ დაუწყე ლაპარაკი? (შიდის ბიფისკენ). წადი, ღამე მშვიდობისა უსურვე. ცოდვია, ასე რომ დაიძინოს.

ბები — წამო, ბიფ, ცოტა გავახალისოთ მამა.

ლინდა — გენაცვალე, ბიფ, ძალიან გთხოვ. მხოლოდ ღამე ნებისა უსურვე, მაგას ეგ მცირედიც ეყოფა სასიხარულოდ. წამოდი. (გადის სასტუმრო ოთახის კარებში, სასტუმრო ოთახიდან ზვეით ასძახის) შენი პიკამა სააბაზანოშია, ვილი!

ბები — (ღედას ვასცქერის), აი, ჭალიც ამას ჰქვია! ასეთებს ახლა აღარ აკეთებენ, ყალიბი გაუტყდათ, იცი, ბიფ!

ბიფი — მამას ჯამაგირი წაართვეს, მარტო საკომისიოდ მუშაობს. ოჰ, ღმერთო ჩემო!

ბები — მოდი, პირდაპირ ვთქვათ — მამაჩვენი კომიზონიადერად უკვე აღარ ვარგა. თუმცა კი ზოგჯერ კვლავ შეუძლია მოაწონოს კაცს თავი.

ბიფი — (როგორც იქნა, ვაბედა). მასესხებ ათ დოლარს? მინდა ახალი ჰალსტუკი ვიყიდო.

ბები — ერთი ადგილი ვიცი, იქ წაიყვიან. მშვენიერი საქონელი აქვთ. გინდა, ხვალ ჩემი რომელიმე ზოლიანი პერანგი ჩაიცვი.

ბიფი — ღედას თმები სულ გაუშვალარავედა, ძალიან დაბერდა. არა, ხვალ უთუოდ უნდა მივიდე ოლივერთან და როგორმე გამთვალავო...

ბები — წამოდი, მამასაც უთხარი ეგ, გულს გაუყუთებს, წამო, წამო!

ბიფი — (აგზნებული). წარმოგიდგენია, ბიჭო, ეგ ათი ათასი თუ ვიშოვებ, რა იქნება?

ბები — (სასტუმრო ოთახში ვასცქერის). აი, ეს მესმის, ბიფ, ძლივს არა ვხედავ ძველ ბიფს! (სასტუმრო ოთახიდან, ხმა თანდათან იკარგება). ჩემთან იცხოვრე, ბიჭო, და რომელი გოგოც უნდა მოინდომო, შენ ერთი სიტყვა თქვი და... (ბოლო სიტყვები ძლივსაა ისმის. აღიან კიბზე მშობლების საწოლ ოთახში).

ლინდა — (შედის თავის საწოლ ოთახში და მიმართავს ვილის, რომელიც სააბაზანოშია, თან მის საწოლს ასწორებს). მაგ შხაბს ვერაფერს მოუხერხებ? ისევ წვეთავს.

ვილი — (სააბაზანოდან). რა ერთბაშად ფუჭდება ხოლმე ყველაფერი? ღმერთმა დალახვროს ეს წყალსადენის გამყვანები, სსსამართლოში უნდა უჩივლო მაგათ! ძლივს შხაბი გაყვიეთ და უკვე... (სიტყვები გარკვევით აღარ ისმის).

ლინდა — ნეტა თუ ეხსომება ოლივერს ბიფი? შენ როგორ გგონია, ვილი, ახსოვს?

ვილი — (გამოდის სააბაზანოდან, ბიკამა აცვია). რაო, ახსოვსო? შენ რა, ჭკუა ხომ არ გამოგლეჯია? ბიფი ოლივერთან რომ დარჩენილიყო, ახლა იცი რა იქნებოდა? ერთი შეხედოს ოლივერმა და მეტი არ უნდა! შენ არ იცი, ახლა როგორი თაობა წამოვიდა. ახლანდელი ახალგაზრდები (წება საწოლში) აღარაფრად აღარ ვარგანან. უსაქმოდ ხეტიალის მეტი რა იცინა!

საწოლ ოთახში შემოდინ ბიფი და ბები. მცირე პაუზა.

ვილი — (სიტყვას გაწყვეტს, ბიფს შესცქერის). შენი ამბავი ძალიან მახარებს, ჩემო ბიჭო.

ბები — ბიფს უნდა ძილი ნებისა გისურვოს, მამა.

ვილი — (ბიფს). კარგი. ოღონდ კი ოლივერი ბეჭებზე დადე, შეილო. რა უნდა გეთქვა ჩემთვის?

ბიფი — ძარღვებს ნუ აიშლი, მამა. ძილი ნებისა. (მიბრუნდება გარეთ გასასულიად).

ვილი — (თავს ველარ იკავებს). როდესაც ოლივერთან იქნები, თუ მაგიდლიან რამე გადმოვიარდა — პაკეტი ან სხვა რამ — ხელი არ ახლო, მაგიდაზე არ დადო, სამაგისოდ შიკრიკება ჰყავთ.

ლინდა — ხვალ კარგ საუზმეს მოვამზადებ...

ვილი — სიტყვას არ დამამთავრებინებ? (ბიფს). უთხარი, დასავლეთში ვკომერსანტობდი-თქო, ფერმა არ ახსენო.

ბიფი — კარგი, მამა.

ლინდა — მე მგონი, უკვე ყველაფერი...

ვილი — (თითქოს არ ენისის). იცოდე, თავი არ გაიიადლო თხუთმეტი ათასზე ნაკლები არა...

ბიფი — (ველარ იტანს). კარგი. ღამე მშვიდობისა, ღედიკო. (შიდის კარებისკენ).

ვილი — შენ დიდი გაქანებისა ხარ, ბიფ. კარგად დაიხსომე. დიდი გაქანებისა ხარ... (ქანცამოცილი მიეშევა ლოგინში. ბიფი გადის).

- ლინდა — (ბიფს მისძახის). ტკბილი სიხმრებში, ძვირფასო!
- ჰეპი — დედა, მე ცოლის თხოვას ვაპირებ... მინდოდა შენთვის მეთქვა.
- დედა — წაღი, დაიძინე, ძვირფასო.
- ჰეპი — (მიღის). ერთი სიტუვით, იცოდე.
- ვილი — შენ იცი. (ჰეპი გაღის). ღმერთო ჩემო! ლინდა, გახსოვს შეჯიბრი ქალაქის პირველ-ბაზე ებეტსის სტადიონზე?
- ლინდა — დაისვენე. გინდა გიმღერო?
- ვილი — კარგი, მიმღერე. (ლინდა წყნარად უმღერის საძლისპირის). როდესაც მაგათი გუნდო სტადიონზე გამოვიდა, გახსოვს, ყველაზე მაღალი ბიფი იყო...
- ლინდა — მახსოვს. თანაც სულ ოქროსფრად ბრწყინავდა...
- ბიფი შედის ჩაბნელებულ სამზარეულოში, ამოიღებს სიგარეტს, გამოდის სახლიდან. დგას ოქროსფერი ნათელის წრეში. სიგარეტს ეწევა, სიბნელეს მისჩერებია.
- ვილი — ჭაბუკი ღმერთის მსგავსად. როგორც პერკულესი, მის გარშემო კი მზე, მზე... გახსოვს, როგორ დამიქნია ხელი? სწორედ მინდვრიდან, სტადიონზე კი სამი უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყვნენ. ჩემი მუსტრებიც იქ იყვნენ, მე მივიწვიე. ყოველი მხრიდან უყვიროდნენ — ლომენ, ლომენ, ლომენ! ღმერთო ძლიერო, ბიფი კვლავ დიდი ადამიანი გახდება. როგორ იქნება ასეთი ბრწყინვალე ვარსკვლავი უკვალოდ გაქრეს!
- ვილის ოთახში სინათლე ქრება. სამზარეულოს კედელში, კიბის მახლობლად, ინთება გაზის სანთურა, წითელი მილებიდან აღის ცისფერი ენები ამოვარდება.
- ლინდა — (მოკრძალებით). ვილი, ძვირფასო, რა უნდა შენგან ბიჭს?
- ვილი — ძალიან დავიღალე, ნურაფერს მკითხავ.
- ბიფი ნელა ბრუნდება სამზარეულოში, შეჩერდება, შესცქერის სანთურას.
- ლინდა — ხომ სთხოვ ჰოვარდს, რომ ნიუ-იორკში გადმოგიყვანოს სამუშაოდ?
- ვილი — ხვალ დილითვე მივალ და ვთხოვ. ყველაფერი კარგად იქნება.
- ბიფი სანთურას უკანიდან იღებს რეზინის გრძელ მილს. შეძრწუნებული პირს ვილის მჭრქალად განათებული ოთახისაკენ მიიბრუნებს, საიდანაც ლინდას მონოტონური სევდიანი სიმღერა ისმის.
- ვილი — (ფანჯრიდან გასცქერის მთვარეს). შეხე, როგორ სეირნობს მთვარე იმ სახლებს შორის! ბიფი რეზინის მილს ხელზე დაიხვევს და სწრაფად აღის კიბეებზე.

ფ ა რ დ ა

(დასასრული იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა ციალა კარბელაშვილმა



აღზარე და მიუსე

ადამიანი და მწუხარება

ადამიანი შეგირდი არის
მწუხარებისა და მისგან სწავლობს,
თუ გასურს გაიგოს, ვინა ხარ, რა ხარ,
უნდა იტანჯოს, უნდა იწვალოს!

ვინ დაადგინა?
რა სასტიკია,
მაგრამ ძალა უზენაესი,
ძველთაძველია, როგორც სამყარო,
ვით ბედისწერის აზრი ფიტული,
სულის განწმედამ უნდა გვიშველოს,
უნდა დავეთრგუნოთ ბედის ბრმა წესი,
ამ საფასურად,
დიდ საფასურად
იქნას ცოდვები გამოსყიდული.

ცაო, მოგვეცი, ცაო, ცვარ-ნამი,
რომ მოგვიყვანო ჩვენ ჰირონახული,
ადამიანო! სიცოცხლისათვის
წმინდა ცრემლების გაიღე წვლილი!
გულში სიამის ნერგი დაგირგავს
ნიშნად სიცოცხლის და გაზაფხულის,
— კაცნო, მოდიხართ ყვავილებივით
მამულის თქორით,
მამულის წვიმით.

იწამე, მიხვდი, ტრფობა რაც არის,
რა მკურნალია, რა უებარი,
შენ ჰაბუკი ხარ,
ბედნიერი ხარ,
გასწი, კეთილი გზით რომ იარო;
შენ შეგიყვარდა წუთისოფელი,
სიცოცხლისათვის გახდი მგზნებარი,
ცრემლის უღვრელად არარაი ხარ
ადამიანო, ადამიანო!

როცა დაწვება ბინდი ღამისა
და ისმის ხეთა ნელი შრიალი,
ხარ მეგობართან,
ეტრფი ღვინოსა,
დალევ სიამით, ასწი, გაამოს!
მითხარი ძმაო:
— თუ კი არა გწევას
სიცოცხლისათვის ტრფიალის ალი,
როგორ იგრძნობდი ქვეყნის სიყვარულს
ან აღტაცებას დაუსაბამოს?

რომ არ გიყვარდეს მშობელი მიწის
ან ყვავილები
და ან მთა-ველი,
ან სონეტები შენ პეტრარკასი,
არ გრძნობდე ფრინველთ ჰიკჰიკს და
ფრთხილს;
რომ არ გიყვარდეს მიქელ-ანჯელო,
შექსპირი — ღიღი სიამის მგვრელი,
ვერა, ვერ იგრძნობ იმ კაცურ წუხილს
დაბადებიდან რაც დაგყოლია;

ველარ იგრძნობდი ამ ქვეყნის სიტკბოს,
სიცოცხლისა და ბუნების ძახილს,
ღამეულ წყვილადს თუ არ მიარღვევს
ტალღათ სიმღერა,
ტალღების თქეში,
გულის კუნჭულში რომ არ გაჰქონდეს
მაგ მშფოთვარე სულს შიშის ცახცახი:
რანაირია იმ ქვეყნად ყოფნა?
რომ არ აღეძრა ამ ტკივილს შენში.

ფრანგულიდან თარგმნა
ვიორგი ქავთარაძემ.



პოე ვერენი

სიბღერა შემოდგომისა

უსაზღვრო ზარით
ქვითინებს ქარი
შემოდგომისა,
გაბზარა გული,
ტკივილის წყლულით
სული ამივსო.

გულს სხვა უგრძენია...
ფერი უცვლია
დღეთა დინებას,
რომ მაგონდება,
გული ღონდება,
და ავტირდება.

წუხილით საესეს
ქარი მიტაცებს
მარად ლტოლვილსა,
მიყვებები თრთოლვით,
როგორც ფოთოლი
შემოდგომისა.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ქავთარაძემ



გივი გვგუჭკორი. გარიეც ჭანჭიკი

ბავშვთა მქიცი

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი ფეხშიშველი, მზით დამწვარი... უკან დასდევდა დიდდას, ცნობისმოყვარეობით უსმენდა ქვებზე ჩამოსხდარ დედაკაცებს, რომლებსაც ნელა ეპარებოდა ზაფხულის ღლეების შეუმჩნეველი ბინდი, წყაროდან ლიტრით მოჰქონდა ანკარა წყალი, კრამიტის ნამტვრევებით აშენებდა პატარა სახლებს, სადაც მერე დიდხანს ცხოვრობდა მისი თოჯინა. თოჯინას არასოდეს არაფერი სტკიოდა. იგი მამინაც ექიმი იყო, მხოლოდ თოჯინას ექიმი... თოჯინას არასოდეს არაფერი სტკიოდა, არასოდეს არ ჰქონდა სიცხე, არასოდეს კვნესოდა, არაფერს ითხოვდა და ამიტომ ადვილი იყო თოჯინას ექიმობა...

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი, ფეხშიშველი, მზით დამწვარი... მისდევდა ოღრო-ჩოღროზე რიხინით მიმავალ ურმებს და მეურმეებს კოფოზე დასმას ეხვეწებოდა... აგროვებდა კათისხევის გზებზე დაფანტულ თავთავს და მერე ბავშვის ხეწენითა და დავით ძლიერ მუწისქვილეს აფქვევინებდა, რომ შემდეგ პატარა თონეში, ჩინჩხვრით გახურებულ პატარა თონეში კვეკერები დაეცხო... ის კვეკერები თოჯინასი იყო... თოჯინასი იყო აგრეთვე ალუბლისა და ჭანჭურის ხეებზე დაფხრეწილი მისი კაბები... ამ კაბებში თოჯინას არასოდეს სციოდა...

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი და ოცნებობდა იმ დიდ გზაზე, რომელიც სადაც სოფლის ბოლოში იწყებოდა. ის გზა მიემართებოდა ქვევით, სოფლის გორაკებზე, მისდევდა ურწყავ მინდვრებს, გადადიოდა თეთრ ხიდზე. თეთრი ხიდის შემდეგ იყო სადგური, ორსართულიანი სადგური. სადგურიდან გამოდიოდა ყვითელქუდიანი კაცი, რკავდა ზარს და სადგურში შემოსულ მატარებელს უშიშრად ხედებოდა. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც იცინოდნენ, საუბრობდნენ; ადოდნენ ვაგონებში და მისდევდნენ გზას, მატარებლებს და დამეს, მთვარიან და უმთვარო დამეს, მტკვარს, ჩირვებს, მთებს, მთებზე აშე-

ნებულ ტაძრებს, მძიმე ხიდებს და უსასრულობას... იქ იყო ქალაქი, დიდი ქალაქი, სადაც დადიოდა ტრამვაი და ციმციმებდა უთვალავი ჩირაღდანი...

ის ჩირაღდნები ციმციმებს ახლაც, მაგრამ მათი ციმციმი სულ სხვანაირია მისთვის ახლა. მათში ალარაფერი არის იღუმალი. ისინი მისთვის შორს აღარ ციმციმებენ. ისინი ციმციმებენ ახლოს, ძალიან ახლოს. იქ მისთვის მახლობელი ადამიანები ცხოვრობენ. იმ ჩირაღდნებს, რომლებიც ციმციმებდა წინათ, ახალი ჩირაღდნები მიემატა. ისინი ციმციმებენ სულ ახლოს, ძალიან ახლოს. ციმციმებენ მრავალსართულიან ბინებში, სადაც სალამოს სიმშვიდესა და მყუდროებაში ისმის ოჯახის ფარული სიმღერა...

პატრეცემული თამარი ამ გაჩირაღდნებულ სახლებს ზშირი სტუმარია, იმედინი სტუმარი. იგი კრონშტადტის ქუჩაზე ცხოვრობს და მისი სახლის ფანჯრებიდან გასული სინათლე ქალაქის ათას სინათლეს ერთვის. მისი სახლი ძნელი მისაგნები არ არის. იქვე კინოთეატრი „თანამგზავრია“, იქვე პეკინის ქუჩაა, პარდპირ დაწყებით პეკინის ქუჩას და მერე მარჯვნივ გაუხვევთ. იქ ქუჩა ჯერ კიდევ ათხრილდათხრილია, მაგრამ მოწაინებულნი აქცე გზას მაინც ვაიგნებს... რას იზამ, სახლებს აწენენენ... აშენებენ და აშენებენ... გაიხედავ — შენობა აისვეტება. მოხსნიან ხარაჩოებს, რამდენიმე დღე შენობა ჩაღამებული თვალებით გიყურებს, მერე გაივლი და ყველა ფანჯარაზე ფარდება ჩამოფარებული, აივნებზე სარეცხია ვაფენილი და კიბეებზე ბავშვი სამთვლიან ველოსიპედს მოათრევს.

დღედა თამარი ამ გაჩირაღდნებულ სახლებს ზშირი სტუმარია. ყველა ოჯახის ახლობელია. როცა უნდა, მამინ შეუღლებს კარებს, არ მოერიდება, არ მოერიდება. სკამს დაუღვამენ, ჩანთას ჩამოართმევენ, საუბარს გაუბამენ. მათ უყვართ მისი იმედინი სიტყვა და საქმე, მისი კეთილი ღიმილი და კეთილი სალამი, თამარი ესალმება ხალისიან მშენებლებს, რომ-

ლებიც ერთმანეთში ურევენ ცემენტსა და ქვიშას, გადაან ხარაჩობენ, აფურს აფურხე აწყობენ და აშენებენ სულ მაღალ და მაღალ სახლებს. ესაღმება მუშებს, რომლებიც დილით ადრე დგებიან, ქალაქის სხვადასხვა გარეუბნებისაკენ მიიჩქარიან დილის სუსხიან ნისლში და ხმაურითა და შრომის სიმღერით ავსებენ ნაძმინარევე ქუჩებსა და მოედნებს. იგი ესაღმება ახალგაზრდა დიასახლისებს, რომლებსაც რძით სავსე ბოთლები მიაქვთ შვილებისათვის, ესაღმება ქალაქის მასწავლებლებს, მეგობრებს, მეზობლებს, ნაცნობებს და ბავშვებს, მის საყვარელ ბავშვებს, რომელთა კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას შეაღია მთელი თავისი ძალღონე და მოახმარა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება. ქუჩაში მირბიან და იცინიან ბედნიერი ბავშვები, მისი ბავშვები, რომლებიც ძვირფას ექიმს საყვარულით მხოლოდ „დიდა თამარს“ ეძახიან.

კარგ ექიმს აფასებენ. კარგი ექიმი უყვართ. ეს დღესაცა და სიყვარული ჯერ კიდევ გადშეთა მე-2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის შოთა კარგარეთელის კაბინეტში“ ვივარძნებ. კარგ და სანამუშო ექიმზე გვინდოდა და გვეყვარა ნარკვევი. მთავარმა ექიმმა შოთა კარგარეთელმა და განყოფილების გამგემ რუსუდან ბაქრაძემ არჩევანი თამარ ლავრელაშვილზე შეაჩერეს.

ოღრო-ჩოროზე ვიარეთ, მერე კრონშტადტის ორ ნომერში ზარი დავრეკეთ. კარი გაგვიღო, შეგვიყვანა, კითხვით შემოგვხედა, ეგონა ავადყოფი ბავშვის სანახავად წავიყვანდით. ჩვენ აუხსენით, როგორც შევევლო. ჯერ ვერ მიხვდა, მერე გავიჩვენებულმა გაიცინა. ბოლოს იუარა. ძლივს დავითანხმეთ.

— ჩემზე? მე ანა რა გავაკეთე ისეთი, რომ... რატომ მაინცადამაინც ჩემზე? არა, არა... ვერც ვერაფერი მოგიყვებით, რა უნდა გითხრათ, ძნელია... სხვებზე ვილაპარაკოთ, თუ გნებავთ, ჩემს მეგობრებზე მოგიყვებით, ჩემს ბავშვებზე... არც არაფერი მისსოვს ისეთი, საგაზეთო, საეურნალო...

კარი გაიღო და მეორე ოთახიდან პატარა ბიჭი შემოვიარდა. ყურადღება არ მოგვქცია და დედამ კალთაში ჩაუჯდა. პატრიცემულმა თამარმა ბავშვი ჩამოსვა, კარებთან მიიყვანა და უფროს ქალიშვილს დაუძახა:

— ლალი, ლალი გაიყვანე გოგია, მე რა გითხარი, აქ არ შემოუშვა-მეთქი.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და უხერხულად გაეღმა:

— ასეთია, თუ სახლში ვარ, უსათუოდ ჩემთანაა, სულ უკან დამდევს. რა გქნა, არ ვციცი... მაპატიეთ, თქვენი ჰიბრიმი!... თუმცა რა უნდა გითხრათ, დამერტმანი, არ ვციცი... გაჩუმდა. მერე შემოგვხედა და ალაპარაკდა.

კეთისხვიდან იყო, შუა უბნიდან. სკოლა თბილისში ხუთებზე დავმთავრებინა. სამედიცინო ინსტიტუტში შესულიყო პედიატრიულ ფაკულტეტზე. ინსტიტუტი 1941 წელს დავმთავრებინა. უკანასკნელი გამოცდა ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩაებარებინა. მუშაობა გარის ბავშვთა პოლიკლინიკაში დაეწყო. მერე თბილისში გადმოსულიყო, ინფექციური საავადმყოფოს განყოფილებაში. ორი წლის შემდეგ კეთისხვეში წასულიყო. წინარეხში ემუშავა. წინარეხიდან კეთისხვეში გადმოვეყვანათ საექიმო უბნისა და პატარა საავადმყოფოს გამგედ. მერე ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. ბავშვთა მე-13 კონსულტაციაში მუშაობდა თურმე საბურთალოზე. იქიდან მთავარ ექიმს შოთა კარგარეთელს, ამჟამად საცა მუშაობს, იქ გადმოვეყვანა, ბავშვთა მე-2 პოლიკლინიკაში...

ჩვენ მოთმინებით ვუსმინდით, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ჩვენ რაზედაც გვუსურდა, იმაზე არ ლაპარაკობდა. ჩვენ ვშრალი თარიღები არ გვიინტერესებდა, თარიღების მიღმა იდგნენ ადამიანები, რომლებსაც ხელებოდა იგი, რომლებსაც ვაინც სწავლობდა და რომლებსაც ასწავლიდა, თარიღების მიღმა დავსმდნენ დამეგები და ხმაურობდნენ დღეები, იცინოდნენ და ტირილდნენ ბავშვები, რომლებიც თავს ეჩრჩია და გატაცებით უყვარდა!

ბავშვებზე ვაუბრით საუბარი. ხალისით აგვიყვა:

— ბავშვები? კარგები არიან. სასაცილოები... სასტიკად ეშინიათ თეთრი ხალათისა. ექიმის არ ეშინიათ, მით უმეტეს, ჩემი... ვეხუმრები, ვეთამაშები, ჩემი არ ეშინიათ. ბავშვს უცებ თუ მივიარდი და ნემსი უჩხვლიტე, სამუდამოდ შეგიძლებს. ჯერ კეთილი სიტყვა უნდა უთხრა. ამიტომ ბავშვს ჯერ უნდა შეეჩვიო, ჯერ მისი გული უნდა მოინადირო. ცოტა კიდევაც უნდა აჰყვ... არა, ჩემი არ ეშინიათ, მაგრამ თეთრი ხალათისა მინც ეშინიათ. ო, რა სასაცილოები არიან, როცა თავს იმზნევენ და ღიმილით შემოგვქეჩიან, თვალეში კი შიში უყრთით, ხელეში გიყურებენ და თკალს არ გაცილებენ...

უნდა გეუშინაურდ, მაშინ არც მკაცრი სიტყვა ეწყინება, მხარზე ხელს დაჰკრავ, ლოყაზე ხელს მოუცაკუნებ, დატუქსავ, მიუაღერებს, ტოლივით გამოესაუბრები... ახალგაზრდა დედები?... ახალგაზრდა დედები უფრო სასაცილოები არიან. ფუთონიან, ფუთონიან, ფუთონიან... რად უნდა ამდენი ჩერები ბავშვს, არ ვაიცი, დამერტმანი... მე დეივითონ ოთხი შეილო მყავს, სამი ქალიშვილი და ეს ბიჭი, ნაბოლოარა, წუდან რომ შემოგვივარდა. ბავშვი რომ ავად გამოხდებოდა, ვედარავინ ვერა მცნობს, სასტიკად ვლელავ. ჩემს ბავშვს მე თვითონ ვერ ვინჯავ, სხვა ექიმთან ვავრბივარ ხოლმე.

ამგვარ შემთხვევაში ჩემი მდგომარეობა კარგადაა მახსოვს და ამიტომ შესანიშნავად მესმის სოლმე იმ მშობლისა, რომელსაც შვილი უხდებოდა ანდა.

დღეგრძეობა სამინიელი უხეღერებაა ბავშვთათვის, ჩვეს ყოველგვარ ზოგას ვნებობით მის წინააღმდეგ. ჩვენს რაიონში დიდი ხანია, რაც დაეცურა ბრც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ხედასუნთქი ვზების კატარი ხშირადაა. ანგინაია, წითელაც, ქუნთრუშაც... ტონზილები და პოლიპები ბევრსა აქვს. უსათუოდ უნდა ამოკვეთეთ. აუცილებლად. ბავშვს სუნთქვა არ უნდა უჭირდეს.

ჩემი უბანი არც თუ ისე პატარა უბანია. რამდენიმე ქუჩა მზაბრია — სიარმესი, შმიღტისა, კუტუზოვისა და საბუთალოსი... მზაბრია აგრეთვე კიდევ ერთი შენობა — ლისის 44. იქნებ გავკეცინოთ, ეს ერთი შენობა რა გასახსენებელი და მოსატანი იყო. არა, გენაცვალეთ. იმ ერთ შენობაში ორასი ბავშვი მყავს, დიახ, ჩემები არიან, ჩემები. სახელებით ვიცნობ, გვარებით მახსოვს, ვის რა სტეიოდა, ვინ რას უჩიოდა, ვინ არის ფიზიკურად სუსტი... მთელს უბანში აუარებელი ბავშვია, მრავალი მარინე და მანანა, მრავალი მალხაზი და გიორგი... ჩემი სამუშაო დღე არასოდეს მთავრდება. ხშირად დამითაც საჭირო ვარ... მედიცინას ყოველთვის უნდა სწავლობდე, მუდამ უნდა სწავლობდე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკურ დაკვირვებებს. ყველაზე უკეთ ჩქ ხედები რა უნდა გააკეთო და როგორ უნდა გააკეთო...

პატივემული თამარი ჩაფიქრდა. ჩვენ დუმილი არ დავკვირდევია. მეორე ოთახიდან ბავშვის გულაინი სიცილი ისმოდა. ალბათ ბაბუა მათეს ეთამაშებოდა გოგია, ოთხზოცი წლის მოხუცს, რომელიც დუმელს ეფიცებოდა. ბავშვის სიცილზე თამარი გამოერკვა და გაეღიმა:


— ლაპარაკს სულ არ ვაპირებდი და ბევრი კი ვილაპარაკე, არ ვიცი, ჩემი ნალაპარაკევიდან რა გამოვადგებათ, მე მგონი, ბევრი არაფერი... ასე მალე წასვლას აპირებთ? კარგით, რაბან არ იშლით, მომითმინეთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ. ერთ ავადმყოფს უნდა მივაკითხო. სახლიდან ერთად გავიდეთ.

დიდი ოთახი გამოვიარეთ. დუმელი ოჯახის მიმღერას მღეროდა. ბაბუა მათეს გამოვთხოვეთ. პატარა გოგამი კარებამდე გამოგვაცილა. ქუჩას გაეყვით და ქუჩის გასაყართან დაემ-

შვიდობით პატივემული თამარს. იგი მიდიოდა გაიართული პატარა ნაბიჯებით და ეხეოდოდა სალამოს ბინდში. იგი მიდიოდა სალაც აქვე ახლოს და მიქქონდა დიდი სითბო და დიდი იმედი. იგი ამ ქუჩებში ასე გაივლის ხეალაც, ზეგაც, მახეგაც... ავიღის ქვის, რკინის და ხის ციხეებზე. გაივლის ბნელ დერეფნებს და ნათელ აივნებს, შვეა ფართო ოთახებში, სადაც მსელიან. თრთოლვითა და გულსძკერით, იგი შვეა ფართო ოთახებში, სუნთქვით გაითბოს გაყინულ თითებს და მივა ბავშვების საწოლებთან, ჩანთიდან ამოიღებს ფონდოსკოპს და მოისმენს ბავშვების თანაბარ და არათანაბარ სუნთქვას, ჩაის კოვზით გაუსინჯავს ყელს... იგი მივა დროზე, დროზე მიიღებს ზომებს, რომ საბედისწეროდ არ დაგვიანდეს. დხედავს ოფლით დაცვარულ შუბლებს და სიციხან ტუჩებს. შეუშულებუტებს ჩვენს ძვირფას ბავშვებს ტკივილებით მიყენებულ ტანჯვას და სიციოცხლეს დაუბრუნებს უმანკო სხეულს...

რა კარგები არიან ისინი — ჩვენი ბედნიერი ბავშვები... ისინი ხეალაც ხელიხელჩაიკიდებულნი ივლიან საბავშვო ბაღებში, იმღერებენ უზრუნველ სიმღერებს, მიერთმევენ გემრიელ საშუმელებს, ხელში მოიმარჯვებენ ქაღალდსა და მაკრატელს, ფუნჯსა და პლასტიკონს და მერე საღამოთი მოუთმინლად დაელოდებიან დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს. ისინი მზიარული საუბრით გაკუებიან მათ და შევლენ მზით განათებულ ოთახებში. მათ არასოდეს არაფერი არ უნდა ეტკინოთ, მათ არასოდეს არ უნდა იტირონ!

ისინი ხეალ კვლავ გაეშურებიან სკოლებისაკენ, გაკვეთილებზე ააშრიალებენ და გადაფურცლავენ წიგნებს, წყრილა ხმით იტყვიან მოთხრობებსა და ლექსებს და წაიკითხვენ მზიარულ და მომზიბვლელ ზღაპრებს, რომლებიც მათ თვალწინ გადაუშლენ იდუმალ და მომაჯადოებელ სამყაროს. მათ ისევ შეაშფოთებს ის კინოსურათები, რომლებშიც ნახავენ, თუ როგორ იბრძოდნენ და გმირულად კვდებოდნენ მათი წინაპრები... ისინი ისევ ივლიან სტადიონებზე და გულაინად გაიციენენ ცირკში... მათ არასოდეს არაფერი არ უნდა ეტკინოთ, მათ არასოდეს არ უნდა იტირონ... ეს თქვენზედაც არის დამოკიდებულო, პატივემული თამარ!



საქართველო

წერილები ილია ჭავჭავაძის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი 1863 წლისა

(ილიას და ოლღას ქორწინებამდე)

პირველი პუბლიკაცია

პავლე ინგოროჰვას მიერ

თბილისის უნივერსიტეტის შენობაში ოციან წლებში მოთავსებული იყო უძველესი ქართული კულტურული დაწესებულების — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების — ბიბლიოთეკა-მუზეუმი, ძველ-ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციით.

ბიბლიოთეკა-მუზეუმთან მოწყობილი იყო „ილია ჭავჭავაძის ოთახი“, სადაც დაცული იყო ილიას პირადი ნივთები, ილიას ბიბლიოთეკა, ილიას კაბინეტის მოწყობილობა.

ილიას ეს ოთახი არ იყო გახსნილი მნახველთათვის.

ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ვმუშაობდი ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერების ტექსტების შესწავლაზე, ბიბლიოთეკა-მუზეუმის ადმინისტრაციამ ნება დამართო მომეწყო სამუშაო კუთხე ილიას ოთახში, სადაც ბიბლიოთეკა-მუზეუმიდან ვადმოტანილ იქმნა მუშაობისათვის საჭირო ძველ-ქართული ხელნაწერები.

ეს მუშაობა ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებზე თვეები გავრძელდა.

ილიას ოთახში მუშაობის დროს ერთხელ ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო ერთმა ხის ყუთმა, რომელიც ილიასეულ წიგნებთან ერთად იდო საწიგნე თაროზე.

ეს ხის ყუთი დახურული იყო, მაგრამ გასაღებით არ იყო დაკეტილი. რო-

დესაც ჩავიხედე ამ ხის ყუთში, შიგნით აღმოჩნდა მეორე ყუთი, მუყაოსი, შექარული ზონარით.

გავხსენით მუყაოს ყუთი, — იგი სავსე აღმოჩნდა წერილებით.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გამოირკვა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს წერილები.

ეს იყო წერილები ილია ჭავჭავაძისა, მიმართული ილიას ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი.

მღელვარებით ვკითხულობდით ამ წერილებს. წერილების კითხვის დროს ილიასეულ ოთახში თითქოს გაცოცხლდნენ ილიას და ოლღას აჩრდილები.

ილიას ერთგულ მეგობარს ოლღას სიყვარულით შემოუნახავს ყველა წერილი, რომლებიც კი მას მიუღია ილიასაგან მთელი ცხოვრების მანძილზე. სულ აქ აღმოჩნდა 240-მდე წერილი ილიასი ოლღასადმი. პირველი წერილი ეკუთვნის 1863 წლის იანვარს, როდესაც ილია და ოლღა პირველად გაეცნენ ერთმანეთს; უკანასკნელი წერილი ეკუთვნის 1906 წელს (ერთი წლით ადრე წიწამურის ტრაგედიისა).

ილიას წერილებთან ერთად ყუთში დაცული იყო გამხმარი ველის ყვავილი, ვინ იცის როდის მოწყვეტილი ილიას ხელით, და სასოებით შენახული მისი მეგობრის მიერ წერილებთან ერთად.

ვიდრე შევეხებოდეთ ილიას ამ წერილებს, რამდენიმე სიტყვა წერილების ადრესატის ოღლა გურამიშვილ-ჭავჭავაძის შესახებ.

ოღლა, მეუღლე ილიასი, როგორც გადმოგვცემენ ყველა თანამედროვენი, და როგორც ამის შესახებ წერს ილიას პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე, — „იყო ყოვლად კეთილი, სათხო ხასიათის ადამიანი, ქველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობი, დიდად მოსიყვარულე თავის სახელოვანი ქმარისა და მალმერთებელი მისი ნიჭისა“.

ოღლა, მას შემდეგ რაც იგი ილიას მეუღლე გახდა 1863 წელს, დიდ მუშაობას ეწეოდა იმ დროს არსებულ ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, — კერძოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ილია დიდად აფასებდა თავის ცხოვრების თანამგზავრს, სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა მას.

ილიაზე უძღვება ოღლას პოემა „განდემილი“ (1883 წ.)

ოღლამ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლის დროს ოღლა მძიმედ დასჭირეს. ამის შემდეგ ოღლამ თუმცა წლები იცხოვრა, მაგრამ იგი ამ ქვეყანას უკვე აღარ ეკუთვნოდა¹.

ილიას ეპისტოლარულ მემკვიდრეობას მთელის მოცულობით, მათ შორის ილიას წერილებს ოღლასადმი, ჩვენ ვაქვეყნებთ ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის უკანასკნელს მეთექვრმე ტომში.

აქ ჩვენ ვიძლევიტ პირველ პუბლიკაციას ილიას წერილების ერთი ციკლისას:

წერილები ილიასი ოღლასადმი
1863 წლისა
(ილიასა და ოღლას ქორწინებამდე).

ეს ციკლი წერილებისა (60 წერილის მოცულობით) ეკუთვნის ილიას ახალგაზრდობის ხანას, 1863 წლის დასაწყისს (იანვარი-აპრილი), როდესაც ილია, ამ დროს უკვე ბელადი ახალი თაობისა, „საქართველოს მოამბის“ გამოცემას შეუდგა.

წერილების ეს ციკლი წარმოადგენს პოემას.

როდესაც ვკითხულობთ ამ წერილებს, ჩვენ გვზიზიანებს მშვენიერება სულისა, რომლითაც განათებულია ეს წერილები.

რა სიდიადით არის აღბეჭდილი, მაგალითად, ისეთი წერილები, როგორც 26-ე და 27-ე...

ჩვენ გვჯერა, რომ წერილების ეს კრებული გახდება ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი საკითხავი წიგნი, ჩვენი ახალგაზრდობა აქ ეზიარება იმ მაღალ კეთილშობილებასა და სულის მშვენიერებას, რომლითაც შთაგონებულია ეს წერილები.

ილიას ამ წერილების გამოცემად დამზადების დროს ჩვენს წინაშე იდგა უაღრესად რთული საკითხი: როგორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ამ წერილებისა, როგორ უნდა დალაგდეს ეს წერილები?

საქმე ის არის, რომ ამ წერილებს თარიღი არა აქვს მოწერილი; ყველა წერილი უთარილოა, არაა აღნიშნული არც რიცხვი, არც დღე. მხოლოდ ერთ წერილს აწერია: „კვირა“. ერთს კიდევ: „ღამის სამი საათი“.

ამასთან ეს წერილები არაა ჩვეულებრივი ხასიათისა; აქ სულის აღსარებაა უპირატესად. აქ ცოტაა ისეთი დეტალები, რომელთაც შესაძლოა დავეყრდნეთ თარიღების დასადგენად.

ხოლო თუ ჩვენ ვერ შევძლებდით ამ წერილების თანამიმდევრობის აღდგენას (ხოლო ამ წერილების რიცხვი, როგორც მოვიხსენეთ, 60-მდე აღწევს), მაშინ მთელი ციკლი დაჰკარავდა შინაგან მთლიანობას, ეს წერილები მიემსგავსებოდა უწესრიგოდ დაყრილ ძვირფას თვლებს, და არა ძაფზე აცმულ თვალმარგალიტს, ძვირფასი ფარღულის სახით.

საბედნიეროდ, წერილების დაკვირვებული შესწავლის შედეგად შესაძლო გახდა წერილების თანამიმდევრობის აღდგენა; და არათუ თანამიმდევრობის აღდგენა, არამედ აგრეთვე დადგენა ყველა წერილის თარიღისა.

თავდაპირველად საქიროა აღვნიშნოთ, რომ ილიას წერილების ეს ციკლი, როგორც ცხადი ხდება პირველი გან-

¹ ი. ბ. ივანოვი, ილია ჭავჭავაძე, 1957 წ., გვ. 103—104.

ხილვიდან, ეკუთვნის, როგორც მოხსენებული გვქონდა, 1863 წლის დასაწყისს, იანვრიდან—აპრილამდე. ილიამ და ოლღამ ჯვარი დაიწერეს 21 აპრილს 1863 წლისა. წერილებში რამდენჯერმე მოიხსენება „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის ბეჭდვის მიმდინარეობა და შემდეგ გამოსვლა ყურნალისა, რასაც ადგილი ჰქონდა 1863 წლის პირველ თვეებში.

პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე აღძრა წერილების ქრონოლოგიაზე მუშაობის დროს — იყო კითხვა: საიდან იწყება მიმოწერა, წერილების ამ ციკლში რომლებია პირველი წერილები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ რამდენიმე წერილში ილია თქვენობით მიმართავს ოლღას, იმ დროს როდესაც დანარჩენ წერილში ილია შენობით მიმართავს მას.

სახელდობრ სამ წერილში ილია მიმართავს ოლღას თქვენობით; ხოლო მეოთხე წერილს იწყებს თქვენობით და შემდეგ გადადის შენობით მიმართვაზე.

ამ მეოთხე წერილში ილია, სხვათა შორის, შემდეგს წერს ოლღას:

„... იცოდეთ, მომავალში სიყვარული-სა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოტავაზებთ. მართალია, აღმაინები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვინებდები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გამიღვივა; მართალია არც ერთისა და არც მეორისა არ მეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენს ვარ, ე. ი. — შენ ი ვარ“.

ამის შემდეგ ილია წერილის მეორე ნახევარში გადადის შენობით მიმართვაზე. ეს შენობით მიმართვა დაცულია ყველა დანარჩენ 56 წერილში.

ამჟამად ამრიგად, რომ ეს ოთხი წერილი პირველი წერილებია. შენარსიდან ცხადია აგრეთვე ამ ოთხი წერილის თანრიგი.

ერთ წერილში (რომელმაც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ მე-20 ადგილი დაიჭირა), წერილის დასასრულს ილია შემდეგს წერს ოლღას:

„... არ დამცინო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქალაღი და იმავედ გწერ. რაც ქალაღი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ვეღარ მომაგონდა, რომ მეყიდვიენებინა. ეხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?“

„... ყურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მე-20 წერილის ცისფერმა ქალაღმაც.

ჩვენ მაშინვე მოგვაგონდა, რომ ეს არის სწორედ ის ცისფერი ქალაღი. რომელზედაც გადაწერილია ილიას ლექსების ავტოგრაფული ხელნაწერი N—4993 (ეს ხელნაწერი ჩვენი შესწავლის საგანი იყო, როდესაც ვსცემდით ილიას ლექსების კრებულს)¹.

ილიას ეს ავტოგრაფული ხელნაწერი გადაწერილია რუსეთში 1859—1861 წლებში; ილიას იგი აუკინძვინებია და ყდაში ჩაუსვამს. იგივე ქალაღი, რომელზედაც გადაწერილია ლექსების ეს კრებული, ილიას თან ჩამოჰყოლია რუსეთიდან საქართველოში და ილია ამ ცისფერ ქალაღზე წერდა წერილებს ოლღას. ნაწილი ამავე ქალაღისა ილიას გადაუცია აგრეთვე ოლღასათვის, რომ მასაც წერილები ამ ქალაღზე ეწერა.

ცხრამეტი წერილი ილიას ამ ქალაღზე დაუწერია და ამით ამოწურულა ამ ქალაღის მარაგი. ხოლო მე-20 წერილი ილიას დაუწერია ოლღას გამოგზავნილი წერილის თავისუფლად დარჩენილ ფურცელზე, რადგან ღამის ორ საათზე სხვა ქალაღი აღარ აღმოაჩნდა.

ამრიგად ამ ცისფერ ქალაღზე დაწერილია ილიას 20 წერილი (მათ შორის პირველი ოთხი წერილიც, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი). ხოლო დანარჩენი 40 წერილი სხვადასხვა ქალაღზეა დაწერილი (პეტერბურგიდან ჩამოტანილი ცისფერი საგანგებო ქალაღის მსგავსი ჩანს თბილისში არ იშოვებოდა).

ირკვევა მაშასადამე, რომ ეს 20 წერილი, გადაწერილი ცისფერ ქალაღზე, უფრო აღრინდელია, ვიდრე 40 წერილი

¹ იხ. ილია ჰავახაძე, ტ. I, 1951 წ., 83-408—410.



ლი, გადაწერილი სხვადასხვა ქალაქ-ლებზე.

ირკვევა ამასთან ისიც, რომ პირველი ოცი წერილი დაწერილია 1863 წლის იანვარში და თებერვლის პირველ ორ ათეულში, ვინაიდან „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი თებერვლის მეორე ათეულში გამოსულა, ხოლო — მე-20 წერილში ილია, როგორც აღვნიშნეთ, წერს ოლღას ახლად გამოსული ჟურნალის შესახებ: „ჟურნალს ხვალ გამოვიგზავნი“-ო.

ამის შემდეგ დასაზუსტებელი დარჩა ამ ოცი წერილის თანრიგი და თარიღები.

თარიღების საკითხის გარკვევაში ჩვენ გვშველის ოთხი წერილი, რომლებშიც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-11, მე-12 მე-13 და მე-14 ადგილი.

ამ ოთხ წერილში მოხსენებულია მასკარადი.

მე-11 წერილის დასასრულს ილია ეკითხება ოლღას: „შაბათს იქნები მასკარადზე?“

მე-12 წერილში ილია შემდეგს უპასუხებს ოლღას შეკითხვაზე:

„მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მავასა მკითხვამ! შე რათა ხანია ავიხსენი მასკად შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ახლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერთმეტ საათზედ მოვიცილი, მაშინ წავალ“.

ილია წასულა მასკარადზე; მომდევნო მე-13 წერილში ილიას აწერილი აქვს მასკარადის ეპიზოდები.

მასკარადები, როგორც ცნობილია, იმართებოდა ეგრეთწოდებული „ყველიერში“. ილია მასკარადზე ყოფილა შაბათს. ხოლო 1863 წელს „ყველიერის“ შაბათი უწევდა 9 თებერვალს.

მაშასადამე ილია ყოფილა მასკარადზე 9 თებერვალს 1863 წლისა და მე-12 წერილი ამ დღეს არის დაწერილი.

მე-13 წერილი დაწერილია მასკარადის დამთავრების მეორე დღეს (მასკარადი დამთავრდა 10—ს, დილით) ე. ი. 11 თებერვალს.

მე-14 წერილი უშუალოდ მოსდევს მე-13 წერილს (აქ ილია ატყობინებს ოლღას ერთი მასკის ვინაობას); წერილი დაწერილია ღამე 11—12 თებერვალს

(წერილის თავში მოწერილი აქვს: „ლამის სამი საათი“).

ზემოთ-დასახელებული მე-12 წერილი, რომელიც 9 თებერვლით თარიღდება, ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ აგრეთვე, თუ როდის დამთავრდა ბეჭდვა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრისა.

ამ მე-12 წერილში, ილია წერს:

„იქნებ ჩემი მშობელი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმეღია რომ 12 საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჰეშმარიტება“.

იმავე წერილის პოსტ-სკრიპტუმში ილია წერს:

„ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბათს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავედ“.

რაკი 9 თებერვალს იყო შაბათი, მომდევნო სამშაბათი უწევს 12 თებერვალს. ამ დღეს ყოფილა ნაგარაუდვეი „საქართველოს მოამბის“ ბეჭდვის დასრულება.

ჟურნალის ბეჭდვის მიმდინარეობის შესახებ, გარდა მე-12 წერილისა, საუბარია აგრეთვე წერილებში, რომელთაც თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-6, მე-8, მე-9 და 20 ადგილები.

მე-6 წერილის მიხედვით ჟურნალის ყველა მასალები ჯერ კიდევ არ ყოფილა გადაცემული სტამბაში; ილია ამ წერილში წერს ოლღას:

„გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ მეტყე. უნდა მივიღე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფრით არ თანხმდება გაუმჯავს ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიჩინები, ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება“.

მე-8 წერილში ილია წერს:

„გუშინ დილის ცხრიდან — საღამოს ექვსამდე სტამბაში ვიყავ... ჟურნალი ამ დღეებში გამოვა...“

მე-9 წერილშიც იგივეა განმეორებული, რომ მას „მაღე ეყოლება ვაჟი-შვილი, რომელსაც სახელად წინასწარ „საქართველოს მოამბე“ დავარქვი“-ო.“

ხოლო მე-12 წერილის ცნობით, რო-

გორც მოხსენებული გვექონდა, ყურნა-ლის ბეჭდვა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის და გადადებულია 12 თებერვლისათვის.

მე-20 წერილის წერის დროს კი ყურნალი უკვე აკინძულია და გასაყრ-ცელებლად მზადდება. ილია წერს ოლღას: „ყურნალს ხვალ გამოგიგზავ-ნი“-ო.

*

ჩვენ დაგვრჩენია შეეჯამოთ.

ილიას წერილების პირველი ჯგუფი-დან; ე. ი. პირველი ოცი წერილიდან, წარმოდგენილი განხილვის შედეგად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს თანრიგი შემდეგი წერილებისა:

1. 2. 3. 4. || 6. 8. 9. || 11. 12. 13. 14. || 20.

დარჩა გამოსაკვევი თანრიგი და-ნარჩენი შვიდი წერილისა ამ პირველი ოცეულის ჯგუფიდან.

თუ ჩვენ გულდასმით გადავიკითხავთ ამ დარჩენილ შვიდ წერილს, ცხადი გახდება, რომ ისინი შინაარსის მიხედ-ვით დაკავშირებული არიან უკვე განხი-ლულ წერილებთან და ბუნებრივად იჭერენ ადგილს საერთო თანრიგში: სახელდობრ მე-5 წერილი შინაარსით უკავშირდება მე-6 წერილს; მე-7 წერი-ლი ბუნებრივად იჭერს ადგილს მე-6 და მე-8 წერილებს შორის; ასევე მე-10 და 15—19.

ამრიგად თანრიგი წერილების ამ პირველი ოცეულისა არ იწვევს ეჭვს.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ წერილების ამ პირველი ოცეულის თარიღებზე. ამ ოცი წერილიდან ჩვენ უკვე დადგენილი გვექონდა თარიღი სამი წერილისა: 12-ისა, 13-ისა და 14-ისა: სახელდობრ მე-12 წერილი, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია 9 თებერვალს; მე-13 წერი-ლი — 11 თებერვალს, მე-14 წერილი — 12 თებერვალს.

ამ სამ წერილის თარიღებზე დაყრდ-ნობით ჩვენ დაგვრჩენია გავითვალთ

რიცხვები მე-12 წერილიდან (რომელიც 9 თებერვლით თარიღდება) უკანა მი-მართულებით ვიდრე პირველ წერი-ლამდე; ასევე გავითვალთ რიცხვები მე-14 წერილიდან (რომელიც 12 თე-ბერვლით თარიღდება) წინ მიმართუ-ლებით ვიდრე მე-20 წერილამდე.

ამასთან ერთად საჭიროა მხედველო-ბაში მივიღოთ ყველა დეტალები, რომ-ლებიც წარმოდგენილია წერილებში და გავითვალისწინოთ, თუ რა დროის მან-ძილი იყო ერთი წერილიდან მეორე წერილამდე, სახელდობრ:

1. როგორის თანრიგით და დროის რა მონაკვეთზე ენაცვლებოდა ილიას წე-რილი და ოლღას პასუხი;¹

2. რა დღეებში მომხდარა ილიას და და ოლღას შეხვედრა, რა რიცხვებშია ც წერილებს არ სწერდნენ ერთმანეთს;

3. თარიღების დაზუსტებას აადვი-ლებს აგრეთვე, როდესაც წერილებში მოხსენებულია და მინიშნებული კვი-რის დღეები; ეს იძლევა საშუალებას შევამოწმოთ, თუ რა რიცხვი უწევდა ამ დღეებს.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწი-ნება ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ილიას წერილების ქრო-ნოლოგია.

ირკვევა, რომ ილიას პირველი ოცი წერილი დაწერილია იანვარ-თებერვალ-ში, 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე.

მოგვყავს აქ ილიას ამ პირველი ოცი წერილის ქრონოლოგიური ნუსხა (ქრო-ნიკით 16 იანვრიდან—18 თებერვლა-მდე).

¹ თუმცა ოლღას წერილები, გარდა 12 ბა-რათისა, არ შენახულა, მაგრამ ილიას წერილე-ბის ტექსტი ყოველთვის იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ დროის მანძილი, რომლითაც დაცილებული იყო ილიას წერილები ოლღას წერილებიდან, როცა ოლღა აგვიანებს წერილს და გადაიცილებს დათქმულ ვალებს, ილია ყო-ველთვის აღნიშნავს ამას საბასუხო წერილში.

(ოლღას წერილებიდან შენახულა შემდეგი 12 ბარათი, რომლებიც მოწერილია პასუხის სა-ხით ილიას შემდეგ წერილებზე: 1, 2, 9, 14, 17, 21, 31, 40, 41, 46, 49, 56).



ილიას წერილების პირველი ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე)

- 16 იანვარი. — ილიას პირველი წერილი.
- 17 იანვარი. — ოლღას წერილი.
- 18 იანვარი. — ილიას მე-2 წერილი.
- 19 იანვარი, შაბათი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-3 წერილი.
- [20 იანვარი, კვირა, — ტაძარში შეხვედრა].
- [21 იანვარი, ორშაბათი. — შეხვედრა და საუბარი ილიასი და ოლღასი] ¹
- 25 იანვარი (პარასკევი). — ოლღას წერილი.
- 26 იანვარი. — ილიას მე-4 წერილი.
- [27 იანვარი. — შეხვედრა ილიასი და ოლღასი] ².
- 28 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-5 წერილი.
- 29 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-6 წერილი.
(შეხვედრა ილიასი ცენზორთან, რომელიც არ თანხმდება გაუშვას ეურნალში ერთი სტატია).
- 30 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-7 წერილი.
- 1 თებერვალი, (პარასკევი). — ოლღას წერილი.
(ილია დიღის 9 საათიდან — საღამოს 6 საათამდე სტამბაშია, მუშაობს ეურნალზე).
- 2 თებერვალი. — ილიას მე-8 წერილი.
ოლღას წერილი.
- 3 თებერვალი, კვირა. — ილიას მე-9 წერილი.
ოლღას წერილი.
- [4 თებერვალი. — შეხვედრა] ³.
- 5 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 6 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-10 წერილი.
- 6 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 7 თებერვალი. — ილიას მე-11 წერილი.
- 8 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 9 თებერვალი, შაბათი. — ილიას მე-12 წერილი.
(ეურნალის ბეჭედა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის, მაგრამ გადდიღიო სამშაბათამდე, 12 თებერვლისათვის).
- [10 თებერვალი. — ოლღას წერილი არ მოუწერია] ⁴.
- 11 თებერვალი. — ილიას მე-13 წერილი.
ოლღას წერილი.
- 12 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-14 წერილი.
- 12 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-15 წერილი.

- 13 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-16 წერილი.
ილიას მე-17 წერილი.
ოლღას წერილი.
- [14 თებერვალი. — ილიას წერილი; არ მოღწეულა].
- 15 თებერვალი. — ილიას მე-18 წერილი.
- 16 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-19 წერილი.
- 17 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 18 თებერვალი (ღამის ორი საათი). — ილიას მე-20 წერილი.
(ილია წერს ოლღას, რომ ახლად გამოსულ ეურნალს ხვალ საღამოსათვის გაუგზავნის).

გადავიდეთ ამის შემდეგ ილიას წერილების მეორე ჯგუფზე, 21-ე წერილიდან 60-მდე.

ორი წერილიდან (რომლებმაც, თანრიგის გარკვევის შემდეგ, დაიჭირეს 54-ე და 55-ე ადგილი) ჩვენ ვგებულობთ, რომ ილია ავად იყო, მაგრამ ცოტა მოჯობინებულა და უნდა შეხვედეს ოლღასს საეკლესიო ცერემონიაზე. 54-ე წერილში ილია წერს ოლღასს:

„ჩემო ანგელოზო, მგონი ცოტათი მოვჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბად ნახებარე საათით აღდგომის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოეკრა თვალი“.

მეორე წერილში (55-ეში), რომელიც იმავე დღეს არის დაწერილი, ილია წერს ოლღასს:

„ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუკი კარგი დარი იქნება...“

„ხვალ შენ სანახავად გამოვალ...“
რა საეკლესიო ცერემონიაზე უნდა შეხვედროდა ილია ოლღასს?

უნდა ვიცოდეთ, რომ წერილების მთელი ეს ციკლი 21-დან მოკიდებული ვიდრე 54-ე და 55-მდე ეკუთვნის ეგრეთწოდებულ „დიდი მარხვის“ პერიოდს, აქედან უკანასკნელი წერილები უწევს „დიდი მარხვის“ უკანასკნელ კვირას (წინა სააღდგომო კვირეულს).

საეკლესიო ცერემონია, რომელზედაც ილია უნდა შეხვედროდა ოლღასს, — ეს არის ცერემონია ქრისტეს სხეულის გამოსვენებისა ეკლესიაში ეგრეთწოდებულ „წითელ პარასკევს“ (ქრისტეს ჯვარცმის დღეს), რაც დიდის ზემოთ სრულდებოდა.

¹ იხ. ილიას მე-4 წერილი.
² იხ. ილიას მე-5 წერილი.
³ იხ. ილიას მე-10 წერილი.
⁴ იხ. ილიას მე-13 წერილი.



1863 წელს „წითელი პარასკევი“ უწევდა 29 მარტს. მაშასადამე ზემოთ-მოყვანილი წერილები 54-ე და 55-ე, რომლებიც დაწერილია საეკლესიო ცერემონიის ერთი დღით ადრე (ილია უნდა შეხვედროდა ოლღას საეკლესიო ცერემონიაზე — მეორე დღეს), — ზუსტად თარიღდება 28 მარტით.

54-ე და 55-ე წერილების თარიღის დადგენას გარკვეულობა შეაქვს წერილების ამ მეორე ციკლის ქრონოლოგიის საკითხში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, წერილების პირველი ციკლის უკანასკნელი წერილი, მე-20, დაწერილია 17/18 თებერვალს. ირკვევა ამრიგად, რომ წერილები 21-დან ვიდრე 54-ე და 55-მდე დაწერილია 18 თებერვლიდან მოკიდებული ვიდრე 28 მარტამდე (ჩათვლით). რაც შეეხება უკანასკნელ ხუთ წერილს (56—60), ისინი დაწერილია აღდგომის მომდევნო დღეებში (1863 წელს აღდგომა მოდიოდა 31 მარტს).

წერილების ამ მეორე ციკლის თანმიმდევრობის აღდგენა ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შესაძლო ხდება წერილების შინაარსის პრეციზული ანალიზის საფუძველზე, იმ ბუნებრივი კავშირის მიხედვით, რომელიც აერთებს წერილების ცალკეულ ჯგუფებს (ასე, წერილები 21-დან 33-მდე წარმოადგენს ცალკეულ ჯგუფს, ასევე 34 და 35, 36 და 37 და ა. შ.).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს ქრონოლოგიური ნუსხა ილიას წერილების მეორე ჯგუფისა, 21-დან 60-მდე; ეს ქრონოლოგიური ნუსხა ემყარება წერილების ყველა დეტალურ გათვალისწინებას, დამუშავებულია იმავე წესით, როგორც ქრონოლოგიური ნუსხა პირველი ჯგუფისა.

ილიას წერილების მეორე ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 18 თებერვლიდან — 6 აპრილამდე).

- 18 თებერვალი. — ოლღას წერილი.
(ილია უგზავნის ოლღას ახლად გამოშულ ეურნალს. — კვირას, 24 თებერვალს, დაინშნულია ელენე ჩოლოყაშვილის სახლში ლიტერატურული საღამო ილიას მონაწილეობით).
- 19 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 22-ე წერილი.
- 20 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 23-ე წერილი.

- [21-22 თებერვალი. — ოლღას წერილები არ მოუწერია] 1.
- 23 თებერვალი. — ილიას 24-ე წერილი.
- 24 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 25-ე წერილი.
- 25 თებერვალი. — [ილიას წერილი არ მოღწეულა].
- 26 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 26-ე წერილი.
- 27 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 28 თებერვალი (დღის 5 საათი) — ილიას 27-ე წერილი.
- 28 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 1 მარტი. — ილიას 28-ე წერილი.
- 2 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 29-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 3 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 30-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 4 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 31-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 5 მარტი. — ოლღას წერილი.
[ოლღას საღამოს წერილი არ მოუწერია] 2.
ილიას 32-ე წერილი,
- 6 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 33-ე წერილი.
- 7 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 34-ე წერილი.
- 8 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 35-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 9 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 36-ე წერილი.
(ოლღამ ინახულა ავადმყოფი ილია).
- 10 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 37-ე წერილი.
- 11 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 38-ე წერილი.
- 12 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 39-ე წერილი.
- 13 მარტი. — ოლღას წერილი.
- 14 მარტი. — ილიას მე-40 წერილი,
ოლღას წერილი.
ილიას 41-ე წერილი,
ოლღას წერილი.
ილიას 42-ე წერილი.
- 15 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 43-ე წერილი.
- 16 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 44-ე წერილი.
- 17 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 45-ე წერილი.

1 იხ. ილიას 24-ე წერილი.
2 იხ. ილიას 32-ე წერილი.



- 18 მარტი. — ილიას 46-ე წერილი. ოლღას წერილი.
- 19 მარტი. — ილიას 47-ე წერილი.
- 20 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 48-ე წერილი.
- 21 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 49-ე წერილი.
- 22 მარტი. — ოლღას წერილი. ოლღას მეორე წერილი (სალამოს). ილიას 50-ე წერილი.
- 23 მარტი. — ოლღას წერილი.
- 24 მარტი. — ილიას 51-ე წერილი.
- 25 მარტი. — ოლღას წერილი.
- 26 მარტი. — ილიას 52-ე წერილი.
- 27 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 53-ე წერილი.
- 28 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 54-ე წერილი. ილიას 55-ე წერილი.
- [29 მარტი. — შეხვედრა საეკლესიო ცერემონიაზე.]
- [31 მარტი. — აღდგომა].
- 1 აპრილი. — ოლღას წერილი.
- 2 აპრილი. — ილიას 56-ე წერილი.
- 3 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 57-ე წერილი.
- 4 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 58-ე წერილი.
- 5 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 59-ე წერილი.
- 6 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას მე-60 წერილი.



ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს წერილების თანრიგისა და ქრონოლოგიის შესახებ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მიმოწერა ილიასა და ოლღას შორის თავდაპირველად რუსულად დაიწყო.

ოლღას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული და მიმოწერა რუსულად უფრო ეხერხებოდა.

ეს არ ნიშნავს, რომ ოლღა მოწყვეტილი იყო მშობლიურ ნიდავს. პირიქით, ოლღა, ქალიშვილობის დროსაც, პატრიოტის სახელით ყოფილა ცნობილი. ერთ ვიღაცას გადაგვარებულს ოლღასათვის, გაკიცხვის მიზნით, პატრიოტი უწოდებია საზოგადოებაში. ილია ამის შესახებ შემდეგსა წერს ოლღას 29-ე წერილში:

„ვინ გეძახის პატრიოტს? იმით, რაც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. განა ასე არ არის, ჩემო სულიკო! ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგ-

რამ შენ ამით იმაყებ, — ამიტომ მეჩვენებ ნები ძვირფასად.

„მახსოვს, დღობე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე; თუმცა ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შესწვდება პატრიოტიზმს, მაგრამ იმ სიტყვებით და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე“.

ოლღას ერთი წერილი ილიასათვის ქართულადაც მიუწერია. ილია ამის გამო სიხარულით სწერს საპასუხო წერილში: „...ნამდვილი მწერალი მყავებარ, — გიქმეა, მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერ!.. პირდაპირ გამაოცა. არაფრით არ მოველოდი, თუ ასე ლაღლად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა“ (იხ. მე-6 წერილი).

ილია აქ თუმცა ქებას ასხამს ოლღას ქართულს, მაგრამ ეს უფრო გამხნეების მიზნით. ოლღამ შემდეგ მართლაც ჩინებულად შეისწავლა ქართული. ხოლო რადგან ამ დროს ოლღას რუსული უფრო ეხერხებოდა, ამიტომ მიმოწერა ისევ რუსულად გრძელდებოდა.

მიუხედავად ამისა, ილიას ნაწილი წერილებისა მაინც ქართულად მიუწერია (ქართულად არის ნაწერი ილიას წერილები: მე-12, მე-18, 22-ე, 23-ე, 34-ე, 36-ე, მე-40, 45-ე, 46-ე, 57-ე, 58-ე).

ამას გარდა რუსულ წერილებში ხშირად მთელი ნაკვეთები ქართულად არის ნაწერი.

წინამდებარე გამოცემაში წერილების რუსულ ტექსტებს ქართულ თარგმანში ვაქვეყნებთ.¹

თარგმანი არაა ერთპიროვნული, იგი რამდენიმე მწერლის თანამშრომლობითა და კონსულტაციით არის შესრულებული.



ვიდრე მოვიყვანდეთ ილიას წერილების ტექსტს, აქ საჭირო იქნება გავაცნოთ, თუ ვინ არიან წერილებში მოხსენიებულნი პირნი.

¹ როდესაც რუსულ წერილებში გვხვდება ქართულად ნაწერი ტექსტი (ცალკეული ნაკვეთები, ან ფრაზები), იმისათვის, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს გაარჩიოს ილიას ქართული ტექსტი თარგმანისაგან, ილიასეულ ტექსტს გამოვყოფთ ვარსკვლავებით. ერთი ვარსკვლავი (*) უჩვენებს, თუ საიდან იწყება ილიასეული ქართული ტექსტი, ხოლო ორი ვარსკვლავი (**) — თუ სად თავდება ილიასეული ქართული ტექსტი.

წიგნი მოხსენებულნი პირნი

1. ნინო ორბელიანი (ყაფლანიშვილი). ახლო მეგობარი ოლღასი და ნაცნობი ილიასი. ნინომ გადასცა პირველი წერილები ოლღასი ილიას და ილიასი ოლღასს.
2. წერილებში მოხსენებული ოლღასი და — არის უფროსი და ოლღასი — ეკატერინე (კატო) თადეოზის ასული.
3. წერილებში მოხსენებული და ილიასი — არის უმცროსი და ილიასი ელისაბედი (ლიზა).
4. უაზრეგი პელაგია ივანეს ასული — საიდუმლოს დაფარვის მიზნით მის სახელზედ აგზავნიდა ილია ოლღასადმი მიმართულ წერილებს.
5. მოლოზანი ნინო, — რომელსაც ილია მოიხსენიებს როგორც ბოროტ სულს, — უცნობი პირია. როგორც ჩანს 25-ე წერილიდან, იგი თავადის ქალი ყოფილა.
6. ბარბარე ილიას ასული (ვარვარა ილინიშნა) ორბელიანი — ილია ორბელიანის ქვრივი, ბაგრატიონის ქალი, ილია ბატონიშვილის ასული. დიდის ვაჟღენით სარგებლობდა თბილისის საზოგადოებაში (1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, იგი იყო წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე).
7. ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული მუხრან-ბატონისა — ნათესავი გურამიანთ ოჯახისა. თბილისის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა.
8. ჩოლოყაშვილი ელენე, მეუღლე ნიკო ჩოლოყაშვილისა. მის სახლში იკრიბებოდნენ ლიტერატორები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები.
9. ოლღასი მამა — თადეოზ გურამიშვილი, საგურამოს მემამულე.
10. გიორგი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი — გურამიანთ ოჯახის ნათესავი; ვაჟღენიანი პირი, დიდი მოხელე. 1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, გიორგი მუხრან-ბატონი იყო კავკასიის მეფის-ნაცვალის საბჭოს წევრი, სამართლის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი. უფრო გვიან იგი იყო სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. (1872 წელს გიორგი მუხრან-ბატონმა გამოაქვეყნა ბროშიურა „О существе крупных единиц“, რომელშიაც იცავდა იმ აზრს, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერ. ილია ან ბროშიურას შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: „მუხრანსკის ბროშიურა წაევიკთხე, აი ჩემი პასუხი: „Лишь право сильного раб свято почитает“. ამ ბროშიურის გამო ილიამ დაწერა ლექსი-პამფლეტი „რჩევა“).
11. ირაკლი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი — 1863 წელს საგანგებო მინდობილობათა მოხელე კავკასიის მეფის-ნაცვალთან.
12. იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი — გურამიანთ ოჯახის ნათესავი (1863 წელს მას ეჭირა კომერციული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა).
13. ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი — გენერალ-ლეიტენანტი.
14. ილია წინამძღვრიშვილი — ილიას მეგობარი (შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დამპარსებელი წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა).
15. ლეონ პეტრეს-ძე ზაგურსკი — მასწავლებელი ისტორიისა და გეოგრაფიისა თბილისის გიმნაზიასა და ქალთა ინსტიტუტში. ახლო ნაცნობი ყოფილა ილიასა.
16. გრაფი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ორლოვ-დავიდოვი პირველი, კავკასიის მეფის-ნაცვლისა და შთავარსარდლის ადიუტანტი, ოფიცერი.
- 17 — 18. პლატონოვი და ბარონ ფონ დერ ბრიუგენი თბილისის „მაღალი წრის“ ახალგაზრდობას ეკუთვნოდნენ.
19. სტარიცი ევგენი პავლეს-ძე — 1863 წელს კავკასიის მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრი, ამიერ-კავკასიის სამიწათმოქმედო პალატის მმართველი. სტარიციის ოჯახსა და გურამიანთ ოჯახს ახლო ნაცნობობა ჰქონდათ (სტარიციის ოჯახთან), უფრო გვიან, ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესაც).
20. გიორგი ნიკოლოზის-ძე ბერიძე — მოხელე (სამიწათმოქმედო კომისიის წევრი). ილიას ნაცნობი.



წერილები

1*

[16 იანვარი, 1863 წ.]

მითხარით, — სად შევხვდეთ. დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოენახვ, ოღონდ ერთი დღით აღრე მაცნობეთ.

2.**

[18 იანვარი, 1863 წ.]

სადაც ნაბრძანები მქონდა ყოფნა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერაფერ ვნახე, ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის ბრალია. მან ექვს საათზე გადმომცა წერილი, შეიღის თხუთმეტ წუთზე კი მე უკვე სიცოცხისაგან კვანკალეული ჰქოქართან. ორჯერ შემოვიარე ის ადგილი, სადაც, ჩემის ანგარიშით, ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. მერმე ბ-ძესთან გასათბობად მივედი, შემდეგ ისევ, თუ არა ვცდები, ათი წუთი ვიდექი გარეთ, კვლავ უშედეგოდ.

ხვალ შუადღისას, სრულ პირველ საათზე ბ-ძესთან მოვალ; ხომ შეიძლება გნახოთ, თუნდაც აივანზე? რომ არ გაიყინოთ, გაფრთხილებთ, სრულ პირველ საათზე ვიქნები. თუკი თქვენი ნახვა არ მოხერხდება, შეეცადეთ ყოველ შემთხვევისათვის დამანახვით ბარბარე, რომელსაც, როგორც გაგებულნი მაქვს, ყველაფერს ენდობთ. რამეს რომ მივალწიოთ, საჭიროა გავიცნო მისი ღირსეული ფიზიონომია. შეიწუხოს თავი და ინებოს ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიაროს ეზოში, უკანა კიბის მხარეს, — ალბათ ბედი მეწვევა და ველირსები ფანჯრიდან მის დანახვას.

მე მგონია, ხიფათში იგდებთ თავს, როცა პეშმანს მინიშნავთ თქვენს სახლში, სადაც ასი თვალი ვითვალთვალეს. მე ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო მინდა გესაუბროთ. მეშინია, ვაი თუ სიჩქარით ყველაფრის თქმა ვერ მოვასწრო, თანაც თქვენთვისაც მოუხერხებელი იქნება ყურის გდება, სადაც პატარა შარიშურმაც კი შესაძლოა შიში გამოიწვიოს და ყურადღება წაგართვათ. ყველაფერს აჯობებს შევხვდეთ სადმე სხვაგან, თქვენი სახლისგან მოშორებით, თუნდაც, მაგალითად, ტაძარში. მაგრამ, რასაკვირველია, ნება თქვენია, მიბრძანეთ, რასაც ინებებთ, მე ყველაფერს შევასრულებ. ოღონდ, გთხოვთ, ეს ერთი ღამიანსოვრეთ: არავის არ უთხარათ არაფერი, არავის ენდოთ, ადამიანი ყო-

* ილიას ამ პირველი ბარათის გამო საჭიროა შემდეგი აღნიშვნა.

ოღონდ გურამიშვილის მეგობარს ნინო ორბელიანს ასმითობა გაუწევია ოღონდისათვის; იგი სწვევია ილიას და ურთიერთობა, გაუბაძს ილიასა და ოღონდ შორის, არა სჩანს მხოლოდ, ოღონდ ბარათი მიუწერია ილიასათვის, თუ აქ ნინოს მხრით სიტყვიერი შემადგება იყო შათი შეხვედრისა.

ამასთან ბარათში, თუ საუბრის დროს, ისიც ყოფილა აღნიშნული დიდის ტაქტი, რომ ილია ალბათ ჯერ ვერ მოიცილს შეხვედრისათვის, რადგან დღე და ღამე დაჭერილია სტამბაში მუშაობით (ამ დროს გამოდიოდა პირველი ნომერი ახლად დაწყებული ქურხალისა, „საქართველოს მოამბისა“).

ილიას ეს მოკლე ბარათი, ოღონდადმი მიმართული, დაწერილია ნინო ორბელიანთან ამ შეხვედრის დროს.

ბარათი მეტად თავდაპირველია და ერთგვარ ოფიციალურ იერსაც ატარებს, რადგან ბარათი გარეშე პირის თანდასწრებით იწერებოდა და იმავე გარეშე პირის ხელით იგზავნებოდა ოღონდთან.

** ილიამ ერთი საათის დაგვიანებით მიიღო ოღონდ ბარათი, რომლითაც ოღონდ შეხვედრას უნიშნავდა ილიას; დანიშნულ ადგილას ილიას უნდა დახვედროდა ქალი, რომელიც მას ოღონდთან მიიყვანდა. თუმცა დრო გადაცილებული იყო, მაგრამ ილია მაინც მივიდა დანიშნულ ადგილას. აქ მას უკვე აღარაფერი დახვდა და შეხვედრა არ შედგა.

ილიას მე-2 წერილის დასაწყისი ამ ამბავს ეხება.



ველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო, მით უმეტეს ისეთი შინაარსისა, როგორიც თქვენია.

ი. კ.

P. S. რაც უფრო ადრე ვნახავთ ერთმანეთს, მით უკეთესია, — ბევრი რამ მინდა გადმოგცეთ. დღესვე მიპასუხეთ ამ ნაჩქარევ წერილზე. გვარი მოაწერეთ, რისი გეშინიათ? ერთხელ თუ კი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდევით.

გთხოვთ, წერილი დააბრუნოთ, მიზეზს, როცა შეეხვდებით, მაშინ აგიხსნით.

ი. კ.

3 *

[შაბათი, 19 იანვარი, 1863 წ.]

შოვალ, ჩემო ანგელოზო, შოვალ! მგონი ცხრაზე იწყება წირვა.

შენი ი ლ ი კ ო.

4.

[26 იანვარი, 1863 წ.]

გვიან მივიღე თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენს მიმართ გულახდილობა მთხოვდით. კეთილი, მე მხოლოდ ყურადღებასა გთხოვთ და ამ წერილის მოთმინებით ბოლომდე წაკითხვას.

ორშაბათს სიტყვა მოგეცით, თქვენი ვიყო, და რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნები. ამჟამად, თუკი რამეს ვუსაყვედურებ ჩემს თავს, მხოლოდ შემდეგს: სიტყვის მოცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მაგვლებდა მეთქვა, თუ როგორია ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც თქვენ გადაგიწყვეტიათ. რისი თქმაც მაშინ ვერ შევძელ, ახლა ვასრულებ.

იციოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი, საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი; რაც უფრო შორს ვიხედები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიღვია; მართალია, არც ერთისა და არც მეორის არ გეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ე. ი. — შენი ვარ.

ორშაბათს შენგან პირდაპირ ბერიძესთან მივედი და ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესო ამბავი გავიგე: მან მოთხრა, თითქოს თქვენთან ცხოვრობს ვინმე მოლოზანი. ეს მოლოზანი სამი დღის წინათ გამოცხადებულა ბერიძესთან რაღაც საქმიანი ქაღალდებითურთ, რომ ამით თავისი დაუპატიებელი სტუმრობა როგორმე დაეფარა. საუბარს იწყებენ ჯერ რომელიღაც სადავო მამულზე, ლაპარაკობენ ყველაფერზე, სხვათა შორის შენზეც, ჩემო მეგობარო! ნება მომეცი. სრულად გადმოგცე ეს საუბარი. დაიმახსოვრე, მოლოზნის სიტყვები აღნიშნული იქნება ქართული ასოთი „მ“, ხოლო ბერიძისა ასო „ბ“-თი. დიდად საინტერესო რამეა.

* მ. — ხომ შეგიტყვიათ, რომ თაღვოზს ქალი ჰყავს?

ბ. — დიახ, შემიტყვია.

მ. — კაი მზითვიანიც არის.

ბ. — გვეც ვიცი.

* როგორც ილია ურჩევდა მე-2 წერილში, ოღდა უნიშნავს ილიას შეხვედრას ტაძარში, კვირა დღისათვის, ილია ამ მე-3 წერილში უპასუხებს თანხმობით.

- მ. — უბედურობა ეს არის, რომ კაცი არ არის, რომ მივათხოვოთ.
 ბ. — ქალაქში კაცების მეტი რა არის!..
 მ. — აბა ვინა?
 ბ. — რა ვიცი, ათასი.
 მ. — მოდი, თუ მოახერხებ, ცუცა ჭავჭავაძეს მივსცეთ.
 ბ. — ძალიან კარგსა იქეთ, მიეცით.
 მ. — ილიკო ჭავჭავაძესაც აქებენ, მაგრამ მე და შენში კი დარჩენს, ამბობენ, ჯიბეზედ კუტრათ არისო.
 ბ. — მაგას თითონაც გეტყვისთ, რომ ჰკითხო. რა დასამალავია.
 მ. — კუტრი რომ არ იყოს, კიი საქრმოა.
 ბ. — ისეთი კარგი საქრმოა, რომ იქნება თქვენი ქალი არც კი შეირთოს.
 მ. — უი, იმის თვალეს!.. მითომ მივეცი და დაგვიწუნა კიდევ!
 ბ. — ილიკო ჩემი შეგობარია, მე იმას კარგად ვიცნობ, იქნება ძალიანაც რომ შეეხვეწოთ, არც კი შეირთოს.
 მ. — მითომ რატომაო!.. თქვენ რატომ ეგრე ჩვარში ახვევთ ჩვენს ქალსა, ცოლო არ არის!..
 ბ. — არა, იქნება თქვენი ქალი კარგი იყოს, მაგრამ იმან კი დაიწუნოს.
 მ. — რა ორთ ხელმწიფის შვილი ბძანდება, რომ დაიწუნოს.
 ბ. — ორთ ხელმწიფის შვილი თუ თქვენა ბძანდებით, ისიც იქნება.
 მ. — თქვენი სიტყვიდამ კი ეგ გამოდის და!
 ბ. — ჩემის სიტყვიდამ ის გამოდის, რომ ის უფრო უარს გეტყვით, ვიდრე ჰოსა.
 მ. — ქა!.. უარსო!..
 ბ. — დიახ.
 მ. — ერთი რას მოგახსენებთ, აბა თქვენ მაგიერად სიტყვა გადაუგდეთ, მითამ ჩვენგნით არა იცით რა, ვნახოთ, რას იტყვის.
 ბ. — ბატონი ბრძანდებით, ვეტყვი **.

ამაზე ვათავდა მათი საინტერესო საუბარი. არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, რაიმეს ვუმატებდე; როგორც ვადმომცეს, ისე ვადმოვეცი. ბერიძემ მკითხა, დაეკორწინდები თუ არა შენზე? მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ როგორღაც სულელურად გავუღიმე. მე მანამდე არ ვეტყვი არაფერს, სანამ შენ, ჩემო ჭკვიანო ქალო, არ მიჩჩევი, რა ვუთხრა.

იმ საუბრიდან ჩანს, მოლოზანი ვილაცას მოუგზავნია, თორემ თავის მხრით ამას ვერ ვაბედავდა. საკითხავი ახლა ეს არის, ვინ მოგზავნა? იქნებ მამაშენმა? ხომ ვერ ამიხსნის ამას? თვით ის ჩვენი გუვერნანტკაც, — როგორც შენ უწოდებ მას, საიდანღა გამოცხადდა? ბატონის სიტყვას გაძღვე, იგი არასოდეს მინახავს და არც მიძებნია. საიდან გამოტყვრა? თუ შენ არ გამოგიგზავნია, მაშინ ეჭვი მეპარება, ჩვენს საქმეში ვილაც უცხო ურევს ხელს. ღვთის გულისათვის, ამიხსენი, რა ხდება, ჩვენის გულუბრყვილობით არავინ ისარგებლოს.

შენ თითქოს უკმაყოფილო ხარ, წერილების დაბრუნებას რომ ვთხოვ, შენც თხოულობ წერილების დაბრუნებას და ბოლოში დასძენ: „ბარი ბარშიო“. კეთილი! ჩვენ მერმეც ვავასწორებთ ანგარიშს, დრო მოვა და ბარი ბარში ვიქნებით, ოღონდ დამაცადე საწერ მაგიდასთან დაგსვა ყურნალის სტატიის საწერად: მაშინ სხვანაირად ალაპარაკდები. ტყუილია თუ? ხუმრობა იქით იყოს, წერილებს იმიტომ არ გიტოვებ, ვთ თუ ვინმემ გინახოს, მერმე რა გეშველება. პატივი დამდე და წერილები უკან მიგზავნე; შენი კი შენის ნებართვით მე მექნება, ჩემთან მათ ვერავინ ნახავს.

ენდე ამ ბიჭს, იგი დიდი ერთგულია ჩემი. გუშინ განვეუცხადე ჯვარს ვიწერ-მეთქი და სიხარულისაგან ორჯერ ჰქნა ჰაერში მალაყი. გკოცნი.

[კიდევ მინაწერი:]

შენი წერილი გახსნილი მივიღე. მეგობრობაც ამას ჰქვია! ძალიან კი გიმეგობრა შენმა ნინომ! მე შინაც რომ არ ვიყო, ბიჭი შემატყობინებს, როცა წერილი მოვა.



[28 იანვარი, 1863 წ.]

შენი სულისა, ოლიკოჯანი! გუშინდელი შეხვედრის შემდეგ როგორა გრძნობ თავს? ნუთუ მართლა ავიდა ხარ? გეყოფა ავადმყოფობა. ბარბარემ უთხრა ბიჭს, ორი ღლეა არაფერსა ჭამსო. რა გემართება? ღვთის გულისათვის, ნუ ღელავ, შენს თავსა ვფიცავ, ჩვენი საქმე კარგად დაგვირგვინდება. იქნებ იმასა ნანობ, რომ მე ამომირჩიე, — ეს სხვა საქმეა, — თუ არა, რა გაქვს სანაღვლო, ჩემო მეგობარო! გეფიცები, ოლიკოჯანი, შენი ილიკო მუღამ შენი იქნება, მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო, — ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელი რომანებში. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ქეშპირიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

გუშინდელი დღე დიდებული რამ იყო, მაგრამ უცნაური ის არის, რა ბევრის თქმა გვინდოდა და რა ცოტა ვილაპარაკეთ. არ იქნება ერთხელაც შევხვდეთ? გინდაც შევხვდეთ, ერთმანეთს ალბათ ისევ ვერაფერს ვეტყვით, ისე კი როგორ მინდა შენთან საუბარი, ოლიკო! ისეთი მხიარული ხარ, რომ დაუნანებლად შენთან დაშორება მიძნელდება. მე კი არც ისეთი სულელი ვარ, როგორც შენს გვერდითა ვჩანვარ. ოლიკოჯანი! გეფიცები, მეტისმეტად მოწყენილი ვიქნები, თუ შენი ბარბარე ყოველდღე შენს წერილებს არ მომიტანს. აბა, მითხარი, პარასკევამდე როგორ მოვითმინო... დღევანდელი შენი წერილი მაწუხებს, ისეთი მხიარული არ არის, როგორც იყო ხოლმე. რა მოხდა? ღვთის გულისათვის, თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, ნურათფერს დამიმაღავ, მომწერე ყველაფერი, რაც გაწუხებს და გაღელვებს. შენ არ იფიქრო, შემეშინდეს, თუკი რამე უსიამოვნოს გამაგებინებ, მე ისეთი სუსტი არა ვარ, უსიამოვნებანი მაშინებდნენ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ გადამიტანია და კიდევ გადავიტან. შენი ჭირიმე, ოლიკოჯანი, თუ გიყვარდე, ნურათფერს ნუ მიმაღამ. რა არი, ქალო? თუ შენ ჩემი ხარ და მე შენი, რად უნდა ჩვენში დასამალავი იყოს რაიმე? **

ღმერთმა იცის, საიდან მომეჩვენა, თითქოს შენ ცუდი რამ შეგემთხვა. გაჟღანტე ეს სისულელი, გეხვეწები.

დღეს საღამოს შვიდ საათზე ჩემი ბიჭი არშაკუნის ბაღთან იდგომება, ბარბარემ ერთი წამით მოიხრბინოს და გადასცეს შენი წერილი, რომელიც ამ წერილის პასუხი იქნება.

მომიტევე, თუ შეგიძლია ჩემ მაგივრად აკოცე შენს თავს. მართალი ვითხრა, არ ვიცი, რასა ვწერ, ჩემი ოთახი სტუმრებით არის გატენილი.

* შენი ილიკო ჭავჭავაძე. **

ჩემო ანგელოზო! რატომ ღელავ, ჩემო მეგობარო? რისი უნდა გვეშინოდეს? სიტყვას ვაძლევ ჩემს ოლიკოს, რომ მის თავს ვერაფერს წაშართმევს. ჩემთვის სულ ერთია, რა უთხარი მუხრანთან ქალბატონს; შენი ჭირიმე, რაც გინდა ის ილაპარაკე. მე თუ ვღელავ, მხოლოდ შენ გამო ვღელავ, რადგან შენ თვითონ მწერდი: * მამა ჩემმა რომ შეიტყოს, თოფით დამხერტოს. **

შენ მეკითხები, გავემგზავრო თუ არა მუხრანთანასო, — როგორც გინდოდეს, ჩემო მეგობარო, შენი ნებაა. მართო ახლა კი არა, მომავალშიაც არაფრით არ შევხლულავ შენს ნება-სურვილსა. შენი ჭირიმე, ოლიკოჯანი, შემატყობინე რა გაწუხებს? ბარბარე მეუბნება, რომ პურსა აღარა ჰსჭამსო. პურიცა სჭამე და ქეიფიც გასწიე, სატირალი და საწუხარი რა გვაქვს მე და შენ? კარგად იყავი, თორემ ძალიან მაწყენ. შენ გეთაყვანე, ყველაფერი მომწერე ამაღამევე. აბა, თუ გიყვარდე, ეს ერთი თხროვნა ამისრულე.

შენი ილიკო ჭავჭავაძე. **



[29 იანვარი 1863 წ.]

* ოლიკოჯანი! ** შენი მხიარული წერილებისათვის მადლობა მომიხსენებია. ნამდვილი მწერალი მყავხარ, — გიყმაჲი, მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერს! პირდაპირ გამოაცა. არაფრით არ მოველოდი, თუ შენ ასე ლაღად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რა ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა! შენ ისე კარგი ხარ, ჭკვიანი, მაგრამ მაინც ცელქი, ამასთან ცოტა მოუთმენელიცა ხარ, — იცი რაღა: დღეს ოთხ საათზე შენთან მოსვლასა მთხოვ. თუმცა შე დიდად მოხარული ვარ და ვეცდები ელც მოვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შემისლის ხელს გითხრა, რომ ამ შეხვედრის გამო შეიძლება მთელი ჩვენი საქმე ხიფათში ჩავარდეს. მაშინ, ასე განსაჯე, უნდა მოგიტაცო, გავითამაშო პატარა რომანი, რომელსაც შენი მოტაცებით დავამთავრებ.

ხვალ პირველ საათზე გოლოვინის პროსპექტიდან დროშკით მოვალ ბერიძესთან, თქვენს ვიწრო ქუჩაზე ამოვივლი; ღვთის გულისათვის, აივანზე მიჩვენე, — და თუ კი შესაძლოა შენთან შეხვედრა სადარბაზო კართან, როგორმე ნაწიწე ეს აივანიდან, თუნდაც ნამაღლა დაახველე. მეეტლესთან განგებ დიდხანს გაჩერდები, იქნებ რისამე თქმა მოასწრო. იცი რატომ გწერ ამას? იმიტომ, რომ გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ-მეთქი; უნდა მივიღე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფრით არ თანხმდება გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიხინები, — ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება. მერწმუნე, * ოლიკოჯანი **, ვეცდები, რაც შეიძლება მალე მოვიშორო ცენზორი, რომ შენთან ამორბენა მოვასწრო. თუ საუბედუროდ, ვერ მოვასწარი, მაპატიე, * შენი ჭირიმიე. **

შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, და იმდენ გულკეთილობას იჩენ ჩემდამი, რომ გულცივობას არ დასწამებ და არ აწყენინებ ამით შენს ილიკოს, რომელმაც უკვე თავისად გიწორდა შენ. ჰო, ჩემო მეგობარო, მე იმდენად ერთგული ვარ შენი, როგორ შეიძლება არ მახარებდეს ყოველი შემთხვევა შენთან შეხვედრისა, ამიტომაც გთხოვ ნუჩარებთარ საყვედურს ნუ მისცემ ადგილს შენ გულში და ამით ნუ მაწყენინებ. მე ხომ დიდი ხნის წინათა გწერდი, როდესაც თქვენთან მოსვლას მიბრძანებ, ერთ დღით ადრე მაინც მაცნობე მეთქი, რადგან დღეები ძალზე გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეპოდე. ოლიკოჯანი! გახსოვდეს ეს მუდამ და შენვე გამამართლე, თუკი დღეს, ჩემი ცდის მიუხედავად, ზუსტად ოთხ საათზე ვერ მოვედი. ეს ჩემთვისაც საწუხარია, მით უფრო საწუხარია, რომ შენ შეიძლება ნაწყენი დარჩე. განა კი მე მინდა ეს? პირველიდან სამამდე თავისუფალი ვარ, იქნებ მაშინ შეგხვედეთ? შენ ხომ საკმაოდ ეშმაკი ხარ, სცადე, იქნებ მოახერხო. თუ ვერ მოახერხე, მაშინ რაღა გაეწყობა! დამელოდე სრულ ოთხამდე. თუ მოვედი ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მე ნუ, ცენზორი დასწყევლე, იმისი ბრალი იქნება.

* შენი ჭირიმიე, ოლიკო, არ გაჯავრდე, რა ვუყოთ! თუ დღეს ვერა ვნახეთ ერთმანეთი, მერე ვნახამთ. ** როგორ გგონია, ოლიკო, ჩვენი ქორწილი აღდგომის შემდეგ მოეწყობა? მგონია, მოეწყობა. მითხარი, დეიდაშენს რატომ ვძლუვარ? მუხრანთან ლიზაც, ამბობენ თურმე აღმაცერად მიყურებს, — მართალია? თუმცა, როგორც დეიდაშენის სიძულვილი, ისე მისი ბრწყინვალეობა კნენა ლიზას უმოწყალო თვალი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მაინც გამეგო.

* ახლა, თუ დღეს არა განახე, პარასკეამდის უნდა ველოდო შენს წიგნსა?

შენი ილიკო ჭავჭავაძე. **



7.

[30 იანვარი, 1863 წ.]

შენ უკვე ჩემი წყენინება მოგსურვებია, ო ლ ი კ ო! სირცხვილი არ იყო ათი [მანეთის] გამოგზავნა, თითქოს ისეთი ღარიბი ვარ, რომ ათი მანეთის შოვნა არ შემძლია. მივხვდი, იმ შავ პოპლინს შენთვის კი არა, შენი ყაზბეგისთვის იძენ, — იმასაც მივხვდი, რომ შენი ფულით გინდოდა გეყიდა საჩუქარი და ჩემი სახელით მიგერთმია. ო. როგორი ეშმაკი ხარ! განა მე თვითონ ვერ შევძლებდი ამას? მაგრამ შენ არ მოინდომე, ალბათ გეგონა, რომ ათი მანეთი არ მექნებოდა. მიიღე შენი ფული, თუ უკან დაბრუნებას ეცდები, სასტიკად მაწყენინებ. დღეს ვიყიდე ეს რალაც სისულელე, არ ვიცი, მოგეწონება თუ არა? თუ არ მოგეწონა, უკან დამიბრუნე, სხვას ამოვარჩევ.

მომისმინე, ო ლ ი კ ო! მე უკვე ყველა მილოცავს, რომ შენზე ვიწერ გვარს. საიდან გავრცელდა ასეთი ხმები? ბერიძემ გუშინ მითხრა, თითქოს რალაცას ვუმალავ, მოლოზნისაგან კი შეუტყვია, რომ ჩვენ ერთმანეთს წერილებსა ვწერთ, რომ ჩვენი საქმე უკვე გადაწყვეტილია და ა. შ. როგორც ჩანს, მოლოზანს ნამდვილად გაუგია ჩვენი მიმოწერის ამბავი. თუ ეს ასეა, მაშინ მეტად უნდა გაფრთხილებულიყავი.

შენი ო ლ ი კ ო.

[წერილის თავზე მინაწერი:]

ხვალ შუადღის პირველზე ბერიძესთან მოვალ; მეჩვენე აივანზე. მომიტევე, მოკლედ რომ გწერ, ჩემთან სტუმრები არიან. ნუთუ მხოლოდ პარასკევობით გვექნება მიმოწერა? რა საწყინოა!

8.

[2 თებერვალი, 1863 წ.]

მაპატიე, ჩემო მეგობარო, ჯერ ერთი შენს წერილზე გვიან ვპასუხობ, მეორეც, მოკლედ გწერ.

გუშინ დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე სტამბაში ვეგდე. ისეთ სულელურ სამუშაოს გადაყვევი, რომ შინ დაღლილი დავბრუნდი. თავი ისე დამებურანისლით, შიგ ერთი ხეირიანი აზრიც არ ჰქვანებდა. მოსვლისთანავე, არ მისაძლია, ისე მივეგდე მკვდარივით, გადაწყვეტილი მქონდა ღრმა ძილისთვის მიმეცა თავი, მაგრამ ვინ მადროვა! ჩათვლემაც არ მაცალეს. დღეს ცუდად ვგრძნობ თავს, კარგად არა ვარ, ამას კიდევ არა უშავს რა, საქმე ისაა, ბევრი სამუშაო დამიგროვდა. ამიტომ გთხოვ, მაპატიე, რომ ასე მოკლედ და თანაც სულელურ წერილსა გწერ.

ხვალ 11-ზე ჩემგან მიიღებ ისეთ დიდ წერილს, შეიძლება გეწყინოს კიდევ. ჟურნალი ამ დღეებში გამოვა. მე შენგან მოვიტხოვ, უბრალოდ მოვიტხოვ, დაწვრილებით კრიტიკას.

შენი ო ლ ი კ ო.

9.

კვირა, [3 თებერვალი 1863 წ.]

რა ჰქვიანი იყავი, ო ლ ი კ ო, გუშინდლამდე, გუშინ კი, რაღა გითხრა, მიმტყუნე. აქამდე იმდენად გიყვარდი, მთელ ფურცელს მეწერიდი ხოლმე, ხანდახან ორსაც, ხოლო გუშინ რალაც ორიოდე წყალწყალა სტრიქონი გამოიმეტე. როგორ არა გრცხვინია! თუმცა ვერც მე დავიტრაბახებ ჩემი გუშინდელი წერილის სიგრძითა, მაგრამ, მერწმუნე, უძილობისგან ისე მტკიოდა თავი, თანაც იმდენი საქმე მქონდა, რომ გენახე, უთუოდ შეგებრალებოდი. სამაგიეროდ დღეს დაგსჯი დიდი წერილით.



უკანასკნელის წინა წერილში გაინტერესებდა ჩემი ჟურნალის წარმატების ამბავი. ჩემი ჟურნალი არც ისე სულელური იქნება, თუ კი ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაითხვის ღირსია. გამოცემისთვის სახსრები საკმარისია — 5.290 მანეთი. თუ ჩვენ (მე და ჩემი ამხანაგები) კეთილსინდისიერად ვიშრომებთ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაიზარდოს 10.000 მანეთამდე. მაგრამ აი, რას გეტყვი: იმათ საიდნლაც გაუგიათ, რომ ამ წელს ჯვარს ვიწერ და სასოწარკვეთილნი არიან, ჰგონიათ, დავეტორწინდები თუ არა, ჟურნალს მივატოვებ. მე ისინი ვადავარწმუნე და დავამშვიდე. ვუთხარი, იქნებ მართლაც დავეტორწინდე-მეთქი, მაგრამ დავეტორწინდები ისეთ ჭკვიან ქალზე, რომელიც ამ წმინდა საქმეს კი არ ჩამომამშორებს, პირიქით, უფრო მეტად მიმაჯაჭვავს და ძალასა და ენერჯიასაც შემმატებს-მეთქი და ა. შ. რა? განა შევეცდი, ასე რომ ვთქვი შენზე, ოლიკო? არა, ჩემს ოლიკოში მე არ შეეცადები.

არს დიდხანია ყველაფერი გავუმუღავნე. საიდან მოიტანე, თითქოს ის ჩემი არჩევანით კმაყოფილი არ იქნება? ოთხი თვეა სულ შენზე მეჩინებოდა. მე ხუმრობით ვარიდებდი თავს პასუხს. მერწმუნე, როგორც კი ვუთხარი ვტორწინდები-მეთქი, მომეხვია და მაკოცა. შენ მას არ იცნობ, საუცხოვო ქალი. გუშინწინსწინი კეკე ბარათშვილიც დამელაპარაკა შენზე. მე ვუთხარი, რომ უკვე ჯვარდაწერილი ვარ, ცოლი ფეხშიძიდა მყავს და მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად წინასწარ * „საქართველოს მოამბე“ ** დავარქვი მეთქი. — შენ იხუმრეო, მითხრეს იქა: შენ მეტი შენს სახლში არავინ აღარ დარჩაო, უშვილოდ ამოწყდებო. — თქვენ რა გენადღებათ მეთქი? იმოდენა სიმდიდრე ჩემი თქვენ დაგრჩებათ, გიხაროდეთ **.

წურბელებივით ჩამაცივდნენ, უსათუოდ შეირთეო, მიქეს შენი თავი, თავისებურად ისე შეგალამაზეს, რომ მე იძულებული ვავხდი, არც პო და არც არა მეთქვა. — კარგი-მეთქი, — ვუთხარი, — ბოლოსდაბოლოს რაც ვინდათ, ისა ჰქენით, ოღონდ მე გადაწყვეტილ სიტყვას ვერ მოგცემთ-თქო. მხოლოდ ამით ჩამოვიშორე არამკითხველ ნათესავები. უპ, ღმერთო ჩემო, რა ხალხია. თუ ღმერთი მე ვამას, ოლიკო, ჩამოეხსენი იმათ, განსაკუთრებით ყავლანიანთა. მერწმუნე, ისინი შენი ნდობის ღირსნი არ არიან. მე ძალზედ კარგად ვიცნობ იმათ. ნუ გამიწყურები, რომ შენს მეგობარ ნინოზე ამას ვამბობ. ის მართლაც ჭკვიანი ქალია, მაგრამ, დამერწმუნე, პირმოთენა სიმახინჯემდე. * შენი ჰირიმი, ოლიკაჟე, ფრთხილად იყავ, ისინი იმდენს არ გიმეგლიას, რამოდენადაც საქმეს გააფუჭებენ. ისე ანდრონიკოვსაც ჯერ არა უთხრა რა. ** მოითმინე, ჩემო მეგობარო, ოლიკოს მე ვერავინ წამართმევს, თუ კი ოლიკოც ამასვე მოისურვებს. რაც შეიხება ჩვენს * მაქანკალს **, გეტყვი: სჯობია ნუ გავაჯავრებთ, თორემ, შესაძლოა გავცვეს.

შენი ოლიკო.

10.

[6 თებერვალი, ღამის სამი საათი. 1863 წ.]

ჩემო კარგო ოლიკო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულვო. სტამბაშიც-კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუღმებით თვალწინ მიტრიალებ. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამოითენდა და შენ წერილითვე არ დამამილამდა. შენც იმდენ ყურადღებას იჩენ, რომ იშვიათად, ძალზე იშვიათად მითენდება მოსაწყენი დღე. მადლობას მოგახსენებ ამისთვის ჩემს ძვირფას ოლიკოს. იმედი მაქვს, მერმეც ასეთ ყურადღებას გამოიჩენ შენი ოლიკოს მიმართ!

გიხარია, კახეთში გამგზავრებაზე უარს რომ ვამბობ? თუ მართლა გიხარია, იცი, ამ სიხარულის ვის უნდა უმადლოდე? შენს ბარბარეს. იმან მართლაც შემამინა, მითხრა რომ ჩემ გამგზავრებაზე ფიქრით თურმე შენ თავს აღარ ეკუთვნი,



რომ მთელი დღე მოწყენილი ხარ, დარდობ, მიზეზიანობ, ბრაზობ, და ა. შ. ეს რომ აღარ გაგრძელდეს, მაშინვე გადავწყვიტე, თუნდაც კახეთში ყველაფერი ყირაზე დადგეს, აღარ გავემგზავრო. დავრჩები, რომ ჩემი გიჟი და მიზეზიანი ოლიკო დაეამშვიდო. შენ, ჩემო მეგობარო, რაცა გასურს მიბრძანე, გეფიცები, შენი ილიკო ყველაფერს შენებურად გააკეთებს. რატომ არ ამიკრძალე გამგზავრება გუშინვე, როცა გამგზავრების ამბავი გითხარი? ეს არაა შენი მხრით კარგი, ეს ნიშნავს, — შენ თითქოს ჩემი ხარ, ამასთანავე თითქოს ბოლომდე არა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგეხიჯა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვაღიარე, შენი კი — ჩემად. როგორც ამბობ ხოლმე, შენ მარტო ჩემი მომავალი ნეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარ. მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყინს, რა გიხარია. არ იფიქრო, ოლიკო, თითქოს ვჯავრობდე. მე ისე კი არ მიყვარხარ და ისე კი არა გცემ პატივს, რომ ნება მიცევ ჩემ თავს გაჯავრებისა. მაგრამ ცოტათი არ მესიამოვნა, — შენ არ გინდოდა ჩემი გამგზავრება და არ კი მითხარი თითონვე გუშინ. ერთი გებრძანებინა და დაუნანებლად დავრჩებოდი, შეიძლება მხოლოდ ერთხელ შედმეტად მეკოცნა ამისათვის.

ჭამის მადა კიდევ არა გაქვს? ნუ წუხხარ, ჩემო კარგო, მეც არა მაქვს ჭამის მადა. ეს ჭეშმარიტად ერთერთი აუცილებელი შედეგია სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა, როგორც შენი ექიმი გარწმუნებს. დიახ, ჩემო მეგობარო, მე და შენ დაავადებული ვართ ერთი სენით — სიყვარულით. აბა, იმ ექიმს სად შეუძლია მიხვდეს, თუ რა სენია ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებას უწოდებენ.

დღე, იმან ისე იფიქროს, როგორც მოისურვებს, ჩვენ კი მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნას მივაწეროთ. ისინი, როგორცა ჩანს, ერთ არსებაში ვერა რიგდებიან. შენ როგორა ფიქრობ, ჩემო ჭკვიანო ქალო, რომელი სჯობია: მადა თუ სიყვარული? ხედავ, ჩემო მეგობარო, ერთი აუცილებლობა შეორეს როგორ გამორიცხავს, რომელი ვამჯობინოთ? მე წინასწარ ვგრძნობ შენს ღიმილსა და შენს პასუხს ამ უცნაურ კითხვაზე, — შენ გინდა მითხრა: სიყვარული სჯობიაო. იყავნ ნება შენი, ჩემო ანგელოზო!

შენი უკუნითი უკუნისამდე
ილიკო ქავჭავაძე.

მუხრანიანთას იყავი? ნახე თუ არა ჩემი და? დღეს ვუთხარი, კახეთში აღარ მივდივარ-მეთქი. — რატომო, — მკითხა. — ოლიკომ ამიკრძალა-მეთქი, — ვუპასუხე. განსაკუთრებული სიამით გაიღიმა. ო, როგორ მინდა მოგეხვიო, მაგრამ რანაირად? შენ ალბათ ახლა გძინავს და ვერც კი მიმხვდარხარ, რომ შენი ილიკო ღამის სამ საათზე შენ გესაუბრება. იძინე, ჩემო ანგელოზო, ძილი სიჯანსაღეა.

11.

[7 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! რატომ ბრაზდები? მე ბარბარემ მიაძმო, რომ საშინლად წუხსო შენი კახეთში გამგზავრების გამო, მიზეზიანობსო. ამის გამგონემ, რომ სრულიად დამემშვიდებინე, გადავდე გამგზავრება. იცოდე, ნულარა მთხვე გავემგზავრო. შენ ისეთი ხარ, რომ უნდა დაგიჯერო და გიჯერებ კიდევ; დავრჩები დარკვეულ დრომდე. ხედავ, შენი ილიკო როგორა სცივს პატივს თავის ოლიკოს, შენც ისწავლე მისგან ქმრის დაფასება. ტყუილია თუ?

ავად ხომ არა ხარ? მკერდი ხომ აღარ გაწუხებს? თუ ღმერთი გწამს, ნუ იფადმყოფებ, ახლა მაგის დრო არ არის. იცოდე, ოლიკო, მეხგან ყოველდღე უხდა მივილო წერილი. დღეს უგუნებოდ წავედი სტამბაში. რადგან ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოგიწერია. შაბათს იქნები მასკარადზე?

შენი სამუდამოდ ილიკო.

შაბათიე მოკლე წერილისათვის.

[შაბათი, 9 თებერვალი, 1863 წ.]

ქვიანი ყოფილხარ, შევცდი, ჩემო კარგო! მარტო ეს კია ცუდი, რომ მაგ „მოლუხანს“ აბრეყებ, მაგრამ რა? ბრეყვი ყოველთვის ბრეყვი უნდა იყოს, ჩემო ოლიკო! და შენც ასეთი რამა ჰყოფილხარ, თუ ვინმე შენის კბილისა ჩაივდებ, მიწასთანაც გაასწორებ. მე ძალიან მიამა, რომ მხიარულს წიგნს იწერები, ჰსჩანს კარა მადიანად გამოგიძინია, მე კი ისევ ისე უძილო ვარ, არ მასვენებენ არც დღე და არც ღამე; შენ მიინც დაიძინე ხოლმე ჩემ მაგივრად.

მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მაგასა მკითხამი მე რათახანია ავიხსენი მასკა და შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ესლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერ[თ]მეტს საათზედ მოვიცილი, მაშინ წავალ; თუ არა და, მოვალ შინა და გუშინდელ დღის მოგონების ბუჩქანში დავიძინებ. იქნება ჩემი ქურნალი ზვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმეღია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჭეშმარიტება.

შენი უკუნითი უკუნისამდე ილიკო ჭავჭავაძე.
P. S. ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბადს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავად. ეს ამბავი მეწყინა კიდევ და მიამა, მიამა იმიტომ — რომ საძაგლად დამტერეული ვარ და მკვდარი, მეზარებოდა ამაღამ ჯაფა და შრომა. სულ შენი ბრალია!...

[11 თებერვალი 1863 წ.]

ოლიკო! გუშინ შენგან ისე ნაწყენი დავრჩი, გადავწყვიტე, ყოველ შემთხვევაში ორი დღე მაინც სტრიქონი აღარ მოგწერო. წუხელ საღამოს ერთი პუკარიც არ მოგიწერია, ერთი სიტყვაც არ გაგიმეტებია — განა ასე შეიძლება? დაიხსომე, რამდენჯერმე გთხოვე, მალ-მალე მომწერე-მეთქი, შენ კი რას სჩადი? ნებვირობას იწყებ, — ეს ცუდია; ეს იქით იყოს, შენ უყურადღებობას იჩენ, ეს კიდევ უარესია.

გუშინ მასკარადის შემდეგ მინდოდა წიგნი მომეწერა, ორჯერ მოვიცე კალამს ხელი და ვიგრძენი, წერილს გაბრაზებული ვწერდი. ცეცხლში ჩავაგდე და დავიფიცე, ვიდრე არ დავმშიდდები, არაფერს მოგწერ-მეთქი. ხომ კარგად მოვქცეულვარ? ვიცოდი, ჩემი წერილი მეტად გაწყენინებდა; შენ ხომ ისეთი შთაბეჭდილებიანი ხარ, მაშინვე აფეთქდებოდი; მერმე ვაი ჩემს თავსა!

მასკარაზე, ჩემო მეგობარო, ისე მოწყენილი ვიყავ, ირველივ ისე სულელურად გამოიყურებოდა ყველაფერი და ისეთი მტვერი იდგა, რომ ვერც კი წარმოიღვენ. ერთი ნიღაბი ამეკიდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მე წესიერი ქართველი ვარ, რომ მას ვუყვარვარ და ა. შ. არ იტყვიანო, ის ნიღაბი ქალი კი არა, კაცი იყო.

ამ დროს ჩვენს გვერდით ორლოვმა-უფროსმა ერთ ქალთან ერთად ჩაიარა. ჩემმა ნიღაბმა გააჩერა იგი და თავით ფეხამდე რამდენჯერმე ყურადღებით აათვალიერ-ჩათვალიერა, მერმე საზეიმოდ, ხმამაღლა, ერთგვარი ირონიით უთხრა: ოი, ოი, ოი! რა საოცრად მაღალი ხართ! მართალი გითხრათ, ძნელი გამოსაცნობია: აღიუტანტობა მოგარგეს თქვენ, თუ თქვენ მოერგეთ აღიუტანტობას.

ორლოვი აიღეწა, წამოჭარხალდა და სწრაფად გაეცალა უსიამოვნო საუბარს.

მე ძალზე დამაინტერესა ამ ნიღბის სითამამემ, მინდოდა გამეგო მისი ვინაობა. ცხადი იყო, იმისთვის შეინიღბა, რომ ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი გაეწეპლა. მერმე ნიღაბი მივიდა ვარვარა თამამშევესთან და ეუბნება: „სად არის ახლა პერფილევი? (ცნობილია, რომ იგი პერფილევიან ცნობრობდა).“



— მე რა ვიცი, — უპასუხა ვარვარამ.

— ვითომ არ იცის!.. ო, მეგობრობავ, — ნუთუ ეს შენა ხარ? ასე მალე იფიწყებ მეგობრებს! ერთ სიტყვით, მე თქვენ გირჩევთ ხშირად და ყურადღებით იკითხოთ ხეობის ფილოსოფია, მაშინ ვარდისებური ფეროვნება უფრო მოგედებათ სახეზე, ვიდრე ახლა.

წარმოიდგინე რა სახტად დარჩებოდა იგი. ასე ბევრი შეაცბუხნა, მხოლოდ მე დამინდო, ჩემდამი განსაკუთრებულად აღერსიანი იყო, მადლობას მოვასხენებ, — მე უმისოდაც გაბრაზებული ვიყავი შენზე, ჩემო მეგობარო! აბა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, არ უნდა ვყოფილიყავი შენზე გაბრაზებული? რითა ხარ ავად? იქნებ სულაც არა ხარ ავად და ჩემი შეშინება გინდა? თუშეცადე მე გამოვკითხე ბარბარეს და მითხრა, რომ შენ ნამდვილად უქეიფოდა ხარ. რა მოგივიდა? ღვთის გულისათვის, რომელიც ავრე ვიყვარს, თავი დაანებე ავადმყოფობას. ეს მე ძალზე, ძალზე არ მსიამოვნებს.

შენ გინდოდა სურდო ვადმოგედო ჩემთვის, მადლობა მომიხსენებია, — მე თვითონ ისეთი მამალი სურდო მაქვს, რომ შენც კი შეგეშურდება.

*შენი ჭირი, ოლიკო! ერთი რამ მინდა დაგეკითხო და სწორედ მინდა პასუხი მომცე, თუ ვიყვარდე ღობე-ყურეს ნუ მოედები და პირდაპირ მითხარი. მე მინდა ვაგიკეთებინო ზაპონკები, აი აქავ გიხატამ, როგორიც მინდა:**

(აქვეა დახატული ნიმუში, წარწერით: ო. კ.)

მერმე იქნება გაუპრიალებელი ოქრო, გვირგვინი, ასო ო და ჰ პრიალა, მოქედელი წვრილწვრილი ალმასებით. მე მგონი, კარგი რამ გამოვიდეს: მოგეწონება თუ არა? პირდაპირ მითხარი ან ჰო, ან არა. თუ აქ კარგად გააკეთებენ, მაშინ იქვე არა მეპარება, რომ მოგეწონება.

* წიგნები ხშირად გზავნი, თორემ არც მე და არც შენ.

შენი ილიკო ჰავკავაძე**.

* ოლიკოჯანი!** გმადლობ დღევანდელი დღისთვის, შენ ჩემდამი ასე აღერსიანი იყავი. აი რას ნიშნავს „რასბეკანცია“ — როგორც სალდათები ამბობენ ხოლმე. ერთი რამ მაწუხებს, თანაც დიდად მაწუხებს: მართლა ხარ ძლიერ ავად და ორი დღეა წევხარ, თუ ჩვეულებისამებრ ცელქობ, მატყუებ, რომ მოგეფერო. ღმერთმა იცის, შენ ისეთი ხარ, შენგან ასეთი ხუმრობაც მოსალოდნელია. ის კი არ გინდა იცოდე, ილიკო შენი ავადმყოფობის ერთ გაფიქრებაზეც კი როგორ დამწუხრდება, ლამის... მეკითხები, რატომ ვახდით? იმიტომ, რომ ძალზე შევეთვისე ერთ არსებას, რომელსაც შენ ისევე კარგად იცნობ, როგორც საკუთარ თავსა. ის ახლახანს, ე. ი. დღეს მწერდა და მეძახდა თავისი იარის მოსარჩენად. მე გამეცინა და ვაგიფიქრე: *ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უშველიდაო.**

მაპატიე, ვაცვეთილი ანდაზა რომ მოვიშველიე, მაგრამ ამ მდგომარეობას ძალზედ უდგებოდა. ხუმრობა იქით იყოს, მე ხშირად ვფიქრობ შენზე, ჩემო ანგელოზო! დიდხანს ვაგრძელებდა ეს ჩვენი სულელური მდგომარეობა? დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოსაწყენია, სურვილი გქონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არა! ერთადერთი სიხარული შენი წერილების კითხვაა. მერწმუნე, როგორც ვხედავ, სიყვარული ცული რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არ ჰყვარებია. ასე არ არის?

მომიტყვე, ჩემს გრძნობებზე ცოტა ქარბად ვილაპარაკე. მათი გამოთქმა არ მიყვარს ხოლმე, მგონი, თუ არა ვცდები, შენც არ უნდა ვიყვარდეს. ეს ყველაფერი სულ ზედმეტია, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენ ისე გულკეთილი ხარ, რომ მაპატიებ მცირე გადაჭარბებას, მით უმეტეს მაშინ, — ერთხელ კიდევ ვავიშვებ, — როცა სიყვარული არ არის მოყვასი ჩვენი.

ნიდას დაუინტერესებინარ. მე მოგწერე, კაცი იყო მეთქი, დღეს, ჩემი ოლი-

1 ო. კ. — ოლა ჰავთაძისა, (რედ).



კოს ბრძანება რომ შემესრულებინა, მისი გვარი გავიგე — სანიცკი ყოფილა.
* გუშინ, შენმა გარდამ, კაი ოინი დააყენა ზოგიერთსა.

მწერ, რომ მე თითონ მოვიდე და ყურები გავიწიო, გუშინაც კილო-კავად ეგ მომწერე. როდის და როგორ? ოლიკო არ მამიკვდება, რომ ოლიკოზედ ნაკლებ არ უნდოდეს ილიკოს მანდ მოსვლა და შენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა, შენ გეთაყვანე? ვშიშობ, რომ მაგითი საქმე არ წავახდინოთ. შენ სახელსა ვფიცავ, ოლიკო-ჯან, და რაც კი რამ მწამს მე ქვეყანაზედ იმასა, რომ თუ ჩვენი საქმე რითიმე დაშავდა, მე ვერ გაუძლებ. ამისი მეშინიან, თორემ შენი ნახვა როგორ არ შენდომება! თუ გული დაჯერებული გაქვს, რომ მაგითი საქმე არ წავგვიხდება, მომწერე — რა დროსაც გინდა, მაშინვე შენთან დავიბადები.

ქალო! რატომ არაფერი მომწერე, როგორ მოგეწონა ჩემი პროექტი და მხატვრობა ზაპონკებისა? მწერ, რომ როგორ შევიწინაზო. როგორც შენი ნება იყოს. შენ ხომ ჩემზედ მოხერხებული ხარ, რასა მკითხამ, შე გიყო! დამაცა, შენი ჯავრი მკირს, თავის დროზედ ამოვიყრი შენს ჯავრსა. ნეტავი ესლა, ** შენი ჯავრის ამოსაყრელად, * მაკოცნინა!..

შენი სამუდამო ილიკო ჭავჭავაძე**.

[თავზე მონაწერი:]

ვიყავ შენ დასთან, მან კანფეტები გადმომცა. დაუშვადლე, თუმცა არ მიყვარს კი.* შენი ჭირიმე, ოლიკო, მართლა ხარ ავათა, თუ ცელქობ? რა დაგე-მართა? **

15

[12 თებერვალი, 1863 წ.]

* ოლიკო ჯანი! უთუოდ მოვალ. შენ კარებთან მომიცადე, რომ იმდღე-ვანდელსავით არ მაწვალო. სწორედ თერ[თ]მეტზედ მოვალ. **

(დიდი ასოებით) მოვალ.

16

[13 თებერვალი, 1863 წ.]

* ოლიკო ჯანი! ** ხომ არ მიბრაზდები, რომ დღეს ბარბარეს მოტანილ წერილზე ვერ ვიპასუხე. ნუ განმირისხდები, ჩემო მეგობარო: ლოგინიდან ადგო-მა დამეზარა, — ასე გავზარმაცდი გუშინდელი შფოთიანი და თითქმის ტრალიკუ-ლი შეხვედრის შემდეგ. გეფიცები, ჩემს ბინამდე სიცილი არ შემიწყვეტია. ოლონდ არ ვიცი, რატომ ვიციინოდი? დეიდაშენი როგორა მყავს? მაგან აილო გუშინი ჩვენი პაემანის შესახებ? ყოჩაღად და ეშმაკურად კი უსხლტები ხოლ-მე — ყოჩაღ ქალო!

სტამბიდან გწერ საჩქაროდ და აქედანვე გიგზავნი ათას ხვევნასა და კოცნას.

შენი აწ და მარად

ილიკო ჭ.

17

[13 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო, შენი სულისა ახლაა გამახსენდა, რომ თქვენთან დამარჩა ჩემი ჯოხი, რომლითაც შენი ცემა არ დამაცალეს. გთხოვ, ან გამომიგზავნე, ანდა დამალე დარაბებს უკან, სადაც გუშინ ვიჯექი ჩემს დედოფალთან ერთად. მეორედ



რომ მოვალ, თვითონ წამოვიღებ. ღვთის გულისათვის, ახლავე გაეცი განკარგულემა, ჩემი სამეფო კვერთხი დარაბებს უკან დაასვენონ. ჯოხი, საერთოდ სულელური ნივთია, განსაკუთრებით კი ასეთი შემთხვევის დროს. მას შეუძლია ჩვენს საიდუმლოს გამჟღავნება. ახლავე ამ წერილზევე მიაწერე, ჩემი დედოფალი რას უპირებს ჩემს ჯოხს. ესეც შენი.. ისე იჩქარე ჩემი გამოგდება, რომ სიჩქარეში იძულებული გავხდეთ ჩემი საყვარელი ჯოხი იქ დამეტოვებინა, სადაც შეიძლება იგი გაცივდეს და სიბრაზისაგან რალაც-რალაცები წამოიროშოს.

დედაშენი ხომ არ ნებულობს აბრამს ბლინებზე დაეწვიოს? ასე რო არ იყოს, მაშ რატომ აფუსფუსდი? რას მიბრძანებ, რა გადაეცე ონიკაშვილისას? გთხოვ, რაც დღეს მის შესახებ გითხარი, — არავის უთხრა.....

* შენი საუკუნოდ ილიკო ქავქავაძე**.

18 *

[15 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ილიკო! თუმცა დაგპირდი, რომ ხეალ წიგნს არ მოგწერ შეთქი, მაგრამ ვერ მომითმენია. შე გიუო! რაზედ გამაგეეე პატიოსანი, დარბაისელი რე[და]კტორი?... მე ვინა და შულამისას ქალთან წიგნების წერა!.. ამაზედ არის ნათქვამი გლეხური ანდაზა: „ნუ შეხვალ, ნუ იბანებო, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.“

(წერილის შავი, დასაწყისი აკლია)

19

[16 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ილიკო! შენმა წერილმა ძალზედ დამამწუხრა. რა დავემართა? ისეთი კეთილგონიერი ხარ და როგორ აძლევ შენს თავს ნებას მოწყენილი და ნაღვლიანი იყო.* არ იცი, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“**,— ამბობს ჩვენი მოხუცი რუსთაველი. რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო, და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა, თუ კი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად განდომა? რას იზამს? დაგწყევლის თუ რა? დე დაგწყევვლოს, ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურებას ყური ათხოვოს. თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, მშფოთვარე ფიქრებს თავი ანებე, თავს ნუ იღვლეებ. რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მზითვეზე უარი გითხრან. დიდი არაფერია! დე, უარი გითხრან. ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ველარ მოვიბოვო? არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, არა ვარ ასეთი.

ჩვენ სხვის დაუხმარებლადაც ვიცხოვრებთ თუკი შენ თითონ დამთანხმდები.* შენი ჭირიმე, ტყუილ-უბრალოდ ნუ სწუხარ, რა გვიჭირს? შენც ჯერ ყმაწვილი ხარ და არც მე ვარ ბებერი.** ჩვენ ვიცხოვრებთ და ნახავ, ბედნიერებასაც დავიპყრობთ, თუ კი მანამდე თვითონ არ ინება ჩვენთან მოფრენა.

ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი, მე და შენ ჯერ ისე ახალგაზრდები ვართ, რომ ამ ბრძოლისთვის ძალა შეგვეყვას. მაშ, რაღად გვეშინოდეს ცხოვრებისა? ნურათრისი ნუ გეშინია. მე იმედი მაქვს, შენში ვბოვო დასაყრდენი და შენც იგივე ეძიე ჩემში. — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება.

მე არ მიყვარს ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მაგრამ შენმა წიგნმა მაიძულა და მეც საპიროდ დავინახე ოდნავ შევხებოდი მას, ვამბობ ოდნავ შეთქი, იმიტომ რომ ეს ამბები უჩემოდაც კარგად ესმის ჩემს ჭკვიან ოლიკოს.

* ოლიკო არ მომიკვდება, სწორედ ამრია შენმა წიგნმა, ნამეტნავად იმან, რაც ბარბარეს ეთქვა ლაზარესათვის. მიკვირს, ღმერთმან იცის, რა დავემართა? შენს გულში რაღაც მწუხარებაა და მე მიმაღავ. მე კი გიყსავით ხან აქეთ ვეცემი. ხან იქით, ვფიქრობ და ვერა ვამიგია რა, ვერაფერს მივმხვდარავარ.**

ხან რას ვფიქრობ, ხან რასა, ხან ეჭვი მეპარება, მგონია უსიამოვნო რაღაც იწყებს შენში ღალადს და ვეშურები მაშინვე გაგფანტო შენში ეს უსიამოვნება, მაგრამ მერმე ირკვევა, თურმე ჩლუნგი ვარ და ვერაფერი ვხვდები. იცი, ეს რატომ შემართება? იმიტომ რომ შენ მაინც ღელავ და თან მოწყენილი ხარ. შენ ან სულ არ გჯერა ჩემი, ან ეჭვიანი ხარ, ძალზე ეჭვიანი, ანდა არ გებრალები. ამ სამთავან არცერთი არ ვარგა, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოიშორო თავიდან, ჩემო ანგელოზო! თუმცა შენ ჩემი ცოლი იქნები, მაგრამ მე მაინც არა მაქვს არავითარი უფლება რაიმე შენიშვნა მოგცე. ამას იმიტომ არ გეუბნები, ოლიკოჯან, რომ ნოტაციები წაგიკითხო, მინდა ცოტათი მაინც გაგაძნობინო, რა უსიამოვნო ფიქრებში მაგდებს ხოლმე შენი ხალგაიანი ჩივილი. შემობრალე მე და თავიდან მოიშორე ყველაფერი, რაც ასე გაშფოთებს ჩვენი მომავლის გამო. ჩვენ კი არ ვეკუთვნით მომავალს, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია, ჩემო მეგობარო, უკუღმართი აწყოს მიუხედავად, იგი ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გავხადოთ. ჩვენ ხომ დღეად მომთხოვნი არ ვართ, ურთიერთ სიყვარულითა და ნდობით მცირედითაც დავკმაყოფილდებით. მაშ, რაღა გვაწუხებს? კიდევ ერთხელ გთხოვ, ოლიკოჯან, თავი ანებე ეჭვსა, უსიამოვნო ფიქრსა და მკითხაობას. იცოდე, რომ ილიკოს შენში მხოლოდ შენ უყვარხარ და ყოველგვარ უბედურებაში შენთან წმინდა იქნება. ნუ მაწყენინებ!

* თუ გიყვარდე, ოლიკო, გამხიარულდი, თორემ, შენს სახელსა ვფიცავ, შენს ილიკოს ცუდ დღეს მიაყენებ.

შენი სიკვდილამდე ილიკო ქავქავაძე**.

[18 თებერვალი, ღამის ორი საათი. 1863 წ.]

ოლიკოჯან! რატომ დაგაწვინეს ექიმებმა? ეს შენი ეშმაკობაა, თუ სხვა რამეა? თუმცა შეგიძლია ამ კითხვებზე არც მიპასუხო, ჩემს ბიჭს ვუბრძანე, მაცნობოს ბარბარეს მოსვლა, ყველაფერს იმას გამოვიკითხავ, თუმცაღა შენ მიბრძანებ, მას ყური აღარ ვათხოვო.

დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დამიძახეს, იმან მითხრა, თითქოს ჩემთვის მშვენიერი პატარძალი ჰყავთ ამორჩეული, თუ კი შევიერთავ, თითქოს პატარძალი სიამოვნებით გამოწყებდა. მიიხვდი შენზე ლაპარაკობდა და მაქანკალს გასასულელებლად გუთხარი, ჩემისთანა მღვთმარგობისა და ჩემისთანა ყმაწვილი კაცის დაქორწინება ძნელია მეთქი, — მით უმეტეს, — დაესძინე, — თბილისში არ არის ქალი, რომელიც მომწონდეს-თქო. ერთი წუთის შემდეგ შენი მუხრანთან ღიზა შემოვიდა. საიდანღაც გაუგია, რომ მეჯავრება, — არ მოველოდი! ჩემი გრძნობები, როგორიც არ უნდა იყოს, ისე ძვირფასია ჩემთვის, რომ არ ვხარჯავ ასე უბრალოდ, როგორც შესაძლოა მათ მოეჩვენოთ. მთისა და ბარისა ვილაპარაკეთ, ბევრი რამ ღვარძლიანად ვუთხარი, მაგრამ იმან, მგონი, ვერ გაიგო. დემერთმა თავის-თავი მოახმაროს.

შენი საათი ოსტატს მივეცი. ამ დღეებში იქნება მზად.* კრილოსანი კი უბეში მიღევს: არა უშავს რა, თბილად იქნება. არ დამეცინო, ჩემო გიგო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქაღალდი და იმაზედა გწერ. რაც ქაღალდი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ველარ მომაგონდა, რომ მეყიდვინებინა. უხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?

კარგად იყავ და ჰკვიანად, თორემ არც მე და არც შენ. უჰ, უჰ, რა გიყვს გადავიკიდე! არა უშავს რა, დაგაჰკვიანებ, დაიცა. ჯერ ხელში ჩამივარდე!.. — მგონი იტყვი, ნეტავი ეგრე იყოს და რაც ვინდა, ის მოახდინო. მეც ეგრე ვფიქრობ. ჩემო ოლიკო: ნეტვი კი ეგ მალე მოხდეს და შენს სიგიჟეს ყურსაც აღარ ვათხოვებ.

ჟურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი, ესეც კი იცოდე, თუ ვინმემ ნახა, ცუდი იქნება, ისეც ქვეყანა ჩვენზედ ლაპარაკობს.**

დღეს ელენემ მითხრა, სიტყვებს რა ბანზე მივდებთო! ხომ ვიცი, პატარძალი მოგწონთ კიდევაც და შეყვარებულიცა ხართო და ა. შ.



აი, ხედავ, ჩემო ანგელოზო, რას მოვესწარით. ძალზე უნდა ვიფრთხილებოდეთ, რომ სუფთად გამოვიდეთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ვიმყოფებით. მთავარი კეთილგონიერებაა, რომელიც, ჩემო ჰქვიანო ქალო, შენ არ გაკლია.

შენი სამუდამოდ
ილიკო ჰავჰავაძე.

21

[18 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! ყური მივდე: თუ ამ მოკლე ხანში მუხრანიანთ ღიზამ თქვენთან შემოიაროს, უთხარი, თითქოს შენ გაიგე გაბაანთაგან, რომლებმაც თავის მხრით მალაღაანთაგან გაიგეს, რომ ელენე ჩოლოყაშვილთან სტუდენტები ყოფილან და რალაც-რალაცეები წაუკითხავთ. თანაც დასძინე, თითქოს იმათვე უთქვამთ, რომ ელენესთან გამართავენ ლიტერატურულ საღამოს, სადაც ყმაწვილები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს-თქო.

სთხოვე, შენც წავიყვანოს. ამ კვირას მე და ჩემი ამხანაგები ნამდვილად შევიკრიბებით მასთან, და მე — შენი პატარა რედაქტორი — რალაც-რალაცეებს წავიკითხავ.

მხოლოდ ეს დაიხსომე: ფრთხილად იყავი, პირდაპირ ნუ მომვარდები, თორემ არ ივარგებს. შენ, რა თქმა უნდა, არ გეწყინება, თუ თავს ავარბებ, თითქოს წესიერად არც გაცნობდე.

საოცარაა, შენი ბარბარე როგორ მაჩქარებს. გიზნავნი უურნალს, ყურადღებით წაიკითხე, ჩემო ძვირფასო ანგელოზო! გკოცნი ათასჯერ ჩემს გიყსა და ვპირდები, დღეს 10 საათზე უფრო მეტს ვკოცებ.

შენი სამუდამოდ ილიკო.

22

[19 თებერვალი, 1863 წ.]

* უთუოდ შევატყობინებ ჩემს გიყსა, როცა წავალთ ელენესთან, მაგრამ არ ვიცი კი, როგორ. ჩემი ბიჭი ხომ ვეღარ მოვა შენთან, ჩემო კარგო, და როგორ მოგწერო. თუ ბარბარეს ყოველ დილას გამოგზავნი და საღამოზედაც, მაშინ კი შეიძლება, თუ არა, შემატყობინე, როგორ მოგაწვდინო შენამდინ ამბავი.

ხომ კარგადა ხარ? მართლა გაციებს, ქალო? წუხანდელმა ღამემ კარგი რა მოგახსენა? იასეს ჯერ ნურაფერს ეტყვი, მე თითონ მოვახერხებ, თუ შენ არ გინდა და ვრცხვენიან. მომიტევე, რომ ასე გწერ მოკლედ, ჩემი სახლი გატენილია სწორედ ყოველგვარ ხალხით. თუმცა მინდა შენი კოცნა, მაგრამ სად მოგწვდები? * დამრჩენია მხოლოდ სურვილით დაგკმაყოფილდე: გკოცნი და გკოცნი დაუსრულებლად.

შენი სამუდამოდ ილიკო ჰავჰავაძე.

23

[20 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! მე შევიტყვე, რომ ამ ჩემს წიგნსა შენს გარდა სხვა მკითხველიც ეყოლება, ამის გამო მე ბევრს არაფერს მოგწერ, თუმცა სათქმელი ბევრია. ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე, როგორცა ვხედავ, — არ ვიცი — შენ მოგწონს თუ არა ეს ჩვენი ყოფა? მე კი, სწორედ მოგახსენო, ვერაფრათ მეჭამნიკა. მართლა, ქალო, კვირაში ორჯერ უნდა ვწეროთ ხოლმე და მეტი არა? ეგ ვერაფერი ხუმრობაა. შენი პორტრეტი გამოგზავნე. რამკა ვიყიდე კიდევ.

შენი ილიკო ჰავჰავაძე.

P. S. პასუხი მოიწერე.



* ოლიკოჯანი! * ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ თითქმის შევწყვიტეთ მიმოწერა. ჩემს ტრადიციულ მდგომარეობაში ერთადერთი სიხარული შენი წიგნის მიღება იყო და ეგვეც შეწყდა. ღმერთმა შეუნდოს, ვისაც ამაში ბრალი მოუძღოდეს! მაგრამ მე ეგ რას მიშველის: შენ არ იცი, ეს ამბავი რა საშინლად მოქმედებს ჩემზე, როგორ მაწევება გულზე და როგორ მტანჯავს. არ არის ეს კარგი, ჩემო ანგელოზო, არა!

შენ, ჩემდა საუბედუროდ, მაშინ დაიწყე ძუნწად წერა, როცა მე ხელგამოღწეულად ვიმედოვნებდი შეხვან წერილების მიღებას. ფიქრებმა და ეჭვებმა ძალიან შთანთქმეს, ვარშემო ვერ ვხედავ ისეთ ვითარებას, ისეთ შემთხვევას, რომელზედაც ჩვენი საქმის გამარჯვების იმედს დავაფუძნებდი. მერწმუნე, ჩემს ცხოვრებაში არა მქონია ისეთი უსიამოვნო წუთები, როგორსაც ახლა მთელი დღეობით განვიცდი. ამ დღეებს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს და მით უფრო მიჭირს მათი ატანა. ძძიმე ნაღველი მაწევს და შენ არც კი ფიქრობ წერილებით ჩემს გამხიარულებას. მე სულ დავიბენი. ფიქრობ, ფიქრობ, როგორ მოიბოვო ის, რასაც ესწრაფვი, ვერავითარი მოგიფიქრებია. ცუდია!.. მინდოდა მამაშენთან მივსულიყავი და ყოველგვარი ტრადიციული შეძახილებისა და სენტიმენტალური ცრემლების გარეშე შენი ხელი შეთხოვა, მაგრამ, ამბობენ, არავის არ იღებსო. ვინდაც მიველე მანც, ვფიქრობ, არაფერი გამოივიდოდა. ეს ძველი ხალხი კაცისაგან მოითხოვს ზიზილ-პიპილებს, რაც მე არ გამაჩნია, მოითხოვს ჩინებს, რაიც ბედმა, ჩემივე თხოვნით, არ მარგუნა და ა. შ. შენს დას რომ მივმართო? იმასაც სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელიც შენა და იმას მოგესხენებათ, არაფრის გაკეთება, ძალიანაც რომ მოინდომოს, არ შეუძლია. სხვა შენს ნათესაებს არ მინდა მივმართო, რადგან სულ მგონია, ან მე გიჩვენებ იმათ სულელად, ანდა მე გიჩვენებთან ისინი სულელებად, ვინდაც ბედნიერი შემთხვევა მომეცეს, ექვი მეპარება, რომ ერთმანეთს ვავუვოთ—სულელურად შევხედვებით და კიდევ უფრო სულელურადვე ვავიყრებით. დიანხ, მეგობარო, ეს ისეთივე სიძარტლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რაღა მრჩება გასაკეთებელი? ეგების დავიცადო და გული ერთი ქართული ზოპარით დავიმშვიდო: * იქნება იცოდე, — კატა რომ შეხვს ვერ შესწვდა, გულამოსკენით წაიბუტბუტა: დღეს პარასკებიაო. ჩემთვისაც, ჩემო ოლიკო, პარასკებია, მგონი. კი ნუგეშია! *

ხუმრობა იქით იყოს, მასწავლე, რა ვიღონო. გეფიცები, ამის ატანა აღარ შემიძლია. — მით უმეტეს, რომ შენს ბოლო წიგნში არა მარტო შენი ნახვის იმედი, არამედ კვირაში სამ წიგნზე მეტის მიღების იმედიც დამიკარგე. ღვთის გულისათვის, ნუ ჩაიდენ ამას. მე ყველაზე მეტად ახლა მჭირდება შენი წერილები.

მინდოდა შენთვის ახალთ-ახალი და თანაც უსიამოვნო ამბავი მომეწერა, ამბავი, რომელიც არსებითად მე მეხება, მაგრამ ვარჩიე, შენთან შეხვედრას დაველოდო. იგი, სიტყვებით გამოთქმული, ისე საშიშად არ მოგეჩვენება, როგორც ქალაღზე დაწერილი გამოჩნდება. ღვთის გულისათვის, ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის, ჩემს წერილებს ნურავის უჩვენებ. არიან ქვეყნად ისეთნი არსებანი, რომელნიც ჩვენი წერილებისაგან მოითხოვენ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს. საბედნიეროდ ჩვენ არცერთს არ გვიყვარს ასეთი რამ, კარგია, რომ არ გვიყვარს! ლამაზი სიტყვა გრძნობისთვის ფერუმარიალია. შენ კარგად მოგესხენება, რომ ფერუმარილს ის ხმარობს, ვისაც უნდა თავი იმად მოაჩვენოს, რაც ნამდვილად არ არის. ჩვენს გრძნობებს ფერუმარიალი არ სჭირდება, ჩვენ გვეჯერა და პატივსაც ვცემთ ერთმანეთს — ეს უფრო დიდხანს გასძლებს, ვიდრე ყველა შორისდებულისა და შეძახილი ფერუმარილის წამცხებლისა.

ათასჯერ გოცნი

შენი სამუდამოდ ილიკო კ.

როდის შევხვდებით? მომწერე.



[24 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემს ცხოვრებაში ცოტა ყოფილა ისეთი საზიზღარი დღე, როგორც დღე-ვანდელი. მე ისე მივეჩვიე ყოველდღე შენს დანახვას და იმის გაფიქრებას კი აუტანელია, რომ დიდხანს ვეღარ გიხილავ.

დღეს დილით იმით ვსულდგმულობდი, რომ საღამოს გნახავდი, მაგრამ ესეც არ მოხერხდა. ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა დიდხანს ვეღარ შევხვდებით? ეს ყველაზე მეტად მაწუხებს ამ ქვეყნად. რა მოწყენაა!

იმ როკამ დედაკაცს რა საქმე აქვს შენთან? ხომ არ უნდა ჩვეულებისამებრ როგორმე ან რითიმე მოითბოს მანდ ხელი? მისმა სისხლის-მსმელობამ და ანგარებამ ხომ არ იბოვა შენთან რაიმე საკვები, — ნუთუ? სხვაგვარად იგი შენს ახლოს არც იფუსფუსებდა და ტყუილუბრალოდ არა დაჰკარგავდა ოქროს დროს, რომელიც ასე სჭირდება სხვა ათასი ხრეკისათვის. ღვთის გულისათვის, გემინოდეს მისი, ვითარცა კეთორვანისა, მოერიდე, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, და ნურაფერს, სრულებით ნურაფერს ნუ ანდობ მას. შენ იცი, მას ყოველგვარ სისაძაგლეზე მიუწვდება ხელი, მისთვის ამ ქვეყნად არ არსებობს კარგი თუ ცუდი გზა — ანდა, უკეთესად რომ ვთქვა, — მისთვის ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს.

არ კი ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, თუ რაზე ცუდი შეგვემთხვევა, ამ ტარტაროზის ხრეკების ბრალი იქნება. დიახ, ჩემო მეგობარო, ჩვენი საქმე ცუდად არის, და მით უმეტეს არ უჩანს კეთილი ბოლო, რომ ის შხამიანი, საზიზღარი არსება ჩვენს საქმეში დიდ როლს თამაშობს.

არ ვიცი, ყველაფერი ის რითი დასრულდება, მაგრამ ის კი ვიცი, ვიღაც ყველაფერი ეს მოგვარდება, მე ჩემი დამემართება. ყოველივე, რაც განვიზრახე, რაც ჩავიფიქრე, თუ არ დაიღუპა, შესამჩნევად მაინც დაზარალდება.

შენ წარმოიდგინე: აღარაფრის გაკეთება არ შემძლია, ახლა კი ყველაზე მეტის გაკეთება საჭირო; გარდა იმისა, რაც ჩვენ გვაწუხებს, გული არაფერზე მიმდის და არაფერზე არ მინდა ვიფიქრო. ამავე დროს, თითონაც იცი, ათასი ეჭვი, ათასნაირი ფიქრი თავში მიტრიალებს და მინისლავს ტვინს. იბრძვი, იბრძვი, გინდა როგორმე მოიშორო ისინი, მაგრამ ვერაფერს ახერხებ. არა, ასეთ მდგომარეობას ვერ ავიტან!

გთხოვ, დღლაგებით მომწერო, სიტყვა სიტყვით, რა გადაეცი იასეს და იასემ რა გითხრა. ეს ჩემთვის საჭიროა, რათა ვიცოდე, როგორ მოვიქცე, — მე მივიღე მასთან, თუ იმას დაველოდო ჩემთან. როგორმე სწრაფად უნდა მოვიშოროთ ეს აუტანელი გაუგებრობა, როგორმე უნდა მოვათავოთ.

არ ვიცი, რისგან მემართება, სამინლად ვეღვავ, ის ჯოჯოხეთის მაშხალა შენს გარშემო რომ იკლავება, შენს ახლოს რომ ტრიალებს. მას შეუძლია სუნთქვით მოწამლოს ადამიანები. მისი ყოფნა შენს სახლში კეთილს არ მოგვიტანს — დამანსოვრე, ეს უბრალო წინათგრძნობა არ არის.

ილიკო.

[26 თებერვალი, 1863 წ.]

* ჩემო გვრიტო ილიკო ჯანი! ** მე უსათუოდ ვნახავ იასეს, მერმე მამაშენსაც შევხვდები. შენ ნურაფერზე ნუ სწუხხარ, ჩემო ანგელოზო! სანამ შენ თითონ არ გამგზავნი ჯანდაბაში, მანამდე მე შენთვის ცეცხლსაც არ დავერიდები და წყალსაც გადაცურავ. დე მამაშენმა მოგაკლოს ლოცვა-კურთხევა, მე ხომ შენი ილიკო ვარ. ოღონდ შენ, მეგობარო, არ შეგეშინდეს ჩემი სიღარიბისა, დანარჩენი ეშმაკაცა წაუღია. იქნებ თვით ჩემს ოლიკოს ეშინია ჩემი სიღარიბისა, — ეს სხვა საქმეა. თუ ასეა, ეს შენ გულწრფელად უნდა გამიმკლავნო, როგორც პატოისანმა, უმწიკვლო ქალმა. ხოლო რაც მე შემეხება, დიდი ხანია გწერდი, რომ ილიკოში მხოლოდ ილიკო მიყვარს, სხვა არაფერი. გინდაც უკანასკნელი პერანგი გაგხადონ, მერწმუნე, მაშინ უფრო საყვარლად მომიჩვენები, უფრო

მომხიბლველად, შენ თავს ვფიცავ. შენ რაღაც ხშირ-ხშირად მიმეორებ ამ ბოლო დროს, დაფიქრდიო. არ ვიცი, მართალი გითხრა, როგორ გავიგო ეს ხშირი შენიშვნა. შენ ჩემზე ზრუნავ, თუ საკუთარ თავზე? ხომ არ გინდა ჩემგან გაიგო, შევეძლებ თუ არა საკუთარ სახსრებით ცოლის შენახვას. ხათაბალაში არ გინდა გაება, თუ ჩემზე წუხნარ? ღეთის გულისათვის, გამიფანტე ეს უსიამოვნო ექვეები. მე რომ შენთან ბედნიერი ვიქნები, რომ შენისთანა ცოლის პატრონისა შემურდებოდით, ამაში ეჭვი არ მებარება. გუშინ ხომ გწერდი ამის შესახებ, * შენ გეთყვანი, ** მერწმუნე, ჩვენი საქმის გამარჯვებას ვფიცავ, —ამაზე დიდი საფიქარი მე ახლა არა მაქვს. მე რომ არ მომწონებოდა შენი ზნეობრივი ღირსებები, შენი გონიერება და გული, გინდაც კრეზის სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყავი, პირველსავე პაემანზე შენგან პირს ვიბრუნებდი. შეიძლება, ჩემზე ბევრ ცუდს ამბობენ ირაკლის მაგვარი კეთილი ადამიანები, მაგრამ არავის მივცემ ლაყბობის ნებას ჩემი გრძნობების სიწმინდეზე, ოლიკოს მიმართ ჩემს სიყვარულზე. მე იმდენად ვაფასებ ჩემს თავს, რომ არავის ამოვასვრევიებ ლაფში იმას, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად ძვირფასია, ე. ი. ჩემს წმინდა გრძნობებს, კეთილ ზრახვებს. შენს თავს ვფიცავ, * ოლიკოჯან **, თუ კი ყველაფერს წაგართმევ, რის წართმევასაც შესძლებენ და შენ მაინც ჩემი ვახდები, ისეთ მოულოდნელ სიხარულს მომანიჭებ, ისე ამაღლდები ჩემს თვალში, ისეთი მარგალიტი გაივლდები შენს სხვა ღირსებათა გვერდით, რომ მისი ყიდვა მილიონებდათაა შეუძლებელი იქნება. მე ვიცი, შენ შეგიძლია ასეთი საგმირო საქმის ჩადენა, ამიტომაც დამშვიდებული ველოდები ბედნიერებას, რომელსაც ჩემი ოლიკო მომანიჭებს. რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უმიხოდ ბედნიერება კარგად გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. — თუ ასე არ არის, უმჯობესია ახლავე დაეშორდე, რომ შემდეგ ერთმანეთს არასოდეს აღარ შევხვდეთ.

ვაისხევე, ჩემო ანგელოზო, რომ გწერდი ჩემს სიღარიბეზე, ჩემს უჩინობაზე და ა. შ., მე არც ისე ღარიბი ვარ, როგორცა გწერდი. მე აღმომანდობა ჩვენი ცხოვრებისათვის სახსრები, ვიცხოვრებთ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობენ; მაგრამ მე ვცდილობდი — უფრო ღარიბად მეჩვენებინა თავი, ვიდრე ნამდვილად ვარ. იცი, რატომ? იმიტომ რომ, თუ ასეთი უბრალო რამ შეგაშინებდა, შეგეძლო მაშინვე უარი ვეტყვა ჩემთვის. მე ასეთი ცოლის ყოლას არ მოვიწოდებდი. ვარდა ამისა, მინდოდა დაგერწმუნებულყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუქს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღეთის მიერ შექმნილს არსებას, რომელშიც უპირველესად ყოვლისა მისი სული უნდა მზიანობდეს. დაბნ, ოლიკოჯან, შენ ისე კარგი იყავი, რომ დამარწმუნე კიდევ იმაში, რაშიც აგრე მინდოდა დარწმუნება, ამით ისე მიმჯაჭვე, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ დამაშორებს შენგან, რა თქმა უნდა შენ თვითონვე არ მოისურვე. და თუ მოისურვებ, გულწრფელად მითხარი, ნუ შემიბრალებ. პირველად ამეტყველდა ჩემი გული, მაგრამ დე ეს მისი უკანასკნელი ღაღადისი იყოს. მე მას დავმარხავ, ჩემო მეგობარო, თუკი ჩემი ოლიკო მას სამარადისო ხსოვნას უსურვებს.

ღანარჩენი შენ თვითონვე იცი, ჩემო ანგელოზო! მე მთლიანად ამ წერილში ვარ. გინდა დაიტოვე, რომ შემდეგში მამხილო, თუ კი დაწერილ სიტყვას სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვუღალატებ.

მე შენი ვარ ყოველგვარ ფათერაკში, უბედურებაში, სიღატაკეში, მანამდე, სანამ შენ მე თავისად მივტოვებ.

ახლავე მომწერე პასუხი, თუ გიყვარვარ. შევხვდებით დღეს? მომისმინე, ოლიკო! თუ მარხულობ, სემინარიის ეკლესიაში იარე, იქ შეგიძლია ქანდარაზე ახვიდე, მეც ვივლი მწუხრის ლოცვებზე. ქანდარაზე შენ ვერავინ დაგინახავს, ვერც მე. იქ შეგიძლია ცისკრამდე ლაპარაკით გული ვიჯეროთ, მით უმეტეს, რომ მწუხრის ლოცვა გვიან თავდება, რადგანაც მასთან ერთად დილის ლოცვაც ასრულებენ. თანახმა ხარ?..

შენი სამუდამოდ ილიკო.
გაკოცებ მრავალჯერ.

დილის ხუთი საათი [28 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ოლიკოჯანი სად, როდის და საიდან შემამჩნიე გუშინ? ნუთუ ისეთი უბედური აღმოვჩნდი, რომ ხელიდან გაუშვი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი აღამიანის ნაწვის შესაძლებლობა!.. უცნაურია და გაუგებარი: საღამოს 5 საათამდე შინ ვიყავი: 5-ზე გამოვედი შენს სანახავად, მაგრამ საუბედურად შენ არსად ჩანდი. როდისღა დამინახე? მომწერე — მაინტერესებს! რატომ გუშინდელ წერილს არ მიბრუნებ, ხომ არ მოგვეწონა?

ოჰ, ოჰ, ოჰ! რა ძვირფას რამეებს მაფიცებ, რომ გიორგისთან გავემგზავრო. კეთილი, ჩემო ანგელოზო, მე მივალ, მაგრამ, მართალი ვითხრა, წარმატების იმედი არა მაქვს, რადგან ჩემი ოფიციალური წინადადება მისთვის მეტად ცივი იქნება, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდება. თუკი იმდენად მოწყალე იქნება, რომ გაიგებს ღარიბი კაცის სიტყვას — ხომ კარგი, თუ არა და, რაც ამას კული მოჰყვება, ჩემს ანგელოზს დავაბრალებ, დე მან ავოს პასუხი საკუთარი თავის წინაშე. ვინ გეჩიხინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე? ვინც ამას გეუბნება, იგი არ არის ჩვენდამი კეთილად განწყობილი. მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისურვებს ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონმა, ვეჭვობ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება ინდომოს. ასე რომ მოხდეს, დაუჯერებელი იქნება.

განა მართო ის არის ასე განწყობილი? მთელი შენი ნათესაობა, ყველაზე ახლობლი დაწყებული და ყველაზე შორეულით გათავებული, ერთხანიად არიან თითქოს ელექტრონით დამუხტულნი ჩვენი საქმის საწინააღმდეგოდ. თუ ვინმე ახლა გეთანხმება, ეს იმას არ ნიშნავს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თითქოს მაშინაც დაგეთანხმონ: ისინი აუცილებლობასა და, წარმოიდგინე, შენს ენერჯიას ემორჩილებიან, რადგან იმედი აქვთ, თავზე დაგახვევენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას, და ყოვლის მომსპობი ღროისა და შენს ირველივ მოფუსფუსეთა მოქნილი ოსტატობის წყალობით, თანდათან მოიშორებ ჩემით გაცაცებას, მერე საბოლოოდ ამოიგდებ გულიდან ამ სისულელეს, ე. ი. მე. მერწმუნე, არც ერთი, რომელიც თქვენი ნათესაობის დიდი ჯაჭვის თუნდაც უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს, არ მოქმედობს წრფელად და პატიოსნად, როგორცა ფიქრობ. გატყუებენ, არ გეწინააღმდეგებიათ ამჟამად, დროს უცდლიან, რომ უფრო ადვილად მიაღწიონ მიზანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შენ თანდათან განელდე და დაივიწყო ეს საქმე, რასაც ახლა ასე მსურვალედ ეკიდები. მართალია, ზოგიერთ შენ ახლობელს იმიტომ უნდა ამ საქმის ჩაშლა, რომ შენთვის ბედნიერება სურს, რადგან დარწმუნებულნი არიან, ჩემთან უბედური იქნები, ე. ი. არც სიმდიდრე და არც წარჩინება გექნება. სხვებს ეს ზნეობრივი მამოძრავებელი მიზეზიც არა აქვთ, მათ ამოძრავებს მხოლოდ ტრფილი ხელოვნებისა — ავონ მოყვასთ. აი, ესენი არიან ზიზღის ღირსნი. შენ მეტისმეტად კეთილი ხარ, ჩემო ანგელოზო, რომ შეამჩნიო ეს ოსტატურად დაგებული მახეები, მე კი, საუბედუროდ, არ შემიძლია ეს დავიკვირო: მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ენა შენთა ნათესავთა ერთს ამბობს, ხოლო მეათე გული სხვარაშე უყარნახებს. ეს მეტად საწუხარო ჭეშმარიტებაა, და მათ ძალზე არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ? სჯობია იცოდე საწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასინარულო სიცრუე. მგონი, არა ვცდები.

შენი ახლობლების ეს დაგებული მახეები ჩემს წინათგრძობას აკრთობენ და უბედურებას უქადიან. მაგრამ არა უშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შეშარყიოს, მაგრამ რომ წააქციოს, — ვერასოდეს! ჩემ წინ დიდი გზა გაშლილი, თუ ამ გზაზე არ მეღირსა ჩემ რჩეულთან ერთად გავიარო, ე. ი. თუ ოლიკომ გადაიფიქრა ჩემთან ერთად დაადგეს ამ გზას, — რაც ღმერთმა ნუ ქნას! — მაშინ, ყველაფრის დამკარგველს, დამრჩება ერთი იმედი — ვიცხოვრო იმ წმიდათა-წმიდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდი ხანია ავირჩიე. ერთი



სიტყვით, მექნება ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დავიტირებ, სუნთქვის საშუალება შემჩრება.

ეს მიიმე ფიქრები უკვე სამი დღეა უწყესრიგოდ ირევიან ჩემ სულელ თავში და ახლა ასევე უწყესრიგოდ დალაგდნენ ქალაღდზე. ძალა არ მყოფნის, გადავიკითხო და ხელახლად დავებრუნდე ამ ფიქრებს, რომლებიც მინდა რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან.

როდესაც წერას ვიწყებდი, მეგონა, ეს ფიქრები გამეფანტებოდა. როგორც ხედავ, ამ სტრიქონებშიაც ჩამოწვნი ისინი ნისლად, თუმცა შესაძლოა არა ისეთი სიხშირით, და მგონი მათ მაინც შერჩათ ის განწყობილება, რომელიც ჰქონდათ მათ შენი ილიკოს მტკივან გულში. დიახ, ეს სამი დღეა რაღაც მაწვება მიძიმე! ღმერთმა ჰქნას, რომ მხოლოდ ამით დასრულდეს!

ფიზიოლოგები, ჩემი ანგელოზო, ამბობენ, ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, მას გიჟი ეწოდებაო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მეც გავგიჟებულვარ და ეგ არის, რადგან ყოველ წუთს შენითა ვარ გართული და ნენზე ვფიქრობ. წინ რა მომელის არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სულით მოვისწრაფი შენდამი, რომ მოგეხვიო და კოცნით დაგფარო.

ნახეამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აი უკვე მეორედ დაათენდა შენა წერილის წერაში საუკუნოდ შენს

ილიკო ჰ (ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე ს).

28.

[1 მარტი, 1863 წ.]

ანგელოზო ჩემო! რა საოცარი ხარ! შენი წერილები, განსაკუთრებით გუშინდელი, ილიკო, ჩემთვის არის ნამდვილი წყარო, საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარნამი არის ჩემთვის. აი, ამიტომ მწყურია ხოლმე შენი წერილები. მე შენად არ ვლირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ. არ გეფარისეველები. შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ილიკოს წყალობა იქნება. რა ჰკვიანი მყავნარ! როგორი ალერსითა და სინაზით მამცნევ ხოლმე ჩემს შეცდომებს! აი კიდევ ახალი აღმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ილიკო! ბედი ილიკოზე უკეთეს საჩუქარს ვერ მომიძღვნინდა. მაღლობა, ათასი მაღლობა მას!

ნება მიბოძე, თავი ვიმართლო გუშინდელი წერილის გამო. ყველაზე მეტად, იცი, რატომ ვარ შეშფოთებული? იმიტომ, რომ აკრძალული მაქვს შენი ნახვა. მე ზედმეტად ვარ განებივრებული ბედისაგან: თუ კი ოდესმე რამე მომისურვებია, ადვილად მომიბოძებია კიდევ. ამან გამახდა დიდგულა, მოუთმენელი და, რაც ყველაზე ცუდია, მცირე წინააღმდეგობის ატანაც კი მიჭირს. შეიძლება, ეს იმიტომაც ხდება, რომ აქამდე ჩემი სურვილები მეტად წერილმანი იყო, წერილმანს კი ხურდა ფულითაც იყიდი, ე. ი. ადვილად მოიპოვებ. ახლა საქმე სხვანაირად არის, ჩემი სურვილის საგანი შენა ხარ, ჩემო ანგელოზო, შენ კი ისე ძვირი ღირხარ, რომ ბედი იაფად არ მითმობს ჩემს ილიკოს.

გასაკვირიც არ არის, რომ ბედის სიმკაცრემ უჩვეულოდ შემაერთო და გუშინდელი წერილი დამაწერინა. შენმა წერილმა გამახსენა ერთი ჭეშმარიტება, რომელიც კინაღამ დამავიწყდა: ყოველ ნივთს თავისი ფასი აქვს. ასეც უნდა იყოს!

ახლა, რაც ჩემში და რაც ჩემს ირგვლივ არის, სულ ახალია, ამიტომაც უხერხულად ვგრძობთ თავს ამ ახალ მდგომარეობაში და გამოვთქვამ სისულელისა და უაზრობის მსგავს რაღაცეებს, მომბიტვე, მეგობარო!

რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას, ჩემო ანგელოზო, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც კი ერთხელ გეამბორო. ღვთის გულისათვის, მოაწყე ისე, რომ შევხვდეთ! შენ არ იცი, როცა ამისი შესაძლებლობაა, რა სიხარულით მოვფრინავ შენთან. დღეს იასესთან მივალ, თუ მოვასწარი — გიორგისთანაც, მინდობა ჭუჭურტანიდან დავგანახა, როდესაც მე ბატკნის სახეს მივიღებ ამ უფათრო



და უკულო ლომებს შორის. თუმცა ეს იასეს არ შეეხება: იგი ვითომც ქრისტესავე იკატუნებს თავს.

შენი სურათები მივიღე; გადასაყრელია, შენ კი მარწმუნებდი კარგად ვარო გამოსული. როგორ შეიძლება ვესტინისთან ვადალება? იცი, რას გეტყვი? თუ კი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო. რანესაგან, რომ წამოკვეთი ტროტუარს, მარჯვნივ პირველ ალაყაფში შეხვალ, შერმე იარე პირდაპირ და დიუბილერის ფოტოგრაფიის კარს მოაღებ. თუ წამოხვალ და წამოიყვან ისეთ ვინმე თანხლებ ქალს, რომელსაც არასოდეს უნახივარ და არ მიცნობს, მაშინ იქ შეგხვდებით, ვითომცა ფოტოგრაფი ვარ, პოზას მე ამოგირჩევ; სურათის სივსკარგე, ასე თუ ისე, ამაზე დამოკიდებული, და თითონვე დავაყენებ ფოტომაქინას. შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა. ოღონდ თმა იმგვარად დავივარცხნე, როგორც პირველად გქონდა ვესტინისთან. ძალზედ გიხდებოდა! თუ დღეს მოახერხებ წამოსვლას, ახლავე მაცნობე, წინდაწინვე უნდა მოვემზადო. გიგზავნი მედალიონს.

შენი სამუდამოდ, ილიკო.

29.

[2 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი**

ეს რამ გაფიქრებინა ჩვენი ქორწილის ვადალება სექტემბრამდე? შენს ჰქვიან თავში როგორ დაიბადა ასეთი აზრი? აპრილში ვახდები ჩემი, რაღაც არ უნდა დამიჯდეს. შენ ეს არ დავიფიქრდეს, ჩემო ანგელოზო! შეტის მოთმენა აღარ შემიძლია. რაღას უცადოთ, — ვანა ორთავეს არ ვვინდა — ეს ამბავი რაც შეიძლება მალე მოხდეს, რაღას იგონებ? არა, ჩემო ძვირფასო, ასე დიდხანს ცდა შეუძლებელია. ბევრი ვიფიქრე და გადავიფიქრე, ბოლოს გადავწყვიტე, თუკი რამე წინააღმდეგობა შეგვხვდა, ერთი კარგი და საქმური საქმე მოვიმოქმედო. ამას, როცა დრო დადგება, მაშინ გეტყვი.

იასესთან ვიყავი, ვერ ვნახე; დღეს 9 საათზე ხელმეორედ მივაკითხავ, იქნება ბედმა გავვილინოს და ჩვენი საქმე მოგვარდეს. ღმერთმა ჰქნას, თორემ ესე ვარ მოწყენილი, ლამის მოვკვდე!

იმგვარად დავარცხნილი თმა, როგორც გწერდი, მართლა გიხდება. მაღლობელი ვარ, რომ გუშინ იმგვარადვე დავივარცხნე. ისეთი კარგი იყავი, სულ მინდოდა მოგხვეოდი.

იწერები ცუდად ვარო. ეს ამბავი მაწუხებს. * რათა, შენი ჰირიმი, რათა ხარ ავად? თუ კიდევ ავად იქნები, მე მაინთ აღარ გამოვივლი. ხვალ კი მოვალ მეთორმეტე საათზედ. შე გიყვ, ჩემ პორტრეტს რომ ჰკოცნი, მე რა? მე მაინც გაუკითხავ გლახასავით გულნატკენი დავბრუნდები ხოლმე. შენი ჰირიმი, ოლიკოჯანი, ერთი კიდევ როგორმე მოახდინე, რომ ვნახო და მეტს აღარა გთხოვ.**

ვინ გეძახის პატრიოტს? იმათ რაც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. ვანა ასე არ არის, ჩემო სულიკო? ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგრამ შენ ამით იამაყებ, — ამიტომ მეჩვენები ძვირფასად, ამიტომ უყვარს შენს ილიკოს ოლიკო.

მახსოვს, დოღზე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე; თუმცა ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შესწევდება პატრიოტიზმს, მაგრამ იმ სიტყვებითა და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე...

და, როცა ღმერთი ინებებს ჩვენს ერთად ყოფნას, მე გიჩვენებ კაცს, რომელსაც შენს შესახებ, ვუთხარი, რომ ეს ქალი [ატარებს თავის გულში სამშობლოს სახეს].

[3 მარტი, 1863 წ.]

*ო ლიკოჯანი** ვიყავი იასესთან, მან მე იმედები მომცა, მაღლობა მას. როგორც ჩანს, ჩვენ საქმეს კარგი პირი უნდა უჩანდეს. მასთან შეხვედრის [შემდეგ] ისეთი [სინხარ]ულით გამოვიარე შენი [ოთა]ხის წინ, და სამწუხაროდ ისე ისე [ნაღვლიანი მეჩვენე], რომ გავოცდი. [რა] დაგემართა, ჩემო ანგელოზო? არც კი გამიღიმიე, — რა ბრაზიანი ხარ!

ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვა? ღვთის გულისათვის, ახლავე მიპასუხე ამ წერილზე. არ იცი და არც შეგიძლია იცოდე, რა ცუდად ვხდები ხოლმე, როდესაც ასეთი ნაღვლიანი ხარ, დღეს რომ შეგამჩნიე. მე არ [შემიძლია] დავუცადო სალამოს წერილს. [მომწერე] ახლავე, რა მოგივიდა?... [.....] საათზე ისევ გავივლი [შენი] კეთილი ფანჯრის წინ, იქნებ ჩემმა ანგელოზმა გამიღიმოს, თორემ დამწუხარებული ვიქნები. [თუ] შენ მომწერ, მე ახლავე მო[ვფრინდები], რომ მივიღო კეთილი ღიმილი ჩემი მშვენიერი ოლიკოსი.

შენი სამუდამოდ ილიკო.

გიორგისთან სალამოს წავალ.

[4 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! მე ყოველთვის ჯანმრთელად ვარ, თუკი ვიცი, რომ ჩემი ოლიკოც ჯანმრთელი და მზიარულია. რა კარგი იყავი დღეს და როგორ მსიამოვნებდა, გაღიმიებულს რომ გხედავდი.

შენ ნამდვილი ჯადოქარი ხარ, ნუ მკითხავ, ასე რატომ ვიწოდებ, ეს ჩემმა გულმა იცის. შენი სულისა! ხვალ 8 საათზე გამოვიგზავნო ლაზარე თუ დღესვე? მე ისე მინდა შენი ნახვა! მიყავ სიკეთე, დღესვე მოახერხე, შენი ჭირიმე!

გიორგისთან დღეს ვერ ვიქნები. ხვალ დილის 9 საათზე უმდაბლესი სალამით ვეახლები და ყველაფერს შეგატყობინებ. დღეს ხუთის ნახევარზე და ექვსის ხუთმეტ წუთზე კვლავ გავიარე შენი ფანჯრის წინ, მაგრამ ოლიკო ისე ბოროტად მომექცა, რომ არ გამოჩენილა. დამაცადე, როცა შეგხვდები, კოცნით დაგსჯი.

შენი სამუდამოდ ილიკო.

[5 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რამ მოგაგონა ფანჯარასთან მოსვლა სწორედ იმ დროს, როცა მე თქვენს ქუჩაზე გავლა მომიხდა. მაღლობა მომიძღვნია ამისათვის. მაგ ფანჯარას შევიყვარებ, ყოველ დღე 2 საათისთვის მაგ ფანჯრის წინ გავივლი, რომ შინების იქით ჩემი ოლიკო დავინახო. მე ტროტუარზედაც გხახე, ორჯერ ჩავიარე და ერთხელაც ვერ შემამჩნიე, მზერა არ მესროლე, უჰ, რა ბოროტი ხარ!

დღეს გიორგისთან ვიყავი, როგორ იყო ჩავიცივი სულელური ფრაკი, სულელურად მოვდრიცე ფიზიონომია და სულელურზე უფრო სულელური გუნებით წავედი მასთან. ორჯერ მივედი და შინ ერთხელაც არ დამიხვდა. კიდევ მივალ, იმ[იტომ] რომ მისვლას ჩემი ოლიკო მიბრძანებს. ფანჯარასთან რომ იდექი, მე ვცდილობდი მენიშნებინა, გიორგისთან ვიყავი-მეთქი, განგებ პალტოც გავიხსენი იმის საჩვენებლად, რომ ფრაკი მაცვია. აქედან უნდა მიმხდარიყავი, რომ სადღაც ოფიციალურ დარბაზობაზე ვიყავი, მაგრამ შენ ვერ მიმიხვდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო!



სალამოს 5 საათზე კიდევ გავიარე იმ ფანჯარასთან, სადაც ცოტა ხნის წინად მოულოდნელად გაიბრწყინა ჩემმა ვარსკვლავმა, მაგრამ ამოდ, იგი აღარ სჩანდა.

აბა, ახლა რა გაიგე ჩვენი საქმისა? როგორა ხარ? ჩემსას ნუ იკითხავ, მე სულ დავიბენი, მოწყვნილი ვარ, მით უმეტეს რომ დღეს სალამოს წერილი არ გამოგიგზავნია. მე ისე მივეჩვიე ძილის წინ ლოცვის მაგიერ შენი სალამოს უსტარების კითხვას, დღეს რომ არ მივიღე, ველავ და ვწუხვარ. რატომ იძუნწე და არ გამოატანე წერილი შენს მეეტლეს?

ხომ არ მოგწყვინდა წერილების წერა?

მედლიონი მზად არის, პორტრეტი — ჯერ არა, მაგრამ თუ არ გადავიფიქრებია, კვირა დღით იგი უკვე გექნება მედლიონში ჩასმული. ნახე, რა ექვიანი ვარ შენს მიმართ. რას იზამ? ძვირფას ნივთს ყველა დაჰკანკალებს, მეც ასე ვარ.

შენ ძალზე ძვირფასი ხარ ჩემთვის, ჩემო ანგელოსო, უფრო მეტად ძვირფასი ვიდრე შეგიძლია ივარაუდო, და რა გასაკვირია ყოველი წერილმანი რომ მაღლებდეს და მაკრთობდეს, თუნდაც ისა, რომ დღეს სალამოს შენი წერილის წაკითხვის ბედნიერება მომისწრავდეს. ვის უნდა ვუმადლოდე ამას? შენს უყურადღებობას თუ საქმით ვართობას? დღით და საღამოთი შენი წერილების კითხვას შემაჩვიე და უცებ გინდა გადამაჩვიო. ხელი ჩაგვიკიდია მკაცრი ანდახისათვის: კარგი ცოტა-ცოტათ. ასეთი ზომიერება ჩემთვის უცხოა: ან ყველაფერი, ან არაფერი! ჩემთვის საშუალო არ არსებობს.

* ერთი ეს მითხარ, ოლიკოჯან, გიორგისთან რომ წავიდე და უთხრა ყველაფერი, არც მაშინ მექნება ნება შენთან ვიარო? გავგონილა ამისთანა უხეირო საქმე, როგორიც ჩვენი საქმეა?*

ისე მოაწყე, ერთი წამით მაინც ვიყო შენს ახლოს, თორემ ძალიან მკაცრად და დაუნდობლად დაუწყე მოპყრობა შენს ილიკოს, რომელსაც ასე უნდა შენი ნახვა და ყურისგდება. * რა ვქნა? როდის უნდა ენახო ჩემი გიყი? ღმერთს ამ საქმეში ღმერთობა არ ეტყობა, თორემ ისე ხელი როგორ აიღო ჩემზედ, რომ შენთან აღარ შემახვედრა. ნეტავი მაშიდაშენი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, განახავდი მაინც, თუ სხვა არა იყოს რა.**

ეს სულელი პოეტები კი, საფოთი დაწყებული და კერესელიძით გათავებული, უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, შიშში, არისო ბედნიერება. ერთი არაფერი მინდოდა—ჩემს ადგილზე და ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩავარდნილი. მაშინ ვნახავდი, როგორ მოტყუებდნენ ხალხს. მაშინ სულ სხვა ყაიდსზე იმღერებდნენ. ღმერთმანი, ვერ მომისახრებია, როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? შენ რასა ფიქრობ? ისე ვარ დაბნეული, გაწვალებული და გამომწყვდეული, რომ ჩემი თავიც კი მეჯავრება.

ეჰ, ოლიკო, ოლიკო! შენ რომ ასე ძვირფასი არ იყო ჩემთვის, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ რა ვქნა, როცა დღითა და ღამით მხოლოდ შენით ვსულდგმულობ.

ოჰ, როგორ მინდოდა, ერთი წამით მაინც დავმშვიდებულყავი შენ ახლოს, ამ სიმშვიდეს მე ბედნიერებას დავარქმევდი.

ნახვამდის, ჩემო კეთილო ანგელოზო! დაე მე ვიტანჯო, ოღონდ შენ იყავ დამშვიდებული!

შენი სამუდამოდ ილიკო.

[კრებებზე მინაწერი:]

მეშინია, ვაი თუ მინაწერი ვერ გააჩიო, აი ისიც: თუ შენ საღამოობით წერილებს აღარ მომწერ, მეც შევწყვეტ წერას. თუ რამემ მომშალა, მხოლოდ ამან, შენგან წერილებს რომ არ ვიღებ.

გიგზავნი ქალაღს. თუ ღმერთი გწამს, ნუ იძუნწე და მომწერე, ნუ წამართმევ უკანასკნელ ნუგეშს. ეს ლიტონი სიტყვა კი არ არის, ჩემო მშვენიერო მგობარო, ჰეშმარტებაა.

[6 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, ოლიკოჯანი ბოლოს და ბოლოს გიორგი ვნახე. იგი ღიმილით მხედება და მეგობრულად მართმევს ხელს. შენი უმორჩილესი მსახური პასუხად დარბაისლურად უკრავს თავს და ეძებს თავისი სუელი შლიაბის დასადებ ადგილს. ჩვენ ვსხდებით. იგი მესაუბრება უფრნალზე, აქეთურზე, იქითურზე. მე, მართალი რომ გითხრა, არ მინდოდა ღობე-ყორეს მოცდებოლით, მინდოდა გადასულთიყავი საქმეზე, რის გამოც ვიყავი მოსული, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერში დავთანხმებოდი.

ზოგიერთ გადახვევათა შემდეგ, საქმეს დაეუბრუნდით. მას არაფერი უთქვამს დაღებითი, მაგრამ ხუჯეში ისაა, რომ „ჭოზე“ უფრო დამიძედა, ვიდრე „არაზე“.

მხოლოდ ცოტახნით მოცდა მთხოვა, რათა მამაშენი შეამზადოს თანხმობისათვის. თანხმობის მეტი რა მეტქმოდა, თუმცა ვაგრძობინე კია, რომ, რაც უფრო მალე მოთავდება საქმე, მით უკეთესია, რომ ეს გაურკვეველობა აფერხებს ჩემს მუშაობას და ა. შ. მაგრამ არაფერმა მიშველა. ის ჩვენ ორთავეზე პრაქტიკულია, ჩემო ანგელოზო, ხოლო პრაქტიკის წინაშე უკანდახევა გიხდება. მოკლედ გადმოგეცი ყველაფერი. სხვათა შორის, ესეც უნდა გითხრა, საქმოდ დიდხანს ვისაუბრეთ ჩემს შეძლებაზე. მე ვუთხარი, ღატაკი არასოდეს ვიქნები და არც მდიდრად ყოფნას ვპირდებით-მეტქი. მე ვფიქრობ, — დავძინე, — აქ საჭიროა რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება, — დანარჩენს ყველაფერს მოევლება-თქო, ვიცი რომ მას სწამს ბედნიერება სიმდიდრის გარეშე და მე მეტი არა მინდა რა-მეტქი.

— თქვენ ხომ მას კარგად არ იცნობთ?

მე გამეცინა ამ კითხვაზე და გავიფიქრე: უფრო მეტად ვიცნობ, ვიდრე შენ.

— მართალია, — ვუპასუხე, — კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენადაც ვიცნობ, იმდენადვე ვმსჯელობ მასზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ის დიდად თავაზიანი იყო, გონიერებას იჩინდა, თან გულახდელი იყო, რაც მასში ყველაზე მეტად მომეწონა.

ასე, ჩემო ანგელოზო, უნდა მოვიცადოთ, რა მოსაწყენია!!!

შენი სამუდამოდ ილიკო.

[7 მარტი, 1863 წ.]

შენი ჰირიმე ოლიკო! რა კარგად ჰქენი, რომ მუხრანიანთას არ გადახვედი. ასეთი მიამა, ოლიკო არ მამიკვდებ. რომ მეტი აღარ იქნება. ძალიანა ვწუხვარ, რომ ამაღამ ვიღარა გნახამ, მაგრამ რა ეშველება. ნიკოსთან ხშირად იარე ხოლმე, გაუმეგობრდი იმის ცოლს და იქ ერთმანეთსა გნახამთ.

გაკოცებ მრავალჯერ, უფრო მრავალჯერ ვინატრი შენთან ყოფნას.

შენი სამუდამოდ

ილია ჭავჭავაძე.

ამაღამ მე ელენესთან წავალ, არ ვიცი შეგიძლიან შენ მოსვლა თუ არა. ოთხს წყვილს საყურეს გიგზავნი, რომელიც პელოს მოეწონოს ის აიღოს.

შენი ილია ჭავჭავაძე.



[8 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, ოლიკო! შენ მეკითხები, იცის თუ არა ნიკომ ჩვენი საქმისა, — სრულიად არაფერი იცის და არც ეცოდინება ჩვენს ქორწილამდე.

რად უნდა იცოდეს?

ჩვენ უმისოდაც მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. თუმცა ისიც და მისი ცოლიც ზოგჯერ სიტყვას გადამოკრავენ შენსა და ჩვენი ქორწილის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვა-გადმოკერად რჩება, იმიტომ რომ მე თავს ვიძვრენ ყველგან და ყოველთვის. როგორა ვცდილობ დამალო და მინც...

(წერილის შავი, დაუმთავრებელი)

[9 მარტი, 1863 წ.]

ოლიკოჯანი ნუ გეშინიან, ქალო, განა ისე ავათა ვარ, რომ ვეღარ წამოვდგე ქვეშაგებიდამ. წუხელ შუალამისას სისხლი მომაწვა გულზედ და მთელი გული დაძინებოდა. დღეს ორლანდინმა მითხრა, რომ ერთი ორიოდ დღე ქვეშაგებში იყავიო, კარგად შეიქმნებო. მეც მთელი დღეა ქვეშაგებში ვარ. დილანდელ წიგნის პასუხს ლაზარეს გამოვატან საღამოზედ.

ნუ გიფობ და ნუ ჰსწუხარ, თორემ არ ვიცი რას გიზამ.

შენი ოლიკო ჰ ა ვ ვ ა ვ ა ძ ე .

[10 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ტრედო! არ ვიცი, ჩვენს წინაპარ ნოეს ნუთუ ისე გაუხარდა ტრედის მოფრენა მწვანე რტოთი, როგორც მე გამიხარდა შენი ნახვა? არა მგონია. როგორი კარგიც არ უნდა იყოს ცხოვრება, მაინც მწვანე რტო იმდენად არ გამიხიარულებს, როგორც კონცნის თაიგული, რომელიც შენ მომიტანე...

რა კარგი იყავ, შე გიყო! ჯადო ხარ, ჯადო! შენ რომ არ შემოფრენილიყავ ჩემთან, გუშინდელი დღე მკედარი იქნებოდა, ჩემო საოცარო ვენიავ! ოლიკომ გააცოცხლა იგი. ეს ჩაიწერება — იცი სად? — იქ სადც ზის ჩემი გიყი, ე. ი. გულში. აჰ, ერთხელ მაინც განმეორდეს ასეთი დღე. მაგრამ ჩემი კდემამოსილი ოლიკო როდის ინებებს.

*შენი კი ჰირიმე, ჩემო ოლიკო! ეს რა გამიჩნდი? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი. ღმერთმა უშენოდ ერთი საათი ნუ მაცოცხლოს**.

ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ. მე ხომ ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა, — მანამდე დამზრალი ვიყავ, ჩემო მეგობარო, — შენ გამომეცხადე და მე დავიწყე სულით აღვსილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ თუნდაც მინდოდეს. ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად კი არ გიწოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო ის გაეკეთებინა, რაც შენ ჰქმენ, ჩემო მშვენიერო და კეთილო გენიავ! ღმერთო ჩემო! როდის და დამითმობ შენ ჩემს ოლიკოს? უმისოდ მოწყენილი ვარ... დღეები ვადის და ჩემი ოლიკო ჩემთან არ არის, რითი მიბრძანებ ვინუგეშო? *ნეტავი მაგისთანა მაინც არ იყო; რა ვქნა, რა გიყო, რომ ისეთი კარგი, ხარ, რომ როდესაც შენ ვერა გნახამ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია, მითომ არც კი ვათენებულა.

შენი საუკუნოდ ოლიკო ჰ ა ვ ვ ა ვ ა ძ ე .**



P. S. შენ, ჩემო მეგობარო, ჩემზე ნუ იღარდებ. გამოვჯამრთელდები: შენ ზომ კონით ისეთი წამალი მომეცი, რომ მკვდარსაც კი გააცოცხლებდა და ეს უბრალო ავადმყოფობა როგორღა დაუდგება მას.

ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ზეგ სრულიად გამოვჯამრთელდები და ვეცდები როგორმე დაგენახვო.

მიიღე პორტრეტი; არაა კარგი; სხვა დროს გადავიღებ.

შენი საუკუნოდ

ილიკო ჭ.

[11 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, *ოლიკოჯანი! ** ნუთუ შენ არ იცი, რაზე ვისაუბრებთ? მეშინია, ქედმაღლური რჩევა-დარიგებებით არ ამაფეთქონ, თორემ ხანდახან ძალზედ უხეში ვარ.

რა კარგი იყო გუშინდელი პემანი, ოღონდ თუ სემინარიაში მარტო არ ივლი, მეც არ მოვალ.

შენ აშბობ, ლიზა არაფერს იტყვისო. ჯანა მე მეშინია მისი სულელური სიტყვებისა, დე თავისთვის იპუტუნოს, რაც მოესურვება, მაგრამ მე არ მისნა პატარა შესაძლებლობაც კი მივცე ჩემზე ლაპარაკისა.

შენი მეეტლე მაჩქარებს, ნახვამდის.

შენი საუკუნოდ.

[12 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი! ** მადლობელი ვარ შენი ღირსეული პასუხისათვის. შენი დისაგან მოწვევა მივიღე, უნდა ვეწვიო ან დღეს მ საათზე ან ხვალ 12-ზე. მადლობა უთხარი ჩემს მაგივრად და გადაეცი, რომ ხვალ დანიშნულ საათზე გამოვცხადდები, რათა მიშითა და თრთოლვით დაველოდო მომავალ საშინელ განსჯას. დღესაც მოვიდოდი, მაგრამ მეშინია ჩვეულებისამებრ სტუმრები იქნებიან და არ მინდა ჩემი იქ ყოფნა თვალში მოხედეთ; გარდა ამისა, ისინი შეუშლიან ხელს საქმეზე ლაპარაკს. თუმცა, თუ თქვენ გგონიათ, რომ არავენ იქნება, შემატყობინე და მოვალ.

ბოღიში მოუხადე შენს დას ჩემს მაგივრად, წერილითვე რომ არ ვპასუხობ. გთხოვ გადასცე სიტყვიერად ჩემი პასუხი. მართალია, ჩემი მხრით ეს უზრდელობაა, მაგრამ ის მაპატიებს.

[14 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი! ეს ეს არის შენმა მოწონებულმა ლაზარემ გამაღვიძა და მითხრა, რომ ქალბატონს წიგნი უნდა მიჰსწეროთო. — რას მიჰქარავე? ვის ქალბატონს? — აი, ახალ ქალბატონსაო; მაშინ კი მიგვხვდი, რომ შენზედ მეუბნება. ჩემო კარგო, ძლივ ავახილე თეალები და ისე გწერ, რომ ვერც ვერაფერსა ვხედავ და ვერც ვერაფერსა ვფიქრობ. ამიტომაც ვიცი შენის სიკეთისაგან მაპატივებ, რომ გუშინდელ წიგნზედ ეხლა, ამჟამად მოკლეთ მოგწერ.

შენა მკითხამ, როგორა ვნახოთ ერთმანეთითო; როგორც გინდა, შენ ოღონდ ბრძანე და ასრულება ჩემზედ მოაგდე. გინდა გუშინდელსავით აქ მოდი ჩემთან, არავენ არა გნახავს, გინდა მე მანდ მოვალ. გუშინდელ წიგნში მხოლოდ ერთი



რამ არ მამეწონა: შენ დას რად უთხარი ყველაფერი? მართალია, შენი და მთელ ქალაქის ქალებში უკეთესი ქალი მგონია, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა გეთქვა **.

რაც შეეხება წერილების გზავნას, ბარბარეს საშუალებით გადმოგვგზავნი. მან დაიწყო, მანვე დაასრულოს.

შენი მარად

ილიკო ჭავჭავაძე.

41

[14 მარტი, 1863 წ.]

*ჩემო კარგო ილიკო! რათა ფიქრობ, რომ მე შენზედ გაჯავრებული ვარ? შენს დას რაც უთხარი, — ეგ მე რად მეწყინება ისე, რომ გაეჯავრებულიყავი, და ან რა ნება მაქვს გაეჯავრდე შენზედ, მე და შენ თავთავისი ბატონები ვართ, ჩემო ილიკო! შენ ფიქრი ნურაფრისა გაქვს. მხოლოდ ეს კია, რომ დღეს უნდა შენ დასთან ვიზიტად წავსულიყავი და რაკი შევიტყუე, რომ იმან ჩვენი ამბავი იცის, ამასაც თავი დავანებე **. ამას უზრდელობად ჩამომართმევს, მაგრამ რა გქნა? თუმცა ერთი მანუგეშებს, ის იმდენად ჭკვიანია, გაიგებს, რამ მაიძულა არა გწვივოდი. იცი, რა უხერხულია? იმედი მაქვს, თავის დროს გამოვისყიდო მის წინაშე დანაშაული, მანამდე კი ასე დაერჩები, როგორც ვარ. გთხოვ, შენი სულისა, არც ერთი სტრიქონი ჩემი წერილისა იმას არ აჩვენო. არ იფიქრო, თითქოს არ ვენდობოდე, ღმერთმა დამიფაროს, — ამას იმიტომ გთხოვ, რომ როგორცაა უკეთესია, როცა იცი, შენს წერილს მხოლოდ ის კითხულობს, ვინაც უგზავნი.

*ეგე, შენ გეთყვანე, მე ახლა ვარვარა ილინინასთან მივდივარ. ამ წიგნს მალე არ გავთავებდი, მაგრამ სტუმარი მოვიდა.

გაკოცებ ათასჯერ

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე **.

42

[14 მარტი, 1863 წ.]

როგორც მონა, მორჩილებით, შევასრულებ ჩემი დედოფლის ბრძანებას. 11 საათზე, თუ მელირსა, ჩემს ძვირფას ილიკოს მოგვხვები. მე კარგად ვარ, ჩემზე ნუ იღელვებ. მომიტევე. მოკლედ რომ გწერ, ჩემთან ზის ისეთი „ბობოლა“, უხერხულია ბევრის წერა.

გაკონი, ილიკო!

შენი სამუდამოდ ილიკო ჭ.

43

[15 მარტი, 1863 წ.]

*შენი კი ჭირიმი, ჩემო ილიკო! ** რატომ არის ასე, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ძვირფასი რად ხდები ჩემთვის? ოჰ, შე ჯადოქარო, შენა! შენ დღეს, რომელიც ასე მორჩილულია, ჩვეული ხალისით მილიმოდ აღთქმული ფანჯრიდან: მამ მეც მთელი დღე კარგ გუნებაზე ვიქნები. როდესაც შენ რალაცეებზე ჩაიფიქრებდი ხოლმე, სხვათა შორის იმაზეც ვფიქრობ, რომ შენ სრულიად დამიმორჩილე. იყო კი დრო, როცა ზვიადად ვფიქრობდი ჩემ შესახებ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მევე ვიქნები-მეთქი. ახლა კი მე გამიჩნდა მფლობელი, ვისადმი დამონებაც ისე საამოა, რომ თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანს. დიახ, ჩემო შეგობარო, ცხოვრება მამინ ნიშ-



ნავს სიბოხსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძობაც ამეტყველდება.

ჩემ პირველ ჟურნალში, მოთხრობაში * „გლახის ნამბობი“ **, ეს აზრი შენანიშნავად გადმოსცა ჯუშმბერიძემ: *ჭკვა გზას გაგინათებსო, გული კი გაგათბობსო**.

ამ აზრის მთელი მშველება ახლავს გავიგე, იგი მეტად სწორი და სამართლიანია.

(წერილის შავი, ხელმოწერელია)

[16 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კო ჯ ა ნ! ეს ეს არის შინ მოვედი ბულგარიდამ, სადაც შენა გნახე. ხომ არ გაჯავრდი გულში, რომ არ მოვედი თქვენთან? როგორ მოვსულიყავი ქალაქის ქორებს ვილა გადურჩებოდა. დარწმუნებული იყავ, რომ შენი ნახვა, იქნება, მე უფრო მინდა, ვიდრე შენა ჩემი ნახვა, მაგრამ ჯერ ჩვენი საქვეყნოდ ნახვა ჩვენთვის მარხვავა. დღეს შიოგვის სახლებში პორტრეთი აგელო, რატომ არ შემატყობინე? ხომ არ დაგავიწყდი?

იმ დღეს ელენემ რაღაცაები მითხრა, მე რუსული „ატაკაი“ ვუთხარი, მე არა ვიცი რა მეთქი. გაჯავრდა, მგონი, ჩემზედ. შენ დასთან ჯერ ვერ მოვალ, მინამ მამაშენიდან პასუხი არ მომივა. გუშინ, ვილაც სოლომონაა, ის გაეუგზავნე. დიდი იმედი მომცა და არ ვიცი რატომ არ შემატყობინა პასუხი, რომელიც დღეს უნდა მოეტანა. ეს კი იცოდე, ჩემო ოლიკო, რომ არც ერთს შენს ნათესავს არ უნდა, რომ მისიძონ. მე, რასაკვირველია, ეს თუმცა მწყინს, მაგრამ ისე კი არა, რომ ჩემს ოლიკოზედ მინდობილი არ ვიყო. რაკი ჩემი ოლიკო თანახმაა, იმათ ბევრი ქოქოლაც რომ გვაყარონ, მაინც კიდევ ჩვენებურად ბედნიერი ვიქნებით. ტყუილია თუ? **

მამაშენის პასუხს თრთოლოვით ველოდები, ჩემო მეგობარო. გული მეუბნება, მაინცდამაინც საამო პასუხი არ იქნებაო. ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე! სხვა, შენ როგორა ხარ? მითხრეს, თითქოს შენ გაჯავრებენ, მართალია? იმათ ერთი შენებურად დაუტრიალდი, ჩემო მეგობარო, რომ ცოტათი ენა ჩააწყვეტინო, თორემ ძალიან შეატოპეს.

გიგზავნი ბევრ ქალაღს, ამ ქალაღების გათავებამდე, მე მგონი, შენ უკვე ჩემი ცოლი იქნები. მამინ ქალაღი აღარ დაგჭირდება, რადგან სულ ერთად ვიქნებით, * შენი ჭირიმე, ოლიკო! **

როგორმე მოახერხე ხვალ ექვსი საათის შემდეგ ჩემთან შემოვლა. ძალზე მინდა ჩემი ოლიკოს ნახვა.

თუ ვერ შესძლებ, მომწერე — ელენესთან როდის იქნები, მეც იქ მოვალ. ხვალ კიდევ გამოგიგზავნი ბიჭს.

შენი საუკუნოდ ილიკო კ.

დღეს ლაქსინთან ვიყავი; ის ჯვარი შენი იქნება. იქნებ ერთხელ კიდევ შეიარო ლაქსინთან? კარგად დაათვალიერე სამაჯურები. სხვათაშორის, იქ ყველა სამაჯურის ფასი გაიგე, და იმ სამაჯურს, რომელიც, მისი ანგარიშით, 700 მანეთი ღირს, მიაქციე განსაკუთრებული ყურადღება, ეგების მოგეწონოს.

მომიტყვევ წერილისათვის, შემინია, სადმე არ გამასწრო, ამიტომ ჩქარა მინდა გამოგიგზავნო.

შენი ილიკო და მარად შენი ჰაკვავაძე.

[17 მარტი, 1863 წ.]

ო ლ ი კო ჯ ა ნ! დღეს ბარბარემ რაღაცა კი ამბავი მომიტანა თქვენის სახლიდამ, არ ვიცი როგორ დაბოლოვდა. რა უნდა შენგან იმ სულ წაწყემენდილს, ნინოა ვილაცა? ნუთუ მე და შენი საქმე ისე უღვთო რამ არის, რომ იმაში ღმერთ-



მა გარია ეგ ქაჯი და სულთამხუთავი? აი დაშამათოს ღმერთმა, — აქედამევე ქოქოლას ვაყრი მის ბრწყინვალეობას. სხვა არაა იქ შენს ახალს სადგომში? როგორ მოეწყვე? შენი ოთახის ფანჯრები საით არის? დღეს ორჯერ გამოვიარე და შენ ისეთი უგულო იყავ, რომ არცკი გადმოიხედე. შენი ქირიმე ოლიკო! არაფერი არ დამიმალო, ყველაფერი მომწერე, რაც მუხრანსკის ცოლისაგან შენ გადაგზებდა.

შენი სამუდამოდ
ილიკო ქავჭავაძე.

46

[18 მარტი, 1863 წ.]

ოლიკოჯანი! გუშინ ვიყავ შენ დასთან, იმისთანა ამბავი არა მომხდარა, რომ ცოტა იმედი მოგვმატებოდა. სწორედ გითხრა, ვერც რიგიანად მოვილაპარაკეთ, ვილაცა ქალი იჯდა და იმან დაგვიშალა.

ჩემო კარგო! შევიტყვე, რომ შენ თურმე გაწუხებენ, რაღაც ნივთებს და გამოდებს გთხოვენ, შენ ნუ სწუხარ, დაე სულ წაიღონ, ოღონდ შენ კი მოგასვენონ. მაგის გულისათვის ჩხუბს და დაეიდარაბას ნუ გამართამ, თუ გიყვარდე. თუ ვინიცობაა დაგჭირდეს რამე, მე შემატყობინე, ყველაფერს გიშოვნი. ერთი რამ უნდა გითხრა და მეშინიან არ გამიწყრე, მაგრამ რადგანაც მე შენი ვარ და შენ ჩემი, იმისათვისა ვბედავ თქმას. აი რა მინდა გითხრა: თუ ფული დაგჭირდება, მე ძალიან შეწყინება, რომ არ შემატყობინო. ან რად უნდა გჯავარდუ ამაზედ, მე ხომ შენი ილიკო ვარ და შენ ჩემი ოლიკო, თუ ეგრეა, ნურაფერში ნუ მომერიდები, შენ გეთავყვა.

დღეს თორმეტს საათზე ელენეს დაუბარებვივარ, ნეტავი შენც მოხვიდე, საშინლად მინდა შენი ნახვა. მოხვალ, თუ არა?

შენი უკუნითი უკუნისამდე

ილიკო ქავჭავაძე.

47

[19 მარტი, 1863 წ.]

ჩემო, მეგობარო ოლიკო! გუშინ 11 სათამდე ვიჯექ შენს დასთან, მეგონა მოხვიდოდი, ამაოდ! — არ მოხვედი.

დღეს გელოდები, კარგს იხამ თუ მოხვალ. მძიმე ნადველი დამაწვა გულზე, არ ვიცი, ძვირფას სტუმარს რომ ველოდები იმიტომ, თუ სხვა მიზეზისა გამო. ხვალ მოდი ჩემთან, თავისუფალი ვიქნები, თუნდაც შუალამემდე. თუ შეგიძლია მოდი დღესვე, ძალიან მინდა გნახო და შეგახურო გუშინდელი წერილისათვის.

იმიტომა გწერ ასე ცოტას, რომ შენი მოსვლის იმედი მაქვს, ღვთის გულისათვის, მოდი, თუნდ ერთი წუთით შემოიარე.

შენი საუკუნოდ ილიკო.

დღეს ნამდვილად არავინ მეყოლება. 10-დე დაგელოდები, ეცადე, არ დაიგვიანო.

48

[20 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა ოლიკო! დღეს რომ არ გინდა ჩემთან შემოვლა, როგორი არა კეთილი ხარ. შენ ხომ შემპირდი, კვირამდე მოსვლას როგორმე მოვახერხებო. რად დიდე ასეთი ცოდვა, ჯერ იმედი მომეცი და გამახარე, მერე წამართვი და მომაწყინე. ეს მით უფრო საწყენია, რამდენადაც შეხვედრის იმედი სასიხარულო იყო, ჩემო ანგელოზო! თუმცა შინ და გარეთ ისე ხარ გართული, რომ ჩემთვის აღარა გცალია. ტყუილია თუ? მხიარულად გართული, ძალდაუტანებლად არც კი მოგაგონდება, რომ სადღაც არის ერთი არსება ისე განწყობილი, რომ შესაძლოა შენ გამო დაღონებული იყვეს.

მიუხედავად ამდენი საქმისა, რომელიც გადავიყვარე, მას შემდეგ, რაც შევიყვარე ერთი გიჟმაგი, ეს სამი დღეა 12-დან საღამოს 6 საათამდე ბულვარზე დავსერილობ, იმ იმედით, იქნება თვალი მოიკრა მეთქი. მითხრეს, რომ შენ ყოველ დღე სერილობ და, აბა მე რა გული გამიძლიებდა. მხოლოდ გუშინ გამიღიმა ბედმა და დავინახე, — მადლობა მოძიხსენებია ბედისათვის, ეტყობა, არც ისეთი ინდაური ყოფილა.

მართლა არ მოგწონს ჩემი ამორჩეული მაჭანკალი? დარჩიანოვი მართალია, არისტოკრატი არ არის, მაგრამ კარგ მაჭანკლობას არისტოკრატობა რაში სჭირდება? მითხრეს, თითქოს ეს ბატონი მამაშენთან დაახლოვებული კაცია და სხვაზე მეტად მას უჯერებსო. ამის შემდეგ, როგორ არ უნდა მომენახა ასეთი ძვირფასი აღმანი იმ საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ერთდღიანი დროს გვახარებს და გვტანჯავს კიდევც. ესეც არ იყოს, მას რითი სჯობია შენი ამორჩეული * მაჭანკალი **, რომელიც პირველ დღეს გამომიგზავნე? მე მგონია, ერთმანეთის უკეთესობას ვერცერთი დაიტრახებებს, ასე რომ ბარი ბარში ვართ, ჩემო ანგელოზო! ხუმრობა იქით იყოს, მე მინდა ერთერთი ჩემი მთავარი ნაკლი იცოდეს: ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო, გულზეგავობას მოკლებულ მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი სალი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობითი კეთილშობილური სისხლი გულზე გადადობას შეუძლებია. შენ ისე ჭკვიანი ხარ, ჩემო ანგელოზო, არ მისაყვედურებ ამ სიტყვების გამო, ამ სიტყვების სიმართლე ფაქტებზეა დაფუძნებული.

გნახოთ რა პასუხს მომიტანს მამაშენისაგან ეს სიტყვი, მერმე თუ საჭირო იქნება, ირავლის მივაკითხავ. თუმცა ეს მეტად მიმიძის, მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი ოლიკო თავის სიყვარულს მაფიცებს. ასეთ დროს ცეცხლშიც ჩავვარდებოდი დაუფიქრებლად, მით უმეტეს მივალ ირავლისთან გამოვითხოვო ის, რასაც ასე ვესწრაფვით სიზმარსა და ცხადში.

* თუ გიყვარდე, ოლიკოჯან, დღესვე შეიარე ლაქსინთან და კარგად გასინჯე ის სამაჯური თავის მოწყობილობით, რომელიც იმის, ფიქრით, სამოცდაათ თუმნათა ღირს. ნუ გეშინიან, შენ ოღონდ მოიწონე, მე იაფად გამოვიტან. ეს კია, რომ არაინ არ უნდა იცოდეს ეს ამბავი.

შენი ჭირიმი, ოლიკო! ახლა მინამ ჩვენი საქმე არ გათავდება, არ მეჩვენები მე? რა არი, ქალო, მოიგონე რამ, ან სტარიცისთან წადი ან დობლანსკისთან და იქიდან ჩემთან შემოფრინდი. შენი დის ფაქტონით კი არ მოხვიდე, იქირავე და მე გაიგისტურებ. ელენესთან თუნდ რომ გნახო, რა გამოვიდა? ხომ ვერ გაკოცებ? ** მე კი ისე მინდა გეამბორო, ჩემო მეგობარო!

შენი საუკუნოდ ილიკო.

P. S. მართალია, რომ არ შეიძლება ყოველდღე ბიჭის გამოგზავნა?

[21 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რა გითხრა მამაშენმა, ალბად რაზე არა სასიამოვნო. ნუ მიბრალე, რაც იყო ყველაფერი მომწერე, რომ ვიცოდე, როგორ ვიმოქმედო. ძალზე მომეწონა ასეთი სულელური, გაურკვეველი მდგომარეობა, მალე უნდა მოვთავო. მე უთუოდ წავალ ირავლისთან, თუ კი უიმისოდ მართლაც არაერთი ხერხდება. დღეს ან ხვალ გამოვეცხადები უმდაბლესი საღმთა და მორჩილი თხოვნი. თუ აქაც არაფერი გამოვიდა, დამრჩენია რომანტიკული რალაც მოვიმოქმედო, რომ ამით მაინც დავამარცხო ისინი, რომლებიც მე ბედნიერებას მართმევენ.

* ლაქსინთან იყავი? მოგეწონა, თუ არა. ოპ, როდის იქნება გნახო, მე კი ჩემი დამემართა და შენი კი არ ვიცი. რომ მნახო, ვერც კი მიცნობ, ისე თურმე გამხდარავარ. მოხვალ დღესა? შენი ჭირიმი, თუ გიყვარდე, მოდი. შეყოფა, რაც შენი უნახაობით ჭირი გამოვიარე.

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე.

მომიტყვე ბატარა წიგნზედ, საჩქაროდ ვწერ. შენი და როგორ არის? ხომ არ დაწვა? **

[22 მარტი 1863 წ.]

*ჩემო კარგო ოლიკო! ** ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ჩემო ანგელოზო, თორემ ცუდი დღე დამადგება! დარჩი ტფილისში. გინდაც ყველანი აგვიჯანყდნენ, შენ მაინც ჩემი იქნები, ძე კი შენი. ოღონდ, რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ღვთის გულისათვის ირაკლისთან ნუ გამგზავნი, შენ მას კარვად არ იცნობ, მეგობარო! თუკი ვინმე ჩვენს ბედნიერებას ხელს უშლის, ეგ არის, მე სანდო წყაროებიდანა მაქვს გაგებული.

გუშინწინისწინ ჩემზე ლაპარაკი ყოფილა მამაშენთან და, ამბობენ, შენი ირაკლი ყბა-აღებით აუგად მახსენებდა, აბა ამის შემდეგ როგორღა მივიდე მასთან, მაგ ბატონის ნახვისას ხომ სულ ღვარძლი უნდა ვანთხო. ძნელი იქნება თავი დავიჭირო უკმეზობისაგან, რისი ღირსიც ეგ არის. თუმცა, მგონი, მაგის დახმარება აღარც დაგვჭირდეს. მამაშენი დღეს კინაღამ დაეთანხმა ჩემს წინადადებას და ამით ჩვენი საქმის კეთილად დამთავრების იმედი არის. მამაშენი, შეიძლება ითქვას, ნაადვილად დაგვეთანხმება, თუკი ირაკლი და მისთანანი მამაშენთან არ იფილდებენ. ხვალ წერილით მინდა აღუდინცა ვთხოვო მამაშენს. აი, იქ კი ქრისტედ უნდა მოვიკატუნო თავი, რომ მაძინვე დავიყოლო. თუმცა ზედმეტად რაღად უნდა ვილალოთ? მე ისა მკლავდა, რომ მეგონა, თუკი გასაქცევად გვექნებოდა საქმე, არ გამომყვებოდი, — ხოლო რაკი თანახმა ხარ, ზღუასაც კი გადავლახავთ.* აი მაგისთვის მიყვარხარ ჩემო ოლიკო! ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი! **.

ამის შემდეგ როგორღა წარძოსთქვი, — დაფიქრდი, ჩემთან უბედური არ იყო. ო, ჩემო მეგობარო, ის თუ გამხდინდა უბედურს, რომ თვით შემშურდეს ჩემი თავისა, ჩემი ძვირფასი ოლიკო ასეთი კარგი რომ მყავს: მიზეზი უბედურებისა სხვა რა უნდა წარმოვიდგინო! ჩემზე ნუ ფიქრობ, ოლიკო ისეთი ქალი იქნება, რომ მისი ქმარი იმად არ ეღიბება. თუ გინდა, შენ თვითონ დაფიქრდი, ყველაფერი აწონდაწონე, მერმე რომ კმაყოფილი დარჩე, — ადამიანები ხომ კმაყოფილებამი ხედავენ ბედნიერებას. * ეგრე გეთაყვახე, გამახარე ხოლმე, როგორც შენმა წიგნმა დღეს საღამოზედ გამახარა და მე ბედნიერი ვიქნები **.

ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარ-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, ვადვილით კიდევ, ჩემო მეგობარო! ღმერთმა იმტომ მოგცა გრძობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გავიტობოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელია და თვით დამარცხების დროსაც სასახელია.

* შენი პორტრეტი მე დილასვე გამოვართვი **. რა ნაღვლიანი ხარ, ჩემო ანგელოზო! ყველას მე დავიტოვებ. ისინი მთლად ისე კარგი არ არის, შენ ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე სურათებში. * ნეტავი დღეს მოსულიყავ: რა რიგად გელოდი? რამდენი რალაცეები უნდა მეჩვენებინა შენთვის.

შენი უკუნითი უკუნიამდე ილიკო ქავჭავაძე **.

[ცალკე ქალღმერთი მინაწერი:]

ის ნივთები, შენ რომ ლაქსინთან ნახე, ჩემთვის გადავანახვინე. საათი თავისი მოწყობილობით (შენ ის არ გინახავს), ჯვარი და სამაჯური ქინძისთავებით, საყურეები, გულდასახნევეები, სამი ოქროს ძეწკვი, სხვადასხვა რამისათვის რომ გამოდგება, — ეს ყველაფერი ჩემთვის გადავანახვინე ერთის პირობით: თუ შენ არ მოგწონება და თუ მამაშენი თანხმობას არ გვეტყვის, უკანვე დაუბრუნებ. თუ მართლაც მამაშენმა უარი გვითხრა, უკეთესი იქნება, ეს ფული უფრო საჭირო საქმისათვის გადავინახოთ. ვანა მართალი არ არი, მეგობარო!



[24 მარტი, 1863 წ.]

* შენი სულისა ოლიკოჯანი! დანაშაული მაქვს, შენ გეთყავანე, რომ წიგნი არ მოგწერე. მე მინდოდა ჯერ ირაკლი მეხახა და მერე მომეწერა ყველაფერი. ნუ გამოგაჯერდები, რაღა ეგ მინდა, ისიც მეყოფა, რაც ბედი ჩემზედ ჯავრობს, რომ შენს თავს არ მაჩვენებს ხოლმე. შენთან, რაც უნდა საქმე მქონდეს, როგორ დამხარდება წიგნის მოწერა**. ეს მიმოწერა, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ჩემთვის არსობის პურია, შენ ეს იცოდე, და მომიტყევე.

* შენ რომ გნახე, ირაკლისთან წავედი; შინ არ იყო, მაგრამ მე ახალი ამბავი შევიტყე. დილას ერთი ჩემი ამხანაგი წინამძღვრიშვილი ყოფილა მამაშენთან. ჩემზედ დაუწყევიათ ლაპარაკი. წინამძღვრიშვილს უთქვამს, მოვილოცოთო ქალის ბედნიერებაო. მამაშენს შორს დაუქერია. მე მოლოცვისა არა ვიცი რა, თუ უნდათ ერთმანეთით, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთო. მე არც არას ვეტყვი, არც პოსაო, როგორც დაუწყევიათ, ისეც ვაათავონო. ესეც შევიტყე, რომ ჩემი მიღება არ უნდა, აბა, აქ ამ ქონხანშია სად მივილო, — უთქვამს მამაშენს.

აი, მოკლედ ის, რაც ულაპარაკია მამაშენს. სხვა რაც უთქვამს, ისე სასიამოვნო არ არის, როგორც საწყენია, რად გინდა რომ იცოდე.

რა უყო, შენი ჭირიმე, ოლიკო? წუხელ მთელი ღამე არა მძინებია სიხარულითა, რომ ხვალ ოლიკოსთან ვიქნები მეთქი, მაგრამ აქაც მოვსტყუედი და ველარ მოვალ. შენც არ მამიკედე, ხომ იცი შენს სახელს ძნელად დავიფიცამ. რომ ჯაერისაგან აღარა ვარ. თავი გატენილი მაქვს უსიამოვნო ფიქრებითა და თუ რამ სასიხარულო მაქვს, ეგ ისა, რომ ოლიკო ჩემკენ არის და ჩემი იქნება. ნეტავი მალე გახსნილდეს მაინცა, მე ვიცი ამ საქმეს რა რიგად მოვეუბნებოლსა**.

ჩვენი ჯერიც მოვა და ბედს ჩვენს დუღუჭუჭე სულის ამოხდამდე ვაცეკვებთ. თუ თვითონ არ შეგვიბრალა, არც ჩვენ შეგვიბრალებთ მაგ სულელსა. დე იქ მამაშენმა ჩვენზე იბუზღუნოს, თუ კი იამება. კარგი იყო დაველოცეთ; — არა ქნა, ღმერთი იყოს მისი შემწე, დაულოცავადაც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება. შენი და არის ამის ცოცხალი მოწმე.

მე ოთხიდან ხუთამდე და ექვსამდე ბაღში ვიქნები. თუ გინდა მოდი.

შენი საოკუნოდ ილიკო.

მინდოდა კოცნა გამომეგზავნა, მაგრამ ჩემზე გაბრაზებული ხარ და არ მიიღებ.

[26 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო ოლიკოჯანი! მომიტყევე, გვიან რომ გასაუხვებ წერილზე. ჩემთან ზაგურსკი იჯდა და ღამეს 2 1/2 საათამდე დარჩა. უხერხული იყო მასთან წერა.

რა საკვირველი ხარ, ჩემო ტრედო! დღეს მოწყენილი ვიყავი, შენ კი მოგჩვენებია, თითქოს შენზე ვიყავი გაჯაერებული, რადგან პლატონოვსა და ბრიუგელს ესაუბრებოდი. როგორ ფიქრობ, ვითომ ვეჭვიანობ? იცოდე, ჩემო ანგელოზო, სადაც ეპევიანობაა, იქნლობა და პატივისცემა არ არის. მე არ მინდა, ასე რომ ფიქრობდე ჩემზე. * შე გიყო, მაგისათვის ყურების გასაწევი ხარ, მაგრამ რა გიყო, რომ შორსა ხარ**. იმიტომ კი არ ვიყავი მოწყენილი, რომ შენ მზიარულობდი, ძალზე სუსტად ვგრძნობდი თავს და ცუდად ვხდებოდი. შენი მზიარული და გამომწვევი ჩემად ნასროლი შერა მაცოცხლებდა, თორემ ღმერთმა იცის, რა დამემართებოდა — ნახევარი საათიც კი ვერ გაძილ ფეხზე. დიან, ჩემო ანგელოზო, ცუდად ვგრძნობ თავს, საშინლადა ვარ მოშლილი. არ ვიცი რით დამთავრდება ეს ყველაფერი, ის კი ვიცი, იმდენად დაგსუსტდი, რომ იძულებ



ბული ვიქნები ისევ ჩავეწვე ლოგინში. გუშინ რალაც რეცეპტი გამომიწერე, ვისარგებლებდი, მაგრამ იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ მქავე მურაბებისა, ფორთოხლებისა და ზოგიერთი ხილის გარდა სხვა რამის ჭამა აკრძალული მაქვს. დღეს უკვე მეოთხე დღეა საჭმელად არაფერს მაძლევენ. მაგრამ შენ ნუ ინაღვლებ, ყველაფერი გაივლის და გამოვჯანმრთელდები.

*ჩვენი საქმისა რა შეიტყე? რატომ არასა მწერ? რა კარგი იყავ დღეს! შენც კი რამდენიმე ხანს დამიღონდი, ჩემო გვრიტო, მე რომ ისე მნახე. მე შემეცოდე და მერე, თუმცა არ მეცინებოდა, გაგიცინებდი ხოლმე. მაშინ ჩემი ოლიკოც გამიმხიარულდა. შენი ჭირიმე, ოლიკო, წიგნები არ მომაკლო, თორემ უკეთესს წამალს წამართმევ მე და მერე კარგილი დამრჩები. ასე ნეტაჲი კიდევ ერთხელ მაინც ჩემთან შამოპტრინდე! ღმერთს გეფიცები, რომ მკვდარიც რომ ვიყო გავცოცხლდები. გაგონილა ამისთანა უღვთობა: დღესა თუ ხვალ ჩემი ცოლი უნდა იყო და როცა კი მიჭირს ვერა გხედამ.

შენი საუკუნოდ ილიკო ქავქავაძე **.

53

[27 მარტი, 1863 წ.]

მობარული ვარ, ჩემო ანგელოზო! ნება მომეცი გაკოცო კარგი ამბის შეტყობინებისათვის.

შენი ილიკო.

54

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, მგონი, ცოტათი მოეჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბათ ნახევარი საათით ადგომის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოვკრა თვალი.

იყავი ჯამრთელად.

შენი საუკუნოდ ილიკო.

55

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუკი კარგი დარი იქნება. მართალია, სუსტადა ვარ, მაგრამ ავადმყოფობისაგან კი არა, არამედ იმის გამო, რომ ორი დღეა პირში ფორთოხლებისა და მქავე მურაბის გარდა ლუკმა არ ჩამიდვია.

ხვალ შენს სანახავად გამოვალ. ძალზე მიხარია, რომ ჩვენი საქმის თაობაზე კეთილი ამბავი მაუწყე.

ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, ჩემო ანგელოზო! ჩემი და ჩემთან არის და კიდევ ერთ წელს დარჩება აქ.

იყავი მშვიდად,

საუკუნოდ შენი ილიკოს გამო.

[2 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ოლიკო! მომიტევე, რომ ასე გვიან გიგზავნი წერილს. ჩემი უპატივემულესი ლაზარე მთელი კვირა ისე იქცეოდა, რომ ბრაზით მავსებდა; მის მიმართ რომ ცუდი რამე არ შეკადრა, გადავწყვიტე გამეგდო და გავაგდე კიდევ. არ ვიცოდი, ვისთვის გამომეტანებინა ბარათი, შე კი ძუავეს ხალხი, მაგრამ არ მეგონა, თუ ვინმემ იცოდა თქვენი სახლი. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, თორემ ყველას სკოდნია. მე მიხარია ეს ამბავი და გწერ.

გუშინ ჩემთან იყო ზეჩო (დარჩიანოვი). როგორც ის ამბობს — არის იმედი, რომ მამაშენი დამლოცავს. მაგრამ, ამბობენ, ნაწყენი კი არისო, რადგან ჩვენ არაფერი შევატყობინეთ და უძისოდ მოვაგვარეთ საქმე. — ეს სხვათა თორის. დღეს საღამოს ირაკლისთან წავალ, შუადღისას კი — დახმარების სათხოვნელად — ივანე მალხაზის-ძესთან.

გუშინ 7—9 საათამდე ძალღვივით დავწანწალებდი ძაღლების ბაღში. წერილის გამო უყურადღებობისათვის შენ რივიანად დამსაჯე.

ათხოვ. თუ შენთან ლაზარე მოვიდეს, * თუ გიყვარდე ** ნუ მიიღებ და ნუ შოუშვებ შენთან, თორემ ძალზე მაწყენინებ.

შენი ოლიკო კ.

[3 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო გვრიტიკო! რაზედ მიწყებოდი დღეს, რომ შენს სანახავად მაღლა ბალკონზედ ავედი? დღეს მთელი საღამო სულ ბაღში დავალამე და შენ ვერა განახე. რა დაგეძარათა?

ხვალ მალხაზიჩი წავა მამაშენთან და ხვალვე იქნება მეც ვიახლო ჩემს ქალბატონსა.

ლაზარესი ნუ გეშინიან, არ გაგვცემს.

ცოტასა გწერ იმიტომ, რომ სტუმრებით გატენილია ჩემი სახლი. იმედი მაქვს პასუხს მაღირსებ.

შენი საუკუნოდ

ოლიკო ჭავჭავაძე.

[4 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო ოლიკოჯანი! დილა კარგა ყოფნისა. რა რიგათა ვწუხვარ, რომ შენ მუშტაიდში ყოფილხარ გუშინ და მე კი არა. განა არა, გული ძიწვედა, მინდოდა წამოვსულიყავ, მაგრამ იმისიც შეშინოდა, რომ ვაი თუ აქ ბაღში გამოვიდეს მეთქი და მოვცდე ოლიკოს ნახვასა. დღეს სადილს იქა ვპსკამ, საიღამაც გუშინ დაგინახე. მეორე საათზე მოვალ და დამენახვე, თორემ გიყვ დაგიძახებ.

რა რიგად მოუთმენლად ველი ივანე მალხაზიჩისა! ჩვენი ბედი რომ დატრიალდეს და შენის ნახვის ნება მომცეს, რა რიგად გამოვიტყევი შენკენ. ეს კია, რომ მე და შენ მანდ ცალკე ოთახი უნდა გიქოსდეს, რომ შე და იეს ვიყენეთ ხოლმე და სხვა არავინ. არა, შენ გეთაყვანე, ესე კარგი არ იქნება? შეყვარებულებსო, პოეტები ამბობენ, მარტოობა უყვართო; მე ეხლა მჯერა, რომ ეს მართალია. ეჰ, ნეტავი კი განახო ხოლმე და საცა უნდა იყოს სულ ერთია, იმიტომ რომ, ათასი კაცი რომ იყოს, შენს მეტს არავის დავინახამ.

შენი ოლიკო ჭავჭავაძე.



[5 აპრილი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! ** „ვაშა“ ვის ეკუთვნის? მე თუ შენ. არც ერთ ჩვენთაგანს; მხოლოდ ხეჩოს, უკვდავ ხეჩოს შევქაზოთ ერთხმად ვაშა! აი, ხელავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა საქმე გააკეთა ამის შემდეგ იცოდე, პატარა აღამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმის მოგვარება. სახელი და დიდება მას, რომ მოახერხა ჩვენი საქმის უდავიდარაბოდ გათავება. მას, ჩემო მეგობარო, შევქაზოთ „ვაშა!“ შენ უნდა ჩამოაცვა წვეტიან თავზე დაფნის გვირგვინი. ამ გვირგვინში იგი ალკივიადეს მსგავსად გამოიყურებოდეს იქნება.

შენ უკვე დათრობა მოასწარი? ცუდად ახასიათებ ხომ შენს თავს პირველსავე ხანებში. თუმცა თვით სიხარულიც, მით უმეტეს მოულოდნელი, ხომ დამატრობელი ბანგია, ზოგჯერ ღვინოზე მეტად არყივს, თუ კი კაცი არ არის მას შეჩვეული. შენი მორჩილი მსახურიც ახლა მისგან იმასვე გრძნობს, რასაც შენ გრძნობდი შამპანიურის დაღვევის შემდეგ. *ბარი ბარში, ჩემო გვრიტიკო!.. **

როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდისთან გავგზავნი. თუ ხვალ ჩემი წამოდგომა სახიფათო არ იქნება, თვითონ წავალ იქ, სადაც საქირთადა ყველაფერს მოვაგვარებ.

*ქალო! მართალა ჩემი ხარ?.. **

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე .

[6 აპრილი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! ** დღეს ხუთ საათზე ავდექი და სრულიად ჯანმრთელი ვარ. იცი, რატომ ავდექი ასე ადრე? რომ ვიმუშაო, რომ ჩემი საქმეები ადრე მოვათაო და დიდი დრო დამრჩეს შენთან სალაღობოდ, ჩემო ანგელოზო! დილის საათებში, როცა ჩემს ანგელოზს სძინავს, მე ვიმუშავებ, რომ მთავარი დრო მასთან გავატარო, — რა ბედნიერებაა!..





გიორგი ნაგროშვილი

ფიქრები ჩვენს კრიტიკაზე

როცა სიტყვა ქართულ კრიტიკაზე ჩამოვარდება, ხშირად უიმედოდ ჩაიქნევენ ხოლმე ზელს — ვითომდა საღ არის ჩვენში კრიტიკაო, უმალ მიაწებებენ მას ჩამორჩენილის იარაღებს და დაიწყებენ მტკიცებას, რომ ეს ქანრი მხარს ვერ უსწორებს ჩვენს ლიტერატურას, რომ თავისი ინტელექტუალური დონის მიხედვით არ შეეფერება ჩვენს მართლაც საქვეყნოდ ცნობილ პროზასა და პოეზიას. და საილუსტრაციოდ გაიხსენებენ რომელიღაც ყურნალში თუ ვაზეთში დაბეჭდილ წყალ-წყალა რეცენზიას, რომელსაც ჩვენს კრიტიკასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

გულახდილად რომ თქვას კაცმა, ეს ძალზე უსამართლო და მკაცრი განაჩენია იმ ადამიანების მიმართ, ვინც მთელი განვლილი ათეული წლების მანძილზე არა მარტო განამტკიცა, არამედ ტრადიციაც შეუქმნა ქართულ საბჭოთა კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას. ამ ადამიანების შრომას აუცილებელ საჭიროებად თვლიან და, ამავე დროს, არც აფასებენ. სინამდვილეში კი, კაცმა რომ ჩამოთვალოს მარტო საათურები ჩვენი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების ვრცელი ნაშრომებისა და კრებულებისა, გაითვალისწინოს წრე პრობლემებისა, რომლებიც აღძრულია ამ წიგნებში — უკვე ასე აფილიად ვეღარ ჩაიქნევს ზელს.

ავიღოთ ჯერ ის საკითხი, თუ რა როლი ითამაშა ჩვენმა კრიტიკამ თანამედროვე ლიტერატურის წინ წაწევისა და აღორძინების პროცესში. კრიტიკოსის დეაქტის ნაყოფი ამ სფეროში არც თვალთი დაინახება და არც სტატისტიკით აღირიცხება. ეს ნაყოფი, ეს დადებითი ზეგავლენა ჩვენი კრიტიკისა ჩაქსოვილია

ჩვენივე პოეტებისა და პროზაიკოსების წიგნებში, მათი ოსტატობის ზრდაში, იმაში, რომ ისინი წლიდან წლამდე უკეთ წერდნენ, და აი ამ პროცესში ეხმარებოდა კრიტიკა მწერალს, ამხნევებდა, აქეზებდა, ხალისსა მატებდა, სტიმულს აძლევდა, ან შეცდომას უსწორებდა და ხელს უწყობდა, ეხმარებოდა არა მარტო მწერალს, არამედ — და ესეც მთავარია — მკითხველსაც. განა ჩვენი ლიტერატურა, დაწყებული მისი პირველი ნიმუშებიდან დღევანდლამდე რომ ასე პოპულარულია მთელ ქართველ ხალხში, რომ ამოხსნილი და გადაჭრილია უამრავი რთული პრობლემა, უახლესზე აღარას ვიტყვი, განსაკუთრებით ძველი და ახალი ლიტერატურის სფეროში — განა ეს იმათი დეაქტი არ არის, ვინც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შეცინებების, ლიტერატურისმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის სფეროში მუშაობს? რა თქმა უნდა, ასეა.

მაგრამ ეს ხშირად არა ჩანს ხოლმე, იმიტომ, რომ რალაც უხვირო ჩვეულებისა თუ ტრადიციის წყალობით ჩვენში კრიტიკაზე არავინ არაფერს არ წერს, ამ ქანრის მწერალს არც კარგს მოუწონებენ და არც შეცდომაზე მიუთითებენ, კარგზე ბარაქალას არ ეტყვიან და ცუდზე საყვედურს.

და აი შედეგიც: ათი, ოცა, ოცდაათი, ორმოცი წელი წერს კაცი წიგნებს და ვითომც არაფერი მომხდარაყოს, თითქოს ეს წიგნები არც არსებულებო. მაგრამ კრიტიკოსსაც ხომ აქვს თავისი ოსტატობა, თავისი „ხელი“ თუ ზელ-წერა, თავისი მანერა, თავისი შემოქმედება, თავისი ხელვა სამყაროს; მასაც სჭირდება წახალისება, როცა ის ამის ღირსია, ნაკლებ მიითთება, რათა თავისი შეცდომა თუ ხარვეზი გაასწოროს, მაგრამ ჩვენში ამას არავინ აკეთებს.

რალა შორს წავიდეთ — ავერ სულ ახლახანს წავიდა ჩვენგან უბრწყინვალესი მოქართული

* გიორგი ჯიბლაძის წიგნის „კრიტიკული ეტიუდები“ გამო.

და შესანიშნავი მოაზროვნე გერონტი ქიქოძე. მის ყოველ წერაღს, მისი ფრაზის ელვარებას ჩვენ მუდამ აღტაცებაში მოგვყავდით, გვიხაროდა, ღრმა ინტერესით ველოდით მის ყოველ ახალ სტატიას. მე, როგორც ერთი რიგითი მუშაკი და მოტრფილე ქართული სიტყვისა, მუდამ უღრმესი სიამოვნების გრძობით ვიხსენებ მის ერთდებებს ილიაზე, აკაკიზე, იაკობ ნიკოლაძეზე, ფიროსმანზე, ლადო გუდიაშვილზე, პაოლო იაშვილზე, მის „თამარისა და შოთას პორტრეტებს“. ეს ნამდვილი შედეგებია იყო. მათ გატაცებით კითხულობდა მთელი საქართველო. და ეს იმიტომ, რომ გ. ქიქოძის ნაწარმოებში ინტელექტუალური განსჯა საოცარი ოსტატობით იყო შერწყმული ხელოვანის ინტუიციასთან; არ შემძლია აქ ერთი მაგალითი არ მოვიყვანო:

„თუშეცა ბრინჯაოს ქანდაკებანი თითქოს არ უნდა ექვემდებარებოდნენ ორგანიულ არსებათა ზრდის კანონებს, მაგრამ ეს უცნაური ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია, აშკარად გაიზარდა ჩვენს თვალწინ. თვალწინ მდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუბეთესო ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ოდესმე მინახავს. ილია, თუ არ ვცდები, ახლანდელი კომინტერნის, ყოფილი სასახლის ქუჩაზე დგას და ვილდას უხმობს შესამჩნევი მოძრაობით — მეტრულს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს? მე მეჩვენება, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობდეს და ჩვენც მას ვუახლოვდებით. ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქო თანდათან იზრდება ჩვენი დედამამაქის ქვების ფონზე და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარდასულ წინაპართა შორის, ჩვენთან ბევრი არ დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯამბუი ადამიანი“.

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? ხელოვანი, მეცნიერი, პოეტი? ერთიც, მეორეც, მესამეც, რადგან აქ ისტორიული შემეცნებაც არის, უცნაური პოეტური ნათელხილვაც და მხატვრის თვალცი. რაც გინდა დაუძახებ, მაგრამ ერთში კი უნდა შევთანხმდეთ: წიგნის უზარმაზარი ტომი ვერ იტყვის იმას ილიაზე და ჩვენს ისტორიაზე, რაც ამ ერთი შეხედვით უბრალო ფრაზაშია ნათქვამი. იი ამას ჰქვია ოსტატი სიტყვისა!

და ეს კაცი ისე წავიდა ჩვენგან, რომ ყოველივე ეს ვერ ვუთხარათ, ჩვენი აღტაცება ვერ გავუზიარეთ. თუ არ ვცდები, მეგონა გიორგი ნადირაძე ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც საპეციალური წერილი მიუძღვნა გერონტი ქიქოძის სტილს. ეს იყო და ეს.

რაკი-ღა სიტყვას მოჰყავა, გავიხსენოთ თვითონ გ. ნადირაძის წიგნი „რუსთაველის ესთეტიკა“. ნ. ნადირაძის მაღალი ესთეტიკური

კულტურის ადამიანი იყო და ამ წიგნში მან მართლაც იპოვა ფართო ასპარეზი, გადაუშალა მკითხველს თვალწინ სიბრძნისა და მშვენიერების ის თვალწმედნელი სამყარო, რომელსაც რუსთაველის პოემა მოიცავს.

და არც ამ წიგნს გამოხმაურებია ჩვენი პრესა. ესეც იმ უხებრო ტრადიციის ბრალია, რომელიც კრიტიკოსზე და ლიტერატურის თეორეტიკოსზე წერას არასასურველ და ამოო საქმედ მიიჩნევს.

არ მინდა ეს სტრიქონები ისე გაიგონ, თითქოს კრიტიკოსისათვის დაფნის გვირგვინებსა ვთხოვლობდე, თითქოს ღიბრამბების მოსურნე ვყო. არა, ვთქვათ ჩვენს კრიტიკაზე ვიცო და კარგიც; სხვათა შორის, ეს საკითხი მართლ ჩვენში როდი მომწიფდა. აბა ერთი წიკითხეთ წიღევანდელი „ოქტიაბრის“ მეორე ნომერში კორნელი ზელინსკის წერილი „პარადოქსი კრიტიკაზე“, ნახეთ ერთი როგორ გულნატკენი ჩივის ზელინსკი: „მე თვითონ კრიტიკოსი ვარ და არ შემძლია დავუწყუო ქვის სროლა ჩემს თანამომამეებსო, ყველანი დიდი ხანია მიეჩვივნენ რომ კრიტიკული წერილი ეურნალში უნდა აიწყოს ყველაზე წერილი შრიფტით და ის უნდა ითვლებოდეს როგორც რაღაც მეორეხარისხოვანი რამ თვით ყველაზე ცუდ მოთხრობასთან შედარებითაც კი“. გ. ზელინსკის ამ წერილს უმალ გამოეხმაურა „ლიტერატურისა და გაზეთა“ თავის სარედაქციო წერილში და აღნიშნა, რომ კრიტიკოსები ტყუილად არ ჩივიან — ეურნალებში თავს ისე ვერ ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლშიო, ეზო-ყურეში არ გვიშვებენ, ღობის იქით გვერეკებიანო.

მე არც კომპრომისებს, არც შედგავთებს და არც დათმობებს მოვითხოვ კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნისათვის. არც იმის დამალვა მინდა, რომ ამ სფეროში ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს; ამას ვის დაუშალავ, ნათქვამია — კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო. მაგრამ უნდა გავერკვეთ, როგორია ეს ნაყოფანებანი და საღ იჩენენ ისინი თავს. ახლა მართლაც ბევრი იბუქდება წერილები, რომლებშიც იშვიათად ჩანს შემოქმედებითი მიდგომა საკითხებისადმი, გაბატონებულია მეციტატებმა და მედავითნეობა, დოგმატიზმი და ერთი და იგივე, საყოველთაოდ ცნობილ ქეშ-მარტებთან თალმუდისტური განმეორება. ასეთ წერილებს აკლია ანალიზის სიღრმე, არგუმენტაციის საფუძვლიანობა, მითში დამკვიდრებულია გაცვეთილი შტამი და ტრაფარეტი, დეკლარაციული ფრაზა ცვლის კონკრეტულ ანალიზს; ასეთ წერილში აღარ ჩანს განსახილველი ნაწარმოების თავისებურება, აღარ ჩანს მწერლის მხატვრული სამყარო, და მით უმეტეს ინტელექტუალური სამყარო თვით კრიტიკოსისა. საკმარისია ასეთ წერილებში შეცვალოთ

ერთი პოეტის გვარი მეორეთი და ამით არაფერი შეიძლება.

ეს ასეა, მრავალი ასეთი წერილი იბეჭდება, მაგრამ მოდი ნუ ავიკლებთ ჩვენს პროფესიულ კრიტიკას ყველა ცოდვას, რასაც კი რომელიმე მოხალისე კალმოსანი ჩაიდენს. ამ წყალ-წყალა წერილებს ნუ მივიჩნევთ, თითქოს აქ იყოს თავი და ბოლო ჩვენი კრიტიკისა, არა. ჩვენ უკვე გვყავს კადრები, რომელნიც ამ ქანრის ნამდვილი ოსტატები და ხელოვანნი არიან.

კორნელი ზეღინსკიმ თავის ზემოხსენებულ წერილს უწოდა „პარადოქსი კრიტიკაზე“. რა იგულისხმება აქ? ზეღინსკის აზრით, კრიტიკას საფუძვლად უდევს პარადოქსი, როგორც დღეროს მსჯელობას სცენიურთ ხელოვნების შესახებ. ეს პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკა მით უფრო მეტად ხდება მეცნიერებად, რაც უფრო მეტია მასში ხელოვნება. პარადოქსებს რომ თავი დავანებოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკოსი, ერთსა და იმავე დროს, უნდა იყოს მეცნიერიც, მოაზროვნეც და პოეტიც: „როგორ უნდა წეროს კრიტიკოსმა პოეზიაზე, — წერს ზეღინსკი, — თუ ის სულთ პოეტი არ არის?“ ეს, რა თქმა უნდა ახალი აზრი არ არის, მაგრამ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ამას უფრო სერიოზულად ჩავუფიქრდეთ.

დაიხ, ლიტერატურული კრიტიკა თავისთავად შემოქმედება. ამიტომ კრიტიკოსი არ შეიძლება აწროს გულრილ კომენტატორს, რომელიც დაინჯებით გაიმბობს მოთხრობისა თუ პოემის შინაარსს. არა! ის უნდა იყოს მგზნებარე, დაუღლელი და დაუტყობელი მძიებელი; მან ისევე უნდა ათეოს ღამეები ფრანგების გამოკვეთაზე, ახლის ძიებაზე, როგორც პროზაიკოსს თუ პოეტს იქცევა. კრიტიკული წერილი ახალ კარგ წიგნზე — ეს უნდა იყოს აღმოჩენა და უნდა იგრძნობოდეს ამ აღმოჩენით გამოწვეული სიხარული. ამიტომ კრიტიკოსმა არ შეიძლება იაროს გატყენილი გზით, იმეოროს ცნობილი ქეშმარიტბანი — ეს მოსაწყენი და მოსაბუზრებელია, ხოლო ლიტერატურას არა აქვს უფლება მოსაწყენი იყოს. თავის წერილში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ კრიტიკოსი არ უნდა ჰგავდეს გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟს — ვაგნერს, რომელსაც „ცოდნა აქვს და საკუთარი ჭკუით ტარების უნარი კი ღმერთს თუ ბედს იმისთვის არ მიუცია“. ილიას ამ სიტყვებს რომ წაიკითხავთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ის ეპიზოდი გოეთეს უკუდავი ქმნილებიდან, სადაც ფაუსტი ფრთებსა ნატრობს. ვაგნერი კი უპასუხებს: მაგვარი მისწრაფება არასოდეს აღმძვრია, იმაზე მოსაწყენი რა იქნება — იხტილო ტყეებსა და მინდვრებში, რად მინდა ფრთები და რისთვის ვინატრო ფრინვე-

ლივით ფრენა შემედლოს-მეთქი, რა სჯობია წყნარად, უხრუნველად ყოფნასა და განცხრომას.

ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი შედარება მოიყვანა: კრიტიკოსის ფანტაზიას ისევე ესაჭიროება ფრთები, როგორც პოეტისა თუ პროზაიკოსისას. საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს პროზაიკოსი სწავლობდეს ცხოვრებას, ეძებს და პოულობს ახალს, გულის თრთოლვითა და სიხარულით ხატავს ამ ახალს, აქვეყნებს წიგნს, მერე მოდის კრიტიკოსი და კმაყოფილება იმით, რომ წიგნის შინაარსს მოგითხრობთ. რა აზრი აქვს ასეთ კრიტიკოსს ვის რად უნდა ისეთი კრიტიკი, რომელიც მკითხველს მარტო იმას ეუბნება, რომ ეს ლექსი ეხება მთაწმინდას, ხოლო ეს კიდევ მახაიას მთასო, ეს არის ანი, ეს არის ბანიო. ნამდვილად კი საჭიროა კრიტიკოსიც ისევე ეძიებდეს, როგორც მწერალი, მას უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულება მოვლენაზე, და ამ შეხედულების მიხედვით უნდა შეამოწმოს მართალი თქვა თუ არა მწერალმა, რა თქვა მან ახალი და სწორად გამოსახა თუ არა ცხოვრება! არ შეიძლება კრიტიკოსი რჩებოდეს იმ შინაარსის ტყუილობაში, რაც მოთხრობაშია. მან თვითონაც უნდა გადაიხედოს ცხოვრებაში. უნდა მოისპოს ასეთი ხელოვნური დაყოფა — მწერალი და კრიტიკოსი. კრიტიკოსი იგივე მწერალია. რა მოთხოვნილებას უყენებს კრიტიკოსი პოეტსა და პროზაიკოსს, როცა მის ნაწარმოებებს არჩევს? იმას, რომ ეს ნაწარმოები ემსახურებოდეს ხალხს, პარტიას, ხელს უწყობდეს კომუნისმის წინსვლას, ღრმად შეიჭრას ცხოვრების შუაგულში. აი რა მოთხოვნილებებს უყენებთ მოთხრობას, რომანს, პოემას. ასეთივე მოთხოვნილება უნდა წაუყენოს კრიტიკოსმა არა მარტო პროზაიკოსს, არამედ თავისთავსაც, თავის ნაშრომსაც. მისი ნაშრომიც უნდა ზრდიდეს ადამიანს, იტაცებდეს, აღელვებდეს, განუტკიცებდეს მომავლის რწმენას, უნერგავდეს კეთილშობილურ მისწრაფებას, ამათარებდეს ძველსა და ჩამორჩენილს, და ძალა ყოველივე ამისთვის მან უნდა მოძებნოს არა მარტო სარეკლავიო წიგნში, არამედ თავის სულშიც. ის, მთარის მსგავსად, სხვისი სხივებით კი არ უნდა ანათებდეს! არა. წერილში, ნაშრომში, გამოკვლევაში მისი გონების შექიცი უნდა ჩანდეს. გერცენი ამბობდა: ბელინსკიზე, რომ „კრიტიკულ წერილებში ის ზნობილად მალდებოდა პოეტურ შთაბეჭებაში. გასარჩევი წიგნი მისთვის საბაბი იყო, შუა გზაზე მიატოვებდა ხოლმე ამ წიგნს და ჩაეკიდებოდა რომელიმე საკითხს. რათა გამოეთქვა თავისი აზრი არა მარტო ამ ნაწარმოებზე, არამედ მთლიანად ცხოვრებაზე“. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები: გადაიკითხეთ მისი პირველივე წერილი „შეშლილი“



თარგმანის გამო და ნახეთ, რა ცეცხლი დღეს ეტრორის გულში, რაოდენი სულიერი მღელვარებაა მასში; ამ წერილში პირდაპირ ხედავთ ხან სიხარულითა და სიყვარულით გაბრწყინებულ მის ნათელ შუბლს, როცა სიტყვა რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ლერმონტოვსა და მიცევიჩზე ჩამოვარდება; ხოლო ხან დაინახავთ მრისხანებით შეკუმხვნილსა და მოჭრულულ წარბებს, როცა ლაპარაკი მოხალტურეებზე და უნიკოებზე დაიწყება. გადაქარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს სტატია დაწერილია როგორც „გლახის ნამშობი“, როგორც „ოთარანთ ქვრივი“.

რა დასამალია და აი ეს ცეცხლი ხანდახან ავლია ჩვენს კრიტიკას.

კრიტიკის საპირობოროტო საკითხები მეტად იშვიათად აღიძვრის ხოლმე ჩვენი პრესის ფურცლებზე და ამიტომ ყოველ ჩვენგანს აქ ბევრი სათქმელი დაუგროვდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, რაკი ჩვენი კრიტიკის პრობლემებზე ვსაუბრობ, კიდევ ერთი რამ აღვნიშნო. „ლიტერატურნაია გაზეტას“ სარედაქციო წერილში ნათქვამია: „გადაფურცლეთ ეურნალები და თქვენ დაინახავთ, თუ რა იშვიათად შეეჯახება ხოლმე მათს ფურცლებზე ერთი აზრი მეორეს, როგორ იშვიათად წარმოიშვება ხოლმე დაეა, განზილვა და დისკუსიები ლიტერატურის აქტუალურ მოვლენათა გამო“.

ასე აქვთ საქმე რუსულ ეურნალებს. ხოლო რალა უნდა ვთქვათ ჩვენ? რატომ არ უნდა იყოს ჩვენში დაეა, გაცხარებული აზრთა გაცელა-გამოცელა, კამათი, პოლემიკა. ჩვენ ამას რატომღაც გავერბით, ვერიდებით, რატომღაც გამოკამათებას ჩვენში მტრობად თვლიან, ლიტერატურულ დაეას უმაღ მიიჩნევენ ხოლმე მტრულ ვალაშქრებად, შურადაცხადებლად. აი ეს უსაფუძვლოდ დამკვიდრებული აზრი ხელს უშლის დისკუსიების ფართოდ გაჩაღებას; მერე ასეთი კარგი ტრადიცია მაინც არ გვქონდეს პოლემიკისა, კამათისა, აზრთა მძაფრი შეხლა-შემოხლისა! გაიხსენეთ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე; განა ილია ჭავჭავაძის არ უყვარდა გრავოლ ორბელიანი? უყვარდა და მერე როგორ! თავის პირველსავე წერილში „ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმანზე“ ილიამ გრ. ორბელიანის ლექსები დახასიათა, როგორც ბრწყინვალე ნიმუშები ყველაზე მაღალი პოეზიისა, როგორც განსაზოვნება ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა, როგორც გამოხატვა „წმინდა ქართული პოეტური დარღებისა, კენესისა და ნატეარისა“, ხოლო როცა გრ. ორბელიანი გარღეცვლა, ილიამ თქვა მასზე: „...იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, შალაის ნიჭით ცნებული, იგი იყო მოძღვარი

ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელი“ აი რა წმინდა ძლიერი სიყვარულითა ჰყვარებია ილიას თავისი სიჭაბუკიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ეს პოეტი. მერე, განა ამ სიყვარულმა ხელი შეუშალა ილიას ცხარე ბრძოლაში გამოეწვია გრ. ორბელიანი? დააკვირდით მათს პოლემიკას და გულწრფელად თქვით: განა ამ შეტაკებებს არ მიჰყავდა წინ ჩვენი ლიტერატურა, განა ეს არ აფხიზლებდა აზრს? რა თქმა უნდა, ასე იყო!

უწმინდესი და უღრმესი სიყვარულით უყვარდათ ერთი-მეორე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელს. „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ საქართველოს და გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურსა და ღვაწლს ქართული გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრადო“, — წერდა ილია. ასევე სიყვარულით უხდიდა მას აკაკიც; მათი სულიერი ძმობა — ეს უმშვენიერესი ღურცელია ჩვენი კულტურის ისტორიისა. ახლა მათი პოლემიკა გაიხსენეთ თუნდაც იმავე „გეფხისტყაოსნის“ გამო და დაინახავთ, რომ იქნებ სწორედ ის სიყვარული აძლევდა ამდენ სიფიცხეს, ამდენ მგზნებარებას და ცეცხლს მათს კამათს! მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ აზრთა შეხლა-შემოხლაში მიჰყავდა წინ ქართული კულტურა და ამიტომაც ასე ხალისით გამოდიოდნენ საბრძოლო ასპარეზზე, სადაც აზრის აზრთან ჭიდილში გაირკვეოდა ხოლმე ჭეშმარიტება. კიდევ საჭიროა მაგალითები? გაიხსენეთ იმავე ილია ჭავჭავაძის უმძაფრესი პოლემიკა ნიკოლოაქესთან. „დღეს „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციამ ბელისკობა უბოძანა კოლოზ იაკობის ძეს ნიკოლაქეს. ჭეყვანა სიხარულით ფეხზე აღარა დასა“, — ასე მწარედ იწყებდა ილია თავის ერთ წერილს, მაგრამ ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ მათ უღრმესი სიყვარულით არ უყვარდათ ერთმეორე! მაშ სიყვარულის საზომი ეს არ ყოფილა და ჩვენ ტუუილად დაეკარგეთ ეს კარგი ტრადიცია ძველი ქართული პრესისა, ეს ტრადიცია ცხარე კამათისა უახლოეს მეგობართა შორის.

ერთი ამბავი თანამედროვე ლიტერატურიდანაც უნდა გავიხსენო. ეს იყო 1945 წლის ზაფხულში. იმ ზანებში კონსტანტინე გამსახურდია „ლიტერატურულ გაზეთში“ აქვეყნებდა თავის უღრმესად საინტერესო წერილებს სერბის „თანამედროვე რომანისათვის“. ამ წერილებში ის მძაფრად გამოეკამათა გერონტი ქიქოძეს. რა საკითხზე კამათობდნენ ისინი, ამის დაწვრილებით ვაღმოცუება ახლა შორს წავიყვანა, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ დაეა უფარესად პრინციპული იყო და ეხებოდა იმას, თუ რა გზა უნდა აირჩიოს თანამედროვე რომანისტი. გ. ქიქოძე მაშინ „ლიტერატურული გაზეთის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და ბუნებრივია, რომ დაბეჭდ-



ვამდე ვაეცნო კ. გამსახურდიას წერილს და იმავე ნომერში უპასუხა, სადაც გამსახურდიას წერილი იყო დაბეჭდილი, თანაც მკაცრად უპასუხა და, სხვათა შორის, ერთი რამ აღნიშნა: „რადგან საბაბის მიუცემლად და დიპლომატიური ურთიერთობის შეუწყვეტლად საომარი მოქმედების დაწყება დღეს კულტურულ კაცობრიობაში დისავაჰობად ითვლება, მე დიდად ვამაოცა ამ მოულოდნელმა თავდასხმამ“. ეს, რა თქმა უნდა, გერონტიასთვის ჩვეული ხუმრობა იყო, მით უმეტეს, რომ ბერძნული „პოლემოს“ ნიშნავს ომს და მოკამათებაც ეს სიტყვა გაათამაშა. და, აი, მახსოვს როგორ შეხვდნენ მეორე დღეს ეს „მომამარი მხარეები“ ერთანეთს მწერალთა კავშირის ბუფეტში. მათს ვალიდადელ სახეებს რომ შეეხედე, დავრწმუნდი, რომ სულ არ იგრძნობოდა, თუ მათ შორის „დიპლომატიური ურთიერთობა“ შეწყვეტილი იყო და მათი დღივნიები იერიშზე იყვნენ გადასული. პირიქით, ეს იყო შეხვედრა ორი გულთადი მეგობრისა, რომელიც თავიანთი დავა დავიწყებოდათ, დაეტრებინათ საღვალად გაზეთების ფურცლებზე და ახლა იმაზე დაობდნენ, თუ როგორ წარმოითქმის ლათინურ ენაზე სათაური პეტრე აბელარის წიგნისა „ჩემი უბედურების ამბავი“. მაშინ მათ ამაზე სანაძლეო დასდეს ურთიერთ შორის. მე არ ვიცი ვინ წააგო ვახშამი იმ სანაძლეოს შედეგად, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უმკაცრესმა პოლემიკამ ერთ ხელი არ შეუშალა უახლოესი მეგობრები ყოფილიყვნენ და უღრმესი პატივისცემით მოპყიდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ კი, როგორც ვეღარ ვახერხებთ ამას, რატომღაც მძაფრი პოლემიკური გამოსვლა ითვლება დღვის რისხვად, სენსაციად, და ეს იმ დროს, როცა იგი სავესებით ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს; იწყება ამის მერე ერთი ამბავი, „გაგრიტიკებულ“ გამაღებელი მირბის უფროსებთან საჩივრელად, „გამკრიტიკებელიც“ ისე სწუხს, შფოთავს და ისეთ სინანულს ეძლევა, როგორსაც რომელიმე მწიორი ეძლეოდა შუა საუკუნეებში, როცა უნებურად ქრისტესა ჰგებოდა ხოლმე. მახსოვს ასეთი შემთხვევაც: ერთმა კაცმა დაწერა მწერლის წიგნზე გამანადგურებელი სტატია, დაბეჭდა კიდეც და როგორც კი მისი წერილი გამოქვეყნდა, თითონვე გაიქცა საჩივრელად — არიქა, მოშველეთ, იმ მწერალს საწინელი პასუხი დაუწერია და დამეხმარეთ, რომ არ დაიბეჭდოსო. შეიქმნა ერთი ამბავი და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ იმ მწერალს არავითარი პასუხი ჯერ არა ჰქონდა და მგონი არც აპირებდა დაწერას. ეს უცნაური ამბავიც იმის შედეგია, რომ ჩვენს გადაწყვეტილი ვართ პოლემიკას. ჩვენი რედაქციების მუშავებს კარგად ახსოვთ, თუ რამდენ მწერალს უთქვამს თავის ამხანაგზე თუ მეგო-

ბარზე: — დაეწერდი წერილს, შევეკამათებოდი, მაგრამ ვიცი, სხვანაირად გამიგებს და აუტკივარი თავი რაზე აფიქტოვო. არა, ასე აღარ შეიძლება; უნდა უქუთვადოთ ეს „სხვანაირად გაგება“, უნდა აფიქტოვოთ თავი, თორემ ისე არაფერი გამოვა, უამისოდ წინ ვერ წაწვევთ ჩვენს მწერლობას. სწორედ ქართული მწერლობის ინტერესები და მისდამი სიყვარული გვიკარნახებს აღვადგინოთ ლიტერატურული პოლემიკის შესანიშნავი ტრადიცია, რადგან ეს აქლია, მეტად საგრძნობლად აკლია ქართულ მწერლობას და ხელს უშლის ჩვენი აზროვნების განვითარებას, იწვევს რაღაც ინდიფერენტრზმს, ინტერესის დეგრავას, კომპრომისებს და ყოველივე ეს აჩლუნგებს კალამს ლიტერატურის თეორეტიკოსისაც და მწერლისაც.

*

დღევანდელ კრიტიკოსს უხდება, ერთსა და იმავე დროს იმუშაოს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დარგშიც და კონკრეტული კრიტიკის სფეროშიც. აქ საჭიროა ერთგვარი გარკვეულობის შეტანა: საბჭოთა ქართული ლიტერატურის აწმყო და მისი ისტორია არც ისე დამორბეული არიან ერთმეორისაგან; ახსოვლურთა უმრავლესობა მწერლებისა, რომლებიც ამ ისტორიის ფურცლებზე გვხვდებიან, დღეს კვლავ აქტიურად მოქმედ ძალას წარმოადგენს. მათ არ დაუმთავრებიათ ან, ცალკე შემთხვევებში, ჩვენს თვალწინ დაამთავრეს თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრება; ეს, ასე ვთქვათ, ცოცხალი ისტორიაა; ასეთია საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, მაგრამ მაინც ეს არაა ის, რასაც ეწოდება მიმდინარე ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც უშუალოდ წარმართავს ლიტერატურის პროცესს; საბჭოთა ლიტერატურის ისტორია შეისწავლის, ვთქვათ, „არსენა მარაბდელსა“ და „ჯონ რიდს“, „ტარიელ გოლუსს“ და „გვალი ბიგვას“, „კოლხეთის ცისკარსა“ და „დავით აღმაშენებელს“, განსაზღვრავს მათს ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, კონკრეტული კრიტიკა კი თავს დასტრიალებს ახალ დაწერილობებს იმ დროს, როცა ისინი ჯერ ისევ კვირტში არიან, ჯერ არ გაფურჩქნულან, აგერ ახლა იბეჭდებიან ჟურნალების ფურცლებზე და ცალკე წიგნებად ქვეყნდებიან. საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, ასე თუ ისე, დადგენილ და დამთავრებულ პროცესებს გამოხატავს, ხოლო კონკრეტული კრიტიკა მონაწილეობს ახალი პროცესების ქმნალობასა და დადგენაში. და ჩვენი კრიტიკოსიც ვალდებულია წეროს იმაზეც, რაც უკვე დამთავრებულია, აღიარებულია, ხალხის ემოქის მიერ და იმასაც ხელი შეუწყოს, რაც ახლა მოდის, იზრდება, რაც მზარდი და განვითარებადია ჩვენს ლიტერატურაში. მაშასადა-



მე, კრიტიკოსი აქ შემართანეც უნდა იყოს და მებრძოლო პუბლიცისტიც, აღმზრდელიც.

გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე წიგნი მოიცავს როგორც პირველი, ისე მეორე ხასიათის ნაშრომებს. მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძეზე, ლ. ჭიაჩელზე, მ. ჯავახიშვილზე თავისი ხასიათით განეყოფნებიან საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დარგს, ხოლო წერილები „პოეზიის მხატვრული სახეები“ და „ქართული მხატვრული პროზა“ უფრო კონკრეტული კრიტიკის სფეროს მოიცავენ — მათში, იმავე დროს, არის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ცალკეული საკითხების თეორიული ანალიზის ცდა.

„კრიტიკული ეტიუდები“ იხსნება მონოგრაფიით გალაკტიონ ტაბიძის შესახებ. სრულიად გასაგებია, რომ ეს არის ყველაზე ვრცელი ნაშრომი ამ წიგნში და იგი ფართო მასშტაბით იღებს და აფასებს ამ უშესანიშნავესი ქართველი პოეტის შემოქმედებას.

არიან პოეტები, რომლებიც იმისათვის იბადებიან, რომ თავიანთი საუკუნე უეცრადვე მოსახებდნენ, მისი სული ჩაიღვან და თავიანთი სული გადასცენ მას; სწორედ ასეთი იყო გალაკტიონ ტაბიძე — მისი ლექსების კრებული უბრალო, ჩვეულებრივი კრებული როდია, უცებ რომ გადაფურცლავს მკითხველი და მერე დაივიწყებს. მის წიგნში XX საუკუნის ცხელი სუნთქვა ისმის.

„არიან ადამიანები, — წერს პოლონელი პოეტი ი. ივანკოვიჩი, — რომლებიც თავგანწირვით და აღტაცებით შესწირავენ ხოლმე სიცოცხლეს საყვარელ იდეას და დასკვიპავენ რა მთელ ძალღონეს, იარაღით ხელში იბრძვიან ამ იდეისათვის. მათ მიჰყავთ ხალხები გამარჯვებებისა და დიდებისაკენ, მაგრამ თუ დამარცხდებიან, ხანდახან მათი დამარცხება უფრო სახელოვანია, ვიდრე გამარჯვება. ასეთი ადამიანები თავიანთი ხალხების მდგომარეობა არიან და ჩვენ მუხლს ვიყრით მათ წინაშე, როგორც გმირების წინაშე.“

„მაგრამ ამ დიდ ადამიანთა გვერდით, მთლიანად რომ შეეწირებიან ხოლმე სამართლიანობისათვის ბრძოლას და მთელ ხალხსაც თან ვიყვლილებენ პროგრესის მწვერვალებისაკენ, არიან სხვებიც, უფრო მშვიდნი, მაგრამ, შვიძლება, არანაკლებ დიადნი. არიან გმირები, რომელთა ბრძოლა არც ისე თვალსაჩინო და ადვილად დასანახია მთელი მსოფლიოსათვის და მათი დეაწლიც ადამიანებს სწირად იოლი და ადვილად მისაღწევი ეჩვენებათ.“

„ესენი არიან სწავლულნი და პოეტები, მხატვრები, რომლებიც თითქოს მიმალულად თავიანთი საშუაო კამინეტების ოთხ კედელში, სადაც ისინი იპყრობენ მთელ სამყაროებს, რათა მერე გეაჩუქონ ჩვენ, ყოველ ჩვენგანს, მთელ კაცობრიობას.“

ეს სიტყვები რომ წაეიკებო, გალაკტიონი გამახსენდა. და მინდა მეც პოლონელი პოეტის სიტყვებით ვთქვა, რომ გალაკტიონმა გვაჩუქა ჩვენ, ყოველ ჩვენთაგანს, მთელ კაცობრიობას პოეტის თვლით ხილული სამყარო და მანამდე აღმოუჩენელი სილამაზე ქვეყნისა. გალაკტიონმა ხელახლა დაინახა მანამდე ათასგერ დანახული და გამობახტული საქართველო, ახალი ქვეყანა და დაინახა ეს რევოლუციის პოეტის თვლით, რა დასამალია, ჩვენ ჯერ კიდევ შესაფერი-სად შესწავლილი არა გვაქვს გალაკტიონ ტაბიძის დიდი სულიერი შემოქმედებობა. ამ მხრივ უთუოდ კარგი საქმე ვაკეთა გიორგი ჯიბლაძემ, როცა დაწერა ვრცელი მონოგრაფია გალაკტიონზე; პირველი, რაც ამ მონოგრაფიაში იპყრობს ყურადღებას, ის გარემოებაა, რომ მკვლევარი გალაკტიონის შემოქმედებას განიხილავს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ასპექტში, იმ გარემოებაში, სადაც იბადებოდა და იწრთობოდა XX საუკუნის პოეზია; აქ გალაკტიონი განხილულია მათ გვერდით, ვინც იწყებდა ჩვენს დროს პოეზიას, განხილულია ბლოკთან, ესენინთან, მიაიკოსკისთან ერთად; ასე წარმოიქმნება ფართო პანორამა, ცოცხალი პროცესი მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარებისა.

გ. ჯიბლაძე მუდამ ცდილობს კონკრეტული მოვლენის ანალიზი თეორიულ სფეროში გადაიტანოს და ამ გზით ყოველი ცალკე მოვლენა ლიტერატურაში მჭიდროდ დაუკავშიროს განვითარების საერთო პროცესს. ეს ნათლად ჩანს თვით ამ მონოგრაფიაშიც; ავტორი ლირიკის არის განმარტებით იწყებს, რათა თავიდანვე განისაზღვროს, თუ როგორ შემოს ლირიკოსმა პოეტმა მოეცა მთელი თავისი ეპოქა და შესწევს თუ არა ლირიკას ამის ძალა. ამას გარდა, კრიტიკოსმა აქვე დაახასიათა რა საერთოდ სიმბოლოზმის ბუნება, გვიჩვენა, რა ადვილი ეჭირა გ. ტაბიძეს იმ ევოლუციაში, რომელიც ქართული ლექსმა, საერთოდ, ჩვენმა ლიტერატურამ მეოცე საუკუნის დასაწყისში განიცადა; კრიტიკოსი გ. ტაბიძის შემოქმედების პირველი პერიოდის განხილვისათან ერთად ქართული სიმბოლოზმის გენეზისსაც აღგვსნ და სვამს საკითხს: რა საფუძველი ქონდა ასეთი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობას, იყო თუ არა, საზოგადოებრივ-ეკონომიური ბაზისის გარდა, თვით მწერლობაში ისეთი ტენდენცია, რომელიც გვაუწყებდა ახალი სკოლის, ახალი მიმდინარეობის მისალოდნელ წარმოშობას? და კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ სიმბოლოზმის პირველი პოეტური მანიფესტები ჩვენში იყო გალაკტიონის პირველი პერიოდის ლექსები. „ედგარი მესამედ“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „სახალწლო ეფემერა“, 1915 წელს დაწერილი



ნი, ხოლო უფრო ადრე გამოქვეყნებული „ხელოვნება“ (1909 წელი), „სილაკვარდე ანუ ვარდი სილაში“ (1914 წელი), „ამაო ძახილი“ (1912 წელი), „მწვანე ზოლი მთის“, „ბედისწერა“, „მიცქირე თვალში“ (1914 წელი), „ორი“ (1908 წელი), „შავი ყორანი“, „მიმღერე რამე“ (1912 წელი), ლიტერატურულად, სინამდვილის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით ნიადაგს უმზადებდნენ ქართველ სიმბოლიტებს; სიმბოლიზმი აღიარებდა პოეზიაში მარტოოდენ მინიმუმებს აზრზე სიმბოლოების საშუალებით, რათა აღეძრა მისტიკურ სამყაროსთან მიხალვების განწყობილებები; გ. ტაბიძეს ბოლომდე არ მიუღია ამგვარი მსოფლმხედველობა და პოეტი თავი-დათავი გრძნობდა ყველაზე ძლიერ მოწოდებას ყოველთვის დარჩენილიყო ქართული რეალისტურ-რომანტიკული ლექსის კლასიკურ ტრადიციებთან და მას არ მოსწყვეტოდა. ამ შინაგანი წინააღმდეგობებიდან გამომდინარე მან გზა რევოლუციისაკენ და აქეთ წამოიყვანა მთელი ქართული პოეზია და ამაშია მისი ისტორიული დამსახურება; სწორედ მან დაუღო სათავე დღევანდელ ჩვენი პოეტურ მაჯისცემას, როგორც ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა და შთაგონებულმა ხელოვანმა. და კრიტიკოსმა აქ ნათელყო, თუ რაოდენ ბევრი რამ გააკეთა გალაკტიონ ტაბიძემ ჩვენი პოეტური კულტურის ამაღლებისათვის, ნათელყო, თუ რატომ არის მიჩნეული გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ნოვატორად და რეფორმატორად; კრიტიკოსმა გვიჩვენა, თუ როგორ შეძლო გალაკტიონმა გაეფართოებინა ჩვენი პოეტური შემეცნება, რა ახალი ორიგინალური ლერწმები მოიტანა მან, როცა ქართულ სიტყვას ლექსში მოსცა არა მარტო მეტი კოლორიტი, არამედ მეტი პლასტიკურობა და მუსიკალობა; და არ შეიძლება არ დაეთანხმოთ კრიტიკოსს, როცა ის აღნიშნავს, რომ რაც უნდა მოხდეს, როგორი დიდი პოეტებიც უნდა მოელონო ქართულ ლიტერატურას, როგორადაც უნდა აამაღლონ მათ ჩვენი მხატვრული აზროვნება, წინ წასწიონ და განავითარონ იგი, როგორადაც უნდა გაამდიდრონ პოეტური სახეებით ჩვენი შემეცნება, გალაკტიონ ტაბიძე მიიწე ყოველთვის დაამშვენებს ქართულ პოეზიას, როგორც მისი ნამდვილად დიდი ოსტატი, რომელმაც ბუნებრივი ქართული სიტყვით ისეთი გრძნობები გადმოსცა და ისე მძაფრად შეატოკა მკითხველის გული, ისე ღრმად ჩაგვახედა თავისი დროის აღმპიანის სულის სიღრმეში, როგორც ეს, ასევე თავისი დროისათვის შეიძლო ბარათაშვილის მძლავრმა გენიამ. სწორედ ეს ეპოქალურიბა განაპირობებს უკუდავებას პოეტისას, განაპირობებს იმას, რომ მისი სიტყვა უძლებს საუკუნეების გამოცდას. კრიტიკოსის ეს სავეტებით სწორი დასკვნა დაფუძნე-

ბულია „მთაწმინდის მთავრისა“ და „ლურჯა ცხენების“, „მერისა“ და „მე და დამის“, ლექსების ჩვენ პოეტები საქართველოს“ და „დროშები ჩქარის“, „მღვრიე ქარისა“ და „ამაო ძახილი“, „განახლა გულისა“ და „შავი ყორანის“, ლექსებისა „ქალაქი წყალქვეშ“, „შშობ-ლიტრო ჩემო შიწვე“ და მრავალი სხვა ნაწარმოების ახალიზის საფუძველზე.

გიორგი ჯიბლაძე გვიჩვენებს მთელ გზას პოეტისა და განსახლდევას იმ ადგილსაც, რომელიც გალაკტიონმა დაიჭირა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „ადგილი“ იმას კი არ ნიშნავს, რომელიმე მწერალი მიმდინარეობას მიაკუთვნო, ამა თუ იმ პლუადას დაუკავშირო, ისტორიაში მათათვის, განსახლდევას მისი მოღვაწეობის პერიოდ, დრო და ეპოქა, ზუსტად თარიღები დაადგინო, თვით მხატვრულ ნაწარმოებთა დაწერის ან საზოგადოებრივი ცხოვრების ვახვითარებაზე მათი გავლენის მნიშვნელობა აღნიშნო, — ასეთი ადგილი ყველას უჭირავს, სულ ერთია — პირველხარისხიანი ოსტატია ის თუ არა. ადგილის მიუხედავად იმის განსახლდევას ნიშნავს, თუ ვინ შეავსო ის ხარევი, რომელიც წინამორბედი დიდი მწერლის შემდეგ დარჩა ლიტერატურის ისტორიაში, ვინ შეიძლო თავისი მხატვრული ძალით ეგრძნობინებინა რაღაც ახალი, მათყუებელი და მანიშნებელი ახალი ეპოქის მძაფრი ეპოქალური გარდატეხისა, ისე, რომ აქ მარტო გარდატეხა კი არ ყოფილიყო ნაგრძნობი, არამედ თვით ის ეპოქაც, რომელიც ისტორიის ამ შემობრუნებას უნდა მოჰყოლოდა. აი ეს არის მწერლისათვის ადგილის მონახვა ისტორიაში, თუ ეს ისტორია პროცესის სახით, შემოქმედებითად არის წარმოდგენილი და არა მარტოდ მარტო მწერლოგობითად, თარიღების გამწვკრივებით, როცა ერთს მეორე მისდევს, მეორეს მესამე და ა. შ.

და აქ მკვლევარი კიდევ ერთხელ გადააღებს თვალს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას, რომლის უკანასკნელი დიდი შთაგნება ვაჟა-ფშაველა იყო თავისი სულის უმძლავრესი მტეხიარობითა და ლალი ფანტაზიით. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულ პოეზიაში დიდი ხარევი გამოჩნდა, რომლის შევსება ვერავინ შეძლო. ყველა დროს თავისი ზედიერი მიაქვს და მოაქვს, ვაჟას სიმძლავრე ასედა კი მხოლოდ განსაკუთრებულ ტალანტს შეეძლო. ასეთი ტალანტი კი ყოველთვის არაჩვეულებრივი შემთხვევაა და ყველაფერში კანონზომიერი ბუნება ამ მხრივ ძალიან ხშირად არაქანონზომიერი გვეჩვენება. თავის დროსადაცა სრულად განსაკუთრებული სახით გამოჩნდა, მის საოცარ ფანტაზიას, მხატვრულ თავისებურებას და ორიგინალობას აძლიერებდა მთელი შემოქმედების მეტისმეტად განსხვავე-



ბული იერი. ამის შემდეგ კიდევ უფრო ძნელი იყო ვინმე ისე ამაღლებულიყო მკითხველის თვალში, როგორც, ვთქვათ, პუშკინის გარდაცვალების შემდეგ ლერმონტოვმა ერთბაშად დაიკვირა პირველი ადგილი.

და, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ვაქას შემდეგ ყველაზე ბუმბერაზული ფიგურა სწორედ გალაკტიონი იყო. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის გალაკტიონი ჰგავს ვაქას; არა. ეს სრულიად სხვადასხვა ეპოქებია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, თავისებურია მათი როგორც სულიერი, ისე პოეტური სამყაროები, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ, თუ ვინმემ აგრძნობნა ვაქას შემდეგ ჩვენს მკითხველს დიდი პოეტური ძალა, ქართული ლექსის სითამაშე, სიღამაზე, მრავალფეროვნება, მისი თვალგაღუწვდენელი ჰორიზონტები, მისი პირდაპირ განსაკვიფრებელი უნარი ჩასწვდეს ადამიანის სულის ყველაზე იღუმალ ზეულებსა და ნიუანსებს, აღმოაჩინოს ახალი პოეტური ქვეყანა — ეს იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომლის მძლავრ პოეტურ სიმფონიაში თავის საწყისებს პოულობდნენ მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები. საკითხის სწორედ ამ კუთხით დაყენების თვალსაზრისით კრიტიკოსის ზემოსწინებულ ნარკვევში ბევრი სავალისებრო რამ არის ნათქვამი და შეუფასებელია ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტის უმდიდრესი შემეფიქრებლობა.

„კრიტიკული ეტიუდების“ მომდევნო თავი შალვა დადიანს ეტება, მაგრამ აქ კრიტიკოსი მწერლის შემოქმედების მხოლოდ ძირითადი შტრიხების მოხაზვით კმაყოფილდება. მაინც ეს კონტურები და შტრიხები საკმაოდ მკაფიოდ წარმოგვიდგენენ სახეს ამ მწერლსა, რომლის შემოქმედება ორი საუკუნის მიჯნაზე გაიშალა და მოიცავდა არა მარტო პროზისა და დრამატურგიის, არამედ თეატრალური ხელოვნების სფეროსაც. ეტერი ცდილობს განსაზღვროს შალვა დადიანის მხატვრული პალიტრის ხალხური ხასიათი, ცდილობს ერთ მთლიანობაში გვიჩვენოს დადიანი, როგორც აქტიორი და რეჟისორი, დრამატურგი და მოქალაქე, „მოგზაური დასის“ ხელმძღვანელი, რომლის აუდიტორია ყოველთვის მართლაც „ხალხი იყო, მშრომელთა ლიანგი“. შედარებით უფრო ვრცლად იხილავს ავტორი შალვა დადიანის დრამებს „მღვიმეში“, „გუშინდენი“, „ნაერწყლიანი“, აქვე აღძრავს იგი საკითხს მწერლის მოქალაქეობრივი ღვაწლისა. შალვა დადიანის ცხოვრება ხომ ამისათვის უხე მასალა იძლევა. უფრო ვრცლად განიხილავს კრიტიკოსი ე. გრიშაშვილისა და ლ. ქიანელის შემოქმედებას. ეს ფრიად კოლორიტული ფიგურები ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისა ავტორს განიხილდა ჰყავს იმ თვალსაზრისით,

თუ რა შესძინებს მათ საერთოდ ქართულ მწერლობას, რით გაამდიდრეს იგი, როგორ ასახეს თავიათი ეპოქის ტკივილები თუ სიხარული. პირველ ეტიუდში ყურადღებას იქცევს ანალიზი ე. გრიშაშვილის ლირიკის თავისებურებისა, მეორეში კი ვრცელი დებასიათება ლ. ქიანელის საქვეყნოდ ცნობილი რომანებისა, რომელთაც თანმიმდევრობით გამოხატეს ჩვენი ეპოქის განვითარების განსაზღვრული ეტაპები.

„კრიტიკული ეტიუდების“ ავტორს საკუთრად მიუჩნევია ყველაზე უფრო ვრცლად განხილვა მეოცე საუკუნის ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. ეს უაღრესად მიზანშეწონილია სწორედ იმიტომ, რომ, გასაგები მიზეზების გამო, კარგა ხნის განმავლობაში მიხეილ ჯავახიშვილზე ჩვენს კრიტიკაში არავის არაფერი უთქვამს, არაფერი დაუწერია. და, აი, ახლა, როცა მწერლის მდიდარი მემკვიდრეობა ხელახლა ქვეყნდება, იგრძნობა საჭიროება შეფასებული იქნას წიგნები ამ მწერლისა, რომლებიც დიდი ხანია შეიყვარა მკითხველმა და რომლებმაც დიდად წასწიეს წინ მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზა. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ვრცელი გზის შესწავლა მეტად რთული საქმეა, თანაც ვრცელი მონოგრაფიის სავანი, და ამიტომ ამჯერად ვერ ვიკისრებთ ასეთი მძიმე ტვირთის აღებას, „ჩვენი მიზანია კრიტიკული ეტიუდის სახით წარმოვადგინოთ ზოგიერთი შენიშვნა „არსენა მარაბდელის“ ავტორის შემოქმედებით შემკვიდრების საკითხებზე და უაღრესად ზოგადად დავახასიათოთ მისი განვითარების ძირითადი მომენტები“. ამრიგად, ავტორი არ იღებს ვალად მწერლის მთელი შემოქმედების ვრცელ მიმოხილვას, მაგრამ მაინც კარგა იქნებოდა მას მეტი ყურადღება მიექცია მწერლის ყველაზე მთავარი ნაწარმოებისათვის — „არსენა მარაბდელისათვის“. ეს კი ასე არ არის, მწერლის ბოლოდროინდელი ნაწარმოებების განხილვის დროს კრიტიკოსს აქცენტი უფრო მეტად „ქალის ტვირთზე“ გადაუტანია და ეს რომანი მართლაც ვრცლად და გულდასმით განუხილავს. ამ ხარვეზის მიუხედავად, ეს ეტიუდი მაინც მკაფიოდ წარმოგვიდგენს მწერლის პორტრეტს და გვიჩვენებს მისი შემოქმედების ძირითად თავისებურებებს.

საერთოდ, ეს „კრიტიკული ეტიუდები“ იმით არის საინტერესო, რომ კარგად წარმოგვიდგენენ არა მარტო ხსენებული მწერლების ლიტერატურულ პორტრეტებს, არამედ კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე აღძრავენ ესთეტიკისა თუ ლიტერატურის თეორიის საინტერესო საკითხებს. ეს კი სწორედ საუკეთესო გზაა ლიტერატურის კრი-



ტიკოსისაოვის, რომელმაც უაროდ და ცოცხლ-
მხრინად უნდა შეხედოს მოვლენას.

გიორგი ჯიბლაძის წიგნი სრულდება ნარკ-
ვევებით ქართული საბჭოთა პოეზიისა და პრო-
ზის შესახებ. აქ ყურადღებას იპყრობს ავტო-
რის მოსაზრებანი მხატვრული სახის, მოვლენის
მოქმედებაში ჩვენების, პოეტური შედარების,
შემოქმედებითი შრომის კულტურის, პროზაუ-
ლი ნაწარმოების სიუჟეტის, ლიტერატურული
ენის, თანამედროვე და ისტორიული თემატი-
კის, იდეური და მხატვრული ოსტატობის შე-
სახებ. ქართული მხატვრული პროზის განვი-
თარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგუ-
ლისხმოა, რომ კრიტიკოსი სამართლიანად ილაშ-
ქრებს მრავალტომიანი რომანებით გადაჭარბე-
ბული გატაცების წინააღმდეგ. ეს ტენდენცია
მართლაც განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ ხა-
ნებში, როცა ხსენებული წერილი იწერებოდა.
და არ შეიძლება არ დაეთანხმეთ ავტორს, რო-
ცა ის აღნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ძალიან
შორს წავსულვართ რაოდენობრივად და ჩამო-
ვრჩენილვართ ოსტატობის მხრივ, ბევრი გვი-
ფიჭრია დიდტანიან წიგნებზე, მაგრამ ძალიან
ცოტა — ტიპებსა და ხასიათებზეო.

„მ წერალს“ ქართულ აბრეშინსაჲს
ბევრი მწარე სიმართლევთა ნათქვამი და, ამას-
თან, კრიტიკოსი აღნიშნავს იმ წარმატებებსაც,
რომლებსაც ჩვენმა პროზაიკოსებმა დაძაბული
შემოქმედებითი შრომით მიაღწიეს.

საერთოდ, გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ვტიუ-
ღების“ მესამე წიგნი მნიშვნელოვანი მოვ-
ლენაა ჩვენი ლიტერატურული აზროვნების სფე-
როში; იგი აღძრავს და წყვეტს როგორც ქარ-
თული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის, ისე
ლიტერატურის თეორიის არაერთ საინტერესო
საკითხს. „კრიტიკული ვტიუღების“ ავტორი
ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური თეორი-
ისა, ისტორიისა და კრიტიკის საუკეთესო მო-
ნაცემებს ფლობს და თანაბარ უნარს იჩენს
ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამ სახს,
ერთმანეთისაგან განუყრელ დარგში. ეს კი
ისეთი თვისებაა, რომელიც კრიტიკულ ნაშრომს
მატებს ცხოველმყოფლობას, აქტუალურობას,
აძლევეს მას უნარსა და ძალას არა მარტო შეა-
ფასოს ჩვენი ლიტერატურის განვლილი გზა,
არამედ, ამავე დროს, აქტიური მონაწილეობაც
მიიღოს მისი შემდგომი ზეაღმავალი წინსვლის
ცოცხალ პროცესში.





კობა ივანეზიდი

ოტია იოსელიანის ნოველები

უკანასკნელ წლებში გამოსულმა ქართველმა ახალგაზრდა პროზაიკოსებმა ბევრი ახალი რამ მოიტანეს თან. და თუ ჩვენი საუკუნის დღევანდელი დღეები ისტორიაში აღინიშნება ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდაქმნისა და გამდიდრების დროდ, ეს ნაწილობრივ ამ ახალგაზრდობის დამსახურებაცაა. ეს დრო ჩვენს ლიტერატურას ისეთ პრობლემებს უყენებს, რომელთა გადაჭრაც ქართული მწერლობის მთელი სულიერი ძალების მობილიზაციას მოითხოვს.

ქართული მწერლობა თავისი არსებობის მანძილზე ბევრ წყაროს დასწავებია, მაგრამ იგი მაინც არასოდეს არ გადასულა თავისი განვითარების მაგისტრალური ხაზიდან და ყოველთვის ეროვნულ ფარგლებში რჩებოდა, ეროვნულში, რომელიც ინტერნაციონალური ქღერით არის გამდიდრებული და შევსებული, თუმცა, ეს ახალი ამბავი არაა და არც მართო ჩვენი ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენი მწერლობა დღეს სწორედ სხვა ერებთან ურთიერთკავშირისა და ინტენსიური გამდიდრების კარგ მაგალითს წარმოადგენს.

მაგრამ მართო ურთიერთგაველენა და ურთიერთგამდიდრება დიდ მწერლობას ვერასოდეს ვერ წარმოშობს. აქ აუცილებელია დიდი ტრადიცია. ტრადიციისკენ მიხედვა კი ზომ იგივე გამდიდრებაა, ცალმხრივი გამდიდრება, ცალკე გადაძახილი წინაპრებთან, მათ ვეშოვნებასა და ზნესთან.

ეს ორი რამ აუცილებელი ბიძგია მწერლობის განახლებისა და წინსვლისა, მაგრამ არა მთავარი. ამ განახლების უპირველესი წყარო ცხოვრებაში უნდა ვეპებოთ, იმ ქართველებში, ტკივილებსა და სიამეში, დღევანდელი დღე რომ პქვია, მაგრამ ხშირად წაივითხავ ნაწარმოებს, ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი თავის ადგილზეა. მწერალი გეუბნება, რომ აქ შენზე და შენს ცხოვრებაზეა ლაპარაკი, მოთხრობა კი შავით თეთრზე გიმტკიცებს, რომ მეცხრამეტე

საუკუნიდან მოიყვანეს და დაბადების წელი გადაუქეთეს მხოლოდ.

წარსულს ბევრი რამე შეგიძლია დაესესხო — თემა, სიუჟეტი და ფორმაც კი, მაგრამ სული, ხასიათი და სახე ნაწარმოებში დღევანდელი უნდა იყოს. მაგრამ არც ის ივარგებს, რომ დღევანდელი იყოს და უცხო იყოს, სტუმარი იყოს და თვალი კარებისკენ ექიროს. მწერლობა უდიდეს ზომიერებასა და ტაქტს მოითხოვს სწორედ იმისათვის, რომ ტრადიცია, დღევანდელი დღე და ურთიერთგამდიდრება ერთმანეთში მოარიგოს და თავისი ადგილი მიუჩინოს თვითველს. ამ სამი ელემენტის მშვიდობიან და ზომიერ თანაარსებობაზე დღეს ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ ძიებისა და წინსვლის პროცესში ყოველთვის ძნელია თანაფარდობის დაცვა.

ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ძირითადი დამახასიათებელი სწორედ ამ პარამონიულობისაკენ ლტოლვაა. თანამედროვე ქართველი მწერლები ცდილობენ ქართული მწერლობა ახალ სიმაღლემდე აიყვანონ, თანამედროვეობის დონეზე დადგნენ და იქიდან ილაპარაკონ. ასე რომ, პროზაიკოსთა დღევანდელი თაობა დიდი ამოცანების წინ დგას და აპიტომ ბევრიც მოეთხოვებათ. პროზაიკოსთა სწორედ ამ თაობის გზას მიჰყვება ოტია იოსელიანი.

თანამედროვე პროზა და პოეზია ავლენენ მძლავრ ტენდენციებს ერთობის განწყობების, გამოსახვის ხერხებისა და ხასიათების გადაღებისა. პირველი ნაბიჯი აქეთკენ თითქოს პოეზიამ გადადგა და ეს მისთვის ნამდვილად სასიკეთო იყო. პროზის ლტოლვა პოეზიისკენ მეორეული მოვლენაა, მაგრამ ლიტერატურისთვის და ქართული მწერლობისთვისაც იგი უკვე საიხლდე აღარაა. აქ შეგვეძლოს გაგვესვენებინა ჭოლა ლომთათქმე და ნიკო ლორთქიფანიძე, მაგრამ თუ პოეზია მთს პროზაში ფორმისმიერ ელემენტებში იჩენდა თავს, დღეს პოეზია ცდილობს იმომქედოს პროზის შინაგან



ბუნებაზე, მისი აზროვნების ლოგიკაზე. ყველა ზემონათქავემ უფრო ნათელი რომ გახდეს, დავაკვირდეთ ოტია იოსელიანის კრებული პირველივე ნოველას — „ჩქარი მატარებლიდან“.

ნოველა მთლიანად ლირიკულ ტონშია დაწერილი და განწყობის მთლიანობის, რეალურის გვერდით მასში მონათხრობი, ცალკე გაზვიადებით დაეჭვებას იწვევს.

ეს პოეტური ამბავია, რომელსაც დაეჯერება კიდევ და არც დაეჯერება: მატარებლის მემანქანე და წითელკაბა გოგო თვეების განმავლობაში ზედმიწევნით ერთმანეთს და ელიან ამ შეხვედრას. ცოტა უცნაურია მათი შეხვედრა. ერთს მატარებელი მიაჭროლებს, მეორე კი თავისი სახლის აივანზე გადმომდგარა; მანძილი მათ შორის იმხელაა, რომ ერთმანეთის სახესაც ვერ არჩევენ, მაგრამ იციან დრო, მატარებელი და სახლი, და ელიან. ბიჭმა იცის როგორია გოგო, იგი მას ოცნებაში ხედავს და იმდენად დარწმუნებულია თავისი ტუტეების სიმართლეში, რომ სახელიც კი იცის მისი — მათა. ბოლოს ისინი ხედებიან ერთმანეთს. ბიჭი ჩამოდის მასთან (აქ საოცარი დისონანსი შეაქვს თხრობაში მის ჩაქმულობას, თითქოს სახასიათო დეტალს), მაგრამ ქალი მას არ ელის. იგი ღიანდაგს გასცქერის და როცა მატარებელი ჩაივლის, გოგო ქვითინებს გაცრუებულ მოლოდინზე, ბიჭი რწმუნდება, რომ მისი ოცნების ქალი ნამდვილად ეს გოგო ყოფილა, სახედადაც კი მათა რქმევი, მაგრამ ხედავს, რომ მას არ ელიან, რომ იგი მოვიდა სხვა დროს, სხვა სახით. და უბრუნდება მატარებელს, უბრუნდება ოცნებას.

როგორც ვხედავთ, იმ მომენტამდე, სანამ ვაეი შეხვდება ქალს, ყველაფერი ოცნებათა სამყაროში ხდება. შეხვედრამ შეკრა მსაფერი კონფლიქტის კვანძი — ოცნება და ცხოვრების სინამდვილე არ ეთანხმებიან ერთმანეთს. ნოველა ფაქტურად უკვე დამთავრდა, დამთავრდა ლექსი ოცნებაზე, წერტილი დაესვა განწყობას. მაგრამ ავტორი არ ამთავრებს — ოცნების სამყაროში აბრუნებს შემანქანებს.

ამ ნოველაში უპირველესად ყურადღებას იპყრობს ის, რომ გმირები ნორმალურ მდგომარეობაში კი არა, ერთი გრძნობის გამძაფრების, გაზვიადების ფონზე არიან მოცემულნი. ასეთი დანახვა გმირებისა პროზისათვის ნაკლებ დამახასიათებელია. პროზა ცდილობს თავის ყოფითობაში, რეალობაში ასახოს ხასიათი, გაჭნობს, განიცდ, პოეზია კი აზვიადებს ამა თუ იმ მომენტს, ჰქმნის რეალურ შეგრძნებებს არარეალურის გზით; პროზა გაჯერებს ამბის სიმართლეში; ამბის პირობითობის გვერდით, სიტრუის გვერდით, გაჯერებს განწყობის სიმართლეში. ამ ნოველის ამბავს აკლია დამა-

ჯერებლობა, მაგრამ მას აქვს ნამდვილი პოეტური განწყობის სიმართლე — მისი ყველაზე დადებითი რამ. ნოველის წაიკითხვის შემდეგ მკითხველს რჩება არა ამბავი, არა გმირთა ხასიათები, არამედ განწყობა, ნაზი, სიფრთხანა, სიყვარულს თუ სევდიანი სიხარულის შეგრძნებით გამოწვეული.

ასეთ პოეტურ პროზას მიეკუთვნება კიდევ რამდენიმე ნოველა მწერლის კრებულიდან — „თამაში“, „დაგვიანება“, „მენავე“ და „თეთრი ქალიშვილი“. ისინი სხვადასხვა სიძლიერით არიან დაწერილნი, მაგრამ, პოეტურ ბუნებასთან ერთად, სხვა რამეც აქვთ საერთო. გმირები ამ ნოველებშია ასაკით მამა-შვილად ერგებიან ერთმანეთს, გარემოს ხედავს, ლირიული გმირის განცდა სამყაროსი ერთნაირია, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ისინი თვით მწერლის მეს- ოდნავ შეფერილი სახეცვლილებანია. შეიძლება ამ მავალითებში თავისთავად ეს არაფერს ცუდს არ შეიცავდეს, მაგრამ ასეთი, ერთი ლირიული გმირის ვარაიციის, გზით სიარული ავტორს ნამდვილად ერთფეროვნებამდე მიიყვანს.

პოეტური პროზის შინაგანმა ბუნებამ თავისი დალი ნოველის ფორმასაც დაანია, შურია მასში ზოგი პოეტური რამ. ეს ამ ნოველებსაც ეხება. ცნობილია, რომ ლექსში რიტმი განსაზღვრავს კომპოზიციას, ერთი სარიტმო ერთეული იქცევა ლექსის ლერძად. ასეთვე პოეტურს ეხვედრით „ჩქარ მატარებელში“. სმენითი შეგრძნება — მატარებლის რიტმული ხმაური, და ხედვითი — ორთქლმავლიდან დანახული სურათების თანაზომიერი მონაცვლეობა, ქმნიან ნოველის რიტმულ ერთეულს, რომელიც განსაზღვრავს თხრობის ტემპს.

„ორთქლმავალი გრუხუნებს მთებს შორის, მიზარგუნებს ხიდეზზე და მიდის...“

სოფელი, მდინარე, ყანები, ვენახები, ალგები, მუხები, ქალი, კაცი, ცა და მიწა — ჩემია ქვეყანა.

ვიქნევ ხელს, ქულს, თავს, მთელი ზედატანით ვიხრები სარკმელში.

- გამარჯობათ, ზიღებო!
- გამარჯობათ, ბავშვებო!
- თქვენი სიცოცხლე, მუხებო, ვენახებო!
- მთაო!
- კაცებო!
- გამარჯობათ, გამარჯობათ, ვენახებო!

მთის ფერდობზე ოდა მოჩანს. შორიდანვე კარგად ვარჩევ, ოდა ბოკონდრე ღვას, საცალფეხო, უსახელო კიბე აქვს მიდგმული. ოთახის ფანჯარა ღიაა. ეს წითელი რა უნდა იყოს ფანჯარაში?

მთა აიტუნა, გაქრა ოდა, ოთახი, ფანჯარა... მაყვალი შეწითლებულა. ავტო აქვია, ხელით მიწვდება.



— გამარჯობა, მაყვალაო
 ისევ მთის ფერღობი, ოღა კარგად ჩანს, ფანჯარა ღიაა, რაფაზე გოგონა შემოშვდარა, წითელი კაბა აცვია, ხელში ცისფერყდიანი წიგნი უჭირავს.

— გამარჯობა, გოგონა! — ვიქნევ ხელს, თავს ვიციანი...

იქნევს წიგნიან ხელს, მიცინის, იწევა ფანჯარიდან, ისევ მიქნევს ხელს.

მატარებელი მიჭრის, გასცდა სახლს, სადაცაა — თვალს მიეფარება გოგონა, მაგრამ არა, აივანზე გამოდის, აივნის კუთხეში სვეტს ეხვევა, მარცხენა ხელით ეკიდება აქეთ, ჩემცხელ და იქნევს ხელს, იქნევს...

მიდის მატარებელი...

— ნახვამდის, გოგონა!

ეფარება თვალს ჯერ გოგონა, მერე სახლი, გზო, ფერღობი, მატარებელი. მატარებელი სალ კლდეს მისდევს, მე უკან ვიციკრები, თითის წვერებზე ვღვები, რალაც კიდეც მინდა დავინახო.

მიდის მატარებელი, მიდის ქოთქოთით, ვიშოვით, დავიღარაბით. ისევ სახლები, ხეები, მდინარე, ბავშვები ხბორებით, ვენახები... ვენახები!

ამ ნაწყვეტის (ოღონდ უფრო და უფრო დაწურულის, სიჩქარე და დამაბუღობა) რეფერნული მონაცელობა იწევეს შესაბამ ასოციაციებს — სმენითა და ხედვით, იქმნება რეალური სურათი, რეალური განწყობა, რომელიც ამავე დროს მთლიანია. თანაც ეს ყველაფერი ნოველაში პოეტური გადახვევა კი არ არის, არამედ მისი, როგორც ერთი მთლიანის, დამახასიათებელია და იგი სწორედ ამ მთლიანობაში ატარებს პოეტური პროზის ხასიათს. მაგრამ ლტოლვა პოეტურობისაკენ, თუ იგი მკაცრად კონტროლირებული არ არის, ხშირად აზიანებს პროზას. მაგალითად „მენავევი“, ზღვის მოტივის რეფერნული გამოვრება იწევეს საპირისპირო ეფექტს, რადგან არაა დაცული ზომიერების გრძნობა, ეს მოტივი არ არის განწყობის შექმნის მთავარი ელემენტი.

პოეტურ ნოველაში უნდა მოხდეს შინაგანი მორიგება პროზასა და პოეზიას შორის. ეს თანადგობლობა ნაწარმოების შინაგან კანონზომიერებას ეყარება და მისი დარღვევა განწყობის მთლიანობის დარღვევას გამოიწვევს. ნოველა „თეთრი ქალიშვილი“, მიუხედავად ბევრი დიდებულისა, სტილისტურად არამთლიანია, რადგან მასში სწორედ ეს კანონზომიერებაა დარღვეული. ნოველის ექსპოზიცია გულისხმობს ამბის განვითარებას, მაგრამ ამბავი წყდება და შემოდის ახალი გმირი — ნათია თავისი განწყობით, ამ განწყობის შესაქმნელად აუცილებელი ამბის მინიმუმით, და ეს ამბავი

და განწყობა იქერენ მთავარ ადგილს ნოველაში, ხდებიან მისი სპეციფიკის წამმართველნი. ნათიას განწყობა და ამბავი არავითარ კავშირში არაა ექსპოზიციასთან, ექსპოზიცია არა თუ ამზადებს მომდევნო ამბავს, განწყობას, პირიქით, დისონანსი შეაქვს თხრობაში.

როცა ვიხილავთ იოსელიანის ამ ნოველებს და ვლაპარაკობთ პოეტურ პროზაზე, უნდა გავცეთ პასუხი კითხვაზე — შეიძლება თუ არა ასეთი სტილით დიდი პროზის შექმნა? შეიძლება თუ არა პოეტურმა პროზამ გვიჩვენოს შეჯახებანი ხასიათებისა, კონფლიქტები, და, რაც მთავარია, შეძლებს თუ არა მწერალი ასეთი პროზით არა მარტო ცხოვრების სურათების ჩვენებას, არამედ რაიმე დღის თქმას? ხომ არ დარჩება იგი თავის ნაწარმოებში მხოლოდამხოლოდ პასიურ მკერეტელად?

ამ კითხვის თვითონ ოტბი იოსელიანის მოთხრობა „ლევანა“ პასუხობს. ამ მოთხრობაში ნაჩვენებია ძალზე ცნობილი და ძველი ტრადიციული მარტოხელა კაცობა, რომელსაც ცოლ-შვილი დახოცვა და მარტოღმარტო ცასა და მიწას გამოყვრებული დარჩენილა. მსოფლიო მწერლობაში მამის კარგად ცნობილი ტრადიციის მოტივზე ჩვენც გვაქვს კლასიკური მოთხრობა. ესაა მიხელო ჯავახიშვილის „ტუის კაცი“. მასში მეტყვევს ჯავახიშვილს მოწყვეტილი, ცალკე ცხოვრობს, შვილების დახოცვამ იგი უბედურებასთან მარტოდ მარტო დაყუენა. მარტოხელა კაცმა ვერ გაუძლო და დამარცხდა — ქუაზე შეცდა.

ოტბი იოსელიანმა შვილებზე დამწუხრებულ მამის თემა ახლებურად გადაწყვიტა.

ლევანა მიწისა და ოჯახის მოყვარული გლეხია. ცოლ-შვილის დახოცვის მერე მან სიზმრებითა და მოღანდებებით დაიწყო ცხოვრება, რომელიც მისივე გარდასული ცხოვრების არეკილი ზმანება იყო: იგი ზრუნავდა კარ-მიღამოზე, ქუას არიგებდა შვილებს, ემზადებოდა ქორწილისათვის. დღის სინათლე ეჯავრებოდა ლევანას, იგი ხელს უშლიდა, არღვედა მისი სამყაროს მთლიანობას. ამიტომ ლევანა სახლიდან მხოლოდ საღამოობით გამოჰყვდიან ხოლმე თავს და იქვე უბრუნდებოდა თავის ზმანებებს. ეს მოჩვენებითი — ზრუნვა ოჯახზე — მისთვის რეალურ სამყაროდ იქცა, მან თითქმის ჩვეული გზით გააგრძელა ცხოვრება. ლევანა შესანიშნავად გრძნობდა თავს ახალ სამყაროში. იღუპებოდა კაცი, მაგრამ ვერავინ ვერ უშველა. მაგრამ ავტორი ლევანას ხსნას წინასწარ ამზადებს, როცა ლევანას ერთ თვისებას წამოსწევს წინ — ეს არის მიწის, საქონლისა და შრომის გლეხური სიყვარული. თუმცა, სიყვარული აქ ზუსტი სიტყვა არაა, გიყვარს ის, რაც შენს გარეთაა, ეს ყველაფერი კი ლევანას

სისხლი, ძვალი და ხორცია მისი, და იმ წაშიდან, როცა ზმანებაში წასული ლევანა ხარების ზმუილსა და ბაკუნს გაიგონებს, ბოლომდე, ლევანას ხსნამდე, ნოველა დიდი ექსპრესიითა და დრამატიზმით არის დაწერილი. მწერალი გვიჩვენებს ლევანას გადარჩენისათვის ატეხილ ბრძოლას და თანდათან შემოყვას ნოველაში ის მოკავშირეები, რომელმაც კაცი შეინარჩუნა ცხოვრებას.

ხარები მიაღწენენ ჭიშკარს. ლევანამ იცადა, მაგრამ შვილი არ გამოჩნდა. ჩაივდა ეზოში და თვითონ გაუღო ჭიშკარი. გადის დრო. თენდება. თითქოს ლევანა დაეკვდა (სად არის შვილი?), მაგრამ აელურტულდა ჩიტი. „ჩიტი ვერ დაასწრებდა ლევანას წამოდგომას“, მინდორში გასვლას. დაათენდა მიწის მუშას. ლევანამ კავს მიხედა, სახნისი დაეანგოდა. ამირანი კი არ ჩანს. აქ ქარი მოძალდა. შეახსენა მიწის ამბის შტოდნეს — თუ კიდევ შეყოვნდებოდა, მიწა გამოიკვალებოდა, კვი იღარ მოეკიდებოდა საყანეს. „სოფელი იღვიძებდა, როცა ლევანა ყანაში გავიდა“. დარჩა მარტო გლეხიკაცი მიწასთან, შეეჭიდა; მიწა და კაცი ზმანებას შეეჭიდნენ. ლევანამ გაიტანა ერთი კვალი, უკან გამობრუნდა. „გაუქირდათ ნაგვალავი მიწის გარღვევა ხარებს და შეჩერდნენ“.

—ა, მიდი-ოო! — სახრე გადაუჭირა ლევანამ, მიიხედ-მოიხედა. არავინ არ ჩანდა. შეეშინდა საკუთარი ხმის, თითქოს რაღაცას მიხედა, თითქოს რაღაცა გაუტყვირდა. ხარები უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ნისლა გვერდზე გადაიწია. გადაიწია ნიკორაჲ და ნახანავში გადავიდა.

ლევანამ სახრე შემოაჭირა მარჯვნიდან.

— გარე გამოდი, ოო! — შეუძახა და როცა ისევ გადაიწია ბელტი ბელტზე, დაავიწყდა წელანდელი შიში თუ გაოცება.

მზე მტუხუნავრედ ამომვარა, შიგ თვალბეში ეცა მეხრეს. მარცხენა ხელი აიფარა შუბლზე, რაღაცის ისევ შეეშინდა, ეუცხოვა მზე.

შეჩერდნენ ხარები, ხელი მიაშველა მეხრემ, მოარყია კავი. ჩამჩალ ჯირკს წასდგომოდა სახნისი.

— ხი-ოო, ხი-ოო! — ისევ ორივე ხელით დასწია ერქვანს“.

ასე გრძელდება, მიწა ეხმარება გლეხკაცს სიცოცხლისაკენ მობრუნებაში, მიწა აღარ უშვებს ზმანებებისა და მიჩაყებისაკენ.

და გადარჩა კაცი. მეორე დილა მისთვის ადამიანური დილა იყო, ტკვილით სავსე, მაგრამ მიწიერი, ამქვეყნიური.

ლევანა სანამ მარტოა, ბევრით არაფრით განსხვავდება შეშლილისაგან, მაგრამ საკმარისია მისდა შეუმჩნეველად მას მეორე ადამიანი ამოუღდეს გვერდში, რომ ლევანაში მიმალულმა ადამიანურმა, ნამდვილმა გლეხურმა — მიწისა და სახნისის სიყვარულმა იძალოს

და დაამარცხებინოს ბოროტება. სწორედ ამ ახალმა ორმა მომენტმა მისცა ამ ძველ თემას თანამედროვე გადაწყვეტა, მასში ნათლად ჩანს თანამედროვე ადამიანიც, მწერლის პოზიცია და დღევანდელი ყოფაც.

იქნებ შემთხვევითია, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის მეორე მოთხრობის — „მღევრის“ რემინისცენციას იწვევს ნოველა „ბასარა“. „ლევანასაგან“ განსხვავებით ოტია იოსელიანი მასში ვერ გასცილდა ჯავახიშვილს. „მღევრის“ მანქანასთან გაჯიბრიებულ ჭინკა ბიქს გული უსკდება; სოფლის თვალს, ჭინკა ბიქსი დამარცხდა ქალაქის ემშაქთან ქიდილში. ქალაქი ამარცხებს სოფელს.

თითქმის ასევეა დაყენებული და გადაჭრილი საკითხი „ბასარაში“. სოფლის სანაჭებო ძალის ბასარა მარცხდება ქალაქის ჯადოქართან, მემანქანესთან ბრძოლაში. აქაც ძალს გული უსკდება, ოღონდ დარდისაგან. ოტია იოსელიანთან, იქნებ მისდაუნებურად, დაპირისპირებულია ქალაქი სოფელთან, და ქალაქი იმარჯვებს. საკითხის ასე დასმა და გადაწყვეტა უკვე წარსულის საქმეა, რადგან ცხოვრებამ დიდი ხანია მოხსნა იგი.

ამ კრებულში არის ერთი საინტერესო ნოველა — „ოჯახის ამბავი“. მასში ავტორი დიდ თემას ეჭიდება, ცდილობს საერთო გმირებით გაერთიანებულ სამ პატარა ნოველაში გადმოგვეცეს ამბავი სკოლის მეტრზე დაბადებული სიყვარულისა, ოჯახის შექმნისა, ახალი სიცოცხლის აღმოცენებისა. მასში არის შესანიშნავად დაქერილი განწყობების მთლიანი გამა, ენა უმეტესად მთლიანად დატვირთულია და ყოველი სიტყვა თავის ადგილას ზის, მაგრამ თვით თემა — ოჯახის ამბავი იმდენად დილია, იმდენად ბევრს მოითხოვს, რომ თუ ჩასახვა-განვითარებთში მოვიწინდომებთ მის ასახვას, მარტო განწყობები მის გადწინააღმდეგ არა კმარა. აქ საჭიროა პროზაიკოსის დინჯი საჭრეთელი, რომელიც ამ განწყობებს ხასიათებთან ერთად გამოკვეთდა. ეს თემა სიჩქარეს ვერ აიტანს. იოსელიანის სტიქია კი სიჩქარეა. მართალია, ამ სიჩქარით, სისხარტით ბევრი რამ მიიღწევა, მაგრამ ყოველი თემა თავისებურ მიდგომას თხოულობს. ამ ნოველაში ავტორი ცდილობს ოჯახური იდილია დაგვიხატოს — იდილია კი ყველა მწერლისათვის დიდი საფრთხეა. ეს გზა არ უნდა იქცეს მწერლის გზად. არასწორად არის გააზრებული თანამედროვე მწერლობის ტენდენცია — ადამიანი აისახოს მის ყოველდღიურობაში. ახლა მწერალი უფრო ხშირად ტრივიალურზე წერს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ნაწერიც ტრივიალური იყოს. „ოჯახის ამბავში“ არის ეპიზოდული — ქალი შეიკობოს, რომ ფეხმძიმედაა და შეატყობინებს ამ ამბავს ქმარს. რეალურად და კარგად არის



გადმოცემული სიხარული და სიციოცხლის დაცვის მამაკაციური ინსტინქტი ქმრის მოქმედებაში, მაგრამ თვით სცენა განდობისა იმდენად ტრივიალურია, რომ მთელ ნოველას აუფერულეებს.

მართალია, „ოჯახის ამბავი“ მთლიანად ვერ არის „ჩქარი მატარებლის“ ან „თამაშის“ სიმალღეზე ასული, მაგრამ მასში მაინც ჩანს ავტორისეული აღლო კოლორიტისა და მისი ილუზიის შექმნის უნარი, სიწყინარისა და სიმშვიდის უცნაური, თითქმის აქუსტიკური შეგარძნება. დაწერილია იგი კარგი ენით, კარგი ტექნიკით. ოჯახის ამბავს ავტორი ალბათ კიდევ არაერთგზის დაუბრუნდება, ოღონდ უფრო სხვაგვარად და სხვა სტილით.

ოტია იოსელიანი ნოველაში „ქვრივის ცრემლები“ ადამიანს ძალზე ახლოს ხედავს და აელენს მის ფიქრთა გამოცნობის შესანიშნავ უნარს. მას ადამიანი უყვარს მისივე სისუსტით, რომელიც ბუნებრივია, მაგრამ ნაკლებ სათქმელი, და იგი მწერლისათვის დაფიქრებისა და შეფარული ირონიის საგანი ხდება. ცოტა სახიფათოც კია ქალის ვენებისა და სურვილის ასე გაშიშვლება, მაგრამ ავტორი ყოველთვის იცავს ზომიერებას და ხელოვნების ფარგლებში რჩება. გმირის შინაგანი ბუნების გახსნამ გამოიწვია ნოველის თავისებური აგებულება. იგი, ისევე, როგორც, „ლევანა“ (ოღონდ უფრო მეტი ექსპრესიით), მთლიანად შინაგან მონოლოგზეა დამყარებული და ფაქტიურად ერთ მოქმედ გმირს მოიცავს. ავტორმა კარგად გა-

მოიყენა თანამედროვე მწერლობაში გავრცელებული ეს ხერხი.

როცა ვლაპარაკობთ ოტია იოსელიანის ძიებებზე, არ შეიძლება რაიმე არ ითქვას იმ ხასიათებზეც, რომელთა შემოყვანასაც ლიტერატურაში იგი ცდილობს.

უდავო არაა, რომ ხასიათები, ძლიერი, მკვეთრი ხასიათები, დღევანდელ პროზას პერიოდით სჭირდება.

ოტია იოსელიანი ცდილობს გვერდმ აუაროს ჩვენს ტრადიციულ ხასიათებს და ახალი ხასიათი გაგვაცნოს. საინტერესოა ხასიათები ანტონასი და სერაფიონისა (ნოველებში „ხელმოცარული“ და „ეპიტაფია“), მაგრამ ჩვენი სინამდვილის წამყვან ძალებს ისინი არ გამოხატავენ. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ახალგაზრდის სახე — ხასიათი, ოტია იოსელიანის ნოველიდან ნოველაში რომ გადადის. ეს კაცი ცხოვრებას ბედნიერი, მიამიტი თვალებით შეპყურებს, მისთვის ყველაფერში სიციოცხლეა, სიციოცხლე, მზითა და ხალისით სავსე. ეს არის და ეს, ამ კაცზე ჯერ მეტის თქმა არ შეგვიძლია. აქ არა ჩანს რთული ადამიანური ვენებები,

ოტია იოსელიანის ნოველების კრებული სავსეა ძიებით, ნიჭითა და იმედებით. მას უკვე ჰყავს თავისი მკითხველი. ეს მკითხველი უპირატესად ახალგაზრდა კაცია. თანამედროვე ახალგაზრდა, რომელიც ელის თავის მწერალს და თავის ადგილს მწერლობაში. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს და ოტია იოსელიანსაც არ უნდა დაევიწყდეთ იგი.





ლიბიჯი თუხაკელი

ლიტერატურული წერილები

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად განუწყვეტლად მიღდება საბჭოთა კავშირის ხალხის კულტურაც. შესაბამისად იზრდება ინტერესი მეზობელი მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურის მიმართ, მათ შორის რუსული ლიტერატურის მიმართ. რუსული ლიტერატურის შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს და კიდევ მეტი გასაქანი ეძლევა ჩვენს დროში. ქართველი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების მუშაობა მოძმე რუსი ხალხის ლიტერატურის შესწავლის საქმეში ვითარდებოდა რამდენიმე მიმართულებით. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით ქართულ ენაზე რუსული ლიტერატურის შესახებ დაწერილ გამოკვლევებს. ამ თვალსაზრისით თენგიზ ბუაჩიძის წიგნი „ლიტერატურული წერილები“¹, მისასალმებელია, როგორც ვარკვეული წვლილი რუსული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

„ლიტერატურული წერილები“ არსებითად ნარკვევების კრებულს წარმოადგენს. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში „ლიტერატურული ურთიერთობანი“ მოთავსებულია ორი ნარკვევი: „ბუშკინი და ქართული საზოგადოებრიობა“ და „ქართულ-უკრაინული ურთიერთობიდან“. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია თვალსაჩინო რუსი მწერლების — დერკავეინის, რადიშჩევისა და გოგოლის შემოქმედება. გარდა ამისა გარჩეულია რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, დეკაბრისტები პოეტების შემოქმედება, აქვეა ნარკვევი ლებრონტოვის რომანტიული პოეზიის თავისებურებაზე და, ბოლოს, წიგნის მესამე ნაწილში — „უკრაინისა და ბელორუსიის ლიტერატურა“, მოთავსებულია ნარკვევები ორი

მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე. სამწუხაროდ, უკრაინული და ბელორუსული ლიტერატურის შესახებ ჩვენთან არც ისე ხშირად წერენ. ამიტომ ყველა ნაშრომი ამ სფეროში ზედმიწევნით საკირო და აუცილებელია.

როგორც ვხედავთ, საკითხები, რომლებიც აინტერესებს „წერილების“ ავტორს, საკმაოდ ვრცელია.

ფართო თემატიკასა და აქტუალობასთან ერთად უნდა აღინიშნოს თ. ბუაჩიძის „წერილების“ სხვა ღირებებები: უპირველეს ყოვლისა შეკრებილი და სისტემაში მოყვანილი მასალის სისრულე, მაღალი ხარისხი და შესანიშნავი ენა, რომლითაც დაწერილია ნარკვევები. წიგნი, როგორც ეტყობა, გამოხსნულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და მისაწვდომია კიდევაც მისთვის. ქართველი მკითხველი უსათუოდ დაინტერესდება თენგიზ ბუაჩიძის წიგნით.

„წერილების“ ავტორმა სწორი გზა აირჩია. მისი მხედველობის არეში მოხვდა საქართველოში ნაკლებ ცნობილი და შესწავლილი ლიტერატურული პრობლემები. ესენია „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, დერკავეინისა და რადიშჩევის შემოქმედება, დეკაბრისტების პოეზია. უკრაინული და ბელორუსული ლიტერატურის ისტორიიდან ასეთი აღმოჩნდა ყველა თემა, გარდა ტარას შევჩენკოს შემოქმედებისა.

წიგნი დაწერილია მაღალ პროფესიულ დონეზე. განაკვეთში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ავტორმა გადმოგვცა შინაარსი, მოგვცა წარმოდგენა ნაწარმოების პოეტურ ზედაპირსა და მხატვრულ თავისებურებებზე. ნარკვევში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სათაურის საკითხს. ვინაიდან ნაწარმოები შეიცავს სამი ენარის — ორატორული ნაწარმოების საბრძოლო ისტორიული მოთხრობისა და საგმირო სიმღერის ნიშნებს, ამიტომ ავტორი მას ხან „ამბავს“ არქმევს, ხან „სიმღერას“, ხან კიდევ „მოთხრობას“. თ. ბუაჩიძე სამართლიანად

¹ თენგიზ ბუაჩიძე. ლიტერატურული წერილები. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1960.



უპერს მხარს იმ აზრს, რომ ყველაზე კარგად ნაწარმოების ხასიათს გადმოგვეცემს სათაური — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ნარკვევში მოცემულია „ამბის“ წყაროების ანალიზი, დახასიათებულია მთავარი პერსონაჟი იგორი — თავისი დროის საშუალო თავადი — შემთხვევის გამო დიდი ნაწარმოების გმირად ქცეული. თ. ბუაჩიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მოთხრობის მთავარ სახეებზე. უპირველეს ყოვლისა იხატება ძირითადი სახე — რუსული მიწა. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, მთლიანი არსება. მისი თვალწინდელი სიერეცე, მისი მიწიდვებები, მდინარეები, ქალაქები, ბუნება, მისი ხალხი, მისი ადამიანები; ესენი არიან მიწის მუშები, მემორები, ცოლები და დედები, რომლებიც დასტირბიან დადუბულ ქმრებსა და შვილებს; თავადები, მოუსაზრებელი იგორიეც კი, რომელმაც რუსეთი დამღუპველ ლაშქრობაში ჩაითრია. ყოველივე ამას „ამბის“ ავტორი დიდი სიყვარულითა და ოსტატობით ასახავს. თ. ბუაჩიძე გვაჩვენა ამ მხატვრული სახის (ისევე, როგორც სხვა სახეების) ღრმა ლირიზმი და პუბლიცისტური შემაჯობების ძალა.

არანაკლებ კვალიფიციურადაა დაწერილი თავი დერეჟინის შესახებ. ავტორი იცნობს უამრავ წყაროს მწერლის შესახებ და არჩევს ქართველი მკითხველისათვის მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს. ის საფუძვლად დერეჟინის, ამ „უდროოდ დაბადებულ პუშკინის“, ცხოვრების ბიოგრაფიულ ქარგას კი არ იღებს, არამედ მწერლის ადგილს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შორის ბრძოლაში, განსაკუთრებით „მალდა“ — ლომონოსოვისებურ და სატირიკულ-კანტემირისებურ ორ პოეტურ სტიქიას შორის ბრძოლაში. თ. ბუაჩიძე გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდა დერეჟინის შემოქმედებაში ეს ორი ნაკადი ოდა „ფელიცა“ დაწერამდე და როგორ დაადგა შემდეგ მწერალი კლასიციზმის ტრადიციების დარღვევით ოდისა და სატირის შეერთების გზას. იმ დროის მთავარი მიმდინარეობის — კლასიციზმისა და მასში სხვადასხვა სტიქიის ბრძოლის ფონზე გვაძლავს. თ. ბუაჩიძე მწერლის მნიშვნელოვანი ოდების ანალიზს. „წერილების“ მკითხველი იგრობს, რომ დერეჟინის შემოქმედებაში მართლაც „აღიბეჭდა მე-18 საუკუნის რუსეთი, ეკატერინეს დროის რუსეთის ვრცელი სურათი: ომები, რუსული იარაღის გამარჯვება, მთავრობის ღონისძიება, ეპოქის მწვევე საკითხები, ადამიანები — დედოფალი, სახელმწიფო მოღვაწეები: პოტიომკინი, რუმიანცევი, პანინი, ზუბოვი, სუვოროვი, ნაკლებ ცნობილი თანამედროვეები, დიდებულთა ცხოვრების თავისებურებები; ყოველივე ამან თავისი მომღერალი კპოვა დერეჟინის სახით.

ყოველი თავის ბოლოს „წერილების“ ავტორი აკეთებს მოკლე დასკვნებს. გამოხატვის შედეგებს თავი რადიშვილის შესახებ. არ ღირს გამოვრების შიშით კარგი წესის დარღვევა; საჭირო იყო მითითება, რომ რადიშვილს თავის ნაწარმოებში სამი ძირითადი თემა აქვს მოცემული: ბატონყმური წესების მხილება, თვითმპყრობელობის მხილება და მოწოდება აჯანყებისაკენ. ასეთ შემთხვევაში ეს თავი მითხდება ისეთ გამოკვეთილსა და დამთავრებულ სახეს, როგორც დანარჩენი ნარკვევები.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაწარმის ყველა ნაწილი ერთნაირი სიძლიერითაა დაწერილი და საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება დეკაბრისტების, ლერმონტოვის, პუშკინის შესახებ დაწერილ თავებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაწილი, რომელიც ა. ფურცელაძეს ეხება. ა. ფურცელაძე პისარევის ცნობილი იდეების გავლენას განიცდიდა; იგი ერთერთ წერილში წერდა: „ჩვენ... არა გვეპიკიკიკ-პუშკინ-პოეზიება რა!“ (გვ. 21). ამასთანავე ერთად, თ. ბუაჩიძის ცნობის მიხედვით, ა. ფურცელაძემ ბრწყინვალედ თარგმნა „ნასროლი“ პუშკინის „ბელკინის მოთხრობებიდან“, შეძლო გადმოეცა ნაწარმოების თავისებურებები, ჩასწვდა პუშკინის შემოქმედებითის სპეციფიკას, დაინახა ისეთი ნიუანსები, რომელთა გადმოცემა შეუძლებელია, თუ საქმისადმი გულგრილად ხარ განწყობილი. განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ა. ფურცელაძეს მოსწონდა და უყვარდა დიდი რუსი პოეტი!

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ქართულ-უკრაინული მეგობრობის ბრწყინვალე ტრადიციები (ა. წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრა, ა. წერეთლის უკრაინაში, აჯაკის ნაამბობი შევჩენკოზე), უძველესი საწინდარი დღევანდელი მტაცე და შეგნებული მეგობრობისა.

წიგნის საუკეთესო ნაწილია „პეტერბურგიდან მოსკოვის მოგზაურობის“ ანალიზი (გვ. 124) და ცნობები „ამბავის“ ავტორის შესახებ (გვ. 57-59). შესანიშნავადაა გამოკვეთილი დერეჟინის ხასიათი — კონსერვატორი, თავისი კლასის პირში და მისი ინტერესების დამცველი. მაგრამ დერეჟინის ობიექტურად უყურებდა სინამდვილეს. პატიოსნება და სიმართლის რწმენა მასში არასოდეს ამოწურულა. დერეჟინის ეკუთვნის ეს სიტყვები: „ღმერთების მომღერალი არასოდეს უსინდისო არ იქნება“.

არანაკლებ ნათლადაა დახასიათებული რომანტიკული ნაკადი, რომელიც ყოველთვის არსებობდა რუსულ ლიტერატურაში და რომელიც განსაკუთრებით გამოიხატა როგორც დეკაბრისტების, ისე ლერმონტოვის პოეზიაში. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ საკმარისად ბევრი ითქვა, რათა შეიქმნას სრული წარმოდგენა სარტყენი წიგნზე.

თითქმის ყველა ნარკვევში მოტანილია ქართული მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო ცალკეული მონაცემები. ზოგჯერ ეს თარგმანებს ეხება (მაგალითად, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, ღერკავინის ოდების, რადიშჩევის ნაწარმოებებისა და სხვათა თარგმანები), ზოგჯერ ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და რუსი ან უკრაინელი მწერლების კავშირს (ტარას შევჩენკოსთან და სხვ.). სამწუხაროდ, ავტორი არც ისე გულუხვად გვაწვდის ასეთ ცნობებს. ამავე დროს გამოძეგლობა „ცოდნას“ მიერ ქართულ ენაზე გამოცემული „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი¹, რომელიც ქართველი სტუდენტების სახელმძღვანელოს წარმოადგენს და რომლის ერთ-ერთ ფუნქციად გვევლინება თენგიზ ბუაჩიძე, იმითა შესანიშნავი, რომ მასში მოტანილია ქართულ-რუსული ლიტერატურის ურთიერთობის ამსახველი მასალა უძველესი პერიოდიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე. ასეთი ხასიათის წიგნი ჯერ არ შექმნილა საბჭოთა კავშირში.

იმ დიდი მასალიდან, რომელიც მოეპოვება ავტორს ნიკო ნიკოლაძისა და პუშკინის დამოკიდებულების შესახებ², სარეცენზო წიგნში მხოლოდ ნაწილია შეტანილი.

ნაშრომი გამოირჩევა შესრულების მაღალი კულტურით. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გაკეთება. მაგალითად, კარგი იქნებოდა დასახელება: რა მასალიდანაა ამოღებული-

ლი ცნობა კიევის თავადის იზიასლავ მსტინლავის ძისა (1154 წ.) და ქართველი დედოფლის ქორწინების შესახებ (გვ. 34), ცნობა ქართველებისა და მოკავშირე კაზაკების თურქეთთან ბრძოლაზე (გვ. 35); კარგი იქნებოდა სქოლიოების დათვალიერება ღერკავინზე დაწერილ თავზე (სად იბეჭდებოდა თარგმანები, ვინ და როდის თარგმნიდა და ა. შ.) და სხვ. ეს შენიშვნებზე დაეხმარებოდა მათ, ვინც მოინდომებდა წყაროების გაცნობას.

წიგნი დაწერილია შესანიშნავი ლიტერატურული ქართულით, სათქმელი გადმოცემული მკვეთრად და ლაკონურად. ყოველი აზრი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული, გამოთქმულია მკაფიოდ და რელიეფურად. დამატებებში, თანმიმდევრობა, ლოგიკურობა — ყოველივე ეს გააძლიერებს წარმოდგენას ავტორის სტილზე.

თ. ბუაჩიძე კარგად იძლევა წარმოდგენას ეპოქაზე, აღამიანებზე. ჩვენი აზრით კარგადაა გაანალიზებული რადიშჩევის „მოგზაურობის“ სტილი, მაგრამ დასკვნები მეტად ჭბილადაა გაკეთებული.

ჩვენი მცირე შენიშვნები ეხება უმნიშვნელო, არაპრინციპულ საკითხებს. ჩვენს მიერ შემჩნეული ხარვეზების გამოსწორება კიდევ უფრო სრულყოფილს გახდიდა წიგნს. რუსულ-ქართული, ქართულ-უკრაინული, ქართულ-ბელორუსული და სხვა ლიტერატურული ურთიერთობები ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფება და ყველა ახალი ნაშრომი მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს.

თენგიზ ბუაჩიძის კრებულს — „ლიტერატურული წერილები“ გარკვეული წვლილი შეაქვს ამ საკითხების გაშუქების საქმეში. იგი კარგად ჩაფიქრებული და მეტად საყურადღებო წიგნია.

¹ რუსული ლიტერატურის ისტორია. ტომი I (დასაწყისიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით. ცოდნა, თბილისი, 1960.

² თ. ბუაჩიძე, ა. ს. პუშკინი ნ. ნიკოლაძის შეფასებით. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71, 1958, (რუსულ ენაზე).





ნუნუ ხომაიკი

ლიბიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში

არიან მწერლები, რომელთაც არ დაჩინიათ თვალისმომკრელი ლიტერატურული შემკვიდრება, მაგრამ მაინც უკვდავების გვირგვინი ხედომიათ წილად. ისინი ნიადაგს უშვადებდნენ დიდ შემოქმედებითს ძვრებს, წვრთნიდნენ მკითხველის გემოვნებას, საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდნენ იქით, საიდანაც განმაახლებელი ძალა უნდა გამოჩენილიყო, პირველნი ამჩნევდნენ ამ ახალს და მხარს უჭერდნენ მას. ამ ტიპის მწერლები ქმნიდნენ დროის ლიტერატურულ გემოვნებას, ურომლისოდაც არ არსებობს დიდი შემოქმედებითი აღმავლობა. ისინი იქნებ თვით არ იყვნენ დიდი მწერლები, მაგრამ შეეძლოთ უწვევრულვამო ყრმის პირველსავე სტრიქონებში ტალანტის ამოცნობა, გენიოსთა ნაწერებში მიმაღული ხინჯის შემჩნევა და დიდი შემოქმედნიც მხოლოდ მათ უწეოდნენ ანგარიშს.

ასეთი იყო ლიბიტრი ყიფიანი.

მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა თითქმის მთელ საუკუნეს სწვდება, მაგრამ მშობლიური კულტურის სამსახურში გათეთრებული ოლიმპიელი არასოდეს დაძვებულა ლიტერატურაში. ყველა თაობა ერთნაირი მოწიწებით ექცეოდა ლიბიტრი ყიფიანს, თავის თანამედროვედ და თანამებრძოლად თვლიდა. მისი ტრაგიკული აღსასრულის დროსაც მათ ერთნაირი გულსტიკივლით დაიტირეს იგი. «ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან ლიბიტრი ყიფიანსა. — წერდა ილია ჭავჭავაძე. — დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნეირი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ შიდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, ყველანი ერთად და თვითელი ცალკე გრძნობს, რომ რაღაც დააქადაღა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში»...

ხოლო აქ წერეთელმა დ. ყიფიანის ხსოვნაში უძღვნა უკვდავი ლექსი «განთიადი».

თავბრუდამხვევი სამსახურებრივი კარიერის

მიუხედავად, სამოცი წლის მანძილზე დიმი ყიფიანი ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობის მოწინავე ხაზზე იდგა.

არ არის მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი, რომ ამ „ენერგიაშოკარებულ ადამიანს“ თავისი ნიჭისა და ჭკუის კვალი არ დაეჩნის. მაგრამ თანამედროვეთა წარმოდგენაში ლიბიტრი ყიფიანი უპირველესად მაინც მწერალი იყო. თავის მოწოდებად მას ლიტერატურა მიაჩნდა, ყველაზე ბედნიერად ამ ასპარეზზე გრძნობდა თავს. ყოველ თავისუფალ წუთს იგი ლიტერატურას ახმარდა. მისი კარადები მუდამ სახეე იყო ნაწერებით, რომელთა გაგრძელება თუ დახვეწა მის სასუქვარ ოცნებას წარმოადგენდა.

ლიბიტრი ყიფიანმა გარკვეული კვალი დააჩნია ჩვენს მწერლობას და მას უდავოდ აქვს თავისი საკუთარი სამყარო, რომელზედაც წარმოდგენას გვაძლევს როგორც დაბეჭდილი, ისე მის არქივებში დატული გამოუქვეყნებელი ხელნაწერები. დიმი ყიფიანის ნაწერები, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობენ მაღალი ლიტერატურული გემოვნებითა და დამუშავების სრულყოფით. ამ თვალსაზრისით ისინი უთუოდ ნორმას წარმოადგენენ იმ ეპოქისათვის (40-50-იანი წლები).

ქართულ მწერალთა შორის დიმი ყიფიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა როგორც მშობლიურ, ისე რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. მისი ახალგაზრდობის სულიერ ინტერესებს გადმოგვცემს ვახტანგ ორბელიანის ლექსი «ქველს მეგობარს»:

«მოდი, აქ მიძევს, თვალთ წინა, რუსთველის დიდი ქმნილება,
იმის ფურცელის ლექსებით სული და გული დაეიტკობო;



გატე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ. გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული, სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რვეული.

60-იან წლებში, როცა ახალმა თაობამ გაილაშქრა ლიტერატურული უგემოვნობისა და პრიმიტივიზმის წინააღმდეგ, დიმიტრი ყიფიანის ნაწერები სანიშნუშო გამოჩაჩიხდა აღიარებს. ილია ჭავჭავაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი უკანასკნელი დროის საუკეთესო თხზულებათა შორის ერთხმად ასახელებდნენ დიმი. ყიფიანის მოთხრობას „ზევიმა“, რომელიც „ცისკრის“ 1858 წლის სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი.

ეს მოთხრობა არა მარტო დიმი. ყიფიანის შემოქმედების იდეურსა და მხატვრულ ღირსებებზე მეტყველებს, არამედ შუქს ჰფენს იმ მოთხოვნებსაც, რომლებსაც ახალი თაობა უყენებდა ქართულ ლიტერატურას.

„ზევიმა“ გადმოკეთებულია („გამოკრებილი“) ვანლისის თხზულებიდან და მთელი რიგი რეალიზმით ისტატურადაა დაახლოებული ქართულ სინამდვილესთან.

მკითხველს თვალში ხვდება დიმი. ყიფიანის ბრძნული აზრები, სენტენციები და აფორიზმები, რომლებიც გამოხატავენ მწერლის პროგრესულ შეხედულებებს, კონკრეტული სინამდვილისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებას და ცხოვრების გამოცდილებას.

სიუჟეტის განვითარების ყოველ საკვანძო და პრობლემატურ ადგილზე დიმი. ყიფიანი საგულისხმო ჩანართებით ამბავილებს მკითხველის ყურადღებას; ერთგან ის წერს: „სიკოცხლეს რამედა დასთმობს, რაკინდ ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს, ვისაც განწმენდილი სინდისით უცხოვრია, სინანული არ ამძიმებს... დიდი საუნჯეა განწმენდილი სინდისი“.

იმ დროისათვის ფენომენალურად უნდა ჩაითვალოს „ზევიმას“ ენა. ეს არის ერთი პირველი პროზაული თხზულება, დაწერილი მსუბუქი, ძალდაუტანებელი ახალქართულით. წინადადებები ნათელია, მკაფიოდ გამოხატავენ სათქმელს, მწერალი გაურბის პათეტიკას ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სადღესასწაულოებს“.

სწორედ იმ წელს, როცა „ზევიმა“ დაიბეჭდა, ლარენტო არღანიანი იმავე ეტრნალის ფურცლებზე გულისტკივლით აღნიშნავდა ქართული პროზის სავალალო მდგომარეობას, რის უმთავრეს მიზეზადაც ენის დაუმუშავებლობას თვლიდა. ამა რა ეთქმოდა მწერალს იმ დროს, როცა ეტრნალი აჭრებულელი იყო სარდიონ მესხიშვილის გაუთავებელი თარგმანებით, რომ-

ლებსაც არავინ კითხულობდა. ასეთ ვითარებაში, დიმი. ყიფიანის „ზევიმა“ მართლაც რომ მოვლენა იყო და ახალთაობასაც შეუმჩნევლად არ დარჩენია ის.

დიმი. ყიფიანის ორიგინალური მოთხრობა — „თურქმენული ცხენი“ „ცისკარმა“ 1863 წლის იანვარში გამოაქვეყნა. ეს თხზულება, ისევე, როგორც დიმი. ყიფიანის ყველა ნაწარმოები, (მათ შორის, თარგმანებიც) იწყება მიმართით თეიმურაზისადმი, რომელშიც ავტორი ქართველ მკითხველს გულისხმობს საერთოდ.

„თურქმენული ცხენი“ გადმოგვცემს მწერლის სულიერ განწყობილებას, მის უცაყოფილებას საშახურებრივი საქმეებით გადატვირთვის გამო, აგრეთვე დამოკიდებულებას ახალი ეტრნალისადმი („საქართველოს მოამბე“). მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება: „ნასრულა“ და „ნაზიმათი“.

არ ვიცი, საკუთარი თვლით ნანახს აგვიწერს თუ არა ამ მოთხრობაში დიმი. ყიფიანი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მწერლის მიზანი როდი იყო იმ პერიოდისათვის დრომოქმული აღმოსავლური სატრფიალო სიუჟეტის თხრობა, სამარყანდის ეგზოტიკა ან ნახევრად ზღაპრული სიტუაციები, პროლოგსა და ეპილოგში ავტორი გვაგარდობინებს, რომ იგი ეხება ქართულ მკითხველისათვის მტკივნეულ საკითხებს. მართლაც, მოთხრობა დაწერილია მკითხველთან საუბრის ინტიმური მანერით და დამაინტერესებელი სიუჟეტური ქარცა მწერალს საშუალებას აძლევს გზადგავს ვრცელ გამოცხადებულ მკითხველს მთელ რიგ საკურორტო პრობლემებზე. სწორედ ეს პუბლიცისტური წილსუღებია მოთხრობის მთავარი ღერძი, სწორედ იგი აძლევს ამ თხზულებას განსაკუთრებულ ხასიათს და ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს ზღაპრული სიუჟეტი ავტორს მხოლოდ მკითხველის გულისყურის დასაპყრობად შეუთხზავს.

დიმი. ყიფიანი განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, კერძოდ, სამართალს, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველგან თვითნებობა გაიმყვებულა. სახელმწიფო წესდებულება და სამართლის კანონები თითქო ცული არაა, მაგრამ საქმით კანონი უღონოა და ბოროტმოქმედება იქაურის მშარტეობის მოსამსახურებისა იქამდინ არის გავრცელებული, რომ თვითმნებლობა უძვეს საფუძვლად ყოველს მშარტეულსა და მსაჯულსა. ქვეყნის სიკეთესა და მშვიდობისათვის რომ იქ გულით ჰზრტევავედს ვინმე, თვითონვე იტყვის: „ერთი კაცმა მკითხოს, მე რალაზედ ვიციეებ თავსაო“.

ავტორი გმობს თვითნებობას, სახელმწიფო აპარტის ბუროკრატიულ ხასიათს: „აღლიარს რომ... მთავრობისათვის მიემართა, — წერს

ის, — მოურავებისა, დივანბეგებისა, ბეგლარ-ბეგებისა, მსაჯულებისა და მსაჯულთა უხუცესების კარების ცვეთას მოუნდებოდა თვითონაცა და ყოველი იმისი საცხოვრებელიცა, ამიტომ რომ, — აღორძინდით და გამარავდითო, — ამის მაგივრად სხვა სიტყვა არის ჩვეულებით სჯულად დადებული იქაურს მოხელეებში: „სიარგებლეთ და იცხოვრეთ, გვასარგებლეთ და გვაცხოვრეთ“.

რაკი ყველგან უსამართლობა მეფობს, ადამიანს, ხალხს მართლმსაჯულებასა და კანონებზე გული გასტეხია — „შეჩვეულია მის უსინდისობასა და ბოროტმოქმედებას“ და ამიტომ უკანონო, დანაშაულებრივ გზას ირჩევს მიზნის მისაღწევად, ამბობს ავტორი; ამ მსჯელობას დამ. ყიფიანი თვითნებურ ფილოსოფიურ დისკუსიამდე მიჰყავს: „საოცარი ქმნილებაა ადამიანი: მფლობელი არის აურაცხელის ნიჭისა და, თუ მოიწადინა, შეუძლია ძლიერება უძლეველი და სიწმინდე ანგელოზის შესადარებელი შეიშოს; თუ არადა შეუძლია დამდაბლდეს სასულითა და ზორციით, უმდაბლეს ყოვლად საზიზღარი ქვეწარმავლისა“.

ასევე ვრცლად მსჯელობს ავტორი ქალის უფლებებზე. ახასიათებს დედაკაცის მდგომარეობას პირველყოფილ საზოგადოებაში, მამადიანებთან, ქრისტიანებთან, გმობს ქალის უფლებობას და მას მამაკაცის თანასწორად თვლის.

„ზვიამ“ და „თურქმენული ცენი“ ბევრ რასამე გვიხსნის დი. ყიფიანის მეტად რთულ ხასიათში. ახლა უფრო ვასაგები ხდება ჩვენთვის მისი გატაცება ჯუჯებზე გარბილადითა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატებით. ამ უღირესად სიანტირესო ადამიანის არქივის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 50-60-იან წლებში იგი იყო ერთადერთი ქართველი, რომელიც მოსწავლე შვილებისათვის სისტემატურად იწერდა წიგნებს იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, აგრეთვე ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვის გამოცემებს. გასაგები ხდება ის აღტაცებაც, რომლითაც დი. ყიფიანი ილია ჭავჭავაძის თაობასა და „საქართველოს მოამბეს“ შეხვდა.

დი. ყიფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „მე-მზარებს“, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა. ეს თხზულება XIX საუკუნის საქართველოს თავისებური მატანია. ამ შიკრი ნაწარმოებში ავტორი დიდი ოსტატობით აცოცხლებს თავის ეპოქას, ხატავს თანამედროვეთა ათობით დასამახოვრებელ სახეს, ნათესს ჰყენს აწ ფერ-გადასულ მოვლენებს. ნაკვეთში „სკოლა სურსისა“ — ათიოდე გვერდზე დი. ყიფიანი ადგილდგენს სწავლის პერიოდის, სახელმწიფო სამსახურის, საარჩევნო სამსახურისა თუ კერ-

ძო ცხოვრების მკაფიო სურათებს. აქ ჩანს დიდი ლიტერატურული დაკვირვებისა და ეპიზოდების შერჩევის უნარი. ამა თუ იმ მოვლენის დასახასიათებლად დი. ყიფიანი ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს მხოლოდ, არასოდეს არ ერევა თხრობაში, არ ამტკიცებს თავის ვნებებს, ცივი და მიუტყეპობელია. მკითხველს უფრო მეტს ეუბნება ასე სიტყვა-ძუნწად გადმოცემული ფაქტი, რომელიც მხოლოდ მთავარსა და არსებითს შეიცავს. ავტორი საგანგებოდ გაურბის ხელოვნურ გახმატრულებას, რაკი არაჩვეულებრივ დამაჯერებლობას ანიჭებს მის მოგონებებს.

დი. ყიფიანი ლექსებსაც წერდა. „ღროების“ 1883 წლის № 231-ში ბაქარ ქართლის ფსევდონიმით დაბეჭდილია მისი ვრცელი ლექსი „ჩველი მეგობრის პასუხი“, რომელშიც იგი ეხმინება ვახტანგ ორბელიანის ლექსს „ძველ მეგობარს“. ეს არის მოხუცის გულმხურვალე სიმღერა, საშობლობა და პოეზიანე თქმული. დი. ყიფიანის არქივზე შემოუნახავს მისი ვრცელი ლექსი „ქვიშებით მთაწმინდა“. ლექსები ჩართულია მის მოთხრობებსა და თარგმნებშიც, რაკი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მრავალმხრივი იყო დი. ყიფიანის ლიტერატურული ინტერესები.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიმიტრი ყიფიანმა მთარგმნელობითს ლიტერატურაში. საკმარისია ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა შექსპირის თარგმნის ქართულ ენაზე. 1841 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ბიძის, გიგოლო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ექვით იხსენიებს დი. ყიფიანის მიერ გადმოთარგმნილ „რომეო და ჯულიეტას“, „ლიტერატურა ჩვენი, ღვთის, დღე და ღღე შოთლობს ახალ მოყვარეთა, — წერს იგი. — მრავალნი ყმაწვილინი კაცნი, მოცილნი სამსახურადგან, მკურდობაში და მარტობაში შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა, ყმაწვილ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინათ გონებობა“ — და შემდეგ დასძენს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის ტრადელია და მე ვთარგმნი „Юлий Терентский“ ტრადელია ლიბოვეიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“.

გარდა „რომეო და ჯულიეტასი“, დი. ყიფიანმა თარგმნა შექსპირის „ვენეციელი ვეპარი“ (დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“, 1872, № 3, 4) და „ორი ვერონელი აზნაური“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1867 წელს (თარგმნა უფრო ადრე, 1865).



ქურნალოს რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავდა, ეს თარგმანი მეტად ახლოს დგას დედანთანო: „ამ დრამის ქართულად მთარგმნელს ინგლისურთან შესადარებლად ჰქონდა საუკეთესო ფრანკულული თარგმანი ლაროშისა და რუსულად კეტჩერისა; ქართველმა მთარგმნელმა პპოვად, რომ ადგილ-ადგილ ვერ არის სწორად გადმოღებული შექსპირის სიტყვები, ამისათვის იმას მოჰყავს ხელნაწერში ნამდვილი სიტყვები შექსპირისა. მაგრამ, რადგანაც ჩვენს სტამბაში ლათინური და ფრანკულული ასოები არ მოიპოვებოდა, ამისათვის ეს ნამდვილი სიტყვები ბეჭდვაში ვერ ვიხმარეთ“ („ცისკარი“, 1867, № 5).

1871 წელს ასპარეზზე გამოვიდა ივანე მაჩაბელი და ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა შექსპირზე მუშაობა შეწყვიტა.

შექსპირის შემდეგ დიმიტრი ყიფიანის ყურადღება ყველაზე მეტად მოლიერის კომედიებში მიიქცია. მან გადმოთარგმნა „სიყვარული მეურნალობა“ („ივერია“, 1879, № 2), „სიყვარული მხატვრობა“ („ივერია“, 1879, № 3), „ძალად ცოლის შერთვევინება“, „ავთია ვარო, დაუქინია“, და „ჩინებული სასიძოინო“. ამავანე ქართველ მსაყრებელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ძალად ცოლის შერთვევინება“. ეს კომედია ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა პირველად წარმოადგინა 1865 წელს. იმავე წლის „ცისკრის“ მე-4 ნომერში ამ დადგმის შესახებ გამოქვეყნებულია ცნობა: „წარმოდგენილი იქნა უფ. დიმ. ყიფიანისაგან ჩინებულის ენით ნათარგმნი ფრანკულულიდან მოლიერის „ცოლის შერთვევინება“. „მნათობის“ 1870 წ. № 1-ში კი განსაკუთრებული ქებითაა მოხსენებული სგანარეღის როლის შემსრულებელი მსახიობი ნათიშვილი.

1879 წ. დიმ. ყიფიანმა თარგმნა კომედია „ავთია ვარო, დაუქინია“, რომლის ავტოგრაფი ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული (14764-ბ). ეს თარგმანი არ დაბეჭდილა, რადგან ვიდრე დიმ. ყიფიანი მასზე მუშაობას დაამთავრებდა (1879 წლის 14 თებერვალს), ქართულ სცენაზე უკვე წარმოადგინეს ამ კომედიის მაჩაბლისეული თარგმანი სათაურით — „ეკვითი ავადმყოფი“ და „ივერის“ მეორე ნომერში საგანგებო რეცენზიაც გამოქვეყნდა მასზე.

როგორც ჩანს, ამის გამო დ. ყიფიანს იმ პერიოდში აღარ უნებებია თავის თარგმანის გამოქვეყნება, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ განუზრახავს მისი დაბეჭდვა. ლიტერატურულ მუზეუმისეული ავტოგრაფი სწორედ სასტამბოდ გამზადებული ეგზემპლარია, რომელსაც ცენზორის ნებართვაც ახლავს. ცენზორის მიერ აღნიშნული თარიღია: „1884 წლის 10 აპრილი“. მაგრამ, ჩვენთვის ჯერჯერობით

გაურკვეველი მიზეზების გამო, თარგმანის ბეჭდვა ამჟამად შეუძლებელია.

ყიფიანისეული და მაჩაბლისეული თარგმანის ტექსტები ზუსტად მისდევს ერთიმეორეს, მაგრამ მაჩაბელი შედარებით თავისუფლად ექცევა ცალკეულ წინადადებებს, რათა უფრო ნათელი გახადოს ამბავი. ყიფიანი კი ზუსტად თარგმნის, რაც ერთგვარად ზღუდავს მას. თავისი „დედნის სწორად გადმოღების“ თეორიის მიხედვით, იგი ცდილობს სიტყვა-სიტყვით თარგმანი მოგვარდოს. საერთო შთაბეჭდილების მიხედვითაც, მაჩაბლისეული ტექსტი შემოქმედებით თარგმანის ნიმუშია, მაშინ, როცა ყიფიანი დედნის დიდ შემოქმედებას განიცდის. ეს განსხვავება თვით სათაურის თარგმანშიც მკაფიოდაა გამომჟღავნებული. დ. ყიფიანი სათაურად გვთავაზობს: „ავთია ვარო, დაუქინია“, ივ. მაჩაბელი კი სხარტად და ლაკონურად გადმოგვცემს: „ეკვითი ავადმყოფი“.

ივ. მაჩაბლის თარგმანში ყოველი მოქმედება, დიალოგი მეტად თავისუფლად ვითარდება და მას ხელს უწყობს ისიც, რომ ენა აქ გასაოცრად მსუბუქი, ლაღი და კომედიისათვის ასახანია. მაგრამ ყიფიანისეული თარგმანის ბევრი ადგილი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთია, მაგალითად, II მოქმედების მე-8 სურათი, III მოქმედების მე-12, მე-13 და მე-14 სურათები, აგრეთვე მთელი რიგი სიტყვები და გამოთქმები.

საერთოდ, დიმ. ყიფიანის თარგმანი არ არის ცუდი. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თავისი დროისათვის იგი კარგ თარგმანდაც ჩაითვლებოდა, ზოგიერთი რედაქტორული შესწორება რომ განეცადა... რაც მთავარია, მთ კარგად აქვთ შენარჩუნებული მოლიერის კომედიის სცენურობა და ეანრობრივი კოლორიტი. ძალიან ბევრია აქ ისეთი თქმა, რომ თუარ მაჩაბლის კლასიკური თარგმანი, ვერც კი ვიფიქრებდით, რომ შესაძლებელი იყო უკეთ გამოთქმა.

ლიტერატურულ მუზეუმშივეა დაცული „ჩინებული სასიძოინო“ (14765-ბ) ყიფიანისეული თარგმანის ავტოგრაფი, რომელიც სასტამბოდ გადათეთრებულ ცალს წარმოადგენს. იგი 1879 წელსაა გადმოთარგმნილი, ხოლო ცენზორის ნებართვა დათარიღებულია 1884 წლის 11 აპრილით. მაგრამ იმ პერიოდში არც „ჩინებულ სასიძოინო“ დაბეჭდილა. იგი მხოლოდ დიმ. ყიფიანის სიკვდილის შემდეგ, 1894 წელს გამოქვეყნდა ქურნალ „მნათობის“ № 7-ში.

დაბეჭდილი ტექსტი ნაწილობრივ განსხვავდება დიმ. ყიფიანის ავტოგრაფისაგან. ერთობა, დაბეჭდვისას გაუსწორებიათ „მნათობის“ რედაქციას, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერს სრულიად ხელუხლებელია, და,



ამიტომ უნდა ეთქვას, რომ რედაქციამ იმ ავტორების მეთრე ცალი წარადგინეს ან სხვის მიერ გადაწერილი ასლი.

„ჩინებული სასიძინო“ არ წარმოდგენილა ქართულ სტენაზე, ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოგვეპოვება. ეს თარგმანი მიეწევა უფრო და ქართველ მკვლევარებსაც გამორჩენილ მხედველობიდან.

ლიმ. ყიფიანი იყო ევროპული კულტურის მქონე პირველი ქართველი მთარგმნელი. ლიტერატურულ თარგმანს „ნამდვილ შემოქმედებად“ თვლიდა. ამიტომ ცდილობდა ორიგინალში გასცნობოდა ევროპული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში გულმოდგინედ ეუფლებოდა ევროპულ ენებს (ფრანგული ენა თურამბერი წლის ყმაწვილმა ციხეში ყოფნისას შეისწავლა 1832 წელს). 60-იან წლებში დამოუკიდებლად მოჰკიდა ხელი ინგლისურ ენას და ისე კარგად დაეუფლა მას, რომ შექსპირის ფრანგულსა და რუსულ თარგმანებშიც მრავალ ხინჯს პოულობდა. ხოლო სამოცი წლისამ ლათინური ენა დასძლია.

ლიმ. ყიფიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დახასიათებისას კიდევ ერთ გარემოებას უნდა ვაგვიჩინო ანგარიში. მან ერთმა პირველთაგანმა მოჰკიდა ხელი ევროპული ენებიდან პროზაული და დრამატული თხზულებების თარგმანს. მაშინ კი ამ ამოცანის განხორციელების თვალსაზრისით ახალი სალიტერატურო ენა გაუტეხავ ყამირს წარმოადგენდა. გორაკეველი და დაუდგენელი იყო მთელი რიგი სიტყვებისა და ცნებების მნიშვნელობა. ყიფიანი გამუდმებული შემოაბოა უხდებოდა, რათა მათი ქართული შესატყვისები დაეძებნა. მაშინდელ მთარგმნელთაგან განსხვავებით, ლიმ. ყიფიანი 40-იანი წლებიდანვე ახალი სალიტერატურო ენით ასრულებდა თარგმანებს, ფართოდ იყენებდა ხალხურ გამოთქმებს; მან გასაქანი მისცა მსუბუქ სასაუბრო ენას, რითაც საერთოდ ხელი შეუწყო ორიგინალური ქართულ პროზისა და დრამატურის განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ დიდ დაბრკოლებას ჰქმნიდა მკითხველი საზოგადოების ჩამორჩენილობა. ასე, მაგალითად, ლიმ. ყიფიანის თარგმანები ავტორებზეა აუტრაცხელი შენიშვნებით, რომლებშიც თავის მკითხველს (რომელსაც იგი მიმართავს სახელით, თეიმურაზ!) ვრცლად განუმარტავს ოდნავ განათლებული ადამიანისათვისაც ადვილგასაგებ სიტყვათა მნიშვნელობას: პარამენტი, სენატი, სასტუმრო, ჯენტლმენი და სხვ.

ლიმ. ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროზე წარმოდგენა მეტად ნაკლები იქნება, თუ

მოკლედ მიიხსენიოთ იმ გავითვალისწინებთ იმ დეაწლს, რომელიც მას ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მიუძღვის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მისი მოსაზრებანი შეეხება სწორედ მწერლის ენას.

ლიმ. ყიფიანი უკვე 30-იანი წლებიდან აღიარებული იყო ქართული ენის შესანიშნავ მკოდნედ. მის აზრს ანგარიშს უწევდა ყველა — კლასიკოსიდან არქაისტამდე. 1860 წელს პოეტმა კოლიბილაძემ „ციცქრის“ რედაქციას გაუგზავნა იამბიკო დავით აღმაშენებელზე და მისწერა: „გზონოვ ბაქარ ქართულს გაუგზავნით იამბიკო ესე, ვიდრე დაბეჭდვდეთ, რომ მან განიხილოს და თუ ზოგიერთი ადგილი ამისი მრუთება, სარკმელი გაუკეთოს ისრე, რომ მშუშ შეუქმნატიოს. მეც მადლობელს მყოფს და ვითარცა ქართული, ქართულსაც დაავალბებს იგი“.

ერთ წერილში ალექსანდრე ჯამბაყურ-ორბელიანი გულისტკივლით აღნიშნავს, რომ ქართული ენა „აჭრელა“ და მიმართავს დიმიტრი ყიფიანს, როგორც „ქართული ენის ზედმიწევნით მკოდნეს“, შეისწავლოს მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები: „გსთხოვით ბაქარ ქართულს, თუ ოდესმე მოცლა ჰქონდეს ბევრის საქმისგან, შემოკლებული სწორი ქართული გრამატიკა შეგიდგინოს საძღვნო ძმებისა და ამით დაგვავალოს ყველანი. თუმცა შრომა დიდი ექნება ამაზე, მაგრამ ჩვენი მადლობა უფრო უკეთესი“ (ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი: „ქართული უბნობა ანუ წყაბა“, „ციცქარი“, 1860, № 6). დიმიტრი ყიფიანმა მართლაც მოჰკიდა ხელი ქართული გრამატიკის შედგენას და, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატური მუშაობის საშუალება არ ჰქონდა, მიიხსენიოთ იგი.

80-იან წლებში ლიმ. ყიფიანი „ეფესისტკაონის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში მიიწვიეს. იგი იყო სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრი და პოემის ტექსტში მთელი რიგი საყურადღებო შესწორებანი შეიტანა.

სანამ შეეცხებოდეთ ლიმ. ყიფიანის წერილებს „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შესახებ, მოკლედ განვიხილოთ მისი მოსაზრებანი საერთოდ ენის საკითხებზე.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს მისი მოთხრობა „უცნაური ნადირობა“, რომელიც „ბაქარ ქართულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა „ივერიის“ 1880 წლის პირველი ნომერში. ეს ორიგინალური თხზულება საყურადღებოა როგორც ლიტერატურულად, ისე ენობრივად. მსგავსად „კალმასობისა“, მასში ბუმბარს

1 კოლიბილაძე — გრიგოლ დადიანის ფსევდონიმი (1814 — 1901).



წავლით, კითხვა-მიგების ფორმით განმარტებულია ქართული ენის მნიშვნელობა, მისი ბუნება და კანონები. დიმი. ყიფიანი ცალკეული დიალექტებიდან შემოტანილი სიტყვებით სალიტერატურო ენის გამდიდრების წინააღმდეგ არ არის, მაგრამ დიდი სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს ამ მხრივ. იგი წერს: „ყოველი მწიგნობრობის უმთავრესი მისაღწევი საგანი არის ორი! დაახლოვება, რამდენათაც შეიძლება, სასაუბრო ენასთან, მაგრამ დაახლოვება იმ განზრახვით, რომ თვით ეს ენა გასუფთავდეს, დამშვენდეს და დაწმენდილი იქნეს ყოველი უგვანი და უშვერი ლექსისაგან და ადვილი გასაგონი იყოს ყველასთვის. 2. მართლწერა ისეთი იყოს, რომ სიტყვის ძირეული დასაწყისის გამოცნობა არას დროს არ გაჰიშვას: ეს დიდად საჭიროა“. ამრიგად, დიმი. ყიფიანის აზრით, ენა ხალხის კუთვნილებაა და იგი ერთნაირად გასაგები უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენისათვის, დიმიტრი ყიფიანი მეცნიერულად განიხილავს ენის განვითარების საკითხებს. „ახლანდელი მეცნიერება ამბობს, მსოფლიოში უძრავი არა არის რაღაც, — წერს იგი, — ზოგს ეტყობა, ზოგს არა, მართალია, მაგრამ ყოველივე კი მოძრაობს; ან მიდის, ან მოდის. ენაც ამგვარს მოძრაობაშია“...

ავტორის აზრი უაღრესად თანადროულია. სამწერლო ენა უნდა იქმნებოდეს, იხვეწებოდეს და ვითარდებოდეს მხოლოდ საზოგადოების განვითარებასთან მჭიდრო კავშირში. ასეთი ენა იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი, გასაგები და გამოსადეგი. როგორც ყველაფერი ბუნებაში, ენაც ვითარდება, მოძველებული სიტყვები კედება და მათ ადვილზე ჩნდება ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში შემოდინდ და თანდათან მკვიდრდებიან.

დიმი. ყიფიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ენის შესწავლას. „მოგვსენებათ, — წერდა ის, — ვისაც თავისი ბუნებითი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის. ეს მოვლინება ბუნებითი არის ყოველგან და ყოველთვის უცვალელებელი: და არის ის ზნეობითი ჩვენი აზარმაცი, რომლითაც უძრავი იშვრის, ურყველი ირყვია და უშეი შენდება“.

დიმი. ყიფიანის თქმით, მშობლიური ენა „მცნებათა კიდობანია“, იგი წმიდითაწმიდაა და სკოლებში დიდი სიფრთხილით უნდა ისწავლებოდეს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ დიმიტრი ყიფიანმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიჰქცია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, ბავშვთათვის პირველსაკითხავ წიგნებს. ეს მეტად პასუხსაგები საქმეაო, ამბობდა დიმი. ყიფიანი, რადგანაც „პირველ საკითხავს წიგნში,

ახალ მოსწავლეთათვის გამოცემულში, არა შეეცდომა არა უნდა იყოს რა, რომ ნაკლოვანება კანონიერებათ არ დამკვიდრდეს და შეცთომა შემეცნებათ არ მიიღონ“.

დიმიტრი ყიფიანს წერილი ი. გოგებაშვილის „ღეღაენის“ შესახებ გამოქვეყნებული არაა. იგი დაეუღია ლიტერატურულ მუხურში ორ ცალად: შავად და გადათეთრებული სახით. როგორც შავი, ისე გადათეთრებული ხელნაწერი ბოლონაკლულია და უსათურო.

წერილი „ბუნების კარის“ შესახებ მუსხუშვილი სრული სახით არის დატული. ეს სწორედ ის ავტორგრაფია, რომელიც ხელში ჩაეპარნია იოსებ მერკვილიძეს (რასაც ადასტურებს 1-ლი და მე-2 გვ. აშუბებზე მინაწერი, ზოგან ფანქრით, ზოგან წითელი მელნით: „იოსებ მერკვილიძე“) და გამოუქვეყნებია ვაზ. ჩვენი დროებაში“ 1913 წელს (№ 26).

აღნიშნული წერილების მასში გამოუქვეყნებლობის შიზნეში, ჩვენი აზრით, ისაა, რომ დიმი. ყიფიანს არ სურდა პოლემიკა გაემართა გოგებაშვილთან და სადავო საკითხები საჯაროდ გამოეტანა პრესაში. მსოფლიო მწერალს უნდოდა მეგობრული რჩევა მიეცა იაკობისათვის, მასთან ერთად გაესწორებინა ყველა შემწინელი ნაკლი. ამდენად, დიმი. ყიფიანს თვალსაჩინო ამაგი მიუძღვის ქართული ენის სახელმძღვანელოთა დახვეწა-დამუშავებაში.

პედაგოგიური თვალსაზრისით, დიმი. ყიფიანი მაღალ შეფასებას აძლევს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. წერილში „ღეღაენის“ შესახებ, იგი აღნიშნავს: „ღეღაენა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი“. მაგრამ ალაგ-ალაგ ყიფიანი ავტორის ქართულ ენას უწუნებს.

„ღეღაენისა“ და „ბუნების კარის“ რეცენზირებას, როგორც ჩანს, დიმი. ყიფიანი შედგომია ამ წიგნების პირველი გამოცემისთანავე. მაგრამ თავის შენიშვნებს იგი ჯერ მხოლოდ პირადი წერილების სახით უზგავნიდა სახელმძღვანელოთა შემდგენელს.

„სხვადასხვა ათასნაირი შესამცნებელი ამბის ერთ წიგნად მოქცევა ძალიან მომეწონა, — წერს დიმიტრი ყიფიანი „ბუნების კარის“ რეცენზიის შესავალში, — და მართლაც, ჩემს ფიქრით, კარგად იყო შეწყობილი; მაგრამ რა ენით? დიმიტრი დიდებულს „Подъный слезавал за стирпчим — ქვეშე ვისი აკვალადა მზვარულხაო! — ეს მთარგმნელების საკითხნებელი სიტყვები მომაგონდა და ესთქვი ჩემს გუნებაში: — ბან იაკობს დიდი შრომა გაუწევია და ახალ-მოსწავლეთათვის შეუძღვა-

1 ხაზი ავტორისაა.



ნია ეს წიგნი. მოდი, შეინარსულად, მეგობრულად მოვეხმარებო, რომ ეს მთას-იქითური ენა ვადმოვაქართულებინოთ როგორმე, თორემ ენა ხომ ენათ წაიბილწა და მოსწავლეთაც თავი საწყველად გაუხდებოთ მეოჭი“.

მასალებიდან ირკვევა, რომ იაკობ გოგებაშვილი დიდი გულისყურით ისმენდა და ითვალისწინებდა დიმი. ყიფიანის შენიშვნებს. მაგალითად, „ბუნების კარის“ მე-4 გამოცემის წინასიტყვაობაში იგი მადლობით იხსენიებს დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია ამ სახელმძღვანელოს სრულსაყოფად და წერს, ამ შენიშვნებით „ჩვენი ჯეროვანად ვი-სარგებლეთ და ენა ყველგან გავასწორეთ, სადაც კი მის უკანონობაზე დავრწმუნდით“.

სამწუხაროდ, შეცდომები მე-4 გამოცემაშიაც ჩარჩენილია და დიმი. ყიფიანს არც ამჯერად გამორჩენია ეს. 1883 წლის ზღუდულს, ქვიშებითი ყოფნისას, მას კვლავ დაუწერია რეცენზია, რომელიც ახლა უკვე ვაზ. „დროების“ მაშინდელი რედაქტორის ივანე მაჩაბლისთვის გაუგზავნია: „გთხოვთ ეს რეცენზია გადასცეთ ბატონს იაკობს, — სწერს იგი „დროების“ რედაქტორს, — რომ თუ მეტუთელ დაბეჭდულს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ენაზე, მაშინ კი ნურას უკაცრავად, რომ აღარც ჩხუბს მივჭხედო, აღარც რა ვის ხათრი შევეუწახო და მოურიდებლად და ეთქვა ჩემი სათქმელი“.

დიმიტრი ყიფიანის შენიშვნები შემდეგი სახისაა:

1. სტილისტური: ი. გოგებაშვილი წერს: „სი-რაქლავა მალე მიჩვევა მოსამსახურებასაცა“. ყიფიანი შენიშნავს: — „მოსამსახურობა და სამსახური იქნება ბ. იაკობს ერთი ეგონოს, მაგრამ არ არის ერთი“...

შემდეგ დიმი. ყიფიანი მიუთითებს, რომ არ არის სწორი გამოთქმა „უბედურებას მორჩა“, უნდა იყოს „უბედურებას გადაჩრა“, გადაურჩა“.

იაკობ გოგებაშვილის სიტყვეს „ჯალაბობა გაუსაღებოდეს“, დიმი. ყიფიანი ასე ასწორებს: „თუ კარვად ეყოლებოდა? **გასაღება** ქართულად გაცემა არის, დახარჯვა, მოხმარება“...

დიმი. ყიფიანი შენიშნავს, რომ გამოთქმა „სილნახი ათი ათასს მცხოვრებს იყრობს“, არაა სწორი. იგი გაცივრებით ამბობს: „როგორ? ხელში უქირავს ყველანი? მიპყრია-მიპყრავს, მიპყრია...“

გამოთქმა „ქვეყნის მდებარობა...“ სწორედ არ მიაჩნია დიმი. ყიფიანს. „მდებარობა ავად-მყოფობიდან თითქმის, მძიმე ავადმყოფობა, მდებარეობა. თქვენი რომ თქმა გინდოდათ, ის არის მდებარეობა, მდებარეობა“.

„ირიცხებოდა და ირიცხებოდა დიად სხვადა-

სხვა, — შენიშნავს რეცენზენტი, — მეოთხე ნაწილად ირიცხებოდა და ეკუთვნის ირიცხებოდა. ერთის დასაბამი არის რიცხვა (თვლა), მეორესი — რაცხვა“.

იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს: „თუ ამაზე უფრო დიდი ნაყოფი ბმოდა, თავს გამიქუცუტ-დაო“, ყიფიანი ასე ასწორებს: „აქ „თუ“ არ ვა-რგა, ქართულად ასე ითქმის: „ამაზე უფრო დიდი ნაყოფი რომ ბმოდა, თავს გამიქუცუტ-დაო“ და ა. შ.

2. დიმი. ყიფიანი მიუთითებს აგრეთვე ზმნე-ბის არასწორი ფორმის ხმარების მთელ რიგ მა-გალითებზე. ი. გოგებაშვილი ხმარობს ზმნას „დაარსა“, ყიფიანი ასწორებს: „ანდრიამ დაარ-საო, ქართულად არ არის. ქართული ზმნა არის დაარსება და ასე მომიხვრის: დააარსე, დააარ-სე, დააარსა“...

„ანამყენება“ ქართული არ არის. უნდა ან „ამყნობდა“ ან „ანამყენებდა“. გამყნობ, დაე-ნამყენე, დაენამყენე“.

დიმი. ყიფიანი წერს: „იყოს“ და არა „იყვეს“. — იყვეს სხვა ზმნაა: იყვეს, იყვეს და ვერ გაი-ყვეს“... და ა. შ.

3. აღსანიშნავია რეცენზენტის ტერმინოლო-გიური ხასიათის შენიშვნებიც. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში დიმი. ყიფიანი გამო-ვლინებული აქვს სიტყვის არა სწორი გაგების მრავალი შემთხვევა.

მაგალითად, „რასაც რუსულად **домашняя животная** ჰქვია,—მიუთითებს ის,—ქართულად ეწოდება „საქონელი“, „შინაური პირუტყვი“.

ერთგან დიმი. ყიფიანი განმარტავს: „ქართულს ენაზედ ორი სხვადასხვა ლექსი არის: წყვა და რწყვა; —საწყვი, სარწყავი; სწყვენ, წყვენ; აიწყვის, მორწყვის — პური, ქერი, ფქვილი, ღვინო — აიწყვის; ზოსტანი, ვენახი მორწყ-ყვის. ერთის მაგიერ მეორე არ იხმარება“...

4. რუსული კალკი ქართულში

როგორც ჩანს, ანდაზა — „ქურდზედ ქუდი იწვის“ ი. გოგებაშვილს სიტყვა-სიტყვით უთარ-გმნია. დიმი. ყიფიანი იწუნებს ამ თარგმანს და ამბობს: ეს სიტყვები თარგმნილი უნდა იქნეს ქართული ენის თავისებურებათა შესაბამისად.

„ქურდზედ ქუდი იწვისო“. „На воре ша-пка горит“. ეს რუსულია. ქართულად ვამბობთ: „ქურდს ქუდი ეწვისო“. „У вора шапка горит“.

დიმი. ყიფიანი აკრიტიკებს აგრეთვე ნაცვალ-სახელი „ყველას“ ზმნასთან რიცხვში შეთანხმე-ბის გოგებაშვილისეულ გაგებას. „ყველას ეშო-ნოდაო“, რუსულის გავლენაო, — შენიშნავს ის, — „ქართულად უნდა — ყველას ეშინოდა. სიტყვა „ყველა“ მრავლობითი არ არის“.

აღნიშნული შეცდომების გასწორებას დიმი. ყიფიანი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ეგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ამ სახით სახელმძღვანელოების გავრცელება არ შეიძლება, რადგან ზიანს მოუტანს მოსწავლე ახალგაზრდობას.


1913 წელს, როცა ვახ. ჩვენნი დროების რედაქტორმა სოფრომ მგალობლიშვილმა წერილი „ბუნების კარის“ შესახებ დაბეჭდა, ასეთი შესავალი წარუმძღვარა მას: „ჩვენ თუ ვბეჭდავთ დღეს დიმიტრი ყიფიანის წერილს, ვბეჭდავთ, როგორც ისტორიულ მასალას, მაჩვენებელს იმისა, თუ როგორ ღრმად იცოდა დიმიტრიმ ქართული ენის ბუნება, როგორ უყვარდა თავისი სამშობლო ენა, რანაირად გული სტიოდა, როცა ვინმე უცოდინარობით ამახინჯებდა მას...“

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ი. გოგებაშვილი დიმიტრი ყიფიანს ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნედ თვლიდა და მის შენიშვნებს სერიოზულ ანგარიშს უწევდა. წერილში „ბურჯი ეროვნებისა“ ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა შორის ი. გოგებაშვილი პირველ რიგში ასახელებს დიმიტრი ყიფიანს. „თუ ჩვენში იპოვებოდნენ და იპოვებთან უცხო ენების მშვენიერად მცოდნენი, ეს იყვნენ და არიან ის პირნი, რომელთაც პატარაობიდანვე ქართული ენა ზედმიწევნით შეუესწავლიათ და ამ ცოდნაზედ აუშენებიათ რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის და ნემენ-

ცურის ენების შესწავლა. მაგალითად, საკმარისია დავასახელოთ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი და სხვანი (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 386).

დიმიტრი ყიფიანი შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის უფლებების დასაცავად. 80-იან წლებში იგი გვერდში ედგა ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს, გაბედულად ილაშქრებდა მშობლიური ენის მტრების წინააღმდეგ. მის ერთ მგზნებარე წერილში ვკითხულობთ: „მერე რა ენას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო? იმ ენას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთა სწორი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც მწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულმდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე“.

დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც მკაფიოდ ჩანს ის სიმტკიცე ხასიათისა, პრინციპულობა, უანგარობა და გულწრფელობა, რომლისთვისაც იგი მშობელმა ერმა თავის სათაყვანო შვილთა შორის შერაცხა.



სანიკ ბაღვაჩიანი

«რალაც უნდა ვილონოთ»

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საწვრთნელ მომზადებას გადიოდა დიდძალ სპორტულ ბაზაზე. ა. ტალავერანის წერილს ვურთავთ საწვრთნელი ვარჯიშის დროს ოთარ თურქიას მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს.

ჩვენმა გუნდმა, რომელმაც ბრწყინვალედ მოამზაოთ თსის ფინალში, არასახარბიელო აღვლილი დაიკავა 1960 წლის პირველობის სატურნირი ცხრილში. ამის მიზეზი ბევრი იყო. ცუდად იყო შედგენილი მოამზადების კალენდარი (ამჟამად იგი უკვე შეცვლილია), ძირითადად მოთამაშეთა ერთი ჯგუფი დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებში, მაგრამ ბევრ რამეში თვითონ გუნდიც იყო დამნაშავე.

მოალოვდა ახალი სპორტული სეზონი. მსჯელობენ და კამათობენ ფეხბურთზე. ყველას აინტერესებს: როგორი იქნება გუნდის ძირითადი შემადგენლობა, ითამაშებს თუ არა ლოდობერიძე, რა არის ახალი გუნდში? ათასი ასეთი კითხვა უტრიალებს თავში გულშემოტივარს.

მოთამაშეების მხრივ გუნდს თუ ძალიან კარგად არა, ყოველშემთხვევისათვის, ცუდად არა აქვს საქმე. გუნდში არიან მაღალი და ზოგიერთი ექსტრაკლასის ფეხბურთელები. გუნდი თამაშობს კარგად და მიჩნეულია საბჭოთა კავშირში ერთერთ უძლიერეს კოლექტივად. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩვენ არაერთხელ გვქონდა თსის მოპოების შანსი და ასევე მრავალჯერ ვიმყოფებოდით ჩემ-

პიონობის ზღვარზე. მაგრამ ვერცერთ ამ სანუკვარ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწიეთ, ყოველთვის რალაც გვიშლიდა ხელს. იქ-



კვლედი ლ. იაშინის ერთ-ერთი „მწვრთნელთაგანია“...



სტ. კახალინი ცდილობს მესხის „საიდუმლოებანი“ გაუძლიოს ო. თაყაიას ამის მაგჭერადი მ. მესხი ალბათ კონტროლისძიებაზე ფიქრობს...

ნებ გადამწყვეტ მომენტში ვერ გადავლახეთ რაღაც სიძნელები, რის გამოც შესანიშნავმა ანსამბლმა ვერ გაარღვია „მოჯადოებული წრე“. ხან დაცვამ გვიღალატა, ხან თავდასხმაში ვერ იყო ყველაფერი რიგზე, ჩვენ მატჩებს ვაგებდით არა მარტო პირველი ადგილის პრეტენდენტებთან, არამედ იმ გუნდებთანაც, რომლებიც „ბ“ კლასში გადასვლის საფრთხის წინაშე იდგნენ. ასეც ხდება. ხოლო, როდესაც განკითხვის ეამი დგება და შედეგებს აჯამებენ, ირკვევა, რომ „შემთხვევით“ დაკარგულმა ქულებმა თავის საქმე უკვე შეასრულა და ოქროს მედალზე ფიქრი კიდევ ერთი წლით გადაიდო.

ახლაც, როცა წლებანდელ სეზონზე ვფიქრობთ, თავში ათასი საშინელი აზრი გვიტრიალებს, მაგრამ ეს შიშით სულაც არ არის გამოწვეული. ჩვენ გვიყვარს ჩვენი გუნდი მისი მალალი ოსტატობის გამო და გვეკერა კიდევაც მისი, მაგრამ მაინც შემფთებულები ვართ. ვაი თუ ისევ წაიბორჩიოს და ძველი ისტორია განმეორდეს. განა არ შეიძლება თავის დაზღვევა გაუმართლებელი დამარცხებებისაგან? განა ყოველი ზომალდი უსათუოდ მერჩეზე უნდა დაჯდეს? რა თქმა უნდა, ძნელია ვთამაშების მთელი გზის დაუმარცხებლად გავლა, მაგრამ ფაქტობრივ რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს.

სულ უფრო იზრდება იმ აღამიანთა რიცხვი, რომელთა აზრითაც „რაღაც უნდა ვიღონოთ“. ერთი ქართული ანდაზაა: „ურემი რომ გა-

დაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება“. ჩვენ ურემი არაერთხელ გადაგვბრუნებია, გზაც ყოველთვის გამოჩენილა, მაგრამ გზა მუდამ სწორი როდი იყო. დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა გავყვეთ ერთადერთ — ოქროს მედლისაკენ მიმავალ გზას.

ჩვენი წარუმატებლობის კუმშირითი მიზეზები ყოველთვის მხოლოდ ამა თუ იმ ფეხბურთელის ცუდ თამაშში არ იმალებოდა, ეს მიზეზები უფრო ღრმა იყო.

ამჟამად გუნდი ეშვადება, საძირკველი ეყრება მის მიმავალ წარმატებებს. ეს განსაკუთრებით პასუხსაგები დროა, რომელზედაც დიდადა დამოკიდებული გუნდის მიმავალი. საკითხი „ვინ ვის“ რეალურად გუნდის მომზადების პერიოდში წყდება. მწვანე მინდორზე მხოლოდ ფაქტიური დადასტურება ხდება. ამიტომ საჭიროა კარგად მოვემზადოთ. რა თქმა უნდა, ყოველ თამაშში, ისევე როგორც ყოველ ბრძოლაში, გამოირჩეული არაა წაუწყვედთ მოულოდნელ სიძნელებებს, რომელთა გადალახვაც არც თუ ისე ადვილი იქნება. მაგრამ ეს უნდა იყოს იშვიათი გამოჩაჩისი და განსაკუთრებული შემთხვევის ხასიათს უნდა ატარებდეს. ასე ვფიქრობთ და ასე გვინდა გულშემატკივრებს.

მასასადამე, საჭიროა კარგად მოვემზადოთ. ეს ძველი და ყველასათვის გასაგები „სიბრძნეა“. მთავარია, ვიცოდეთ თუ როგორ მოვემზადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი „შემთხვევითობა“ და ბრაზილიელთა მსგავსად მივი-

დღე დიდ გამარჯვებამდე. დიახ, სწორედ ასე უნდა დაესვათ საკითხი. ასე რომ თქვენი ღიმილი, მკითხველო, მგონი, უაღვილოა.

ფიცი გულშემატკივრები გვიჩვენებენ ავამღლოთ ტექნიკა. ზოგიერთები ტაქტიკაზე ან ფეხბურთის სხვა რომელიმე კომპონენტზე ამხევილებზე ყურადღებას. მე, რა თქმა უნდა, სულაც არ ვაპირებ კამათს იმაზე, თუ რა არის მთავარი ფეხბურთში: ტექნიკა, ტაქტიკა, თუ ფიზიკური ან მორალური მომზადება. ყველაფერი, მთავარია. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, ყველა ეს კომპონენტი ერთმანეთზე ისე ძლიერ არის დამოკიდებული, რომ რომელიმე მთავანის დონის დაქვეითება ან ამაღლება შესაბამისად გველენას ახდენს დანარჩენებზე. მაგალითად, ტექნიკის ამაღლება მივიყვანს ტაქტიკის ვაუმჯობესებამდე. ფეხბურთელიც შესაბამისად ნაკლებ ენერჯიას ხარჯავს, რადგან უკეთესად იქნება დაუფლებული ბურთის ტარების რთულ ტექნიკას. თუ გუნდი ჩამორჩენილია ტაქტიკურად, არაორგანიზებულ თამაში აუცილებლად მოითხოვს გაუმართლებლად დიდი ენერჯიის დახარჯვას, ეს უკანასკნელი კი გუნდს შეიძლება ყოველთვის არ ეყოს. როცა ფეხბურთელები ფიზიკურად ცუდად არიან მომზადებულნი, ჩქარა იქანცებიან და კარგად სისწრაფესა და მოძრაობის სიზუსტეს. თვით უმაღლესი კლასის ფეხბურთელებიც კი დადლილობისას უხეშ ტექნიკურ შეცდომებს უშვებენ. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკურ-მორალურ მომზადებაზედაც. გამარჯვების რწმენადკარგული ფეხბურთელი უხეშობს, უშვებს ტექნიკურ შეცდომებს, ნერვიულობს, კარგავს წონასწორობის გრძობას, ვეღარ იმორჩილებს ბურთის და მამასადაც ნაკლები სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის.

ჩვენ ხშირად გამოვთქვამთ უკმაყოფილებას იმის გარე, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ვაიარა მძიმე გზა და უკან ჩამოიტოვა რამდენიმე მცველი, ძალზე ცუდად ურტყამს კარში. როლის ისწავლიან ჩვენი ფეხბურთელები კარში დარტყმას? როდემდის უნდა ვითმინოთ ეს ნერტყმის მომშლელო ამბავი? ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, ასე ძნელია კარში დარტყმის ხელისხევის სრულყოფა? ეს საყვედურები ნამდვილად გულწრფელია. და ალბათ ცოტა ვინმე თუ ფიქრობს, რომ ეს არასიზუსტე კარში დარტყმისა ყოველთვის ტექნიკური ჩამორჩენილობის ბრალი როდია. დალილ-დაქანცული მოთამაშე კარგავს მოძრაობის სიზუსტეს და საკმარისია იგი კარგად მოეზადოს ფიზიკურად, რომ მის მიერ დარტყმული ბურთების მეტი წილი ზადეხი გაეჭვიოს.

ჩვენმა „ღინამომ“ ერთგვარ სრულყოფას მიადწია. თუ წინათ დიდ ყურადღებას ვაქცევდით მოთამაშეთა ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების საერთო დონეს და

ნაკლებ ვულრმადებოლით დეტალბს, ახლა საშუალება გვაქვს საქმეს სხვა მხრივ მოუყაროთ. გუნდის საერთო ოსტატობის ამაღლებასთან ერთად შეგვიძლია განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ გუნდის მომზადების ცალკეულ მხარეს და წინ წამოვიწყოთ ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელსაც შეუძლია წარმატებისათვის ბრძოლისას სასწორი ჩვენს მხარეს ვადმხაროს. რომ გავიმარჯვოთ, უნდა ვჯობდეთ კიდევაც ჩვენს მოწინააღმდეგეს. გავუსწროთ ჩვენს მეტოქეებს ერთბაშად ტექნიკასა, ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაში იმდენად, რომ ეს საკმარისი იყოს გამარჯვებისათვის — ძალზე ძნელია, რადგან არც ისინი სხედან გულზელაკრფილი და გულსოდენად ცდილობენ ყველა ამ კომპონენტის სრულყოფას. საამისოდ არც დრო გვეყოფა და ძალბსაც ზედმეტად დავსაქვსავდით. ყოველი შემთხვევისათვის ამ საკითხის გადაჭრა დღემდე ვერ მოვახერხებთ.

ისმება კითხვა: რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ მაშინ?

ჩემის აზრით, საჭიროა არ ჩამოვრჩეთ სხვებს საერთო განვითარებაში, ამასთან მოვლოდნელად გამოვიყენოთ ბრძოლის ხან ერთი, ხან მეორე საშუალება ისე ძლიერად, რომ იგი ჩვენს ხელში უდავო გამარჯვების ირალად იქცეს.

ამ საშუალებებიდან, ვფიქრობ, დინამოლათთვის ყველაზე ორგანული, რეალური და შესაფერისია დიდ ფიზიკურ. გამძლეობასთან შერწყმული დიდი სისწრაფე. მხოლოდ ამას შეუძლია გამარჯვების გზაზე ჩვენი გაყვანა.

აი, ჩვენ თვალს ვადევნებთ საფეხბურთო მატჩს. ერთი გუნდი თამაშობს სწრაფად, მისი მოთამაშეები დიდ შრომისუნარიანობას ამჟღავნებენ, ისინი ელვისებურად ჩნდებიან მოდუნის სხვადასხვა ადგილას და ისე ჩვენება კაცს, თითქოს რიცხობრივად სჭარბობენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. მათს მეტოქეებს უფრო და უფრო უჭირთ. ილღებიან, ვეღარ მიჰყვებიან თამაშს. მაღალი ტემპი ჰქანცავს, შლის მათ რიგებს, უკარგავს ინიციატივის გამოვლენის ყოველგვარ უნარს. როგორც იტყვიან, ვერა და ვერ აეწყო მათი თამაში. ფეხბურთელები ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ძლივსძლივობით იგერიებენ იერიშს. სტადიონზე ისმის შექაბილები: „რა მოუედიათ! სად გაჭრა მათი ტექნიკა! ესაა ტაქტიკა? ყოველად მოუზადებელი არიან ფიზიკურად!“

პირველი გუნდის გულშემატკივრები კმაყოფილი არიან. მათმა გუნდმა ააწყო თამაში, მოწინააღმდეგის კართან ზედღივრ იქმნება სახიფათო მომენტები, იგრძნობა აშკარა უპირატესობა, მწიფდება გოლი. მოთამაშენი აჩვენებენ დახვეწილ ტექნიკას, შესანიშნავ ტაქტიკას, მოკლად — ნამდვილ ფეხბურთს.



ს. მეტრეველი ცდილობს წამოაყენოს მისი ფინტის მსხვერპლი ვ. ვორონინი. ვოველთვის ასე „რაინდულად“ როდი იქცევა იგი მოვლანზე...

ჩვენ ხშირად ვნახულობთ ასეთ სურათს, და არა მარტო ვნახულობთ, არამედ მწვეველ განვიცდით.

აქ დიდი როლი შეასრულა გუნდის კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ და დიდმა სისწრაფემ, რომელიც ფეხბურთელებმა მთელი თამაშის მანძილზე შეინარჩუნეს.

საყოველთაოდ ცნობილი აზრია, რომ ჩვენი გუნდი მაღალტექნიკური და დამაკმაყოფილებელი ტაქტიკური მომზადების მქონე კოლექტივია, რომელიც ტოლს არ უდევს მთავარ გუნდებს, და თუ იგი მიაღწევს ფიზიკური მომზადების ისეთ დონეს, რომელიც საგრძნობლად მაღალი იქნება სხვა გუნდებისაზე, მაშინ ამოცანაც გადაჭრილი იქნება.

მთამაშეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება გაიცლებით იოლი საქმეა, ვიდრე ტექნიკისა ან თუნდაც ტაქტიკის დონის ამაღლება.

ფეხბურთის სამშობლოში დინამოელთა ტურნემ ერთი საგულისხმო მგავლითის მოტანის საშუალება მომცა. ჩვენს გუნდთან შეხვედრამდე ორი დღით ადრე ინგლისელებმა უკიდურესად დამაბული მატჩი ჩაატარეს ქვეყნის პირველობაზე. საფიქრებელი იყო, რომ უადრესად მწე-

ლი შეხვედრის შემდეგ, რომელშიც განსაკუთრებით დიდი ენერჯის დახარჯვა მოითხოვა, ინგლისელები ორ დღეში ვერაფრით ვერ აღიდგენდნენ, და მამასაღამე, დინამოელებს გადაქანულ გუნდთან მოუხდებოდათ თამაში.

როგორც ცნობილია, ყველასათვის მოულოდნელად ინგლისელებმა ჩვენთან თამაშის დროსაც შეინარჩუნეს არაადამიანურად მაღალი ტემპი, რის ხარჯზედაც მიაღწიეს კიდევაც წარმატებას.

კიდევ ერთი მაგალითი ინგლისური ფეხბურთიდან, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ შეხვედრის დღეს

ინგლისელმა ფეხბურთელებმა თბილისის დირს-შესანიშნაობათა დავალიერება მოიწადინეს. ინგლისელებმა, მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა, რომ თამაშის დღეს ბანაობა მვენებელია, რომ ეს ცუდად მოქმედებს სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებაზე, გული იჯერეს ლისის ტბასა და თბილისის ზღვაში ბანაობით. მათმა ამგვარმა „შეცდომამ“, ბუნებრივია, დინამოელთა გულშემატკივრების ალტაცება გამოიწვია. ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ბიჭები შესაფერისად დასჯიდნენ ინგლისელებს ამგვარი „შეცდომისათვის“. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ინგლისელები ისე კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ ფიზიკურად, რომ სპორტული რეჟიმის დარღვევას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია მათ თამაშზე. ამ მატჩის შედეგი კარგადაა ცნობილი...



„ძანოშინა ხანუ, ვორონინი ისე გამოანხე“--ამბობენ ფეხბურთელები.



აი რას ნიშნავს მოთამაშეთა შესანიშნავი ფიზიკური მომზადება. მისი საფუძვლების შერყევა არც თუ ისე ადვილია.

საზღვარგარეთის გუნდები დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ მომზადებას. ერთმა იუგოსლავიელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მათ თითქმის ათჯერ გააღიდეს მოთამაშეთა ფიზიკური დატვირთვა საწვრთნელი ვარჯიშის დროს. ასე რომ მატჩი საწვრთნელ ვარჯიშთან შედარებით მოთამაშეებს თურმე დასვენებად ეჩვენებათ. ამაში არაფერია საშიში, ამას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს. ე. ი. მთავარი საშუალება გამარჯვებისათვის ბრძოლაში, მთავარი კოხირი ჩვენთვის უნდა ვახდეს განსაკუთრებით მაღალი ფიზიკური ამტანობა, განსაკუთრებით მაღალი ტემპი, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში არ შენეიდება. და ბოლოს მაყურებელს უნდა შეეძლოს გარჩიოს რომელ მხარეს თამაშობენ სამხრეთელები და რომელ მხარეს კიდევ—ჩრდილოელები. ქართველისათვის დამახასიათებელი თვისება, და თუ გნებავთ, ეროვნული თვისებურება — შეუკავებელი ტემპერამენტია, და მან ფეხბურთშიც თავისი სიტყვა უნდა თქვას.

შეგიძლია თუ არა, რომ ამას მივაღწიოთ? რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ უსათუოდ შეუძლებელი. და მაშინ გაიხსნება გზა უსაზღვრო შესაძლებლობებისაკენ. მოთამაშეებისათვის ფეხბურთი იქნება თამაში და არა ჯაფა. გარწმუნებთ, რომ საგრძნობლად იკლებს კარში არაზუსტი დარტყმების რიცხვი.

ახლა ტაქტიკაზე. უკვე მომწიფდა მინდორზე ჩვენი ფეხბურთელების განლაგების სისტემის გადასინჯვის საკითხი. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე სეზონში ბევრი გუნდი გადავა ბრაზილიურ სქემაზე 1-4-2-4. თამაშის ეს სქემა პროგრესულია და მალე გაიკვლევს გზას ჩვენშიაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს მიაჩნიათ იგი დაცვიით სისტემად, რომელიც თითქოსდა ეწინააღმდეგება ჩვენი ფეხბურთის შემტევ სტილს. ვითომ მართალია ეს?

ურიგო არ იქნება, თუ ორიოდ სიტყვას ვიტყვით თამაშის სისტემის ევოლუციაზე და იმ მიზეზებზე, რომლებიც ფეხბურთის სპეციალისტებს აიძულებდათ ეძებნათ მოედანზე მოთამაშეთა განლაგების ახალი და ახალი ვარიანტები.

მაშინ, როდესაც ფეხბურთი ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ყველა მოთამაშე კარს უტევდა. თამაშის კლასის ამაღლებასთან ერთად მაღალდებობა ორგანიზებულობაც. ცხადი გახდა, რომ ვილაცის უნდა ჩაეკეტა კართან მისასვლელი გზები. საამისოდ გამოყვეს ერთი მოთამაშე. როცა ამ ერთმა დამცველმა თავი ვერ გაართვა ამოცანას, მეორე მიახმარეს. თამაშის კლასი დღით-დღე მაღალდებობა და სწარმოებად თავისებური ბრძოლა დაიკვსა და თავდასხმას შორის. თავდამსხმელები, რომლებიც რიცხობრივი უპირატესობით სარგებლობდნენ, სისტემატურად უგებდნენ ბრძოლას დაცვას. ამიტომ ძალაუნებურად იზრდებოდა მცველთა რიცხვი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, დამცველთა და თავდამსხმელთა ძალები არ გაიწინასწორდა — ხუთი თავდამსხმელი ხუთი დამცველის წინააღმდეგ. სწორედ ამან მიგვიყვანა პერსონალურ დაცვამდე — ყოველ თავდამსხმელს დამცველი მიუჩინეს. მაგრამ ბრძოლა დაცვის ხაზსა და თავდასხმის ხაზს შორის მაინც გრძელდებოდა. თამაშის კლასი განუზომლად ამაღლდა და ამჟამად ხუთი დამცველიც ვეღარ უძლებს დაცვით ფუნქციებს. შემთხვევითი არ არის, რომ უცხოელი მწვრთნელების შემოქმედებითმა აზრმა კიდევ ერთი ფეხბურთელით გაზარდა დაცვის ხაზი.

ცხოვრებამ დაამტკიცა იმგვარი გარდაქმნის კანონზომიერება, ბრაზილიელების განთქმულმა გუნდმა ცხადყო ამ სისტემის უპირატესობა.

თამაშის სისტემის შეცვლის ნოვატორულმა ცვლებმა თავის დროზე დიდი უკმაყოფილო მითქმა-მოთქმა და წინააღმდეგობა გამოიწვია ჩვენი თამაშის ძველი სტილის უკიდურეს მომხრეებს შორის. მწვრთნელები დავობდნენ. დაიკარგა ძვირფასი დრო და ახალ სისტემაზე გადასვლის მთელი სიძნელე ახლა უნდა დაგაწვეს მხრებზე.



ვევლას საკირო მოძრაობა ფიზრზე ადბიქვლებს, გარჩევას, განას-ლიზღება...

აღბათ იკითხავთ, კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სადამდე მიგვიყვანეს ეს მდგომარეობა? აჩქარება არ ღირს. ჯერჯერობით ეს ასეა. შესაძლოა, მომავალში დაცვისა და თავდასხმის შორის ბრძოლის შემდგომმა ეტაპმა თავდასხმის მოქმედება უფრო შეზღუდოს და გაართულოს.

1925 წ. ფეხბურთის კანონმდებლებმა ხომ შეცვალეს „თამაშვარე მდგომარეობის“ წესი..

„კარგი, სისტემა შევცვალეთ, გადავიდით 1-4-2-4 სისტემაზე და ფეხბურთელებს შესაბამისი ფუნქციები დავაყისრეთ. რა გამოვა მერე აქედან? — ყველას შეუძლია ასეთი კითხვა მომკეს. მითუმეტეს, რომ შეეჩვივნენ: ყოველთვის უტეეს ხუთი თავდასხმელი ორი ნახევარდამცველის აქტიური მხარდაჭერით. ახალი სქემა კი ოთხ თავდასხმელს ვეთავაზობს.

თებერვალში მოსკოვში ყოფნისას, ფეხბურთის საკითხებისადმი მიძღვნილ მეთოდურ თათბირზე საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელთან გ. დ. კაჩალინთან საუბარში შევიტყვე, რომ ჩვენი ნაკრებიც ოთხი დამცველის სისტემაზე გადადის.

თუ ჩვენი ნაკრები აპირებს გაზარდოს მცველთა რიცხვი თავდასხმელთა რიცხვის შემცირების ხარჯზე (მაშინ, როდესაც მათი თავდასხმელები ვერ დაიტრაბახებენ სახარბიელო შედეგებით), ჩვენ, მითუმეტეს, თამამად შეგვიძლია ეს გავაკეთოთ.

ამ გარდაქმნის შედეგად ჩვენი გუნდი გააძლიერებს არა მარტო დაცვის ხაზს, არამედ უკეთესად შეუტეეს მოწინააღმდეგეს. მე მტკიცედ ვარ ამასი დარწმუნებული. ჩვენს ოთხ თავდასხმელს მეტი სივრცე ექნება, როგორც მოქმედებისათვის, ისე მანევრირებისათვის.

წარმატება ხშირად იქნება დამოკიდებული დაცვისთან ბრძოლაში თავდასხმის უპირატესობაზე, ეს კი ჩვენ ხელს გვაძლევს. ამასთან ზურგიც გამაგრდება და მას ასე ადვილად ვეღარ

გადალახავენ. ეს კი თავდასხმის უკეთ ორგანიზების გაჩინება იქნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოწინააღმდეგის გაძლიერებული დაცვა ჩვენს შეტევებსაც შეაფერხებს და გააძლიერებს.

როცა ჩვენ ახლებურად განვლაგებთ მოთამაშებს, თავიდანვე ყველაფერი რიგზე როდი იქნება; ყველა მოთამაშე ადვილად როდი შეეგუება ახალ პირობებს. გულშემამტკიცებელი მოთმინებით უნდა აღიჭურვონ და თავი შეიკავონ პირველივე თამაშის მიხედვით სისტემის შეფასებისაგან. უნდა მზრუნველობითა და გულისხმიერებით მოვეპყროთ ჩვენს ფეხბურთელებს ამ გარდაქმნის პერიოდში. მხარი უნდა დაუჭიროთ მწვრთნელების წამოწყებას და არ უნდა შევარყიოთ მოთამაშეთა ფსიქიკა.

მე ამ წერილში მხოლოდ ორი საკითხი წამოვიჭერი. უნდა ითქვას, რომ როდესაც ამ წერილს ვწერდი, განსაკუთრებით ვლელავდი, რადგან მე ვლაპარაკობდი ჩვენს საყვარელ გუნდზე — თბილისის „დინამოზე“, და რედაქციის თხოვნა რომ არა, აღბათ ასე თამამად ვერც გამოვთქვამდი ჩემს შეხედულებებს. მე ვვავდი იმ ჭირურგს, რომელსაც არ შეუძლია საოპერაციო მაგიდაზე გაიყვანოს თავისი სისხლი და ხორცი...

მოხარული ვიქნები, თუ ამ წერილში წამოჭრილი საკითხები განსჯის ან თუნდაც დავის საგანი გახდება. მე, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი მონაწილე ვარ იმ კონსილიუმისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყვიტოს ეს საჭირბოროტო საკითხები. პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, მინც მწვრთნელებს ეკუთვნით.

საერთოდ კი უნდა დავეთანხმოთ იმათ, რომლებიც ამბობენ, რომ „რაღაც უნდა ვიღონოთ“. ვინც იცის, ბრაზილიელთა მსგავსად იქნებ ჩვენც გველოდება სიხარულის ცრემლები..



ა უ მ

ალმოჩინა გლენდვილიში

გლენდვილიში (კალიფორნია) ერთერთი სახლის სხვეზე აღმოჩინეს დიდი ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის უცნობი ლექსის „ტყის საამოსურნელის“ ხელნაწერი. ამ ლექსში აღწერილია პოეტის გასტირება გლენდვილის ტყეში.

საინტერესოა ამ ხელნაწერის აღმოჩენის ისტორია.

პოეტს კალიფორნიისაში ჰყავდა მეგობრები — სტაფორდების ოჯახი. თავის დროზე მან სტაფორდებს შესანახად დაუტოვა ხელნაწერებით სავსე ყუთი. მრავალი წლის განმავლობაში ეგდო ეს ყუთი სხვეზე და იგი მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ გახსნეს.

პოეტი ფერადოვნად ხატავს ნაწვიმარ ტყეს, ტბებდა დაფენის რტოებისა და ვარდისფერი მიხაკების სიმშვენიერით და უხმენს „შაშვეების გალობას“.

„და უსასრულოდ განფენილი სურნელი ტყისა სჭირდება ყველას...“

უიტმენის ლექსი გამოქვეყნებულია ამერიკული ჟურნალის „პარპერს მეგენისის“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში.

ჯეკ კუპანის ბედი

უფროს თაობას ალბათ კარგად ახსოვს ჯეკ კუპანი — სახელგანთქმული ფუნდერკინდი, რომელიც ოციანი წლების მრავალ ამერიკულ ფილმში

თამაშობდა. იგი ერთერთ მთავარ როლს ასრულებს ჩარლი ჩაპლინის ცნობილ ფილმში „ბიჭუნა“. მაშინ აშშ-ში ბევრს სწერდნენ ამ მსახიობის განსაკუთრებულ ნიჭზე და „ამერიკული ეკრანის სიამაყეს“ უწოდებდნენ.

მაგრამ ეს იყო წარსულში. კუპანის ვარსკვლავი დიდხანა ჩაქრა. პოლივუდის კინობოხებმა კუპანს პოლივუდის კარი მიუხურეს. იგი ამჟამად 48 წლისაა და აღარავის ახსოვს, გარდა პოლიციისა, რომელმაც იგი ციხეში გამოაწყევლია. შიშვლით რომ არ მომკვდარიყო, სახელგანთქმული არტიტი, იძულებული იყო ნარკოტიკებით ევაჭრა.

ბერმანია

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

აპიტისის რომანის პარანიზაცია

კინორეისორი ვოლფგანგ ლანგჰოფი, გდრ-ს ნაციონალური პრემიის ლაურეატი, ამჟამად ფილმს, რომელსაც საფუძვლად დაედო ბრუნო აპიტისის რომანი — „შიშვლად მგლებს შორის“. აპიტცი, რომელმაც პიტლერის დროს ცხოვრება გაატარა საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, ამ რომანში აგვიწერს თუ ბუხენვალდის ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკში როგორ მალავდნენ 8 წლის ბავშვს მამამისი და სხვა პატიმრები და, გათავისუფლდ-

ბის მოლოდინში, რა ღონეს არ მიმართავდნენ, რომ ეხეს ელებს არ შეეტყოთ მისი იქ ყოფნა. რომანი, რომელიც გერმანულ ენაზე ნახევარ მილიონზე მეტი ტირაჟით გამოვიდა, ნათარგმნია 115 ენაზე, მის მიხედვითაა დაწერილი პიესა და სატელევიზიო დადგმა. ახლა დიდი ინტერესით მოედიან მის ეკრანიზაციას.

ბახის პრემია

ბახის არქივი, რომელიც ამ 10 წლის წინათ შეიქმნა ლაიპციგში, ბახის შემოქმედების კვლევა-ძიების საერთაშორისო ცენტრად იქცა. შარშან აღინიშნა დიდი კომპოზიტორის დაბადების 275 და გარდაცვალების 210 წლისთავი. არქივში ინახება ბახის ყველა ხელნაწერი, ასეულ ათასობით ფოტოპირი, კომპოზიტორის დროინდელი სურათები, მიკროფილმები, პროგრამები და აფიშები.

პიონერთა თეატრი

ლაიპციგში გაიხსნა პიონერთა თეატრი, რომლის პირველი პრემიერა იყო გაიდარის „თემური და მისი რაჟში“.

ბერმანიის ფემდრაციული რესპუბლიკა

ბონეს ფარდა დაუშვა

ამჯერად საქმე ეხება თეატრის ფარდის ნამდვილ დაშვებას, ვინაიდან ბონის ხელისუფალთა ახალმა ჩარევამ აკრძალა გფრ-სა და გდრ-ს



ინგლისი

ცენზურის წინააღმდეგ

თეატრებს შორის დღემდე არსებული თანამშრომლობა. თუმცა ეს თანამშრომლობა მაინცდამაინც ფართო ხასიათისა არ იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელობა ჰქონდა გაყოფილი გერმანიის ორივე ნაწილს შორის კულტურული ურთიერთობისათვის. თანამშრომლობა, უმთავრესად, იმაში მდგომარეობდა, რომ ეწყობოდა გაცვლითი ვახტროლები, რის დროსაც ერთმანეთს აჩვენებდნენ ახალ პიესებსა და ახალ დადგმებს და საუბრობდნენ ხელოვნების საკითხებზე. მაგრამ ამ ბოლო ხანებში დასავლეთ გერმანიის თეატრები ზედიზედ უარს აცხადებენ დემოკრატიულ გერმანიაში ვახტროლებზე იმ მიზეზით, თითქოსდა ახალი სიტუაცია შექმნა... ეს სიტუაცია იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ-გერმანულ თეატრს ურჩიეს, შეწყვიტოს ურთიერთთანამშრომლობა ა. შ. ამიტომ გერმანული თეატრი ერთთვისად ღებულობს გერმანული თეატრებიდან საბოლოო წერილებს, რომლებშიც თეატრალური მოღვაწეები ამბობენ, ბარემაც მოხარული ვიქნებოდით კვლავ გაგვეგრძელებინა აღრინდელი კონტაქტი, მაგრამ მდგომარეობა არ გვაძლევს ამის შესაძლებლობას.

იწერდა თავის შთაბეჭდილებებს. ბუნებრივია, რომ მახვილი თვალის მწერალს, ამასთან ერთად, არ შეეძლო არ შეემჩნია თანამედროვე ფრანკისტული ესპანეთის ცხოვრების ნამდვილი სურათები.

როცა ამერიკულმა ჟურნალმა „ლაიფმა“ დაიწყო „სახიფათო ზაფხულის“ ნაწყვეტების ბეჭედა, ესპანეთის პრესაში გამაყრუებელი ხმაური ატყდა. მადრიდის გაზეთები ეშუქებოდნენ ჰემინგუეის და ძალზე უჩემად აფრთხილებდნენ, რომ ფეხი აღარ დაეღვა ესპანეთის მიწაზე.

რაშია საქმე?

ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალის „ობსერვერის“ აზრით, ჰემინგუეის წინააღმდეგ ხმაური გამოიწვია მწერლის გადაჭრბეულმა მიკერძობამ მატადორ ორდონიესის ხელოვნებისადმი, მაგრამ შემდეგ „როგორც ასპარეზე პოლიტიკაც გამოათრის“. საქმე იმაში როდია, თუ მოედანზე უფრო რომელი მატადორის სტილს ამჯობინებდნენ ჰემინგუეი. ეტყობა, მათ აწუხებთ მწერლის შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე, რომლებსაც მატადორის ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვთ. ერთ-ერთმა მადრიდელმა მჯღაბნელმა, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით ესხმის თავს ჰემინგუეის, გულუბრყვილოდ წამოაყარა ტოლა და გამოააჟიარავე იმის მიზეზი, თუ რატომ ესხმის პრესა ასეთი გაშმაგებით მწერალს: „რას უნდა ველოდეთ სხვას ჰემინგუეისაგან?“ — ამბობს ის და ჰემინგუეის „ცნობილ კომუნისტს“ უწოდებს.

ეს პოლიტიკური შტრიხი, ჟურნალ „ობსერვერის“ სიტყვით, ცხადყოფს იმ ჰემინგუეის მიზეზს, რის გამოც ფრანკისტულმა მთავრობამ ჰემინგუეი „პერსონა ნონ გრატა“ გამოაცხადა.

გაზეთმა „რინოლდს ნიუსმა“ დაბეჭდა ლეიბორისტის, პარლამენტის წევრის ჰიუ დელერჯის სტატია, რომელიც ეხება ინგლისის ცენზურის მტრად უცნაურ და აუსწინდელ საქციელს — ვარშავის გიტოს შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენების აკრძალვას. ავტორი მოგვითხრობს, თუ რა შემარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ფილმმა პარლამენტის წევრებზე, რომელთაც არაოფიციალურად ნახეს ფილმი. როდესაც დარბაზში სინათლე აინთო, მყუარებულები კიდევ დიდხანს ისხდნენ გაოგნებულები, ისე ღრმად შესძრა ისინი ვარშავის გიტოსში ფაშისტების მიერ ჩადენილმა დანაშაულობებმა. უკვლანი, ვისაც ესაუბრა დელერჯი, ამბობენ, რომ ფილმი უნდა ნახოს ინგლისის ფართო საზოგადოებრიობამ, თუნდაც ტელევიზიით. ლეიბორისტთა დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ლონდონის მუნიციპალიტეტი ცენზურის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს და, სხვა თუ არაფერი, თავის ტერიტორიაზე მაინც შესძლებს ამ ვამაფრთხილებელი ფილმის ჩვენებას საზოგადოებისათვის.

თითო პენი აპტორისათვის

ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატთა შორის გავრცელდა პროექტი კანონისა, რომელიც მიზნად ისახავს ინგლისელი მწერლების მატრიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ პროექტის მიხედვით, მწერლებს დახმარება უნდა გაუწიონ საჯარო ბიბლიოთეკებმა: ბიბლიოთეკის ყოველმა აბონენტმა, გარდა წიგნებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადისა, უნდა გა-

ესპანეთი

მ. ჰემინგუეი — „პერსონა ნონ გრატა“

ამერიკელი მწერლის ე. ჰემინგუეის უკანასკნელ ნაწარმოებში „სახიფათო ზაფხული“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორი ესპანელი მატადორის — დომინგენისა და ორდონიესის ქიშობის აღწერას. მწერალი 1959 წლის ზაფხულში მთელს ესპანეთში კვალდაკვალ დაჰყვებოდა დომინგენსა და ორდონიესს და



დაიხადოს აგრეთვე თითო პენ-
ნი ამ წიგნის ავტორის „პო-
ნორარის“ სახით. ვინაიდან
დღევანდელი ბინების სიჭრ-
როვე მკითხველს საშუალებას
არ აძლევს იქონიოს დიდი
პირადი ბიბლიოთეკა, წიგნი
ძნელად იყიდება და უფრო
და უფრო მეტი ხალხი აწყ-
დება საჯარო ბიბლიოთეკებს.
ამრიგად მწერლები მხოლოდ
გაყიდული — მეტწილად ბიბ-
ლიოთეკების მიერ შექმნილ
ეგზემპლარებზე შეწერალი
გადასახადის სახით აიღებენ
ფულს.

ტაქსირის შურნალის იუბილე

თავისი 100 წლისთავი აღ-
ნიშნა ინგლისის ყოველთვი-
ურმა შურნალმა „კორნსილ-
მა“, რომელიც 1860 წელს
დააარსა მწერალმა ტაქსირიმ.
შურნალის საიუბილეო ნომე-
რი 450-გვერდიანი გამოვიდა.

გრამკე გრინის ახალი რომანი

ცნობილი ინგლისელი მწერ-
ლის გრემე გრინის ახალ რო-
მანში „განკურნება“ მოქმედ-
ება სწარმოებს გამოგონებულ
ქვეყანაში, რომელიც ძალიან
ჭვავს კონგოს. რომანის მთავარ
გმირი საქვეყნოდ ცნობილი
არქიტექტორი უარს ამბობს
კარიერაზე და თავს აღწევს
ყალბ და გაყიდვულ ბურჟუ-
აზიულ საზოგადოებას. იგი
ეხმარება სამედიცინო მისიას
და იმედოვნებს, რომ სხვათა
სამსახური მას მორალურად
განკურნავს. მაგრამ მას აქაც
უკან დასდევს ერთი დასავლელ
თელი სენსაციების მოყვარული
შურნალისტი, რომელიც თავის
გაზეთში აჭვეუნებს ცნობას
განთქმული არქიტექტორის
ცხოვრების შესახებ. არქიტექ-
ტორსა და შურნალისტს შო-
რის წამოჭრალი კონფლიქტი
ტრაგიკულად მთავრდება. გრი-

ნის რომანი, რომელიც ნორვე-
გიაში დაიბეჭდა უკვე ცალკე
წიგნად გამოიცა.

იტალია

ედუარდო დე ფილიპოს ახალი პიესა

ედუარდო დე ფილიპოს პი-
ესებს, რომელთა რიცხვი ორ-
მოცს აღემატება, მიემატა კი-
დევე ერთი პიესა „სანიტას რა-
იონის შერი“. დრამატურგი
გვიჩვენებს მშობლიური ნეაპო-
ლის ცხოვრების სურათებს. სა-
მოცდათხუთმეტი წლის ანტონი-
ნიო ბაროკო არ ენდობა მარ-
თლსაჯულებას და თვითონ გა-
მოაქვს გადაწყვეტილება და გა-
ნაჩენი. ედუარდო დე ფი-
ლიპოს არცერთ ნაწარმოებს არ
ახასიათებს საზოგადოების ასე-
თი მძაფრი კრიტიკა, — წერს
გაზეთი „უნიტა“.

გაზეთ „პაუეჩ სერას“ თეატ-
რალური კრიტიკოსი აღნიშ-
ნავს, რომ „დრამატურგმა შექ-
მნა ახალი ტიპი, რომელიც
თავისუფლად ამოუდგება
გვერდით მისსავე ფილუმენა
მარტურანოს“.

ბრძოლა ფილმის ცენზურის ბაჟამეზისათვის

იტალიის კინოხელოვნებამ
ომისშემდგომი წლების ნეო-
რეალისტური ფილმებით
სოფლიო სახელი მოიხვეჭა,
თუმცა ამ ფილმებს მაშინაც
თავს ეხსმოდნენ რეაქციულ-
კლერიკალური წრეები, რომ-
ლებმაც მოახერხეს კიდევაც
ახალი მიმდინარეობის შენე-
დება. 50-იანი წლების მეორე
ნახევარში იტალიის ფილმი
კრიზისს განიცდის და თავდა-
პირველად ასე ცხოველყოფ-
ფელი ნეორეალიზმი ჰქნება.
მაგრამ 1960 წელს იტალიის
კინომრეწველობა კვლავ
აღორძინდა, რასაც შეტყუე-
ლებს ფილმები—„გენერალი
დელა როვერა“, „როკო და მი-
სი ძმები“, „ტკბილი ცხოვ-

რება“, „კარპი“ და სხვ. უარ-
ყოფითი სოციალური მოვლე-
ნების ამსახველ ამ ფილმებს
დიდი წარმატება ხვდათ რო-
გორც იტალიაში, ისე საზ-
ღვარგარეთ. ამავე დროს საუ-
ბეთესო იტალიური ფილმები-
სა და რეჟისორების წინააღმ-
დეგ დაიწყო კარგად ორგა-
ნიზებული შეტევა, რომელ-
შიც მონაწილეობდნენ კლერი-
კალური ორგანიზაციები და
მათი პრესის ორგანოები, აგ-
რეთვე მთავრობის პარტიათა
წარმომადგენლები. საქმეში
ჩაერივნ სხვადასხვა ქალაქის
პროკურატორები და მოსა-
მართლები და ბევრი ფილმი-
დან ამოჭრეს სკეპოლდ მოზრ-
დილი ადგილები. ასეთი მოქ-
მედების გასამართლებლად
მოწყადათ ვითომდა ამ ფილ-
მების „ამორალურობა“, ერო-
ტიკულობა და ძალადობის
სურათები, მაგრამ თუ კარ-
გად ჩაუკვირდებით, ამ „მო-
რალისტთა“ აღმოფხვრებას იწ-
ვევს მხოლოდ იტალიური
ფილმები, ამასთან ისეთები,
რომლებშიც მოცემულია სო-
ციალური კრიტიკა, ვინაიდან
იტალიის ეკრანებზე დაუბრ-
კოლებლად უჩვენებენ საზ-
ღვარგარეთულ ფილმებს, სა-
დაც უზუდაა ნაჩვენები უხამ-
სობა, ეროტიკა და ძალმომ-
რეობა.

უკანასკნელ ხანებში სხვა-
დასხვა ქალაქში ადგილი
ჰქონდა დემონსტრაციებს.
ოხსენარტიზმის წინააღმდეგ
ბრძოლაში მონაწილეობენ
ცნობილი რეჟისორები, მწერ-
ლები, ინტელიგენციის წარმო-
მადგენლები. ისინი გამოდიან
ახალი კანონპროექტის დასა-
ცავად, რომელიც მოითხოვს
ფილმის ცენზურის გაუქმე-
ბას და მის მაგიერ ერთგვარი
კომისიის შექმნას. კომისია
კომპეტენტური იქნება გა-
დაწყვიტოს, შეუძლიათ თუ
არა ამა თუ იმ ფილმის ნახვა
ბავშვებს; თუ ფილმი არღვევს
სამოქალაქო მორალურ ნორ-
მებს, კომისიამ უნდა გადაწყ-
ვიტოს, გადაეცეს თუ არა ის

სპეციალურ სასამართლოს, რომლის შექმნასაც აგრეთვე ითვალისწინებს კანონპროექტი.

განზრახულია კანონპროექტი ცენზურის გაუქმების შესახებ წარუდგინონ პარლამენტს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხრივ, არამედ როგორც „სახალხო ინიციატივა“, 50.000 ხელმოწერით.

კინოკრიტიკოსთა გაერთიანების პარიზის მიწივება

იტალიის კინოკრიტიკოსთა გაერთიანების სპეციალური ჯილდოები, რომლებიც ყოველწლიურად ენიჭებათ ხოლმე, წელს მიიღო მსახიობმა ქალმა სოფია ლორენმა, როგორც „1960 წლის საუკეთესო მსახიობმა“, (ვიტორიო დე სიკას ფილმ „ჩოჩარაში“ მთავარი როლის შესრულებისათვის); გარდა ამისა, იტალიელ კინოკრიტიკოსთა გაერთიანებამ დემონსტრაციულად დიდი ყურადღება გამოიჩინა ფილმ „ტკბილი ცხოვრებისადმი“, რამაც კლერიკალური ცენზურის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. გაერთიანებამ ამ ფილმს ერთდროულად ორი პრემია მისცა: ჯილდო ორიგინალური სცენარისა და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; ჯილდო საუკეთესო რეჟისურისათვის მიიღო ფილმმა „რკო და მისი ქმეხი“.

შედეგების აღდგენა

დურჩო დი ბუონინენის მადონა, სიენის სკოლის ერთერთი შედეგით, რომელიც 1308 წელსაა დახატული, ხულიგნებმა დაამახინჯეს 1771 წელს. რომის ცენტრალური სარესტავრაციო ინსტიტუტი 1953 წლიდან შეუდგა ამ სურათის აღდგენას. ამჟამად მუშაობა დამთავრებულია და

სიენის მადონა კვლავ თავის ადგილზეა.

იტალიური პრემია

სახელგანთქმული მხატვრის მოდილიანის სახ. პრემია მიენიჭა ორ იტალიელ მხატვარს — პიეტრო მარტინის და რენატო სანტინის, რომლებმაც გაიყვეს 1 მლნ ლირა.

ბრძოლა ოპიუმის წინააღმდეგ

რომლო მარჩელინიმ გადაიღო ოპიუმის წინააღმდეგ მმართველი ფილმი „დამოსავლეთში“. ფილმის მოქმედება მიმდინარეობს ტაილანდში. ფილმში მოთხრობილია როგორ თავგანწირულად იბრძვის ახალგაზრდა ქალი საყვარელი ქმრის სიცოცხლის გადასარჩენად. ოპიუმით მოშხამული ქმარი სტოვებს ოჯახს და ნევრასტენიცი ხდება. ათასი მსხვერპლისა და გაპირვების ფასად ქალი ახერხებს ქმრის გადასარჩენას და ქმარი კვლავ ოჯახს უბრუნდება. ფილმის გადაღება მიმდინარეობდა ტაილანდში, ეგვიპტეში, იაპონიაში, ნეპალსა და მალაის კუნძულებზე.

ფილმი გარბილადივი

რობერტო როსელინიმ დაიწყო გადაღება ისტორიული ფილმისა „გაუმარჯოს, იტალიას!“ რომელშიც მოთხრობილი იქნება გარიბალდის ბრძოლაზე იტალიის გასაერთიანებლად. ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ რენცო რიცი, პაულო სტოპა, ჯოვანე რალი.

ყვალში ჩაპრილი მილიონეზი

უკანასკნელ ხანებში იტალიელი კინორეჟისორები ზშირად

მიმართავენ ბიბლიურ თემებს ისტორიული ფილმების შესაქმნელად. ამ მიზნით ისინი იყენებენ ისეთ დეკორაციებს, რომელშიაც დაცულია უძველესი ქალაქებისა და უბნების სიდიდე და მოცულობა. ასე გადაიღეს ფილმი „ქართავანი ცეცხლში“ (რეჟისორი კარმინე გალონე), არქიტექტორის პროფესორის გვიდო ფიორინის ხელმძღვანელობით საზღვაო ბატალური სცენებისათვის ააგეს 28 მეტრი სიგრძის ხომალდები 40 მეტრის ანჭებით. სტუდიის ტერიტორიაზე გააშენეს კართავანის მთელი კვარტალი მდიდრული ვილებითა და ღარიბული ქოხმხებით. შაადება ფილმის გადაღებისათვის წელიწადნახევარი გრძელდებოდა. ასეთი ღონისძიებისა და პირ ბრასიორის მონაწილეობის მიუხედავად ფილმს წარმატება არ ჰქონია.

მემსიკა

კაზალსის ორატორია

ამას წინათ ქ. აკაპულკოში პირველად შესრულდა მსოფლიოში სახელმოხვეცილი ესპანელი ვიოლონჩლისტის პაბლო კაზალსის ორატორია. ორატორიას, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება, დირიჟორობდა თვით ავტორი, 84 წლის კაზალსი.

კინემატოგრაფიის ნაციონალიზაცია

ამჟამად მიმდინარეობს მექსიკური კინომრეწველობის ნაციონალიზაცია. დღემდე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში გადავიდნენ კინოსტუდია „ურუბუსკო“, რომელიც იქმნება ხოლმე მექსიკური ფილმების უმრავლესობა, 280 კინოთეატრი და კინობანკი.



პოლონეთი

უძველეს სპარავთა ორამსტრი

ქ. ბიგდოშინეში ჩამოყალიბდა პირველი ორკესტრი, რომელიც უკრავს XVII და XVIII საუკუნეების დროინდელ 18 საკრავზე. ამ ორკესტრის ორდანიო ზუსტი განმეორება XVIII ს. ორდანიო.

პრემია ინგლისელ მწერალს

ვლოდიმერუ პეტერუაქის სახ. ლიტერატურული პრემია მიენიჭა ინგლისელ მწერალს გრემემ გრინს მთელი მისი შემოქმედებისათვის. ეს პრემია 1948 წელს დაწესდა და 15.000 ზლოტს აღწევს; იგი დაწესებულია პოლონელი მწერლის საპატივცემულოდ, რომელიც 30 წლისა დაიღუპა ვარშავის აჯანყების დროს.

საფრანგეთი

„სალამზო“ მარანზე

ახლანდელ ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე აფრიკაში ვაშენენს ლამაზი ქალაქი, რომელიც ახალი ფრანგული ფილმის „სალამზო“ დეკორაციას წარმოადგენდა. გუსტავ ფლობერის შესანიშნავი ნაწარმოები ეკრანზე გადაიტანა რეჟისორმა სერჟ გრეკომ, სენეარი დაწერა ანდრე ტაბემ. სალამზოს როლს ასრულებს ფან ვალერი, მათოსას — ფაქ სერნე.

კლოდ ოტან ლარას ახალი ფილმი

როგორც საფრანგეთის პრესა იტყობინება, ცნობილია კინორეჟისორმა კლოდ ოტან ლარამ გადაიღო ახალი ფილმი „შეუვარებულთა ტყე“. ამ ფილმამდე მან გადაიღო ორი უღიმღამო ფილმი „მთათამაშე“ (დოსტოევსკის მიხედვით) და

„მწვანე ფაშატი“. ახალი ფილმი რეჟისორის რეპლიკაციაა, მოქმედება ვითარდება ერთი ღამის განმავლობაში მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ოკუპირებული ნორმანდიის სანაპიროზე. გერმანელები ყოველწუთს ინგლისელების დესანტის გადმოსხმას მოელოან. ამ სიტუაციაში ერთმანეთი შეუყვარდებიან ერთ ფრანგ პარაშუტისტსა და გერმანელი პოლიკავშირის ცოლს, რომლებიც შემთხვევით ერთ ჰერკვეშ აღმოჩნდებიან. ფილმში ნაჩვენებია ხანმოკლე და უბედური, ღამაში და ძლიერი სიყვარული, რომელსაც ბედი არ უწერია. ფილმის ლოგოჟურ დასასრულს წარმოადგენს უბედური შეყვარებულების ტრაგიკული დაღუპვა.

„შეუვარებულთა ტყე“ ფრანსუა დიუ კიურელის ცნობილი პიესის ეკრანისტიკაა. მთავარ როლებს ასრულებენ ლორან ტერზიევი და ერიკა რემბერგი.

ბარდანიცვალ რინარდ რაბიტი

პარიზში გულის ინფარქტით გარდაიცვალა ამერიკელი წანავი მწერალი რინარდ რაბიტი. იგი დაიბადა 1905 წელს მისისიპის შტატში, მენისქვილის ოჯახში. რასიული დისკრიმინაციისათვის თავი რომ დაედო, 1946 წლიდან რინარდ რაბიტი საფრანგეთში ცხოვრობდა.

„ზანი მებტროში“

საფრანგეთის ეკრანებზე უჩვენებენ ახალგაზრდა რეჟისორის ლუი მალის ახალ ფილმს „ზანი მებტროში“. ფილმს საფუძვლად დაედო ფრანგი მწერლის რაიმონ კენოს ამავე სახელწოდების პოპულარული სატირული რომანი.

ფილმის მთავარი გმირია თერთმეტი წლის სოფლელი გოგონა ზანი, რომელიც პირველად ჩამოვიდა საფრანგეთის

დედაქალაქში. ამ ეშმაკი და თამამი გოგონას საშუალებით, რომელსაც არასოდეს არ უცხოვრია პარიზში, ნაჩვენებია თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს სიმახინჯე. ყოველკვირული ფრანგული პროგრესული ურნალი „ავანგარდი“ აღნიშნავდა, რომ ფილმი გვიჩვენებს „დასავლეთის მოდერნიზმის არაადამიანურობას, რომელიც გაბატონებულია ამერიკანიზირებულ პარიზში“. პატარა გოგონას თვალწინ იშლება საშინელი გროტესკული სამყარო, სადაც უბრალო და კეთილ აღმანიურ გრძნობებს ფეხქვეშ თვლავენ.

„ცარიელი სივრცე“

რეჟისორ მარსელ კარნეს ახალი ფილმი „ცარიელი სივრცე“ გვაგონებს მისსავე ცნობილ ფილმს „თვალთმაქცები“. ფილმი ეხება პარიზელი ახალგაზრდების ცხოვრებას და მოგვითხრობს თექვსმეტი წლის გოგონებისა და ბიჭების ბედზე.

„მადამ სან შენი“ მარანზე

ფრანგმა კინორეჟისორმა კრისტინა ეაკმა გადაიღო ფილმი „მადამ სან შენი“. ფილმში მთავარ როლს ასრულებს სოფია ლორენი.

„ელეპტრონული სიწყარული“

ახალგაზრდობის დემოკრატიულმა მუსიკალურმა ორგანიზაციამ „ჟენეს მუსიკალ დე ფრანს“ წარმოადგინა ი. კოზმას (წარმოშობით უნგრელი) კომპიუტრი ოპერა — „ელეპტრონული სიყვარული“, რომელიც იღვებება საფრანგეთის პროვინციულ ქალაქებში. ოპერის ლიბრეტოს ავტორია პროგრესული მწერალი ანდრე კედროსი; თავისი ანტიფაშისტური რომანებით სახელმწიფოებრივმა მწერალმა სიყვარულის სამკუთხედის ძველ თემზე დაწერა მეტად გონებამახვილური ტექსტი: ამ

ოპერაში, რომლის მოქმედებაც 2000 წელს ხდება, რაყიფად გამოყვანილია რობოტი. ეს ელექტრონული მანქანა სიუჟარულს უნგრეც მეცნიერ მუშა ქალსა და მეფაბრიკეს, რომელიც აღმინათა ამ ტიპის უკანასკნელი ეგზემპლარია. გასაგები მიზეზების გამო მუხიკა ნაწილობრივ მქანეიკური რიტმისა, მაგრამ სხვა მხრივ მელიოდორიკით გამოირჩევა. ოპერას მალე პარიშიშიც აჩვენებენ.

პატიმართა ფონდისათვის

პაბლო პიკასომ და ბერნა სხვა გამოჩენილმა დახვეთეულმა მხატვარმა და მოქანდაკემ თავიანთი ნახატები და ქანდაკებები შესწირეს ციხეებში გამომწყვედელ პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლების ფონდს.

**სენსაზა ბ. ზოუს
სიმპარული**

პარიზის თეატრში „ატენელი თუვე“ დიდი წარმატებით დაიგა ახლგაზრდა ამერიკელი დრამატურგის ჯეორჯ კილტის პიესა „ვირფა ცრუ“, რომელსაც საფუძვლად დაედო ბერნარდ შოუსა და ინგლისელი მსახიობი ქალის სტელა კემპბელის ორმოცწლიანი სასიყვარულო მიმოწერა. თარგმანიცა და რეჟისურაც კოკტოს ეკუთვნის. პიესაში სულ ორი მოქმედი პირია — შოუ და სტელა კემპბელი, რომელთა როლებს ასრულებენ პიერ ბრასერი და მარია კაზარესი. ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა თ. გოტიემ მათს თამაშს ტრიუმფალური უწოდა.

ახალი ფილმები

ცნობილი რეჟისორი ჟან დელინდა ჰქმნის ფილმს ბლ-

ზაკის ნოველას „ოქროსფერითვალემა ქალიშვილის“ მიხედვით; ანრი დაკნიკვლავ მიუბრუნდა სტენდელს და იღებს „პარმის სავანეს“ ახალ ვარიანტს, თუმცა კრიტიკან ჟამა უკვე უკვდავყო თავისი თავი ამ რომანის ეკრანიზაციით, სადაც მთავარ როლს ეტრარ ფილიპი ასრულებდა; კლოდ შაბროლი „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, იღებს სტენდალის უკანასკნელ, დაუთავრებელ რომანს „ლამიელი“; დიუმას ნაწარმოებები მრავალჯერ გადაუღიათ, მაგრამ ბერნარ ბორდერი კვლავ აშვადებს „სამ მუშეკეტრს“, ხოლო ოტან-ლარას გეგმაში აქვს ახალი „გრავ მონტეკრისტოს“ გადაღება.

ფრანგი ეროვნული გმირის ჟანა დ'არკის ბედი კვლავ დაკვლავ იზიდავს ხელოვნების მუშაკებს. ორღენელი ქალწულის გასამართლებისა და სიკვდილის ამბებმა ისე მოხიბლა ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი რობერ ბრესონი რომ გადაწყვიტა გადაეღო ფილმი მის შესახებ. ამ თემაზე გადაღებული მრავალი ფილმისაგან განსხვავებით, ეს უთუოდ საინტერესო ფილმი იქნება, ვინაიდან ბრესონმა უკვე განაცხადა, მე ყურადღებას ვავამახვილებ არა ლამაზ სანახაობებზე, არამედ ჩემი გმირების შინაგან ცხოვრებასა და გრძნობებზეო.

რეჟისორმა ფრანსუა ტრიუფომ, რომელიც ცნობილია ფილმით — „არავის ვუყვარვარ“, გადაიღო ფილმი — „ესროლე პიანისტს!“. ესაა პაროდული ხასიათის კრიმინალისტური ფილმი.

— მალე დატოვებ კინოს. მინდა ვიცხოვრო ისე, როგორც ყოველი ქალი ცხოვრობს, — თქვა ამას წინათ

ბრიჟიტ ბარდომ, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩქარობს. ბრიჟიტ ბარდო ახლა რამდენიმე ფილმში მონაწილეობს. დებიუტანტი რეჟისორი ჟან ორელი იღებს ფილმს „ლაგამული“, რომელიც მთავარ როლს შეასრულებს ბ. ბარდო; მისი მოთხოვნით ფილმის გადაღებას კონტროლს უწევს ამ კინოვარსკვლავის ყოფილი ქმარი როჟე ვადიმი, რომელიც ისე ენერგიულად მოეცადა ცოლყოფილის თხოვნას, რომ თითქმის მთლიანად შესცვალა ფილმის რეჟისორის ყველა წინასწარი ჩანაფიქრი, რის გამოც გაბარებულმა ჟან ორელმა უარიც კი განაცხადა ფილმის გადაღების გაგრძელებაზე. გარდა ამისა ბრიჟიტ ბარდო მონაწილეობას მიიღებს კიდევ ორ ფილმში: ერთ-ერთ მათგანს — „ჯარისკაცის სიმვიდე“ როჟე ვადიმი გადაიღებს. ამავე დროს ბარდო მიწვეულია მთავარი როლის შესასრულებლად ცნობილი ამერიკელი მოცეკვავისა და რეჟისორის თ. კელის მუსიკალურ კომედიაში — „ამ საღამოს სამარქანდში“. ფილმს იღებენ ჟაკ დევილას პიესის მიხედვით.

რეჟისორი ჟან ჟაკ ვიტალი იტალიელ პროდიუსერ ამატოსთან (იტალიელი ცხოვრების პროდიუსერი) ერთად იღებს „გრავ მონტეკრისტოს“ ახალ ვარიანტს. მთავარ როლს შეასრულებს ფრანგი მსახიობი ლუი ჟურდანი.

ჩემოსლოვაკია

ოპერა „ბლდგომა“

ცნობილი სლოვაკი კომპოზიტორი იან ციკერი სწერს ახალ ოპერას, რომელსაც საფუძვლად დაედო ლეე ტოლსტოის რომანი „ბლდგომა“.





6. 186/119

ՅՆՆՈ 60 ՅՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“

644 /
1961/3

РАСПИСКА
СЕРИЯ П
№ 1000000000

Оплата

3



ლიტერატურა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწიროლთა კავშირის ორგანო

7
288

მწირო

შინაარსი

პ

1961

მარტი

გამოცემლობა
„საბჭოთა
მწიროლი“

რ. შვიშვილი — საგარეჯოს მზიანი დღეები	8
ალ. გომიშვილი — სად არის ქვეყნად სხვა დარიალი (ლექსი)	18
ა. კალაძე — ლექსები	16
ს. კორინთელი — სანამ ცოცხალი ხარ (რომა- ნი. გაგრძელება)	19
მ. კახიძე — ლექსები	35
ლ. სულაბერიძე — გაწვეტილი ხმა (ლექსი)	36
ბ. ცეცხლაძე — ლექსები	38
ა. პაუხტოვსკი — თეთრი კურდღლები, ინგლი- სური სამართებელი (მოთხრობები. თარგმ- ნა ვ. ძიძიგურმა)	40
ნ. ნარსია — მე კიდევ მინდა (ლექსი)	46
თ. კანდელაკი — დედას (ლექსი)	47
დ. წარადიანი — ლექსები	48
ბ. მილერი — კომივოიაჟერის სიყვდილი (პიესა ორ მოქმედებად. ინგლისურიდან თარგმნა ც. კარბელაშვილმა)	50
ბ. დე მიუსე — აღმიანი და მწუხარება	75
პ. ვირლენი — სიმღერა შემოდგომისა (ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა გ. ქავთარაძემ)	77



3. პეპეპორი, ტ. პანტური — ზეშვთა ექიმი . 78

პუბლიკაცია

3. ინგოროშვა — ილია ჭავჭავაძის წერილები . 81

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

3. ნატროშვილი — ფიქრები ჩვენს კრიტიკაზე . 124

3. იმედაშვილი — ოტია იოსელიანის ნოველები . 133

დ. თუხარაძე — ლიტერატურული წერილები . 135

5. ხომარაძე — დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში . 141

სკორტი

ბ. ბალპერიანი — „რალა უნდა ვიღონოთ“ . 149

შოველი მხრიდან

ქონიკა . 155



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

ხარედაქციო კოლეგია:

- თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
- ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.


რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-61 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 441. უფ. 02402. ქალაქის ზომა 70x108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითა სიტუვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

საგარეჯოს მუხის დღეები



ჩანახატები დ. ერისთავისა და თ. შირვაშვილისა

ერთი დღე იშვიათად მგავს მეორეს; ამინდი ადამიანის გუნებასავით ცვალებადია. თებერვლის თვეს იშვიათად ენდობა კაცი, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ საგარეჯოშიც ისეთივე კარგი ამინდი დაგვიხვდება, როგორც თბილისში დავტოვეთ.

ვარაუდი არ მართლდება. საგარეჯოს შემოგარენი ნისლს დაუბურავს. თინულავს. რაიონის ცენტრში წვიმის წყალს ასფალტი დაუღებია. ალაგ-ალაგ გუბეებიც დგას.

პ რ ი ბ ა

რაიკომის მშვენიერ შენობაში უჩვეულო გამოცოცხლებაა. დღეს აქ რაიონის მოწინავე მწველავთა ტრადიციული თათბირია. გვიხარია, ჩვენი ჩამოსვლა ასეთ საინტერესო ღონისძიებას რომ ემთხვევა. კლუბში შევედივართ და კოლმეურნეთა შორის ადგილებს ვიკავებთ.

ასეთი თათბირი აქ ყოველი თვის დამდეგს ეწყობა ხოლმე.

კლუბი ხალხითაა სავსე. მწველავები, თავმჯდომარეები, ფერმის გამგეები და ზოოტექნიკოსები ერთმანეთში ირევიან. უმრავლესობა პირდაპირ სამუშაოდან მოსულა.

მოხსენებას აკეთებს თეორის (სარევიზიო კომისიის) თავმჯდომარე. დარბაზში არც ოფიციალური სიტყვაა, არც საზეიმო განწყობილება იგრძნობა. პირიქით, კოლმეურნეები ხმაურობენ, იციინიან. უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ან ეთანხმებიან მომხსენებელს. ხანდახან რომელიმე მონაცემის განმარტებას, უფრო დაკონკრეტებასაც მოითხოვენ.

ასახელებენ გამარჯვებულებს, მოწინავე მწველავებს გადასცემენ ფულად პრემიებს. ერთი კოლმეურნეობა სინანულით ეთხოვება გარდამავალ დროშას, ხოლო მეორე სოფლის ფერმის გამგე უხერხულად იჭერს ხელში გამარჯვების ამ სიმბოლოს და ამაყად იდიშება უღდავებში.

კრების მონაწილენი ხმაურობენ, ხუმრობენ; დასცინიან ჩამორჩენილებს, აქებენ ერთმანეთს და თავს იმართლებენ.

მხატვარ დიმიტრი ერისთავის ალბომში უკვე იღანდება პირველი ჩანახატები. უკანა რიგებიდან მწველავები ალბომში იჭყიტებიან, გაკვირვებულნი მხრებს ირჩენ და მოურიდებლად იციინიან. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი დაუფარავი ცნობისმოყვარეობა სასურველად მოქმედებდეს მხატვრის მოთმინებასა და ოსტატობაზე.

ჩვენ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ სტუმრები ვართ. ამ კოლმეურნეობის ვერც ერთ მწველავს რატომღაც გამარჯვებულთა რიგებში ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, ჩვენს მეგობრებს არც ისე კარგად აქვთ საქმე.

ეს კი არა, ერთმა პატარა გაუგებრობამ ღამის მთლად გაგვიფუჭა შეხედულება ჩვენს მასხინძლებზე. ეს მაშინ, როცა შაქრო და ქეთო ქურხულები ჩამორჩენილთა რიგებში დასახელებს. ქეთო ქურხული, ხანში შესული პატარა დედაკაცი, გაკვირვებული დგას ფეხზე. საქმე ის არის, რომ მისი ქმარი შაქრო სულაც არ არის მწველავი: როცა ქეთომ შემთხვევით მკლავი


მოიტება, მისი მეუღლე შაქროს ორ კვირას უვლიდა ცოლის ძროხებს. უფროსი შაქროს მოწვე-
ლილი რძე ცალკე დაიწერა და მისი ცოლის მოწვევლილი კიდევ—ცალკე. მერე ქეთო ქურბულის
ძროხებიდან მიღებული გეგმაზე მეტი რძე ორად გაყვეს და ვითომ ის არ კმაროდა, რომ რაი-
ონში ცნობილი მწველავი ქალი სახალხოდ გააწითლეს, ქმარიც ზედ მიაყოლეს.

ამ შეცდომის ახსნა-განმარტება ვერც ისე იოლად მოახერხა ფერმის გამგე რომინზონ
ჩონთაშვილმა, თუმცა იგი ისეთივე ორატორი აღმოჩნდა, როგორც ფერმის გამგე.

მ ი რ ი

ტრიბუნაზეა სართიქალის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი მერი კვაპანტირაძე.
მერი ლამაზი გოგოა. წახლისფერი თმები აქვს და თაფლისფერი ჯიუტი თვალები. ეს ქალი-
შვილი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მოწინააღმდეგეა. ეს ის მერია,
რომლის მოხსენებაც ამ თათბირზე დიდი ინტერესით მოისმინა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა
და შემდეგ ილაპარაკა კიდევ სართიქალელი მწველავის გამობრუნებაზე.

მერი თავისუფლად გრძნობს თავს ტრიბუნაზე. კი არ ლაპარაკობს, საუბრობს — უბრალოდ.
წინაურულად, მსმენელებს მოუთხოვს ახლადნაკისრ ვალდებულებათა, პრეპარატშარდოვანას
ცხიმინობის გაზრდის შესაძლებლობისა და სხვა ამბებს.



მერი კვაპანტირაძემ გასულ წელს
დაამთავრა საშუალო სკოლა. მას შემე-
დეგ ფერმაში მუშაობს. მერი გაუ-
თხოვარია. დარბაზში შეიძლება შე-
ნიშნოთ რამდენიმე ახალგაზრდა ვაჟი,
რომლებიც სულ სხვაგვარი თვალით
შესციცინებენ ლამაზ ქალიშვილს.
ასეთები ალბათ კიდევ ბევრია.

მერის ისეთი ვალდებულად ვალდებ-
ბულება აქვს ნაკისრი, რომ თავისი
დანიშნულების შესრულების შემდეგ
საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი გაბ-
დება, ხომ არ დააფრთხობს ეს
ამბავი მის თავყანისმცემლებს, ანდა
თვითონ ქალი ხომ არ გაყოყნი-
დება?..

ვფიქრობ, არც ერთი მოხდება და არც მეორე.

მართალია, მერის უამრავი საქმე აქვს, მაგრამ მინც დაარჩება იმის დრო, რომ თორმეტო
საფიცარი ძროხის გარდა სხვასაც მიაქციოს ყურადღება.

კ ა ნ ტ ო რ ა

საგარეგნო კოლმეურნეობა „საქართველოს“ კანტორა ერთი ტიტული გორის ძირში
დგას. გარეგნობით თვითონ შენობაც არ იქცევს დიდ ყურადღებას. რამდენადმე ჩამოკვავს
კიდევ მის თავზე წამომდგარ მოტიტვლებულ გორას. კანტორიდან ხელმარჯვნივ თეთრი,
უგუმბათო საუდარი მოჩანს. მთაზე ნისლა შეფენილა.

გრძელ, დერეფნის მსგავს ოთახში მაგიდები ერთმანეთზეა მიწყობილი. სიჩუმეს სქელ.
დავართა ფურცლების შრიალი და საწვარიშოს ჩხაკუნი არღვევს. კანტორის მუშაკები თავიან-
თი საქმით არან ვართული. ისინი სხვათაშორის გვათვალერებენ. ეტყობათ, ჩვენისთანა
სტუმრები სხვებიც ბევრი უნახავთ.

ჩვენ არც ისე კარგად გვქონია საქმე, როგორც ვფიქრობდით. ამ უზარმაზარი კოლმეურ-
ნეობის გაცნობა არც ისე იოლი ჩანს.

ამიტომაცაა ალბათ, რომ კანტორის მუშაკები ასეთი თანაგრძობით გვიყურებენ. ძალიან
ვებრალებით თუ არა, ვერ იტყვი, მაგრამ როგორც შეუძლიათ, გვანუგეშებენ.

— თქვენ რომ გინდათ, ისე არ გამოვა. ამხელა კოლმეურნეობას როგორ დათვალერებთ!
უველა ფერმა 15—20 კილომეტრითაა ჩვენგან დაშორებული. ამჟამად ტრანსპორტის ყველა
სახე დაკავებულია, თუმცა მანქანაც ვერ გიშველით, — გვისხნის კოლმეურნეობის ბუღალ-
ტერი და ქვითრების ქექვას ვანაგრძობს.

— აბა მე თუ მკითხავთ, ისეთი ცუდი ამინდია, ვერაფერს ვერ დახატავთ... არც გამოიდა-
რებს, მე გგონი, — ამხნევეებს მხატვრებს მოანგარიშე.



თ ა მ მ ჯ ღ ო მ ა რ ი

ასეთი გულთბილი საუბრის დროს შემოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი დუნიძე. გივი ახალგაზრდა კაცია. ერთი შეხედვით თითქოს არც მკავს თავმჯდომარეს. კრავლის ხაყელოიანი ტუავის მოკლე პალტო აცვია. დადის მჩატედ და საქმიანად. ეტყობა, თავის რთულ შოვალეობას ხალხით და ძალდაუტანებლად ასრულებს.

გივი თავის კაბინეტში გვეპატივება: კაბინეტი სუფთაა და უბრალო. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, სკამებია. სკამები მაგიდის ორსავე მხარესაა ჩამწყობებული. კუთხეში პატარა ლუმენი ლულუნებს. მაგიდის კუთხეში სხვადასხვა ზომისა და ჯიშის მწიფე სიმინდის ტარობები ალაგია.

თავმჯდომარეს ჩვენი და კანტორის მუშაკების საუბრის შინაარსს ვაცნობთ. გივი იცინის. ეს ენერგიული კაცი ყველაფერს გვიადვილებს:

— ისე გავაკეთებთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობის არც ერთი კუნჭული უნახავი არ დაგჩნეთ. იწყება მეგობრული საუბარი. გივი დუნიძე გვაცნობს თავის სოფლის, მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთ უდიდეს კოლმეურნეობას, თავისი სახნავ-სათიბითა და სამოვრებით, თავისი მითითა და მდებლობით.

— საგარეჯოში ადრე სამი კოლმეურნეობა იყო. სწორედ მათ ბაზაზე წარმოიქმნა კოლმეურნეობა „საქართველო“. ჩვენთან ძირითადად მევენახეობა და მეცხოველეობაა განვითარებული. ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა სიმინდს, რისი განვითარებაც მეცხოველეობის გაზრდის საუკეთესო პერსპექტივას იძლევა. ვცდილობთ სიმინდის სასურველი მოსავალი მივიღოთ ურწყუავს პირობებშიც.

სწორედ ამ კაბინეტში გივი დუნიძესა და სხვა ამხანაგებს გულთბილად ესაუბრა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. თავმჯდომარე აღტაცებული გვიზიარებს ამ დაუვიწყარი შეხვედრით მიღებულ შობაბუნებრივებებს. თავმჯდომარესთან და სხვა მოწინავე კოლმეურნეებთან საუბარს ნიკიტა სერგის ძემ (როგორც ამას სოფელში ყველანი დაბეჯითებით აღნიშნავენ) საათი და ათი წუთი დაუთმო.

გივი დუნიძე აღფრთოვანებულია ნიკიტა სერგის ძის პიროვნებით, მისი დაუცბრომელი ენერგიით, საქმის სიყვარულითა და ყოველგვარი წვრილმანის-ცოდნით.

გივი თავისთავს მხოლოდ ორიოდ სიტყვით გვაცნობს. დაიბადე 1931 წელს. სპეციალობით ვეტექიმი ვარ. თავმჯდომარედ სამი წელია ვმუშაობ. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით საქმე ჩვენთან ურიგოდ არ მიდის.

ამ ახალგაზრდა კაცს, რასაკვირველია, გადაჭარბებული წარმოდგენა არა აქვს საკუთარ პიროვნებაზე, მაგრამ თავისი თავის ფასიც იცის.

გივი არ ამირებს კოლმეურნეობის მიღწევები და წარმატებანი კანტორის ციფრებითა და მშრალი ანგარიშებით გაგვაცნობს. გვიჩვენებს — ადგილზე, შრომის პროცესშივე გავუსინჯოთ მათ მათს ცხოვრებას.

მ ა მ ა - მ ვ ი ლ ი

ახლა ჩვენ საგარეჯოელი კოლმეურნის გიორგი ჭიხოსროშვილის ოჯახის სტუმრები ვართ.

ღამეა. ოთახში თბილა. ოჯახის წევრები და სტუმრები მოზრდილი თუნუქის ლუმენის ირგვლივ ვართ შემომსხდარნი. სველი შეშა ტყაცუნებს, მუგულულები სკდება და ვარდისფერი ნაკვერცხალი ხანდახან იატაკზეც ეცემა.

გიორგი ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე ზის, უღმუნებს ისწორებს და დინჯად ლაპარაკობს. ეს ორმოცდაცხრა წლის კაცი სამი დასაოჯახებელი შეილის მამა და დოვლათით ხვსენ ოჯახის უფროსია.

გიორგი ჭიხოსროშვილი მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ბრიგადირის მოვალეობას და ამჟამადაც მერგოლურად მუშაობს. ამ ხნის მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, რასაკვირველია, ერთ საღამოს ვერ გავიზიარებთ. ვატყობთ, როგორ ამოკლებს სათქმელს, როგორ ცდილობს ყველაფერი გახაგებად მოგვიზიაროს.





გიორგის შვილი ავთანდილი, მთელ რაიონში ცნობილი მესიმინდე, ხშირად ეკამათება მამას. ეს კამათი ერთ მომენტში ისეთ პრინციპულ ხასიათს იღებს, რომ გვეშინია კიდევ, უსიამოვნება არ მოხდეს. მამა-შვილი სასოფლო-სამეურნეო ტრამინების კორიანტელს აყენებს. ამ დავის დროს ოჯახის დიასახლისი და ახლგაზრდა ქალიშვილები იციინან: ვიღებთ ჩვენც და, რასაკვირველია, მოკამათენიც.

რა არის მიზეზი მამა-შვილს შორის ჩამოვარდნილი „უთანხმოებისა“? მამას, გიორგის მამანია, რომ უკეთესია სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, ეს მამან, როცა შვილი მწკრივად დათესილ სიმინდს ამჯობინებს. ორივე ამ მეთოდის ავტორიტეტს ძირითადად მქაინებელი თესვის ხარისხიანობაზე უფოილა დამოკიდებული.

— შარშან, — გვიყვება ავთანდილი, — ბექტარზე 56 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანე. ჩემი რაიონისათვის ეს მიღწევა, მაგრამ მე ხომ ვხვდები, რომ მეთის გაკეთება შეიძლებოდა. სხვათა შორის, ცუდად იყო დათესილი და ზოგიერთ ადგილზე ცარიელი მიწები დარჩა. ტრაქტორის დისკოები თესლს კარგად ვერ ატარებს, ბევრს ამტვრევს და საერთოდ სიმინდს კარგად ვერ ანაწილებს. კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს შრომა ბევრად იოლდება, მაგრამ მცენარეთა სისშირე არ არის უზრუნველყოფილი.

— სამაგიეროდ მწკრივად დათესილ სიმინდს თონის დროს ტრაქტორი აფუჭებს, აწყვეტინებს მამა.



— სულ არ მინდა ტრაქტორი, ხელით ვავთონი, ხანამ ამ იარაღს არ გააუმჯობესებენ და ჩვენს პირობებს არ შეუფარდებენ.

ავთანდილი ყველაფერს ამას მორიდებით მყვება და ხშირად თავიც კი აქვს ჩაღუნული; თუმცა ეს სრულიადაც არ უშლის ხელს, რომ ხანდახან უსაშველოდ დიდი თმები ხელით გაისწოროს და სახის პროფილი გამოაჩინოს. იგი ხვდება, რომ ტახტზე, მუთაქებს შორის რბილად მოკალათებულ მბატვრებს მისი სახე გულმოდგინედ გადააქვთ ქალღმერთს.

ავთანდილს ბრიჯადირად ნიშნავდნენ, მაგრამ უარი განაცხადა, რადგან წველს ორი ბექტარი მიწა იყო დასამუშავებლად და დრო აღარ რჩება.

თავის ნაკვეთზე ავთანდილმა მისი რაიონისათვის სარეკორდო მოსავალი—ბექტარზე 120 ცენტნერი სიმინდი უნდა მოიყვანოს. მისი საყანე ადგილი სოფელს 18 კილომეტრით არის დაშორებული. ეს

ერთგვარ სიძნელეს ქმნის, ცხადია, მაგრამ ავთანდილს გადამწყვეტილი აქვს, მუშაობის პროცესში მტერი წილი ღამისა მინდორში გაითენოს. ამჟამად იგი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტია.

თბილისშივე სწავლობს მისი და მედეა. მედეა სოფელმა გაგზავნა სასწავლებლად. უმცროსმა დამ, თინამ საშუალო ახლახან დაამთავრა და სამუშაოდ სოფელში დარჩა. მათ დედა, ფერმის თანამშრომელი ქალი წარჩინებული მეწიწელია.

მამა, დედა და შვილები სიმაღლეშიაც ეჯობებენ ერთმანეთს. მამა და ვაჟი შავგვრემანები, წვრილი წელითა და თხელი გულმკერდით, ქალიშვილები და დედა ღია ჩაღისფერი თმებითა და ცისფერი თვალებით იქცევენ ყურადღებას. ეს ორი ფერი საოცრად ალამაზებს ამ ოჯახის გარეგან მორთულობასაც.

ჩვენ ფეხზე ვდგებით და წასვლას ვაპირებთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, მოსვლა იყო ჩვენი ნება, წასვლა კი მასპინძლების განკარგულებაში რჩება. ამ არც თუ ისე ბრძნული ანდა-ვის ხისწორებს განსაკუთრებით შუაღამისას ვგრძნობდით.

პ ო ე ტ ი

სოფრაზე ოჯახის ახლობლები, ავთანდილის მეგობრები სხედან. ამათში ერთი, გურამ ტახტაძე, პოეტი აღმოჩნდა. ეს ამბავი ძალიან გვახარებს.

გურამი თეთრი ბიჭია, წვერ-ულვაშიცა და თმებიც თეთრი აქვს. სოფელში „თეთრო



გედოსაც“ ეძახიან თურმე. გურამ ტაბატაძეც თბილისში სწავლობს დაუსწრებლად. თვალბრძანების სისუსტის გამო ფიზიკური მუშაობა აკრძალული აქვს, მაგრამ ეს გამრჯე ქაბუცი ყანაში მუშაობას თავს არ ანებებს. გასულ წელს ბევრითი შრომისათვის ფოტოაპარატი და საათიც კი მიუღია საჩუქრად. ამხანაგები ეხუმრებინან: ურჩევნ ყანას თავი დაანებოს, შრომადღებებს ლექსებშიც დაუწერენ.

პოეტი მალ-მალე კითხულობს ლექსებს. ერთ ლექსს „ჩემი სოფელი ძველად და ახლა“ რამდენჯერმე ამეორებინებენ.

იყო გოდება საგარეჯოში...

ვცდილობ ნაწყვეტები მაინც დავიმახსოვრო.

კავ-ბარი, თოხი, ხახნისი... (მგონი ნიჩაბიც)


მუჭეუმს გადავაბარეთ...

საგარეჯოელები, ჩანს, ამყობენ გურამ ტაბატაძით. ჯერ ძნელია თქმა, ეს კაცი თავის სოფელს ლექსებით გაუთქვამს სახელს თუ სიმინდის მოყვანით, მაგრამ ერთი რამ ახლავე ცხადია: გურამი ჩვენს ქვეყნის სასიქადულო ახალგაზრდა და სასახელო მოქალაქედ დარჩება.

მ ი ნ დ ვ რ ა დ

მეორე დღე. საუცხოო ამინდი დგას. დილიდანვე იდარბს. მზე არის უელამდე. ხაოცრად თბილა.

ჩვენთვის განკუთვნილი „ვილისი“ რაიკომის შენობის წინ დგას.



— უკეთესი მანქანა არ გამოდგებოდა მინდვრებში სასიარულოდ, — ბოდისობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ფარნაოზ კავთუაშვილი. მანქანა მართლაც დანჯღრტულია, ცალი კარი ორად არის გაყოფილი. მძლოლი ჩაჯდომისას ჯერ ერთ ნაწილს ხურავს, შემდეგ მეორეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს საკმაოდ მსუბუქად და მოხერხებულად ასრულებს.

მალე გავცდით ასფალტთან გზას და თვალუწვდენელ მინდვრებში, სახნავ-სათიბებსა და საძოვრებში ჩავიკარგეთ. დღეში ალბათ რამდენჯერ გადაუვლის ეს მანქანა ამ უსწორ-მასწორო მინდვრებსა და კოლბოხებს; რა გასაკვირია, რომ საკმაოდ შელანძლულა. თუმცა ეს ამბავი ჩვენ ხულაც არ გვადარდებს, თავს მშვენივრად ვგრძნობთ; მით უმეტეს, ასეთი მხიარული მძლოლი და თავაზიანი მასპინძელი ფარნაოზი გვახლავს. მძლოლი რატომღაც ისე გახარებული ათვალიერებს ყველაფერს და ისე იზიარებს ჩვენს აღტაცებას, თითქოს იგივე პირველად იყოს ამ გზაზე.

სოფელთან ყველაზე ახლოს მეცხოველეობის ფერმაა. შორიდანვე მოჩანს აგურბრძანით დაწყობილი, დაპრესილი თივის ზეინები. პირველად ძალღები გვეგებებინან. თეთრი, კუდაპრესილი ნაგაზები ყველთ მოკვდივენ.


მივადგებით კიდეც ფერმას და ახლა მთელი სისწრაფით ვუვლით ირგვლივ ამ უზარმაზარ ბონელს, ჯერ ერთხელ, შემდეგ მეორედ და ასე შემდეგ. მანქანის გაჩერება ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გაავებული ძაღლები შეიძლება მოშლიდებულ კარებში შეიშვავებინან, შემდეგ ალბათ თავისებურად გვემენ კიდეც პატავს. როგორც იქნა გამოჩნდნენ კომბლიანი მწყემსები და ბრაზიანი ნაგაზები მიაჩუმეს.

გრძელი, დაბალჭერიანი ბოსელი ლაქვიური ძროხებით არის გავსებული. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, თითქოს ინკუბატორიდან იყვნენ გამოსულნი. ყველა ერთი ზომისა და ერთი ფერისაა: შავითა და თეთრით მოხატული.

ვეება ნაგაზების ტოლი ოთხი ხზო ცალკე გადაღობილში მისურხლულა. ჩვენს ალერსზე თავაზიანად გვპასუხოვნ და ხელებს გვილოკავენ.

— ამათი ღებების გარდა, ყველა დანარჩენი უშობელია, — გვისხნის ფარნაოზი, — ესენი ლაქვიიდან არიან მოყვანილნი, მაგრამ აქაურ პირობებს შესანიშნავად შეეგუენ. ბაგურ კვებაზე არიან, ისე მინდორშიაც გაგვუავს. ჯერჯერობით რძეს არ გვაძლევენ... ძროხის სულადობაში კი ყველანი გვიწერია. ამიტომ წველადობის გეგმაც გაზრდილი გვაქვს და მხოლოდ ამის ბრალია, რომ ამჟამად წველადობის საქმეში პირველ ადგილზე არა ვართ.

ძროხები ამჟამად ბაგებში ჩაურბლ თივას მიერთებენ. ისინი მიჯრით ღვანან და ერთმანეთს გვერდებს უხახუნებენ. ხანდახან ერთმანეთს სასიყვარულოდ რქასაც სთავაზობენ.




გარეთ გამოვდივართ. მზე პირდაპირ თივებს მისდგომია, ირგვლივ ნებისა და ხმელი ბალახის სუნი ღვას. თეთრი ძაღლები ზვინებს უკან მიწოლილან და, როგორც კი მწუეშებს თვალს მოარიდებენ, კბილებს გვაჩვენებენ.

მანქანა დაიძრა. ძაღლები მოგვდევენ და ყველით მიგვაცილებენ, ორა მარჯვნიდან და ორი მარცხნიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ოფიციალური ცერემონიალიც მთავრდება.

გავდივართ ივრის წყალში. იორი ძლივსდა მოწანწკარებს. ასე დაჩიავა იგი თბილისის ზღვამ და სამგორის სარწყავებმა.

ივრის იქით მთლიანად შიშვლდება ყველაფერი. ჩვენს წინ კახეთის ზეგანია. „და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიან, მცირე-თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავთაა მშვენიერი, ხოლო ზაფხულ ცხელი“...




მანქანა სვლას უმატებს. ჩვენსკენ და ჩვენს საწინააღმდეგოდ მორბის მინდვრები შავი ნახევრებით, ელექტრონის მაღალი ანძებით, ბორცვებითა და ბუჩქნარებით.

— მარჯვნივ სავენახედია დაბრუნებული, აქეთ სიმინდი დაითესება. იქით ხეხილის ხალებია: ვაშლი და ატამი. ეს ქარსაცავი ზოლებია, — გვიხსნის ფარნაოზი.

დახნულ მინდორში შავი პატავი გროვა-გროვად დგას. მინდორში გაფანტული გროვები კარუსელივით ტრიალებს. ახლა მანქანა ისე სწრაფად მიქრის, ჯაუჯაუს ველარ ვგრძნობთ. მარჯვნივ მოწითალო ტრაქტორი მიარღვევს მიწას. უფრო აქეთ გლუხებს სასუქი შეაქვთ მინდორში. შორს ვაკეში ცხვრის პატარ-პატარა ფარებია გაფენილი. შორიდან ისინი გაშეშებული ჩანან და შეგიძლია დიდრონ ბელტებსაც მიამჯვანო. ზოგიერთი ბორცვის ძირში თოვლია შერჩენილი. თოვლის ეს პატარა ნაგლეჯები ბორცვების ჩრდილიან მხარეზე ცხვირსაბოცებივითაა დაფენილი.

მინდვრები უფრო და უფრო იცვლის ფერს. ზოგან ბაცდება, თეთრდება, ზოგან ჩამავალი შუის ფერს დაიკრავს.



შ ა რ ც ხ ი

ახლა ჩვენ მეცხვარეობის ფერმის პირველ ბრიგადაში ვართ. ცხვრის ახლადგებული სადგომები გობივით ტაფობშია მოქცეული. ნიავი მხოლოდ ზევით უბერავს. მიწაზე სასიამოვნო მუყუდროებაა.


მოშორებით გაუქმებული მიწური სადგომები მოჩანს. ამ ძველ მიწურებს ახლა მიწასთან ასწორებენ. ახალი ფარებები მსუბუქი ბეტონითაა ნაგები. შიგ სინათლე და სისუფთავეა.

ფარებებს ბრიგადირი გიორგი გიგინაშვილი გვათვალისწინებინებს. ბატკნების სადგომში ტაქსიმულია გრძელი თოკი, რომლის უამრავ მარყუევებში თივის ბლუჯებია გაჩრილი. საძოვრებიდან დაბრუნებული ბატკნები ალბათ სიამოვნებით შეეცევიან ამ საკვებს.

— დღლი მთლიანად დავამთავრეთ, — ამბობს ბრიგადირი, — ნამატი ძალიან ბევრია. ახლა ბევრი რამ ბატკნების მოვლა-პატრონობაზეა დამოკიდებული. ამინდს კარგი პირი უჩანს.

გარეთ მართლაც თებერვლის საუცხოო დღეა... თივის ბულულებში ბელურები შეივსებენ. იქვე თავდასიებული ძაღლის ლეკვები კოტრიალობენ. ვცდილობთ, რომელიმე მათგანი მაინც მოვიტყუოთ ახლოს, მაგრამ არაფერი გამოდის.

— ძალი უკვირიაო, ამბობენ, მაგრამ ცხვრის ძალი ძალიან უკარება. ცხენი უფრო თვინირია, როგორც გინდა ისე მოექცევი, — გვეუბნება მინდვრის მეველე, დაბალი, მომღიმარი ხახის კაცი სოლომონ ურდულაშვილი და თავის ცხენზე გვითითებს. ცხენთან მივდივარ



და სოლომონის პატივისცემის მიზნით, ვცდილობ თავზე ხელი გადავუხვა. პირტუტყვი, პატრონის სიტყვების დასამტკიცებლად, კბილებს მიკრეჭს და ახლოსაც არ მიკარებს.

ახლა ჩვენ ცოტა მოშორებით მობაღახე ცხვრის ფარაში შევერიეთ და დანარჩენ მწყემსებს ვეცნობით. მეველე სოლომონი დიდი ჯოსით ხელში გვერდიდან არ გვშორდება. იგი ძაღლების მოსალოდნელი თავდახმის ასაცილებლად ჩვენზე გაპიროვნებული.

ვემშვიდობებით სტუმართმოყვარე მწყემსებს. მეველე ცხენზე ჯერ ხურჯინს დებს, შემდეგ ეს სამოცდასამი წლის კაცი მარდად ექცევა თავის მერანს ზურგზე, ბეჭზე ორღულაიან აფხს იხწორებს და მიდის. ცოტა რომ გაგვიცდილება, ალბათ წაიღილინებს კიდევც...

ქ ა ტ მ მ ა რ ი



„ვილიისი“ მოურთიდეზლად იჭრება მექათმეობის ფერმის ეზოში. დამფრთხალი ქათმები კრიახით გარბიან და გზას გვითმობენ.

სამი უზარმაზარი საქათმე (თუ შეიძლება ამათ საქათმე ეწოდოს) ერთმანეთს კარგა მანძილით არის დაშორებული. ერთ-ერთ მთავარ შენობასთან ვიკრდებით. ცხენის ზურგის მოყვანილობის ზეგანი ქათმებს გადაუთვთრებიათ. წითელი ხაჯიშე მამლები აქა-იქ ყუაჩოებივით მოჩანან. ეს მამლები დალეღლების წითელი, ხახხახა ბიბილოები საოცრად ეხამება თეთრ ფერს. ირგვლივ ალპიური მდელოს ხილამაზეა. უფრო შორს მდინარის კალაპოტი ჩანს. ეტყობა, იორმა გზა მოგვიჭრა და წინ გადაგვიღა.

შეგდვართ ფერმის შენობაში. კედლებთან მოწყობილი უზარმაზარი კასრები და კალათები კვერცხებით პირამდეა ავსებული.

საქათმე, აქაც საოცარი სისუფთავეა. წღვის ბალახით სუფთა, რბილი თევა ძირს დაფენილი. ირგვლივ საბუღრებია. ვიწრო ჯიბურებიდან კვერცხის დასადებად დამწვარი ქათმები მელიებივით გვიყურებენ.

— ფრთხილად იყავით, კვერცხს ფეხი არ დაადგათ, ფეხსაცმელი დაგვისრებათ, — გვფრთხილებს მექათმე დიასახლისი, — ქათმები ყველგან დებენ კვერცხს: იატაკზე, ეზოში, ჯაგებში... აკრეფას ვერ ავუღივართ.

ამ ქალის სიტყვების სისწორეში მალე ვრწმუნდებით. საითაც ვახედავ, კვერცხია გაგორებული. ერთი ქათამი ხის ღირწეც კარის დამწვარი, ბელურებს ურიამული გააქეთ. წოვიერთი სახორცე დედალი თერთ ქათმეში იზოლდებითა გარეული.



ა მ ი რ ა ნ ი

შენობის კუთხეში, ქათმებს შორის ვეებერთელა ტანის კაცს ვამჩნევთ. იგი ჩვენსკენ მოდის.

— გაიცანით მექათმეობის ფერმის გამგე, ამირან რატოშვილი.

ამოღენა კაცს თითქოს სულაც არ შეუფერის ამ ფერმაში მუშაობა. ჩვენ გველიმება, თანაც საქაშოდ მოურიდებლად, რადგან ამირანი რატომღაც თვითონვე გულთანად იციანის. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— ერთი წელიწადია, რაც აქ ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე ძალიან შემეყვარდა ქათმეობა... ხე, ხე...

— ერთი რაღაც უნდა შეგეკითხოთ, თუ შეიძლება, — ეუბნება დიმიტრი ერისთავი, — როგორც ფერმის გამგეს, თქვენ გეცოდინებათ, ქათამი უწინ გაჩნდა თუ კვერცხი?

— ჩვენს ფერმაში ჯერ ქათამი გაჩნდა და სხვაგან ვერ ვიტყვი, ხე, ხე, ხე... — ხუმრობაზე იციანის ფერმის გამგე. შემდეგ განაგრძობს:

— ჩვენ 15 ათასამდე ფრთა ქათამი გვყავს. აქედან მესამედი კვერცხის მდებელია. დღეში 1500-1700-მდე კვერცხს ვიდებთ. ვცდილობთ სულ მალე 2000-მდე გავზარდოთ კვერცხის ყოველდღიური შემოსავალი. ვეიშინი ქათმებია. უმრავლესობა ყოველდღე დებს კვერცხს. წოვიერთი მათგანი მოკრუხდება ხოლმე, შეიღების გამოჩეკას მოინდომებს ინკუბატორის გარეშე, მაგრამ მაგათი წამალი კი ვიცით: კრუხს წყლით სავსე კასრში ჩავაყუდებთ და მორჩა... ყველაფერი გაუვლის. ხე, ხე, ხი, ხი...

უ კ ა ნ

ახვ მინდვრები. სამოვრები, გადაბრუნებული მიწები, ცხვრის ფარები, ელექტრონის ანძები, ვენახები, ჯაგები და ბუჩქნარები.

შორს — გომბორის მთები. უფრო ახლოს — ცივკოდან გაშიშვლებული კალთები. მოტიკვლებულ გორებზე ბილიკები თითქოს ცარციით დაუხზავს ვიდაცას.

საგარეგო სამკუთხედად შექრილა მთის ფერდებში. მარჯვნივ გიორგიწმინდაა, მარცხნივ ნაწოწმინდა თავისი ტაძრის მაღალი სამრეკლოთი. ეს ხამი წმინდანი (საგარეგო გარეჯის მონასტრის ეკუთვნოდა) ერთმანეთს გადაბმია.


მთის კალთების ძირში და რკინიგზის გადაღმა გაწოლილი ეს ხამი სოფელი ჩვენსკენ მოდის და სწრაფად გვიახლოვდება.

გადატრუსულ ბუჩქნარებთან თენგიზ მირზაშვილი მანქანას აჩერებინებს. ძირს ჩამოვდ-
ვართ. თენგიზი საგარეგოს მთლიან ზედს იხატავს.

შოფერი გამხმარ ძეგვებში დაძვრება, შავად მბზინავ ბეწვიან დედოფალებს დასდევს და
ჩვენ გვექაზის.

სალამო. კანტორა. ნაცნობები, მეგობრები. გზამშვიდობისა და მეორედ ჩამოსვლის სურ-
ვილები.

რბილი მანქანა ასფალტზე მიჰქრის. ნაცნობ მიღამოებს სალამოს ჩრდილები ფენება. უკან
რჩება საგარეგო, კოლმეურნეობა „საქართველო“, მშრომელი ხალხი, გლეხები... უკან რჩება
იქ გატარებული რამდენიმე დღე და მოგვეყვება იმ დღეთა შთაბეჭდილებები, ნაცნობებისა და
მეგობრების სიბზო და სიყვარული.



აღექსანრა გომიანვილი

სად არის ძვენად სხვა დარიალი

მაჩაბლის ქუჩა. მწერალთა სახლი.
დგას დათოვლილი ბალი პატარა.
ამ ბაღში ბევრი სიმღერა ლალი
ავგაროზივით გულმა ატარა.

ახლა ზის მერხზე ბერი ბულბული
და მეგობრულად ახლებს უცინის:
როგორ ვმღეროდით ზათქით-გუგუნით
ჩვენ, პოეტები რევოლუციის.

ბალი რა არის! ლაქვარდი ღელავს
და ფიქრი შედის ზეცის უბეში, —
ღრუბლებს გადააქვს მთების სიმღერა
საუკუნიდან საუკუნეში.

და მე არ მინდა, ეს ჩემი ლექსიც
იყოს დაკრული ტორზე — ტორისა,
როცა ისედაც ჰყვავის ალერსი
პუშკინისა და ლერმონტოვისა.

შენ მეუბნები, ბულბულო ჩემო,
კარგი არის, რომ მივბაძო ვაჟას, —
მაგრამ გრიგალებს ვეღარ ვცილდები
და ევენებივით ვაქლერებ ლაქვარდს.

მეგობართ შორის, როგორც ონისე,
მეც ხომ ვყოფილვარ გელას მაყარი,
მაშ, რად არ ვუმღერ სოფელ ტორნისელ
გლებსის ქორწილს და საწყალ მაყვალას.

რამ დამავიწყა ჰაბუქს ორი მზე
ცისკრის სხივებად ცაზე გაშლილი:
სტეფანწმინდაში — მოჩხუბარიძე,
ჩარგალში — ლუკა რაზიკაშვილი!

შენ როგორ ფიქრობ: მთიელ მაყვალას
 ისევ ცრემლი სდის შეუშრობელი?! —
 როცა ონისემ წისლი გაჰყარა
 და გზას მოარღვევს, როგორც შოფერი.

შენ როგორ ფიქრობ: ზვიადაურებს
 კვლავ ჯარეგაში მტრობენ ქისტები?! —
 თუ, სხვათაშორის, ლექსში აურევ,
 როგორც პოეტი დადაისტების!

და ვტოვებ ქალაქს...
 ფიქრებს შემოსავს
 მკერდშებოლილი მწვანე სერები.
 მთების სელა აგავს ზღვაზე შემოსვლას
 აჯანყებული კრეისერების.

სანდრო ყაზბეგი მყინვარის შუბლით
 ბურსაჭირიდან ღელეში ჩადის,
 იქ წარაფევით აწვდილა შუბი
 და შუბის ფხაზე ციხეა ჩადის.

ჩადის ციხეში ორბელიანი
 ისევ არაგვის სრბოლას გაჰყურებს
 და ეზმანება მღვრიე მორევში
 წინანდლის ვარდი... ნინო... საყურე...

მხოლოდ მთებია სილაღით სავსე
 ყველა არწივის და ლექსის დედა. —
 და ვით არწივებს, მყინვარის თავზე
 ჩემთა წინაპართ აჩრდილებს ვხედავ.

ვხედავ: ცახცახებს ტყეში ფოთოლიც,
 ისმის დემონის ავი ჩხავილი
 და ლერმონტოვის სული ობოლი
 კლდეებზე დაჰქრის ქარიშხალივით.

ისევ ნაცნობი გუგუნნი ისმის,
 გადაუარეს მყინვარს ქარებმა...
 ბეთლემის კარზე შრიალებს წისლი
 და ხევში თერგი მიეჭანება.

მყინვარწვერიდან ნამქერი წივის,
 დგება ჭალარა აჩრდილი მთაზე
 და ჰავეჰავაძე, ბრძენი არწივი,
 მთლად საქართველოს დაჰბრუნავს თავზე.


ვაჟა დასტირის დაქანგულ გორდას,
მთაში მანქანის მოსვლა აწუხებს. —
აწუხებს, როცა გვირაბებს გორთან
გულში უჭერენ რკინის მარწუხებს.

აწუხებს ხევისურ მინდიას ბედი
და ხევისბრობა ბლოელ აფშინას. —
დგება ჭაუხი გადამწვარ ფერდით
და შავნისლივით ცხვარი აშლილა.

აშლილა ნისლი... სამხედრო გზაზე
თეთრად ქათქათებს ბერი მყინვარი
და მყინვარიდან მთელ ქვეყანაზე
ისმის არწივთა ხმა გამყივარი.

აქ დაიბადა, აქ აღიზარდა
არწივის ხმაში სიმღერა ვრცელი
და ვით სამების გუგუნნი ზართა,
რეკავს ხმა ქვეყნის მალეძებელი.

ანდა — სად არი სხვა დარიალი,
ლალი სიმღერის ადგილის დედა?!
მთებია ჩემი ლექსის პარნასიც
და გამჭრიახი არწივის ხედვა.





კარლო კალაძე

აფხაზური ეპიგრაფიკა

აქ, ათას ცხრაას ოცდაერთიდან

არა, მთის შუბლი არ იღრუბლება,
ტყეებს აღვიძებთ ლალი შრიალი:
„თავისუფლება, თავისუფლება!“
ზღვა გაიძახის ქარიშხლიანი!..

ქარს ბნელი ღამე გაუხანჯლია,
მიაქვს ბინდის და ღრუბლის ნაფლეთი,
ზეცას ჭრილობის კვალი აჩნია
ჩრდილოეთიდან — აღმოსავლეთით.

უცებ ამაღლდა მთების მკერდი და
უცებ ცხენების თქარა-თქურია...
ამ ათას ცხრაას ოცდაერთიდან
აქ მხოლოდ მზე და გაზაფხულია!

გაზაფხულია ამ მთებში მხოლოდ
და ღელვა მარად მწვანე ბაღების,
და ღელვით როგორ არ მოვიგონოთ
სურათი პირველ დღის გაჩაღების!

დილაჲ, ო, დილაჲ!

დილაჲ, ო, დილაჲ, დილაჲ ახალო,
მეც ნუთუ უცხო მგზავრევით მცდიდი,
ენგურით როგორ ფიქრობ აპყარო —
ვეფხვის გაბედულ ნახტომს ჰგავს ხიდი!
რაო, რა გინდა ამ გულს ახარო,
ნაპერწყალივით რომ გაჰკარ ბწყალი, —
წყალ-გალმა გვიცდის სამურზაყანო,
წყალ-გალმა უკვე გალია, გალი!

დილავე, ო, დილავე, დილავე ახალო,
მეც ნუთუ უცხო მგზავრევით მცდიდი,
გადმოვიარე ცხრა მთა, ცხრა წყარო
და ლილო-ჭრილო მინდორი დიდი,
ცისკენ მიიწევს გზა უსახლკარო,
ტყვეს უკვე თმაში ეჭრევა ქლალი,
ფერს იღებს მიწა, მიწა აყალო
და სარკეებად ჩამდგარი წყალი.

დილავე, ო, დილავე, დილავე ახალო,
ჩვენი სიცოცხლის მაღალო დილავე,
თუ მზის ამოსვლით გასურს გაგვახარო,
გულს უკვე ღრუბლით ნუ დაგვიჩრდილავე!..

ჩხალთა, წებელდა

მიწას აქა-იქ აჩნია კვალი:
იქით ჩხალთაა, აქეთ წებელდა,
აფხაზური და სვანური გვარი
უხსოვარ დროის დამმიწებელთა!

სააფხაზოდან უკვე სვანური
სოფლები მოსჩანს... და აი, ჩხალთაც
ყოფილა ჩვენი ზღვის მოყვარული, —
აქეთ ისწრაფის ფეხისხმა წყალთა!

მგზავრო, ამ ზვირთთა სვლას დააკვირდი,
კიჟინი-მისი ვაჟკაცურია:
ასად რომ გაპყო მდინარის ზვირთი
ის მაინც სვანურ-აფხაზურია!

ხვეიდან ხევში ღვარს ერთვის ღვარი,
ეხმიანება სოფელი სოფელს
და ძალით ვინ-და დაუდოს ზღვარი
ჩვენს ამომავალ ღღეს განუყოფელს!

არ გიყვართ განა...

ვეწვიოთ მთებზე გადმომდგარ ოდებს, —
ჩვენი ხალიჩა — მწვანე მოლია!
ვაზი ერთ მტრევანს ჩვენც მოგვაწოდებს
ხეს ხვეენით მაღლა რომ აპყოლია!

ჩვენს თვალწინაა სიმინდის ყანა —
ჩაბალახების შრიალ-შრიალი!
აყალო მიწა არ გიყვართ განა,
ან და ფერღობი ნიაღვრიანი!



არ გიყვართ განა, რომ ჩაის ბუჩქებს
გუნდისხეები თავს ადგას გუნდად!
კოდორს მღელვარე გული თუ უჩქედს —
ტალღებს ნაპირზე აფრენა უნდათ...

და არ ვიკითხოთ — რაა ასეთი,
ჩვენც რად გვაჩოქებს აქვე ბუნება?
— სხვა საქართველო, სხვა აფხაზეთი,
არა, ჩვენც არსად არ გვეგულება!

ბზიბი

ზღვას დასცქერის კლდე და
ცა თვალ-მოკამკამე —
ათას ერთი დღეა,
ათას ერთი ღამე!..

როგორც ლექსი, უცებ,
როგორც მუნასიბი
მიძინებულ ზღვაში
შემოიჭრა ბზიბი...

მივსწვდი მეც ერთ ტალღას
და შევაველე პეშვი,
წაეჩურჩულე: — ასე
რისთვის გადმოეშვი?

ერთი სიტყვა მითხრა,
ერთი... როცა ვკითხე:
— განა კლდე ვარ გულქვა,
მღუმარედ რომ ვიდგე!



სოსო კოჩინთაი

სწავლა და სიყვარული

რომანი

მეხუთე თავი

— რა მოხდა, დეიდა სონია? — ჰკითხა დათომ.

დეიდა სონია აიენის ბოძებს შორის გაბმულ ალუმინის მავთულზე აბრე-შუმის წითელ საბნებს ამხეურებდა. იგი დილიდანვე ბუზღუნებდა, ილანძღე-ბოდა.

— ვინ გაგაჯავრათ, დეიდა სონია, რა მოხდა? — გაუმეორა დათომ.

— რა მოხდა? რა მოხდებოდა! ქალებს გასწყვეტს შავი ჭირი... — დეიდა სონიამ ჩითის ჭრელი თავსაფარი ენერგიულად მოიძრო და მერე ისე წაიკრა თავზე, რომ ჭაღარა თმები და ყურებიც დამალა. იგი წარმოსადეგი, მსუქანი ქალი იყო. სახის მსხვილი, მამაკაცური ნაკვთები ჰქონდა და გაბოხებული ხმით ლაპარაკობდა.

დათომ ხელები გადაიჯვარდინა გულზე და იღვა. ხმა არ ამოუღია.

— ცბიერები არიან, ორგულები, გაუტანლები... — განაგრძო დეიდა სონიამ.

— ქალებზე ამბობთ? — ჰკითხა დათომ.

— ქალებზე მოგახსენებ! არ მიყვარს ქალები, მაგათი ბალანი კი დაიწვას. შავ ჭირსაც გაუწყვეტია ყველა ერთ დღეს, არაფრის მაქნისი ისინი არ არიან... ჯარშიც კი არ იწვევენ.

დათოს გაეღიმა, მაგრამ დამალა.

— ეგ უკვე ზედმეტია, დეიდა სონია. — თქვა მან.

— თავშიც ქვა უხლიათ. რატომ არ უნდა გაიწვიონ ჯარში! მუქთახორე-ბი... არაფერში ისინი არ გამოდგებიან. მხოლოდ ღალატი შეუძლიათ და ორგუ-ლობა... გასაწყვეტლები!

ირაკლი აივანზე იჯდა და მზეს ეფიცებოდა. ყველაფერი გაიგონა. ებრა-ლებოდა დეიდა სონია, მაგრამ არც მის რძალს ამტყუნებდა.

ვაჟის ომში დაღუპვის ამბავი დიდი ხანია მოუვიდა დეიდა სონიას. რძა-ლი — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მაინც ელოდა ქმარს. ელოდა, ვიდრე ყოველ-გვარი იმედი არ გადაუწყდა. ამ ერთი კვირის წინ კი გათხოვდა და დედამთი-ლის სახლი დატოვა.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2.

ირაკლი არ ამტყუნებდა დეიდა სონიას რძალს. ახალგაზრდა ქალი იყო, სიცოცხლით სავსე, ცხოვრება უხელოდა, ბედნიერება უნდოდა, რა ექნა?

დათო ირაკლისთან მივიდა, გვერდით დაუდგა და ხმადებლა უთხრა:

— მეცოდება დეიდა სონია. ერთადერთი შვილი დაეღუპა, ახლა რძალმაც მიატოვა... მარტოხელა დარჩა.

ირაკლიმ დათოს შეხედა. არაფერი თქვა.

— საწყალი ქალი... — დათო ჩაფიქრებული გაპყურებდა სივრცეს.

ირაკლიმ ახლაც არაფერი თქვა. საწყალი! ყველა საწყალია. შოთა მოაგონდა, დეიდა სონიას ვაჟი. კარგი ბიჭი იყო, დინჯი და ჭკვიანი, რალაც გამოგონებაზე მუშაობდა ომში წასვლის წინ... ის კი არ არის საწყალი? ან მისი ცოლი? სიყვარულით გაპყვა შოთას. ელოდა, დიდხანს ელოდა და არ დაუბრუნდა.

ყველა საწყალია.

— შენ გახსოვს შოთა? — ჰკითხა დათოს.

— ბუნდოვნად. ის კი მახსოვს, რომ მაწვალებდა.

— ჰო, ლოყებს გარმონივით გაგიწვლავდა ხოლმე... — თქვა ირაკლიმ.

— და ქუდს ცხვირამდე ჩამომამფხატავდა.

— ჰო, უყვარდა შენი წვალება...

დათომ ძმას მხარზე ხელი გადასდო და თვითონაც აივნის მოაჯირს გადაეყრდნო.

ირაკლის სიამოვნებდა, რომ ხელში ფარგალი ეჭირა. რეზო თვალს არ აცილებდა მისი ხელის მოძრაობას... და ენით ეხმარებოდა. ენით თავის პუტყუნა ლოყებს იმ მხარეს გამოებრავდა, რომელი მხრითაც ირაკლი ფარგალს ატრიალებდა.

ირაკლი ხშირად გაკვეთილების მომზადებაში შველოდა რეზოს. ბოლოდროს რუსულ ენას ასწავლიდა. ახლა კი ხელნაკეთი გემის ნახაზს აკეთებდნენ. ირაკლის სიამოვნებდა, რომ გვერდით რეზო უჯდა. რეზო თამამი ბიჭი იყო. თავი ყველასთან თავისუფლად და ძალდაუტანებლად ეჭირა. ეზოს უფროს ბიჭებთან შელაზღანდარებული იყო, მაგრამ ირაკლის წინაშე მოკრძალებას გრძნობდა.

— გმ... მმადლობთ, ძია ირრ-რაკლი, დ... დდანარჩენი ხვალ დავევხაზოთ.

— ჰო, დანარჩენი ხვალ დავხაზოთ.

რეზომ ნახაზები დააგორგალა და ილიაში ამოიღო. შემდეგ გავიდა ოთახიდან. მეორე ოთახში დათო იცვამდა. რეზო შედგა, ხმის ამოუღებლად შეპყურებდა, როგორ იცვამდა დათო. მერე ჰკითხა:

— ეწ... წწყობი?

— როგორც ხედავ.

— სს... სად მიდიხარ!

დათომ გაკვირვებით ასწია წარბები, ვითომდა რა შენი საქმეაო.

— ვ... ვვიცი სსადაც მიდიხარ... — ჩაიცინა რეზომ. — შშ... შეყვარებულთან.

— რა თქვი?

— გგ... გუშინწინ დაგინახე, ა... ასე რომ მიპყებოდი ქქქ... ქქრა ქქალი-შვილს, — რეზომ აჩვენა, როგორ მიპყებოდა დათო.

— ნუ გაქვს გრძელი ენა. რა შენი საქმეა, სად მივდივარ, ვისთან მივდივარ, ვის როგორ მივეყებოდი... — დაუცაცხანა დათომ, მაგრამ შემდეგ თავი ვერ შეიკავა და გაეღიმა.

— მმართლა შშ... შეყვარებულთან მიდიხარ? თ.. თთქვი, რა მოგივიდა!

— შენ ერთი ჯაგრისი მომწოდე, ისა სჯობს. ეგ არა, ტანსაცმლის, ეგერ სკამზე დევს.

— ძალიან კი იბრ... რრანკები. — უთხრა რეზომ და ჯაგრისი მიაწოდა.

— გითხარი, შენი საქმე არ არის-მეთქი და მოკეტე!

— მმ... მოკეტე, მოკეტე. — ჩაიცინა რეზომ.

იგი იდგა ოთახის შუაგულში, იღლიაში დაგორგოლავებული ნახაზი ამოეჩარა და ეტყობოდა, წასვლას არ აპირებდა.

— ვითომ შენ კი არ გეყოლება შეყვარებული, რა ბიჭი ხარ! — უთხრა დათომ.

— მმ... მყავს. რრ... რატომაც არა.

— უყურე შენი რა ჰქვია?

რეზომ პასუხად დინჯად და დამცინავად ჩაიცინა.

— თქვი, რა ჰქვია?

— სს... საიდუმლოა.

— აბა ეგ რა საიდუმლოა?! გინდა ვითხრა ჩემი შეყვარებულის სახელი?

— მით... თთხარი რაა, რრა ჰქვია?

— დესპინე.

— დდ...დესპინე არა... — გაიცინა რეზომ. — მით...თთხარი რა!

— დესპინე, დესპინე, აბა რა? შენსას რა ჰქვია?

რეზომ არ უპასუხა.

— ჰა, მითხარი! რა ჰქვია? თუ გრცხვენია თქმა, შე გლახაკო!

— ნნ...ნელი... ნელი ქვია.

— ნელი? ბიჭოს? რომელ კლასშია?

— მმ...მეშვიდეში, ჩემს ჯგუფშია.

— გიყვარს?

— ჰა?

— გიყვარს-მეთქი?

— ისს...სე რა. ვვ...ვერთობით.

— რაო! — გამოეკიდა დათო. — დაიკარგე აქედან, შე ლაწირაკო!

რეზომ კარი გამოაღო და თავს უშველა.

— ხედავ, რა თქვა! ირა, გესმოდა, რა თქვა? — დათო იცინოდა.

ირაკლიმ მთელი საუბარი მოისმინა და რეზოს უკანასკნელ პასუხზე მასაც გაეცინა. „ვერთობითო! უყურე შენ, ვერთობითო!“

ირაკლის ოთახში დათო შემოვიდა. იგი ხარხარებდა.

— რა თქვა, ჰა? დიდი ცუდლუტი ბიჭია.

— რეზო კარგი ვაჟკაცი დადგება, შენ ნახავ. — თქვა ირაკლიმ.

დათომ არაფერი უპასუხა. ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე თქვა:

— დღეს ჩვენი კურსელები ბანკეტს ვიხდით ფუნქიულიორზე. ხვალ კი ჩვენს სახლში კონცერტი უნდა გაემართოს.

— რა კონცერტი?

— ჩვეულებრივი კონცერტი ოჯახში. ჯიმშერისგან მაგნიტოფონს მოვიტან. ძალიან კარგი სიმღერები და მუსიკა გვაქვს ჩაწერილი... ვმართავთ კონცერტს ორ განყოფილებად, — დათო ცალ ქუსლზე შემოტრიალდა, — პროგრამაში იქნება: ქართული ხალხური და საესტრადო მუსიკა, შუალამეზე რადიომიმღებით დაჭერილი ჯაზები და აგრეთვე ჩვენივე სიმღერებისა და ხუმრობის ჩანაწერები...

— ეს როგორ?

— ჩვენზე სიმღერები და ხუმრობა ჩაეწერეთ. ძალიან კარგი გამოვიდა. სხვათა შორის, უცნაური გრძნობა გეუფლება, როცა საკუთარ ხმას ისმენ.

— ჯერ არ მომისმენია ჩემი ხმა. — თქვა ირაკლიმ.

უსაზღვროდ სიამოვნებდა და ამშვიდებდა ძმასთან საუბარი ირაკლის. დათო ბევრი რამით ჰგავდა მას და ყმაწვილობას აგონებდა.

— იცი რა კონცერტს მოვაწყობ, რა ცეკვებს გავმართავ!

— შენ კარგ გუნებაზე ხარ, — შენიშნა ირაკლიმ.

— მართლა კარგ გუნებაზე ვარ. — გაიცინა დათომ. — გამოცდები დაემათვრე, ყველა სავანში ფრიალი მივიღე. მალე უმადლეს სასწავლებელთა პირველობა ჩატარდება კალთბურთში და ოდესაში გავემგზავრები. ამ საღამოს ბანკეტი, ხვალ კონცერტი... მეტი რა გინდა?

— მოკვდავისთვის სავსებით საკმარისია. — გაიცინა ირაკლიმ.

დათომ თმა დაივარცხნა, ერთხელ კიდევ შეითვალა თავი სარკეში და წავიდა. ირაკლი მართო დარჩა ოთახში. წიგნი აიღო და გადაშალა. უკვე შებინდებული იყო. შუალაქმდე კითხულობდა. მერე თვალეები დაეღალა და დაწვა. დათო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

ირაკლი იწვა და ჰერს მიშტერებოდა. არ ეძინებოდა. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიძინებდა, სანამ დათო არ დაბრუნდებოდა. შუალაქე კარგა ხნის გადასული იყო, როცა დათომ ფრთხილად შემოალო მისი ოთახის კარი და ჩურჩულით იკითხა:

— ირა, გძინავს?

— არა, არ ძძინავს. შემოდი.

დათო ოდნავ ბარბაცებდა. პირიდან ღვინის სუნი ამოდიოდა. იგი საწოლზე ჩამოუჯდა ირაკლის. იჯდა დიდხანს და უყურებდა ძმას. ხმას არ იღებდა, მხოლოდ შეუშინებლად ირწეოდა.

— ირა, კარგია ცხოვრება, არა?

ირაკლიმ უცბად ვერ უპასუხა. მერე კი აღარ უპასუხა. არ უნდოდა გუნება წაეხდინა ძმისთვის. მაგრამ დათო არც დალოდებია მის პასუხს.

— ირა, მე ბედნიერი ვარ!

ირაკლიმ ხმა ვერ ამოიღო. დათომ გადაიხარხარა.

— ხომ არ შეშინდი? არ გავგიჟებულვარ.

— რა მოხდა, დათო?

— არაფერი. დავიძინოთ. — ირაკლის მკლავები შეუხვალრი და წამოგდა. შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ტანსაცმელი სასწრაფოდ გაიძრო, თხელი საზაფხულო საბანი ააფრიალა და ლოგინში ჩახტა.

ირაკლის გაურკვეველი ღიმილი შერჩენოდა ბაგეებზე. „ცხოვრება? — ვისთვის კარგია, ვისთვის ცუდი. ერთსა და იმავე დროს ათასებისათვის კარგია და ათასებისათვის ცუდი...“

დათომ ჯიმშერისგან მაგნიტოფონი მოიტანა. ირაკლიმ თავიდან ბოლომდე მოისმინა ჩაწერილი სიმღერები და მუსიკა. შემდეგ დათომ მისი ხმა ჩაწერა. ირაკლის არასდროს მოესმინა თავისი ხმა.

„ადამიანი იცნობს თავის სახეს, — ფიქრობდა იგი, — რადგან სარკე საკმაოდ ზუსტად იმეორებს გამოსახულებას. მალე ალბათ საკუთარი ხმაც ისეთივე ნაცნობი გახდება, როგორც საკუთარი სახე“.

ირაკლიმ პირველად ვერც იცნო თავისი ხმა, როცა დათომ მაგნიტოფონი ჩართო, შემდეგ კი მართლაც აუხსნელი გრძნობა დაეუფლა.

დათო მთელი დღის განმავლობაში აღტაცებული იყო, აღტყინებული. კი არ დადიოდა — დაფრინავდა. ავეჯს განზე აწყობდა, რომ საცეკვაოდ მეტი ადგილი დარჩენილიყო. ირაკლი აქ ვერაფერში დაეხმარებოდა, ამიტომ თავის ოთახში გავიდა და წიგნის კითხვა განაგრძო. თავაუღლებლად კითხულობდა, გატაცებით. მხოლოდ დროდადრო თუ მოჰკრავდა ყურს, როგორ დარბოდა დათო აქეთ-იქით, აწყობდა ავეჯს, დედას დავალებებს აძლევდა.

დათო კონცერტისათვის მზადებაში გაერთო. საღამოს, როცა მოიცილა, წვერი გაიპარსა და გამოეწყო. მერე შეამჩნია, რომ ირაკლი ამდენი ხანია თავის ოთახში ჩაკეტილიყო და კითხულობდა, თუ ფიქრობდა. ძმის ოთახის კარი ღიმილით შეაღო, შევიდა და ჰკითხა:

— არ დაიღალე ამდენი კითხვით?

ირაკლიმ წიგნიდან თავი აიღო.

— ოჰო, ბლომად წაგიკითხავს, მოგწონს?

— კარგი წიგნია, — უპასუხა ირაკლიმ.

ირაკლის ერთგვარი მამობრივი გრძნობა ჰქონდა დათოსადმი. როგორც მამებს სურთ დაინახონ შვილებში თავის გამგრძელებელი, რომელიც გააკეთებს ყველაფერს, რაც თავად ვერ მოასწრეს ან ვერ მოახერხეს, ისე ირაკლისაც უნდოდა, რაც თვითონ დააკლდა, რისი მიღწევაც სურდა და ვერ მიადწია, დათოს განეხორციელებინა.

— მალე ამხანაგებიც მოვლენ. — თქვა დათომ.

— ვინ და ვინ იქნება? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ბიჭებიდან თითქმის ყველა ჩემი მეგობარია, ქალიშვილებიდან რამდენიმე თანაკურსელი და ორი კიდევ სხვა.

— მაია იქნება? — ჰკითხა ირაკლიმ და გამომცდელად შეხედა.

— ცხადია, იქნება. მაია, ცხადია, იქნება.

— მაია რომ შენი კურსელი არ არის?

— მერე რა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს...

დათო არც გაწითლებულა, არც ხმა შეცვლია. ირაკლი კი მოელოდა ამას. ამიტომ უყურებდა გამომცდელად.

„ისე ლაპარაკობს მაიაზე, ვითომ არაფერი... — გაიფიქრა მან. — მე რომ მაგის ხნისას ასე შემკითხოვდნენ ხათუნაზე, უთუოდ ავირეოდნი. ახლა სხვანაირი თაობა იზრდება... მართო ამით არ განსხვავდებიან ჩვენგან. რალაცნაირი თავდაჭერილობა აქვთ, ცოტა ლაპარაკი იციან; უსარგებლო, არაფრის მაქნის საუბარს ერიდებიან...“

დათომ მცირე ხანს იყუჩა, მერე ძმა შეათვალა და ჰკითხა:

— ირა, მოგწონს მაია?

— შენ მოგწონს?

— რატომ მეკითხები, ხომ იცი რომ მომწონს. შენ მოგწონს?

— კარგი გოგოა. ლამაზია და მგონი, უჭკუოც არ უნდა იყოს.

— მართალს ამბობ. მაია ჰკვიანი გოგოა. — თქვა დათომ. მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — იცი, რატომ ვიყავი წუხელი გახარებული?

— რატომ?

— მაიასაც მოგწონვარ. მითხრა, რომ მოგწონვარ...

ირაკლიმ ვერაფერი თქვა. არ იცოდა, რა ეთქვა. დათო ისე უბრალოდ ლაპარაკობდა ამაზე. თვითონ ვერაფრით ვერ ეტყოდა ხათუნაზე ვერავის. ვერც მისი ტოლები იტყოდნენ ასე უბრალოდ, ბუნებრივად. ამიტომ არ იცოდა, რა ეთქვა.

„სხვანაირი თაობა იზრდება, უფრო თავისუფალი და უბრალო. — ფიქრობდა იგი. — ასე სჯობს. ეგ ალბათ იმის შედეგიც არის, რომ დათო და მისი ტოლები სხვანაირად გაიზარდნენ. ჩვენ არ გვექონია ასეთი ცხოვრება. ჩვენ ახალგაზრდობაც არ გვექონია. ჭაბუკები ვიყავით და მერე ეგრევე სერიოზულ მამაკაცებად ვიქცით. სხვანაირად შეუძლებელი იყო...“

ირაკლის კაეშანი შემოაწვა. მოიწყინა. დათომ რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გაარჩია, რა თქვა.

— დათო, მე გავისეირნებ...

— გაისეირნებ?! რას ამბობ, მალე ამხანაგები მოვლენ, სიმღერა, ცეკვა, მხიარულება გვექნება...

— ჰოდა მე წავალ, გავისეირნებ.

— ირა, ძალიან გთხოვ...

— საქმეც მაქვს. ახლა გამახსენდა, რომ საქმე მაქვს. გარეთ უნდა გავიდე. — თქვა ირაკლიმ.

იგი არ უყურებდა დათოს.

უცერად შეშურდა, რომ მისი ძმა ასე ტანადი და მოხდენილი ვაჟაკია, ასე მაღალი და ძლიერი ფეხები აქვს, უყვარს ცხოვრება, სჯერა ბედნიერება და ჰყავს საყვარელი ქალიშვილი... და ამ ქალიშვილსაც მოსწონს იგი... და მალე სტუმრები მოუვლენ, იცეკვებენ, იმღერებენ, გამხიარულდებიან...

ირაკლი კი კუნძივით უნდა იდოს სკამზე და უყუროს, როგორ იცეკვებენ, იმღერებენ, იმხიარულდებიან... არა, გავა გარეთ და გაივლის.

— მე უნდა წავიდე, დათო.

— არსადაც არ წახვალ... ირა, გთხოვ, დარჩი.

— უნდა წავიდე, საქმე მაქვს.

— არაფერი საქმეც არა მაქვს. ახლა რა საქმე უნდა გქონდეს? დარჩი რა! — შეეხვეწა დათო და კინაღამ უთხრა: დარჩი, თორემ გარაჟიდან მანქანას არ გამოგიყვან და როგორ წახვალო, მაგრამ ენის წვერზე დაიჭირა სათქმელი. კიდევ კარგი რომ დაიჭირა. წარმოიდგინა, გულს როგორ ატყენდა ძმას.

ირაკლი გამოვიდა ეზოდან. სწრაფად მიჰყავდა მანქანა. უცნაური გრძნობა დაეუფლა. რაც უფრო შორდებოდა სახლს, მით უფრო უკეთესად გრძნობდა თავს, სახლს, სადაც მალე მხიარულება, ცეკვა-თამაში დაიწყებოდა და სადაც თვითონ კუნძივით უნდა დებულყო სკამზე. თითქოს ახლა დაინახა პირველად, როგორ განსხვავდებოდა მისი ცხოვრება ძმის ცხოვრებისაგან.

როცა დათოს ხნის იყო, შინ კონცერტის გამართვა კი არა, არტილერიის გამაყრუებელ კონცერტს ისმენდა...

მანქანა გარბოდა. ირაკლიმ არ იცოდა, საით მიდიოდა. სულერთი იყო. უფრო მოუმატა სიჩქარეს. სიამოვნებდა, რომ მანქანა სწრაფად მიდიოდა. ტენტი გადახდილი ჰქონდა და გრილი ჰაერი სახეს უგრილებდა.

„მოგწონს მიაი?“ — გაახსენდა მოულოდნელად დათოს შეკითხვა. და შემდეგ: „რატომ შეკითხები, ხომ იცი, რომ მომწონს. უნ მოგწონს?“

დათო შეყვარებულია. აი რატომ იყო ისეთი წუხელ. დღესაც ფრთები რომ ჰქონოდა — გაფრინდებოდა, ისე იყო აღტაცებული...

იყო დრო, როდესაც ირაკლი დათოსავით შეჰხაროდა ცხოვრებას. ისიც აღტაცებული და გაბრუებული იყო, როცა ყველაფერი გაუმხილა ხათუნას. ის საღამოები, ის შეხვედრები...

რა იცოდა, რას წარმოიდგენდა, რომ ქვეყანა ასე უკუღმართად დატრიალდებოდა, ყველაფერი ასე შეიცვლებოდა...

მანქანა მოაბრუნა და უკან წამოვიდა. ახლა უფრო ნელა მოდიოდა. სოლოლაკს გამოცდა და რუსთაველით გაეშურა სახლისაკენ.

უკვე გვიანი იყო. პროსპექტზე შეთხლებულიყვნენ მოსიერნეები. კინოებიდან და თეატრებიდან გამოსული ხალხი თულა დადიოდა.

უფრო მოუკლო სიჩქარეს. ახლა სულ ნელა მიჰყავდა მანქანა. სახლს რომ მიუახლოვდა, საათს დახედა. ფოსფორული ისრები ერთმანეთს ასხდნენ, თორმეტს აჩვენებდნენ. „ალბათ უკვე დაიშალნენ“ — გაიფიქრა ირაკლიმ.

არ უნდოდა მაშინ დაბრუნებულიყო შინ, როცა ხმაური და მხიარულება იქნებოდა. არ უნდოდა თავისი მოღუშული სახით სიცივე და მოწყენილობა შეეტანა სხვების დროსტარებაში.

სახლს გაუსწორდა. დანიანა, რომ მისი ფანჯრის წინ დარგულ აკაციის ხესთან ქალი და კაცი იდგნენ. მიუახლოვდა. დათო და მაია შეიცნო. ხის ჩრდილს შეფარებოდნენ, ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ირაკლიმ შეაჩერა მანქანა. არც ერთს არ მოუხედავს მისკენ.

„ერთმანეთის გარდა ახლა მათთვის აღარავინ და აღარაფერი არსებობს“, — გაიფიქრა ირაკლიმ.

მერე მოესმა, რომ დათომ რაღაც თქვა. მაიას ხმა არ გაუგონია. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ დათომ კვლავ თქვა რაღაც. ახლა უფრო დიდხანს ლაპარაკობდა. მანქანა თუხთუხებდა, მაგრამ არც ერთი ყურადღებას არ აქცევდა. ირაკლი იდგა და მანქანას არ ძრავდა.

„ნუთუ შეიძლება ისე იყო გართული, რომ მანქანის მოახლოება და თუხთუხი ვერ გაიგო? — უკვირდა მას. — ჩანს, რომ შეიძლება. და ისიც ჩანს, რომ დაგებერებულვარ, რადგან მიკვირს“.

ძალიან უნდოდა ცოდნოდა, რას ეუბნებოდა მისი ძმა მაიას. ირაკლიმ იცოდა, რას ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მაგრამ მას უნდოდა გაეგო, როგორ და რანაირად იტყოდა მისი ძმა.

შეეშინდა, არ შემამჩნიონ და ხელი არ შეეშალო. მანქანა დაძრა და ეზოში კი არ შევიდა, მოუხვია და აღმართს აუყვა. ახლა უფრო იგრძნო, რას ნიშნავს, როცა საყვარელ ადამიანს დასცილდები. ახლა უფრო იგრძნო, რა ბედნიერი ყოფილა მაშინ, როცა ყოველ საღამოს ხვდებოდა ხათუნას და სეირნობდნენ, ანდა ისე, როგორც ახლა დათო და მაია, იდგნენ ხის ქვეშ და ერთმანეთის გარდა ქვეყნად აღარაფერი ახსოვდათ, ველარაფერს ამჩნევდნენ.

მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ...

ეს იყო მაშინ, როცა გული იმედითა და რწმენით ჰქონდა სავსე, ეს ქვეყანა მშვენივრად მოწყობილი ეჩვენებოდა, სადაც მხოლოდ კეთილი, ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანები ცხოვრობენ და საშიში არაფერია. არაფერს შეუძლია ხელი შეუშალოს მათ ბედნიერებას...

ეს იყო მაშინ, როცა ირაკლისაც ჰქონდა ფეხები, გრძელი და ძლიერი, როგორც დათოს, დაკუნთული და ჰარღვიანი... ბურთს დაარტყამდა და ფეხბურთის მოედნის ერთი კარიდან მეორემდე მიაწვდენდა. როგორ წარმოიდგენდა მაშინ, თუ ოდესღაც სანატრელი გაუხდებოდა ის დრო. მაშინ მხოლოდ მეტ ბედნიერებაზე ფიქრობდა.

... თურმე მანქანა შეუჩერებია, წითელი აგურებით ნაშენ უზარმაზარ ნაგებობასთან იდგა. მესამე სართულზე, ერთ ბინაში სინათლე ენთო. ესე იგი ხათუნას არ ეძინა. ღია ფანჯრიდან ფარდა გამოფრენილიყო და ნიავეი თავის ნებაზე აფრიალებდა.



საიდანღაც მიჩუმებული, სევდიანი მუსიკა მოისმოდა. მიჩუმებული, სევდიანი მუსიკა ახსენებდა ყველას, ვინც კი უსმენდა, რომ ქვეყნად არსებობდა არა მარტო ბედნიერება და სიხარული, არამედ დარდი და მწუხარებაც.

ორთქლმავალმა საზარელი ხმით შეჰკივლა. ირაკლიმ თვალები გაახილა. ეს უკვე მესამე დღეა მიჭრის მატარებელი სამხრეთისაკენ. ეს უკვე მესამე დღეა, სხედან ამ კუბეში სამივენი და ირაკლის თვალს რული არ მიჰკარებია. არ ეძინება არც დღისით, არც ღამით. მატარებელი კი მიჰქრის სამხრეთისაკენ და დროდადრო საზარლად შეჰყვირებს. ირაკლის თვალები მოხუჭული აქვს, რომ იგი მძინარე ეგონოთ და არ ელაპარაკონ. მას არ უნდა ლაპარაკი, არც რაიმეს მოსმენა სურს.

ფანჯარაზე ფარდები გადაწეულია. მაინც ბნელა კუბეში. ღრუბლიანი, მრუამე დღეა. ბუნება გარინდებულია აედრის მოლოდინში. ირაკლი ქვედა ნარზე წევს. ხელები თავქვეშ აქვს ამოდებული. დედა ფეხთით უზის. არჩილი მოპირდაპირე ნარზეა წამოწოლილი. მას ჯარისკაცული უსამხრეებო გიმნასტურა და შარვალი აცვია. ეს ჩექმებიც ალბათ ჯარიდან გამოჰყვა. სამხრეების ადგილიც ისევე გახუნებულია, როგორც მთელი ტანსაცმელი. თურმე ექვსი თვეა, რაც შინ დაბრუნდა.

არჩილი ლაპარაკობს. როგორც კი ირაკლი თვალს გაახელს, იგი ლაპარაკობს. განუწყვეტლივ იგონებს წარსულს, ან უამბობს ამხანაგებზე, ვინ დაბრუნდა, ვინ დაიღუბა. უამბო, რაც თავს გადახდენოდა.

დედა ჩუმდაა ზის. იგი არაფერს ამბობს ოჯახზე. მხოლოდ ისა თქვა, დათოსაც უნდოდა წამოსვლაო.

დათო! დათო ახლა დიდი ბიჭი იქნება. მამა? მამა როგორ არის? მამა ძალიან მძიმე ავადმყოფი ყოფილა.

— ბევრგან არის დაჭრილი?

— დაჭრილი? ჰო, დაჭრილიც არის და... ძალიან მძიმე ავადმყოფია. დედა თვალებში ვერ უყურებს ირაკლის, ისე ლაპარაკობს.

როცა შინ აიტანეს და დივანზე დასვეს, ირაკლიმ მიმოიხედა და იმ წამსვე იგრძნო, რომ მამა არ იყო ოჯახში, რომ იგი საერთოდ აღარ იყო.

„მამაც აღარ არის“, — გაიფიქრა მან, მაგრამ არაფერი თქვა.

— როდის მიიღეთ ცნობა? — ჰკითხა რამდენიმე დღის შემდეგ დათოს.

— ორმოცდაოთხი წლის ბოლოს. — უბასუხა დათომ და თავი დახარა.

ირაკლიმ მეტი აღარაფერი ჰკითხა. „ორმოცდაოთხის ბოლოს. — გაიმეორა თავისთვის გონებაში. — ორმოცდაოთხის ბოლოს“...

მოდითდნენ ნათესავები, მოდიოდნენ ახლობლები, მოდიოდნენ ამხანაგები — ნახულობდნენ, ამხნევებდნენ, უამბობდნენ. ცდილობდნენ ფეხებისაკენ არ ეცქირათ. თვალს არიდებდნენ. ეს უფრო აცბუნებდა ირაკლის, ისევე, როგორც ზოგიერთებს რცხენიათ, როცა გადამეტებული ყურადღებით ათვალთვლიერებენ.

საწყალი ბებია მამო! სიბერისაგან გარეთ ვერ გამოდიოდა. ირაკლი მაინც მოინახულა. ატირდა. ირაკლიმ სახე განზე წაიღო. ჩვეულებრივზე უფრო ნერვიული და მგრძობიარე გახდა, როცა ნათესავებში, საკუთარ ოჯახში დაბრუნდა. ყველაფერზე ნერვები ეშლებოდა. ნერვებს უშლიდა ბებია მამოს ტირილიც.



მისი შემწვარი ვაშლივით დანაოჭებული სახე და ჩიფჩიფა პირი, რომელშიც მხოლოდ ერთადერთი წინა კბილი შერჩენოდა. კბილი საოცრად გრძელი და ყვითელი იყო. იგი გასალიზიანებლად გამოშვერილ ნეკა თითს ავონებდა ირაკლის.

ბებია მაშოს სხვებიც აპყვენენ და სლუკუნი ასტეხეს, თითქოს მათ წინაშე მიცვალებული დებულიყოს. ირაკლიმ ჭიქა მიაფშენა კედელზე, ათრთოლდა, აკანკალდა და ნათესავეები გარეკა. მთელ დღეს ვერ დამშვიდდა.

საშინელ აპათიას განიცდიდა იმ დღეებში. არავის ნახვა არ უნდოდა, არავისთან საუბარი. მნახველები მხოლოდ ნერვებს უშლიდნენ, წონასწორობას უქარავდნენ. მას არავის ნახვა არ უნდოდა და მით უფრო ისეთი თანაგრძნობა, როგორიც ბებია მაშომ გამოიჩინა.

„მთავარია, გული არ ამიჩუყდეს. — ფიქრობდა ირაკლი. — მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნო. ჩემთვის აუცილებელია იმის შეგნება, რომ ყველაფერი უბრალოდ და მარტივად ხდება. ადამიანი იბადება, იზრდება და შემდეგ უბედურდება. ჩემს დღეში ათასობით კაცია. მხოლოდ მე ერთს ხომ არ დამმართნია ასე... ამაში არაფერია საოცარი, განსხვავებული. ჩემთვის საჭიროა სრული სიმშვიდე და რწმენა, რომ ყველაფერი მარტივად და უბრალოდ ხდება... მარტავად და უბრალოდ“...

ხათუნას ნაბიჯების ხმა შორიდანვე გაიგო, იცნო. ხათუნა მოეხვია. გულში ჩაიკრა. შემდეგ აქვითინდა. ირაკლის ბეგრი უფიქრია ამ შეხვედრაზე. და აი ეს დროც დადგა. ხათუნას დაბალუპით ჩამოდიოდა ცრემლები. გულაჩნდის, აღრენილს, განახევრებულს ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. სხვანაირად გაეგო ეგ ცრემლებიც. უხეშად მოიშორა ხათუნა, ხელები გააშვებინა.

ხათუნამ უთხრა ირაკლის, რომ ელოდა, რომ ღამეებს ათენებდა მასზე ფიქრით, რომ როგორც იქნა დაუბრუნდა იგი — მისი ოცნება, მისი სიცოცხლე...

ირაკლის ეამა. ხათუნა ეუბნებოდა ზუსტად იმას, რისი მოსმენაც მისგან ეწადა.

ხათუნა ყოველთვის, მუდამ იმას ეუბნებოდა ირაკლის, რისი მოსმენაც იმ წამში ყველაზე მეტად ეწადა... ასე იყო გაცნობისას, ასე იყო შემდეგაც. ამიტომაც ვერ დაუფიწყნია...

ხათუნა მხარზე ხელს უსვამდა ირაკლის, თმას უჩეჩავდა, ეალერსებოდა. იმ კარგ დღეებს ახსენებდა, ცრემლებით სავსე თვალებით იციწინოდა.

წამით ირაკლის გაჭერქეშებულმა, გაბოროტებულმა გულმა ამდენი ხნის შემდეგ კვლავ იგრძნო სითბო, მოღვა და გადაავიწყდა ყველაფერი...

მერე შენიშნა, რომ ხათუნას თითები აღარ უჩეჩავდა თმას, მისი თბილი და ტკბილი ტანი აღარ ეხებოდა... ხათუნა გარინდებულყოფი, ცრემლები უშვრებოდა თვალებზე, მხოლოდ ნიკაპთან დარჩენოდა ერთი წვეთი. და შორს, შორს იყურებოდა...

ირაკლი გამოერკვა. მან სიზმარი ნახა და გამოეღვიძა. ტკბილი ბურანი გაქრა. წამიერი ბედნიერება სადღაც ჩაიჩეხა. იგი იქ, ვენის მისადგომებთან დარჩა, მის ფეხებს გაპყვა და სადღაც ჩაიფლითა, მიწასა და ტალახში აეხილა.

ან რა გულუბრყვილობა! შეხედა ამ გარინდებულ, მშვენიერ სახეს, საიდუმლოებით სავსე თვალებს, რომლებიც შორს, შორს იქიქებოდნენ და იგრძნო, რომ ხათუნა მისთვის სხვა გამხდარიყო, უცხო გამხდარიყო...

ალარაფერი დარჩა. დაცარიელდა.

ფრონტზე წასვლისას თავგადასხორტილს რცხვენოდა ჩვენებოდა ხათუნას, ახლა უფეხებოდ დაბრუნდა, განახევრებული...

მართალია, თავისი სხეულის ნახევარი ქვეყანას შესწირა, ხათუნასაც შესწირა, მაგრამ...

მაინც ნახევარია, კუნძია...

ირაკლიმ შუალამეზე უეცრად თვალი გაახილა. კანკალებდა, შუბლზე ოფლის ხვითი გადადიოდა. თურმე წამით ჩასძინებოდა და ეზმანა: ზღვა, უკიდევანო ზღვა. ახლოს მივიდა და ზღვა სისხლისა აღმოჩნდა. შფოთავდა სისხლის ზღვა. მერე იგი დაიწრიტა და ფსკერზე, კენჭებისა და სილის ნაცვლად, ადამიანების მოგლეჯილი თავები, კიდურები, სხეულის სხვადასხვა ნაწილები გამოჩნდა...

წამოიმართნენ მოჭრილი ფეხები, სიმაღლეზე მოეწყვენ და მარშირება დაიწყეს. ერთმა წყვილმა ვერ ააწყო ფეხი, კოლონას გამოეცალა და ირაკლისაკენ გამოემართა...

მაგრამ სანამ ირაკლიმდე მიღწევდა, სხვა ფეხებიც აიშალნენ, შემოეხვივნენ მას გარშემო, დახტოდნენ; იკლაკნებოდნენ, მერე კომბლებივით დატრიალდნენ.

მერე წამოვიდა სისხლის ნიაღვარი, ერთ წამს შედგა, მთასავით აიმართა, შემდეგ ერთბაშად ჩამოიქცა, დაიფშვნა, წითლად აქაფდა და ზედაპირზე მოიგდო თავებიც, ხელებიც, ფეხებიც და ირაკლიც. ირაკლის ახრჩობს სისხლის ზღვა...

შუბლზე ხვითი გადადიოდა. საცვლებიც სველი ჰქონდა. ძაგძაგებდა. ვერ იქნა და ველარ დაიძინა. ეშინოდა კიდევ დაძინების. ასე გაატარა მთელი ღამე. სულწასული ელოდა განთიადს. ჰაპიროსს აღარ აქრობდა, დამწვარზე ახალს უკიდებდა.

აღარ ეშველა, აღარ გათენდა. ეს წყეული დრო სწრაფად გარბის, როცა კაცი ბედნიერია, და უსაშველოდ იწელება, როცა კაცი იტანჯება.

ხათუნამ მოაკითხა. იგი იცინის. იგი სულ იცინის. ირაკლი გრძნობს, რომ ეძინება. როცა ხათუნა მოაკითხავს, მშვიდდება და ეძინება. ხათუნა თავითი უზის, რალაცას უყვება, მერე გაიცინებს, ირაკლის ეძინება, თვალეები უნებურად ეხუტება. ისე ტკბილად დაეძინება ახლა...

ხათუნამ კვლავ გაიცინა. ირაკლი ძილღვიძილშია. მას ყველაფერი ესმის, მაგრამ ვერაფერს არჩევს. შორს, შორს წაიღო ძილმა... მერე თვალეები გაახილა და დიდხანს უყურა ქერს. რალაც ძალიან მნიშვნელოვანი გაახსენდა. გაახსენდა და იმ წამსვე დაავიწყდა. მეორედ ველარაფრით გაიხსენა. ხათუნას მიუბრუნდა და უთხრა:

— რალაც მინდოდა მეტქვა შენთვის და დამავიწყდა...

— რა უნდა გეტქვა?

— აღარ მახსოვს. ძალიან კი მინდოდა მეტქვა...

ხათუნამ შუბლზე გადაუსვა ხელი. ირაკლიმ თვალეები დახუჭა. ხათუნას ხელი გრილი იყო და საოცარი სურნელება ჰქონდა.

— ჰო, გამახსენდა. — თქვა ირაკლიმ. — ერთხელ იქ... ჰო, ერთხელ იქ... რალაც მოხდა... რალაც მოხდა და აღარ მახსოვს. მაშინ გადავწყვიტე აუცილებ-



ლად მემამბნა შენთვის, როგორც კი დავბრუნდებოდი. მაგრამ რა მოხდა? რატომ ვადამავიწყდა? რალაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო...

— დამშვიდდი. როცა გავახსენდება, მაშინ მომიყვები. თუ გინდა, დაიძინე. მე აქ ვიქნები და შენ დაიძინე.

— რატომ აღარ მახსოვს? როგორ ველოდი, რომ გნახავდი და მერე ვიამბობდი...

— ნუ დარდობ. გავახსენდება და მერე მომიყვები. როდისმე ხომ გავახსენდება? მე კი სულ შენთან ვიქნები და მომიყვები. დამშვიდდი.

ირაკლიმ კვლავ დახუჭა თვალები. ხათუნა შუბლზე და საფეთქელთან უსვამდა ხელს. ირაკლის ძალიან სიამოვნებდა და სურდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ასე, მაგრამ ხათუნამ მალე აიღო ხელი.

— ხომ ხედავ, — თქვა ირაკლიმ და თვალები გაახილა, — ისეთი აღარა ვარ. აღარც მახსოვრობა, აღარც ფეხები... აღარა ვარ ისეთი, ადრე რომ ვიყავი...

— ნუ ამბობ. — თხოვა ხათუნამ.

— მე ვიცი.. ახლა კუნძი ვარ... მე ვიცი...

— ირა გაჩუმდი...

— კუნძი... ნერვებმოშლილი, მახსოვრობადაკარგული... ხომ ხედავ, აღარა ვარ ისეთი.

— არ არის სწორი. შენ ისეთივე ხარ, ირა...

— კმ... — მწარედ ჩაიციხა ირაკლიმ.

— ისეთივე ხარ, როგორიც ადრე იყავი...

ირაკლიმ კვლავ მწარედ ჩაიციხა.

— ისიც იცოდე, თუ მიყვარდი, ამაში შენ გარეგნობას ყველაზე ნაკლები წილი ედო.. შენში სხვა რაღაცაა...

— მამშვიდებ?

— შენ ჩემთვის ისეთივე ძვირფასი ხარ, როგორიც ადრე... ისეთივე.

ირაკლიმ თვალები დახუჭა. მას უნდოდა კიდევ ელაპარაკა ხათუნას. მას უნდოდა, კიდევ გაემეორებინათ მისთვის, რომ იგი ისეთივეა, როგორიც ადრე. ირაკლიმ იცოდა, რომ ეს არ იყო ასე, მაგრამ მაინც სურდა მოესმინა საწინააღმდეგო.

საღამო ხანს ტირილის ხმამ გამოადვიდა. იგრძნო, რომ ლოგინზე ვიღაც უჯდა. თვალები არ გაუხელია, მაგრამ წამწამებს შუა დაინახა, რომ დედა იყო. დედა დასცქეროდა და ცრემლები ლაპალუპით ჩამოდიოდა ლაწვებზე, ნიკაპზე... ირაკლის არ უნდოდა დაენახა ატირებული დედა. თვალები ისე მოხუჭა, რომ ეტყინა. ასე იწვა გულალმა, მღვიძარე, მაგრამ თვალებდახუჭული.

დედა კვლავ ქვითინებდა ხმადაბლა. იგი ვერ გრძნობდა, რომ ირაკლიმ გაიღვიძა. ცდილობდა, დაედრჩო ტირილი. ამას ვერ ახერხებდა და იგუდებოდა. ირაკლიმ კვლარ მოითმინა, თვალები გაახილა და უთხრა:

— კარგია, კმარა... ნუ ტირი...

დედა შეკრთა, სასწრაფოდ ამოიმშრალა თვალები. ირაკლიმ სახე განზე წაიღო. იგრძნო, რომ თვითონაც ცრემლები მოერია. გაბრაზდა. მას შეეძლო უცრემლებოდ გადაეტანა თავისი უბედურება, მაგრამ უძლური იყო აქვითინებული დედის წინაშე.

— ნუ ტირი, გესმის, ნუ ტირი... — იყვირა მან. — ან გადი გარეთ.

დედა ძლივს წამოდგა. თვალებზე ხელებაფარებული გავიდა ოთახიდან. ირაკლიმ შეამჩნია მისი მოხრილი მხრები, არეული, ლასლასა ნაბიჯი. ხელები

მომუჟა, კბილები ერთმანეთს დააჭირა და გააკრაჟუნა. მიხვდა, რომ უკან დაიხია. სისუსტე მოერია და იმიტომ გააგლო დედა. უკან დაიხია. შეშინდა, მაგრამ არა საკუთარი უბედურების წინაშე. დედის ცრემლებს ვერ გაუძლო, მის ქვითინს...

ხათუნა თითქმის ყოველდღე აკითხავდა იმ ხანებში. უმთავრესად მაშინ, როცა დედა და დათო შინ არ იყვნენ, დედა დილით სამსახურში მიდიოდა, დათო — სკოლაში.

ირაკლის გადაწყვეტილი ჰქონდა, იგი ყოველდღე ფიქრობდა ეთქვა ხათუნასათვის ყველაფერი, რაც განზრახული ჰქონდა. მაგრამ ვერ ეუბნებოდა. ვერ ეუბნებოდა, რადგან ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი და არ იცოდა საიდან დაეწყო. და თანაც დარწმუნებული იყო, რომ ვერასდროს ეტყოდა ისე, როგორც ფიქრობდა. მას ყოველთვის ეძნელებოდა საჭირო სიტყვების პოვნა, როცა ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი.

— იცი... — დაიწყო ირაკლიმ.

— თქვი, რა გინდა? — აღერსიანად ჰკითხა ხათუნამ.

— ალბათ ვერასდროს გეტყვი, რისი თქმაც მინდა, — გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— მე ისედაც მესმის შენი... სიტყვები არ არის საჭირო.

— შენ არ იცი, რისი თქმა მინდა.

ხათუნამ გაიცინა.

— ვიცი, მე ყველაფერი ვიცი. — თქვა მან. — მაგრამ არ ვიცი, როგორ იბრძოლე, რა გადაგხდა თავს. არასდროს არაფერს არ მიაშობ ხოლმე.

ირაკლის უსიამოვნოდ დაეღრიჯა სახე.

— მიაშბე, ირა, ფრონტის ამბები.

— ვერ გიამბობ... არ შემიძლია.

— საოცარია. ყველა ომგადახდილი ისეთი ხალისით ყვება... შენ კი...

— მე არ შემიძლია.

— მე ისიც არ ვიცი... — დაიწყო ხათუნამ და მერე ტუნზე იკბინა. მას უნდოდა ეთქვა, მე ისიც არ ვიცი, როგორ დაჰკარგე ფეხებიო...

— მე ისიც არ ვიცი, რომელ ფრონტებზე იბრძოდი, რა ქვეყნები მოიარე.

— ქვეყნები მოვიარე... — ირაკლიმ მწარედ ჩაიცინა. — მე არ მომივლია ქვეყნები, ხათუნა, ნაქვეყნარები მოვიარე. რომელ ქალაქშიც კი შევდიოდით, ქალაქის სახე აღარ ჰქონდა...

— შენ მაინც იმდენი ნახე, ირა...

— ნეტავ არაფერი მენახა.

— და ადამიანის ბუნება შეისწავლე... მე მგონია, ადამიანი გასაჭირში, დიდი საფრთხის წინ ყველაზე მეტად აელენს თავის ბუნებას...

ირაკლიმ არაფერი თქვა.

— მე მინდოდა, ფრონტზე რომ მოვხვედრილიყავი. ბავშვობიდანვე მიზიდავდა ძლიერი განცდები... — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ ჩაიცინა.

— შენ ბავშვი ხარ, ხათუნა. — თქვა მან.

— ჩემი საყვარელი გმირები ტრაგიკული ადამიანები არიან... ჩემი საუკეთესო როლიც ალბათ ტრაგიკული იქნება.

ხათუნა იმ წელს სამსახიობო ფაკულტეტის მეორე კურსზე იყო.

ირაკლის პაპიროსი მოუნდა და ხათუნას თხოვა:

— მომაწოდე პაპიროსი.

— მოითმინე, მოგლავს ამდენი წევ-

— მომაწოდე... ვერ წარმოიდგენ, როგორ მშველის.

— არ მოგაწოდებ... მე ვეპყვიანობ. სანამ მე აქა ვარ, სხვა მშველელი არ უნ-

და გსურდეს...

— ხათუნა!

— დამპირდი, რომ სანამ შენთან ვიქნები, არ მოსწევ.

— ხათუნა!

— თუ არ მოსწევ, მეცოდინება, რომ მე ყველაფრის მაგივრობას გიწევ.

— კარგი, სანამ შენ აქა ხარ, არ მოვწევ...

ირაკლიმ თვალეზი მილულა. არ ეძინა. გაურკვეველ ბურანში იყო. იცო-

და, რომ არ ეძინა, მაგრამ სიზმრებს მაინც ხედავდა. თუმცა ეს არ იყო სიზმარი...

... თვალეზი გაახილა. მნმოიხედა. ძლივს გამოერკვა ბურანისაგან. მერე

დინახა, რომ ხათუნა კვლავ გვერდით უჯდა.

— არ გეგონოს, რომ მეძინა. — უთხრა ირაკლიმ.

ხათუნამ გაუღიმა, შუბლზე ხელი გადაუსვა.

— მომაწოდე პაპიროსი.

— ავი დამპირდი, სანამ ჩემთან იქნები, აღარ მოვწევო?

— ჰო, მაგრამ ახლა მომაწოდე... გთხოვ!

— იცოდე, როცა წავალ, პაპიროსსაც წავიღებ. რომ აღარ გექნება, რა-

ღას მოსწევ?

— ნუ, ხათუნა! — შეევედრა ირაკლი. — უპაპიროსოდ მაინც ნუ დამტოვებ.

ხათუნამ საქმე მოიმიზეზა და წავიდა. ირაკლის ესმოდა, როგორ გაიარა ხა-

თუნამ მეზობელი ოთახი, გამოალო კარი, მერე მოიხურა და გავიდა აივანზე.

შემდეგ ნაბიჯების ხმა ირაკლიმდე აღარ აღწევდა, მაგრამ მან თვალეზი დახუ-

ჭა და ცხადად ხედავდა, როგორ გაიარა ხათუნამ აივანი და ნელა, მოხდენილად

დაეშვა კიბეზე... ხათუნას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და საფეხუ-

რებზე ფრთხილად ჩადის...

მერე მოაგონდა, როგორ მოსწონდა, როცა ხათუნა კიბეზე აღიოდა, ან ჩა-

დიოდა. განსაკუთრებით, როცა აღიოდა...

დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ მკლავგაყრილნი აღიოდნენ

რუსთაველის თეატრის კიბეზე. მაშინ ირაკლი გაოცდა: ხათუნა უბრალოდ კი არ

აღიოდა, არამედ მიცურავდა, მიფრინავდა, თითქოს წონა არ ჰქონოდა. უზო-

მოდ სასიამოვნო გრძნობა დაეფულა ირაკლის. ასე ეგონა, გამისხტება, გამიფ-

რინდება ბედნიერებაო, და მარდად მიჰყვებოდა ხათუნას. მერე ვერ მოითმინა

და უთხრა:

— რა შესანიშნავად აღიხარ კიბეზე!

ხათუნამ გაუღიმა ირაკლის და გვერდით სარკეში ჩაიხედა.

... დიდხანს გაჰყურებდა ირაკლი იმ კარს, საიდანაც ხათუნა გავიდა. შემდეგ

ხელი სკამისკენ წაიღო, რომ პაპიროსი აეღო, მაგრამ პაპიროსი არ მოხვდა ხელ-

ში. შეკრთა, ხათუნამ ხომ არ წაიღო. წამოიწია. სკამზე აღარ იდო პაპიროსის

კოლოფი, არც მაგიდაზე. იატაკი მოათვალიერა. არც იქ იყო.

წაუღიოო, გაიფიქრა და ეწყინა. ძალიან მოუნდა პაპიროსი. მით უფრო

მოუნდა, რომ აღარ ჰქონდა. როგორ გაძლოს უპაპიროსოდ? ირაკლისათვის აუცილებელია გამუდმებით ეჭიროს ხელში ეს მშრალი, თბილი ღერი. აუცილებელია მუდამ გრძნობდეს მის სუნს და ოთახში იდგეს პაპიროსის ბოლი, რომელსაც შეისუნთქავენ და ამოისუნთქავენ მისი ფილტვები.

ირაკლის ჩქარი ნაბიჯების ხმა მოესმა. ოთახში ხათუნა შემოვიდა. იგი აჩქარებულად სუნთქავდა.

— ჩქარა ვიარე, — თქვა ხათუნამ.

ირაკლიმ ყურადღებით შეათვალიერა იგი.

მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მოესულიყავი. ხომ არ მოიწყინე?

— მოვიწყინე. — თქვა ირაკლიმ.

ხათუნას პაერზე ყოფნისა და ჩქარი სიარულისაგან დაწვები შეფაკლოდა. ირაკლი თვალს ვერ აცილებდა მის მშვიდ, ალერსიან გამოხედვას, სახის საოცრად ნაზ და პრიალა კანს, საუცხოო მბზინავე, ხშირ თმებს, რომლებსაც დაემალათ პატარა და წითელი ყურები. ხათუნა მოვიდა და თან მოიტანა თავისი უსაზღვროდ სასიამოვნო, ირაკლის საყვარელი სურნელება. ეს იყო ხათუნას სურნელება, მისი ტანის განუყრელი თვისება.

ირაკლი თვალს ვერ აცილებდა ამ უსაზღვროდ საყვარელ, სასურველ ტანკენარ ქალიშვილს და მით უფრო მტკივნეულად იგრძნო, რომ თვითონ პირდაუბანელი და გაუპარსავი იყო. ხათუნა გვერდით მიუჯდა, თმებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— ნაციხარ არსენას ჰგავხარ: გამხდარი, ფერმკრთალი, წვერმოშვებული, ჩაფიქრებული დიდრონი თვალებით...

ირაკლიმ შენიშნა, რომ ხათუნას ახალი კაბა ეცვა — კვერცხისგულისფერი, ფაქიზი მძიმე ქსოვილის კაბა და ზამშეს შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. არ ესიამოვნა, მოიღუშა.

— რატომ იღუშება არსენა, რა არ მოსწონს? — გაიცინა ხათუნამ და შუბლზე ხელი გადაუსვა ირაკლის. — გაშალე კოპები. აი ეგრე!

— ისე გამოწყობილხარ, თითქოს კონცერტზე მიდიოდე...

— არ მოგწონს? შენ გინდა, რომ ცუდად ჩაცმული მოვიდე?

ირაკლიმ არ უპასუხა. კვლავ მოიღუშა.

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მე შენთვის ვეწყობი... საგანგებოდ, შენთვის. მინდა, რომ ძალიან მოგწონდე... — თქვა ხათუნამ ხმადაბლა.

ირაკლიმ ხათუნას დაკვირვებით შეხედა. თავის თავზე ბრაზობდა, რომ მისი სიტყვების გულწრფელობა არ სჯეროდა.

— ირა, რატომ ფანჯრებს არ ალებ? მოტაცების ხომ არ გეშინია?

ხათუნა წამოდგა და გააღო ფანჯრები. მერე თქვა:

— მძიმე პაერია, ხშირად უნდა გაანიაგო ოთახი.

ირაკლი ხმას არ იღებდა. ხათუნას ადევნებდა თვალყურს.

— ირა, მოდი ვიმღეროთ... რა ხანია აღარ გვიმღერია. — თქვა ხათუნამ და ირაკლის გვერდით მოუჯდა. — ხომ არ გადაგავიწყდა სიმღერა?

— ხათუნა... ადექი და სკამზე გადაჯექი...



— რაა?

— ადექი და სკამზე გადაჯექი-მეთქი...

— რატომ?

— გადაჯექი. დაუბანელი ვარ...

— კიდევ არ დაგიბანია პირი? უკვე პირველი საათია, ძილისგულდავ! — ხათუნამ გაიცინა.

ირაკლიმ განზე გაიხედა.

— მოგიტანო ტაშტი და წყალი?

— არა, არ მინდა. — თქვა ირაკლიმ.

— ახლავე მოგიტან. — ხათუნა წამოდგა.

ირაკლიმ თვალი გააყოლა და შენიშნა, რომ კაბა ძალიან კარგი შეკერილი იყო და შესანიშნავ ტანს უჩენდა. რატომღაც არ ესიაშოვნა. ახლა იგი ზიზღს გრძნობდა კარგი ჩაცმისადმი. და საერთოდ ჩაცმისადმი. ადრე კი სხვანაირად ფიქრობდა. ადრე არა მარტო ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ქალები ბევრს ზრუნავენ ლამაზად ჩაცმაზე, არამედ ძალიანაც უყვარდა ლამაზად ჩაცმული ქალის დანახვა, მით უფრო მის გვერდით ყოფნა.

ხათუნამ შემოიტანა ტაშტი და წყალი ტოლჩით.

— ო, საპონი დამავიწყდა, ახლავე მოგიტან.

ირაკლის არ უნდოდა, რომ ხათუნას დაებანინებინა მისთვის პირი. ეუხერხულეობდა.

— მოდი, დაიბანე, ირა. ჩამოდი ლოგინიდან და გამომიშვირე პეშვი.

— ხათუნა, მომეშვი...

— ახლა გეზარება? კარგი, მერე დაიბანე. — ხათუნამ ტაშტი და ტოლჩა კუთხეში მიდგა. მერე რაღაცას მხიარულად უაძიობდა, თან ხშირად იცინოდა.

— ირა, არ მისმენ?

— როგორ არა, ვისმენ. — გამოერკვა ირაკლი.

ახლა ხათუნა ერთ-ერთ თავის პედაგოგზე, ცნობილ კომიკოსზე უამბობდა.

— იცი, — თქვა მან, — ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა უთხრა: — გენაცვა, როცა მოკვდები, თავდახურული კუბოთი უნდა გაგასვენოთ, თორემ საფლავამდე სულ სიცილ-ხარხარით მიგაცილებენო.

ირაკლი გაფანტულად უსმენდა ხათუნას. თვითონ ხმას არ იღებდა.

„ყოველდღე მნახულობს, მართობს... — ფიქრობდა იგი, — ცინ იცის, შეიძლება თავის მოსვლას ქველმოქმედებად თვლის, ან მოვალეობად განახევრებული მეომრის წინაშე... მოვიდა, რომ ვაართოს გაუბედურებული საბრალო ჯარისკაცი... სიბრაულული!“

ირაკლი აღარ უსმენდა. დროდადრო, მაშინ, როცა ხათუნა ხმამაღლა გაიცინებდა, იგი გახედავდა და უკვირდა, თუ როგორ შეინარჩუნა ხათუნამ ასეთი ხალისიანობა, მხიარულება... ვერ გაეგო აღარ ესმოდა, როგორ შეიძლება კაცმა ასეთ უბრალო რამეებზე ასე გულიანად იცინოს...

გულიანად სიცილი! როცა იცინი და სხვაზე აღარაფერზე ფიქრობ, იმ წამში აღარაფერი გაწუხებს, მხოლოდ იცინი... ბედნიერია, ვისაც შეუძლია ყველაფრის დავიწყება, გულიანი სიცილი.

— ...ჯერ უკბილო ხუმრობით ავცილო, მერე, როცა შეზარხოშდა, სიმღერა წამოიწყო. საშინლად ტყუოდა, სულ არ ჰქონდა სმენა. ერთმა უთხრა: — ბიჭო, შე უღმერთო, გაჩუმდი, აღარც სმენა გაქვს და აღარც სინილისიო?

ხათუნა იცინის, გულიანად იცინის.

„მე დავკარგე ილუზიები, — ფიქრობს ირაკლი, — თავის მოტყუების უნა-

რი დავკარგე. უამისოდ კი ძნელია იყო ბედნიერი თუნდაც რამდენიმე წუთით. ყველაფერი: საგნები, ადამიანები, მათი ნამოქმედარი, ნალაპარაკევი ჩემთვის დიდი ხანია წარმოადგენს მხოლოდ იმას, რასაც ისინი უბრალოდ, ფიზიკურად წარმოადგენენ. აღარაფერი აღარ აღაჩაზებს ჩემს თვალში მათ.

რატომ არ უნდა ვიციინოდე ხათუნასთან ერთად? რატომ არ უნდა ვტკებოდდე მისი სიახლოვით? სანამ მოვიდოდეს და ვნახავდე, ლოდინი მღევს, მოვა და მერე იმაზე ვფიქრობ, რომ ჩვენ სულერთია მალე დავცილდებით...”

ხათუნა წავიდა.

წავიდა...

ირაკლის უნდა წამოდგეს და გამოედევნოს. მას უნდა იყვიროს:

— ნუ წახვალ, ნუ წახვალ!

მაგრამ ვერც წამოდგება, ვერც გამოედევნება, არც ეძახის. სევდიანი თვალებით აცილებს კარამდე... კართან ხათუნა შემოტრიალდა და ხელი დაუქნია, მერე ჩქარი ნახევით გაიარა მეზობელი ოთახი.

წავიდა...

ხათუნა წავიდა. ოთახი მიყუჩდა, დაცარიელდა. აღარავინ იცინის, აღარავინ ლაპარაკობს. სიმარტოვე ჩამოწვა, სიმარტოვე და სიჩუმე.

მარტოობა...

მაშინ სულ პატარა იყო, შვიდი-რვა წლისა თუ იქნებოდა. მამამ სანადიროდ წაიყვანა. ნადირობიდან რომ ბრუნდებოდნენ, უცნობ გზაჯვარედინზე მოხვდნენ. ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო. ცოტა მოშორებით, მალლობზე, ქოხი მოჩანდა. მამა ქოხისკენ გაემართა, რომ ეკითხა, რომელი გზით უნდა წასულიყო.

— შენ აქ მომიცადე, ახლავე მოვალ. — უთხრა მამამ ირაკლის.

მამა შეუდგა მალლობს. ირაკლი მარტო დარჩა უკაცრიელ ველზე. და მერე შიშმა აიტანა — მარტოობის შიშმა. თვითონაც არ იცოდა, რისი ეშინოდა, მაგრამ მარტო დარჩენა არ უნდოდა. არ უნდოდა მარტო დარჩენა ამ უკაცრიელ ველზე. თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. ცოტაც და აღრიალდებოდა, მაგრამ მოკურცხლა და მამას წამოეწია. მთელი დღის ნახეტილები დაღლილი იყო, არაქათი გამოცლოდა, მაგრამ ერთ წამში აირბინა აღმართი და მამასთან ერთად განაგრძო გზა.

ირაკლის ახლაც ძალიან არ უნდოდა მარტო დარჩენა. ახლაც უმალ გამოედევნებოდა ხათუნას, როგორც მამის მამას, მაგრამ არ შეეძლო. მას ახლაც ცრემლები მოადგა თვალებზე და უნდოდა აღრიალდებულყო, მაგრამ არ აღრიალდა. იგი რვა-ცხრა წლის ბალღი აღარ იყო.

ასე გადიოდა დღეები... ყოველდღიური ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ყოველ დღეს თავისი წვრილმანი, უმნიშვნელო საჭიროებანი ჰქონდა...





მედეა კახიძე

ახლა არ ვიცი

აქამდე ვიყავ მთა თოვლიანი
და სიმყუდროვე ვერ მოვიცილე,
მე დაკარგული მქონდა სიცილი,
გულში ზოდებდა მეწყო სიცივე.
მზე ჩემს ზურგს იქით ამოდიოდა,
გულზე მარტყამდა სხივებს შოლტივით,
თვალეებზე თოვლის ცრემლი მდიოდა,
მაინც ვიდექი ტანაშოლტილი.
მე უკარება ვიდექ მწვერვალი,
არ მინატრია შემწედ სხვა ვინმე.

ნისლში ჩაფლული ვიდექ წელამდი,
არ დამცდენია ერთი ვაიმეც.
ახლა, მდინარედ თავი გადავდე,
და შენ მოგეცი ჩემი სადავე,
მზისა და შენი გულის თანხლებით,
ახლა არ ვიცი ვოვლი სადამდე.
მე გავათავე ერთი სიცოცხლე.
ახალ სიცოცხლის შენ ხარ თავდები,
ახლა არ ვიცი, სად მაქვს სათავე,
სად ვიწყები და სად გავთავდები.

ჩვენ დავდიოდით სულ მუდამ ორნი
და ერთ სიცოცხლედ ვიქეციით ლამის,
და დაგვყვებოდა ქალების ჭორი,
როგორც ხეობას ქვიშა და ლამი.
მე თუმც მემახდნენ თვალეებრივად,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის, ამჯერად,
დასშული მქონდა თვალი და სმენა
სხვათა ცქერად და სხვათა საშურად.
შენ აღსდექ ჩემს წინ, როგორც პამირი,

გიბოვე, როგორც მიწა აყალო,
შენს იქით იყო ფუჭი ყამირი
და თავდებოდა მთელი სამყარო.
შენ მოხვალ, როგორც ბუბუნი თელის,
როგორც შემოდის ვენახში რთველი,
მინდა, სულ მუდამ ასე გენახო,
რომ მზესუმზირის მქონდეს სიმორ-
ცხვე,
მე შენთვის ვიყო სართვლო ვენახი,
მკრიფო და მკრიფო მთელი სიცოცხლე.

ჩემი სიცოცხლე ჩუმი და უხმო
პატარა ლელედ მოწანწყარებდა,
მოხვედ ჩემთან მწყურვალი მგზავრი
და შესდექ ჩემი გულის კარებთან.
ქვეყნად არავინ არ შევიკედლე,
მე თვით გიჩვენე ბალის მესერი,
მოხველ და ჩემი ჩუმი სიკერბე
ვით დარუბანდის კარი შეხსენი.
და როგორც ხელზე გაზრდილ ბოჩილას
ყელზე შემაბი ჭრელი ბეწარი.

და სიყვარული ისე დამკარი,
რომ დაფიქრებაც ვერ მოვასწარი.
უშენოდ ყველა მეხის გავარდნა
და ყველა წუთი ღმერთმა დალაზვროს,
შემომავველე მხრები ყავარჯნად,
რომ დაკეცილი ფრთები იმ მნახო.
მინდა მარწიო როგორც თავთავი,
მეკმაროს კენტად ყოფნა აქამდე.
და როგორც ღელის სიცოცხლე ზღვაში
ჩემი სიცოცხლე შენში გათავდეს.



ღარო სუღაბეჩიძე

გაწყვთილი ხმა

გალაღა

ის დააყენეს თეთრ კედელთან,
 ხაკის ხალათი
 ჩამოჰხეოდა
 და უჩანდა შიშველი მკერდი.
 კარაბინებით მის წინ იდგა
 ათი ჯალათი,
 ათიათასი ტყვე ვიდექით
 ჩვენ იმის გვერდით.
 თავაწეული დადგა იგი
 იმ თეთრ კედელთან,
 ჩვენ გვიყურებდა,
 დაბორკილი ჰქონდა მკაფები.
 რიქრაქი იყო,
 ის-ის იყო ახლად შეთენდა
 და ჩვენ ვიდექით იმის ახლოს
 რუხ ფარაჯებით.
 იდგა იგი და
 მე მეგონა, მკერდში უცემდა
 ათიათასი კაცის გული
 ერთად შეკრული,
 მიტომ ის წამი არა დრეკდა,
 არ ახუცებდა,
 არ იდგა, როგორც საწყალი და
 ვინმე ბედკრული.
 ხვრელი გათხარა
 და გაქცევა სურდა მტერთაგან,
 წაასწრეს...
 ახლა მიუღირეს კარაბინები.
 სიკვდილის ყინულს
 სიკვდილამდე ვერ გაეთანგა
 და უკვდავება
 ჩვენს წინ იდგა დანამდვილებით.
 ჩამოძონძილნი, ჩამომხმარნი,



ღონედაცლილნი
 ვიდექით ჩვენ და
 გვაქრუოლებდა ეს მოლოდინი...
 ათიათას ტყვეს გვიცქეროდა
 ერთი ყმაწვილი,
 მკერდი მიეკრა თეთრ კედელზე
 სიბი ლოდივით.
 ფეხზე წამოდგნენ
 ხეიბრებიც, დავრდომილებიც.
 შემოვიკრიბეთ,
 რაც ძალ-ღონე შემოგვრჩენოდა,
 როგორც მარშლის წინ,
 იმნაირი განწყობილებით
 ვიდექით მაშინ,
 ყველა იმის სიტყვას ელოდა.
 „— გაუმარჯოსო სამ...“ —
 იქუხეს კარაბინებმა.
 „... შობლოს!“ —
 აღმოსკდა ათიათას კაცის მკერდიდან.
 სიტყვა შეუწყდა,
 დაცემას კი არ აპირებდა.
 ათიათას გულს
 მისი სიტყვა გამოეკიდ-
 ათიათასში გაღმოსახლდა
 სიცოცხლე მისი...
 ათმა ჯალათმა
 დაახალა ტყვეები ერთად,
 იმისი გული თუ გაგლიჯეს,
 იმისი სისხლი
 ათიათასი კაცის ძარღვებს
 შემოუერთდა.
 და დარჩა იქვე
 დაცხრილული თეთრი კედელი, —
 ათიათასი კაცის მკერდი
 ერთად შეკრული.
 გავარდა ეჭოდ...
 ახლაც მესმის შეუწყვეტელი
 ის ხმა,
 ამდენი წლის წინარე დაქუხებული.



გრიგოლ სამხალაძე

ფიქრი მტკვრის პირას

შვილი პატარა ქვეყნის,
არაზვიადი გვარის,
ვზივარ და ვუცქერ ტალღებს, —
ჩემს წინ დუღუნებს მტკვარი.

ოდიდან მომდინარეს,
მტკვარს ბევრი რამე ახსოვს, —
ცნობისმოყვარე ჩემ სულს,
„ქართლის ცხოვრებას“ აქსოვს.

სიყვარული და მტრობა
რაც მე წილად მხვდა ქვეყნად.
თითქოს არ იყო მცირე,
მაინც არა ღირს კვებნად.

გზა რაც მე გავიარე
მაინც მოკლეა,
მარა
მას ემატება გრძელი
„ქართლის ცხოვრების“ შარა.

მე ვცხოვრობ სიყვარულით
ჩემი მიწის და ცისა,

ათასი წლების იქით,
მივდევ ოცნების ისარს.

მე ვცხოვრობ სიყვარულით
ქართული მიწა-წყალის;
მაგრამ მსოფლიოს სივრცეს
მინდა სწვდებოდეს თვალი.

ადამიანთა შორის
მე არ დავდივარ კენტად.
მე ვლელავ მთელი გულით
ჩემს ეპოქასთან ერთად.

დეე, დამეწვას ფრთები,
როგორც მითიურ იქარს, —
მინდა ავიჭრა ცაში,
იქ შევეგებო ცისკარს,

მარადისს,
უღიადესს,
ვეტრფი ოცნებას მაღალს,
„ქართლის ცხოვრებას“ ძველს და
„ქართლის ცხოვრებას“ ახალს.

ჰალაროსანი თავის წინ

ღროს თან მიჰყვება,
ღროსთან იწურვის
ადამიანის ღონე და ძალა.
ფრთა ეკვეცება ფერად-ფერ
სურვილს, —
განგება არვის შეარჩენს ღალას.

გაზაფხული და ტურფა ზაფხული
უკვე წავიდა, არ მოვა ისევ.

ცხოვრება მაინც არის ზღაპრული,
შემოდგომასაც აქვს სიხალისე.

იღუწალ მესმის:
ნუ გაავდები!
ნუ შეგაშინებს განგების ვალი!
რა ვუყოთ!
შენ თუ ჰალარავდები,
თმახუტუტ შვილით ხომ ხარობს
თვალი?..



წიფინელა ჭრელო

ტაბილად მაგონდება
ჩემი სიყრმის წლები.
სოფლის ცივი წყარო,
ველ-მინდვრები, მთები.

ფეხშიშველა გავლა
სისხამ დილის ცვარში,
როცა აღმასები
კრთიან კონდარში.

ნაცრიანი კვერის
მაგონდება გემო
და ბებიას ლექსი:
„წიფინელა ჩემო,
წიფინელა ჭრელო,
ჩემო საყვარელო!..“

აღერსი და სითბო,
სიხარული ჭარბი,
ღარიბული ყოფა, —
მდიდრის შესახარბი.


მევენახეს

როს რიყრაჟი გრძნეულ ყალმით
შინდისფერად ხატავს თაღებს,
დალოცვილო, მევენახევ,
ზეცა კარებს შენთვის აღებს.

მე ისეთი გარეწარი
ქვეყანაზე ვერვინ ვნახე, —
არ უყვარდეს ვენახები,
არ უყვარდეს მევენახე.

სოფლის მყუდრო საღამოებს
როცა ბედი გვითავაზებს,
მევენახევ, შენთან ერთად,
ქალაქელნიც ვკოცნით ვაზებს.

ლალისფერი, შინდისფერი
გულს ახარებს ყურძნის წვენი,
უიმისოდ ეს ცხოვრება
იქნებოდა მოსაწყენი.



კონსტანტინე პაუსტოვსკი

იქორი კურდღლები

პანს ვერმელი ყველაზე გამოცდილ ქურდად ითვლებოდა ლეიტენანტ კნობ-
ფის ასეულში. ისღა აოცებდა ყველას, რომ შესახედავად სულაც არ გახლდათ
ისეთი, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო მშვიდობიანი დროის ქურდი. ერთი
თვალეზჩადამებული, დონდლო, მოუხეშავი ჯარისკაცი იყო. ძალზე ცოტას ლა-
პარაკობდა და ისიც ზანტად. სიარულის დროს ჩექმებს უშნოდ დააბრაზუნებდა,
ხიხინით სუნთქავდა და შავი თითები ცეცხლწყვილებული ყუმბარის ასაღებ მარ-
წუხს მიუგავდა. მაგრამ ომის დროს ეს სულაც არ უშლიდა ხელს, რომ დაეჭირა
და სამი თითით მოეგულა ქათმები.

ყოველ ადამიანს რაიმე უცნაურობა სჩვევია. ვერმელსაც გააჩნდა ასეთი
უცნაურობა. ის ძალღვივით დიდხანს ყნოსავდა ხოლმე მოპარულ ნივთს. თუ სუ-
ნი არ მოეწონებოდა, გადაადგებდა, ამას გარდა, შეეძლო დილიდან საღამომდე
გაუჩერებლივ ეჭამა. ერთი ლაზათიანი დაბოყინება საკმარისი იყო, რომ ისევე
თავიდან მოშვიებოდა. ერთი სიტყვივით, ფაშისტური რასის უდრეკი წარმომადგე-
ნელი გახლდათ, — ავი და ლენჩი, ცხოველისათვის დამახასიათებელი ყურადღე-
ბიანი ტყვიისფერი თვლებით. სამხრეთის ერთ-ერთ საბჭოთა ქალაქში საქმლის
ძებნის დროს ვერმელი მიტოვებულ ვეტერინარულ ლაბორატორიაში შეფრა-
ტუნდა. ანჯამაზე ჩამოგლეჯილ კართან ერთი შავტუხა იტალიელი გუშავი იდ-
გა. მან ხიშტით გადაუღობა ვერმელს გზა. ვერმელმა ხელი აუკრა შაშხანას და
ყბა კინალამ ჩაულეწა. იტალიელმა დაიყვირა, მაგრამ ვერმელმა გულმკერდში
წიხლი ჩააზილა.

— ხმა გაიწყვიტე, გაწლიკულო! ტილიანო მუსოლინი!

იტალიელმა ხელი ჩასჭიდა შაშხანას და გადააფურთხა. მერე შეივინა და
მიატოვა საგუშავო, თუმცა ამით თავს საფრთხეში ივლებდა. გუშავის მოვალე-
ობის შეუსრულებლობისთვის შეიძლებოდა ჩამოეხრჩოთ კიდევ.

ლაბორატორიაში სიმყავეების ცივი სუნი ტრიალებდა. იატაკი პაპიროსის
ქალღღვივით სიფრიფანა კოლებების ნამსხვრევებათ იყო მოფენილი. ერთ კუ-
თხეში გალიები იდგა.

ვერმელმა სუნი აიღო და ჩექმების ბრაზუნით იჭითვენ გაემართა. გალიები-
დან თბილი მატყლისა და ნაკელის სუნი მოდიოდა. ფუსფუსა თეთრ კურდღ-
ლებს დრუნჩი ბადეზე მიეკვლირათ და გერმანელ ჯარისკაცს ყნოსავდნენ, თან
პაწაწინა ვარდისფერი თვალეზით შესცქეროდნენ. ვერმელმა დათვალა — რვა
იყო. ბადეხლართი მისწი-მოსწია და ერთი კურდღელი ყურით ამოათრია, შემ-



დღე მეორე, მესამე. მთელ ოცეულს ეყოფოდა სადილადა. ნაზი ქორთვა ხორცი-საგან ნამდვილი სადღესასწაულო სადილი გამოვიდოდა.

ქნობვის ასეული ლეიტენანტ სპალეტის იტალიელ ჯარისკაცთა ასეულის მახლობლად იყო განლაგებული. საღამოს სპალეტის ასეულში დვარძლიანი მი-თქმა-მოთქმა ატყდა — აქაოდა, მეზობელი გერმანელები კურდღელს დააძღნენო.

გუშავმა სპალეტის მოახსენა იმ გერმანელი ჯარისკაცის ამბავი, რომელიც კუთხიდან თავს უეცრად დაესხა, შაშხანა ხელიდან გაავდებინა და გალიიდან ყველა კურდღელი გამოიყვანა. მერე მარმარილოს მაგიდაზე თავით დაახლა და ისე დახოცა... ყველა ტილიან ქურთუკში გაახვია და თან წაიღო. სპალეტი დახ-ვრებით დაემუქრა გუშავს და ეს ამბავი ლეიტენანტ ქნობვს აცნობა.

კურდღლის ხორციტ გამომძლარი ათი გერმანელი დანგრეული კინოთეატ-რის დარბაზში მიგდებულიყო სხვა ჯარისკაცებთან ერთად, რომელთაც კურ-დღლის ხორცი არ ერგოთ და ბრაზით გულზე სკდებოდნენ. ვერმელი აბოყი-ნებდა და იფურთხებოდა.

კარი გაიღო. ვილაცამ გარედან ჩექმიანი ფეხი ჰკრა და ისე გააღო.

— ადექით! — დაიძახა წიკეინა ქალური ხმით ქნობვმა და კარში აიშარათა. წინ პოლკის ექიმი შემოუშვა, — ადექით-მეთქი, ძალღის შვილებო!

ჯარისკაცები ზღაზვნით წამოდგნენ და გაიჯგიმენ. ქნობვმა ჩექმის ყელეები აიჭიმა და საპატიო მანძილზე ჩაუარა.

— აბა, ბიჭებო, — ალერსიანად მიმართა ჯარისკაცებს, — რომელმა მოი-პარა კურდღლები და არც კი ისურვა ერთი უკანა ბარკალი მიინც ერგუნებინა მეთაურისთვის.

ჯარისკაცები დუმდნენ.

— ვინ ჩაცეცხლა კურდღლები? — ისე შეჰყვირა ლეიტენანტმა, რომ ხმა ჩაუწყდა.

ჯარისკაცები ადგილზე ფეხს წარამარა ინაცვლებდნენ და ხმას არ იღებ-დნენ.

— ისე გასისინებულხართ, რომ ენას ველარ ანძრევთ, — მშვიდად თქვა ლეიტენანტმა, — ყოველ გერმანელ ჯარისკაცს უფლება აქვს მიირთვას მოსახ-ლეობისათვის წართმეული საქონელი და ფრინველი. მაგრამ ცოტა ჰკუთა ხომ მიინც უნდა დაატანოთ, იკითხოთ, რას იჩრით მაგ ოხერ ხახაში! იცით თუ არა, თქვე მამაძაღლებო, რომ ის კურდღლები ცდების ჩატარების მიზნით, ცოფით იყვნენ დაავადებულნი?

ჯარისკაცები შეკრთნენ და გაყუჩდნენ.

— ვინ ჩაცეცხლა კურდღლები?

ჯარისკაცები არ იძვროდნენ.

— თავს ნუ იგდებთ, — თქვა ბოლოს პოლკის ექიმმა, — თქვენ ხომ იტა-ლიელები არა ხართ. სიკეთე გვინდა თქვენთვის. ვინც კურდღლის ხორცი ჰპაჟა, სხვებისაგან გამოვაცალკეებთ, ზურგში გავგზავნით და ცოფის საწინააღმდეგო აცრებს ჩაეუტარებთ.

— ზურგში! — შეჰკივლა ლეიტენანტმა, — ხომ ხედავთ, რა ჩაიღინეთ, არამზადებო! უკანასკნელად გიბრძანებთ: კურდღლის შემჭმელები ორი ნაბი-ჯით წინ!

ვერმელი წინ გადმოდგა. ლეიტენანტი უკან გადახტა. მწყობრი შეკრთა, შე-ტოკდა და სამი ნაბიჯი წინ გადმოდგა. ოცდაორი კაცი! ოცდაორ ადამიანს მოე-ხერხებინა რვა კურდღლის შეჭმა!

შემდგომი ამბები ამ ოცდობრივ კაცისათვის ძალიან ხელსაყრელად დატრიალდა... უბრძანეს დროებით ჩაებარებინათ იარაღი. ათმა დამნაშავემ უხმოდ გაირია „კურდღლის ამბავში“ თორმეტი უდანაშაულო ადამიანი, — ყველას უნდოდა ზურგში წასვლა და აბა რა ექნათ.

როგორც კი იგრძნეს, რომ ზურგში ცხოვრება ახლოვდებოდა, ყველა, ეს ოცდობრივე ადამიანი ერთბაშად მიხვდა, როგორ ჰქონდათ გული გადაღეული ომისაგან. ეს სულ არა ჰგავდა აღრინდელ ამბებს. პირქუში გასეირნება მანქანებით დანიის მიწა-წყალზე. სალაშქრო ჯუბების სახელოები მერქვევ ქალებივით აპრიალებოდათ და მძაღვ რძის სუნი ასდიოდათ, — ისე ხშირად იწმენდნენ ნაღების ჭამის შემდეგ პირს სახელოთი. ეს არც საფრანგეთის ამბებს ჰგავდა, უქმად გდებისაგან ჩანთებში ტყვია-წამალი რომ უმტვრიანდებოდათ, არც ბელგიას, სადაც დანაღმული გზაც კი არ შეხვედრიათ.

აქ საშინელი ყინვა იძულებულს ხდიდა სისხლის დენამდე ესრისათ ყურები. აქ ყოველი ბუჩქი ბრძოლით უნდა მოეპოვებინათ. აქ ირგვლივ ყველაფერი ღმუროდა და ფეთქდებოდა, მიწა კი ცეცხლის კვამლში იყო გახვეული ათეული კილომეტრების მანძილზე, როგორც უზარმაზარი ვულკანის კრატერი. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ასეთ ომს! ომის შემდეგ ალბათ იმასაც ვერ მოახერხებს კაცი, რომ ორთახიანი ბინა მოიწყოს თავის მშობლიურ ქალაქში, ორადგილიანი საწოლის ნაცვლად არყის ჯგერის ქვეშ უნდა განისვენოს და რუსული ქარბუქის სტენას უსმინოს. ჯანდაბას ასეთი ომი!

ღამით ჯარისკაცები დაამწყრივეს და სადღაც წაიყვანეს. მათ ხალისიანად მოიგდეს ზურგზე ჩანთები და გაფაციცებით მიაბიჯებდნენ გათოშულ რუსულ მიწაზე. მაგრამ ზურგში არავის არ წაუყვანია ისინი. რაც უფრო მეტ მანძილს გადიოდნენ, მით უფრო გოაცებული რჩებოდნენ, სანამ ბოლოს არ მიხვდნენ, რომ ისინი ფრონტისაკენ მიჰყავდათ, დიდი თხრილისაკენ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ტყვიამფრქვევის ბუდეები იყო გამართული.

— ეს რას ნიშნავს, რა ჯამაზობაა? — წაიბურტყუნა ერთმა ჯარისკაცმა. სხვები აიბუძვნენ, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, როცა გენერალმა ცოფიანი კურდღლების ამბავი მოისმინა, ფეხებზე მკიდია თქვენი აცრებიო, იყვირა და ბრძანა ფიურერის ოცდობრივე ჯარისკაცი დაეხვრიტათ და რაც შეიძლება ღრმად ჩაეფლათ მიწაში. ცბიერი მოხუცი იყო გენერალი. მაშინვე მიხვდა, ოცდობრივ კაცი ვერ შეჰქამდა რვა კურდღელს, მაგრამ დამნაშავეთა მიგნებაც გაძნელდებოდა.

ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერით ყველას ერთნაირად გაუსწორდნენ. ასე დაასრულა სიცოცხლე ოცდობრივმა გერმანელმა ჯარისკაცმა, რომელთაც აღარ ეღივრათ შეესრულებინათ ამ ქვეყნად ყველაფერი ის, რასაც ფიურერი ავალბებდა და ჰპირდებოდა და რომელთაც ოცდობრივ ტყვია დაუზოგეს რუს მებრძოლებს.

ასეთი ყოფილა თურმე ადამიანების სამართალი, — იტალიელები იმათ კი არ დასცინოდნენ, ვინც ცოფიანი კურდღლის ხორცი ჭამა, არამედ იმ თორმეტს, რომელთაც ხორცი გემოთი არ უნახავთ და ტყუილუბრალოდ წააგეს თავი. ისე ძალიან კი ვააცურა ისინი პოლკის ექიმმა!



ინგლისური სამართიუბელი

მთელი დამე გადაუღებელი თქორი და თქეში იყო. ჩრდილოეთის ქარი სტენით დაზუზუნებდა სიმინდის დამპალ ღეროებში. გერმანელები გატრუნულიყვნენ. ზღვის პირას ჩადგმული ჩვენი გამანადგურებელი კანტიკუნტად ისროდა მარიუპოლისკენ. სიბნელეში ყუმბარები თავს ისეთი ტყაცანით გადაგვიქროლებდნენ, გეგონებოდათ, დაჭიმული ტილო ფაფხინწესო.

განთიადისას წვიმისაგან აპრიალეებულ მუზარადიანმა ორმა მებრძოლმა ერთი ტანდაბალი მოხუცი შემოიყვანა მაიორის მიწურში. მოხუცს კუბოკრული სველი პიჯაკი ტანზე მკიდროდ შემოტმასნოდა. ფეხებზე თიხის ვეება ტალახი ბელტად აკვეროდა.

მებრძოლებმა უხმოდ დაულაგეს მაგიდაზე მაიორს პასპორტი, სამართებელი და საპარსავი ფუნჯი — ყველაფერი, რაც მოხუცს გაჩხრეკისას აღმოჩენოდა, და მოახსენეს, ხრამში ჭის მახლობლად დაეკავეთო.

მოხუცი დაჰკითხეს. მარიუპოლის თეატრის პარიკმახერი, ავეტიკა ვარო, თქვა, და მოჰყვა ამბავს, რომელიც მერე დიდხანს გადადიოდა ნაწილიდან ნაწილში.

პარიკმახერს მარიუპოლიდან გამოქცევა ვერ მოესწრო გერმანელების მოსვლამდე. თეატრის სარდაფში დამალულიყო და ორი პატარა ბიჭიც დაემალა, — მეზობელი ებრაელი ქალის შვილები. ბავშვების დედა წინა დღით პურის საყიდლად გასულიყო ქალაქში და აღარ დაბრუნებულყო. ალბათ დაიღუპა დაბომბვის დროს.

პარიკმახერმა მთელი დღედამე გაატარა სარდაფში ბიჭებთან ერთად. ბიჭები ერთმანეთს მიჰკვროდნენ, ყურები დაეცქვიტათ და თვალს რული არ ეკარებოდათ. შუაღამისას უმცროსმა ღრიალი მორთო. პარიკმახერი გაუწყრა. ბიჭი გაჩუმდა. მაშინ პარიკმახერმა პიჯაკის ჯიბიდან ბოთლით თბილი წყალი ამოიღო, უნდოდა დაეღვეინებინა, მაგრამ ბავშვი უარზე იდგა, პირს იქით იბრუნებდა. პარიკმახერმა ნიკაპი აუწია — ბიჭს ცრემლით დანამული სახე უხურდა. წყალი ძალით დააღვეინა. ბიჭი ხმაურით, სლუკუნით სეამდა და მღვრიე წყალთან ერთად ცრემლებსაც ყლაპავდა.

მეორე დღეს გერმანელმა ეფრეიტორმა და ორმა ჯარისკაცმა ბავშვები პარიკმახერთან ერთად სარდაფიდან ამოათრიეს და თავის უფროსს ლეიტენანტ ფრიდრიხ კოლბერგს მიჰგვარეს.

ლეიტენანტი ქალაქიდან გაქცეული კბილის ექიმის ბინაში ცხოვრობდა. ფანჯრებში ჩალეწილი მინების მაგივრად ფანერები იყო ჩასმული. ბინაში ბნელოდა და ციოდა, რადგან აზოვის ზღვას ყინულიანმა გრიგალმა გადაუარა.

— ეს რა ამბავია?

— სამინ არიან, ბატონო ლეიტენანტო! — მოახსენა ეფრეიტორმა.

— თავის მოსატყუებელი რა გვაქვს, — ტკბილად წარმოთქვა ლეიტენანტმა, — ბიჭები ებრაელები არიან. ეს მახინჯი ბებერი კი ტიპიური ბერძენია, ელინთა დიდი შთამომავალი, პელოპონესის მაიმუნი. სანაძლოეს დავდებ, თუ გინდათ. რაო! სომეხი ვარო? მერე და რითი დამტკიცებ მაგას, დამპალო ლეშო?

პარიკმახერმა არაფერი უთხრა. ლეიტენანტმა ფეხი წაჰკრა და ცეცხლში შეუძახა ოქროსვარაყიანი ჩარჩოს უკანასკნელ ნატეხს. მერე ბრძანა, ტყვეები იქვე ცარიელ ბინაში მოეთავსებინათ. სალამოს ლეიტენანტი თავის მეგობარ-

თან, ჩასუქებულ მფრინავ ერლისთან ერთად მიბრძანდა იქ, თან ქალაღღში გახვეული ორი ბოთლი მიიტანა.

— სამართებელი თანა გაქვს? — ჰკითხა ლეიტენანტმა პარიკმახერს, — კი? აბა, გადაპარსე თავები ამ ურიის კუპილონებს.

— ეგ რალა მოიგონე, ფრი? — ზანტად იკითხა მფრინავმა.

— ლამაზი ბავშვები არიან, — თქვა ლეიტენანტმა, — ხომ ასეა? მინდა ოდნავ დავამახინჯო. მაშინ ნაკლებად შეგვეცოდება.

პარიკმახერმა ბიჭებს თავები გადაპარსა. ისინი ტიროდნენ თავჩაქინდრულნი, დალაქი კი ილიმებოდა. როცა რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს ავეტიკას, ყოველთვის ცალყბად ილიმებოდა. სწორედ ამ ღიმილმა შეაცდინა ლეიტენანტი. ვადაწყვიტა, ჩემი უწყინარი ხუმრობა ახალისებს ბებერ სომეხს და იმიტომ იცინისო. ლეიტენანტმა ბიჭები სკამზე დასვა, ბოთლი გახსნა და ოთხი ჭიქა არყით აავსო.

— შენ არ გაგიმასპინძლები, აქილევსო, — უთხრა პარიკმახერს, — ამ საღამოს უნდა გამპარსო. მინდა ერთი თქვენს ლამაზმანებს ვესტუმრო.

ლეიტენანტმა კრიჭა გაუხსნა ბავშვებს და თითო ჭიქა არაყი ჩაასხა პირში. ბიჭები იმუხხნებოდნენ, იგუდებოდნენ, თვალებიდან ცრემლები ცვივოდათ. კოლბერგმა ჭიქა მიუჭახუნა მფრინავს და უთხრა:

— მე ყოველთვის მსუბუქი სასჯელის მომხრე ვიყავი, ერლი.

— ტყუილად ხომ არ გქვია შენ ჩვენი კეთილი შილერის სახელი, — მიუგო მფრინავმა, — ესენი ახლავე მაიუფესის ცეკვას დაიწყებენ.

— მოგეცა ლხენა, დაიწყებენ!

ლეიტენანტმა კიდევ თითო არაყი დაუსხა ბავშვებს. ისინი თავს არიდებდნენ სასმელს, მაგრამ ლეიტენანტმა და მფრინავმა ხელები გაუკავეს, თან გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რომ ჭიქა დაეცალათ და თან დასძახოდნენ:

— ეგრე! ეგრე! გემრიელია? აბა ერთი კიდევ! შესანიშნავია!

უმცროს ბიჭს პირის ღებინება აუტყდა. თვალბუბნა სისხლი მოაწვა. სკამიდან ძირს ჩამოცურდა და იატაკზე დაწვა. მფრინავმა ხელი ამოსდო ილიებში, ასწია, სკამზე დასვა და მესამე ჭიქაც ძალით დააღვეინა. მაშინ კი შეპყვირა უფროსმა. გულისგამგმირავად ყვიროდა და თან ელდისაგან გაფართოებულ თვალს არ აშორებდა ლეიტენანტს.

— ხმა ჩაიწყვიტე, კანტორო! ¹ — შეუტია ლეიტენანტმა.

მერე თავი გადაუწია უფროს ბიჭს და პირდაპირ ბოთლით ჩაასხა არაყი პირში. ბიჭი სკამიდან ვადმოვარდა და კედლისაკენ გაცოცდა. კარს ეძებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაბრმავებულიყო, თავით კარის ამყოლს მიეხეთქა და მიყუჩდა.

— ... ღამით, — დაასრულა დალაქმა, რომელსაც სუნთქვა უმძიმდა, — ორთავე მოკვდა. ისეთი მიღებული და გაშავებულიები იწვნენ, გეგონებოდათ, ელვას დაუხრუკავსო.

— მერე! — თქვა მაიორმა და მაგიდაზე დადებული რალაც ბრძანება ახლოს მიიწია, ქალაღღმა გაიშრიალა. მაიორს ხელები აუკანკალდა.

— მერე? — იკითხა დალაქმა, — როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ. ლეიტენანტმა მიბრძანა, გამპარსეო. მთვრალი იყო, თორემ როგორ ჩაიდენდა ასეთ სისულელეს. მფრინავი საღდაც წავიდა. ლეიტენანტმა თავის გამთბარ ბინაში წამიყვანა. ის სარკეს მიუჯდა, მე კი რკინის შანდალში სანთელი ავანთე, ღუმელზე წყალი გავათბე და სახის გასაბუნა დაეფუყე. სანთელი სარკესთან სკამზე

¹ კანტორი — მაგლობელი ებრაელთა სინაგოგაში.

დავდგი. ალბათ გინახვთ ასეთი შანდლები: თმაგაშლილ ქალს ხელში შროშანი უჭირავს. სანთელი შროშანის ჯამში იდგმება. საპნიანი ფუნჯი თვალებში ვატაკე ლეიტენანტს. მან დაიყურა, მაგრამ დავასწარი და რკინის შანდალი საფეტქელში ჩავცხე.

— იქვე გააფრთხოვინე სული?

— კი. მერე მთელი ორი დღე მოვუწიე თქვენთან გადმოსვლას.

მაიორმა სამართებელს დახედა.

— ვიცი, რატომაც უყურებთ, — უთხრა პარიკმახერმა. — თქვენ გგონიათ სამართებელი უნდა მეხმარა. ეს უფრო ნაღდი იქნებოდა, მაგრამ დამენანა. იცით, ძველებური სამართებელია, ინგლისური. ათი წელია, ვხმარობ.

მაიორი წამოდგა და ხელი გაუწოდა პარიკმახერს.

— აჰამეთ ამ ადამიანს, — ბრძანა მან, — და მშრალი ტანსაცმელი მიეცით.

პარიკმახერი მიწურიდან გავიდა. მებრძოლები მას სველე სამზარეულოსაკენ გაუძღვენ.

— ეჰ, ძმაო, — ჩაილაპარაკა ერთმა მებრძოლმა და მზარზე ხელი დაადო დალაქს, — ცრემლები გულს ასუსტებს. მიზანსაც ისე კარგად ვეღარ ხედავ. თუ გვინდა, რომ ყველანი გავწყვიტოთ ერთიანად, თვალი მშრალი უნდა გვქონდეს. ხომ მართალს ვამბობ?

დალაქმა თავი დაუქნია.

გამანადგურებელმა ქვემეხები ააგუგუნა. ტყვიისფერი წყალი შეტორტმანდა, ჩაშავდა, მაგრამ სულ მალე დაუბრუნდა არეკლილი ცის ფერი — მომწვანო და ჩანისლული.

თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმა



ნოღა ნახსია

მე კიდევ მინდა


მე კიდევ მინდა ქროლვა იმ ქარის,
მაშინ რომ სწეწდა იმ აკაციებს.
თორემ მოდიხარ ღიმილმიმქრალი
და შენს ღიმილში სხვა სიმკაცრეა.

მე კიდევ მინდა ქროლვა იმ ქარის,
მთლად უსაშველო ქარი რომ ჰქვია...
შენ ისევ იყო მორცხვი, მიმქრალი
და აგიტაცო, ხელი მოგხვიო.

ველზე დაჰქროდე, როგორც ქურციკი,
ფეხქვეშ დაგეგოს ველი ჭილობად...
შენ აღარ იყო ასე გულცივი
და მიმრთელებდე ყველა ჭრილობას.

და მერე დავთვრე... ტრფობის ეამს ღვინით
გავბრუნდე... ფიქრით გავცდე სივრცეებს.
თმა დაგიშვენო მინდვრის ეასმინით
და გოცებულ თვალთ მიცქერდე.

... მე კიდევ მინდა ძალა იმ ქარის,
მთლად უსაშველო ქარი რომ ჰქვია...
თორემ მოდიხარ ღიმილმიმქრალი
და აღარ ძალმიძს — ხელი მოგხვიო.



თამაზ კანდელიანი

ღედას

რა კარგი ხარ, თმებზე თეთრად
 დათოვლილო ჩემო ღედა,
 შენისთანა მეგობარი
 ბევრი მყავდეს კიდეც ნეტა!

რა კარგი ხარ, ჩემთან ახლოს
 როცა ხარ და როცა გხედავ,
 ამის შემდეგ თუნდაც მოვკვდე,
 არ ვიდარდებ ჩემო ღედა!

მითხარ, როგორ დავივიწყო:
 ჩვენ ვიყავით ორნი სახლში
 და პირველი ვაჟაკაღური
 ცრემლი დამსკდა შენს კალთაში.

როცა ჩემი გაგანდევნი
 გრძნობა ტრფობით მორეული,
 თითქოს გავხდი უფრო მკვიდრი,
 თითქოს უფრო შორეული.

ვიცი, მჯერა, ჩემი გესმის,
 ჩემთან ერთად გტკივა გული,
 აკი, ღედა, ჩემთვის ბევრჯერ
 თვალნი გქონდა დანამული.

რა ტკბილი ხარ თმებზე თეთრად,
 დათოვლილო ჩემო ღედა,
 შენისთანა მეგობარი
 ბევრი მყავდეს კიდეც ნეტა!



დავით ნაჩხევანი

სქანური სიმღერები

მგზავრი

მზე. შემოდგომა. შრიალა ნეშო.
გზა. ტყის ნაპირი. ხაბო დამრეცი.
ხეები რუხი განძარცულ ტყეში
აცქერდებიან ჩრდილებს ამრეზით.
დაღლილი მგზავრი. ნაბიჯი ნელი.
ის არ გაჰყვება ქარებს ფრთიანებს,
სადაც ზღვაა და ფიქრები ვრცელი
ქალაქის დარად წუხს და ხშიანებს.
მაგრამ ნელდება ტალღის დინება,
განერთხმებიან სანაოები
და ფოთლებივით ძირს ეფინება
ლურჯი სამეფო ამოების...
მიდიან გზები, შეჭრილნი ცერად,
ის კი ივლის და მივა ბოლომდის,
სადაც ელიან ანთებულ მზერით
და არც მალავენ თავის მოლოდინს,
სადაც აწვალენ გაშლილ დარბაზებს
მდუმარება და წუხილი ქართა,
სადაც ვალეებულ ხის დარაბაზე
გადაფენილი ირხევა ფარდა.

— ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
სად მიხვალ, მირანგულა, სად?
+ ამ მათაა გადაღმა მთებია მაღალი,
მათ მიღმაც მაღალი მთებია.
იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის.
ირმებს რქებით სურთ გალაენის შემსხვრევა,
ოქროს რქებით სურთ გალაენის შემსხვრევა,
ვაიმე, ირმები, ბედკრული ირმები!
ის კოშკი ვისია, არ იცის არავინ,

მრავალი წავიდა და აღარ დაბრუნდა,
 ჰოი, აღარცერთი აღარ დაბრუნდა,
 ვრცელნი იქნებიან კოშკის დარბაზები.
 — ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
 მაღალნი არიან მწვერვალები,
 მრავალნი არიან მოსისხლენი,
 გზები კი შორია ძალიან.
 — ცხენი უბადლო ჰყავს მირანგულას,
 ხანჯალი ბასრი აქვს მირანგულას,
 მუხლი მაგარი აქვს მირანგულას,
 თვალი აქვს ორბივით მჭრელი.
 — ვაი, რომ უმტყუნებს ცხენი მირანგულას,
 ხანჯალი დაუქანგდება მირანგულას,
 მუხლი გაედუნება მირანგულას,
 სიბნელე ჩაუდგება თვალში.
 ჰოი, დედისერთა საბრალო მირანგულა,
 სად მიხვალ, მირანგულა, სად?
 — იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის...
 — დედა აგიტირდება, მირანგულა,
 ცოლი დაგიქვირდება, მირანგულა,
 შვილი დაგიობლდება, მირანგულა...
 — იქ, ზეცის გუმბათთან, კოშკია ბროლის...

ისინი სამნი წავიდნენ ერთად
 ბედნიერების მოსანახავად.

სოფლად დატოვეს ლურჯი მშვენება
 და მზე, რომელიც მშვიდ საღამოთი
 მათაა გადაღმა ჩაესვენება
 და მზე, რომელიც დილით ამოდის,
 როცა იცრება ნისლის სამოსი
 და მის სანაცვლოდ გორების თხემზე
 სისხამი დილით ნახირს ამოშლის
 ეზოებიდან საბრალო მწყემსი.
 სოფელი იყო, ისე ვით წინათ,
 ველები — ვრცელი, ტყეები — ხშირი
 და გაზაფხული, რომელსაც სძინავს,
 ან გაზაფხული, რომელიც ტირის.
 ისინი სამნი წავიდნენ ერთად,
 არ გაიხსენეს სატრფოს ფერება,
 არც შემოდგომა დაბინდულ ფერთა
 და არც ზაფხული ნათელ ფერებად.

ისინი საით წავიდნენ ნეტა,
 სად დაეძებნენ ბედნიერებას?



პირველი მიწიერი

სამხარეთის სიყვარული

ზოგიერთი ქართველი საზოგადოებრივი
ორ მოქმედებად და რამდენიმე

მოქმედი პირნი

- ვილი ლომენი
- ლინდა
- ბიფი
- შეპი
- ბერნარდი
- ქალი
- ჩარლი
- ძია ბენი
- პოვარდ ვაგნერი
- ჯენი
- სტენლი
- მის ფორსაიტი

პირველი მოქმედება

ისმის ფლიტის ზმა. ეს მელიოლია უბრალოდ და მიმზიდველად უმღერის ბალახს, ზეგებს, ცის კამარას. ფარდა იხდება.

ჩვენს წინ კომივიოიეკრის სახლია. სიღრმეში ვამჩნევთ მაღალი, კუთხოვანი შენობების მოხაზულობებს, რომელნიც ყოველი მხრივ ეკვრის ამ სახლს. სახლი და ავანსცენა ზეცის ცისფერი შუქითაა განათებული, ირგვლივ კი ყველაფერი თითქოს აებედითი ნარინჯისფერი ალით ღვივის. სცენა თანდათან ნათდება და ჩვენ ვხედავთ, რომ ირგვლივ აღმართული შენობები მძიმე აკლამის მსგავსად გადაჰფარებიან ამ პატარა, უმწეო სახლს. აქ ყველაფერს სიზმრის ფერი ადევს, სიზმრისა, რომელიც სინამდვილემ დაბადა. სცენის ცენტრში მოწყობილი სამზარეულო თითქმის ნამდვილს ჰგავს, რადგან იქ დგას სამზარეულო მაგიდა, სამი სკამი და მაცივარი, მაგრამ ამის მეტი იქ არაფერია. სამზარეულოს უკანა კედელში ფარდაჩამოფარებული კარებია, რომელიც სასტუმრო ოთახში გადის. სამზარეულოს მარჯვენე ორი საფეხურის სიმაღლეზე საწოლი ოთახია, სადაც მხოლოდ ორი თითბრის საწოლი და სკამი დგას. საწოლს ზემოთ, თაროზე, დგას ვერცხლის საპირბო თასი. ფანჯარაში მეზობელი სახლი მოჩანს.

სამზარეულოს უკან, დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე, ბიჭების საწოლი ოთახია, რომელსაც ახლა ძლივს ვარჩევთ. ბუნდოვნად ისახება ორი საწოლის კონტური, უკანა კედელ-



ში მცირე სარკმელია დატანებული (ეს ოთახი სასტუმრო ოთახს ზემოთაა, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ). სამხარეულოში მარცხნივ მოთავსებულ ხვეულ კიბეს ავუკავართ ამ ოთახში.

დემორაცია მთლიანად ან ზოგან გამჭვირვალეა. სახურავის ხაზი მხოლოდ მინიშნებულა — ამ ხაზის ზემოთაც და ქვემოთაც მოჩანს საცხოვრებელი სახლები. სახლის წინ ავანსცენაა, რომელიც რამპიდან ორკესტრში ჩადის. ესაა ლომენის სახლის ეზო, სადაც ამავე დროს მიმდინარეობს როგორც ვილის მიერ წარმოდგენილი, ისე ქალაქში მომხდარი სცენები. როდესაც მოქმედება აწყობს დროში მიმდინარეობს, მსახიობები იცავენ წარმოსახვითი კედლების საზღვრებს — სახლში მხოლოდ მარცხნივ მოთავსებული კარები შედიან. მაგრამ როდესაც მოქმედება წარსულს ეხება, ეს პირობითი საზღვრები ისობა და მსახიობები ოთახში შედიან ან გამოდიან ავანსცენაზე „მოწყობილ“ კედლებში.

მარჯვნიდან შემოდის ვილი ლომენი, კომპიოვიაციური, მოაქვს ვასაყიდი საქონლის ნიმუშებით ისევე ორი დღი ჩემოდანი. ფლეიტა კვლავ უკრავს. ლომენი შეუწინაღობად გრძნობს მუსიკას. იგი საბოც წელსაა გადაიკლებული, უბრალოდ აცვიდა. როდესაც იგი სცენაზე კარბისკენ მიდის, ეტყობა, რომ დაქანცულია. ვილი აღებს კარს, შედის სამხარეულოში და შევებით დგამს ბარს ჩემოდნებს. ხელისგულებს ისრებს. უხმოდ რადაცას ჩურჩულებს, შეიძლება ამბობდეს — „ოჰ, ბიჭო, ოჰ, ბიჭო“. ხურავს კარებს. ფარდაჩამოფარებული კარით გადის სასტუმრო ოთახში და გააქვს ჩემოდნები.

მარჯვნივ, საწოლ ოთახში ლინდა, მისი ცოლი, წამოიწევს საწოლიდან, დგება და ხალათს იცვამს, თან სმენდალა ქვეუთლი. ბუნებით სათნო ლინდა ბევრს უთმენს ვილის, რადგან თითქმის აღმერთებს ქმარს, თითქმის მისი დაუცხრომელი ხასიათი, სიფიცხე, მწარე ოცნებები და ერთგვარი სიმკაცრე ლინდასთვის მხოლოდ გარეგნული გამოვლინებაა ვილის იმ მძაფრი სურვილები, რომლებსაც თვითონაც იზიარებს, მაგრამ ტემპერამენტი არ ჰყოფნის არც მათ ვასაგებად და არც მათ ვანსაცვლელად.

ლინდა — (ვილის ფეხის ხმის გაგონებაზე შეშფოთებული იძახის) ვილი!

ვილი — არაფერი მომხდარა, შინ დავბრუნდი.

ლინდა — რატომ, რა მოხდა? (მცირე პაუზა) ხომ არაფერი შეგემთხვა, ვილი?

ვილი — არა, არაფერი.

ლინდა — მანქანა ხომ არაფერს დააჯახე?

ვილი — (ერთბაშად გაბრაზდება) ვითხარი — არაფერი მომხდარა-მეთქი. ვერ გაიგე?

ლინდა — ხომ კარგად ხარ?

ვილი — საშინლად დავიღალე. (ფლეიტის ხმა მიწყდა, ვილი ლინდას გვერდით საწოლზე ჩამოჯდება), ვერ შეეძლო, გესმის, ლინდა — ვერ შეეძლო!

ლინდა — (ძალიან ფრთხილად, ნახად) სად იყავ მთელ დღეს? სახეზე ფერი არ გადგეს.

ვილი — თითქმის იონკერსადღე მივედი, მერე ყაეის დასალეველ შეეჩერდი. იქნებ სულაც ამის ბრალი იყო.

ლინდა — რა?

ვილი — (პაუზის შემდეგ) მანქანა ვეღარ წაიყვანე, სულ გვერდ-გვერდ მიდიოდა. წარმოგიდგენია?

ლინდა — (ცდილობს როგორმე დაეხმაროს) იქნებ კვლავ საუბე გაუფუჭდა. მე მგონია სტუდენტეკრებისა ენჯელის არაფერი გაეგება.

ვილი — არა, მე თვითონ... ჩემი ბრალია. უეცრად თავში გამკრა, რომ საათში ას კილომეტრს ვაკეთებ, მაგრამ როდის გადავიდი ამ სიჩქარეზე, ვეღარ გაიხსენე. უეცრად აღარ შემიძლია... ყურადღება მაქვს დაფანტული...

ლინდა — არა, ალბათ სათვალეს ბრალია, რატომ არ გამოაცვლევიანებ?

ვილი — სათვალე რა შუაშია, მშვენივრად ვხედავ. უკან დაბრუნებისას ოც კილომეტრსლა ვაკეთებდი. იონკერსიდან აქამდე ოთხ საათს მოვუნდი.

ლინდა — (მორჩილად) უნდა დისკენო, ვილი, ასე აღარ შეიძლება.

ვილი — ახლანანს არ დაებრუნდი ფლორიდიდან!

ლინდა — ეგ კი, მაგრამ გონება არ დაგისვენებია, ვილა, ფიქრით ხარ გადაღლილი, მთავარი კი სწორედ ეგ არის, ძვირფასო.

ვილი — დილაზე წავალ. იქნებ უკეთ იყო. (ლინდა ვილის ფეხსაცმელს ხდის) ამ წყევულმა სუპინატორებმა სისხლი გამიშრეს!

ლინდა — ასპირინი დაღე. გინდა მოგცე? ტვირის გაგაყუჩებს.

ვილი — (გონს კიდევ ვერ მოსულა) გესმის, ლინდა, — მიყავს მანქანა და თავს მშვენივრად ვგრძნობ. მიდამოსაც კი ვთვალეირებ — წარმოგიდგენია, მთელი ჩემი ცხოვრება გზაში ვავატარე და მიდამოს ვთვალეირებ — მაგრამ იქ ძალზე კარგია, ლინდა — ირგვლივ და-



ბურული ტყეა, მზე კი აცხუნებს. სარკმელი ჩამოვწიე და სახე თბილ ნიაჲს მიეუშვირე-
და უცებ — როგორ მოხდა, არ ვიცი — გზიდან გადავედი. გუეზნები, სულ დამავიწყდა,
რომ მინჭანა მიმყავს! კიდევ კარგი, თეთრ ხახს არ გადავცდი, თორემ ვინმეს გავიტანდი.
გზა განვავარძე და ისე წავედი ფიჭვებში, რომ კინაღამ... (თვალეზებზე თითებს მიიფარებს)
რა არეული მაქვს თავი, რა უენაური ფიჭვები მომდის...

ლინდა — ვილი, გენაცვალე. უთხარი ვაგნერს, განა არ შეიძლება აქ მოგცეს სამუშაო?
ვილი — აბა, რას გამოვადგები ნიუ-იორკში? ჩემი სპეციალობა ახალი ინგლისია. იქ მე აუცი-
ლებელი ვარ!

ლინდა — კი, მაგრამ უკვე სამოცისა ხარ. როდემდე უნდა გატარონ აქეთ-იქით!
ვილი — პორტლენდში დებეშა გასაგზავნი. ხვალ დილით ათ საათზე ბრაუნს და მორისონს უნდა
შეგვედროდი საქონლის საჩვენებლად. ოპ, დასწყევლოს ღმერთმა, რამდენ საქონელს
გავეყიდი! (იცივამს პიჯაკს).

ლინდა — (პიჯაკს გამოართმევს) ხვალ მიდი კანტორაში და ჰოვარდს უთხარი ნიუ-იორკში გად-
მოგიყვანოს. შენ მეტისმეტად მორიდებული ხარ, ვილი!

ვილი — ბებერი ვაგნერი ცოცხალი რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ნიუ-იორკში ვიმუშავებდი.
რა კაცი იყო! ნამდვილი ტიტანი! მისი ვაჟბატონი კი არავის აფასებს! პირველად ჩრდი-
ლოეთში რომ წავედი, ვაგნერის კომპანიამ არც კი იცოდა, სად იყო ახალი ინგლისი!

ლინდა — მერე, მაგას რატომ არ ეტყვი ვაგნერს, ძვირფასო!
ვილი — (მხნველდება) ვეტყვი, უთუოდ ვეტყვი... ყველი გვაქვს?

ლინდა — ახლავე მოგიშხადებ სენდვიჩს.
ვილი — არა, წადი, დაიძინე. ცოტა რძეს დაგლევე. ახლავე მოვალ. ბიჭები შინ არიან?

ლინდა — სძინავთ უკვე. ჰეპიმ ბიფი საღლაც სტუმრად წაიყვანა ამ საღამოს.
ვილი — (დაინტერესებული) მართლა?

ლინდა — ნეტა გენახა, ორივენი სააბზანოში ერთად რომ იდგნენ და პირს იპარსადენეს! მერე
ერთად წავედნენ. ნუთუ ვერ ამჩნევ, მთელი სახლი საპნის სუნითაა გაჟღენთილი!

ვილი — წარმოგადგენია, მთელი სიცოცხლე წელს იწყებო, გინდა როგორმე სახლი გამოისყიდო,
და ბოლოს, როდესაც სახლი უკვე შენია, აღარავინ გყავს, რომ შიგ იცხოვროს.

ლინდა — რას იზამ, ძვირფასო, ცხოვრება განშორებაა — ახალგაზრდები მუდამ სხვაგან მიდიან.
ყოველთვის ასე იყო.

ვილი — არაფერიც, ზოგიერთები... ზოგიერთები რაღაცნაირად აქაც აღწევენ მიზანს. დილას
რომ წავედი, მერე ბიფს ხომ აღარაფერი უთქვამს?

ლინდა — არ უნდა გასწყრომოდი, ვილი, მით უმეტეს, რომ ის-ის იყო ჩამოვიდა. ასე არ უნდა
გაცხარდებ ხოლმე.

ვილი — აბა, როდის გავცხარდი? მარტო ის ვკითხვებ, ფულს თუ აკეთებ-მეთქი. ეს რა ლანძღვაა?
ლინდა — კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, რანაირად უნდა გააკეთოს ფული?

ვილი — (შეწუხებული და გაბრაზებული) ხასიათი სულ გაუფუჭდა, გულჩახვეული გახდა. ბო-
ლოში მოვიხადე?

ლინდა — ბიჭი ძალიან გამწარებულია, ვილი. ხომ იცი, როგორ უყვარხარ. ნეტავ მალე გაიკ-
ვლიოს გზა, მაშინ ორივე დამშვიდდებით და აღარ იჩხუბებთ.

ვილი — ფერმასი რა უნდა გააკეთოს? იქ რა ცხოვრებაა? მოჯამაგირედ დადგეს? როცა ახალ-
გაზრდა იყო, გუნებაში ვამბობდი — რა უყოთ, ინტიალოს, ყველა სამუშაო სცადოს-
მეთქი. უკვე ათი წელიწადი გავიდა და ახლაც კვირაში ოცდათხუთმეტ დოლარზე მეტს
ვერ შოულობს...

ლინდა — ჯერ ვერ იპოვა თავისი ადგილი, ვილი!
ვილი — ოცდათხუთმეტი წლის კაცს თავისი ადგილი კიდევ ვერ ეპოვოს — სირცხვილია!

ლინდა — შუშ!
ვილი — სულ მაგისი სიზარმაცის ბრალე...

ლინდა — ვილი, შენი ჰირიმე!
ვილი — უქნარაა და მაწანწალა!

ლინდა — უკვე სძინავთ. ჩადი ქვევით, ჰამე რა-ჩე.
ვილი — რისთვის დაბრუნდა? ნეტავ ვიცოდე — ჩამ მოიყვანა შინ.

ლინდა — არ ვიცი. მე გჯონი დაბნეულია, ძალიან დაბნეული, ვილი, არ იცის რა ქნას.
ვილი — ბიფ ლომენი დაბნეულია, არ იცის რა ქნას! ამისთანა ახალგაზრდამ თავისი ადგილი ვერ
მონახოს მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში? თანაც როგორი მუშაა! სხვა რაც გინდა თქვი,
მაგრამ სიზარმაცეს კი ვერ დასწამებ!

ლინდა — მართალია!



ვილი — (გულაჩვილებული, მტკიცედ) ხვალ დილით ვნახავ, ტკბილად მოველაპარაკებ. როგორმე კომპიუტერის ადგილს ვუშოვი. ნახე რა კაცი დადგეს! ღმერთო ჩემო! გახსოვს, ხვალაში როგორ უყვარდათ? ერთს რომ გაილიმებდა, ყველას სახე გაუნთღებოდა ხოლმე. ქუჩაში როცა ჩაივლიდა... (მოგონებებმა გაიტაცეს).

ლინდა — (ცდილობს მოგონებები გაუფანტოს) ვილი, ჩემო კარგო, დღეს ამერიკული ყველი ვიყიდე, შედღვებილია.

ვილი — რას ყიდულობდი ამერიკულ ყველს, არ იცი, რომ მე შვეიცარული მიყვარს?

ლინდა — ვიფიქრე, — იქნებ მომზებდა-მეთქი...

ვილი — არაფერიც არ მომზებრებია! შვეიცარული ყველი მინდა! რატომ შექცევით მუდამ ჯიბრით?

ლინდა — (სიცილს ძლივს იკავებს) მეგონა სიურპრისს ვაგვიკეთებდი.

ვილი — თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ფანჯრებს რატომ არ აღებ?

ლინდა — (უსაზღვრო მთამინებით) ყველა ფანჯარა ღიაა, ძვირფასო.

ვილი — როგორ ამოგვექოლეს ყოველი მხრიდან! აფურები და ფანჯრები, ფანჯრები და აფურები.

ლინდა — გვერდით რომ ნაკვეთია, ისიც უნდა გვეყიდა.

ვილი — ქუჩა მანქანებითაა სავსე. ახლომახლო ვერსად ჩაყლაპავ სუფთა პაერს. ბალახი აღარ იზრდება, სტაფილოსაც კი ვერ დათესავ ეზოში. რაიმე კანონი უნდა შემოიღონ ამდენი სახლების შენების წინააღმდეგ. გახსოვს აქ ორი მშვენიერი თხმელა რომ გვედგა? მათ შორის მე და ბიფმა საქანელა ჩამოვაცხით!

ლინდა — პო, ვითომ ქალაქიდან შორს ვიყავით.

ვილი — იმ თხმელების მოპრისათვის ამ სახლის ამშენებელი ციხეში უნდა ჩავდეთ. სულ გადაჩვენეს აქაურობა! (უიმედოდ) ამ ბოლო ხანს უფრო ხშირად ვიგონებ ხოლმე იმ დღეებს, ლინდა. ამ დროს იასამანი და გლიცინია უკვე ყვავოდა, მერე პიონები იშლებოდა, შემდეგ ნარგისი. რა სურნელება იდგა ხოლმე ოთახში!

ლინდა — კი მაგრამ ხალხმაც ხომ უნდა იცხოვროს სადმე...

ვილი — ახლა ხალხი ძალიან გამრავლდა.

ლინდა — არა, ეგ კი არა, მე მგონი...

ვილი — ახლა ხალხი მეტია-მეთქი! სწორედ ეგ ლუპავს ქვეყანას. მოსახლეობა მეტისმეტად იზრდება. ისეთი კონკურენციაა, კაცს ქუჩაზე შეგშლის! იჯექი და სხვისი ნასუნთქი პაერი ყლაპე. აგერ, იქითაც ამენებენ!.. შენ იცი რაანირად დღეებენ ყველს? (ვილის ბოლო სიტყვებზე ბიფმა და პეპიმ წამოიწიეს საწოლში, ლაპარაკს მიაყურეს).

ლინდა — ჩაღი ქვემოთ, გემო უნახე. ოღონდ წყნარად იყავი.

ვილი — (ლინდას მიუბრუნდა, თავს დამნაშავედ გრძნობს) შენ ჩემზე ნუ იღარღებ, კარგი, ძვირფასო?

ბიფი — უსმინე!

ლინდა — შენ ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვს, ვილი, ასეც არ შეიძლება!

ვილი — შენა ხარ ჩემი იმედი, ლინდა!

ლინდა — დაწყნარდი, ძვირფასო, ბუხს სპილოდ ნუ აქცევ ხოლმე.

ვილი — იმ ბიჭს მეტს აღარაფერს ვეტყვი. თუ ისევ ტეხასში სურს დაბრუნება, მიბრძანდეს.

ლინდა — იპოვის თავის გზას.

ვილი — უთუოდ, ბევრი ძალიან გვიან პოულობს თავის გზას. თუნდაც თომას ედისონი... ან გუდრიჩი. რომელიღაც მათგანი ყრუ იყო (მიდის საწოლი ოთახის კარებისკენ). მთელ ჩემს ქონებას ბიფზე რომ ჩამოვიდე, არაფრის შემეშინდება.

ლინდა — მართლა, ვილი, თუ კვირას კარგი ამინდი გამოვა, ქალაქკარეთ წავიდეთ. მანქანის მინები გავხსნათ; საუზმეც წავიკოთ.

ვილი — არა, ახალ მანქანებში მინები არ იხსნება...

ლინდა — წელან აკი თქვი, დღეს გავხსენიო.

ვილი — მე? არა! (შეჩერდა) რა უცნაურია! ვანა შესანიშნავი არ არის?.. (განცვიფრებული და თანაც შეშინებული გაშეშდა, რადგან შორიდან ფლეიტის ხმა მოესმა.)

ლინდა — რა იყო, ძვირფასო?

ვილი — უცნაურია, ღმერთმანი.

ლინდა — რა, გენაცვალე?

ვილი — შევიზე ვფიქრობდი. (მცირე პაუზა) თან ცხრაას ოცდა რვაში... წითელი, შვეროლე რომ გვეყავდა... (სიტყვა გაუწყდა) სასაცილო არ არის? თუ გინდა დავიფიქრებ, რომ დღეს ამ ძველი მანქანით მივდიოდი...

- ლინდა — ეგ არაფერია, ალბათ ისე გაგახსენდა...
- ვილი — სოციარია. სსს. ვახსოვს ის დრო? როგორ უწვლიდა ბიფი მანქანას? როცა ვყიდდი, არავის სჯეროდა, რომ იმ მანქანით 150 ათასი კილომეტრი მქონდა გავლილი! (თავს გაიქნევს) ეჰ! (ლინდას) დიძინე. მე ამ წუთას ამოვალ! (გადის საწოლი ოთახიდან).
- ჰეპი — (ბიფს) ღმერთო ჩემო, ნეტავ დღესაც ხომ არაფერს დააჯახა მანქანა!
- ლინდა — (ვილის გასძახის) კიბეზე ფრთხილად ჩადი, ჩემო კარგო! ყველი შუა თაროზე დევს! (მობრუნდება, მიდის საწოლისაკენ, აიუებს ვილის პიჯაკს და გადის ოთახიდან. ბიჭების ოთახში სინათლე ინთება. ვილი არ ჩანს, მაგრამ ისმის როგორ ელაპარაკება თავისთავს — „ასორმოცდაათი ათასი კილომეტრი“, თან იცინის. ბიფი დგება საწოლიდან, ოდნავ წინ მოდის, სმენადაა ქვეული. ბიფი ჰეპიზე ორი წლით უფროსია, კარგი აღნაგობისაა, მაგრამ ახლა სახე შეწუხებული აქვს და შეშფოთება ეტყობა. მან ცხოვრებაში ვერ ვერაფერს მიაღწია, უფრო მეტზე ოცნებობს, ვიდრე ჰეპი, მაგრამ მისი ოცნებები უფრო ძნელად განსახორციელებელია, ვიდრე მისა. ჰეპი მაღალია, მოსული, ვენებიანი, რასაც ქალები, როგორც მკაფიო ფერს ან სურნელს. ისე გრძობენ. ისიც ძმასავით გზააბნეულია, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. მას არ ჰყოფნის გამბედაობა თვალი გაუსწოროს მარცხს, თუმცა კი ეტყობა, ცხოვრებისა ის უფრო კმაყოფილია, ვიდრე ბიფი).
- ჰეპი — (დგება საწოლიდან) თუ ასე ვაგრძელებ, მანქანის ტარების უფლებას ჩამოართმევენ. იცი, ბიფ, ძალიან მაწუხებს მამას ამბავი.
- ბიფი — თვალთ ველარ უჭრის.
- ჰეპი — არა, მასთან ერთად მივლია მანქანით, მშვენივრად ხედავს, მაგრამ გონება სადღაც გაუტრბის. ამას წინათ სიტყვი ვიყავით, მწვენი სინათლეზე მანქანა გააჩერა, წითელზე კრ დაძრა. (იცინის).
- ბიფი — იქნებ ფერებს ვერ არჩევს.
- ჰეპი — მამაჩემი და ფერებს ვერ არჩევდეს? მაგ პროფესიის კაცმა ფერებზე უკეთ რა იცის, განა შენც არ იცი?
- ბიფი — (ჯდება საწოლზე) დაეიძინებ.
- ჰეპი — ნაწყენი ხომ არ ხარ მამაზე, ბიფ?
- ბიფი — არა...
- ვილი — (მათ ქვემოთ, სასტუმრო ოთახში) დიდი, სერ, ას ორმოცდაათი ათასი კილომეტრი — უფრო მეტიც — ასსამოცი ათასი!
- ბიფი — ეწევი?
- ჰეპი — (იღებს პაპირისის კოლოფს) გინდა?
- ბიფი — (იღებს სიგარეტს) ვერ ვიძინებ, როცა ამის სუნი მომდის.
- ვილი — აი, ამას ჰქვია მანქანის მოვლა!
- ჰეპი — (მეტად მგრძობიარად) განა სასაცილო არ არის, ბიფ, რომ ისეც ამ ოთახში გვიჩინავს! ჩვენი ძველი საწოლები (სიყვარულით უთათუნებს თავის საწოლს) რამდენი რამ გვეოთქვამს აქ, მიუღი ჩვენი ცხოვრება აქ გავატარეთ.
- ბიფი — პო... რამდენი გეგმა და ოცნება გვექონდა!
- ჰეპი — (ღრმა, ვენებიანი სიცილით) სულ ცოტა ხუთასი ქალი მიინც ოცნებობდა გავგო — რას ვამბობდი ამ ოთახში. (უხმოდ იცინიან).
- ბიფი — ვახსოვს ის ბეტსი, თუ რა ერქვა, არ მაგონდება — ბაშუიკ ავენიუდან?
- ჰეპი — (თმის ვარცხნილ) შოტლანდიური ძაღლი რომ ჰყავდა?
- ბიფი — პო, სწორედ ის. ვახსოვს, იმასთან რომ მიგიყვანე?
- ჰეპი — კი, ჩემთვის ის პირველი იყო, მგონი. რა ღორი იყო! (იცინიან, უხეშად) რაც კი რამ ვიცი ქალზე, სულ შენ მასწავლე, იცოდე.
- ბიფი — როგორ მორცხვობდი ხოლმე, განსაკუთრებით ქალიშვილებთან!
- ჰეპი — მათთან ახლაც მრცხენია ხოლმე, ბიფ.
- ბიფი — წადი ერთა!
- ჰეპი — მრცხენია, მაგრამ ვფარავ. ახლა კი, მგონი, შენ ჩემზე მორცხე ვახდი. რა დაგემართა, ბიფ? ვახსოვს, როგორ გჯეროდა საკუთარი თავის, სად არის შენი ძველი სითამამე? (ბიფს მუხლზე ხელს დაჰკრავს, ბიფი ადგება და მოუხვეწრად ბოლთას სცემს ოთახში) რა მოხდა?
- ბიფი — რატომ დამცინის მამა მუდამ?
- ჰეპი — არა, კი არ დავცინის...
- ბიფი — რაც უნდა ეთქვა, მუდამ მასხარად მიგდებს. მის გვერდით ვერ გავჩერებულვარ.
- ჰეპი — უნდა რომ შენგან რამე გამოვიდეს. რამდენი ხანია შინდა მამაზე მოგელაპარაკო, ბიფ.

მამას... რაღაც დაემართა. თავისთავს ელაპარაკება ხოლმე...

ბიფი — მეც შევამჩნიე ამ დილას. მაგრამ მამამ წინათაც იცოდა ჩურჩული.

პეპი — ასე ძალიან არა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფლორიდაში გავგზავნე, იქნებ დაისვენოს მეოთხე. და იცი, მეტწილად სულ შენ გელაპარაკება.

ბიფი — რას ამბობს ხოლმე?

პეპი — რა ვიცი...

ბიფი — მე იმას გეკითხები, ჩემზე რას ამბობს ხოლმე?

პეპი — ალბათ გზას რომ ვერ დაადექი...

ბიფი — სხვა რამეებიც აწუხებს, პეპ.

პეპი — შენ როგორ გგონია?

ბიფი — არ ვიცი, ოღონდ ყველაფერს მე კი ნუ გადომობარაღებ!

პეპი — იქნებ ფეხზე რომ დადგე... უტრა დამიგდე. არის იქ რაიმე იმედი?

ბიფი — უკვე ვითხარია, პეპ, არც ის ვიცი, არის თუ არა რაიმე იმედი, და არც ის — რისი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს.

პეპი — ეგ როგორ გავიგო?

ბიფი — კარგი, გავაგებინებ. სკოლის დამთავრების შემდეგ ექვს თუ შვიდ წელიწადს ვცდილობდი რაგორმე ხალხში გამოვსულიყავი. სატრანსპორტო აგენტი, კომიუნოაქერი, კვლავ აგენტი, ეს, ის... ესეც ცხოვრებაა, რაღა! ზევით მხევა, შენ კი ჩაიდი მიწის ქვეშ, მეტროში, მთელი შენი სიცოცხლე საქონელს უნდა დაკანკალებდე, აქეთ-იქით რაკო ტელეფონით, გაჟილო, იყილო... წელიწადში ორმოცდაათი კვირა იმისათვის იწვალა, რომ საცოდავი ორი კვირის შევებულება მიიღო! კაცი ნატრობ პერანგი გაიძრო და გარეთ გახვიდა, სულთა პაერი ისუნთქო. შენ კი სულ იმის ფიქრში ხარ — სხვას გაუსწრო. მერე და — რისთვის იკლავ თავს, რას მიღწევ?

პეპი — მაშ შენ ფერმა მართლა მოგწონს? კმაყოფილი ხარ?

ბიფი — (აღვნიშნული) პეპი, ომამდე, შინიდან რომ წავედი, ოცი თუ ოცდაათი სხვადასხვა ადგილი გამოვიცვალე და ყველგან ერთიადიგივე იყო. ამას ამ ცოტა ხნის წინ მიუხვდი, ნაბრასკოში რომ საქონელს ვმწყემსავდი, შემდეგ დაკოტაში, არიზონაში, ახლა კიდევ ტეხასში. სახლშიც იმიტომ დავბრუნდი, რომ ამას მიუხვდი. ახლა იმ ფერმაში, სადაც მე ვმუშაობ, გაზაფხულია, გესმის? ორმოცდაათი კვიცი მაინც ეყოლებათ, მეტი თუ არა. იმაზე კარგი და ლამაზი რა უნდა იყოს, ფაშატა და მის კვიცებს რომ უყურებ. ახლა იქ ცივა, გესმის? ტეხასში ახლა ძალზე ცივა, გაზაფხულია. გაზაფხული როცა მოვა, თავში ფიქრები ამერტება ხოლმე, ცხოვრებაში რომ ჭერ ვერაფერს მივალწიე... რა ეშმაკი შინდა ცხენების ჯოგში, კვირაში ოცდარვა დოლარისათვის რომ ვმუშაობ. ოცდაათობმეტი წლისა ვარ, პეპ, გაიგე... აი რატომ გამოვრბივარ ხოლმე სახლში კისრისტეხით. ახლა კი აქ ვარ და არ ვიცი, რა გვაკეთო. (პაუზის შემდგომ) რაც თავი მახსოვს, სულ ვბრუნდები. ვხედავ, ცხოვრების ფლანგვის მეტი არაფერი მიკეთებია.

პეპი — იცი, ბიფ, შენ პოეტი ხარ! შენ... შენ მეოცნებე ხარ!..

ბიფი — არა, თავში რაღაც აბდალებდა მაქვს. იქნებ ცოლის შერთვამ მიშველოს, იქნებ მამინ დავუღლო გული რამეს. ეგებ სწორედ ეგ მაწუხებს. ახლა ბიჭსა გვაჯარ. ცოლი არ მყავს, საშუაო არ მაქვს, სწორედ... ნამდვილი ბიჭი ვარ. შენ კი კმაყოფილი ხარ, პეპ? შენი საქმე ხომ კარგად მიდის? ხომ კმაყოფილი ხარ?

პეპი — ეშმაკს წაუღია ყველაფერი — არა!

ბიფი — ფულს ხომ კარგად აკეთებ?

პეპი — (ენერგიულად დაბიჯებს ოთახში, უესტიკულაციით) მარტო ის დამრჩენია, რომ საეპრო განყოფილებას უფროსს სკვედის ველოდო. ვთქვათ, მის ადგილზე დამაყენეს. ის კაცი ჩემი მეგობარია, ამ ცოტა ხნის წინათ ლონგ აილენდზე ისეთი ვილა წამოვიბა, ჰუკას დაკარგავ. ორიოდე თვე იცხოვრა იმ ვილაში და გაყიდა, ახლა მეორეს იმუნებს. როგორც კი საქმეს ბოლომდე მიიყვანს, მაშინვე ჰხებრდება. ვიცი, რომ მეც ასე ვიქნები. არ ვიცი, რა ჯანდაბისათვის ვმუშაობ. ზოგჯერ შინ მარტო ვზივარ ხოლმე და ფიქრობ — ჭირას რამდენს ვიხდი. კაცი გავიქვება პირდაპირ! სულ კი ამას ვოცნებობდი — საკუთარი სახლი, მანქანა, ქალები... დასწყველოს ღმერთმა, მაინც მარტო ვარ.

ბიფი — (ენტუზიაზმით) მომისმინე, რატომ არ გინდა ჩემთან წამოხვიდე დასავლეთში?

პეპი — მე და შენ ერთად?

ბიფი — ჰო, იქნებ ერთად რანჩო ვიყიდოთ, ჯოჯი მოვაშენოთ, ჩვენი ხელით ვიმუშაოთ. ჩვენი



- აღნაგობის კაცი სუფთა პაერზე უნდა მუშაობდეს.
- პეტი** — (ხარბად) ძმები ლომენები — ქარვია, არა?
- ბიფი** — (მეტი აღფრთოვანებით) აბა, აბა! — მთელი ქვეყანა გაგვიცნობს.
- პეტი** — (გაბატებული) იცი, ბიფ, მეც სწორედ მაგაზე ვოცნებობ. ზოგჯერ მინდა ხოლმე შუა მაღაზიაში გამოვიდე, ტანსაცმელი ჩამოვიგლიჯო და თაყში რამე ჩავცხო იმ ჩვენ უფროსს! ჩვენი განყოფილების ყველა თანამშრომელს ვაჯობებ კრივში, სირბილშიც, ჰილობაშიც და მაინც იმ ვიგინდარების ბრძანებები უნდა ვასრულო, იმ ძაღლისშვილების შიკრიკი ვიყო, ყელშია, რა, მოსული!
- ბიფი** — ხომ გეუბნები, ბიჭო, შენ თუ ჩემთან წამოხვალ, ვინ იქნება ჩემზე ბედნიერი!
- პეტი** — (აღტყენებით) იცი, ბიფ, გარშემო ყველა ისეთი ორპირი და ფლილია, რომ უკვე აღარავისი მწამს...
- ბიფი** — ჩემო ბიჭუნე, ერთად რომ ვიქნებით, ერთმანეთს მხარში რომ ამოვუდგებით, ვიღასი უნდა გვეშინოდეს?
- პეტი** — შენთან რომ ვიყო...
- ბიფი** — ჰე, საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ფულების ხვეტა არავის უსწავლებია და არც ვიცი...
- პეტი** — მე კი ვიცი?!
- ბიფი** — მამ მონი წავედეთ!
- პეტი** — მაგრამ საქმე ის არის — იქ რამდენს ვიშოვით?
- ბიფი** — ახლა არ მითხარი შენი ნაცნობის ამბავი? მთელი სასახლე წამოიჭიმა და გული კი მაინც ვერ დაიმშვიდა!
- პეტი** — ეს კი ასეა, მაგრამ მაღაზიაში რომ შემოვა ხოლმე, ყველა გზას უთმობს — აქაო და წე-ღიწვადში ორმოცდათორმეტიათასდღარიათა შემობრძანდა კარებში! მე კი ფრჩხილში მეთი ჭკუა მაქვს, ვიდრე იმას თავში...
- ბიფი** — ახლა არ ამბობდი, რომ...
- პეტი** — ჯერ მინდა იმ ვაბეროლ ბაიუშებს გავაგებინო, რის გაკეთება შეუძლია ჰე ლომენს. მინდა ისე შეედოლოდ კარებში, როგორც ის ვაბატონი. მერე კი წამოვალ შენთან, ბიფ, გუფიები, ერთად ვიქნებით. თანაც ის წუხანდელი გოგოები — გადასარკვეები არიან, არა?
- ბიფი** — ეინც კი მყოლია, ყველას ეგენი სჯობიან.
- პეტი** — რამდენიც გინდა, იმდენი მყავს, ბიფ. გული მარტო იმაზე დაგწყდება, რომ ეს ყველაფერი კეგლის თამაშს უფრო ჰგავს — ხან ერთია, ხან მეორე, გულს კი არავინ კვარება. გოგოები ისევე ბევრი გყავს?
- ბიფი** — არა. ნეტა ისეთი გოგო მამოვინა, ერთგული იყოს, ჭკვიანი...
- პეტი** — მეც ამას ვნატრობ!
- ბიფი** — წადი ერთი შენ შინ ჯდომა არ გიყვარს!
- პეტი** — არაფერიც! აი, ისეთი გოგო რომ მანახა, მტკიცე ხასიათი ჰქონდეს, ყველაფრის ატანა შეეძლოს, ერთი სიტყვით, ჩვენი დედა რომ არის, იმისთანა, გესმის? უსინდისოს დამიძახებ, ახლა ერთი რაღაც რომ გითხრა — იცი, წუხელ ჩემთან რომ იყო, ის გოგო — შარლოტა — დანიშნულია, ერთ თვეში თხოვდება. (ისინჯავს ახალ შლიაბას).
- ბიფი** — რას ამბობ!
- პეტი** — ლმერთმანი. მაგის საქმრო ჩვენს მაღაზიაში უნდა დანიშნონ დირექტორის მოადგილედ. მე თვითონაც არ ვიცი, რატომ — ჯიბრით თუ სხვა მიზეზით — შევადინე და ახლა თავს ველარ ვანებებ. უკვე მესამედაა, ჩემს უფროსებს მაგისთანა ონს რომ ვუწყობ. თან ისიც დაუმატე, რომ მაგათ ქორწილებზეც უნდა ვიარო! (ზიზღით, მაგრამ სიცილით) რა ეგა და რა ქრთამის ადება! ვინ იფიქრებს, რომ მე ქრთამის ამღები ვარ, მაგრამ ფაბრიკის პატრონი ჩუმიად ასდლოარჩანს ჩავიდებს ჯიბეში, რომ პატარა დაკვეთა მოუხერსო. ხომ იცი, რა პატროსანი ვარ, მაგრამ ესეც ამ გოგოს ამბავს ჰგავს. მუზიზლება ჩემი თავი. სულ არ მინდა არც ეგ გოგო, არც ქრთამი, მაგრამ, მაინც... ვიღებ!
- ბიფი** — მონი დავიძინოთ!
- პეტი** — მაინც ვერაფერი გადავწყვიტეთ, არა?
- ბიფი** — ერთი აზრი მომივიდა და ვცდი.
- პეტი** — რა?
- ბიფი** — გახსოვს ბილ ოლივერი?
- პეტი** — ჰო, ოლივერი ახლა დიდი კაცია. გინდა კვლავ მასთან იმუშაო?



ბიფი — არა, მაგრამ როდესაც მასთან მუშაობას თავი დაეანებე, ერთი რამე მითხრა. **მხარზე** დამადო ხელი და მითხრა: „ბიფი, თუ როდისმე რაიმე დაგპირდეს, მოდი ჩემთან“.

პეპი — მეც მასსოვს. ეგ კარგი რამეა.

ბიფი — მივალ. ათი ათასი, არა, თუნდაც რვა ან შვიდი ათასი დოლარიც რომ მასესხოს, კარგ რანჩოს ვიყიდი.

პეპი — ნახე თუ არ მოგცეს! ოლივერი შენ ძალიან გაფასებდა, ბიფი, მარტო ის კი არა, სველა გაფასებდა, ყველას ძალიან უყვარდი. ამიტომაც გორჩევე აქ გადმოსახლდე. ერთად ვიცხოვრებთ, თანაც იცოდლე, რომელი გოგოც უნდა მონიდომო...

ბიფი — ერთი რანჩო რომ მქონდეს, რაც მინდა, იმას გავაკეთებდი, ჩემგანაც კაცი გამოვიდოდა! რამდენჯერ მიფიქრია — ნეტა ბილ ოლივერს თუ ჰგონია, რომ ის ბურთები მე მოვიპარე...

პეპი — შენც ერთი! ალბათ დიდი ხანია დაავიწყდა კიდეც! ათი წელი მაინც იქნება მის აქეთ. ძალზე ეჭვიანი ხარ. თანაც ოლივერს შენ სამსახურიდან არ დაუთხოვიხარ.

ბიფი — არ დაუთხოვივარ, მაგრამ დათხოვნას კი აპირებდა, სწორედ იმიტომ წამოვედი. მაინც ვერ გავიგე — მიხვდა იმ ამბავს თუ არა. ჩემზე კი მართლაც მუდამ კარგი აზრისა იყო, მხოლოდ მე მანდობდა ხოლმე მალაზიის გასაღებს.

ვილი — (ქვემოთ) მანქანას შენ გარეცხავ, ბიფი?

პეპი — სსს!

ბიფი შეყურებს პეპის, რომელიც იატაკს მისჩერებია და სმენად ქცეულა. **ვილი** სასტუმრო ოთახში რალაყას ბუტბუტებს.

პეპი — გესმის?

ყურს უგდებენ. ვილი გულიანად იცინის.

ბიფი — (ბრაზდება) არ იცის, რომ შეიძლება დედამ გაიგოს?

ვილი — ბიფი, სვიტერი არ გაიქუჭყიანო!

ბიფის სახეზე ტანჯვა აღებუჭდება.

პეპი — რა საშინელებაა! დარჩი, ბიფი, ნულარ წახვალ! აქაც იშოვი სამსახურს. უნდა დარჩე. დურთმანი, არ ვიცი, რა ვუყო მამას, მრცხენია პირდაპირ...

ვილი — იი, მანქანის მოვლაც ამას ჰქვია!

ბიფი — დედას ყველაფერი ესმის!

ვილი — გეყო ხუმრობა, ბიფი, მართლა პემანი გაქვს? საოცარი!

პეპი — ახლა დაიძინე, მაგრამ დილას კი მოელაპარაკე, კარგი?

ბიფი — (უკმაყოფილოდ წვება საწოლში) დედაც აქვია, შინ. ჩემო ძამიკო!

პეპი — (წვება საწოლში) მინდა ერთი კარგად მოელაპარაკო. (სინათლე მათ ოთახში ნელ-ნელა ქრება).

ბიფი — (თავისთვის, საწოლში) ეგოისტი, გამოთავჯანებული...

პეპი — შშშ... დაიძინე, ბიფი!

მათ ოთახში სინათლე ჩაქრა. ვიღრე ბიჭები ლაპარაკს გაათავებდნენ, ჩაბნელებულ სამხარეულოში ბუნდოდნად გამოჩნდება ვილი. გახსნის მაიკიარს, რალაყას ექებს და ბოლოს გამოიღებს რძიან ბოთლს. სახლების სილუეტები ქრება და ახლა ვილის სახლო მწვანეშია ჩაფლული. მუსიკა ხმამაღლა ჟღერს.

ვილი — ფრთხილად იყავ გოგოებთან, ბიფი, არ დაივიწყო. არაფერს შეპპირდე, სულ არაფერს. იცოდლე გოგოები ყველაფერს მალე იჯერებენ, რაც უნდა უთხრა. შენ კი ძალზე ახლავაზრდა ხარ, გავოებთან სერიოზული ლაპარაკი ჯერ არ შეგძლია.

(სამხარეულოში ინთება სინათლე. ვილი ლაპარაკობს, თან მაიკერის კარებს ჭურავს. მივა სამხარეულოს მაგიდასთან, ფინჯანში რძეს ჩაასხამს. ფიქრებშია წასული და ოდნავ ეღიმება).

ვილი — შენ ძალზე ახლავაზრდა ხარ, ბიფი, ვერ სკოლა უნდა დაამთავრო, როცა ფეხზე დადგები, შენისთანა ბიქს გოგოები ბუზივით დაესევია. (სამხარეულოს სკამს უღიმის) გაიგე? მამ შენი გულისათვის გოგოები ფულს ხარჯავენ? (იცინის) აი წარმატებაც მეგას ჰქვია. ზვილის ახლა ყურადღება მთლიანად გადააქვს სცენის გარეთ, ხმას თანდათან უმატებს და ბოლოს ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს). ბიფი, ვერ გამიგია, ნეტა რატომ აკრიალებ მანქანას ასე, ჰა? არ დაგავიწყდეთ მასრების გაწმენდა, ზამში გადაუსვით. ჰეპ, მინები ჭალაღლით გაწმინდე, ძალზე ადვილია. ბიფი, უჩვენე ერთი, როგორ უნდა ახლა ხომ ხედავ, ჰეპი? დაქმუნვე, კარგად დაქმუნვე ჭალაღლი! ჰო, სწორედ ასე! კარგია, კარგი, ჰეპ! (ღუმს, რამდენიმე წამს მოწონების ნიშნად თავს უქნევს, შემდეგ ზევით აიხედავს).

ბიფ, იცი ჯერ რა უნდა გავეთვოთ? — აი, ის დიდი ტოტი უნდა მოვტკრაო, სახლისაყენ რომ არის გამოშვებული, თორემ ქარიშხლის დროს შეიძლება ჩამოტყდეს და სახურავი დაახიანოს. მოდი ასე ვენათ — ჩამოვაბათ თოკი და განზე გაწიოთ, მერე კი ავიდეთ ხეზე და ტოტი გადავხერხოთ. მალე მორჩით მანქანის წმენდას. ბიჭებო, რაღაც... რაღაც მოგიტანეთ!

ბიფი — (სცენის გარეთ) — რა, მამიკო?

ვილი — არა, ჯერ დაამთავრეთ. საქმე შუა გზაზე არასოდეს არ მიატოვოთ — კარგად დაიმახსოვრეთ (იყურება „დიდი ხეებისკენ“) ბიფ, ოლბენიში მშვენიერი ჰამაკი ვნახე. შემდეგ მგზავრობისას უთუოდ ვიყიდი, ამ ფიქვებს შორის ჩამოვავათ. ხომ კარგი იქნება? ამ ტოტებს ქვეშ ვიქანავებთ... იცი, ბიჭო... (იქიდან, საითაც ვილი იყურებოდა, შემოდიან ბიფი და ჰეპი. ბიჭები. ჰეპის მოაქვს რაღაც ნაჭრები და სათლით წყალი. ბიფს აცვია სვიტერი, გულზე ასო „A“ აწერია, ხელში ფეხბურთის ბურთი უკავია).

ბიფი — (უჩვენებს სცენის იქით, სადაც მანქანა დგას). როგორ მოგწონს, მამი? შოურტებზე ნაკლებად ვაკეთებ?

ვილი — მშვენიერია, კარგად გიმუშავიათ, ბიჭებო. ყოჩაღ, ბიფ!

ჰეპი — შენი საჩუქარი სადღაა, მამიკო?

ვილი — უკანა სკამის ქვეშ დევს.

ჰეპი — ვაჰა! (გარბის).

ბიფი — რა არის, მამიკო? რა გვიყიდი?

ვილი — (იციანის, ალერსით მუჯღუგუნს წაჰკრავს) ის, რაც მინდოდა გქონოდათ.

ბიფი — (მობრუნდება და გარბის) რა არის, ჰეპ?

ჰეპი — (სცენის გარეთ) მოკრივის მსხალი!

ბიფი — მამიკო!

ვილი — ზედ ჯინ ტანის ხელმოწერა აქვს!

ჰეპი შემოვარდება სცენაზე, ხელში მოკრივის მსხალი უჭირავს.

ბიფი — საიდან იცი, რომ ამას ვნატრობდი?

ვილი — სავარჯიშოდ ამაზე კარგი რა იქნება!

ჰეპი — (ხურგზე წვება და ფეხებს ისე ამოძრავებს, თითქო პედალებს აწვებოდეს) მამა, მატყობ, რომ ვხდები?

ვილი — (ჰეპის) თოკზე ხტუნვაც ძალიან რგებს.

ბიფი — ნახე ჩემი ახალი ბურთი?

ვილი — (სინჯავს ბურთს) სად იშოვე?

ბიფი — მწვრთნელმა მითხრა — ბურთის გადაცემაში ივარჯიშეო.

ვილი — მართლა? ბურთი იმიტომ მოგცა?

ბიფი — არა, ბურთი კლუბის საწყობიდან ვითხოვე. (იციანის).

ვილი — (ბიფის ქურდობაზე ეცინება) ბიფ, მე მინდა ბურთი უკან დაუბრუნო.

ჰეპი — აკი გეუბნებოდი — მამა გაჯავრდება-მეთქი.

ბიფი — (გაბრაზებული) მერე რა მოხდა? უკან წავიღებ!

ვილი — (რომ ბოლო მოუღოს ამ კინკლაობას, ჰეპის) ბიფს სავარჯიშოდ ხომ ნამდვილი ბურთი სჭირდება! (ბიფს) ასეთი დამოუკიდებელი ხასიათისთვის მწვრთნელმა იქნება შეგაქოს კიდევ!

ბიფი — მწვრთნელი მუდამ მაქვს ხოლმე დამოუკიდებლობისათვის!

ვილი — იმიტომ რომ უყვარხარ. რა ამბავი ატყდებოდა, ვინმე სხვას რომ წაეღო ეგ ბურთი! ახალი რა იციო, ბიჭებო?

ბიფი — სად იყავი ამდენ ხანს, მამა? უშენოდ ძალიან მოგვეწყინა.

ვილი — (ნასიამოვნები ხელებს გადახვევს შვილებს და ასე მოდიან ავანსცენისკენ) მამ მოგეწყინათ?

ბიფი — სულ შენს ხსენებაში ვიყავით.

ვილი — განა არ მიტყვამს თქვენთვის, ბიჭებო? მაშ საიდუმლოდ გაგიმხელთ, სიტყვა არავისთან დაგვადეთ — მალე ჩემს საყუთარ საქმეს დავიწყებ და სახლიდან წასვლა აღარსად მომიხდება.

ჰეპი — ძია ჩარლისავით, არა, მამა?

ვილი — ძია ჩარლი რა სათქმელია! თქვენი ძია ჩარლი არავის მოსწონს. არა, როგორ არა, მოსწონთ, მაგრამ... ძალიან არა.

ბიფი — ახლა სად იყავი, მამა?



ვილი — ჩრდილოეთით, პროვიდენსში. იქ ქალაქის მერი ვნახე.

ბიფი — პროვიდენსის მერი!

ვილი — სასტუმროს ვესტიბიულში იჯდა.

ბიფი — რა გიხბარა?

ვილი — შეუბნება — „ილა მშვიდობისა“, მე კი ვბასუბობ — „რა საუცხოო ქალაქი გაქვთ“, მერე ყავა დავლეით ერთად. პროვიდენსიდან უოტერბერიში წავედი, ისიც მშვენიერი ქალაქია, თავისი საათებით არის განთქმული. ცნობილი უოტერბერული საათები. ბლომად საქონელი გავყიდე. იქიდან ბოსტონში წავედი, ბოსტონი ჩვენი რევოლუციის აკვანია. შესანიშნავი ქალაქია. მერე მესაჩუხეტისის ორიოდ ქალაქშიც ვიყავი, პორტლენდში და ბანგორშიც შევიარე, იქიდან კი პირდაპირ შინ წამოვედი.

ბიფი — იცი, მამი, როგორ მინდა შენთან ერთად წამოსვლა!

ვილი — მოიცა, გამოზახულდეს და წაგიყვანთ.

ბეპი — მაშ მართლა წაგიყვან?

ვილი — სამივენი ერთად წავალთ — შენ, ბეპი და მე. ქალაქებს გიჩვენებთ. ამერიკაში უთვალავი ლამაზი ქალაქია, იქ ღირსეული და კეთილშობილი ხალხი ცხოვრობს და მე ყველა მიცნობს. ახალი ინგლისის ყველა კუთხე-კუწუხულში მიცნობენ. მე რომ თან წაგიყვანთ, ჩემო ვაჟკაცებო, ჩვენთვის ყველა კარი ღია იქნება. იცით რატომ? — მე ბევრი მეგობარი მყავს და იმიტომ. ახალ ინგლისში სადაც უნდა დავტოვო ჩემი მანქანა, პოლიციელები საკუთარსავე მიხედავენ. მაშ ამ ზაფხულს წავსულვართ, ხომ, ბიჭებო!

ბიფი და ბეპი — (ერთად), წაივლეთ, აბა რა!

ვილი — თქვენი საბანაო კოსტუმებიც წამოიღეთ!

ბეპი — შენს ჩემოდნებს ჩვენ ვატარებთ, მამა!

ვილი — უპ, რა იქნება! შევდივარ ბოსტონის მალაზაებში, უკან კი ჩემს ბიჭებს ჩემოდნები მოაქვთ. აი, მესმის სენსაცია! (ბიფი აქეთ-იქით დახტის, ბურთის გადაწოდებაში ეარჯიშობს).

ვილი — ამ შეჯიბრის გეშინია, ბიფ?

ბიფი — სულაც არა, თუ შენ ჩემთან იქნები.

ვილი — სკოლაში რას ამბობენ, რაც გუნდის კაპიტანად დავნიშნეს?

ბეპი — ყოველ დასვენებაზე გოგონები კუდივით უკან დასდევენ.

ბიფი — (ცილის ხელს მოაკიდებს) მამა, ამ შაბათს შენს სახელზე ერთ ბურთს გავიტან.

ბეპი — შენი საქმე ბურთის გადაწოდებაა.

ბიფი — შაბათს მარტო მამიკოსთვის ვითამაშებ. შენ კარგად მიყურე, მამა, როგორც კი შეამჩნევ, რომ ქულზე ხელი მივიდე, იცოდე, რომ წინ გავიქრები და მერე ნახე, როგორ გავარდევ იმთ დაცვას!

ვილი — (ჰკონის ბიფს), მთელ ბოსტონს მოვდებ ამ ამბავს! (შემოდის ბერნარდი, მოკლე შარვალი აცვია. სერიოზული ბიჭია, ბიფზე უმცროსი და მისი ღიდი ერთგული. ახლა შეწუხებულია).

ბერნარდი — ბიფ, სადა ხარ აქამდე? ავი ჩემთან ერთად უნდა გემყვადინა?

ვილი — შეხედეთ, ბერნარდი რატომ ხარ ასე გაყვითლებული, ბერნარდი?

ბერნარდი — ბიფმა უთუოდ უნდა იმეცადინოს, ძია ვილი. იმ კვირას მზრუნველთა საბჭო უნდა შედგეს.

ბეპი — (ბერნარდს ამბავებს, აქეთ-იქით ატრიალებს) მოდი ვიკიდაოთ, ბერნარდი!

ბერნარდი — ბიფ! (გაუხსლებს ბეპის) მომისმინე, ბიფ! მისტერ ბირნზომმა თქვა, თუ არ მოვზადა მათემატიკაში, უთუოდ ჩავეჭირო და აღარც ატესტატს მოგკემენ. ჩემი ყურით გავიგონე!

ვილი — წადი, ბერნარდთან იმეცადინე, ბიფ, აბა, ცოცხლად!

ბერნარდი — ხომ ვამბობ — ჩემი ყურით გავიგე-მეთქი!

ბიფი — მამიკო, ჩემი ბუცები რომ არ გინახავს!

(ფეხს ასწევს, რომ მამას დაანახოს).

ვილი — როგორ მოგიხატია!

ბერნარდი — (წმენდს სათვალეს) რაკი თავის ბუცებს ვირჯინიის უნივერსიტეტი მიახატა, მაგისთვის კი არ დაამთავრებინებენ სასწავლებელს, ძია ვილი!

ვილი — (გაბრაზებული) რას მიუღ-მოიღებენ? ბიფს სამი უნივერსიტეტი სტიპენდიას ჰპირდება და ჩაურას ვინ გაუბედავს?

ბერნარდი — მაგრამ ჩემი ყურით გავიგე, რომ მისტერ ბირნზომი ამბობდა...

ვილი — რა წურბელსავით გადაგვეკიდე? (თავის შვილებს). რა ლაყე ვინმე!

არტური მილერი

ბერნარდი — მამ კარგი, სახლში დაგელოდები, ბიფ. (ბერნარდი გადის, სამივენი იციან).

ვილი — ბერნარდი მინცდამინც არ უყვართ სკოლაში, არა?

ბიფი — უყვართ, როგორ არა; მაგრამ ძალიან კი... არა.

პეპი — მინცდამინც არ უყვართ.

ვილი — მეც მაგას ვამბობ. ბერნარდს შეიძლება სკოლაში ყველაზე კარგი ნიშნები ჰქონდეს, გესმით, მაგრამ როცა საქმიან ხალხში გამოვა, თქვენ მასზე მთელი თავით მაღლა იდგებით. სწორედ ამიტომ ვუშაღლი ყოველადღიერ ღმერთს, რომ აღონისივით ტანადები ხართ ორივენი. საქმეში წინ ის კაცი წავა, ვისაც კარგი გარეგნობა აქვს და თავიც შეუძლია მოგაწონოს. თუ ხალხს მოსწონხარ, საქმე მუდამ კარგად გექნება. აი, თუნდაც მე: მიყვარდები ძებნა არასოდეს არ მჭირდება. საკმარისია გაიგონ — „ვილი ლომენი ჩამოვიდარ“ — და საქმე მორჩენილია.

ბიფი — ყველა ბეჭებზე დადე, მამა, არა?

ვილი — პროვიდენსში ბეჭებზე დადე, ბოსტონში კი ნოკაუტში ჩავაგდე.

პეპი — (კვლავ გულაღმა წეებს და ფეხებს ამოძრავებს) ხედავ, მამა, წონაში კვლავ უფრო მეტი ვარაუდობაა შენთვის ახალგაზრდა ლინდა, დარეცხილი თეთრეულით სავსე კალათი მოაქვს.

ლინდა — (ახალგაზრდული ხალისით) გამარჯობა, ჩემო საყვარელო!

ვილი — ჩემო ძვირფასო!

ლინდა — ჩვენი „შევი“ როგორ დადის?

ვილი — შევროლე საუკეთესო მანქანაა, ჩემო ლინდა. (ბიჭებს). როდის აქეთია, რაც დედა-თქვენს თვითონ დააქვს კიბეზე სარეცხი?

ბიფი — ჩაქიდე ხელი, პეპ!

პეპი — სად წავიღოთ, დედა?

ლინდა — ზემოთ, თოქზე გაფინეთ. შენ კი ჯობია შენს ბიჭებს მიხელო, ბიფ, მთელი ხარადი შენი ბიჭებიოთაა სასე და არ იციან, რა გააკეთონ.

ბიფი — როცა მამა შენ ბრუნდება ხოლმე, ცოტა მოიცადონ, არ აწყენთ!

ვილი — (კმაყოფილი იცინის). სჯობს სარდაფში ჩახვიდე და რაიმე საქმე გაუჩინო!

ბიფი — საცეცხლეს დავაგვევიანებ!

ვილი — კარგია!

ბიფი — (გადის, სამხარეულოს კედელს იქით და გასაბის) ბიჭებო, საცეცხლე დაგავეთ. ამ წუთს მოვალ!

ბიფი — კარგი, ბიფ! ახლავე!

ბიფი — ჯორჯ, სემ და ფრენკ, აქ მოდი, სარეცხი უნდა გავფინოთ! აბა, პეპ, ცოცხლად! (მას და პეპის მიაქვთ კალათი).

ლინდა — როგორ უჯერებენ ყველაფერს!

ვილი — ფეხბურთი, ფეხბურთი აკეთებს ყველაფერს. ხომ გეუბნები, ვაქრობის საქმე გადასარეცხად მიდის, მაგრამ შენ გიყვით გამოვიქვით...

ლინდა — მთელი ჩვენი უბანი მოვა მაგის თამაშის საყურებლად. გაყიდე რამე?

ვილი — ხუთასი გროსი პროვიდენსში გავყიდე, შეიდასიც ბოსტონში.

ლინდა — მართლა? მოიცა, ფანჯარი აქ მაქვს. (იღებს ფანჯარს და ქაღალდს წინსაფრის ჯიბიდან) მამ შენ საკომისიო გასამრჯელო გერგება... ორასი დოლარი! ღმერთო ჩემო — ორასი თორმეტი დოლარი!

ვილი — ჯერ კარგად არ მიანგარიშია, მაგრამ...

ლინდა — რამდენი გაყიდე?

ვილი — ვიცი, მე... მე... დაახლოებით ას ოთხმოცი გროსი პროვიდენსში. არა, სულ... ერთი სიტყვით, ამ მგზავრობაზე სულ ორას გროსამდე გავყიდე...

ლინდა — (აუღელვებლად) ორასი გროსი? მამ, გამოდის... (ანგარიშობს).

ვილი — საქმე იმან გაუჭირა, რომ ბოსტონში სამი მაღაზია არ ვაქრობდა, აღწერა ჰქონდა. თორემ ნახავდი, რამდენს გავყიდდი, ყველა რეკორდს გადავაჭარბებდი.

ლინდა — გამოდის სამოცდაათი დოლარი და რამდენიმე ცენტრი. ესეც კარგია.

ვილი — ვალი რამდენი გვაქვს?

ლინდა — ჯერ მაცურის ფული უნდა გავისტუმროთ, თქვენსეტი დოლარი.

ვილი — რატომ თქვენსეტი?

ლინდა — იმიტომ რომ ვენტილატორის ღვედი გაწყდა — ერთი დოლარი და 80 ცენტია მისაკემი.

ვილი — მაცურარი ხომ სულ ახალია.

ლინდა — ოსტატმა მიიხრა ახალმა ასე იცისო. („კედლის“ გველით სამხარეულოში შეღაიან).



ვილი — ნეტა ხომ არ მოეტყუვდით, ეგ მაცივარი რომ ვიყიდეთ?

ლინდა — რა ვიცი, რეკლამა კი დიდი აქვს და...

ვილი — არა, მაცივარი უთუოდ კარგია. სხვა რა?

ლინდა — ცხრა დოლარი და 60 ცენტი სარეცხი მანქანისა... თხუთმეტისთვის მტვერსასრუტავისა სამწახევარი დოლარი გვაქვს შესატანა, სახურავისა 20 დოლარი დაგვრჩა კიდევ მისაცემი.

ვილი — წვიმა ხომ არ ჩამოდის?

ლინდა — არა, ძალიან კარგად გააკეთეს. ფრენკისა კარბიურატორის ფული გმართებს.

ვილი — არაფერსაც არ მივცემ! რა დაწყველილია ეს შეფროლე, ნეტავ რატომ არ აკრძალავენ მაგის გამოშვებას?

ლინდა — ეგ ასე იყოს, მაგრამ ფრენკისა სამდოლარნახევარი გმართებს. ერთად, წვრილმანებსაც თუ დავემატებთ, თხუთმეტისთვის ას ოცი დოლარი გვაქვს შესატანი.

ვილი — ას ოცი დოლარი ღმერთო ჩემო, საქმე თუ არ გამოსწორდა, არ ვიცი, რა მეშველებს!

ლინდა — შემდეგ კვირას უკეთ ივაჭრებ!

ვილი — ნახე, შემდეგ კვირას ყველას ძირს დავანარცხებ! პარტფორდში წავალ, იქ ყველას ვუყვარვარ, იცი, ლინდა, მე ის მაწუხებს, რომ ხალხს ერთბაშად თვალში არ მოვდივარ ხოლმე. (მოდიან ავანსცენისკენ).

ლინდა — სისულელეა!

ვილი — ხელად ვგრძნობ ხოლმე. მგონი დამცინიან კიდევ.

ლინდა — რატომ? რატომ უნდა დაგცინონ? მაგას ნუ ამბობ, ვილი. (ვილი სცენის კიდეისკენ მიდის. ლინდა სამზარეულოში შედის და ქალის წინდების კემსვას იწყებს).

ვილი — არ ვიცი რატომ, მაგრამ ზოგჯერ სულ არ მაჩნევენ ხოლმე. რაღაც შეუმჩნეველი ვარ.

ლინდა — კი მაგრამ, შენი საქმე ხომ კარგად მიდის, ჩემო ძვირფასო. კვირაში 70-100 დოლარს აკეთებ.

ვილი — სამაგიეროდ მაგ ფულისთვის დღეში ათი, ხშირად თორმეტი საათი უნდა ვიწინწალო, სხვები კი — არ ვიცი, რანაირად — უფრო ადვილად ახერხებენ. რატომ მემართება, ვერ გამოვიგია, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, ვეღარ ვჩერდები ხოლმე. ჩემი ხელობის კაცი ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს. აი, ჩარლის ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და ამიტომაც პატივს სცემენ.

ლინდა — შენ ბევრი ლაპარაკი არ იცი, მაგრამ ძალზე ცოცხალი ხასიათი გაქვს!

ვილი — (ღიმილით) ჯანდაბას ყველაფერი ცხოვრება ისეთი მოკლეა, ორჯერ ზედიზედ გახუმრებნასაც ვერ მოასწრებ! (თავისთვის). მე კი ძალზე ბევრს ვხუმრობ! (ღიმილი გაუქრბა).

ლინდა — შენ სულაც არ...

ვილი — სრული ვარ. ძალიან... ძალიან სასაცილო შესახედი ვარ, ლინდა. აქამდე არ მითქვამს შენთვის, — აღდგომას ჩემს მუშტართან შევიარე, ერთი კომივოიჟერი უჯდა კანტორაში, ვიცნობ იმ კაცს. შევდივარ და მესმის: ლომთევზაო. გავუქანე და ვლიწუე სახეში. ჩემი შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ, არავის გვაგებდინებ! მაგრამ მაინც დამცინიან, ვიცი, რომ დამცინიან.

ლინდა — ჩემო კარგო...

ვილი — გადავაჩვევ დაიცნვას, ნახე თუ არ გადავაჩვიო! იქნებ ისე არ მაცივია, როგორც საპიროა?

ლინდა — ვილი, ჩემო საყვარელო, შენ ყველაზე ლამაზი ხარ...

ვილი — არა, ლინდა...

ლინდა — ჩემთვის ყველაზე ლამაზი ხარ. (მცირე პაუზა). ყველაზე ლამაზი. შორიდან ქალის სიცილი ისმის. ვილი იქით არ იყურება, მაგრამ ლინდას სიტყვებს ქალის სიცილი თან სდევს.

ლინდა — ბიჭები პირდაპირ გიყვებიან შენზე. იშვიათად, რომ მამას ასე აღმერთებდნენ შეილები.

სცენის იქით, სახლის მარცხენა მხრიდან ისმის მუსიკა. ბუნდოვნად მოჩანს ქალის სილუეტი. იგი ტანთ იცვამს.

ვილი — (გრძნობით) შენ ყველას სჯობიხარ, ლინდა. შენ ნამდვილი მეგობარი ხარ. იცა. ზოგჯერ გზაში როცა ვარ, მომიხედება ხოლმე მოგეხვით, მაგრად, მაგრად მოგეხვით და კოცნით დაგახრჩო... (ახლა სიცილი უფრო ხმამაღლა ისმის, ვილი მიდის მარცხნივ სცენის განათებული ნაწილისაკენ, სადაც კულისებიდან გამოსული ქალი დგას ვითომდა „სარკის“ წინ, ქულის იხურავს და იცინის).

ვილი — თავს ძალიან მარტო ვგრძნობ ხოლმე და იმიტომ... მით უმეტეს, როცა ვაპრობა ცუ-



დად მიდის და გვერდით არაფერს მყავს, რომ ველაპარაკო. მაშინ ისე მგონია, ველარასოდეს ვერაფერს ვერ გავყვიდი, ფუღს ვერ ვიშოვი, ბიჭებს გზაზე ვერ დაღაყენებ-მეთქი. (მის ლაპარაკს ქალის სიცილი ერთვის; ქალი „სარკემში“ იყურება და კონტაობს) როგორ განტრობ...
 ქალი — ვის ნატრობთ, ვილი? მე? თქვენ რა, მე თვითონ ამოვირჩიეთ.
 ვილი — (ნასიამოვნები) მაშ თქვენ ამირჩიეთ?
 ქალი — (საკმაოდ კარგი შესახედობისაა, წლოვანებით ვილის ტოლი იქნება). დიად, მე. ვზი- ვარ ჩემს მაგიდასთან და ვთვალღერებ კომივოიფერებს, ყოველდღე რამდენი რგვეა, ვინ დათვლის! მაგრამ თქვენ სხვა ხართ, ვილი, თქვენ ისეთი ხუმარა ხართ! ჩვენ ერთად ძალიან მზიარულად გავატარებთ დრო, არა?
 ვილი — დიად, დიად, როგორ არა. (მოეხვევა) რატომ მიდიხარ?
 ქალი — ღამის ორი საათია...
 ვილი — არა, ჩემთან წამოდი! (თავისკენ ეწევა).
 ქალი — არა, ჩემი დები რას იტყვიან! კიდევ როდის ჩამოხვალთ?
 ვილი — ორ კვირაში. ამოხვალ ჩემთან?
 ქალი — უთუოდ. რამდენი მაციენთ! ჩემთვის სსსარგებლოა სიცილი. (მოეხვევა და ჰკოცნის).
 საოცარი კაცი მგონიხართ, ვილი!
 ვილი — მაშ შენ თვითონ ამირჩიე?
 ქალი — აბა რა! კარგი ხართ, ხუმარა!
 ვილი — ბოსტონში როცა ჩამოვალ, უთუოდ განახავ.
 ქალი — ყველა მყიდველს თქვენ გამოგიგზავნი.
 ვილი — (ხუმრობით უკან ხელს მიართუას და იცინის). კარგია აბა, ყოჩაღად!
 ქალი — პირდაპირ მომეკალი სიცილით, ვილი! (უცერად ვილი ხელს მოხვევს და უხეშად ჰკოცნის). ნუ დამხბრჩე! გმადლობთ წინდებისთვის. მიყვარს როცა ბევრი მაქვს. აბა, წავედი, ღამე მშვიდობისა.
 ვილი — ძილი ნებისა, ისუნთქე ღრმად.
 ქალი — ოჰ, ვილი! (ქალს სიცილი წასკდება, მის სიცილს ღინდას სიცილი ერთვის. ქალი სიბ- თელემში ქრება. ახლა სინათლე იქ ინთება, სადაც სამზარეულო მაგიდა დგას. ღინდა ისევ თავის ადგილას ზის და აბრეშუმის წინდებს ეკმსავს).
 ღინდა — გეუბნები, ყველაზე ღამაზი ხარ-მეთქი, ვილი. რატომ გგონია, რომ შენ...
 ვილი — (მოდის იმ ჩაბნელებული ადგილიდან, სადაც ქალი იდგა, უახლოვდება ღინდას). ჩემს დანაშაულს გამოვისყიდი, ღინდა, მე უთუოდ...
 ღინდა — შენ არაფერი დავიშავებია, ჩემო ძვირფასო. შენი საქმე კარგად მიდის, სხვებზე უკეთესად...
 ვილი — (შეამჩნევს, რომ ღინდა ქალის წინდებს ეკმსავს). ეს რა არის!
 ღინდა — წინდებს ეკმსავ. ძალიან ძვირი ღირს...
 ვილი — (გაბრაზდება, წართმევს). არ მინდა, რომ აკერებდე, ვესმის? ახლავე მოაშორე აქე- დანი! (ღინდა წინდებს ჯიბეში ჩაიღებს).
 ბერნარდი — (შემოვარდება) ბიფი სად არის? რა ეშველება, თუ არ იმეცადინა?
 ვილი — (მიდის ავანსცენისაკენ, ძალზე აღელვებულია). შენ უკარნახებ!
 ბერნარდი — კარნახით კი უკარნახებ, მაგრამ მზრუნველთა საბჭოზეც მე ხომ არ ვეყოლები სახელმწიფო გამოცდა, კარნახისათვის შეიძლება დამამატრონი!
 ვილი — სად არის? ვცემ, ცემით მოვკლავ!
 ღინდა — ვილი, უთხარი ბიფს ბურთი უკან დააბრუნოს. ასეთი რამ კარგი არაა.
 ვილი — ბიფ! სად არის ის ბიჭი? რატომ მოაქვს სხვისი ნივთები?
 ღინდა — გოგოებსაც უხეშად მქეცა. ყველა მშობელი უჩივის.
 ვილი — ვცემ!
 ბერნარდი — მძლოლის უფლება არა აქვს და მანქანას კი ატარებს! (ისმის ქალის სიცილი)
 ვილი — ხმა ჩაიწყვიტე!
 ღინდა — ყველა დედა...
 ვილი — ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი!
 ბერნარდი — (შეშინებული უკან-უკან იხევს). მისტერ ბირნბომი ამბობს, — ჩაიკრებაო.
 ვილი — მოშორდი აქედანი!
 ბერნარდი — თუ ჯგუფს ვერ დაეწია, უთუოდ ჩაპრიაან მათემატიკაში. (გადის).
 ღინდა — ბერნარდი მართალია, ვილი, შენ უნდა...
 ვილი — (აუყვირდება ღინდას). ბიფს არაფერიც არ მოუვა! რას ერჩით იმ ბიჭს? გინდათ ბერ-

ნარდივით ჭიკაძეს ჰგავდეს? მტკიცე ხასიათი აქვს. თავმოყვარეა... (როდესაც ვილი ლაპარაკობს, ატირებული ლინდა ოთახში შედის. ვილი მარტოა სამზარეულოში, წელში მოიხარა, თვალი გაუშტერდა, ფოთლები გაჭრა. ღამეა და სახლის უკან მოჩანს უზარმაზარი შენობები).

ვილი — სული ამოხადეს პირდაპირ, მოსპეს საწყალი ბიჭი! აბა, რა მოიპარა? განა ისევ უკან არ აბრუნებს ხოლმე? რატომ ქურდობს? მთელი ჩემი სიცოცხლე კარგის მეტს რას ვასწავლიდი?

კიბეზე ჩამოღის ჰეპი, ტანთ პიჯამა აცვია; ვილი უეცრად დაინახავს მას.

ჰეპი — წამო, წავიდეთ.

ვილი — (მიუჯდება სამზარეულო მაგიდას). ნეტავ ვიცი, რას იწყებებს წელს დღეაშენი ამ იატაკების გაპრიანებით? განა ვერ ხედავს, იატაკის გაპრიანება ისე ღლის, ფეხზე ვეღარ დგას.

ჰეპი — კარგი, ნუ ბრაზობ. ამაღამ რათ დაბრუნდი?

ვილი — იცი, რა შიში გქამე — ონკერსში კინაღამ ბავშვი გავიტანე. ღმერთო ჩემო, რატომ არ გაეყევი მაშინ ჩემს ძმას ალიასკაზე? ბენი! აი, კაცი ის იყო, ქუდბედი ჰქონდა დაყოლილი როგორ მივექარი! როგორ მიხვოდა — წამომყევი!

ჰეპი — რაღა დროს სინანულია...

ვილი — თქვენ რა ხართ! ბიძაშენმა დაკონკილი ტანსაცმლით დაიწყო და ალმასის საბადოებით დაამთავრა!

ჰეპი — ნეტა როგორ, ა?

ვილი — მიხედე? იმ კაცმა იცოდა, რაც უნდოდა და გაიტანა კიდეც თავისი, ჯუნგლებში შევიდა და როცა ოცდაერთი წლის იქიდან გამოვიდა, უკვე მდიდარი იყო! ლოგინში კოტრიალით ცხოვრებას ვერ მოეწევი!

ჰეპი — მამა, ხომ გიოხარი, სამსახურს თავი დაანებე-მეთქი!

ვილი — მერე ვინ შემიწახავს? კვირასი რას იღებ — სამოცდაათ დოლარს! ეგ ვის ეყოფა — შენს გოგონებს, მანქანას, ბინას? სამსახურს თავი დაანებე! ღმერთო ჩემო, დღეს ონკერსში ვეღარ ჩავიდი! სადა ხართ, ჩემო ბიჭებო? მიშველეთ! მანქანას ვეღარ ვატარებ! კარებში ჩარლი გამოჩნდება, მსუქანი კაცი, ნელა და ცოტას ლაპარაკობს, ზანტია. მის ყოველ სიტყვაში იგრძნობა ვილის სიბრაღული. ახლა კი ამას სულიერი მღელვარებაც ემატება. პიჯამას ზემოთ ხალათი აცვია, ფეხზე — საშინაო ფლოსტები. შემოდის სამზარეულოში.

ჩარლი — ხომ არაფერი მომხდარა?

ჰეპი — არა, ჩარლი, არაფერი...

ვილი — რა იყო?

ჩარლი — რაღაც ხმაური მომესმა, ვიფიქრე — ხომ არაფერი მოხდა-მეთქი. ნეტა რა უნდა მოეუხერხოთ ამ კედლებს? თქვენ აქ ცხვირს რომ აცემინებთ, მე ჩემს ოთახში თავიდან ქუდი მვარდება!

ჰეპი — წამო, მამა, დავიძინოთ!

ჩარლი ანიშნებს ჰეპის წავიდეს.

ვილი — შენ წადი, მე დავლილი არ ვარ.

ჰეპი — (ვილის). ნურათფერზე გაბრაზდები, კარგი? (გაღის).

ვილი — ზეზე რატომ ხარ?

ჩარლი — (ჯდება ვილის პირდაპირ სამზარეულო მაგიდასთან). ვერ ვიძინებ, გულსა მძმარავს.

ვილი — ჰეპი არ იცი და იმიტომ.

ჩარლი — რატომაც არ ვიცი, საშემელს პირით ვჰამ.

ვილი — ხეპრე ხარ, ვიტამინებისა არაფერი გაგეგება...

ჩარლი — მოდი კარტი ვითამაშოთ, ცოტა გავერთობით.

ვილი — (ყოყმანით). კარგი. თან გაქვს?

ჩარლი — (იღებს კარტის დასტას ჯიბიდან). აბა რა, მუდამ თან დამაქვს. ეგ ვიტამინები რაოა?

ვილი — (კარტს არიგებს). ვიტამინები ძველებს ამაგრებს. ჭიმიია, ჭიმიია!

ჩარლი — მე გულსა მძმარავს, ძვალი რა შუაშია?

ვილი — რას მიეღ-მოეღები? რა გაგეგება მაგისა?

ჩარლი — ნუ ცხარობ.

ვილი — რაც არ გესმის, ნუ ამბობ. (თამაშობენ კარტს. პაუზა).

ჩარლი — სახლში რატომ ხარ?

ვილი — მანქანას რაღაც გაუფუჭდა.

ჩარლი — ჰოო... (პაუზა). სიამოვნებით გავისეირნებდი კალიფორნიაში.
ვილი — მართლა!
ჩარლი — გინდა, სამუშაო გაშოვნინო?
ვილი — მე სამუშაო მაქვს, რამდენჯერ მოთქვამს. (მცირე პაუზის შემდეგ). რა გამიწყალე გუ-
 ლო მაგ შენი სამუშაოთი!
ჩარლი — ნუ ცხარობ!
ვილი — შენც ნუ გამაცხარებ!
ჩარლი — ვერ გამოვიცა, რას ებღალუკები მაგ შენ სამუშაოს?
ვილი — მშვენიერი სამუშაო მაქვს. (მცირე პაუზა). რისთვის მოდიხარ ხოლმე ჩემთან?
ჩარლი — წაუვიდე?
ვილი — (პაუზის შემდეგ, გულდაწყვეტილად). ვერაფერი გამოვიცა. ისევ ტეხასში უნდა დაბრუ-
 ნება. რა ეშმაკი იზიდავს იქით?
ჩარლი — გაუშვი.
ვილი — რა მაქვს, რა მივცე! არაფერი მამბადია!
ჩარლი — შიმშილით არ მოკვდები. შიმშილით ჯერ არავინ მომკვდარა. ნუ ფიქრობ მასზე.
ვილი — მაშ ვილაზე ვიფიქრო? შენთვის სათქმელად ადვილია.
ჩარლი — არა, არ არის ადვილი.
ვილი — ნახე, სასტუმრო ოთახის ქერი როგორ ავწიე?
ჩარლი — შესანიშნავი რამაა. მე მაგის არაფერი გამეგება. როგორ ვააყეთე?
ვილი — შენ რაში გეკითხება?
ჩარლი — მინდა ვიცოდე.
ვილი — შენც ქერის აწივას ხომ არ აპირებ?
ჩარლი — მე სად შემიძლია?
ვილი — მაშ რაღას მეკითხები და მაწუხებ, ჯანდაბას შენი თავი?
ჩარლი — აი, ისევ ვაცხარდა.
ვილი — ის რა კაცია, ჩაქუჩს ხელში რომ ვერ დაიჭერს? მეზობლები პირდაპირ.
ჩარლი — კარგი ერთი...
 სახლის მარჯვენა მხრიდან ავანსცენაზე გამოდის ძია ბენი, ხელში საკვოთაი და
 ჩემოდანი უტირავს, 60 წელს გადაცილებული ღინჯი, მბრძანებლური გამომეტყველე-
 ბის თავდაჯერებული კაცია, გრძელი უღვაშები აქვს. ეტყობა შორეულ ქვეყნებში
 უმოგზაურია. შემოდის სწორედ მაშინ, როცა ვილი ლაპარაკობს.
ვილი — საშინლად დავიჭიანცე, ბენ.
 ისმის მელოდია ბენის თემაზე. ბენი იქაურობას ათვალეირებს.
ჩარლი — ითამაშე, ითამაშე, უკეთესად დაგეძინება. მე ჩარლი მქვია, ბენი კი არა!
 ბენი საათზე დაიხედავს.
ვილი — სასაცილოა, შენ რატომღაც ჩემი ძმა ბენი მომაგონე.
ბენი — სულ რამდენიმე წუთი დამჩნა. (მდი-მოდის, იქაურობას ათვალეირებს. ვილი და ჩარ-
 ლი თამაშს განაგრძობენ).
ჩარლი — ხომ არაფერი გაგივია შენს ძმასზე?
ვილი — ვანა ლინდამ არ გითხრა? ამ ორიოდ კვირის წინ მისი ცოლის წერილი მივიღე აფრი-
 კიდან. ბენი მოკვდა.
ჩარლი — რას ამბობ!
ბენი — (ბითბითით). მაშ თქვენი ბრუკლინი ეს ყოფილა!
ჩარლი — არაფერი გიანდერათ?
ვილი — საიდან. თვითონ შეიდი შვილი ჰყავს... ოჰ, რა შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან...
ბენი — მატარებელზე მაგვიანდება, ვილი, სარეწაოები უნდა დავათვალეირო ალიასკაზე.
ვილი — მაშ, მაშ! მაშინ ალიასკაზე რომ გავყოლოდი, დღეს ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.
ჩარლი — როგორ არა! წახვიდოდი და გაიყინებოდი კიდევ!
ვილი — რას ამბობ?
ბენი — ალიასკაზე გამდიდრების დიდი შესაძლებლობაა, ვილიამ. მიკვირს, რომ ჯერაც არ წა-
 სულხარ იქით.
ვილი — დიდი შესაძლებლობაა.
ჩარლი — რა?
ვილი — ეს ერთადერთი კაცი იყო; რომელმაც გამდიდრების საიდუმლოება იცოდა.
ჩარლი — ვინ?
ბენი — სახლში როგორ ხართ?



ვილი — (მაგიდიდან ფულს მიითვლის, ელიმება). კარგად, კარგად.
 ჩარლი — დღეს რალაც ძალიან ეშმაკობს!
 ბენი — დედა შენთან ცხოვრობს?
 ვილი — დედა დიდიხანია გარდაიცვალა.
 ჩარლი — ვინ?
 ბენი — როგორ მეწყინა! სამაგალითო ქალი იყო დედაჩვენი.
 ვილი — (ჩარლის). რა იყო?
 ბენი — მე კი მეგონა, დედას ვნახავდი.
 ჩარლი — ვინ მოკვდა?
 ბენი — მამასი ხომ არაფერი გაგიგია?
 ვილი — (განერვიულებული). რაო, ვინ მოკვდა?
 ჩარლი — (იღებს ფულს). რაზე ლაპარაკობ?
 ბენი — (საათს დახედავს). ვილი, უკვე ცხრის ნახევარია!
 ვილი — (ჩარლის ხელს დაუკერს). ახლა ჩემი აღება!
 ჩარლი — მე ტუხს ჩამოვედი!
 ვილი — თუ თამაში არ იცი, მე ფულის გადაყრას არ ვაპირებ!
 ჩარლი — (დგება). ღმერთმანი, ტუხს ჩამოვედი!
 ვილი — მორჩა, აღარ გეთამაშები!
 ბენი — დედა როდის გარდაიცვალა?
 ვილი — დიდი ხანია. თამაში არასოდეს არ იცოდი!
 ჩარლი — (იღებს ბანქოს და მიღის კარებისკენ). კარგი, მეორედ რომ მოვალ, ხუთ ტუხიან კარტს მოგიტანი!
 ვილი — მე პატიოსნად ვთამაშობ!
 ჩარლი — (მიუბრუნდება). გრცხვენოდეს!
 ვილი — მართლა?
 ჩარლი — მართლა (გადის).
 ვილი — (კარს მიუჯახუნებს). ხეპრე!
 ბენი — (ვილი უახლოვდება ბენს, გაივლის სამზარეულოს „ქედელში“). შენ ხარ, ვილიამ?
 ვილი — (ხელს ართმევს). ბენ, რახანია გელოდები... მითხარი, როგორ გამიღიღინა?
 ბენი — ეგ გრძელო ამბავია!
 აიანსკენაზე გამოღის ახალგაზრდა ლინდა, სარეცხით ხავე კალათი მოაქვს.
 ლინდა — თქვენ ბენი ბრძანდებით?
 ბენი — (თავაზიანად). როგორ გიკითხოთ, ჩემო კარგო!
 ლინდა — სად იყავით ამდენ ხანს? ვილის სულ უკვირდა, ნეტავ რატომ...
 ვილი — (მოუთმენლად მიაბრუნებს თავისკენ). სად არის მამა? შენ იმას არ გაყევი? რითი დაიწყე?
 ბენი — არ ვიცი, შენ გახსოვს თუ არა?..
 ვილი — რა თქმა უნდა. ბევრე ვიყავი, სამი თუ ოთხი წლისა...
 ბენი — სამი წლის და თერთმეტი თვის...
 ვილი — რა მესხიერება გაქვს, ბენ!
 ბენი — ბევრი საწარმო მაქვს, დავტრებით ანგარიში კი არასოდეს მიწარმოებია.
 ვილი — მაჩსენდება, ფურგუნის ქვეშ ვიჯექი, მგონი ნაბრასკაში, არა?
 ბენი — სამხრეთ დაკოტაში... მე მინდვრის ყვავილების კონა მოგიტანე.
 ვილი — მახსოვს, უკაცრიელ გზაზე მიდიოდი...
 ბენი — (სიცილით). ალიასკაში მივდიოდი მამას საძებრად.
 ვილი — ახლა სად არის?
 ბენი — მაშინ გეოგრაფიაზე წარმოგდენაც არ მქონდა, ვილიამ. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ პირდაპირ სამხრეთისკენ მივდივარ და ალიასკის ნაცვლად აფრიკაში ამოვყავი თავი.
 ლინდა — აფრიკაში!
 ვილი — ოქროს ნაპირზე!
 ბენი — უფრო სწორად — ალმასის საბადოებზე!
 ლინდა — ალმასის საბადოებზე!
 ბენი — დიალ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ მე სულ რამდენიმე წუთი-და დამრჩა...
 ვილი — არა! ბიჭებო, ბიჭებო! (შემოდინა ბიფი და ჰეპი — ბიჭები). ყური დაუგდეთ ერთი! ეს თქვენი ბიძა ბენია, უდიდესი აღამიანი! ჩემს ბიჭებსაც უთხარი, ბენ!

ბენი — ბიჭებო, ჩეიღმეტი წლისა ჯუნგლებში შევედი და ოცდაერთი წლისა, ღმერთია მოწამე, (იციანს) მდიდარი გამოვედი იქიდან.

ვილი — (ბიჭებს). ახლა მაინც შეიგნეთ, რასაც გეჩინებთ ხოლმე? ხომ შეიძლება...

ბენი — (დაჰყურებს საათს). ხუთშაბათს კეტჩიკანში საქმიანი შეხვედრა მაქვს.

ვილი — არა, ბენ, გვიამბე რამე მამაზე, მინდა ჩემმა ბიჭებმა გაიგონ. მინდა იცოდნენ, რა ჩამომავლობისანი არიანი! მე მართა ის მახსოვს, რომ მამას გრძელი წვერი ჰქონდა, მე ცეცხლის პირას დედას კალთაში ვუჯექი და რაღაც საამური მუსიკა მესმოდა...

ბენი — ფლეიტა — მამა ფლეიტაზე უკრავდა!

ვილი — პო, პო, ფლეიტა, მართალია! (ამ დროს მოისმის მუსიკა). მდილი, მზიარული მელოდია.

ბენი — მამაჩენი სხვა კაცი იყო, დაუღვრომელი გული ჰქონდა. ბოსტონში ფურგონს რომ შეიბამდა, ჩაგვეამდა შიგ მთელ ოჯახს, გარკვედა ცხენებს და მთელ დასაველეთ შტატებს ოგაიოს, ინდიანას, მიჩიგანს, ილინოისს ვადასეკავდა ხოლმე. ქალაქებში ვჩერდებოდით და გზადაგზა მამას გაეთებულ ფლეიტებს ვყიდდით. დიდი გამოგონებელი იყო მამა. ერთი უბრალო რაღაცით კვირაში მეტსა შოულობდა, ვიდრე შენისთანები მთელ თავის სიცოცხლეში იშოვნიან.

ვილი — მეც სწორედ ასე ვხრდი ჩემს შვილებს, ბენ, ღონიერები, მომხიბლავნი, ხელმარჯვეები უნდა იყვნენ...

ბენი — მართლა? (ბიფს). აბა, ბიჭუნი, რაც ძალი და ღონე გაქვს, გამარტყი! (მუცელს გამოებრავს).

ბიფი — არა, სერ, როგორ იქნება!

ბენი — (მოკრივის პოზას დაიჭერს). აბა, მოდი! (იციანს).

ვილი — აბა, ბიფ, შენ იცი, უჩვევე სერი!

ბიფი — კარგი! (მუშტებს შეეუმშავს და უახლოვდება ბენს).

ლინდა — რატომ უნდა ეჩხუბოს, ჩემო კარგო?

ბენი — (ბიფს ეტრეება). ყოჩაღ, ბიჭო! ყოჩაღ, ბიჭო!

ვილი — როგორია, ბენ?

ბენი — მარცხენათი მიდი, ბიფ!

ლინდა — რატომ ჩხუბობთ?

ბენი — ყოჩაღ, ბიჭო! (უცერად ბიფს ფეხს გამოსდებს, თავზე დაადგება და ქოლგის წვერს თვალთან დაუტრიალებს).

ლინდა — ფრთხილად, ბიფ!

ბიფი — ვაი!

ბენი — (ბიფს მუხლზე უთათუნებს). უცხოს პატროსნად არ ებრძოლო, ბიფ, თორემ ჯუნგლებიდან ვერ გამოხვალ (ლინდას ხელს ჩაჰკიდებს, თავს დაუკრავს). ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენთან გაეცნობა, მეტად კმაყოფილი ვარ, ლინდა.

ლინდა — (ცივიად გამოაცლის ხელს; შეშფოთებული). გზა მშვილობისა.

ბენი — (ვილის). წარმატებას გისურვებ. მართლა, რას აკეთებ?

ვილი — ვკაპრობ...

ბენი — აბა, კარგი... (გამოთხოვების ნიშნად ყველას ხელს უქნევს).

ვილი — არა, ბენ, არ მინდა გეგონოს, რომ... (მკლავში ხელს ჩასჰიდებს, რომ უჩვენოს). რა თქმა უნდა, ეს ბრუკლინია, მაგრამ ჩვენც ვნადირობთ ხოლმე...

ბენი — წუთო...

ვილი — დიად, დიად, აქ გველებიც არის და კურდღლებიც, სწორედ ამიტომ გადმოვსახლდი აქ. ბიჭებო, გაიქეცი, სადაც ახალ სახლს აშენებენ და სილა მოიტანეთ! ნახე, ამ წუთში ვერანდას გავაკეთებთ, შენ გვიყურე, ბენ!

ბიფი — დიად, სერი! აბა, ჰეჰ, სირბილი!

ბენი — (გარბის ბიფთან ერთად). ხედავ, მამა, წონაში ვკლებულობ! (ვიდრე ბიჭები გავიდოდნენ, შემოდის ჩარლი, მოკლე შარვალი აცვია).

ჩარლი — იცოდე, თუ იმ მშენებლობიდან კიდევ რამე მოჰპარეს, დარაჯი პოლიციას გამოიძახებს!

ლინდა — (ვილის) ბიფს აუტრძალე, რომ...
ბენი ხარხარებს.

ვილი — ერთი გენახა, რა ფიქრები მოათრევს იმ კვირას... რა ფული დამიჯდებოდა!

ჩარლი — ყური მიგდე — თუ დარაჯი...

ვილი — რა თქმა უნდა, კარგად გავჯორე, მაგრამ რა უშიშარი ბიჭები მყვანან!

- ჩარლი — ვილი, ცხნეები სწორედ უშიშარი ბიჭებით არის საესე.
- ბენი — (ვილის მხარზე ხელს დაჰკრავს, ჩარლის დასცინის). ეს რაღა საფონდო ბიჭაა, ჩემო მეგობარო!
- ვილი — (ბენის სიცილს აჰყვება). შენი შარვალი სულ ეგ არის?
- ჩარლი — რა ვენა, ჩემმა ცოლმა ასეთი მიყიდა...
- ვილი — ახლა გოლფის ჩაქუჩი-ლა გაკლია, აილე და წაღი დასაძინებლად. (ბენს). იცი, რა სპორტსმენია ეგ და მაგისი ვაჟკაცი ბერნარდი ერთ ლურსმანსაც ვერ ჩაარტობენ!
- ბერნარდი — (შემოვარდება). ბიფს დარაჯი გამოუღდა!
- ვილი — (გაბრაზებული). ვაჩუმილი ბიფს არაფერი მოუპარავს!
- ლინდა — (შეშფოთებული გაიქცევა მარცხნივ). საუ არის? ბიფ, შევილი! (გადის).
- ვილი — (მიდის მარცხნივ. ბენს დაშორდება). არაფერი მომხდარა. რა დაგეპართა?
- ბენი — ფიცხი ბიჭია, თანაც ამაყი. კარგია.
- ვილი — (სიცილით). ოჰ, ბიფს ნერვები რკინისა აქვს.
- ჩარლი — ვერაფერი გამიგია. ჩემი აგენტი ნაცემივით დაბრუნდა ახალი ინგლისიდან, სისხლი გაუშრტეს პირდაპირ.
- ვილი — ნაცნობობაა საქმე, ჩარლი, იცი, მე რა ნაცნობობა მაქვს!
- ჩარლი — (გესღიანად). ძალზე სასიამოვნოა, ვილი. მერე მოდი ჩემთან, კარტი ვითამაშოთ. პორტლენდში ნაშოვნი ფულიდან ცოტას მოგიგებ. (გადის).
- ვილი — (მიუბრუნდება ბენს). საქმე ძალიან ცუდად არის, მაგრამ რა თქმა უნდა ჩემი კა არა...
- ბენი — აფრიკაში წასვლამდე კიდევ შემოგივლი...
- ვილი — (ვედრებით). იქნებ ორიოდ დღეს დარჩე ჩემთან, ბენი ძალიან მჭირდები, ბენ, რადგან... მე ძალიან კარგი პირობები მაქვს, მაგრამ... ხომ იცი, სულ პატარა ვიყავი, როცა მამა წავიდა, ერთხელაც ვერ ველაპარაკე ხეირიანად და მე ჩემი თავი ამ ცხოვრებაში ისევ... ისევ მდგმური მგონია...
- ბენი — მატარებელზე მაგვიანდება... (ისინი სცენის თავსა და ბოლოში დგანან).
- ვილი — ბენ, ჩემი ბიჭები... ნუფუ ვერ ვილაპარაკებთ? ბიჭები ცეცხლში გადავარდებიან ჩემი გულისთვის, მაგრამ მე...
- ბენი — ვილიამ, შენ მშვენივრად ზრდი ბიჭებს. არაჩვეულებრივი, მამაცი ყმაწვილები არიან!
- ვილი — ოჰ, ბენ, როგორ მიხარია, რომ მაგას ამბობ! ზოგჯერ შიში ამიტანს ხოლმე, ვაიიჟ ისე არ ვასწავლი, როგორც... ბენ, როგორ უნდა ვასწავლო?
- ბენი — (ბოროტი თავხედობით). ვილიამ, ჩვიდმეტი წლისა ჯუნგლებში შევედი, და ოცდართი წლისა, ღმერთი მოწამეა, უკვე მდიდარი გამოველ იქიდან! (გადის სიბნელეში სახლის მარჯვენა მხარეს).
- ვილი — მდიდარი! აი, სწორედ ეგ მინდა ჩავვაზონ ჩემს ბიჭებს! შედით ჯუნგლებში! მე სწორი ვიყავი, სწორი, სწორი! (ბენი წასულია, მაგრამ ვილი კვლავ მას ელაპარაკება. სამზარეულოში შემოდის ლინდა. ღამის პერანგზე ხალათი აცვია. ლინდა ვილის ეძებს, კარბთან მივა, გარეთ გაიხედავს და ვილის დაინახავს. უახლოვდება).
- ლინდა — ვილი, ჩემო ძვირფასო, ვილი!
- ვილი — მე სწორი ვიყავ!
- ლინდა — ჰამე ყველი? (ვილი არ პასუხობს). უკვე ძალიან გვიანაა, ძვირფასო, წამო, დავიძინოთ, კარგი?
- ვილი — (ზევით იქიჩრება). კისერიც რომ იღრძო ცაში ცქერით, ერთ ვარსკვლავსაც ვერ დაინახავ ამ ვზოს ზემოთ.
- ლინდა — შემოხვალ?
- ვილი — რა იქნა ის აღმასიანი ძეწქვამე ვახსოვს, ბენი აფრიკიდან რომ დაბრუნდა, სწორედ მაშინ მაჩუქა საათის ძეწქვი, შიგ ალმასი იყო ჩასმული!
- ლინდა — აგი დააგირავე, ძვირფასო, ამ თორმეტ-ცამეტი წლის წინათ ბიფის სწავლისთვის ქირა რომ გვეწონდა შესატანი.
- ვილი — აფსუსს, რა კარგი რამ იყო! ცოტას გავივლი.
- ლინდა — ფეხთ რომ ფლოსტები გაცვია!
- ვილი — (სახლს მარცხნიდან შემოუვლის). სწორი ვიყავი, სწორი ვიყავი! რა კაცი იყო! აი, იმასთან ღირდა ლაპარაკი! სწორი ვიყავი!
- ლინდა — ვილი, ფეხთ ფლოსტები გაცვია! (ვილი უკვე წასულია, როდესაც კბეებზე ჩამოდის ბიფი და სამზარეულოში შედის. პიეპა აცვია).
- ბიფი — იქ რა უნდა?
- ლინდა — სსს!

ბიფი — ღმერთო ჩემო, მითხარი ერთი, დიდი ხანია რაც ეს დაემართა?
 ლინდა — ჩემოდ, არ გავიგოს.
 ბიფი — რა ჯანდაბა მოუვიდა?
 ლინდა — დილაღე გაუვლის!
 ბიფი — ვერაფრით ვუშველით?
 ლინდა — ოჰ, ჩემო კარგო, დაგაგვიანდა, ახლა აღარაფერი გაეწყობა. წადი, დაიძინე! (შეპი ჩამოდის კიბეზე და საფეხურზე ჩამოჯდება).
 შეპი — არასოდეს არ გამოვიდა, რომ ასე ხმამალა ელაპარაკოს, დედა.
 ლინდა — უფრო ხშირად მოდი ხოლმე და გაიგონებ. (მაგიდას მიუჯდება), ვილის პიჯაკს სარჩულს აკერებს).
 ბიფი — რატომ ერთხელ მაინც არ მომწერე, დედა?
 ლინდა — როგორ უნდა მომეწერა, სამ თვეს შენი მისამართი არ ვიცოდი!
 ბიფი — პო, სულ ვმოგზაურობდი. მაგრამ ხომ გჯერა, მუდამ შენზე ვფიქრობდი. ხომ მართლა გჯერა, ჩემო მეგობარო?
 ლინდა — მჯერა, ჩემო ძვირფასო, მჯერა... მაგრამ მამაშენს წერილების მიღება უყვარს, მაშინ ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.
 ბიფი — ყოველთვის ასეთია ხოლმე, დედა?
 ლინდა — შენ რომ ჩამოდიხარ, უარესი ხდება.
 ბიფი — როცა მე ჩამოვდივარ?
 ლინდა — როცა იწერები მოვდივარო, სიხარულით სახე უცინის, მომავალზე ოცნებობს... რაც უფრო ახლოვდება შენი ჩამოსვლის დღე, მით უფრო ღელავს; ჩამოხვალ და სულ თავისთვის ეკამათება, შენზე წაღვლობს. მე გგონი, მაგის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ შენ... გული ვერ გაგახსნევინა. რატომ შეიძულეთ ერთმანეთი? რატომ?
 ბიფი — (პასუხს თავს არიდებს). მე სულაც არ მძულს, დედიკო.
 ლინდა — კი, მაგრამ კარებში ფეხი არ შემოვიდგამს და უკვე ჩხუბობთ.
 ბიფი — ვერაფერი გამოვიდა... მინდა გამოვიცვალო, ძალიან ვცდილობ! დედა, გამიგე?
 ლინდა — ღარჩები?
 ბიფი — რა ვიცი, ჯერ მივიხედ-მოვიხედო, ვნახო საქმე როგორ წავა...
 ლინდა — როგორ შეიძლება მთელი წენი ცხოვრება მიხედ-მოხედვას მოანდომო?
 ბიფი — ჯერ ვერაფერს დაეუღე გული, დედა. ცხოვრებაში ჩემი გზა ჯერ კიდევ ვერ მიპოვია.
 ლინდა — ბიფ, კაცი ფრინველი ხომ არ არის — გაზაფხულზე მოფრინდეს და შემდეგ გაფრინდეს?
 ბიფი — შენი თმა... (თმას ხელს შეაჭებს). როგორ გაგთეთრებია...
 ლინდა — თმა მამაშენს თეთრი მქონდა, შენ რომ სკოლაში დადიოდი, ახლა აღარ ვიღებავ, იმტომაც გაეთთრდი.
 ბიფი — შეიძლება ხოლმე, კარგი? არ მინდა დამბერდე (იღიმება).
 ლინდა — რა ბავშვი ხარ! შენ კვლავ გგონია, რომ შეიძლება ერთი წლით ვაღიკარგო და როცა... კარგად დაიხსომე, ერთხელაც იქნება მოაკაქუნებ და კარს უცხო ხალხი გაგაღებს...
 ბიფი — მაგას რად ამბობ? ჯერ ხომ სამოციასაც არ ხარ, დედა!
 ლინდა — მამაშენი?
 ბიფი — (უხერხულად). ისიც...
 ლინდა — ბიფ, ჩემო ძვირფასო, თუ მამაშენი არ გიყვარს, მაშინ არც მე გყვარებოვარ.
 ბიფი — შენ მიყვარხარ, დედა.
 ლინდა — არა, მარტო ჩემს სინახავად არ უნდა მოდიოდე... მე მამაშენი მიყვარს. (მის ხმაში იგრძნობა, მხოლოდ იგრძნობა ცრემლები). მთელ ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი ჩემთვის მამაშენია და არაფერს მივცემ ნებას აგრძობინოს — არ გვინდობხარ, დაამციროს, დაჩაგროს. ახლავ გადამწყობე, ჩემო ძვირფასო, სხვა გზა არ გაქვს — ის ან მამაშენია და მამის საკადრისი პატივი უნდა სცე, ან და აქ ფეხსაც ვერ დაადგამ. ვიცი, მამაშენთან ადვილი არ არის მორიგება... ჩემზე კარგად ეგ ვინ იცის, მაგრამ...
 ვილი — (მარცხნიდან, სიცილით). ეი, ეი, ბიფ!
 ბიფი — (პირებს მამასთან ვასვლას). რა ეშმაკი ემართება? (შეპი აჩერებს).
 ლინდა — ახლოს... ახლოს არ მივკარო!
 ბიფი — ბოდიშებს ნუ ხდი! ეგ არ იყო, რომ არაფრად გავდებოდა, ოღონდ პატივსაც არ გცემდა!
 შეპი — არაფერიც, მამა დედას მუდამ პატივს სცემდა...
 ბიფი — შენ მაგისი რა იცი?
 შეპი — (გაბრაზებით). აბა, მამასთვის ერთი გიყი დაგიძახნია!

ბიფი — სუსტი ხასიათი აქვს — ჩარლი ამას თავის დღეში არ იზამდა! საკუთარ სახლში... ასე ამოანთხიოს გონებაში დაგუბებული საზიზღრობა!

ჰეპი — ჩარლის ამდენი არ გადაუტანია.

ბიფი — სხვებს ვილი ლომენზე მეტიც გადაუტანიათ, დამეჯერება, ჩემი თვლით ვნახე!

ლინდა — მაშინ ჩარლი გაიხადე მამად, ბიფ. რა, არ შეგიძლია? მე არ ვამბობ, თითქოს მამაშენი დიდი ვინმე იყოს, ვილი ლომენი დიდი ფულის მოპეები არასოდეს არ ყოფილა. არც გაზეთებში დაუწერიათ მაგაზე რამე, არც ხასიათით არის უნაკლო. მაგრამ ვილი ლომენი ადამიანია და ახლა რაღაც საშინელი ემართება. ყურადღება სჭირდება. უპატრონო ძალღივით ხომ არ უნდა ჩავიდეს სამარეში! ამ კაცს ახლა ყურადღება სჭირდება, გესმით, ყურადღება. შენ მას გიყი უყოლე...

ბიფი — მე ის კი არ მოთქვამს, რომ...

ლინდა — არა, ბევრი ფიქრობს, რომ ვილის... გონება აებნა. დიდი გამპრიანობა არაა საჭირო, რომ მიხედო, რა ემართება. მაგ კაცს ქანცი გამოეღია.

ჰეპი — მართალია!

ლინდა — წელს მარტში ოცდათექვსმეტი წელი გახდება, რაც მამაშენი ვაგნერის კომპანიაში მუშაობს, ახალი ბაზრები უშოვა საქონლისათვის, და ახლა, როცა დაბერდა, ფირმამ ჯამაგირი წაართვა.

ჰეპი — (აღშფოთებით). ეგ შე არ ვიცოდი, დედა!

ლინდა — ხომ არც გიკითხავს, ჩემო ძვირფასო! ახლა ჯიბის ფულს ისეც შოულობ და მამა რაღაში გეკითხება?

ჰეპი — ამას წინათ ხომ მოგეცი ფული...

ლინდა — საშობაოდ რამდენი მომეცი? ორმოცდაათი დოლარი! ცხელი წყლის გამოყვანა კი ოთხმოცდაჩვიდმეტხანევიარი დოლარი დაჯდა! უკვე ხუთი კვირაა, რაც მამაშენი მარტო საკომისიო გასამარჯელოზე მუშაობს, თითქოს ვინმე დამწყები კომივოიაჟერი იყოს!

ბიფი — ეგ უმადური არამზადები!

ლინდა — როდესაც მამაშენი ფირმას მოგებას აძლევდა, როდესაც ახალგაზრდა იყო, ადასებდნენ კიდევ. მაგისი ძველი მეგობრები, ძველი მეუბრები ან დაიხივნენ, ან სამსახურს თავი დაანებეს. წინათ ბოსტონში ექვს-შვიდ მაღაზიას თავისუფლად მოივლიდა, ახლა კი საკაპარისია მანქანიდან ჩემოდანი გადმოიღოს, უკვე დაღლილია. სიარულის ნაცვლად ახლა მხოლოდ ლაპარაკობს. ვაიელის შეიდას მიღს, ჩავა ქალაქში და ხედავს, რომ იქ მას უკვე აღარაფერ იცნობს, აღარაფერ ეგებება. რა ფიქრი არ მოუვა კაცს თავში, როდესაც სახლამდე შეიდასი მილი აქვს ვასავლელი, ჯიბეში კი ერთი ცენტრიც არ უდევს! ვანა არ დაუწყებებს ლაპარაკს თავისთვის? აბა მიპასუხეთი ყოველ კვირა ჩარლისგან ორმოცდაათი დოლარი სესხებულბა და მე კი მატყუებს, ჯამაგირი ავიღო. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? რამდენ ხანს? შენ კი მეუბნები, მამას ნებისყოფა არ აქვსო, მამას, რომელმაც მთელი სიცოცხლე თქვენ შემოგალიათ! ვანა ესაა მაგის ჯილდო, როცა სამოცდასამი წლის კაცი ხედავს, რომ მისი ერთი ვაჟი, რომელიც თვლის ჩინს ერჩივნა, ქალებს ვადაპყობია...

ჰეპი — დედა!

ლინდა — სხვა არაფერი გამოვიდა შენგან, ჩემო ბიჭიო! (ბიფს). შენ... შენ რაღამ ვაგეჟრო მამაშენის სიყვარული? როგორი მეგობრები იყავით! გახსოვს, ყოველდამ ტელეფონით რომ ელაპარაკებოდი ხოლმე? როგორ ნალელობდა, ვიდრე შინ დაბრუნდებოდი!

ბიფი — კარგი, დედა, აქ დაგრჩები, სამსახურსაც ვიშოვი, ვეცდები, არ ავყვე ხოლმე, მეტი რა გქნა!

ლინდა — არა, ბიფ, როგორ იქნება შინ დარჩე და დაუსრულებლად იკინკლაოთ...

ბიფი — ნუ დაივიწყებ, რომ მამაჩემმა სახლიდან გამავლა.

ლინდა — მეტი რატომ? შე დღემდე არაფერი ვიცი.

ბიფი — იმით რომ მატყუარაა და არ უნდა გვერდით ჰყავდეს, ვინც ეს იცის!

ლინდა — როგორ თუ მატყუარა? რაინიარა? რისი თქმა გინდა?

ბიფი — ყველაფერს მე კი ნუ გადმოიმბარალები ეს შე და იმან ვიცი. მეტს აღარაფერს ვიტყვი. ანგარიშს როგორმე გავუსწორებ — ჯამაგირის ნახევარს მივცემ, ყველაფერი მოგვარდება, მამაც კარგად იქნება, ახლა კა წავალ, დავიძინებ. (მოდის კიბისკენ).

ლინდა — არა, მამა არ იქნება კარგად.

ბიფი — (შემოტრიალდება საფეხურზე, გაბრაზებულა). ეს ქალაქი მამას და მამაც ვერჩები, მეტი რა გინდა?

ლინდა — მამაშენი დაღუპვის პირზეა, ბიფ.



პევი სწრაფად შებრუნდება დედისკენ, შეშფოთებულია.

ბიფი — (პაუზის შემდეგ). დალუპვის პირზე? რატომ?

ლინდა — თავის მოკვლას აპირებს.

ბიფი — (ძალზე შეწინებულად). რა?

ლინდა — დღე რომ მშვიდობით ჩაივლის, ვფიქრობ — ნეტა ხვალ რა იქნება-მეთქი.

ბიფი — რას ამბობ?

ლინდა — ვახსოვს, რომ გწერდი — თებერვალში მანქანა ისევ დაამტვრია-მეთქი?

ბიფი — მერე?

ლინდა — დაზღვევის ინსპექტორი მოვიდა, მითხრა — მოწმევა გვყავს, რომ შარშანდელი უბედური შემთხვევები სულაც არ იყო... სულაც არ იყო უბედური შემთხვევები...

პევი — მაგის თქმა როგორ გაბედა სიცრუე!

ლინდა — თურმე ერთმა ქალმა... (სულს ძლივს ითქვამს).

ბიფი — (მკვახლად, მაგრამ თავშეკავებით). ვინ ქალმა?

ლინდა — იმ ქალმა...

ლინდა — რა?

ბიფი — არაფერი, განავრძე.

ლინდა — რა თქვი?

ბიფი — არაფერი. ვიკითხე მხოლოდ — ვინ ქალმა-მეთქი.

პევი — რა ქნა იმ ქალმა?

ლინდა — ჰოდა, თურმე ის ქალი გზაზე მიდიოდა და მანქანა დაუნახავს. მანქანა არც დიდი სისწრაფით მიდიოდა და არც ბუქსაობდო. იმ ქალს უთქვამს — მანქანა პატარა ხიდს მიაცუნა და მოაჯირის განგებ დააჯახა, მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ წყალი თხელი იყო.

ბიფი — არა, არა, ალბათ ისევე ჩაედინა.

ლინდა — არა მგონია ჩასძინებოდა.

ბიფი — რატომ?

ლინდა — იმ თვეში... (ძლივს). ოჰ, ბიჭებო, რა ძნელი ამის თქმა თქვენ მამა მხოლოდ მოხუც, სულელ ადამიანად მიგაჩნით, მე კი გეტყვით, რომ მამათქვენი ბევრ სხვასა სჯობს... (ცრემლები ახრჩობს, თვალებს მოიწმენდს). ელექტრომკვლელები უნდა გამესინჯა. სინათლე გადაიწვა და იმიტომ ჩავედი სარდაფში. მცველის ყუთს უკან — შემთხვევით გადმოვარდა იქიდან — რეზინის მილი იდო... მოკლე მილი...

პევი — ხუმრობ!

ლინდა — ბოლოთი ოდნავ მიმაგრებული იყო. მაშინვე მივხვდი ყველაფერს. მართლაც, წყლის სადღურას ბოლოში, გავის მიღზე ახალი ნიშელი მიმაგრებული.

პევი — (გაბრაზებული). ეგ რაღა!

ბიფი — ხომ მოაშორებინე იქიდან ეგ ყველაფერი!

ლინდა — მე... მე მრტყენია. როგორ უნდა ვუთხრა? ყოველდღე ჩავლივარ ქვევით და ამოაქვს გადასაღებლად, მაგრამ შინ რომ ბრუნდება, უკანვე ვდებ. განა შემიძლია ვაწყენინო? არ ვიცი რა ვქნა. დღეს ძლივს ვღამებ, ბიჭებო. გეუბნებით, მისი ყოველი ფიქარი ვიცი. იქნებ ეს შეტად მოსაწყენი და სულელურია, რასაც გეუბნებით, მაგრამ მამამ მთელი სიცოცხლე თქვენ შემოგალიათ, თქვენ კი ახლა ზურგი შეაქციეთ. (მოიხარა, ტირის, სახე ხელებში აქვს ჩაფლული). ბიფ, ღმერთმანი, ბიფ, მამაშენის სიცოცხლე შენს ხელში!

პევი — (ბიფს). როგორ მოგწონს ეს წყველი ჩერჩეტი?

ბიფი — (პკოცნის). კარგი, დედიკო, კარგი. ყველაფერა მორჩა. ვიცი, მე სწორი არ ვიყავი. დედა. მაგრამ ახლა შინ ვრჩები, გეფიცები, რაიმე გზის მოძებნი (დაიჩოქებს დედის წინ, თავისთავს არ ინდობს). იცი, დედა... საქმე ისაა, რომ ასეთ რამეებში არ ვვარგდვარ. არა, ცდით კი უთუოდ ვეცდები, ვეცდები, ჩემსას მაინც ვაეტიან!

პევი — ვაიდან კიდევ! კომერციამო ბელმა იმიტომ გიმტყუნა, რომ ხალხისთვის თავის მოწონებას არა ცდილობდი.

ბიფი — ვაი, მე...

პევი — აი, თუნდაც პარისონთან რომ მუშაობდი, ბოზ პარისონი შენზე ამბობდა — უკეთესი არავინ შეგვლუბაო, შენ კი რა სისულელეებს ჩადიოდი — ვილაც ტაკიმასხარასავით ლიფტში უსტვენდი!

ბიფი — (გაბრაზებული). მერე რა მოხდა? ზოგჯერ მაყვარს სტვენა!

პევი — პასუხსაგებ სამუშაოზე ვინ დანიშნავს ისეთ კაცს, რომელიც ლიფტში უსტვენს!

ლინდა — კარგი, ახლა მაგაზე ნუ იკამათებთ.

პევი — ანდა სამუშაო საათებში განა სამსახური არ მიგიტოვებია და საცურაოდ არ წასულხარ?



ბიფი — (თანდათან ბრაზი ერევა). შენ კი არ გარბიხარ ხოლმე სამსახურიდან? თქვი, არ მიდიხარ ხოლმე? მაგალითად, ზაფხულის პაპანაქება დღეს?

ჰეპი — თუ კი მივდივარ, თავის დაძვრენაც ვიცი!
ლინდა — ბიჭებო!

ჰეპი — თუ ათესვა მოვინდომე, ბოსმა სადაც უნდა დარეკოს და მიკითხოს, ყველგან ეტყვიან, ამ წუთას გავიდაო. ამის თქმა არ მინდოდა, ბიფ, შენთვის, მაგრამ სავაჭრო წრეებში ზოგიერთები ფიქრობენ, რომ შენ გაკლია.

ბიფი — (გაბრაზებულად). ჯანდაბას სავაჭრო წრეები!

ჰეპი — მართალია, ჯანდაბას, მაგრამ მაინც უნდა იცოდეს კვალის წაშლა!

ლინდა — ჰეპ, ჰეპ!

ბიფი — მიმიფურთხებია მათი ნაფიქრალისთვის! მამას მთელი წლების განმავლობაში დასცინოდნენ და იცი, რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ამ ქალაქის საგიჟეთის არ ვეკუთვინით! ჩვენ თიხას უნდა ვზედდეთ სადმე გაშლილ მინდორზე, ან... ან ხუროები ვიყოთ. ხუროს სტევენას ვერაიენ აუტრქალავს. (მარცხენა კარებიდან შემოდის ვილი).

ვილი — პაპაშენიც კი ხუროზე მეტი იყო! (პაუზა, ვილის აკვირდებიან). შენგან არაფერი გამოვა. ბერნარდი ლიტვში სტევენას არ დაიწყებდა არასოდეს, დამიჯერე.

ბიფი — (ცდილობს სიცილში ჩაუტაროს). კი, მაგრამ, შენც ხომ უსტევენდი, მამა?

ვილი — ჩემს სიცოცხლეში ლიტვში არ დამისტვენია! ეგ ვინ ფიქრობს სავაჭრო წრეებში, ვილი ლომენი გიჟიაო?

ბიფი — ეგ არავის უთქვამს, მამა. მოდი ბუზს სპილოდ ნუ გადავაქცევთ, კარგი?

ვილი — დაბრუნდი დასავლეთში! ვინდ ხურო გახდი, ვინდ კოვბოი, როგორც გენებოს!

ლინდა — ვილი, ბიფი ამ წუთში ამბობდა, რომ...

ვილი — კარგად გავიგე, რაც ოჯახ!

ჰეპი — (ცდილობს ვილი დაამშვიდოს). კარგი ერთი, მამა...

ვილი — (აწყვეტილებს). მაშ დამცინოდნენ? აბა, მიდი ბოსტონში ფაილინთან, ჰაბთან, სლატერისთან, ახსენე ვილი ლომენის სახელი და ნახავ, რა მოხდება! ვილი ლომენი ცნობილი კაცია!

ბიფი — კარგი, მამა.

ვილი — ცნობილი-მეთქი, გესმის?

ბიფი — კარგი!

ვილი — რატომ მაყენებ მუდამ შეურაცხყოფას?

ბიფი — მე კინტიც არ დამიძრავს. (ლინდას). განა ვთქვი რამე?

ლინდა — არაფერი უთქვამს, ვილი.

ვილი — (სასტუმრო ოთახის კარებთან მივა). მაგრე იყოს. ძილი ნებისა, ძილი ნებისა!

ლინდა — ვილი, ჩემო ძვირფასო, ბიფმა გადაწყვიტა...

ვილი — (ბიფს). ხვალ თუ მოტნარება მოგებურდეს, სასტუმრო ოთახში ჰქერი შეღებე.

ბიფი — დილას ადრე მივდივარ.

ჰეპი — ხვალ ბილ ოლივერის ნახვას აპირებს, მამა!

ვილი — ოლივერის ნახვას? რისთვის?

ბიფი — (ძალისძაღად). ოლივერი მუდამ მეუბნებოდა, დაგეზმარებო. მინდა რამე საქმე წამოვიწყო და იქნებ ისიც დავიყოლიო.

ლინდა — განა საუცხოო არ იქნება?

ვილი — ნუ მაწყვეტინებ. რა ნახე ამაში საუცხოო? ნუ-იორკში ორმოცდაათი კაცი მაინც გამოჩნდება ისეთი, ვინც ამას მხარს დაუჭერს. (ბიფს). სპორტული საქონელი?

ბიფი — მაგრე ვფიქრობ. მაგისი ცოტა გამეგება და...

ვილი — გესმით, რას ამბობს — ცოტა გამეგება! სპორტსაქონლის ცოდნაში შენ თეთი სპოდინგიც ვერ შეგედრება! რამდენს მოგცემს?

ბიფი — რა ვიცი, ოლივერი ჯერ არ მინახავს, მაგრამ...

ვილი — მაშ რაღას ლაპარაკობ?

ბიფი — (ბრაზი ერევა). მე რა ვთქვი — ოლივერის ნახვას ვაპირებ-მეთქი! სხვა ხომ არაფერი მითქვამს!

ვილი — (გაბრუნდება). თევზის წყალში დაფასება დაიწყე ისე?

ბიფი — (მიღის კიბეებისკენ). დალაზეროს ეშმაქმა, წავალ, დავიძინებ!

ვილი — (მიამახებს). ამ სახლში გინება აღარ გაბედო!

ბიფი — (მიუბრუნდება). როდის აქეთ გახდი ასეთი ენაშენახული?

ჰეპი — (ცდილობს ორივე დააწყნაროს). მოიცაათ...



ვილი — ასე ნუ მელაპარაკებინ მე ნებას არ მოგცემ!

ზები — (ბიფს ხელს ჩასვიდებს, ყვირის). ერთ წუთს მოიცაოთ რალაც იღვა დამებოდა! შესრულება ძნელი არ არის! მოდი, ბიფ, მოვილაპარაკოთ, გონიერულად აეწონ-დაეწონოთ. ამას წინათ ფლორიდაში რომ ვიყავი, სპორტსაქონლის გასაღების შესანიშნავი ახარ დამებოდა! ახლა ისევ გამახსენდა! მე და შენ, ბიფ, სხვაანაირად ვივაჭრებთ — ლომენების ფირმა! ორიოდე კვირას ვივარჯიშებთ და შერე ორიოდე შეჯიბრს მოვაწყობთ, გამიგე?

ვილი — აი, იღვიც ამას ჰქვია!

ზები — დამაცა. შევადგენთ კალათბურთის ორ გუნდს, გესმის? ორსაც წყალბურთისას. ვთამაშობთ ერთმანეთის წინააღმდეგ! მართო ეს რეკლამა ღირს მილიონად! წარმოგიდგენია — ორი ძმა! ძმები ლომენები! ვიტრინა „სამეფო პალატაში“ მოვაწყობთ, სხვა ოტელებშიც! რინგზე და კალათბურთის მოედნებზე ალბები — „ძმები ლომენები“ ნახავ, ჩემო ბიჭუნო, როგორ ვაგვიასაღდება სპორტსაქონელი!

ვილი — ეს იღვა მართლაც მილიონად ღირს!

ლინდა — ბრწყინვალეა!

ბიფი — შე თუ მკითხავთ, არც მე დავიწყუნებ!

ზები — ამის სილამაზე ის არის, ბიფ, რომ სამსახურს სულაც არ ემგვანება! ძველებურად ვითამაშებთ ბურთს...

ბიფი — (აღტაცებით). აი ეს მესმის...

ვილი — მილიონ დოლარად...

ზები — არც შენ მოგებურდება, ბიფ, ოჯახიც ისევ ოჯახი იქნება, წინანდებური პატივისცემა, მეგობრობა... თუ კი შენ საცურაოდ მოგინდება წასვლა, ან სხვაგან სადმე — ვენ დაგიშლის, მიბრძანდეს!

ვილი — ყველას აჯობებთ! თქვენ ორნი ერთად, ბიჭებო, მთელ ქვეყანას აჯობებთ!

ბიფი — ხვალ უთუოდ ენახავ ოლივერს. ჰვბ, ჩვენ თუ ეს საქმე გამოგვივიდა...

ლინდა — ნეტა...

ვილი — (უცნაურად აღტაცებული, ლინდას). ნუ მაწყვეტინებ! (ბიფს). იცოდე, სპორტულ კოსტიუმით არ მიხვიდე ოლივერთან!

ბიფი — არა, მე...

ვილი — ჩაიცვი სადა კოსტიუმი, რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკე და შენებურად ოხუნჯობას არ მოჰყვე.

ბიფი — ოლივერს ჯალიან მოეწონდი, მუდამ მოეწონდი.

ლინდა — ოლივერს უყვარდა!

ვილი — (ლინდას). აღარ გაჩერდები? (ბიფს). შედი ძალიან დარბაისლურად, სამუშაოს სათხოვრად ხომ არ მიდიხარ, ფული უნდა გამოართვა! მშვიდად იყავი, თავი კარგად დაიკირე, სერიოზულობა არ დაკარგო. ყველას მოსწონს ოხუნჯობა, მაგრამ ოხუნჯს ფულს არავინ ასესხებს!

ზები — მეც ვეცდები ფული ვიშოვო, იქნებ მოვახერხო რამე!

ვილი — ბიჭებო, წინ მშვენიერი მომავალი გაქვთ, მორჩა ჩვენი ვაჭირებვა! მაგრამ დიხსომეთ — დიდით დაიწყეთ და დიდითვე დაამთავრებთ! თხუთმეტი ათასი გამოართვი. შენ როგორ ფიქრობ?

ბიფი — მმმ, არ ვიცი...

ვილი — ნუ ამბობ „მმმ“, „მმმ“, — ასე ბიჭებმა იციან. კაცი, რომელიც თხუთმეტი ათასი დოლარის სასესხებლად მიდის, მმმ-ს არ იტყვის!

ბიფი — ათსა ვთხოვ, მეტს ვერა!

ვილი — ნუ ხარ გაუბედული! შენ მუდამ ძალზე ცოტას თხოულობ ხოლმე. ოლივერთან მზიარული შედი, მოწყენილი არ ეჩვენო. ორიოდე ანგელოტიც უამბე, რომ საქმე კარგად წავიდეს! საქმე ის კი არაა, რას უამბობ, მთავარი ის არის — როგორ უამბობ, იმეტო! რომ მთავარია კაცს მოეწონოს!

ლინდა — ოლივერს მუდამ მოსწონდა ბიფი!

ვილი — დამაცდი ლაპარაკს?

ბიფი — დედას ნუ უყვირი, გესმის?

ვილი — (გაბრაზებული). მე ხომ ვლაპარაკობდი...

ბიფი — გუბუნები, არ მომწონს, რომ დედას სულ უყვირი!

ვილი — შენა ხარ უფროსი ამ სახლში?

ლინდა — ვილი...

ვილი — (მთებრუნდება ლინდას). შენ კი მუდამ ამას ნუ უქერ ხოლმე მხარს, ჯანდაბას თქვე-

ნი თავი!

ბიფი — (განრისხებულად). ნუ უყვირი!

ვილი — (ერთბაშად მოეშვა, თითქოს ნაცემიო, სინდისი ჰქენჯნის). ბილ ოლივერს ჩემვან მოკითხვა გადაეცე — იქნებ კიდევ ვახსოვდე! (შედის სასტუმრო ოთახში).

ლინდა — (ხმადაბლა). ისევ რად დაიწყე. (ბიფი გაბრუნდება). ნახე, როგორი კარგი გახდა, როცა იმედიაანდ დაუწყე ლაპარაკი? (შიდის ბიფისკენ). წადი, ღამე მშვიდობისა უსურვე. ცოდვია, ასე რომ დაიძინოს.

ბები — წამო, ბიფ, ცოტა გავახალისოთ მამა.

ლინდა — გენაცვალე, ბიფ, ძალიან გთხოვ. მხოლოდ ღამე ნებისა უსურვე, მაგას ეგ მცირედიც ეყოფა სასიხარულოდ. წამოდი. (გადის სასტუმრო ოთახის კარებში, სასტუმრო ოთახიდან ზვეით ასძახის) შენი პიკამა სააბაზანოშია, ვილი!

ბები — (ღედას ვასცქერის), აი, ჭალიც ამას ჰქვია! ასეთებს ახლა აღარ აცეთებენ, ყალიბი გაუტყდათ, იცი, ბიფ!

ბიფი — მამას ჯამაგირი წაართვეს, მარტო საკომისიოდ მუშაობს. ოჰ, ღმერთო ჩემო!

ბები — მოდი, პირდაპირ ვთქვათ — მამაჩვენი კომივიოიაციურად უკვე აღარ ვარგა. თუმცა კი ზოგჯერ კვლავ შეუძლია მოაწონოს კაცს თავი.

ბიფი — (როგორც იქნა, ვაბედა). მასეხებ ათ დოლარს? მინდა ახალი პალსტუკი ვიყიდო.

ბები — ერთი ადგილი ვიცი, იქ წაიყვიან. მშვენიერი საქონელი აქვთ. გინდა, ხვალ ჩემი რომელიმე ზოლიანი პერანგი ჩაიცვი.

ბიფი — ღედას თმები სულ გაუშვალარავედა, ძალიან დაბერდა. არა, ხვალ უთუოდ უნდა მივიდე ოლივერთან და როგორმე გამთვალავო...

ბები — წამოდი, მამასაც უთხარი ეგ, გულს გაუყუთებს, წამო, წამო!

ბიფი — (აგზნებულად). წარმოგიდგენია, ბიჭო, ეგ ათი ათასი თუ ვიშოვეთ, რა იქნება?

ბები — (სასტუმრო ოთახში ვასცქერის). აი, ეს მესმის, ბიფ, ძლივს არა ვხედავ ძველ ბიფს! (სასტუმრო ოთახიდან, ხმა თანდათან იკარგება). ჩემთან იცხოვრე, ბიჭო, და რომელი გოგოც უნდა მოინდომო, შენ ერთი სიტყვა თქვი და... (ბოლო სიტყვები ძლივსაა ისმის. აღიან კიბზე მშობლების საწოლ ოთახში).

ლინდა — (შედის თავის საწოლ ოთახში და მიმართავს ვილის, რომელიც სააბაზანოშია, თან მის საწოლს ასწორებს). მაგ შხაბს ვერაფერს მოუხერხებ? ისევ წვეთავს.

ვილი — (სააბაზანოიდან). რა ერთბაშად ფუჭდება ხოლმე ყველაფერი? ღმერთმა დალახვროს ეს წყალსადენის გამყვანები, სსსამართლოში უნდა უჩივლო მაგათ! ძლივს შხაბი გაყვიეთ და უკვე... (სიტყვები გარკვევით აღარ ისმის).

ლინდა — ნეტა თუ ეხსომება ოლივერს ბიფი? შენ როგორ გგონია, ვილი, ახსოვს?

ვილი — (გამოდის სააბაზანოიდან, ბიკამა აცვია). რაო, ახსოვსო? შენ რა, ჭკუა ხომ არ გამოგლეჯია? ბიფი ოლივერთან რომ დარჩენილიყო, ახლა იცი რა იქნებოდა? ერთი შეხედოს ოლივერმა და მეტი არ უნდა! შენ არ იცი, ახლა როგორი თაობა წამოვიდა. ახლანდელი ახალგაზრდები (წება საწოლში) აღარაფრად აღარ ვარგანან. უსაქმოდ ხეტიალის მეტი რა იცინა!

საწოლ ოთახში შემოდინ ბიფი და ბები. მცირე პაუზა.

ვილი — (სიტყვას გაწყვეტს, ბიფს შესცქერის). შენი ამბავი ძალიან მახარებს, ჩემო ბიჭო.

ბები — ბიფს უნდა ძილი ნებისა გისურვოს, მამა.

ვილი — (ბიფს). კარგი. ოღონდ კი ოლივერი ბეჭებზე დადე, შევილო. რა უნდა გეთქვა ჩემთვის?

ბიფი — ძარღვებს ნუ აიშლი, მამა. ძილი ნებისა. (მიბრუნდება გარეთ ვასასუვლად).

ვილი — (თავს ველარ იკავებს). როდესაც ოლივერთან იქნები, თუ მაგიდლიან რამე გადმოვიარდა — პაკეტი ან სხვა რამ — ხელი არ ახლო, მაგიდაზე არ დადო, სამაგისოდ შიკრიკება ჰყავთ.

ლინდა — ხვალ კარგ საუზმეს მოვამზადებ...

ვილი — სიტყვას არ დამამთავრებინებ? (ბიფს). უთხარი, დასავლეთში ვკომერსანტობდი-თქო, ფერმა არ ახსენო.

ბიფი — კარგი, მამა.

ლინდა — მე მგონი, უკვე ყველაფერი...

ვილი — (თითქოს არ ენის). იცოდე, თავი არ გაიიადო! თხუთმეტი ათასზე ნაკლები არა...

ბიფი — (ველარ იტანს). კარგი. ღამე მშვიდობისა, ღედიკო. (შიდის კარებისკენ).

ვილი — შენ დიდი გაქანებისა ხარ, ბიფ. კარგად დაიხსომე. დიდი გაქანებისა ხარ... (ქანცამოცილი მიეშევა ლოგინში. ბიფი გადის).

- ლინდა** — (ბიფს მისძახის). ტკბილი სიხმრებში, ძვირფასო!
- ჰეპი** — დედა, მე ცოლის თხოვას ვაპირებ... მინდოდა შენთვის მეთქვა.
- დედა** — წადი, დაიძინე, ძვირფასო.
- ჰეპი** — (მიდის). ერთი სიტუვით, იცოდე.
- ვილი** — შენ იცი. (ჰეპი გადის). ღმერთო ჩემო! ლინდა, გახსოვს შეჯიბრი ქალაქის პირველ-ბაზე ებეტსის სტადიონზე?
- ლინდა** — დაისვენე. გინდა გიმღერო?
- ვილი** — კარგი, მიმღერე. (ლინდა წყნარად უმღერის საძლისპირის). როდესაც მაგათი გუნდო სტადიონზე გამოვიდა, გახსოვს, ყველაზე მაღალი ბიფი იყო...
- ლინდა** — მახსოვს. თანაც სულ ოქროსფრად ბრწყინავდა...
- ბიფი შედის ჩაბნელებულ სამზარეულოში, ამოიღებს სიგარეტს, გამოდის სახლიდან. დგას ოქროსფერი ნათელის წრეში. სიგარეტს ეწევა, სიბნელეს მისჩერებია.
- ვილი** — ჭაბუკი ღმერთის მსგავსად. როგორც პერკულესი, მის გარშემო კი მზე, მზე... გახსოვს, როგორ დამიქნია ხელი? სწორედ მინდვრიდან, სტადიონზე კი სამი უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყვნენ. ჩემი მუშტრებიც იქ იყვნენ, მე მივიწვიე. ყოველი მხრიდან უყვიროდნენ — ლომენ, ლომენ, ლომენ! ღმერთო ძლიერო, ბიფი კვლავ დიდი ადამიანი გახდება. როგორ იქნება ასეთი ბრწყინვალე ვარსკვლავი უკვალოდ გაქრეს!
- ვილის ოთახში სინათლე ქრება. სამზარეულოს კედელში, კიბის მახლობლად, ინთება გაზის სანთურა, წითელი მილებიდან აღის ცისფერი ენები ამოვარდება.
- ლინდა** — (მოკრძალებით). ვილი, ძვირფასო, რა უნდა შენგან ბიჭს?
- ვილი** — ძალიან დავიღალე, ნურაფერს მკითხავ.
- ბიფი ნელა ბრუნდება სამზარეულოში, შეჩერდება, შესცქერის სანთურას.
- ლინდა** — ხომ სთხოვ ჰოვარდს, რომ ნიუ-იორკში გადმოგიყვანოს სამუშაოდ?
- ვილი** — ხვალ დილითვე მივალ და ვთხოვ. ყველაფერი კარგად იქნება.
- ბიფი სანთურას უკანიდან იღებს რეზინის გრძელ მილს. შეძრწუნებული პირს ვილის მჭრქალად განათებული ოთახისაკენ მიიბრუნებს, საიდანაც ლინდას მონოტონური სევდიანი სიმღერა ისმის.
- ვილი** — (ფანჯრიდან გასცქერის მთვარეს). შეხე, როგორ სეირნობს მთვარე იმ სახლებს შორის! ბიფი რეზინის მილს ხელზე დაიხვევს და სწრაფად აღის კიბეებზე.

ფ ა რ დ ა

(დასასრული იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა ციალა კარბელაშვილმა



აღზარე და მიუსე

ადამიანი და მწუხარება

ადამიანი შეგირდი არის
მწუხარებისა და მისგან სწავლობს,
თუ გასურს გაიგოს, ვინა ხარ, რა ხარ,
უნდა იტანჯოს, უნდა იწვალოს!

ვინ დაადგინა?
რა სასტიკია,
მაგრამ ძალა უზენაესი,
ძველთაძველია, როგორც სამყარო,
ვით ბედისწერის აზრი ფიტული,
სულის განწმედამ უნდა გვიშველოს,
უნდა დავეთრგუნოთ ბედის ბრმა წესი,
ამ საფასურად,
დიდ საფასურად
იქნას ცოდვები გამოსყიდული.

ცაო, მოგვეცი, ცაო, ცვარ-ნამი,
რომ მოგვიყვანო ჩვენ ჰირონახული,
ადამიანო! სიცოცხლისათვის
წმინდა ცრემლების გაიღე წვლილი!
გულში სიამის ნერგი დაგირგავს
ნიშნად სიცოცხლის და გაზაფხულის,
— კაცნო, მოდიხართ ყვავილებივით
მამულის თქორით,
მამულის წვიმით.

იწამე, მიხვდი, ტრფობა რაც არის,
რა მკურნალია, რა უებარი,
შენ ჰაბუკი ხარ,
ბედნიერი ხარ,
გასწი, კეთილი გზით რომ იარო;
შენ შეგიყვარდა წუთისოფელი,
სიცოცხლისათვის გახდი მგზნებარი,
ცრემლის უღვრელად არარაი ხარ
ადამიანო, ადამიანო!

როცა დაწვება ბინდი ღამისა
და ისმის ხეთა ნელი შრიალი,
ხარ მეგობართან,
ეტრფი ღვინოსა,
დალევ სიამით, ასწი, გაამოს!
მითხარი ძმაო:
— თუ კი არა გწევას
სიცოცხლისათვის ტრფიალის ალი,
როგორ იგრძნობდი ქვეყნის სიყვარულს
ან აღტაცებას დაუსაბამოს?

რომ არ გიყვარდეს მშობელი მიწის
ან ყვავილები
და ან მთა-ველი,
ან სონეტები შენ პეტრარკასი,
არ გრძნობდე ფრინველთ ჰიკჰიკს და
ფრთხილს;
რომ არ გიყვარდეს მიქელ-ანჯელო,
შექსპირი — ღიღი სიამის მგვრელი,
ვერა, ვერ იგრძნობ იმ კაცურ წუხილს
დაბადებიდან რაც დაგყოლია;

ველარ იგრძნობდი ამ ქვეყნის სიტკბოს,
სიცოცხლისა და ბუნების ძახილს,
ღამეულ წყვილადს თუ არ მიარღვევს
ტალღათ სიმღერა,
ტალღების თქეში,
გულის კუნძულში რომ არ გაჰქონდეს
მაგ მშფოთვარე სულს შიშის ცახცახი:
რანაირია იმ ქვეყნად ყოფნა?
რომ არ აღეძრა ამ ტკივილს შენში.

ფრანგულიდან თარგმნა
ვიორგი ქავთარაძემ.





პოეზია

სიმღერა შემოდგომისა

უსაზღვრო ზარით
ქვითინებს ქარი
შემოდგომისა,
გაბზარა გული,
ტკივილის წყლულით
სული ამივსო.

გულს სხვა უგრძენია...
ფერი უცვლია
დღეთა დინებას,
რომ მაგონდება,
გული ღონდება,
და ავტირდება.

წუხილით საესეს
ქარი მიტაცებს
მარად ლტოლვილსა,
მიყვებები თრთოლვით,
როგორც ფოთოლი
შემოდგომისა.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ქავთარაძემ



გივი გვგუჭკორი.
გარიეც ჭანჭიკი

ბავშვთა მქიცი

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი ფეხშიშველი, მზით დამწვარი... უკან დასდევდა დიდდას, ცნობისმოყვარეობით უსმენდა ქვებზე ჩამოსხდარ დედაკაცებს, რომლებსაც ნელა ეპარებოდა ზაფხულის დღეების შეუმჩნეველი ბინდი, წყაროდან ლიტრით მოჰქონდა ანკარა წყალი, კრამიტის ნამტვრევებით აშენებდა პატარა სახლებს, სადაც მერე დიდხანს ცხოვრობდა მისი თოჯინა. თოჯინას არასოდეს არაფერი სტკიოდა. იგი მამინაც ექიმი იყო, მხოლოდ თოჯინას ექიმი... თოჯინას არასოდეს არაფერი სტკიოდა, არასოდეს არ ჰქონდა სიცხე, არასოდეს კვნესოდა, არაფერს ითხოვდა და ამიტომ ადვილი იყო თოჯინას ექიმობა...

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი, ფეხშიშველი, მზით დამწვარი... მისდევდა ოღრო-ჩოღროზე რიხინით მიმავალ ურმებს და მეურმეებს კოფოზე დასმას ეხვეწებოდა... აგროვებდა კათისხევის გზებზე დაფანტულ თავთავს და მერე ბავშვის ხეწენითა და დავითან მუწისქვილეს აფქვევინებდა, რომ შემდეგ პატარა თონეში, ჩინჩხვრით გახურებულ პატარა თონეში კვეკერები დაეცხო... ის კვეკერები თოჯინასი იყო... თოჯინასი იყო აგრეთვე ალუბლისა და ჭანჭურის ხეებზე დაფხრეწილი მისი კაბები... ამ კაბებში თოჯინას არასოდეს სციოდა...

სოფლის ორღობებში დარბოდა პატარა ბავშვი და ოცნებობდა იმ დიდ გზაზე, რომელიც სადაც სოფლის ბოლოში იწყებოდა. ის გზა მიემართებოდა ქვევით, სოფლის გორაკებზე, მისდევდა ურწყავ მინდვრებს, გადადიოდა თეთრ ხიდზე. თეთრი ხიდის შემდეგ იყო სადგური, ორსართულიანი სადგური. სადგურიდან გამოდიოდა ყვითელქუდიანი კაცი, რკავდა ზარს და სადგურში შემოსულ მატარებელს უშიშრად ხედებოდა. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც იცინოდნენ, საუბრობდნენ; ადოდნენ ვაგონებში და მისდევდნენ გზას, მატარებლებს და დამეს, მთვარიან და უმთვარო დამეს, მტკვარს, ჩირვებს, მთებს, მთებზე აშე-

ნებულ ტაძრებს, მძიმე ხიდებს და უსასრულობას... იქ იყო ქალაქი, დიდი ქალაქი, სადაც დადიოდა ტრამვაი და ციმციმებდა უთვალავი ჩირალდანი...

ის ჩირალდნები ციმციმებს ახლაც, მაგრამ მათი ციმციმი სულ სხვანაირია მისთვის ახლა. მათში ალარაფერი არის იღუმალი. ისინი მისთვის შორს აღარ ციმციმებენ. ისინი ციმციმებენ ახლოს, ძალიან ახლოს. იქ მისთვის მახლობელი ადამიანები ცხოვრობენ. იმ ჩირალდნებს, რომლებიც ციმციმებდა წინათ, ახალი ჩირალდნები მიემატა. ისინი ციმციმებენ სულ ახლოს, ძალიან ახლოს. ციმციმებენ მრავალსართულიან ბინებში, სადაც სალამოს სიმშვიდესა და მყუდროებაში ისმის ოჯახის ფარული სიმღერა...

პატრეცემული თამარი ამ გაჩირალდნებულ სახლებს ზშირი სტუმარია, იმედინი სტუმარი. იგი კრონშტადტის ქუჩაზე ცხოვრობს და მისი სახლის ფანჯრებიდან გასული სინათლე ქალაქის ათას სინათლეს ერთვის. მისი სახლი ძნელი მისაგნები არ არის. იქვე კინოთეატრი „თანამგზავრია“, იქვე პეკინის ქუჩაა, პარდპირ დაწყებით პეკინის ქუჩას და მერე მარჯვნივ გაუხვევთ. იქ ქუჩა ჯერ კიდევ ათხრილდათხრილია, მაგრამ მოწაინებულნი აქცე გზას მაინც ვაიგნებს... რას იზამ, სახლებს აწენენენ... აშენებენ და აშენებენ... გაიხედავ — შენობა აისეკტება. მოხსნიან ხარაჩოებს, რამდენიმე დღე შენობა ჩაღამებული თვალებით გიყურებს, მერე გაივლი და ყველა ფანჯარაზე ფარდება ჩამოფარებული, აივნებზე სარეცხია ვაფენილი და კიბეებზე ბავშვი სამთელიან ველოსიპედს მოათრევს.

დელია თამარი ამ გაჩირალდნებულ სახლების ზშირი სტუმარია. ყველა ოჯახის ახლობელია. როცა უნდა, მამინ შეუღლებს კარებს, არ მოერიდება, არ მოერიდება. სკამს დაუღვამენ, ჩანთას ჩამოართმევენ, საუბარს გაუბამენ. მათ უყვართ მისი იმედინი სიტყვა და საქმე, მისი კეთილი ღიმილი და კეთილი სალამი, თამარი ესალმება ხალისიან მშენებლებს, რომ-

ლებიც ერთმანეთში ურევენ ცემენტსა და ქვიშას, გადაან ხარაოებზე, აფურს აფურზე აწყობენ და აშენებენ სულ მაღალ და მაღალ სახლებს. ესაღმება მუშებს, რომლებიც დილით ადრე დგებიან, ქალაქის სხვადასხვა გარეუბნებისაკენ მიიჩქარიან დილის სუსხიან ნისლში და ხმაურითა და შრომის სიმღერით ავსებენ ნაძმინარეგ ქუჩებსა და მოედნებს. იგი ესაღმება ახალგაზრდა დიასახლისებს, რომლებსაც რძით სავსე ბოთლები მიაქვთ შვილებისათვის, ესაღმება ქალბატონებს მისწავლებლებს, მეგობრებს, მეზობლებს, ნაცნობებს და ბავშვებს, მის საყვარელ ბავშვებს, რომელთა კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას შეაღია მთელი თავისი ძალღონე და მოახმარა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება. ქუჩაში მირბიან და იცინიან ბედნიერი ბავშვები, მისი ბავშვები, რომლებიც ძვირფას ექიმს საყვარულით მხოლოდ „დიდა თამარს“ ეძახიან.

კარგ ექიმს აფასებენ. კარგი ექიმი უყვართ. ეს დღესაცა და სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვთა მე-2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის შოთა კარგარეთელის კაბინეტში ვივარძნებთ. კარგ და სანამუშო ექიმზე გვინდოდა და გვეყვარა ნარკვევი. მთავარმა ექიმმა შოთა კარგარეთელმა და განყოფილების გამგემ რუსუდან ბაქრაძემ არჩევანი თამარ ლავრელაშვილზე შეაჩერეს.

ოღრო-ჩოროზე ვიარეთ, მერე კრონშტადტის ორ ნომერში ზარი დაერკეთ. კარი გაგვიღო, შეგვიყვანა, კითხვით შემოგვხედა, ეგონა ავადყოფი ბავშვის სანახავად წავიყვანდით. ჩვენ აუხსენით, როგორც შევევლო. ჯერ ვერ მიხვდა, მერე გავიჩვენებულმა გაიცინა. ბოლოს იუარა. ძლივს დავითანხმეთ.

— ჩემზე? მე ანა რა გავაკეთე ისეთი, რომ... რატომ მაინცაღმანინ ჩემზე? არა, არა... ვერც ვერაფერი მოგიყვებით, რა უნდა გითხრათ, ძნელია... სხვებზე ვილაპარაკოთ, თუ გინებავთ, ჩემს მეგობრებზე მოგიყვებით, ჩემს ბავშვებზე... არც არაფერი მისსოვს ისეთი, საგაზეთო, საეურნალო...

კარი გაიღო და მეორე ოთახიდან პატარა ბიჭი შემოვიარდა. ყურადღება არ მოგვქცია და დედამ კალთაში ჩაუჯდა. პატრიცემულმა თამარმა ბავშვი ჩამოსვა, კარებთან მიიყვანა და უფროს ქალიშვილს დაუძახა:

— ლალი, ლალი გაიყვანე გოგია, მე რა გითხარი, აქ არ შემოუშვა-მეთქი.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და უხერხულად გაეღმა:

— ასეთია, თუ სახლში ვარ, უსათუოდ ჩემთანაა, სულ უკან დამდევს. რა გქნა, არ ვციცი... მაპატიეთ, თქვენი ჰიბრიმი!... თუმცა რა უნდა გითხრათ, ღმერთიანი, არ ვციცი... გაჩუმდა. მერე შემოგვხედა და ალაპარაკდა.

კეთისხევიდან იყო, შუა უბნიდან. სკოლა თბილისში ხუთებზე დაემთავრებინა. სამედიცინო ინსტიტუტში შესულიყო პედიატრიულ ფაკულტეტზე. ინსტიტუტი 1941 წელს დაემთავრებინა. უკანასკნელი გამოცდა ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩაებარებინა. მუშაობა გარის ბავშვთა პოლიკლინიკაში დაეწყო. მერე თბილისში გადმოსულიყო, ინფექციური საავადმყოფოს განყოფილებაში. ორი წლის შემდეგ კეთისხევში წასულიყო. წინარეხში ემუშავა. წინარეხიდან კეთისხევში გადმოყვანათ საქაქმო უბნისა და პატარა საავადმყოფოს გამგედ. მერე ისევ თბილისში დაბრუნებულიყო. ბავშვთა მე-13 კონსულტაციაში მუშაობდა თურმე საბურთალოზე. იქიდან მთავარ ექიმს შოთა კარგარეთელს, ამჟამად საცა მუშაობს, იქ გადმოყვანა, ბავშვთა მე-2 პოლიკლინიკაში...

ჩვენ მოთმინებით ვუსმინდით, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ჩვენ რაზედაც გვსურდა, იმაზე არ ლაპარაკობდა. ჩვენ ვშრალი თარიღები არ გვიინტერესებდა, თარიღების მიღმა იდგნენ ადამიანები, რომლებსაც ხელებოდა იგი, რომლებსაც განაწავდა სწავლობდა და რომლებსაც ასწავლიდა, თარიღების მიღმა თვალმდნენ დამეგები და ხმაურობდნენ დღეები, იცინოდნენ და ტირილდნენ ბავშვები, რომლებიც თავს ეჩრჩია და გატაცებით უყვარდა!

ბავშვებზე გაუბნით საუბარი. ხალისით აგვიყვა:

— ბავშვები? კარგები არიან. სასაცილოები... სასტიკად ეშინიათ თეთრი ხალათისა. ექიმის არ ეშინიათ, მით უმეტეს, ჩემი... ვეხუმრები, ვეთამაშები, ჩემი არ ეშინიათ. ბავშვს უცებ თუ მივიარდი და ნემსი უჩხვლიტე, სამუდამოდ შეგიძლებს. ჯერ კეთილი სიტყვა უნდა უთხრა. ამიტომ ბავშვს ჯერ უნდა შეეჩვიო, ჯერ მისი გული უნდა მოინადირო. ცოტა კიდევაც უნდა აჰყვ... არა, ჩემი არ ეშინიათ, მაგრამ თეთრი ხალათისა მინც ეშინიათ. ო, რა სასაცილოები არიან, როცა თავს იმზნევენ და ღიმილით შემოგვქეჩიან, თვალბუში კი შიში უყრთით, ხელბუში გიყურებენ და თკალს არ გაცილებენ...

უნდა გეუშინაურდ, მაშინ არც მკაცრი სიტყვა ეწყინება, მხარზე ხელს დაჰკრავ, ლოყაზე ხელს მოუცაკუნებ, დატუქსავ, მიუაღერებს, ტოლივით გამოესაუბრები... ახალგაზრდა დედები?... ახალგაზრდა დედები უფრო სასაცილოები არიან. ფუთონიან, ფუთონიან, ფუთონიან... რად უნდა ამდენი ჩერები ბავშვს, არ ვაცი, ღმერთმანი... მე დეითონ ოთხი შეილო მყავს, სამი ქალიშვილი და ეს ბიჭი, ნაბოლოარა, წუღან რომ შემოგვივარდა. ბავშვი რომ ავად გამოხდებოდა, ვედარავინ ვერა მცნობს, სასტიკად ვლელავ. ჩემს ბავშვს მე თვითონ ვერ ვინჯავ, სხვა ექიმთან ვავრბივარ ხოლმე.

ამგვარ შემთხვევაში ჩემი მდგომარეობა კარგადაა მახსოვს და ამიტომ შესანიშნავად მესმის სოლმე იმ მშობლისა, რომელსაც შვილი უხდებოდა ანდა.

დღეგრძეობა სამინიელი უხეღერებაა ბავშვთათვის, ჩვეს ყოველგვარ ზოგას ვნებარობით მის წინააღმდეგ. ჩვენს რაიონში დიდი ხანია, რაც დაეცურებინ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ხედასსუნთქი ვზების კატარი ხშირადაა. ანგინაია, წითელაც, ქუნთრუშაც... ტონზილები და პოლიპები ბევრსა აქვს. უსათუოდ უნდა ამოკვეთეთ. აუცილებლად. ბავშვს სუნთქვა არ უნდა უჭირდეს.

ჩემი უბანი არც თუ ისე პატარა უბანია. რამდენიმე ქუჩა მზარია — საირმესი, შვიდტისა, კუტუზოვისა და საბუთალოსი... მზარია აგრეთვე კიდევ ერთი შენობა — ლისის 44. იქნებ გავკვიროთ, ეს ერთი შენობა რა გასახსენებელი და მოსატანი იყო. არა, გენაცვალეთ. იმ ერთ შენობაში ორასი ბავშვი მყავს, დიახ, ჩემები არიან, ჩემები. სახელებით ვიცნობ, გვარებით მახსოვს, ვის რა სტეიოდა, ვინ რას უჩიოდა, ვინ არის ფიზიკურად სუსტი... მთელს უბანში აუარებელი ბავშვია, მრავალი მარინე და მანანა, მრავალი მალხაზი და გიორგი... ჩემი სამუშაო დღე არასოდეს მთავრდება. ხშირად დამითაც საჭირო ვარ... მედიცინას ყოველთვის უნდა სწავლობდე, მუდამ უნდა სწავლობდე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკურ დაკვირვებებს. ყველაზე უკეთ ჩქ ხედები რა უნდა გააკეთო და როგორ უნდა გააკეთო...

პატივემული თამარი ჩაფიქრდა. ჩვენ დუმილი არ დავკვირდებოდა. მეორე ოთახიდან ბავშვის გულაინი სიცილი ისმოდა. ალბათ ბაბუა მათეს ეთამაშებოდა გოგია, ოთხზოცი წლის მოხუცს, რომელიც დუმელს ეფიცებოდა. ბავშვის სიცილზე თამარი გამოერკვა და გაეღიმა:


— ლაპარაკს სულ არ ვაპირებდი და ბევრი კი ვილაპარაკე, არ ვიცი, ჩემი ნალაპარაკებიდან რა გამოვადგებათ, მე მგონი, ბევრი არაფერი... ასე მალე წასვლას აპირებთ? კარგით, რაბან არ იშლით, მომიტონინეთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ. ერთ ავადმყოფს უნდა მივაკითხო. სახლიდან ერთად გავიდეთ.

დიდი ოთახი გამოვიარეთ. დუმელი ოჯახის მიმღერას მღეროდა. ბაბუა მათეს გამოვთხოვეთ. პატარა გოგამი კარებამდე გამოგვაცილა. ქუჩას გაეყვით და ქუჩის გასაყართან დაემ-

შვიდობით პატივემული თამარს. იგი მიდიოდა გაიართული პატარა ნაბიჯებით და ეხეოდნო სალაშოს ბინდში. იგი მიდიოდა სადღაც აქვე ახლოს და მიქიქონდა დიდი სითბო და დიდი იმედი. იგი ამ ქუჩებში ასე გაივლის ხეალაც, ზეგაც, მახეგაც... ავიღის ქვის, რკინის და ხის ციხებზე. გაივლის ბნელ დერეფნებს და ნათელ აივნებს, შვეა ფართო ოთახებში, სადაც მსელიან. თრთოლვითა და გულსძკერით, იგი შვეა ფართო ოთახებში, სუნთქვით გათბობს გაყინულ თითებს და მივა ბავშვების საწოლებთან, ჩანთიდან ამოიღებს ფონდოსკოპს და მოისმენს ბავშვების თანაბარ და არათანაბარ სუნთქვას, ჩაის კოვზით გაუსინჯავს ყელს... იგი მივა დროზე, დროზე მიიღებს ზომებს, რომ საბედისწეროდ არ დაავიანდეს. დხედავს ოფლით დაცვარულ შუბლებს და სიციხან ტუჩებს. შეუშლუბუბუბებს ჩვენს ძვირფას ბავშვებს ტკივილებით მიყენებულ ტანჯვას და სიციოცხლეს დაუბრუნებს უმანკო სხეულს...

რა კარგები არიან ისინი — ჩვენი ბედნიერი ბავშვები... ისინი ხეალაც ხელიხელჩაიკიდებულნი ივლიან საბავშვო ბაღებში, იმღერებენ უზრუნველ სიმღერებს, მიერთებენ გემრიელ საშუმელებს, ხელში მოიმარჯვებენ ქაღალდსა და მაკრატელს, ფუნჯსა და პლასტიკონს და მერე საღამოთი მოუთმინლად დაელოდებიან დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს. ისინი მზიარული საუბრით გაკუთებიან მათ და შევლენ მზით განათებულ ოთახებში. მათ არასოდეს არაფერი არ უნდა ეტკინოთ, მათ არასოდეს არ უნდა იტირონ!

ისინი ხეალ კვლავ გაეშურებიან სკოლებისაკენ, გაკვეთილებზე ააშრიალებენ და გადაფურცლავენ წიგნებს, წყრილა ხმით იტყვიან მოთხრობებსა და ლექსებს და წაიკითხვენ მზიარულ და მომზიბვლელ ზღაპრებს, რომლებიც მათ თვალწინ გადაუშლენ იდუმალ და მომაჯადოებელ სამყაროს. მათ ისევ შეაშფოთებს ის კინოსურათები, რომლებშიც ნახავენ, თუ როგორ იბრძოდნენ და გმირულად კვდებოდნენ მათი წინაპრები... ისინი ისევ ივლიან სტადიონებზე და გულაინად გაიციენებენ ციკაშო... მათ არასოდეს არაფერი არ უნდა ეტკინოთ, მათ არასოდეს არ უნდა იტირონ... ეს თქვენზედაც არის დამოკიდებულო, პატივემული თამარს...



საბჭოთაო

წერილები ილია ჭავჭავაძის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი 1863 წლისა

(ილიას და ოლღას ქორწინებამდე)

პირველი პუბლიკაცია

პავლე ივროკოპხას მიერ

თბილისის უნივერსიტეტის შენობაში ოციან წლებში მოთავსებული იყო უძველესი ქართული კულტურული დაწესებულების — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების — ბიბლიოთეკა-მუზეუმი, ძველ-ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციით.

ბიბლიოთეკა-მუზეუმთან მოწყობილი იყო „ილია ჭავჭავაძის ოთახი“, სადაც დაცული იყო ილიას პირადი ნივთები, ილიას ბიბლიოთეკა, ილიას კაბინეტის მოწყობილობა.

ილიას ეს ოთახი არ იყო გახსნილი მნახველთათვის.

ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ვმუშაობდი ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერების ტექსტების შესწავლაზე, ბიბლიოთეკა-მუზეუმის ადმინისტრაციამ ნება დამართო მომეწყო სამუშაო კუთხე ილიას ოთახში, სადაც ბიბლიოთეკა-მუზეუმიდან ვადმოტანილ იქმნა მუშაობისათვის საჭირო ძველ-ქართული ხელნაწერები.

ეს მუშაობა ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებზე თვეები გავრძელდა.

ილიას ოთახში მუშაობის დროს ერთხელ ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო ერთმა ხის ყუთმა, რომელიც ილიასეულ წიგნებთან ერთად იდო საწიგნე თაროზე.

ეს ხის ყუთი დახურული იყო, მაგრამ გასაღებით არ იყო დაკეტილი. რო-

დესაც ჩავიხედე ამ ხის ყუთში, შიგნით აღმოჩნდა მეორე ყუთი, მუყაოსი, შეკრული ზონარით.

გავხსენით მუყაოს ყუთი, — იგი სავსე აღმოჩნდა წერილებით.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გამოირკვა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს წერილები.

ეს იყო წერილები ილია ჭავჭავაძისა, მიმართული ილიას ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისადმი.

მღელვარებით ვკითხულობდით ამ წერილებს. წერილების კითხვის დროს ილიასეულ ოთახში თითქოს გაცოცხლდნენ ილიას და ოლღას აჩრდილები.

ილიას ერთგულ მეგობარს ოლღას სიყვარულით შემოუნახავს ყველა წერილი, რომლებიც კი მას მიუღია ილიასაგან მთელი ცხოვრების მანძილზე. სულ აქ აღმოჩნდა 240-მდე წერილი ილიასი ოლღასადმი. პირველი წერილი ეკუთვნის 1863 წლის იანვარს, როდესაც ილია და ოლღა პირველად გაეცნენ ერთმანეთს; უკანასკნელი წერილი ეკუთვნის 1906 წელს (ერთი წლით ადრე წიწამურის ტრაგედიისა).

ილიას წერილებთან ერთად ყუთში დაცული იყო გამხმარი ველის ყვავილი, ვინ იცის როდის მოწყვეტილი ილიას ხელით, და სასოებით შენახული მისი მეგობრის მიერ წერილებთან ერთად.

ვიდრე შევეხებოდეთ ილიას ამ წერილებს, რამდენიმე სიტყვა წერილების ადრესატის ოღლა გურამიშვილ-ჭავჭავაძის შესახებ.

ოღლა, მეუღლე ილიასი, როგორც გადმოგვცემენ ყველა თანამედროვენი, და როგორც ამის შესახებ წერს ილიას პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე, — „იყო ყოვლად კეთილი, სათხო ხასიათის ადამიანი, ქველისმოქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობი, დიდად მოსიყვარულე თავის სახელოვანი ქმარისა და მალმერთებული მისი ნიჭისა“.

ოღლა, მას შემდეგ რაც იგი ილიას მეუღლე გახდა 1863 წელს, დიდ მუშაობას ეწეოდა იმ დროს არსებულ ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, — კერძოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ილია დიდად აფასებდა თავის ცხოვრების თანამგზავრს, სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა მას.

ილიაზე უძღვება ოღლას პოემა „განდემილი“ (1883 წ.)

ოღლამ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლის დროს ოღლა მძიმედ დასჭირეს. ამის შემდეგ ოღლამ თუმცა წლები იცხოვრა, მაგრამ იგი ამ ქვეყანას უკვე აღარ ეკუთვნოდა¹.

ილიას ეპისტოლარულ მემკვიდრეობას მთელის მოცულობით, მათ შორის ილიას წერილებს ოღლასადმი, ჩვენ ვაქვეყნებთ ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის უკანასკნელს მეთექვრმე ტომში.

აქ ჩვენ ვიძლევიტ პირველ პუბლიკაციას ილიას წერილების ერთი ციკლისას:

წიგნი ილიასი ოღლასადმი
1863 წლისა
(ილიასა და ოღლას ქორწინებამდე).

ეს ციკლი წერილებისა (60 წერილის მოცულობით) ეკუთვნის ილიას ახალგაზრდობის ხანას, 1863 წლის დასაწყისს (იანვარი-აპრილი), როდესაც ილია, ამ დროს უკვე ბელადი ახალი თაობისა, „საქართველოს მოამბის“ გამოცემას შეუდგა.

წერილების ეს ციკლი წარმოადგენს პოემას.

როდესაც ვკითხულობთ ამ წერილებს, ჩვენ გვზიზიანებს მშვენიერება სულისა, რომლითაც განათებულია ეს წერილები.

რა სიდიადით არის აღბეჭდილი, მაგალითად, ისეთი წერილები, როგორც 26-ე და 27-ე...

ჩვენ გვჯერა, რომ წერილების ეს კრებული გახდება ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი საკითხავი წიგნი, ჩვენი ახალგაზრდობა აქ ეზიარება იმ მაღალ კეთილშობილებასა და სულის მშვენიერებას, რომლითაც შთაგონებულია ეს წერილები.

ილიას ამ წერილების გამოსაცემად დამზადების დროს ჩვენს წინაშე იდგა უაღრესად რთული საკითხი: როგორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა ამ წერილებისა, როგორ უნდა დალაგდეს ეს წერილები?

საქმე ის არის, რომ ამ წერილებს თარიღი არა აქვს მოწერილი; ყველა წერილი უთარილოა, არაა აღნიშნული არც რიცხვი, არც დღე. მხოლოდ ერთ წერილს აწერია: „კვირა“. ერთს კიდევ: „ღამის სამი საათი“.

ამასთან ეს წერილები არაა ჩვეულებრივი ხასიათისა; აქ სულის აღსარებაა უპირატესად. აქ ცოტაა ისეთი დეტალები, რომელთაც შესაძლოა დავეყრდნეთ თარიღების დასადგენად.

ხოლო თუ ჩვენ ვერ შევძლებდით ამ წერილების თანამიმდევრობის აღდგენას (ხოლო ამ წერილების რიცხვი, როგორც მოვიხსენეთ, 60-მდე აღწევს), მაშინ მთელი ციკლი დაჰკარავდა შინაგან მთლიანობას, ეს წერილები მიემსგავსებოდა უწესრიგოდ დაყრილ ძვირფას თვლებს, და არა ძაფზე აცმულ თვალმარგალიტს, ძვირფასი ფარღულის სახით.

საბედნიეროდ, წერილების დაკვირვებული შესწავლის შედეგად შესაძლო გახდა წერილების თანამიმდევრობის აღდგენა; და არათუ თანამიმდევრობის აღდგენა, არამედ აგრეთვე დადგენა ყველა წერილის თარიღისა.

თავდაპირველად საქიროა აღვნიშნოთ, რომ ილიას წერილების ეს ციკლი, როგორც ცხადი ხდება პირველი გან-

¹ ი. ბ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, 1957 წ., გვ. 103—104.

ხილვიდან, ეკუთვნის, როგორც მოხსენებული გვქონდა, 1863 წლის დასაწყისს, იანვრიდან—აპრილამდე. ილიამ და ოლღამ ჯვარი დაიწერეს 21 აპრილს 1863 წლისა. წერილებში რამდენჯერმე მოიხსენება „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის ბეჭდვის მიმდინარეობა და შემდეგ გამოსვლა ყურნალისა, რასაც ადგილი ჰქონდა 1863 წლის პირველ თვეებში.

პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე აღიძრა წერილების ქრონოლოგიაზე მუშაობის დროს — იყო კითხვა: საიდან იწყება მიმოწერა, წერილების ამ ციკლში რომლებია პირველი წერილები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ რამდენიმე წერილში ილია თქვენობით მიმართავს ოლღას, იმ დროს როდესაც დანარჩენ წერილში ილია შენობით მიმართავს მას.

სახელდობრ სამ წერილში ილია მიმართავს ოლღას თქვენობით; ხოლო მეოთხე წერილს იწყებს თქვენობით და შემდეგ გადადის შენობით მიმართვაზე.

ამ მეოთხე წერილში ილია, სხვათა შორის, შემდეგს წერს ოლღას:

„... იცოდეთ, მომავალში სიყვარული-სა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოტავაზებთ. მართალია, აღმაინები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვინებდები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გამიღვივა; მართალია არც ერთისა და არც მეორისა არ მეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენს ვარ, ე. ი. — შენი ვარ.“

ამის შემდეგ ილია წერილის მეორე ნახევარში გადადის შენობით მიმართვაზე. ეს შენობით მიმართვა დაცულია ყველა დანარჩენ 56 წერილში.

ამჟამად ამრიგად, რომ ეს ოთხი წერილი პირველი წერილებია. შენარსიდან ცხადია აგრეთვე ამ ოთხი წერილის თანრიგი.

ერთ წერილში (რომელმაც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ მე-20 ადგილი დაიჭირა), წერილის დასასრულს ილია შემდეგს წერს ოლღას:

„... არ დამცინო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქალაქი და იმავედ გწერ. რაც ქალაქი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ვეღარ მომაგონდა, რომ მეყიდვიენებინა. ეხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?“

„... ყურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მე-20 წერილის ცისფერმა ქალაქმა.

ჩვენ მაშინვე მოგვაგონდა, რომ ეს არის სწორედ ის ცისფერი ქალაქი. რომელზედაც გადაწერილია ილიას ლექსების ავტოგრაფული ხელნაწერი N—4993 (ეს ხელნაწერი ჩვენი შესწავლის საგანი იყო, როდესაც ვსცემდით ილიას ლექსების კრებულს)¹.

ილიას ეს ავტოგრაფული ხელნაწერი გადაწერილია რუსეთში 1859—1861 წლებში; ილიას იგი აუკინძვინებია და ყდაში ჩაუსვამს. იგივე ქალაქი, რომელზედაც გადაწერილია ლექსების ეს კრებული, ილიას თან ჩამოჰყოლია რუსეთიდან საქართველოში და ილია ამ ცისფერ ქალაქზე წერდა წერილებს ოლღას. ნაწილი ამავე ქალაქისა ილიას გადაუცია აგრეთვე ოლღასათვის, რომ მასაც წერილები ამ ქალაქზე ეწერა.

ცხრამეტი წერილი ილიას ამ ქალაქზე დაუწერია და ამით ამოწურულა ამ ქალაქის მარაგი. ხოლო მე-20 წერილი ილიას დაუწერია ოლღას გამოგზავნილი წერილის თავისუფლად დარჩენილ ფურცელზე, რადგან ღამის ორ საათზე სხვა ქალაქი აღარ აღმოაჩნდა.

ამრიგად ამ ცისფერ ქალაქზე დაწერილია ილიას 20 წერილი (მათ შორის პირველი ოთხი წერილიც, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი). ხოლო დანარჩენი 40 წერილი სხვადასხვა ქალაქზე დაწერილი (პეტერბურგიდან ჩამოტანილი ცისფერი საგანგებო ქალაქის მსგავსი ჩანს თბილისში არ იშოვებოდა).

ირკვევა მაშასადამე, რომ ეს 20 წერილი, გადაწერილი ცისფერ ქალაქზე, უფრო აღრინდელია, ვიდრე 40 წერილი

¹ იხ. ილია ქაქავაძე, ტ. I, 1951 წ., 83-408—410.



ლი, გადაწერილი სხვადასხვა ქალაქ-ლებზე.

ირკვევა ამასთან ისიც, რომ პირველი ოცი წერილი დაწერილია 1863 წლის იანვარში და თებერვლის პირველ ორ ათეულში, ვინაიდან „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი თებერვლის მეორე ათეულში გამოსულა, ხოლო — მე-20 წერილში ილია, როგორც აღვნიშნეთ, წერს ოლღას ახლად გამოსული ჟურნალის შესახებ: „ჟურნალს ხვალ გამოვიგზავნი“-ო.

ამის შემდეგ დასაზუსტებელი დარჩა ამ ოცი წერილის თანრიგი და თარიღები.

თარიღების საკითხის გარკვევაში ჩვენ გვშველის ოთხი წერილი, რომლებშიც წერილების თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-11, მე-12 მე-13 და მე-14 ადგილი.

ამ ოთხ წერილში მოხსენებულია მასკარადი.

მე-11 წერილის დასასრულს ილია ეკითხება ოლღას: „შაბათს იქნები მასკარადზე?“

მე-12 წერილში ილია შემდეგს უპასუხებს ოლღას შეკითხვაზე:

„მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მავასა მკითხვამ! შე რათა ხანია ავიხსენი მასკა და შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ახლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერთმეტ საათზედ მოვიცილი, მაშინ წავალ“.

ილია წასულა მასკარადზე; მომდევნო მე-13 წერილში ილიას აწერილი აქვს მასკარადის ეპიზოდები.

მასკარადები, როგორც ცნობილია, იმართებოდა ეგრეთწოდებული „ყველიერში“. ილია მასკარადზე ყოფილა შაბათს. ხოლო 1863 წელს „ყველიერის“ შაბათი უწევდა 9 თებერვალს.

მაშასადამე ილია ყოფილა მასკარადზე 9 თებერვალს 1863 წლისა და მე-12 წერილი ამ დღეს არის დაწერილი.

მე-13 წერილი დაწერილია მასკარადის დამთავრების მეორე დღეს (მასკარადი დამთავრდა 10—ს, დილით) ე. ი. 11 თებერვალს.

მე-14 წერილი უშუალოდ მოსდევს მე-13 წერილს (აქ ილია ატყობინებს ოლღას ერთი მასკის ვინაობას); წერილი დაწერილია ღამე 11—12 თებერვალს

(წერილის თავში მოწერილი აქვს: „ღამის სამი საათი“).

ზემოთ-დასახელებული მე-12 წერილი, რომელიც 9 თებერვლით თარიღდება, ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ აგრეთვე, თუ როდის დამთავრდა ბეჭდვა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრისა.

ამ მე-12 წერილში, ილია წერს:

„იქნებ ჩემი მშობელი ხვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმედია რომ 12 საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჰეშმარიტება“.

იმავე წერილის პოსტ-სკრიპტუმში ილია წერს:

„ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბათს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავედ“.

რაკი 9 თებერვალს იყო შაბათი, მომდევნო სამშაბათი უწევს 12 თებერვალს. ამ დღეს ყოფილა ნაგარაუდები „საქართველოს მოამბის“ ბეჭდვის დასრულება.

ჟურნალის ბეჭდვის მიმდინარეობის შესახებ, გარდა მე-12 წერილისა, საუბარია აგრეთვე წერილებში, რომელთაც თანრიგის დადგენის შემდეგ დაიჭირეს მე-6, მე-8, მე-9 და 20 ადგილები.

მე-6 წერილის მიხედვით ჟურნალის ყველა მასალები ჯერ კიდევ არ ყოფილა გადაცემული სტამბაში; ილია ამ წერილში წერს ოლღას:

„გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ მეტყი. უნდა მივიღე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფრით არ თანხმდება გაუმეფას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩიჩინები, ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება“.

მე-8 წერილში ილია წერს: „გუშინ დილის ცხრიდან — საღამოს ექვსამდე სტამბაში ვიყავ... ჟურნალი ამ დღეებში გამოვა...“

მე-9 წერილშიც იგივეა განმეორებული, რომ მას „მაღე ეყოლება ვაჟი-შვილი, რომელსაც სახელად წინასწარ „საქართველოს მოამბე“ დავარქვი“-ო. ხოლო მე-12 წერილის ცნობით, რო-

გორც მოხსენებული გვექონდა, ყურნალის ბეჭდვა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის და გადადებულია 12 თებერვლისათვის.

მე-20 წერილის წერის დროს კი ყურნალი უკვე აკინძულია და გასაყრცელებლად მზადდება. ილია წერს ოლღას: „ყურნალს ხვალ გამოგიგზავნი“-ო.

*

ჩვენ დაგვრჩენია შეეჯამოთ.

ილიას წერილების პირველი ჯგუფიდან; ე. ი. პირველი ოცი წერილიდან, წარმოდგენილი განხილვის შედეგად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს თანრიგი შემდეგი წერილებისა:

1. 2. 3. 4. || 6. 8. 9. || 11. 12. 13. 14. || 20.

დარჩა გამოსაკვევი თანრიგი დანარჩენი შვიდი წერილისა ამ პირველი ოცეულის ჯგუფიდან.

თუ ჩვენ გულდასმით გადავიკითხავთ ამ დარჩენილ შვიდ წერილს, ცხადი გახდება, რომ ისინი შინაარსის მიხედვით დაკავშირებული არიან უკვე განხილულ წერილებთან და ბუნებრივად იჭერენ ადგილს საერთო თანრიგში: სახელდობრ მე-5 წერილი შინაარსით უკავშირდება მე-6 წერილს; მე-7 წერილი ბუნებრივად იჭერს ადგილს მე-6 და მე-8 წერილებს შორის; ასევე მე-10 და 15—19.

ამრიგად თანრიგი წერილების ამ პირველი ოცეულისა არ იწვევს ეჭვს.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ წერილების ამ პირველი ოცეულის თარიღებზე. ამ ოცი წერილიდან ჩვენ უკვე დადგენილი გვექონდა თარიღი სამი წერილისა: 12-ისა, 13-ისა და 14-ისა: სახელდობრ მე-12 წერილი, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილია 9 თებერვალს; მე-13 წერილი — 11 თებერვალს, მე-14 წერილი — 12 თებერვალს.

ამ სამ წერილის თარიღებზე დაყრდნობით ჩვენ დაგვრჩენია გავითვალთ

რიცხვები მე-12 წერილიდან (რომელიც 9 თებერვლით თარიღდება) უკანა მიმართულებით ვიდრე პირველ წერილამდე; ასევე გავითვალთ რიცხვები მე-14 წერილიდან (რომელიც 12 თებერვლით თარიღდება) წინ მიმართულებით ვიდრე მე-20 წერილამდე.

ამასთან ერთად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ყველა დეტალები, რომლებიც წარმოდგენილია წერილებში და გავითვალისწინოთ, თუ რა დროის მანძილი იყო ერთი წერილიდან მეორე წერილამდე, სახელდობრ:

1. როგორის თანრიგით და დროის რა მონაკვეთზე ენაცვლებოდა ილიას წერილი და ოლღას პასუხი;¹

2. რა დღეებში მომხდარა ილიას და ოლღას შეხვედრა, რა რიცხვებშია წერილებს არ სწერდნენ ერთმანეთს;

3. თარიღების დაზუსტებას აადვილებს აგრეთვე, როდესაც წერილებში მოხსენებულია და მინიშნებული კვირის დღეები; ეს იძლევა საშუალებას შევამოწმოთ, თუ რა რიცხვი უწევდა ამ დღეებს.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინება ჩვენ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ილიას წერილების ქრონოლოგია.

ირკვევა, რომ ილიას პირველი ოცი წერილი დაწერილია იანვარ-თებერვალში, 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე.

მოგვყავს აქ ილიას ამ პირველი ოცი წერილის ქრონოლოგიური ნუსხა (ქრონიკით 16 იანვრიდან—18 თებერვლამდე).

¹ თუმცა ოლღას წერილები, გარდა 12 ბარათისა, არ შენახულა, მაგრამ ილიას წერილების ტექსტი ყოველთვის იძლევა საშუალებას გავითვალისწინოთ დროის მანძილი, რომლითაც დაცილებული იყო ილიას წერილები ოლღას წერილებიდან, როცა ოლღა აგვიანებს წერილს და გადაიცილებს დათქმულ ვალებს, ილია ყოველთვის აღნიშნავს ამას საპასუხო წერილში.

(ოლღას წერილებიდან შენახულა შემდეგი 12 ბარათი, რომლებიც მოწერილია პასუხის სახით ილიას შემდეგ წერილებზე: 1, 2, 9, 14, 17, 21, 31, 40, 41, 46, 49, 56).



ილიას წერილების პირველი ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 16 იანვრიდან — 18 თებერვლამდე)

- 16 იანვარი. — ილიას პირველი წერილი.
- 17 იანვარი. — ოლღას წერილი.
- 18 იანვარი. — ილიას მე-2 წერილი.
- 19 იანვარი, შაბათი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-3 წერილი.
- [20 იანვარი, კვირა, — ტაძარში შეხვედრა].
- [21 იანვარი, ორშაბათი. — შეხვედრა და საუბარი ილიასი და ოლღასი] ¹
- 25 იანვარი (პარასკევი). — ოლღას წერილი.
- 26 იანვარი. — ილიას მე-4 წერილი.
- [27 იანვარი. — შეხვედრა ილიასი და ოლღასი] 2.
- 28 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-5 წერილი.
- 29 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-6 წერილი.
(შეხვედრა ილიასი ცენზორთან, რომელიც არ თანხმდება გაუშვას ეურნალში ერთი სტატია).
- 30 იანვარი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-7 წერილი.
- 1 თებერვალი, (პარასკევი). — ოლღას წერილი.
(ილია დიღის 9 საათიდან — საღამოს 6 საათამდე სტამბაშია, მუშაობს ეურნალზე).
- 2 თებერვალი. — ილიას მე-8 წერილი.
ოლღას წერილი.
- 3 თებერვალი, კვირა. — ილიას მე-9 წერილი.
ოლღას წერილი.
- [4 თებერვალი. — შეხვედრა] ³.
- 5 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 6 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-10 წერილი.
- 6 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 7 თებერვალი. — ილიას მე-11 წერილი.
- 8 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 9 თებერვალი, შაბათი. — ილიას მე-12 წერილი.
(ეურნალის ბეჭედა უნდა დამთავრებულიყო 10 თებერვლისათვის, მაგრამ გადილილი სამშაბათამდე, 12 თებერვლისათვის).
- [10 თებერვალი. — ოლღას წერილი არ მოუწერია] ⁴.
- 11 თებერვალი. — ილიას მე-13 წერილი.
ოლღას წერილი.
- 12 თებერვალი (ღამის სამი საათი). — ილიას მე-14 წერილი.
- 12 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-15 წერილი.

- 13 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-16 წერილი.
ილიას მე-17 წერილი.
ოლღას წერილი.
- [14 თებერვალი. — ილიას წერილი; არ მოღწეულა].
- 15 თებერვალი. — ილიას მე-18 წერილი.
- 16 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას მე-19 წერილი.
- 17 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 18 თებერვალი (ღამის ორი საათი). — ილიას მე-20 წერილი.
(ილია წერს ოლღას, რომ ახლად გამოსულ ეურნალს ხვალ საღამოსათვის გაუგზავნის).

გადავიდეთ ამის შემდეგ ილიას წერილების მეორე ჯგუფზე, 21-ე წერილიდან 60-მდე.

ორი წერილიდან (რომლებმაც, თანრიგის გარკვევის შემდეგ, დაიჭირეს 54-ე და 55-ე ადგილი) ჩვენ ვგებულობთ, რომ ილია ავად იყო, მაგრამ ცოტა მოჯობინებულა და უნდა შეხვედეს ოლღასს საეკლესიო ცერემონიაზე. 54-ე წერილში ილია წერს ოლღასს:

„ჩემო ანგელოზო, მგონი ცოტათი მოვჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბად ნახებარე საათით აღდგომის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოეკრა თვალი“.

მეორე წერილში (55-ეში), რომელიც იმავე დღეს არის დაწერილი, ილია წერს ოლღასს:

„ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუკი კარგი დარი იქნება...“

„ხვალ შენ სანახავად გამოვალ...“
რა საეკლესიო ცერემონიაზე უნდა შეხვედროდა ილია ოლღასს?

უნდა ვიცოდეთ, რომ წერილების მთელი ეს ციკლი 21-დან მოკიდებული ვიდრე 54-ე და 55-მდე ეკუთვნის ეგრეთწოდებულ „დიდი მარხვის“ პერიოდს, აქედან უკანასკნელი წერილები უწევს „დიდი მარხვის“ უკანასკნელ კვირას (წინა სააღდგომო კვირეულს).

საეკლესიო ცერემონია, რომელზედაც ილია უნდა შეხვედროდა ოლღასს, — ეს არის ცერემონია ქრისტეს სხეულის გამოსვენებისა ეკლესიაში ეგრეთწოდებულ „წითელ პარასკევს“ (ქრისტეს ჯვარცმის დღეს), რაც დიდის ზემოთ სრულდებოდა.

1 იხ. ილიას მე-4 წერილი.
2 იხ. ილიას მე-5 წერილი.
3 იხ. ილიას მე-10 წერილი.
4 იხ. ილიას მე-13 წერილი.



1863 წელს „წითელი პარასკევი“ უწევდა 29 მარტს. მაშასადამე ზემოთ-მოყვანილი წერილები 54-ე და 55-ე, რომლებიც დაწერილია საეკლესიო ცერემონიის ერთი დღით ადრე (ილია უნდა შეხვედროდა ოლღას საეკლესიო ცერემონიაზე — მეორე დღეს), — ზუსტად თარიღდება 28 მარტით.

54-ე და 55-ე წერილების თარიღის დადგენას გარკვეულობა შეაქვს წერილების ამ მეორე ციკლის ქრონოლოგიის საკითხში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, წერილების პირველი ციკლის უკანასკნელი წერილი, მე-20, დაწერილია 17/18 თებერვალს. ირკვევა ამრიგად, რომ წერილები 21-დან ვიდრე 54-ე და 55-მდე დაწერილია 18 თებერვლიდან მოკიდებული ვიდრე 28 მარტამდე (ჩათვლით). რაც შეეხება უკანასკნელ ხუთ წერილს (56—60), ისინი დაწერილია აღდგომის მომდევნო დღეებში (1863 წელს აღდგომა მოდიოდა 31 მარტს).

წერილების ამ მეორე ციკლის თანმიმდევრობის აღდგენა ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში შესაძლო ხდება წერილების შინაარსის პრეციზული ანალიზის საფუძველზე, იმ ბუნებრივი კავშირის მიხედვით, რომელიც აერთებს წერილების ცალკეულ ჯგუფებს (ასე, წერილები 21-დან 33-მდე წარმოადგენს ცალკეულ ჯგუფს, ასევე 34 და 35, 36 და 37 და ა. შ.).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს ქრონოლოგიური ნუსხა ილიას წერილების მეორე ჯგუფისა, 21-დან 60-მდე; ეს ქრონოლოგიური ნუსხა ემყარება წერილების ყველა დეტალურ გათვალისწინებას, დამუშავებულია იმავე წესით, როგორც ქრონოლოგიური ნუსხა პირველი ჯგუფისა.

ილიას წერილების მეორე ჯგუფის ქრონოლოგია

(ქრონიკა 18 თებერვლიდან — 6 აპრილამდე).

- 18 თებერვალი. — ოლღას წერილი.
(ილია უგზავნის ოლღას ახლად გამოშულ ეურნალს. — კვირას, 24 თებერვალს, დაინშნულია ელენე ჩოლოყაშვილის სახლში ლიტერატურული საღამო ილიას მონაწილეობით).
- 19 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 22-ე წერილი.
- 20 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 23-ე წერილი.

- [21-22 თებერვალი. — ოლღას წერილები არ მოუწერია] 1.
- 23 თებერვალი. — ილიას 24-ე წერილი.
- 24 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 25-ე წერილი.
- 25 თებერვალი. — [ილიას წერილი არ მოღწეულა].
- 26 თებერვალი. — ოლღას წერილი.
ილიას 26-ე წერილი.
- 27 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 28 თებერვალი (დღის 5 საათი) — ილიას 27-ე წერილი.
- 28 თებერვალი. — ოლღას წერილი.
- 1 მარტი. — ილიას 28-ე წერილი.
- 2 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 29-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 3 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 30-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 4 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 31-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 5 მარტი. — ოლღას წერილი.
[ოლღას საღამოს წერილი არ მოუწერია] 2.
ილიას 32-ე წერილი,
- 6 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 33-ე წერილი.
- 7 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 34-ე წერილი.
- 8 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 35-ე წერილი,
ოლღას წერილი.
- 9 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 36-ე წერილი.
(ოლღამ ინახულა ავადმყოფი ილია).
- 10 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 37-ე წერილი.
- 11 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 38-ე წერილი.
- 12 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 39-ე წერილი.
- 13 მარტი. — ოლღას წერილი.
- 14 მარტი. — ილიას მე-40 წერილი,
ოლღას წერილი.
ილიას 41-ე წერილი,
ოლღას წერილი.
ილიას 42-ე წერილი.
- 15 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 43-ე წერილი.
- 16 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 44-ე წერილი.
- 17 მარტი. — ოლღას წერილი.
ილიას 45-ე წერილი.

1 იხ. ილიას 24-ე წერილი.
2 იხ. ილიას 32-ე წერილი.



- 18 მარტი. — ილიას 46-ე წერილი. ოლღას წერილი.
- 19 მარტი. — ილიას 47-ე წერილი.
- 20 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 48-ე წერილი.
- 21 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 49-ე წერილი.
- 22 მარტი. — ოლღას წერილი. ოლღას მეორე წერილი (სალამოს). ილიას 50-ე წერილი.
- 23 მარტი. — ოლღას წერილი.
- 24 მარტი. — ილიას 51-ე წერილი.
- 25 მარტი. — ოლღას წერილი.
- 26 მარტი. — ილიას 52-ე წერილი.
- 27 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 53-ე წერილი.
- 28 მარტი. — ოლღას წერილი. ილიას 54-ე წერილი. ილიას 55-ე წერილი.
- [29 მარტი. — შეხვედრა საეკლესიო ცერემონიაზე.]
- [31 მარტი. — აღდგომა].
- 1 აპრილი. — ოლღას წერილი.
- 2 აპრილი. — ილიას 56-ე წერილი.
- 3 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 57-ე წერილი.
- 4 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 58-ე წერილი.
- 5 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას 59-ე წერილი.
- 6 აპრილი. — ოლღას წერილი. ილიას მე-60 წერილი.

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს წერილების თანრიგისა და ქრონოლოგიის შესახებ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მიმოწერა ილიასა და ოლღას შორის თავდაპირველად რუსულად დაიწყო.

ოლღას რუსული განათლება ჰქონდა მიღებული და მიმოწერა რუსულად უფრო ეხერხებოდა.

ეს არ ნიშნავს, რომ ოლღა მოწყვეტილი იყო მშობლიურ ნიდავს. პირიქით, ოლღა, ქალიშვილობის დროსაც, პატრიოტის სახელით ყოფილა ცნობილი. ერთ ვიღაცას გადაგვარებულს ოლღასათვის, გაკიცხვის მიზნით, პატრიოტი უწოდებია საზოგადოებაში. ილია ამის შესახებ შემდეგსა წერს ოლღას 29-ე წერილში:

„ვინ გეძახის პატრიოტს? იმით, რაც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. განა ასე არ არის, ჩემო სულიკო! ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგ-

რამ შენ ამით იამაყებ, — ამიტომ მეჩვენებ ნები ძვირფასად.

„მახსოვს, დღობზე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე; თუმცა ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შესწვდება პატრიოტიზმს, მაგრამ იმ სიტყვებით და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე“.

ოლღას ერთი წერილი ილიასათვის ქართულადაც მიუწერია. ილია ამის გამო სიხარულით სწერს საპასუხო წერილში: „...ნამდვილი მწერალი მყავებარ, — გიქმეა, მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერ!.. პირდაპირ გამაოცა. არაფრით არ მოველოდი, თუ ასე ლაღლად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა“ (იხ. მე-9 წერილი).

ილია აქ თუმცა ქებას ასხამს ოლღას ქართულს, მაგრამ ეს უფრო გამხნეების მიზნით. ოლღამ შემდეგ მართლაც ჩინებულად შეისწავლა ქართული. ხოლო რადგან ამ დროს ოლღას რუსული უფრო ეხერხებოდა, ამიტომ მიმოწერა ისევ რუსულად გრძელდებოდა.

მიუხედავად ამისა, ილიას ნაწილი წერილებისა მაინც ქართულად მიუწერია (ქართულად არის ნაწერი ილიას წერილები: მე-12, მე-18, 22-ე, 23-ე, 34-ე, 36-ე, მე-40, 45-ე, 46-ე, 57-ე, 58-ე).

ამას გარდა რუსულ წერილებში ხშირად მთელი ნაკვეთები ქართულად არის ნაწერი.

წინამდებარე გამოცემაში წერილების რუსულ ტექსტებს ქართულ თარგმანში ვაქვეყნებთ.¹

თარგმანი არაა ერთპიროვნული, იგი რამდენიმე მწერლის თანამშრომლობითა და კონსულტაციით არის შესრულებული.

ვიდრე მოვიყვანდეთ ილიას წერილების ტექსტს, აქ საჭირო იქნება გავაცნოთ, თუ ვინ არიან წერილებში მოხსენიებულნი პირნი.

¹ როდესაც რუსულ წერილებში გვხვდება ქართულად ნაწერი ტექსტი (ცალკეული ნაკვეთები, ან ფრაზები), იმისათვის, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს გაარჩიოს ილიას ქართული ტექსტი თარგმანისაგან, ილიასეულ ტექსტს გამოვყოფთ ვარსკვლავებით. ერთი ვარსკვლავი (*) უჩვენებს, თუ საიდან იწყება ილიასეული ქართული ტექსტი, ხოლო ორი ვარსკვლავი (**) — თუ სად თავდება ილიასეული ქართული ტექსტი.

შვირილებში მოხსენებულნი პირნი

1. ნინო ორბელიანი (ყაფლანიშვილი). ახლო მეგობარი ოლღასი და ნაცნობი ილიასი. ნინომ გადასცა პირველი წერილები ოლღასი ილიას და ილიასი ოლღასს.
2. წერილებში მოხსენებული ო ლ ლ ა ს და — არის უფროსი და ოლღასი — ეკატერინე (კატო) თადეოზის ასული.
3. წერილებში მოხსენებული და ი ლ ი ა ს ი — არის უმცროსი და ილიასი ელისაბედი (ლიზა).
4. უაზრეგი პელაგია ივანეს ასული — საიდუმლოს დაფარვის მიზნით მის სახელზედ აგზავნიდა ილია ოლღასადმი მიმართულ წერილებს.
5. მოლოზანი ნინო, — რომელსაც ილია მოიხსენიებს როგორც ბოროტ სულს, — უცნობი პირია. როგორც ჩანს 25-ე წერილიდან, იგი თავადის ქალი ყოფილა.
6. ბარბარე ილიას ასული (ვარვარა ილინიშნა) ორბელიანი — ილია ორბელიანის ქვრივი, ბაგრატიონის ქალი, ილია ბატონიშვილის ასული. დიდის ვაჟღენით სარგებლობდა თბილისის საზოგადოებაში (1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, იგი იყო წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე).
7. ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული მუხრან-ბატონისა — ნათესავი გურამიანთ ოჯახისა. თბილისის მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა.
8. ჩოლოყაშვილი ელენე, მეუღლე ნიკო ჩოლოყაშვილისა. მის სახლში იკრიბებოდნენ ლიტერატორები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები.
9. ოლღას მამა — თადეოზ გურამიშვილი, საგურამოს მემამულე.
10. გიორგი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი — გურამიანთ ოჯახის ნათესავი; ვაჟღენიანი პირი, დიდი მოხელე. 1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნის მიმოწერა, გიორგი მუხრან-ბატონი იყო კავკასიის მეფის-ნაცვალის საბჭოს წევრი, სამართლის საქმეთა დეპარტამენტის ლიტერატორი. უფრო გვიან იგი იყო სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. (1872 წელს გიორგი მუხრან-ბატონმა გამოაქვეყნა ბროშიურა „О существе крупных единиц“, რომელშიაც იცავდა იმ აზრს, რომ აუცილებელია პატარა ერების ასიმილაცია დიდი ერების მიერ. ილია ან ბროშიურას შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: „მუხრანსკის ბროშიურა წაფიკთხე, აი ჩემი პასუხი: „Плешь право сильного раб свято почитает“. ამ ბროშიურის გამო ილიამ დაწერა ლექსი-პამფლეტი „რჩევა“).
11. ირაკლი კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი — 1863 წელს საგანგებო მინდობილობათა მოხელე კავკასიის მეფის-ნაცვალთან.
12. იასე ადამის-ძე ანდრონიკაშვილი — გურამიანთ ოჯახის ნათესავი (1863 წელს მას ეჭირა კომერციული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა).
13. ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი — გენერალ-ლეიტენანტი.
14. ილია წინამძღვრიშვილი — ილიას მეგობარი (შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დამაარსებელი წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა).
15. ლეონ პეტრეს-ძე ზაგურსკი — მასწავლებელი ისტორიისა და გეოგრაფიისა თბილისის გიმნაზიასა და ქალთა ინსტიტუტში. ახლო ნაცნობი ყოფილა ილიასა.
16. გრაფი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე ორლოვ-დავიდოვი პირველი, კავკასიის მეფის-ნაცვლისა და შთავარსარდლის ადიუტანტი, ოფიცერი.
- 17 — 18. პლატონოვი და ბარონ ფონ დერ ბრიუგენი თბილისის „მაღალი წრის“ ახალგაზრდობას ეკუთვნოდნენ.
19. სტარიცი ევგენი პავლეს-ძე — 1863 წელს კავკასიის მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრი, ამიერ-კავკასიის სამიწათმოქმედო პალატის მმართველი. სტარიციის ოჯახსა და გურამიანთ ოჯახს ახლო ნაცნობობა ჰქონდათ (სტარიციის ოჯახთან), უფრო გვიან, ნაცნობობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესაც).
20. გიორგი ნიკოლოზის-ძე ბერიძე — მოხელე (სამიწათმოქმედო კომისიის წევრი). ილიას ნაცნობი.



წერილები

1*

[16 იანვარი, 1863 წ.]

მითხარით, — სად შევხვდეთ. დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოენახვ, ოღონდ ერთი დღით აღრე მაცნობეთ.

2.**

[18 იანვარი, 1863 წ.]

სადაც ნაბრძანები მქონდა ყოფნა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერაფერ ვნახე, ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის ბრალია. მან ექვს საათზე გადმომცა წერილი, შეიღის თხუთმეტ წუთზე კი მე უკვე სიცოცხისაგან კვანკალეული ჰქოქართან. ორჯერ შემოვიარე ის ადგილი, სადაც, ჩემის ანგარიშით, ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. მერმე ბ-ძესთან გასათბობად მივედი, შემდეგ ისევ, თუ არა ვცდები, ათი წუთი ვიდექი გარეთ, კვლავ უშედეგოდ.

ხვალ შუადღისას, სრულ პირველ საათზე ბ-ძესთან მოვალ; ხომ შეიძლება გნახოთ, თუნდაც აივანზე? რომ არ გაიყინოთ, გაფრთხილებთ, სრულ პირველ საათზე ვიქნები. თუკი თქვენი ნახვა არ მოხერხდება, შეეცადეთ ყოველ შემთხვევისათვის დამანახვით ბარბარე, რომელსაც, როგორც გაგებული მაქვს, ყველაფერს ენდობით. რამეს რომ მივალწიოთ, საჭიროა გავიცნო მისი ღირსეული ფიზიონომია. შეიწუხოს თავი და ინებოს ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიაროს ეზოში, უკანა კიბის მხარეს, — ალბათ ბედი მეწვევა და ველირსები ფანჯრიდან მის დანახვას.

მე მგონია, ხიფათში იგდებთ თავს, როცა პეემანს მინიშნავთ თქვენს სახლში, სადაც ასი თვალის ვითვალთვალეს. მე ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო მინდა გესაუბროთ. მეშინია, ვაი თუ სიჩქარით ყველაფრის თქმა ვერ მოვასწრო, თანაც თქვენთვისაც მოუხერხებელი იქნება ყურის გდება, სადაც პატარა შარიშურმაც კი შესაძლოა შიში გამოიწვიოს და ყურადღება წაგართვათ. ყველაფერს აჯობებს შევხვდეთ სადმე სხვაგან, თქვენი სახლისგან მოშორებით, თუნდაც, მაგალითად, ტაძარში. მაგრამ, რასაკვირველია, ნება თქვენია, მიბრძანეთ, რასაც ინებებთ, მე ყველაფერს შევასრულებ. ოღონდ, გთხოვთ, ეს ერთი ღამიანსოვრეთ: არავის არ უთხარებ არაფერი, არავის ენდოთ, ადამიანი ყო-

* ილიას ამ პირველი ბარათის გამო საჭიროა შემდეგი აღნიშვნა.

ოღლა გურამიშვილის მეგობარს ნინო ორბელიანს ასმითობა გაუწევია ოღლასათვის; იგი სწვევია ილიას და ურთიერთობა, გაუბამს ილიასა და ოღლას შორის, არა სჩანს მხოლოდ, ოღლას ბარათი მიუწერია ილიასათვის, თუ აქ ნინოს მხრით სიტყვეთი შემადგება იყო შათი შეხვედრისა.

ამასთან ბარათში, თუ საუბრის დროს, ისიც ყოფილა აღნიშნული დიდის ტაქტი, რომ ილია ალბათ ჯერ ვერ მოიცილოს შეხვედრისათვის, რადგან დღე და ღამე დაქერილია სტამბაში მუშაობით (ამ დროს გამოდიოდა პირველი ნომერი ახლად დაწყებული ქურხალისა, „საქართველოს მოამბისა“).

ილიას ეს მოკლე ბარათი, ოღლასადმი მიმართული, დაწერილია ნინო ორბელიანთან ამ შეხვედრის დროს.

ბარათი მეტად თავდაპერილია და ერთგვარ ოფიციალურ იერსაც ატარებს, რადგან ბარათი გარეშე პირის თანდასწრებით იწერებოდა და იმავე გარეშე პირის ხელით იგზავნებოდა ოღლასთან.

** ილიამ ერთი საათის დავიანებით მიიღო ოღლას ბარათი, რომლითაც ოღლა შეხვედრას უნიშნავდა ილიას; დანიშნულ ადგილას ილიას უნდა დახვედროდა ქალი, რომელიც მას ოღლასთან მიიყვანდა. თუმცა დრო გადაცილებული იყო, მაგრამ ილია მაინც მივიდა დანიშნულ ადგილას. აქ მას უკვე აღარაინ დახვდა და შეხვედრა არ შედგა.

ილიას მე-2 წერილის დასაწყისი ამ ამბავს ეხება.



ველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო, მით უმეტეს ისეთი შინაარსისა, როგორიც თქვენია.

ი. ჭ.

P. S. რაც უფრო ადრე ვნახავთ ერთმანეთს, მით უკეთესია, — ბევრი რამ მინდა გადმოგცეთ. დღესვე მიპასუხეთ ამ ნაჩქარევ წერილზე. გვარი მოაწერეთ, რისი გეშინიათ? ერთხელ თუ კი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდევით.

გთხოვთ, წერილი დააბრუნოთ, მიზეზს, როცა შეეხვდებით, მაშინ აგიხსნით.

ი. ჭ.

3 *

[შაბათი, 19 იანვარი, 1863 წ.]

შოვალ, ჩემო ანგელოზო, შოვალ! მგონი ცხრაზე იწყება წირვა.

შენი ი ლ ი კ ო.

4.

[26 იანვარი, 1863 წ.]

გვიან მივიღე თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენს მიმართ გულახდილობა მთხოვდით. კეთილი, მე მხოლოდ ყურადღებასა გთხოვთ და ამ წერილის მოთმინებით ბოლომდე წაკითხვას.

ორშაბათს სიტყვა მოგეცით, თქვენი ვიყო, და რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნები. ამჟამად, თუკი რამეს ვუსაყვედურებ ჩემს თავს, მხოლოდ შემდეგს: სიტყვის მოცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მაგვლებდა მეთქვა, თუ როგორია ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც თქვენ გადაგიწყვეტიათ. რისი თქმაც მაშინ ვერ შევძელ, ახლა ვასრულებ.

იციოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი, საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო, რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი; რაც უფრო შორს ვიხედები, მით უფრო ცოტას ვხედავ სანუგეშოს. მართალია, მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიღვია; მართალია, არც ერთისა და არც მეორის არ გეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ე. ი. — შენი ვარ.

ორშაბათს შენგან პირდაპირ ბერიძესთან მივედი და ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესო ამბავი გავიგე: მან მოთხრა, თითქოს თქვენთან ცხოვრობს ვინმე მოლოზანი. ეს მოლოზანი სამი დღის წინათ გამოცხადებულა ბერიძესთან რაღაც საქმიანი ქაღალდებითურთ, რომ ამით თავისი დაუპატიებელი სტუმრობა როგორმე დაეფარა. საუბარს იწყებენ ჯერ რომელიღაც სადავო მამულზე, ლაპარაკობენ ყველაფერზე, სხვათა შორის შენზეც, ჩემო მეგობარო! ნება მომეცი. სრულად გადმოგცე ეს საუბარი. დაიმახსოვრე, მოლოზნის სიტყვები აღნიშნული იქნება ქართული ასოთი „მ“, ხოლო ბერიძისა ასო „ბ“-თი. დიდად საინტერესო რამეა.

* მ. — ხომ შეგიტყვიათ, რომ თაღეოზს ქალი ჰყავს?

ბ. — დიახ, შემიტყვია.

მ. — კაი მზითვიანიც არის.

ბ. — გეგც ვიცი.

* როგორც ილია ურჩევდა მე-2 წერილში, ოღდა უნიშნავს ილიას შეხვედრას ტაძარში, კვირა დღისათვის, ილია ამ მე-3 წერილში უპასუხებს თანხმობით.

- მ. — უბედურობა ეს არის, რომ კაცი არ არის, რომ მივათხოვოთ.
 ბ. — ქალაქში კაცების მეტი რა არის!..
 მ. — აბა ვინა?
 ბ. — რა ვიცი, ათასი.
 მ. — მოდი, თუ მოახერხებ, ცუცა ჭავჭავაძეს მივსცეთ.
 ბ. — ძალიან კარგსა იქეთ, მიეცით.
 მ. — ილიკო ჭავჭავაძესაც აქებენ, მაგრამ მე და შენში კი დარჩენს, ამბობენ, ჯიბეზედ კუტრათ არისო.
 ბ. — მაგას თითონაც გეტყვისთ, რომ ჰკითხო. რა დასამალავია.
 მ. — კუტრი რომ არ იყოს, კიი საქრმოა.
 ბ. — ისეთი კარგი საქრმოა, რომ იქნება თქვენი ქალი არც კი შეირთოს.
 მ. — უი, იმის თვალეს!.. მითომ მივეცი და დაგვიწუნა კიდევ!
 ბ. — ილიკო ჩემი შეგობარია, მე იმას კარგად ვიცნობ, იქნება ძალიანაც რომ შეეხვეწოთ, არც კი შეირთოს.
 მ. — მითომ რატომაო!.. თქვენ რატომ ეგრე ჩვარში ახვევთ ჩვენს ქალსა, ცოლო არ არის!..
 ბ. — არა, იქნება თქვენი ქალი კარგი იყოს, მაგრამ იმან კი დაიწუნოს.
 მ. — რა ორთ ხელმწიფის შვილი ბძანდება, რომ დაიწუნოს.
 ბ. — ორთ ხელმწიფის შვილი თუ თქვენა ბძანდებით, ისიც იქნება.
 მ. — თქვენი სიტყვიდამ კი ეგ გამოდის და!
 ბ. — ჩემის სიტყვიდამ ის გამოდის, რომ ის უფრო უარს გეტყვით, ვიდრე ჰოსა.
 მ. — ქა!.. უარსო!..
 ბ. — დიახ.
 მ. — ერთი რას მოგახსენებთ, აბა თქვენ მაგიერად სიტყვა გადაუგდეთ, მითამ ჩვენგნით არა იცით რა, ვნახოთ, რას იტყვის.
 ბ. — ბატონი ბრძანდებით, ვეტყვი **.

ამაზე ვათავდა მათი საინტერესო საუბარი. არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, რაიმეს ვუმატებდე; როგორც ვადმომცეს, ისე ვადმოვეცი. ბერიძემ მკითხა, დაეკორწინდები თუ არა შენზე? მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ როგორღაც სულელურად გავუღიმე. მე მანამდე არ ვეტყვი არაფერს, სანამ შენ, ჩემო ჭკვიანო ქალო, არ მიჩჩევი, რა ვუთხრა.

იმ საუბრიდან ჩანს, მოლოზანი ვილაცას მოუგზავნია, თორემ თავის მხრით ამას ვერ ვაბედავდა. საკითხავი ახლა ეს არის, ვინ მოგზავნა? იქნებ მამაშენმა? ხომ ვერ ამიხსნის ამას? თვით ის ჩვენი გუვერნანტკაც, — როგორც შენ უწოდებ მას, საიდანღა გამოცხადდა? ბატონის სიტყვას გაძღვე, იგი არასოდეს მინახავს და არც მიძებნია. საიდან გამოტყვრა? თუ შენ არ გამოგიგზავნია, მაშინ ეჭვი მეპარება, ჩვენს საქმეში ვილაც უცხო ურევს ხელს. ღვთის გულისათვის, ამიხსენი, რა ხდება, ჩვენის გულუბრყვილობით არავინ ისარგებლოს.

შენ თითქოს უკმაყოფილო ხარ, წერილების დაბრუნებას რომ ვთხოვ, შენც თხოულობ წერილების დაბრუნებას და ბოლოში დასძენ: „ბარი ბარშიო“. კეთილი! ჩვენ მერმეც ვავასწორებთ ანგარიშს, დრო მოვა და ბარი ბარში ვიქნებით, ოღონდ დამაცადე საწერ მაგიდასთან დაგსვა ყურნალის სტატიის საწერად: მაშინ სხვანაირად ალაპარაკდები. ტყუილია თუ? ხუმრობა იქით იყოს, წერილებს იმიტომ არ გიტოვებ, ვთ თუ ვინმემ გინახოს, მერმე რა გეშველება. პატივი დამდე და წერილები უკან მიგზავნე; შენი კი შენის ნებართვით მე მექნება, ჩემთან მათ ვერავინ ნახავს.

ენდე ამ ბიჭს, იგი დიდი ერთგულია ჩემი. გუშინ განვეუცხადე ჯვარს ვიწერ-მეთქი და სიხარულისაგან ორჯერ ჰქნა ჰაერში მალაყი. გკოცნი.

[კიდევ მინაწერი:]

შენი წერილი გახსნილი მივიღე. მეგობრობაც ამას ჰქვია! ძალიან კი გიმეგობრა შენმა ნინომ! მე შინაც რომ არ ვიყო, ბიჭი შემატყობინებს, როცა წერილი მოვა.



[28 იანვარი, 1863 წ.]

შენი სულისა, ოლიკოჯანი! გუშინდელი შეხვედრის შემდეგ როგორა გრძნობ თავს? ნუთუ მართლა ავიდა ხარ? გეყოფა ავადმყოფობა. ბარბარემ უთხრა ბიჭს, ორი დღეა არაფერსა ჭამსო. რა გემართება? ღვთის გულისათვის, ნუ ღელავ, შენს თავსა ვფიცავ, ჩვენი საქმე კარგად დაგვირგვინდება. იქნებ იმასა ნანობ, რომ მე ამომირჩიე, — ეს სხვა საქმეა, — თუ არა, რა გაქვს სანაღვლო, ჩემო მეგობარო! გეფიცები, ოლიკოჯანი, შენი ილიკო მუდამ შენი იქნება, მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო, — ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელი რომანებში. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა. ეს ისეთივე ქეშპირიტებაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

გუშინდელი დღე დიდებული რამ იყო, მაგრამ უცნაური ის არის, რა ბევრის თქმა გვინდოდა და რა ცოტა ვილაპარაკეთ. არ იქნება ერთხელაც შევხვდეთ? გინდაც შევხვდეთ, ერთმანეთს ალბათ ისევ ვერაფერს ვეტყვით, ისე კი როგორ მინდა შენთან საუბარი, ოლიკო! ისეთი მხიარული ხარ, რომ დაუნანებლად შენთან დაშორება მიძნელდება. მე კი არც ისეთი სულელი ვარ, როგორც შენს გვერდითა ვჩანვარ. ოლიკოჯანი! გეფიცები, მეტისმეტად მოწყენილი ვიქნები, თუ შენი ბარბარე ყოველდღე შენს წერილებს არ მომიტანს. აბა, მოთხარი, პარასკევამდე როგორ მოვითმინო... დღევანდელი შენი წერილი მაწუხებს, ისეთი მხიარული არ არის, როგორც იყო ხოლმე. რა მოხდა? ღვთის გულისათვის, თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, ნურათფერს დამიმაღავ, მომწერე ყველაფერი, რაც გაწუხებს და გაღელვებს. შენ არ იფიქრო, შემეშინდეს, თუკი რამე უსიამოვნოს გამაგებინებ, მე ისეთი სუსტი არა ვარ, უსიამოვნებანი მაშინებდნენ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ გადამიტანია და კიდევ გადავიტან. შენი ჭირიმე, ოლიკოჯანი, თუ გიყვარდე, ნურათფერს ნუ მიმაღამ. რა არი, ქალო? თუ შენ ჩემი ხარ და მე შენი, რად უნდა ჩვენში დასამალავი იყოს რაიმე? **

ღმერთმა იცის, საიდან მომეჩვენა, თითქოს შენ ცუდი რამ შეგემთხვა. გაჰფანტე ეს სისულელი, გეხვეწები.

დღეს სალამოს შვიდ საათზე ჩემი ბიჭი არშაკუნის ბაღთან იდგომება, ბარბარემ ერთი წამით მოიხრბინოს და გადასცეს შენი წერილი, რომელიც ამ წერილის პასუხი იქნება.

მომიტევე, თუ შეგიძლია ჩემ მაგივრად აკოცე შენს თავს. მართალი ვითხრა, არ ვიცი, რასა ვწერ, ჩემი ოთახი სტუმრებით არის გატენილი.

* შენი ილიკო ჭავჭავაძე. **

ჩემო ანგელოზო! რატომ ღელავ, ჩემო მეგობარო? რისი უნდა გვეშინოდეს? სიტყვას ვაძლევ ჩემს ოლიკოს, რომ მის თავს ვერაფერს წაშართმევს. ჩემთვის სულ ერთია, რა უთხარი მუხრანთან ქალბატონს; შენი ჭირიმე, რაც გინდა ის ილაპარაკე. მე თუ ვღელავ, მხოლოდ შენ გამო ვღელავ, რადგან შენ თვითონ მწერდი: * მამა ჩემმა რომ შეიტყოს, თოფით დამხერტოს. **

შენ მეკითხები, გავემგზავრო თუ არა მუხრანთანასო, — როგორც გინდოდეს, ჩემო მეგობარო, შენი ნებაა. მართო ახლა კი არა, მომავალშიაც არაფრით არ შევხვლავ შენს ნება-სურვილსა. შენი ჭირიმე, ოლიკოჯანი, შემატყობინე რა გაწუხებს? ბარბარე მეუბნება, რომ პურსა აღარა ჰსჭამსო. პურიცა სჭამე და ქეიფიც გასწიე, სატირალი და საწუხარი რა გვაქვს მე და შენ? კარგად იყავი, თორემ ძალიან მაწყენ. შენ გეთაყვანე, ყველაფერი მომწერე ამაღამე. აბა, თუ გიყვარდე, ეს ერთი თხროვნა ამისრულე.

შენი ილიკო ჭავჭავაძე. **



[29 იანვარი 1863 წ.]

* ოლიკოჯანი! ** შენი მხიარული წერილებისათვის მადლობა მომიხსენებია. ნამდვილი მწერალი მყავხარ, — გიყმაჲი, მხიარული, ხუმარა, — სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერს! პირდაპირ გამოაცა. არაფრით არ მოველოდი, თუ შენ ასე ლაღად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმა. აი, რა ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობა! შენ ისე კარგი ხარ, ჭკვიანი, მაგრამ მაინც ცელქი, ამასთან ცოტა მოუთმენელიცა ხარ, — იცი რაღა: დღეს ოთხ საათზე შენთან მოსვლასა მთხოვ. თუმცა შე დიდად მოხარული ვარ და ვეცდები ელც მოვიდე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შემისლის ხელს გითხრა, რომ ამ შეხვედრის გამო შეიძლება მთელი ჩვენი საქმე ხიფათში ჩავარდეს. მაშინ, ასე განსაჯე, უნდა მოგიტაცო, გავითამაშო პატარა რომანი, რომელსაც შენი მოტაცებით დავამთავრებ.

ხვალ პირველ საათზე გოლოვინის პროსპექტიდან დროშკით მოვალ ბერიძესთან, თქვენს ვიწრო ქუჩაზე ამოვივლი; ღვთის გულისათვის, აივანზე მიჩვევნი, — და თუ კი შესაძლოა შენთან შეხვედრა სადარბაზო კართან, როგორმე ნაწილზე ეს აივანიდან, თუნდაც ნამაღლა დაახველე. მეეტლესთან განგებ დიდხანს გაჩერდები, იქნებ რისამე თქმა მოასწრო. იცი რატომ გწერ ამას? იმიტომ, რომ გუშინ თეატრში სიტყვა მივეცი ცენზორს, სამ საათზე მოვალ-მეთქი; უნდა მივიღე ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხება. იგი არაფრით არ თანხმდება გაუშვას ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირაა ამაზე ვეჩინებები, — ჟურნალი კი ამის გამო მიჩერდება. მერწმუნე, * ოლიკოჯანი **, ვეცდები, რაც შეიძლება მალე მოვიშორო ცენზორი, რომ შენთან ამორბენა მოვასწრო. თუ საუბედუროდ, ვერ მოვასწარი, მაპატიე, * შენი ჭირიმიე. **

შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, და იმდენ გულკეთილობას იჩენ ჩემდამი, რომ გულცივობას არ დასწამებ და არ აწყენინებ ამით შენს ილიკოს, რომელმაც უკვე თავისად გიწორდა შენ. ჰო, ჩემო მეგობარო, მე იმდენად ერთგული ვარ შენი, როგორ შეიძლება არ მახარებდეს ყოველი შემთხვევა შენთან შეხვედრისა, ამიტომაც გთხოვ ნუჩარებთარ საყვედურს ნუ მისცემ ადგილს შენ გულში და ამით ნუ მაწყენინებ. მე ხომ დიდი ხნის წინათა გწერდი, როდესაც თქვენთან მოსვლას მიბრძანებ, ერთ დღით ადრე მაინც მაცნობე მეთქი, რადგან დღეები ძალზე გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეპოდე. ოლიკოჯანი! გახსოვდეს ეს მუდამ და შენვე გამამართლე, თუკი დღეს, ჩემი ცდის მიუხედავად, ზუსტად ოთხ საათზე ვერ მოვედი. ეს ჩემთვისაც საწუხარია, მით უფრო საწუხარია, რომ შენ შეიძლება ნაწყენი დარჩე. განა კი მე მინდა ეს? პირველიდან სამამდე თავისუფალი ვარ, იქნებ მაშინ შეგხვდეთ? შენ ხომ საკმაოდ ეშმაკი ხარ, სცადე, იქნებ მოახერხო. თუ ვერ მოახერხე, მაშინ რაღა გაეწყობა! დამელოდე სრულ ოთხამდე. თუ მოვედი ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მე ნუ, ცენზორი დასწყევლე, იმისი ბრალი იქნება.

* შენი ჭირიმიე, ოლიკო, არ გაჯავრდე, რა ვუყოთ! თუ დღეს ვერა ვნახეთ ერთმანეთი, მერე ვნახამთ. ** როგორ გგონია, ოლიკო, ჩვენი ქორწილი აღდგომის შემდეგ მოეწყობა? გგონია, მოეწყობა. მითხარი, დეიდაშენს რატომ ვძლუვარ? მუხრანთან ლიზაც, ამბობენ თურმე აღმაცერად მიყურებს, — მართალია? თუმცა, როგორც დეიდაშენის სიძულვილი, ისე მისი ბრწყინვალეობა კნენა ლიზას უმოწყალო თვალი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, მაინც გამეგო.

* ახლა, თუ დღეს არა განახე, პარასკეამდის უნდა ველოდო შენს წიგნსა?

შენი ილიკო ჭავჭავაძე. **



7.

[30 იანვარი, 1863 წ.]

შენ უკვე ჩემი წყენინება მოგსურვებია, ოლიკო! სირცხვილი არ იყო ათი (მანეთის) გამოგზავნა, თითქოს ისეთი ღარიბი ვარ, რომ ათი მანეთის შოვნა არ შემძლია. მივხვდი, იმ შავ პოპლის შენთვის კი არა, შენი ყაზბეგისთვის იძენ, — იმასაც მივხვდი, რომ შენი ფულით გინდოდა გეყიდა საჩუქარი და ჩემი სახელით მიგერთმია. ო. როგორი ეშმაკი ხარ! განა მე თვითონ ვერ შევძლებდი ამას? მაგრამ შენ არ მოინდომე, ალბათ გეგონა, რომ ათი მანეთი არ მექნებოდა. მიიღე შენი ფული, თუ უკან დაბრუნებას ეცდები, სასტიკად მაწყენინებ. დღეს ვიყიდე ეს რალაც სისულელე, არ ვიცი, მოგეწონება თუ არა? თუ არ მოგეწონა, უკან დამიბრუნე, სხვას ამოვარჩევ.

მომისმინე, ოლიკო! მე უკვე ყველა მილოცავს, რომ შენზე ვიწერ ჯვარს. საიდან გავრცელდა ასეთი ხმები? ბერიძემ გუშინ მითხრა, თითქოს რალაცას ვუმალავ, მოლოზნისაგან კი შეუტყვია, რომ ჩვენ ერთმანეთს წერილებსა ვწერთ, რომ ჩვენი საქმე უკვე გადაწყვეტილია და ა. შ. როგორც ჩანს, მოლოზანს ნამდვილად გაუგია ჩვენი მიმოწერის ამბავი. თუ ეს ასეა, მაშინ მეტად უნდა გაფრთხილებულიყავი.

შენი ოლიკო.

[წერილის თავზე მინაწერი:]

ხვალ შუადღის პირველზე ბერიძესთან მოვალ; მეჩვენე აივანზე. მომიტევე, მოკლედ რომ გწერ, ჩემთან სტუმრები არიან. ნუთუ მხოლოდ პარასკევობით გვექნება მიმოწერა? რა საწყინოა!

8.

[2 თებერვალი, 1863 წ.]

მაპატიე, ჩემო მეგობარო, ჯერ ერთი შენს წერილზე გვიან ვპასუხობ, მეორეც, მოკლედ გწერ.

გუშინ დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე სტამბაში ვეგდე. ისეთ სულელურ სამუშაოს გადავეყვი, რომ შინ დაღლილი დავბრუნდი. თავი ისე დამებურანისლით, შიგ ერთი ხეირიანი აზრიც არ ჰქვანებდა. მოსვლისთანავე, არ მისაძლია, ისე მივეგდე მკვდარივით, გადაწყვეტილი მქონდა ღრმა ძილისთვის მიმეცა თავი, მაგრამ ვინ მადროვა! ჩათვლემაც არ მაცალეს. დღეს ცუდად ვგრძნობ თავს, კარგად არა ვარ, ამას კიდევ არა უშავს რა, საქმე ისაა, ბევრი სამუშაო დამიგროვდა. ამიტომ გთხოვ, მაპატიე, რომ ასე მოკლედ და თანაც სულელურ წერილსა გწერ.

ხვალ 11-ზე ჩემგან მიიღებ ისეთ დიდ წერილს, შეიძლება გეწყინოს კიდევ. ჟურნალი ამ დღეებში გამოვა. მე შენგან მოვითხოვ, უბრალოდ მოვითხოვ, დაწვრილებით კრიტიკას.

შენი ოლიკო.

9.

კვირა, [3 თებერვალი 1863 წ.]

რა ჰქვიანი იყავი, ოლიკო, გუშინდლამდე, გუშინ კი, რაღა გითხრა, მიმტყუნე. აქამდე იმდენად გიყვარდი, მთელ ფურცელს მეწერიდი ხოლმე, ხანდახან ორსაც, ხოლო გუშინ რალაც ორიოდე წყალწყალა სტრიქონი გამოიმეტე. როგორ არა გრცხვენია! თუმცა ვერც მე დავიტრაბახებ ჩემი გუშინდელი წერილის სიგრძობა, მაგრამ, მერწმუნე, უძილობისგან ისე მტკიოდა თავი, თანაც იმდენი საქმე მქონდა, რომ გენახე, უთუოდ შეგებრალებოდი. სამაგიეროდ დღეს დაგსჯი დიდი წერილით.



უკანასკნელის წინა წერილში გაინტერესებდა ჩემი ჟურნალის წარმატების ამბავი. ჩემი ჟურნალი არც ისე სულელური იქნება, თუ კი ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაითხვის ღირსია. გამოცემისთვის სახსრები საკმარისია — 5.290 მანეთი. თუ ჩვენ (მე და ჩემი ამხანაგები) კეთილსინდისიერად ვიშრომებთ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაიზარდოს 10.000 მანეთამდე. მაგრამ აი, რას გეტყვი: იმათ საიდნლაც გაუგიათ, რომ ამ წელს ჯვარს ვიწერ და სასოწარკვეთილნი არიან, ჰგონიათ, დავეტორწინდები თუ არა, ჟურნალს მივატოვებ. მე ისინი ვადავარწმუნე და დავამშვიდე. ვუთხარი, იქნებ მართლაც დავეტორწინდე-მეთქი, მაგრამ დავეტორწინდები ისეთ ჭკვიან ქალზე, რომელიც ამ წმინდა საქმეს კი არ ჩამომამშორებს, პირიქით, უფრო მეტად მიმაჯაჭვავს და ძალასა და ენერჯიასაც შემმატებს-მეთქი და ა. შ. რა? განა შევეცდი, ასე რომ ვთქვი შენზე, ოლიკო? არა, ჩემს ოლიკოში მე არ შევიცდები.

არს დიდხანია ყველაფერი გავუმუღავნე. საიდან მოიტანე, თითქოს ის ჩემი არჩევანით კმაყოფილი არ იქნება? ოთხი თვეა სულ შენზე მეჩინებოდა. მე ხუმრობით ვარიდებდი თავს პასუხს. მერწმუნე, როგორც კი ვუთხარი ვტორწინდები-მეთქი, მომეხვია და მაკოცა. შენ მას არ იცნობ, საუცხოვო ქალია. გუშინწინსწინ კეკე ბარათშვილიც დამელაპარაკა შენზე. მე ვუთხარი, რომ უკვე ჯვარდაწერილი ვარ, ცოლი ფეხშიძიდა მყავს და მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად წინასწარ * „საქართველოს მოამბე“ ** დავარქვი მეთქი. — შენ იხუმრეო, მითხრეს იქა: შენ მეტი შენს სახლში არავინ აღარ დარჩაო, უშვილოდ ამოწყდებო. — თქვენ რა გენადლებათ მეთქი? იმოდენა სიმდიდრე ჩემი თქვენ დაგრჩებათ, გიხაროდეთ **.

წურბელებივით ჩამაცივდნენ, უსათუოდ შეირთეო, მიქეს შენი თავი, თავისებურად ისე შეგალამაზეს, რომ მე იძულებული ვავხდი, არც პო და არც არა მეთქვა. — კარგი-მეთქი, — ვუთხარი, — ბოლოსდაბოლოს რაც ვინდათ, ისა ჰქენით, ოღონდ მე გადაწყვეტილ სიტყვას ვერ მოგცემთ-თქო. მხოლოდ ამით ჩამოვიშორე არამკითხველ ნათესავები. უპ, ღმერთო ჩემო, რა ხალხია. თუ ღმერთი მე ვამას, ოლიკო, ჩამოეხსენი იმათ, განსაკუთრებით ყავლანიათა. მერწმუნე, ისინი შენი ნდობის ღირსნი არ არიან. მე ძალზედ კარგად ვიცნობ იმათ. ნუ გამიწყურები, რომ შენს მეგობარ ნინოზე ამას ვამბობ. ის მართლაც ჭკვიანი ქალია, მაგრამ, დამერწმუნე, პირმოთენა სიმახინჯემდე. * შენი ჰირიმი, ოლიკაჟე, ფრთხილად იყავ, ისინი იმდენს არ გიმეგლიას, რამოდენადაც საქმეს გააფუჭებენ. ისე ანდრონიკოვსაც ჯერ არა უთხრა რა. ** მოითმინე, ჩემო მეგობარო, ოლიკოს მე ვერავინ წამართმევს, თუ კი ოლიკოც ამასვე მოისურვებს. რაც შეიხება ჩვენს * მაქანკალს **, გეტყვი: სჯობია ნუ გავაჯავრებთ, თორემ, შესაძლოა გავცვეს.

შენი ოლიკო.

10.

[6 თებერვალი, ღამის სამი საათი. 1863 წ.]

ჩემო კარგო ოლიკო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულობ. სტამბაშიც-კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამოითენდა და შენ წერილითვე არ დამილიამდა. შენც იმდენ ყურადღებას იჩენ, რომ იშვიათად, ძალზე იშვიათად მითენდება მოსაწყენი დღე. მადლობას მოგახსენებ ამისთვის ჩემს ძვირფას ოლიკოს. იმედი მაქვს, მერმეც ასეთ ყურადღებას გამოიჩენ შენი ოლიკოს მიმართ!

გიხარია, კახეთში გამგზავრებაზე უარს რომ ვამბობ? თუ მართლა გიხარია, იცი, ამ სიხარულის ვის უნდა უმადლოდე? შენს ბარბარეს. იმან მართლაც შემამინა, მითხრა რომ ჩემ გამგზავრებაზე ფიქრით თურმე შენ თავს აღარ ეკუთვნი,



რომ მთელი დღე მოწყენილი ხარ, დარდობ, მიზეზიანობ, ბრაზობ, და ა. შ. ეს რომ აღარ გაგრძელდეს, მაშინვე გადავწყვიტე, თუნდაც კახეთში ყველაფერი ყირაზე დადგეს, აღარ გავემგზავრო. დავრჩები, რომ ჩემი გიჟი და მიზეზიანი ოლიკო დაეამშვიდო. შენ, ჩემო მეგობარო, რაცა გასურს მიბრძანე, გეფიცები, შენი ილიკო ყველაფერს შენებურად გააკეთებს. რატომ არ ამიკრძალე გამგზავრება გუშინვე, როცა გამგზავრების ამბავი გითხარი? ეს არაა შენი მხრით კარგი, ეს ნიშნავს, — შენ თითქოს ჩემი ხარ, ამასთანავე თითქოს ბოლომდე არა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგეხიჯა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვაღიარე, შენი კი — ჩემად. როგორც ამბობ ხოლმე, შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არაა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარ. მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყინს, რა გიხარია. არ იფიქრო, ოლიკო, თითქოს ვჯავრობდე. მე ისე კი არ მიყვარხარ და ისე კი არა გცემ პატივს, რომ ნება მიცევ ჩემ თავს გაჯავრებისა. მაგრამ ცოტათი არ მესიამოვნა, — შენ არ გინდოდა ჩემი გამგზავრება და არ კი მითხარი თითონვე გუშინ. ერთი გებრძანებინა და დაუნანებლად დავრჩებოდი, შეიძლება მხოლოდ ერთხელ შედმეტად მეკოცნა ამისათვის.

ჭამის მადა კიდევ არა გაქვს? ნუ წუხხარ, ჩემო კარგო, მეც არა მაქვს ჭამის მადა. ეს ჭეშმარიტად ერთერთი აუცილებელი შედეგია სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა, როგორც შენი ექიმი გარწმუნებს. დიახ, ჩემო მეგობარო, მე და შენ დაავადებული ვართ ერთი სენით — სიყვარულით. აბა, იმ ექიმს სად შეუძლია მიხვდეს, თუ რა სენია ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებას უწოდებენ.

დღე, იმან ისე იფიქროს, როგორც მოისურვებს, ჩვენ კი მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნას მივაწეროთ. ისინი, როგორცა ჩანს, ერთ არსებაში ვერა რიგდებიან. შენ როგორა ფიქრობ, ჩემო ჭკვიანო ქალო, რომელი სჯობია: მადა თუ სიყვარული? ხედავ, ჩემო მეგობარო, ერთი აუცილებლობა შეიძლება როგორც გამორიცხავს, რომელი ვამჯობინოთ? მე წინასწარ ვგრძნობ შენს ღიმილსა და შენს პასუხს ამ უცნაურ კითხვაზე, — შენ გინდა მითხრა: სიყვარული სჯობიაო. იყავნ ნება შენი, ჩემო ანგელოზო!

შენი უკუნითი უკუნისამდე
ილიკო ქავჭავაძე.

მუხრანიანთას იყავი? ნახე თუ არა ჩემი და? დღეს ვუთხარი, კახეთში აღარ მივდივარ-მეთქი. — რატომო, — მკითხა. — ოლიკომ ამიკრძალა-მეთქი, — ვუპასუხე. განსაკუთრებული სიამით გაიღიმა. ო, როგორ მინდა მოგეხვიო, მაგრამ რანაირად? შენ ალბათ ახლა გძინავს და ვერც კი მიხვდარხარ, რომ შენი ილიკო ღამის სამ საათზე შენ გესაუბრება. იძინე, ჩემო ანგელოზო, ძილი სიჯანსაღეა.

11.

[7 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! რატომ ბრაზდები? მე ბარბარემ მიაძმო, რომ საშინლად წუხსო შენი კახეთში გამგზავრების გამო, მიზეზიანობსო. ამის გამგონემ, რომ სრულიად დამემშვიდებინე, გადავდე გამგზავრება. იცოდე, ნულარა მთხვე გავემგზავრო. შენ ისეთი ხარ, რომ უნდა დაგიჯერო და გიჯერებ კიდევ; დავრჩები დარკვეულ დრომდე. ხედავ, შენი ილიკო როგორა სციმს პატივს თავის ოლიკოს, შენც ისწავლე მისგან ქმრის დაფასება. ტყუილია თუ?

ავად ხომ არა ხარ? მკერდი ხომ აღარ გაწუხებს? თუ ღმერთი გწამს, ნუ იფადმყოფებ, ახლა მაგის დრო არ არის. იცოდე, ოლიკო, მეხგან ყოველდღე უხდა მივილო წერილი. დღეს უგუნებოდ წავედი სტამბაში. რადგან ჩემთვის ერთი სტრიქონიც არ მოგიწერია. შაბათს იქნები მასკარადზე?

შენი სამუდამოდ ილიკო.

შაბათიე მოკლე წერილისათვის.

[შაბათი, 9 თებერვალი, 1863 წ.]

ქვიანი ყოფილხარ, შევცდი, ჩემო კარგო! მარტო ეს კია ცუდი, რომ მაგ „მოლუხანს“ აბრეყებ, მაგრამ რა? ბრეყვი ყოველთვის ბრეყვი უნდა იყოს, ჩემო ოლიკო! და შენც ასეთი რამა ჰყოფილხარ, თუ ვინმე შენის კბილისა ჩაივდებ, მიწასთანაც გაასწორებ. მე ძალიან მიამა, რომ მხიარულს წიგნს იწერები, ჰსჩანს კარა მადიანად გამოგიძინია, მე კი ისევ ისე უძილო ვარ, არ მასვენებენ არც დღე და არც ღამე; შენ მიინც დაიძინე ხოლმე ჩემ მაგივრად.

მასკარადში მასკით იქნები თუ არაო. შენგან არ მიკვირს, რომ მაგასა მკითხამი მე რათახანია ავიხსენი მასკა და შენ დაგენახვე ისე, როგორცა ვარ; ესლა მასკის დახურვის დრო აღარ არის. მე თუ წავალ, ამაღამ თერ[თ]მეტს საათზედ მოვიცილი, მაშინ წავალ; თუ არა და, მოვალ შინა და გუშინდელ დღის მოგონების ბუჩქანში დავიძინებ. იქნება ჩემი ქურნალი ზვალ დაიბადოს, ტკივილები აეშალნენ მშობიარესა და იმეღია, რომ თორმეტ საათამდინ ქვეყანასა ნახავს ჩვენი „საქართველოს მოამბე“. აბა, კრიტიკებს მაშინ უყურე! მაგრამ ნუ გეშინიან: ჩვენთან იქნება მარად წმინდა ჭეშმარიტება.

შენი უკუნიითი უკუნიისამდე ილიკო ჭავჭავაძე.
P. S. ეს ეს არის მომივიდა ამბავი, რომ მშობიარე ჩვენი სწორედ სამშაბადს დაწვება „საქართველოს მოამბის“ საშობავად. ეს ამბავი მეწყინა კიდევ და მიამა, მიამა იმიტომ — რომ საძაგლად დამტერეული ვარ და მკვდარი, მეზარებოდა ამაღამ ჯაფა და შრომა. სულ შენი ბრალია!...

[11 თებერვალი 1863 წ.]

ოლიკო! გუშინ შენგან ისე ნაწყენი დავრჩი, გადავწყვიტე, ყოველ შემთხვევაში ორი დღე მაინც სტრიქონი აღარ მოგწერო. წუხელ საღამოს ერთი პუკარიც არ მოგიწერია, ერთი სიტყვაც არ გაგიმეტებია — განა ასე შეიძლება? დაიხსომე, რამდენჯერმე გთხოვე, მალ-მალე მომწერე-მეთქი, შენ კი რას სჩადი? ნებვირობას იწყებ, — ეს ცუდია; ეს იქით იყოს, შენ უყურადღებობას იჩენ, ეს კიდევ უარესია.

გუშინ მასკარადის შემდეგ მინდოდა წიგნი მომეწერა, ორჯერ მოვიცდე კალამს ხელი და ვიგრძენი, წერილს გაბრაზებული ვწერდი. ცეცხლში ჩავაგდე და დავიფიცე, ვიდრე არ დავმშიდდები, არაფერს მოგწერ-მეთქი. ხომ კარგად მოვქცეულვარ? ვიცოდი, ჩემი წერილი მეტად გაწყენინებდა; შენ ხომ ისეთი შთაბეჭდილებიანი ხარ, მაშინვე აფეთქდებოდი; მერმე ვაი ჩემს თავსა!

მასკარაზე, ჩემო მეგობარო, ისე მოწყენილი ვიყავ, ირველივ ისე სულელურად გამოიყურებოდა ყველაფერი და ისეთი მტვერი იდგა, რომ ვერც კი წარმოიღვენ. ერთი ნიღაბი ამეკიდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მე წესიერი ქართველი ვარ, რომ მას ვუყვარვარ და ა. შ. არ იტყვიანო, ის ნიღაბი ქალი კი არა, კაცი იყო.

ამ დროს ჩვენს გვერდით ორლოვმა-უფროსმა ერთ ქალთან ერთად ჩაიარა. ჩემმა ნიღაბმა გააჩერა იგი და თავით ფეხამდე რამდენჯერმე ყურადღებით აათვალიერ-ჩათვალიერა, მერმე საზეიმოდ, ხმამაღლა, ერთგვარი ირონიით უთხრა: ოი, ოი, ოი! რა საოცრად მაღალი ხართ! მართალი გითხრათ, ძნელი გამოსაცნობია: აღიუტანტობა მოგარგეს თქვენ, თუ თქვენ მოერგეთ აღიუტანტობას.

ორლოვი აიღეწა, წამოჭარხალდა და სწრაფად გაეცალა უსიამოვნო საუბარს.

მე ძალზე დამაინტერესა ამ ნიღბის სითამამემ, მინდოდა გამეგო მისი ვინაობა. ცხადი იყო, იმისთვის შეინიღბა, რომ ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი გაეწეპლა. მერმე ნიღაბი მივიდა ვარვარა თამამშევესთან და ეუბნება: „სად არის ახლა პერფილევი? (ცნობილია, რომ იგი პერფილევთან ცხოვრობდა).“



— მე რა ვიცი, — უპასუხა ვარვარამ.

— ვითომ არ იცის!.. ო, მეგობრობავ, — ნუთუ ეს შენა ხარ? ასე მალე იფიწყებ მეგობრებს! ერთ სიტყვით, მე თქვენ გირჩევთ ხშირად და ყურადღებით იკითხოთ ხეობის ფილოსოფია, მაშინ ვარდისებური ფეროვნება უფრო მოგედებათ სახეზე, ვიდრე ახლა.

წარმოიდგინე რა სახტად დარჩებოდა იგი. ასე ბევრი შეაცბუხნა, მხოლოდ მე დამინდო, ჩემდამი განსაკუთრებულად აღერსიანი იყო, მადლობას მოვასხენებ, — მე უმისოდაც გაბრაზებული ვიყავი შენზე, ჩემო მეგობარო! აბა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, არ უნდა ვყოფილიყავი შენზე გაბრაზებული? რითა ხარ ავად? იქნებ სულაც არა ხარ ავად და ჩემი შეშინება გინდა? თუშეცალა მე გამოვკითხე ბარბარეს და მითხრა, რომ შენ ნამდვილად უქეიფოდა ხარ. რა მოგივიდა? ღვთის გულისათვის, რომელიც ავრე ვიყვარს, თავი დაანებე ავადმყოფობას. ეს მე ძალზე, ძალზე არ მსიამოვნებს.

შენ გინდოდა სურდო ვადმოგედო ჩემთვის, მადლობა მომიხსენებია, — მე თვითონ ისეთი მამალი სურდო მაქვს, რომ შენც კი შეგეშურდება.

*შენი ჭირი, ოლიკო! ერთი რამ მინდა დაგეკითხო და სწორედ მინდა პასუხი მომცე, თუ ვიყვარდე ღობე-ყურეს ნუ მოედები და პირდაპირ მითხარი. მე მინდა ვაგიკეთებინო ზაპონკები, აი აქავ გიხატამ, როგორიც მინდა:**

(აქვეა დახატული ნიმუში, წარწერით: ო. კ.)

მერმე იქნება გაუპრიალებელი ოქრო, გვირგვინი, ასო ო და ჰ პრილა, მოქედლი წვილწვირილი ალმასებით. მე მგონი, კარგი რამ გამოვიდეს: მოგეწონება თუ არა? პირდაპირ მითხარი ან ჰო, ან არა. თუ აქ კარგად გააკეთებენ, მაშინ იქვე არა მეპარება, რომ მოგეწონება.

* წიგნები ხშირად გზავნი, თორემ არც მე და არც შენ.

შენი ილიკო ჰავკავაძე**.

* ოლიკო ჯანი!** გმადლობ დღევანდელი დღისთვის, შენ ჩემდამი ასე აღერსიანი იყავი. აი რას ნიშნავს „რასბეკანცია“ — როგორც სალდათები ამბობენ ხოლმე. ერთი რამ მაწუხებს, თანაც დიდად მაწუხებს: მართლა ხარ ძლიერ ავად და ორი დღეა წევხარ, თუ ჩვეულებისამებრ ცელქობ, მატყუებ, რომ მოგეფერო. ღმერთმა იცის, შენ ისეთი ხარ, შენგან ასეთი ხუმრობაც მოსალოდნელია. ის კი არ გინდა იცოდე, ილიკო შენი ავადმყოფობის ერთ გაფიქრებაზეც კი როგორ დამწუხრდება, ლამის... მეკითხები, რატომ ვახდით? იმიტომ, რომ ძალზე შევეთვისე ერთ არსებას, რომელსაც შენ ისევე კარგად იცნობ, როგორც საკუთარ თავსა. ის ახლახანს, ე. ი. დღეს მწერდა და მეძახდა თავისი იარის მოსარჩენად. მე გამეცინა და ვაგიფიქრე: *ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უშველიდაო.**

მაპატიე, ვაცვეთილი ანდაზა რომ მოვიშველიე, მაგრამ ამ მდგომარეობას ძალზედ უდგებოდა. ხუმრობა იქით იყოს, მე ხშირად ვფიქრობ შენზე, ჩემო ანგელოზო! დიდხანს ვაგრძელებდა ეს ჩვენი სულელური მდგომარეობა? დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოსაწყენია, სურვილი გქონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არა! ერთადერთი სიხარული შენი წერილების კითხვაა. მერწმუნე, როგორც ვხედავ, სიყვარული ცული რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არ ჰყვარებია. ასე არ არის?

მომიტყვე, ჩემს გრძნობებზე ცოტა ქარბად ვილაპარაკე. მათი გამოთქმა არ მიყვარს ხოლმე, მგონი, თუ არა ვცდები, შენც არ უნდა ვიყვარდეს. ეს ყველაფერი სულ ზედმეტია, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენ ისე გულკეთილი ხარ, რომ მაპატიებ მცირე გადაჭარბებას, მით უმეტეს მაშინ, — ერთხელ კიდევ ვავიშვებ, — როცა სიყვარული არ არის მოყვასი ჩვენი.

ნიდას დაუინტერესებინარ. მე მოგწერე, კაცი იყო მეთქი, დღეს, ჩემი ოლი-

1 ო. კ. — ოლა ჰავთაძისა, (რედ).



კოს ბრძანება რომ შემესრულებინა, მისი გვარი გავიგე — სანიცკი ყოფილა.
* გუშინ, შენმა გარდამ, კაი ოინი დააყენა ზოგიერთსა.

მწერ, რომ მე თითონ მოვიდე და ყურები გავიწიო, გუშინაც კილო-კავად ეგ მომწერე. როდის და როგორ? ოლიკო არ მამიკვდება, რომ ოლიკოზედ ნაკლებ არ უნდოდეს ილიკოს მანდ მოსვლა და შენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა, შენ გეთაყვანე? ვშიშობ, რომ მაგითი საქმე არ წაეხდინოთ. შენ სახელსა ვფიცავ, ოლიკო-ჯან, და რაც კი რამ მწამს მე ქვეყანაზედ იმასა, რომ თუ ჩვენი საქმე რითიმე დაშავდა, მე ვერ გაუძლებ. ამისი მეშინიან, თორემ შენი ნახვა როგორ არ შენდომება! თუ გული დაჯერებული გაქვს, რომ მაგითი საქმე არ წაგვიხდება, მომწერე — რა დროსაც გინდა, მაშინვე შენთან დავიბადები.

ქალო! რატომ არაფერი მომწერე, როგორ მოგეწონა ჩემი პროექტი და მხატვრობა ზაპონკებისა? მწერ, რომ როგორ შევიწინაზო. როგორც შენი ნება იყოს. შენ ხომ ჩემზედ მოხერხებული ხარ, რასა მკითხამ, შე გიყო! დამაცა, შენი ჯავრი მკირს, თავის დროზედ ამოვიყრი შენს ჯავრსა. ნეტავი ესლა, ** შენი ჯავრის ამოსაყრელად, * მაკოცნინა!..

შენი სამუდამო ილიკო ჭავჭავაძე**.

[თავზე მონაწერი:]

ვიყავ შენ დასთან, მან კანფეტები ვადმომცა. დავუშადლე, თუმცა არ მიყვარს კი.* შენი ჭირიმე, ოლიკო, მართლა ხარ ავათა, თუ ცელქობ? რა დავემართა? **

15

[12 თებერვალი, 1863 წ.]

* ოლიკო ჯანი! უთუოდ მოვალ. შენ კარებთან მომიცადე, რომ იმდღე-ვანდელსავით არ მაწვალო. სწორედ თერ[თ]მეტზედ მოვალ. **

(დიდი ასოებით) მოვალ.

16

[13 თებერვალი, 1863 წ.]

* ოლიკო ჯანი! ** ხომ არ მიბრაზდები, რომ დღეს ბარბარეს მოტანილ წერილზე ვერ ვიპასუხე. ნუ განმირისხდები, ჩემო მეგობარო: ლოგინიდან ადგომა დამეზარა, — ასე გავზარმაცდი გუშინდელი შფოთიანი და თითქმის ტრალიკული შეხვედრის შემდეგ. გეფიცები, ჩემს ბინამდე სიცილი არ შემიწყვეტია. ოლონდ არ ვიცი, რატომ ვიციინოდი? დეიდაშენი როგორა მყავს? მაგან აილო გუშინი ჩვენი პაემანის შესახებ? ყოჩაღად და ეშმაკურად კი უსხლტები ხოლმე — ყოჩაღ ქალო!

სტამბიდან გწერ საჩქაროდ და აქედანვე გიგზავნი ათას ხვევნასა და კოცნას.

შენი აწ და მარად

ილიკო ჭ.

17

[13 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო, შენი სულისა ახლა გამახსენდა, რომ თქვენთან დამრჩა ჩემი ჯოხი, რომლითაც შენი ცემა არ დამაცალეს. გთხოვ, ან გამომიგზავნე, ანდა დამალე დარაბებს უკან, სადაც გუშინ ვიჯექი ჩემს დედოფალთან ერთად. მეორედ



რომ მოვალ, თვითონ წამოვიღებ. ღვთის გულისათვის, ახლავე გაეცი განკარგულემა, ჩემი სამეფო კვერთხი დარაბებს უკან დაასვენონ. ჯოხი, საერთოდ სულელური ნივთია, განსაკუთრებით კი ასეთი შემთხვევის დროს. მას შეუძლია ჩვენს საიდუმლოს გამჟღავნება. ახლავე ამ წერილზევე მიაწერე, ჩემი დედოფალი რას უპირებს ჩემს ჯოხს. ესეც შენი.. ისე იჩქარე ჩემი გამოგდება, რომ სიჩქარეში იძულებული გავხდის ჩემი საყვარელი ჯოხი იქ დამეტოვებინა, სადაც შეიძლება იგი გაცივდეს და სიბრაზისაგან რალაც-რალაცები წამოიროშოს.

დედაშენი ხომ არ ნებულობს აბრამს ბლინებზე დაეწვიოს? ასე რო არ იყოს, მაშ რატომ აფუსფუსდი? რას მიბრძანებ, რა გადაეცე ონიკაშვილისას? გთხოვ, რაც დღეს მის შესახებ გითხარი, — არავის უთხრა.....

* შენი საუკუნოდ ილიკო ქავჭავაძე**.

18 *

[15 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ილიკო! თუმცა დაგპირდი, რომ ხეალ წიგნს არ მოგწერ შეთქი, მაგრამ ვერ მომთმენია. შე გიუო! რაზედ გამაგეე პატიოსანი, დარბაისელი რე[და]კტორი?... მე ვინა და შულამისას ქალთან წიგნების წერა!.. ამაზედ არის ნათქვამი გლეხური ანდაზა: „ნუ შეხვალ, ნუ იბანებო, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.“

(წერილის შავი, დასაწყისი აკლია)

19

[16 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ილიკო! შენმა წერილმა ძალზედ დამამწუხრა. რა დავემართა? ისეთი კეთილგონიერი ხარ და როგორ აძლევ შენს თავს ნებას მოწყენილი და ნაღვლიანი იყო.* არ იცი, „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“**,— ამბობს ჩვენი მოხუცი რუსთაველი. რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო, და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა, თუ კი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად განდომა? რას იზამს? დაგწყევლის თუ რა? დე დაგწყევვლოს, ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურებას ყური ათხოვოს. თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, მშფოთვარე ფიქრებს თავი ანებე, თავს ნუ იღვლეებ. რა უნდა მოხდეს, დიდი-დიდი მზითვეზე უარი გითხრან. დიდი არაფერია! დე, უარი გითხრან. ნუთუ ისეთი უვარგისი ვარ, რომ პური არსობისა შრომით ველარ მოვიბოვო? არ იფიქრო, ჩემო მეგობარო, არა ვარ ასეთი.

ჩვენ სხვის დაუხმარებლადაც ვიცხოვრებთ თუკი შენ თითონ დამთანხმდები.* შენი ჭირიმე, ტყუილ-უბრალოდ ნუ სწუხარ, რა გვიჭირს? შენც ჯერ ყმაწვილი ხარ და არც მე ვარ ბებერი.** ჩვენ ვიცხოვრებთ და ნახავ, ბედნიერებასაც დავიპყრობთ, თუ კი მანამდე თვითონ არ ინება ჩვენთან მოფრენა.

ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი, მე და შენ ჯერ ისე ახალგაზრდები ვართ, რომ ამ ბრძოლისთვის ძალა შეგვეყვას. მაშ, რაღად გვეშინოდეს ცხოვრებისა? ნურათრისი ნუ გეშინია. მე იმედი მაქვს, შენში ვბოვო დასაყრდენი და შენც იგივე ეძიე ჩემში. — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება.

მე არ მიყვარს ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მაგრამ შენმა წიგნმა მაიძულა და მეც საპიროდ დავინახე ოდნავ შევხებოდი მას, ვამბობ ოდნავ შეთქი, იმიტომ რომ ეს ამბები უჩემოდაც კარგად ესმის ჩემს ჭკვიან ოლიკოს.

* ოლიკო არ მომიკვდება, სწორედ ამრია შენმა წიგნმა, ნამეტნავად იმან, რაც ბარბარეს ეთქვა ლაზარესათვის. მიკვირს, ღმერთმან იცის, რა დავემართა? შენს გულში რაღაც მწუხარებაა და მე მიმაღავ. მე კი გიყსავით ხან აქეთ ვეცემი. ხან იქით, ვფიქრობ და ვერა ვამიგია რა, ვერაფერს მივმხვდარავარ.**

ხან რას ვფიქრობ, ხან რასა, ხან ეჭვი მეპარება, მგონია უსიამოვნო რაღაც იწყებს შენში ღალადს და ვეშურები მაშინვე გაგფანტო შენში ეს უსიამოვნება, მაგრამ მერმე ირკვევა, თურმე ჩლუნგი ვარ და ვერაფერი ვხვდები. იცი, ეს რატომ შემართება? იმიტომ რომ შენ მაინც ღელავ და თან მოწყენილი ხარ. შენ ან სულ არ გჯერა ჩემი, ან ეჭვიანი ხარ, ძალზე ეჭვიანი, ანდა არ გებრალები. ამ სამთავან არცერთი არ ვარგა, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოიშორო თავიდან, ჩემო ანგელოზო! თუმცა შენ ჩემი ცოლი იქნები, მაგრამ მე მაინც არა მაქვს არავითარი უფლება რაიმე შენიშვნა მოგცე. ამას იმიტომ არ გეუბნები, ოლიკოჯან, რომ ნოტაციები წაგიკითხო, მინდა ცოტათი მაინც გაგაძნობინო, რა უსიამოვნო ფიქრებში მაგდებს ხოლმე შენი ხალგაიანი ჩივილი. შემობრალე მე და თავიდან მოიშორე ყველაფერი, რაც ასე გაშფოთებს ჩვენი მომავლის გამო. ჩვენ კი არ ვეკუთვნით მომავალს, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია, ჩემო მეგობარო, უკუღმართი აწყოს მიუხედავად, იგი ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გავხადოთ. ჩვენ ხომ დღიად მომთხოვნი არ ვართ, ურთიერთ სიყვარულითა და ნდობით მცირედითაც დავკმაყოფილდებით. მაშ, რაღა გვაწუხებს? კიდევ ერთხელ გთხოვ, ოლიკოჯან, თავი ანებე ეჭვსა, უსიამოვნო ფიქრსა და მკითხაობას. იცოდე, რომ ილიკოს შენში მხოლოდ შენ უყვარხარ და ყოველგვარ უბედურებაში შენთან წმინდა იქნება. ნუ მაწყენინებ!

* თუ გიყვარდე, ოლიკო, გამხიარულდი, თორემ, შენს სახელსა ვფიცავ, შენს ილიკოს ცუდ დღეს მიაყენებ.

შენი სიკვდილამდე ილიკო ქავქავაძე**.

[18 თებერვალი, ღამის ორი საათი. 1863 წ.]

ოლიკოჯან! რატომ დაგაწვინეს ექიმებმა? ეს შენი ეშმაკობაა, თუ სხვა რამეა? თუმცა შეგიძლია ამ კითხვებზე არც მიპასუხო, ჩემს ბიჭს ვუბრძანე, მაცნობოს ბარბარეს მოსვლა, ყველაფერს იმას გამოვიკითხავ, თუმცაღა შენ მიბრძანებ, მას ყური აღარ ვათხოვო.

დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დამიძახეს, იმან მითხრა, თითქოს ჩემთვის მშვენიერი პატარძალი ჰყავთ ამორჩეული, თუ კი შევიერთავ, თითქოს პატარძალი სიამოვნებით გამოწყვიტა. მიიხვდი შენზე ლაპარაკობდა და მაქანკალს გასასულელებლად გუთხარი, ჩემისთანა მღვთმარებობისა და ჩემისთანა ყმაწვილი კაცის დაქორწინება ძნელია მეთქი, — მით უმეტეს, — დაესძინე, — თბილისში არ არის ქალი, რომელიც მომწონდეს-თქო. ერთი წუთის შემდეგ შენი მუხრანთან ღიზა შემოვიდა. საიდანღაც გაუგია, რომ შეჯავრება, — არ მოველოდი! ჩემი გრძნობები, როგორიც არ უნდა იყოს, ისე ძვირფასია ჩემთვის, რომ არ ვხარჯავ ასე უბრალოდ, როგორც შესაძლოა მათ მოეჩვენოთ. მთისა და ბარისა ვილაპარაკეთ, ბევრი რამ ღვარძლიანად ვუთხარი, მაგრამ იმან, მგონი, ვერ გაიგო. დემრთმა თავის-თავი მოახმაროს.

შენი საათი ოსტატს მივეცი. ამ დღეებში იქნება მზად.* კრილოსანი კი უბეში მიღევს: არა უშავს რა, თბილად იქნება. არ დამეცინო, ჩემო გიგო, რომ შენს ძველ წერილს მოვხიე ქაღალდი და იმაზედა გწერ. რაც ქაღალდი იყო, სულ შენ გამოგიგზავნე და ველარ მომაგონდა, რომ მეყიდვინებინა. უხლა კი ორი საათია ღამისა, სად ვიშოვიდი?

კარგად იყავ და ჰკვიანად, თორემ არც მე და არც შენ. უჰ, უჰ, რა გიყვს გადავიკიდე! არა უშავს რა, დაგაჰკვიანებ, დაიცა. ჯერ ხელში ჩამივარდე!.. — მგონი იტყვი, ნეტავი ეგრე იყოს და რაც ვინდა, ის მოახდინო. მეც ეგრე ვფიქრობ. ჩემო ოლიკო: ნეტვი კი ეგ მალე მოხდეს და შენს სიგიჟეს ყურსაც აღარ ვათხოვებ.

ჟურნალს ხვალ საღამოზედ გამოგიგზავნი, ესეც კი იცოდე, თუ ვინმემ ნახა, ცუდი იქნება, ისეც ჭკეყანა ჩვენზედ ლაპარაკობს.**

დღეს ელენემ მითხრა, სიტყვებს რა ბანზე მივდებთო! ხომ ვიცი, პატარძალი მოგწონთ კიდევაც და შეყვარებულიცა ხართო და ა. შ.



აი, ხედავ, ჩემო ანგელოზო, რას მოვესწარით. ძალზე უნდა ვიფრთხილებოდე, რომ სუფთად გამოვიდეთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ვიმყოფებით. მთავარი კეთილგონიერებაა, რომელიც, ჩემო ჭკვიანო ქალო, შენ არ გაკლია.

შენი სამუდამოდ
ილიკო ჭავჭავაძე.

21

[18 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! ყური მივდე: თუ ამ მოკლე ხანში მუხრანიანთ ღიზამ თქვენთან შემოიაროს, უთხარი, თითქოს შენ გაიგე გაბაანთაგან, რომლებმაც თავის მხრით მალაღაანთაგან გაიგეს, რომ ელენე ჩოლოყაშვილთან სტუდენტები ყოფილან და რალაც-რალაცეები წაუკითხავთ. თანაც დასძინე, თითქოს იმათვე უთქვამთ, რომ ელენესთან გამართავენ ლიტერატურულ საღამოს, სადაც ყმაწვილები წაიკითხავენ სხვადასხვა თხზულებებს-თქო.

სთხოვე, შენც წავიყვანოს. ამ კვირას მე და ჩემი ამხანაგები ნამდვილად შევიკრიბებით მასთან, და მე — შენი პატარა რედაქტორი — რალაც-რალაცეებს წავიკითხავ.

მხოლოდ ეს დაიხსომე: ფრთხილად იყავი, პირდაპირ ნუ მომვარდები, თორემ არ ივარგებს. შენ, რა თქმა უნდა, არ გეწყინება, თუ თავს ავარბებ, თითქოს წესიერად არც გაცნობდე.

საოცარაა, შენი ბარბარე როგორ მაჩქარებს. გიზნავნი უურნალს, ყურადღებით წაიკითხე, ჩემო ძვირფასო ანგელოზო! გკოცნი ათასჯერ ჩემს გიყსა და ვპირდები, დღეს 10 საათზე უფრო მეტს ვკოცებ.

შენი სამუდამოდ ილიკო.

22

[19 თებერვალი, 1863 წ.]

* უთუოდ შევატყობინებ ჩემს გიყსა, როცა წავალთ ელენესთან, მაგრამ არ ვიცი კი, როგორ. ჩემი ბიჭი ხომ ვეღარ მოვა შენთან, ჩემო კარგო, და როგორ მოგწერო. თუ ბარბარეს ყოველ დილას გამოგზავნი და საღამოზედაც, მაშინ კი შეიძლება, თუ არა, შემატყობინე, როგორ მოგაწვდინო შენამდინ ამბავი.

ხომ კარგადა ხარ? მართლა გაციებს, ქალო? წუხანდელმა ღამემ კარგი რა მოგახსენა? იასეს ჯერ ნურაფერს ეტყვი, მე თითონ მოვახერხებ, თუ შენ არ გინდა და გრცხვენიან. მომიტევე, რომ ასე გწერ მოკლედ, ჩემი სახლი გატენილია სწორედ ყოველგვარ ხალხით. თუმცა მინდა შენი კოცნა, მაგრამ სად მოგწვდები? * დამრჩენია მხოლოდ სურვილით დაგკმაყოფილდე: გკოცნი და გკოცნი დაუსრულებლად.

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე.

23

[20 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! მე შევიტყვე, რომ ამ ჩემს წიგნსა შენს გარდა სხვა მკითხველიც ეყოლება, ამის გამო მე ბევრს არაფერს მოგწერ, თუმცა სათქმელი ბევრია. ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე, როგორცა ვხედავ, — არ ვიცი — შენ მოგწონს თუ არა ეს ჩვენი ყოფა? მე კი, სწორედ მოგახსენო, ვერაფრათ მეჭაშნიკა. მართლა, ქალო, კვირაში ორჯერ უნდა ვწეროთ ხოლმე და მეტი არა? ეგ ვერაფერი ხუმრობაა. შენი პორტრეტი გამოგზავნე. რამკა ვიყიდე კიდევ.

შენი ილიკო ჭავჭავაძე.

P. S. პასუხი მოიწერე.



* ოლიკოჯანი! * ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ თითქმის შევწყვიტეთ მიმოწერა. ჩემს ტრადიციულ მდგომარეობაში ერთადერთი სიხარული შენი წიგნის მიღება იყო და ეგვეც შეწყდა. ღმერთმა შეუნდოს, ვისაც ამაში ბრალი მოუძღოდეს! მაგრამ მე ეგ რას მიშველის: შენ არ იცი, ეს ამბავი რა საშინლად მოქმედებს ჩემზე, როგორ მაწევება გულზე და როგორ მტანჯავს. არ არის ეს კარგი, ჩემო ანგელოზო, არა!

შენ, ჩემდა საუბედუროდ, მაშინ დაიწყე ძუნწად წერა, როცა მე ხელგამოღწეულად ვიმედოვნებდი შეხვან წერილების მიღებას. ფიქრებმა და ეჭვებმა მთლად შთანთქმეს, გარშემო ვერ ვხედავ ისეთ ვითარებას, ისეთ შემთხვევას, რომელზედაც ჩვენი საქმის გამარჯვების იმედს დავაფუძნებდი. მერწმუნე, ჩემს ცხოვრებაში არა მქონია ისეთი უსიამოვნო წუთები, როგორსაც ახლა მთელი დღეობით განვიცდი. ამ დღეებს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს და მით უფრო მიჭირს მათი ატანა. ძძიმე ნაღველი მაწევს და შენ არც კი ფიქრობ წერილებით ჩემს გამხიარულებას. მე სულ დავიბენი. ფიქრობ, ფიქრობ, როგორ მოიბოვო ის, რასაც ესწრაფვი, ვერავითარი მოგიფიქრებია. ცუდია!.. მინდოდა მამაშენთან მივსულიყავი და ყოველგვარი ტრადიციული შეძახილებისა და სენტიმენტალური ცრემლების გარეშე შენი ხელი შეთხოვა, მაგრამ, ამბობენ, არავის არ იღებსო. ვინდაც მიველე მანც, ვფიქრობ, არაფერი გამოივიდოდა. ეს ძველი ხალხი კაცისაგან მოითხოვს ზიზილ-პიპილებს, რაც მე არ გამაჩნია, მოითხოვს ჩინებს, რაიც ბედმა, ჩემივე თხოვნით, არ მარგუნა და ა. შ. შენს დას რომ მივმართო? იმასაც სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელიც შენა და იმას მოგესხენებათ, არაფრის გაკეთება, ძალიანაც რომ მოინდომოს, არ შეუძლია. სხვა შენს ნათესაებს არ მინდა მივმართო, რადგან სულ მგონია, ან მე გეჩვენები იმათ სულელად, ანდა მე მეჩვენებიან ისინი სულელებად, ვინდაც ბედნიერი შემთხვევა მომეცეს, ექვი მეპარება, რომ ერთმანეთს ვავუვოთ—სულელურად შევხედებით და კიდევ უფრო სულელურადვე ვაეიყრებით. დიახ, მეგობარო, ეს ისეთივე სიძარტლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რაღა მრჩება გასაკეთებელი? ეგების დავიცადო და გული ერთი ქართული ზოპარით დავიმშვიდო: * იქნება იცოდე, — კატა რომ შეხვს ვერ შესწვდა, გულამოსკენით წაიბუტბუტა: დღეს პარასკებიაო. ჩემთვისაც, ჩემო ოლიკო, პარასკებია, მგონი. კი ნუგეშია! *

ხუმრობა იქით იყოს, მასწავლე, რა ვიღონო. გეფიცები, ამის ატანა აღარ შემიძლია. — მით უმეტეს, რომ შენს ბოლო წიგნში არა მარტო შენი ნახვის იმედი, არამედ კვირაში სამ წიგნზე მეტის მიღების იმედიც დამიკარგე. ღვთის გულისათვის, ნუ ჩაიდენ ამას. მე ყველაზე მეტად ახლა მჭირდება შენი წერილები.

მინდოდა შენთვის ახალთ-ახალი და თანაც უსიამოვნო ამბავი მომეწერა, ამბავი, რომელიც არსებითად მე მეხება, მაგრამ ვარჩიე, შენთან შეხვედრას დაველოდო. იგი, სიტყვებით გამოთქმული, ისე საშიშად არ მოგეჩვენება, როგორც ქალაღზე დაწერილი გამოჩნდება. ღვთის გულისათვის, ჩვენი საქმის გამარჯვებისათვის, ჩემს წერილებს ნურავის უჩვენებ. არიან ქვეყნად ისეთნი არსებანი, რომელნიც ჩვენი წერილებისაგან მოითხოვენ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს. საბედნიეროდ ჩვენ არცერთს არ გვიყვარს ასეთი რამ, კარგია, რომ არ გვიყვარს! ლამაზი სიტყვა გრძნობისთვის ფერუმარიალია. შენ კარგად მოგესხენება, რომ ფერუმარილს ის ხმარობს, ვისაც უნდა თავი იმად მოაჩვენოს, რაც ნამდვილად არ არის. ჩვენს გრძნობებს ფერუმარიალი არ სჭირდება, ჩვენ გვეჯერა და პატივსაც ვცემთ ერთმანეთს — ეს უფრო დიდხანს გასძლებს, ვიდრე ყველა შორისდებულისა და შეძახილი ფერუმარილის წამცხებლისა.

ათასჯერ გოცნი

შენი სამუდამოდ ილიკო კ.

როდის შევხვდებით? მომწერე.



[24 თებერვალი, 1863 წ.]

ჩემს ცხოვრებაში ცოტა ყოფილა ისეთი საზიზღარი დღე, როგორც დღე-ვანდელი. მე ისე მივეჩვიე ყოველდღე შენს დანახვას და იმის გაფიქრებას კი აუტანელია, რომ დიდხანს ვეღარ გიხილავ.

დღეს დილით იმით ვსულდგმულობდი, რომ საღამოს გნახავდი, მაგრამ ესეც არ მოხერხდა. ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა დიდხანს ვეღარ შევხვდებით? ეს ყველაზე მეტად მაწუხებს ამ ქვეყნად. რა მოწყენაა!

იმ როკამ დედაკაცს რა საქმე აქვს შენთან? ხომ არ უნდა ჩვეულებისამებრ როგორმე ან რითიმე მოითბოს მანდ ხელი? მისმა სისხლის-მსმელობამ და ანგარებამ ხომ არ იბოვა შენთან რაიმე საკვები, — ნუთუ? სხვაგვარად იგი შენს ახლოს არც იფუსფუსებდა და ტყუილუბრალოდ არა დაჰკარგავდა ოქროს დროს, რომელიც ასე სჭირდება სხვა ათასი ხრეკისათვის. ღვთის გულისათვის, გემინოდეს მისი, ვითარცა კეთორვანისა, მოერიდე, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, და ნურაფერს, სრულებით ნურაფერს ნუ ანდობ მას. შენ იცი, მას ყოველგვარ სისაძაგლეზე მიუწვდება ხელი, მისთვის ამ ქვეყნად არ არსებობს კარგი თუ ცუდი გზა — ანდა, უკეთესად რომ ვთქვა, — მისთვის ყველა გზა კარგია, თუკი იმ გზით მიაღწევს ყველაზე ბინძურს, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს.

არ კი ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, თუ რაზე ცუდი შეგვემთხვევა, ამ ტარტაროზის ხრეკების ბრალი იქნება. დიახ, ჩემო მეგობარო, ჩვენი საქმე ცუდად არის, და მით უმეტეს არ უჩანს კეთილი ბოლო, რომ ის შხამიანი, საზიზღარი არსება ჩვენს საქმეში დიდ როლს თამაშობს.

არ ვიცი, ყველაფერი ის რითი დასრულდება, მაგრამ ის კი ვიცი, ვიღაც ყველაფერი ეს მოგვარდება, მე ჩემი დამემართება. ყოველივე, რაც განვიზრახე, რაც ჩავიფიქრე, თუ არ დაიღუპა, შესამჩნევად მაინც დაზარალდება.

შენ წარმოიდგინე: აღარაფრის გაკეთება არ შემძლია, ახლა კი ყველაზე მეტის გაკეთება საჭირო; გარდა იმისა, რაც ჩვენ გვაწუხებს, გული არაფერზე მიმდის და არაფერზე არ მინდა ვიფიქრო. ამავე დროს, თითონაც იცი, ათასი ეჭვი, ათასნაირი ფიქრი თავში მიტრიალებს და მინისლავს ტვინს. იბრძვი, იბრძვი, გინდა როგორმე მოიშორო ისინი, მაგრამ ვერაფერს ახერხებ. არა, ასეთ მდგომარეობას ვერ ავიტან!

გთხოვ, დღლაგებით მომწერო, სიტყვა სიტყვით, რა გადაეცი იასეს და იასემ რა გითხრა. ეს ჩემთვის საჭიროა, რათა ვიცოდე, როგორ მოვიქცე, — მე მივიღე მასთან, თუ იმას დაველოდო ჩემთან. როგორმე სწრაფად უნდა მოვიშოროთ ეს აუტანელი გაუგებრობა, როგორმე უნდა მოვათავოთ.

არ ვიცი, რისგან მემართება, სამინლად ვეღვავ, ის ჯოჯოხეთის მაშხალა შენს გარშემო რომ იკლავება, შენს ახლოს რომ ტრიალებს. მას შეუძლია სუნთქვით მოწამლოს ადამიანები. მისი ყოფნა შენს სახლში კეთილს არ მოგვიტანს — დამიანსოვრე, ეს უბრალო წინათგრძნობა არ არის.

ილიკო.

[26 თებერვალი, 1863 წ.]

* ჩემო გვრიტო ილიკო ჯანი! ** მე უსათუოდ ვნახავ იასეს, მერმე მამაშენსაც შევხვდები. შენ ნურაფერზე ნუ სწუხხარ, ჩემო ანგელოზო! სანამ შენ თითონ არ გამგზავნი ჯანდაბაში, მანამდე მე შენთვის ცეცხლსაც არ დავერიდები და წყალსაც გადაცურავ. დე მამაშენმა მოგაკლოს ლოცვა-კურთხევა, მე ხომ შენი ილიკო ვარ. ოღონდ შენ, მეგობარო, არ შეგეშინდეს ჩემი სიღარიბისა, — ეს სხვა საქმეა. თუ ასეა, ეს შენ გულწრფელად უნდა გამიმკლავნო, როგორც პატოისანმა, უმწიკვლო ქალმა. ხოლო რაც მე შემეხება, დიდი ხანია გწერდი, რომ ილიკოში მხოლოდ ილიკო მიყვარს, სხვა არაფერი. გინდაც უკანასკნელი პერანგი გაგხადონ, მერწმუნე, მაშინ უფრო საყვარლად მომიჩვენები, უფრო

მომხიბლველად, შენ თავს ვფიცავ. შენ რაღაც ხშირ-ხშირად მიმეორებ ამ ბოლო დროს, დაფიქრდიო. არ ვიცი, მართალი გითხრა, როგორ გავიგო ეს ხშირი შენიშვნა. შენ ჩემზე ზრუნავ, თუ საკუთარ თავზე? ხომ არ გინდა ჩემგან გაიგო, შევეძლებ თუ არა საკუთარ სახსრებით ცოლის შენახვას. ხათაბალაში არ გინდა გაება, თუ ჩემზე წუხნარ? ღეთის გულისათვის, გამითანტე ეს უსიამოვნო ექვეები. მე რომ შენთან ბედნიერი ვიქნები, რომ შენისთანა ცოლის პატრონისა შემურდებოდით, ამაში ეჭვი არ მებარება. გუშინ ხომ გწერდი ამის შესახებ, * შენ გეთყვანე, ** მერწმუნე, ჩვენი საქმის გამარჯვებას ვფიცავ, —ამაზე დიდი საფიქარი მე ახლა არა მაქვს. მე რომ არ მომწონებოდა შენი ზნეობრივი ღირსებები, შენი გონიერება და გული, გინდაც კრეზის სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყავი, პირველსავე პაემანზე შენგან პირს ვიბრუნებდი. შეიძლება, ჩემზე ბევრ ცუდს ამბობენ ირაკლის მაგვარი კეთილი ადამიანები, მაგრამ არავის მივცემ ლაყბობის ნებას ჩემი გრძნობების სიწმინდეზე, ოლიკოს მიმართ ჩემს სიყვარულზე. მე იმდენად ვფასებ ჩემს თავს, რომ არავის ამოვასვრევიებ ლაფში იმას, რაც ჩემთვის ყველაზე მეტად ძვირფასია, ე. ი. ჩემს წმინდა გრძნობებს, კეთილ ზრახვებს. შენს თავს ვფიცავ, * ოლიკოჯან **, თუ კი ყველაფერს წაგართმევ, რის წართმევასაც შესძლებენ და შენ მაინც ჩემი ვახდები, ისეთ მოულოდნელ სიხარულს მომანიჭებ, ისე ამაღლდები ჩემს თვალში, ისეთი მარგალიტი გაივლდები შენს სხვა ღირსებათა გვერდით, რომ მისი ყიდვა მილიონებთანაც შეუძლებელი იქნება. მე ვიცი, შენ შეგიძლია ასეთი საგმირო საქმის ჩადენა, ამიტომაც დამშვიდებული ველოდები ბედნიერებას, რომელსაც ჩემი ოლიკო მომანიჭებს. რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უმიხოდ ბედნიერება კარგად გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან. — თუ ასე არ არის, უმჯობესია ახლავე დაეშორდე, რომ შემდეგ ერთმანეთს არასოდეს აღარ შევხვდეთ.

ვაისხევე, ჩემო ანგელოზო, რომ გწერდი ჩემს სიღარიბეზე, ჩემს უჩინობაზე და ა. შ., მე არც ისე ღარიბი ვარ, როგორცა გწერდი. მე აღმომანდობა ჩვენი ცხოვრებისათვის სახსრები, ვიცხოვრებთ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობენ; მაგრამ მე ვცდილობდი — უფრო ღარიბად მეჩვენებინა თავი, ვიდრე ნამდვილად ვარ. იცი, რატომ? იმიტომ რომ, თუ ასეთი უბრალო რამ შეგაშინებდა, შეგეძლო მაშინვე უარი ვეტყვა ჩემთვის. მე ასეთი ცოლის ყოლას არ მოვიწოდებდი. ვარდა ამისა, მინდოდა დაგწმუნებულყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუქს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღეთის მიერ შექმნილს არსებას, რომელშიც უპირველესად ყოვლისა მისი სული უნდა მზიანობდეს. დაბა, ოლიკოჯან, შენ ისე კარგი იყავი, რომ დამარწმუნე კიდევ იმაში, რაშიც აგრე მინდოდა დარწმუნება, ამით ისე მიმჯაჭვე, რომ ვერავითარი ძალა ვეღარ დამაშორებს შენგან, რა თქმა უნდა შენ თვითონვე არ მოისურვე. და თუ მოისურვებ, გულწრფელად მითხარი, ნუ შემიბრალებ. პირველად ამეტყველდა ჩემი გული, მაგრამ დე ეს მისი უკანასკნელი ღაღადისი იყოს. მე მას დავმარხავ, ჩემო მეგობარო, თუკი ჩემი ოლიკო მას სამარადისო ხსოვნას უსურვებს.

ღანარჩენი შენ თვითონვე იცი, ჩემო ანგელოზო! მე მთლიანად ამ წერილში ვარ. გინდა დაიტოვე, რომ შემდეგში მამხილო, თუ კი დაწერილ სიტყვას სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვუღალატებ.

მე შენი ვარ ყოველგვარ ფათერაკში, უბედურებაში, სიღატაკეში, მანამდე, სანამ შენ მე თავისად მივტოვებ.

ახლავე მომწერე პასუხი, თუ გიყვარვარ. შევხვდებით დღეს? მომისმინე, ოლიკო! თუ მარხულობ, სემინარიის ეკლესიაში იარე, იქ შეგიძლია ქანდარაზე ახვიდე, მეც ვივლი მწუხრის ლოცვებზე. ქანდარაზე შენ ვერავინ დაგინახავს, ვერც მე. იქ შეგიძლია ცისკრამდე ლაპარაკით გული ვიჯეროთ, მით უმეტეს, რომ მწუხრის ლოცვა გვიან თავდება, რადგანაც მასთან ერთად დილის ლოცვაც ასრულებენ. თანახმა ხარ?..

შენი სამუდამოდ ილიკო.

გაკოცებ მრავალჯერ.

დილის ხუთი საათი [28 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ოლიკოჯანი სად, როდის და საიდან შემამჩნიე გუშინ? ნუთუ ისეთი უბედური აღმოვჩნდი, რომ ხელიდან გაუშვი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი აღამიანის ნაწვის შესაძლებლობა!.. უცნაურია და გაუგებარი: საღამოს 5 საათამდე შინ ვიყავი: 5-ზე გამოვედი შენს სანახავად, მაგრამ საუბედუროდ შენ არსად ჩანდი. როდისღა დამინახე? მომწერე — მაინტერესებს! რატომ გუშინდელ წერილს არ მიბრუნებ, ხომ არ მოგვეწონა?

ოჰ, ოჰ, ოჰ! რა ძვირფასი რამეებს მაფიცებ, რომ გიორგისთან გავემგზავრო. კეთილი, ჩემო ანგელოზო, მე მივალ, მაგრამ, მართალი ვითხრა, წარმატების იმედი არა მაქვს, რადგან ჩემი ოფიციალური წინადადება მისთვის მეტად ცივი იქნება, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდება. თუკი იმდენად მოწყალე იქნება, რომ გაიგებს ლარიბი კაცის სიტყვას — ხომ კარგი, თუ არა და, რაც ამას კული მოჰყვება, ჩემს ანგელოზს დავაბრალებ, დე მან ავოს პასუხი საკუთარი თავის წინაშე. ვინ გეჩიხინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე? ვინც ამას გეუბნება, იგი არ არის ჩვენდამი კეთილად განწყობილი. მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისურვებს ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონმა, ვეჭვობ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება ინდომოს. ასე რომ მოხდეს, დაუჯერებელი იქნება.

განა მართო ის არის ასე განწყობილი? მთელი შენი ნათესაობა, ყველაზე ახლობლი დაწყებული და ყველაზე შორეულით გათავებული, ერთხანიად არიან თითქოს ელექტრონით დამუხტულნი ჩვენი საქმის საწინააღმდეგოდ. თუ ვინმე ახლა გეთანხმება, ეს იმას არ ნიშნავს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თითქოს მაშინაც დაგეთანხმონ: ისინი აუცილებლობასა და, წარმოიდგინე, შენს ენერჯიას ემორჩილებიან, რადგან იმედი აქვთ, თავზე დაგახვევენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას, და ყოვლის მომსპობი ღროისა და შენს ირველივ მოფუსფუსეთა მოქნილი ოსტატობის წყალობით, თანდათან მოიშორებ ჩემით გაცაცებას, მერე საბოლოოდ ამოიგდებ გულიდან ამ სისულელეს, ე. ი. მე. მერწმუნე, არც ერთი, რომელიც თქვენი ნათესაობის დიდი ჯაჭვის თუნდაც უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს, არ მოქმედობს წრფელად და პატიოსნად, როგორცა ფიქრობ. გატყუებენ, არ გეწინააღმდეგებენ ამჟამად, დროს უცდლიან, რომ უფრო ადვილად მიაღწიონ მიზანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შენ თანდათან განელდე და დაივიწყო ეს საქმე, რასაც ახლა ასე მსურვალედ ეკიდები. მართალია, ზოგიერთ შენ ახლობელს იმიტომ უნდა ამ საქმის ჩაშლა, რომ შენთვის ბედნიერება სურს, რადგან დარწმუნებულნი არიან, ჩემთან უბედური იქნები, ე. ი. არც სიმდიდრე და არც წარჩინება გექნება. სხვებს ეს ზნეობრივი მამოძრავებელი მიზეზიც არა აქვთ, მათ ამოძრავებს მხოლოდ ტრფილი ხელოვნებისა — ავონ მოყვასთ. აი, ესენი არიან ზიზღის ღირსნი. შენ მეტისმეტად კეთილი ხარ, ჩემო ანგელოზო, რომ შეამჩნიო ეს ოსტატურად დაგებული მახეები, მე კი, საუბედუროდ, არ შემიძლია ეს დავიკვირო: მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ენა შენთა ნათესავთა ერთს ამბობს, ხოლო მეათე გული სხვარაშე უყარნახებს. ეს მეტად საწმუხარო ჭეშმარიტებაა, და მათ ძალზე არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ? სჯობია იცოდე საწმუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასინარულო სიცრუე. მგონი, არა ვცდები.

შენი ახლობლების ეს დაგებული მახეები ჩემს წინათგრძობას აკრთობენ და უბედურებას უქადიან. მაგრამ არა უშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შეშარყიოს, მაგრამ რომ წააქციოს, — ვერასოდეს! ჩემ წინ დიდი გზა გაშლილი, თუ ამ გზაზე არ მეღირსა ჩემ რჩეულთან ერთად გავიარო, ე. ი. თუ ოლიკომ გადაიფიქრა ჩემთან ერთად დაადგეს ამ გზას, — რაც ღმერთმა ნუ ქნას! — მაშინ, ყველაფრის დამკარგველს, დამრჩება ერთი იმედი — ვიცხოვრო იმ წმიდათა-წმიდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდი ხანია ავირჩიე. ერთი



სიტყვით, მექნება ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დავიტირებ, სუნთქვის საშუალება შემჩრება.

ეს მიიმე ფიქრები უკვე სამი დღეა უწყესრიგოდ ირევიან ჩემ სულელ თავში და ახლა ასევე უწყესრიგოდ დალაგდნენ ქალაღდზე. ძალა არ მყოფნის, გადავიკითხო და ხელახლად დავებრუნდე ამ ფიქრებს, რომლებიც მინდა რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან.

როდესაც წერას ვიწყებდი, მეგონა, ეს ფიქრები გამეფანტებოდა. როგორც ხედავ, ამ სტრიქონებშიაც ჩამოწვნი ისინი ნისლად, თუმცა შესაძლოა არა ისეთი სიხშირით, და მგონი მათ მაინც შერჩათ ის განწყობილება, რომელიც ჰქონდათ მათ შენი ილიკოს მტკივან გულში. დიახ, ეს სამი დღეა რაღაც მაწვება მიძიმე! ღმერთმა ჰქნას, რომ მხოლოდ ამით დასრულდეს!

ფიზიოლოგები, ჩემი ანგელოზო, ამბობენ, ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, მას გიჟი ეწოდებაო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მეც გავგიჟებულვარ და ეგ არის, რადგან ყოველ წუთს შენითა ვარ გართული და ნენზე ვფიქრობ. წინ რა მომელის არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სულით მოვისწრაფი შენდამი, რომ მოგეხვიო და კოცნით დაგფარო.

ნახეამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აი უკვე მეორედ დაათენდა შენა წერილის წერაში საუკუნოდ შენს

ილიკო ჰ (ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე ს).

28.

[1 მარტი, 1863 წ.]

ანგელოზო ჩემო! რა საოცარი ხარ! შენი წერილები, განსაკუთრებით გუშინდელი, ილიკო, ჩემთვის არის ნამდვილი წყარო, საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარნამი არის ჩემთვის. აი, ამიტომ მწყურია ხოლმე შენი წერილები. მე შენად არ ვლირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ. არ გეფარისეველები. შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ილიკოს წყალობა იქნება. რა ჰკვიანი მყავნარ! როგორი ალერსითა და სინაზით მამცნევ ხოლმე ჩემს შეცდომებს! აი კიდევ ახალი აღმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ილიკო! ბედი ილიკოზე უკეთეს საჩუქარს ვერ მომიძღვნიდა. მაღლობა, ათასი მაღლობა მას!

ნება მიბოძე, თავი ვიმართლო გუშინდელი წერილის გამო. ყველაზე მეტად, იცი, რატომ ვარ შეშფოთებული? იმიტომ, რომ აკრძალული მაქვს შენი ნახვა. მე ზედმეტად ვარ განებივრებული ბედისაგან: თუ კი ოდესმე რამე მომისურვებია, ადვილად მომიბოძებია კიდევ. ამან გამახდა დიდგულა, მოუთმენელი და, რაც ყველაზე ცუდია, მცირე წინააღმდეგობის ატანაც კი მიჭირს. შეიძლება, ეს იმიტომაც ხდება, რომ აქამდე ჩემი სურვილები მეტად წერილმანი იყო, წერილმანს კი ხურდა ფულითაც იყიდი, ე. ი. ადვილად მოიპოვებ. ახლა საქმე სხვანაირად არის, ჩემი სურვილის საგანი შენა ხარ, ჩემო ანგელოზო, შენ კი ისე ძვირი ღირხარ, რომ ბედი იაფად არ მითმობს ჩემს ილიკოს.

გასაკვირიც არ არის, რომ ბედის სიმკაცრემ უჩვეულოდ შემაერთო და გუშინდელი წერილი დამაწერინა. შენმა წერილმა გამახსენა ერთი ჭეშმარიტება, რომელიც კინაღამ დამავიწყდა: ყოველ ნივთს თავისი ფასი აქვს. ასეც უნდა იყოს!

ახლა, რაც ჩემში და რაც ჩემს ირგვლივ არის, სულ ახალია, ამიტომაც უხერხულად ვგრძობთ თავს ამ ახალ მდგომარეობაში და გამოვთქვამ სისულელისა და უაზრობის მსგავს რაღაცეებს, მომბიტვე, მეგობარო!

რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას, ჩემო ანგელოზო, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდაც კი ერთხელ გეამბორო. ღვთის გულისათვის, მოაწყე ისე, რომ შევხვდეთ! შენ არ იცი, როცა ამისი შესაძლებლობაა, რა სიხარულით მოვფრინავ შენთან. დღეს იასესთან მივალ, თუ მოვასწარი — გიორგისთანაც, მინდობა ჭუჭურტანიდან დავგანახა, როდესაც მე ბატკნის სახეს მივიღებ ამ უფათრო



და უკულო ლომებს შორის. თუმცა ეს იასეს არ შეეხება: იგი ვითომც ქრისტესავე იკატუნებს თავს.

შენი სურათები მივიღე; გადასაყრელია, შენ კი მარწმუნებდი კარგად ვარა გამოსული. როგორ შეიძლება ვესტინისთან ვადალება? იცი, რას გეტყვი? თუ კი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო. რანესაგან, რომ წამოკვეთი ტროტუარს, მარჯვნივ პირველ ალაყაფში შეხვალ, შერმე იარე პირდაპირ და დიუბილერის ფოტოგრაფიის კარს მოაღებ. თუ წამოხვალ და წამოიყვან ისეთ ვინმე თანხლებ ქალს, რომელსაც არასოდეს უნახივარ და არ მიცნობს, მაშინ იქ შეგხვდებით, ვითომცა ფოტოგრაფი ვარ, პოზას მე ამოგირჩევ; სურათის სივსკარგე, ასე თუ ისე, ამახეა დამოკიდებული, და თითონვე დავაყენებ ფოტომაქინას. შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა. ოღონდ თმა იმგვარად დავივარცხნე, როგორც პირველად გქონდა ვესტინისთან. ძალზედ გიხდებოდა! თუ დღეს მოახერხებ წამოსვლას, ახლავე მაცნობე, წინდაწინვე უნდა მოვემზადო. გიგზავნი მედალიონს.

შენი სამუდამოდ, ილიკო.

29.

[2 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი**

ეს რამ გაფიქრებინა ჩვენი ქორწილის ვადალება სექტემბრამდე? შენს ჭკვიან თავში როგორ დაიბადა ასეთი აზრი? აპრილში ვახდები ჩემი, რაღაც არ უნდა დამიჯდეს. შენ ეს არ დავიფიქრებს, ჩემო ანგელოზო! შეტის მოთმენა აღარ შემიძლია. რაღას უცადოთ, — ვანა ორთავეს არ გვინდა — ეს ამბავი რაც შეიძლება მალე მოხდეს, რაღას იგონებ? არა, ჩემო ძვირფასო, ასე დიდხანს ცა შეუძლებელია. ბევრი ვიფიქრე და გადავიფიქრე, ბოლოს გადავწყვიტე, თუკი რამე წინააღმდეგობა შეგვხვდა, ერთი კარგი და საქმური საქმე მოვიმოქმედო. ამას, როცა დრო დადგება, მაშინ გეტყვი.

იასესთან ვიყავი, ვერ ვნახე; დღეს 9 საათზე ხელმეორედ მივაკითხავ, იქნება ბედმა გავიღიმოს და ჩვენი საქმე მოგვარდეს. ღმერთმა ჰქნას, თორემ ესე ვარ მოწყენილი, ლამის მოვკვდე!

იმგვარად დავარცხნილი თმა, როგორც გწერდი, მართლა გიხდება. მაღლობელი ვარ, რომ გუშინ იმგვარადვე დავივარცხნე. ისეთი კარგი იყავი, სულ მინდოდა მოგხვეოდი.

იწერები ცუდად ვარო. ეს ამბავი მაწუხებს. * რათა, შენი ჰირიმი, რათა ხარ ავად? თუ კიდევ ავად იქნები, მე მაინთ აღარ გამოვივლი. ხვალ კი მოვალ მეთორმეტე საათზედ. შე გიყვ, ჩემ პორტრეტს რომ ჰკოცნი, მე რა? მე მაინც გაუკითხავ გლახასავით გულნატკენი დავბრუნდები ხოლმე. შენი ჰირიმი, ოლიკოჯანი, ერთი კიდევ როგორმე მოახდინე, რომ გნახო და მეტს აღარა გთხოვ.**

ვინ გეძახის პატრიოტს? იმათ რაც არ უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. ვანა ასე არ არის, ჩემო სულიკო? ეს დიდებული სახელწოდება მათთვის საძრახისია, ჩემო კარგო, მაგრამ შენ ამით იამაყებ, — ამიტომ მეჩვენები ძვირფასად, ამიტომ უყვარს შენს ილიკოს ოლიკო.

მახსოვს, დოღზე ვიყავით, შენ შემაქე და პატრიოტი მიწოდე; თუმცა ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შესწევდება პატრიოტიზმს, მაგრამ იმ სიტყვებითა და კილოთი, რომლითაც შენ თქვი, მე მივხვდი, ვისთანაც მაქვს საქმე...

და, როცა ღმერთი ინებებს ჩვენს ერთად ყოფნას, მე გიჩვენებ კაცს, რომელსაც შენს შესახებ, ვუთხარი, რომ ეს ქალი [ატარებს თავის გულში სამშობლოს სახეს].

[3 მარტი, 1863 წ.]

*ო ლიკოჯანი** ვიყავი იასესთან, მან მე იმედები მომცა, მაღლობა მას. როგორც ჩანს, ჩვენ საქმეს კარგი პირი უნდა უჩანდეს. მასთან შეხვედრის [შემდეგ] ისეთი [სინხარ]ულით გამოვიარე შენი [ოთა]ხის წინ, და სამწუხაროდ ისე ისე [ნაღვლიანი მეჩვენე], რომ გავოცდი. [რა] დაგემართა, ჩემო ანგელოზო? არც კი გამიღიმე, — რა ბრაზიანი ხარ!

ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვა? ღვთის გულისათვის, ახლავე მიპასუხე ამ წერილზე. არ იცი და არც შეგიძლია იცოდე, რა ცუდად ვხდები ხოლმე, როდესაც ასეთი ნაღვლიანი ხარ, დღეს რომ შეგამჩნიე. მე არ [შემიძლია] დავუცადო სალამოს წერილს. [მომწერე] ახლავე, რა მოგივიდა?... [.....] საათზე ისევ გავივლი [შენი] კეთილი ფანჯრის წინ, იქნებ ჩემმა ანგელოზმა გამიღიმოს, თორემ დამწუხარებული ვიქნები. [თუ] შენ მომწერ, მე ახლავე მო[ვფრინდები], რომ მივიღო კეთილი ღიმილი ჩემი მშვენიერი ოლიკოსი.

შენი სამუდამოდ ილიკო.

გიორგისთან სალამოს წავალ.

[4 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! მე ყოველთვის ჯანმრთელად ვარ, თუკი ვიცი, რომ ჩემი ოლიკოც ჯანმრთელი და მზიარულია. რა კარგი იყავი დღეს და როგორ მსიამოვნებდა, გაღიმიებულს რომ გხედავდი.

შენ ნამდვილი ჯადოქარი ხარ, ნუ მკითხავ, ასე რატომ ვიწოდებ, ეს ჩემმა გულმა იცის. შენი სულისა! ხვალ 8 საათზე გამოვიგზავნო ლაზარე თუ დღესვე? მე ისე მინდა შენი ნახვა! მიყავ სიკეთე, დღესვე მოახერხე, შენი ჭირიმე!

გიორგისთან დღეს ვერ ვიქნები. ხვალ დილის 9 საათზე უმდაბლესი სალამით ვეახლები და ყველაფერს შეგატყობინებ. დღეს ხუთის ნახევარზე და ექვსის ხუთმეტ წუთზე კვლავ გავიარე შენი ფანჯრის წინ, მაგრამ ოლიკო ისე ბოროტად მომექცა, რომ არ გამოჩენილა. დამაცადე, როცა შეგხვდები, კოცნით დაგსჯი.

შენი სამუდამოდ ილიკო.

[5 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რამ მოგაგონა ფანჯარასთან მოსვლა სწორედ იმ დროს, როცა მე თქვენს ქუჩაზე გავლა მომიხდა. მაღლობა მომიძღვნია ამისათვის. მაგ ფანჯარას შევიყვარებ, ყოველ დღე 2 საათისთვის მაგ ფანჯრის წინ გავივლი, რომ შინების იქით ჩემი ოლიკო დავინახო. მე ტროტუარზედაც გხახე, ორჯერ ჩავიარე და ერთხელაც ვერ შემამჩნიე, მზერა არ მესროლე, უჰ, რა ბოროტი ხარ!

დღეს გიორგისთან ვიყავი, როგორ იყო ჩავიცივი სულელური ფრაკი, სულელურად მოვდრიცე ფიზიონომია და სულელურზე უფრო სულელური გუნებით წავედი მასთან. ორჯერ მივედი და შინ ერთხელაც არ დამიხვდა. კიდევ მივალ, იმ[იტომ] რომ მისვლას ჩემი ოლიკო მიბრძანებს. ფანჯარასთან რომ იდექი, მე ვცდილობდი მენიშნებინა, გიორგისთან ვიყავი-მეთქი, განგებ პალტოც გავიხსენი იმის საჩვენებლად, რომ ფრაკი მაცვია. აქედან უნდა მიმხდარიყავი, რომ სადღაც ოფიციალურ დარბაზობაზე ვიყავი, მაგრამ შენ ვერ მიმიხვდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო!



სალამოს 5 საათზე კიდევ გავიარე იმ ფანჯარასთან, სადაც ცოტა ხნის წინად მოულოდნელად გაიბრწყინა ჩემმა ვარსკვლავმა, მაგრამ ამოდ, იგი აღარ სჩანდა.

აბა, ახლა რა გაიგე ჩვენი საქმისა? როგორა ხარ? ჩემსას ნუ იკითხავ, მე სულ დავიბენი, მოწყვნილი ვარ, მით უმეტეს რომ დღეს სალამოს წერილი არ გამოგიგზავნია. მე ისე მივეჩვიე ძილის წინ ლოცვის მაგიერ შენი სალამოს უსტარების კითხვას, დღეს რომ არ მივიღე, ველავ და ვწუხვარ. რატომ იძუნწე და არ გამოატანე წერილი შენს მეტელეს?

ხომ არ მოგწყვინდა წერილების წერა?

მედლიონი მზად არის, პორტრეტი — ჯერ არა, მაგრამ თუ არ გადავიფიქრებია, კვირა დღით იგი უკვე გექნება მედლიონში ჩასმული. ნახე, რა ექვიანი ვარ შენს მიმართ. რას იზამ? ძვირფას ნივთს ყველა დაჰკანკალებს, მეც ასე ვარ.

შენ ძალზე ძვირფასი ხარ ჩემთვის, ჩემო ანგელოსო, უფრო მეტად ძვირფასი ვიდრე შეგიძლია ივარაუდო, და რა გასაკვირია ყოველი წერილმანი რომ მალეღებდეს და მაკრთობდეს, თუნდაც ისა, რომ დღეს სალამოს შენი წერილის წაკითხვის ბედნიერება მომისწრავდეს. ვის უნდა ვუმადლოდე ამას? შენს უყურადღებობას თუ საქმით ვართობას? დღით და საღამოთი შენი წერილების კითხვას შემაჩვიე და უცებ გინდა გადამაჩვიო. ხელი ჩაგვიკიდია მკაცრი ანდახისათვის: კარგი ცოტა-ცოტათ. ასეთი ზომიერება ჩემთვის უცხოა: ან ყველაფერი, ან არაფერი! ჩემთვის საშუალო არ არსებობს.

* ერთი ეს მითხარ, ოლიკოჯან, გიორგისთან რომ წავიდე და უთხრა ყველაფერი, არც მაშინ მექნება ნება შენთან ვიარო? გავგონილა ამისთანა უხეირო საქმე, როგორიც ჩვენი საქმეა?*

ისე მოაწყე, ერთი წამით მაინც ვიყო შენს ახლოს, თორემ ძალიან მკაცრად და დაუნდობლად დაუწყე მოპყრობა შენს ილიკოს, რომელსაც ასე უნდა შენი ნახვა და ყურისგდება. * რა ვქნა? როდის უნდა ენახო ჩემი გიჟი? ღმერთს ამ საქმეში ღმერთობა არ ეტყობა, თორემ ისე ხელი როგორ აიღო ჩემზედ, რომ შენთან აღარ შემახვედრა. ნეტავი მაშიდაშენი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, განახავდი მაინც, თუ სხვა არა იყოს რა.**

ეს სულელი პოეტები კი, საფოთი დაწყებული და კერესელიძით გათავებული, უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, შიშში, არისო ბედნიერება. ერთი არაფერი მინდოდა—ჩემს ადგილზე და ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩავარდნილი. მაშინ ვნახავდი, როგორ მოატყუებდნენ ხალხს. მაშინ სულ სხვა ყაიდსზე იმღერებდნენ. ღმერთმანი, ვერ მომისახრებია, როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? შენ რასა ფიქრობ? ისე ვარ დაბნეული, გაწვალებული და გამომწყვდეული, რომ ჩემი თავიც კი მეჯავრება.

ეჰ, ოლიკო, ოლიკო! შენ რომ ასე ძვირფასი არ იყო ჩემთვის, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ რა ვქნა, როცა დღითა და ღამით მხოლოდ შენით ვსულდგმულობ.

ოჰ, როგორ მინდოდა, ერთი წამით მაინც დავმშვიდებულყავი შენ ახლოს, ამ სიმშვიდეს მე ბედნიერებას დავარქმევდი.

ნახვამდის, ჩემო კეთილო ანგელოზო! დაე მე ვიტანჯო, ოღონდ შენ იყავ დამშვიდებული!

შენი სამუდამოდ ილიკო.

[კრებებზე მინაწერი:]

მეშინია, ვაი თუ მინაწერი ვერ გააჩიო, აი ისიც: თუ შენ საღამოობით წერილებს აღარ მომწერ, მეც შევწყვეტ წერას. თუ რამემ მომშალა, მხოლოდ ამან, შენგან წერილებს რომ არ ვიღებ.

გიგზავნი ქალაღს. თუ ღმერთი გწამს, ნუ იძუნწე და მომწერე, ნუ წამართმევ უკანასკნელ ნუგეშს. ეს ლიტონი სიტყვა კი არ არის, ჩემო მშვენიერო მგობარო, ჰეშმარტებაა.

[6 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, ოლიკოჯანი ბოლოს და ბოლოს გიორგი ვნახე. იგი ღიმილით მხედვება და მეგობრულად მართმევს ხელს. შენი უმორჩილესი მსახური პასუხად დარბაისლურად უკრავს თავს და ეძებს თავისი სუელი შლიაბის დასადებ ადგილს. ჩვენ ვსხდებით. იგი მესაუბრება უფრნალზე, აქეთურზე, იქითურზე. მე, მართალი რომ გითხრა, არ მინდოდა ღობე-ყორეს მოვლებოლით, მინდოდა გადასულიყავი საქმეზე, რის გამოც ვიყავი მოსული, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. ამიტომაც ვცდილობდი ყველაფერში დავთანხმებოდი.

ზოგიერთ გადახვევათა შემდეგ, საქმეს დაეუბრუნდით. მას არაფერი უთქვამს დაღებითი, მაგრამ ხუჯეში ისაა, რომ „ჭოზე“ უფრო დამიძედა, ვიდრე „არაზე“.

მხოლოდ ცოტახნით მოცდა მთხოვა, რათა მამაშენი შეამზადოს თანხმობისათვის. თანხმობის მეტი რა მეტქმოდა, თუმცა ვაგრძობინე კია, რომ, რაც უფრო მალე მოთავდებდა საქმე, მით უკეთესია, რომ ეს გაურკვეველობა აფერხებს ჩემს მუშაობას და ა. შ. მაგრამ არაფერმა მიშველა. ის ჩვენ ორთავეზე პრაქტიკულია, ჩემო ანგელოზო, ხოლო პრაქტიკის წინაშე უკანდახევა გიხდება. მოკლედ გადმოგეცი ყველაფერი. სხვათა შორის, ესეც უნდა გითხრა, საქმოდ დიდხანს ვისაუბრეთ ჩემს შეძლებაზე. მე ვუთხარი, ღატაკი არასოდეს ვიქნები და არც მდიდრად ყოფნას ვპირდებით-მეტქი. მე ვფიქრობ, — დავძინე, — აქ საჭიროა რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება, — დანარჩენს ყველაფერს მოევლება-თქო, ვიცი რომ მას სწამს ბედნიერება სიმდიდრის გარეშე და მე მეტი არა მინდა რა-მეტქი.

— თქვენ ხომ მას კარგად არ იცნობთ?

მე გამეცინა ამ კითხვაზე და გავიფიქრე: უფრო მეტად ვიცნობ, ვიდრე შენ.

— მართალია, — ვუპასუხე, — კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენადაც ვიცნობ, იმდენადვე ვმსჯელობ მასზე და ა. შ.

ერთი სიტყვით, ის დიდად თავაზიანი იყო, გონიერებას იჩინდა, თან გულახდელი იყო, რაც მასში ყველაზე მეტად მომეწონა.

ასე, ჩემო ანგელოზო, უნდა მოვიცადოთ, რა მოსაწყენია!!!

შენი სამუდამოდ ილიკო.

[7 მარტი, 1863 წ.]

შენი ჭირიბე ოლიკო! რა კარგად ჰქენი, რომ მუხრანიანთას არ გადახვედი. ასეთი მიამა, ოლიკო არ მამიკვდებ. რომ მეტი აღარ იქნება. ძალიანა ვწუხვარ, რომ ამაღამ ვიღარა გნახამ, მაგრამ რა ეშველება. ნიკოსთან ხშირად იარე ხოლმე, გაუმეგობრდი იმის ცოლს და იქ ერთმანეთსა გნახამთ.

გაკოცებ მრავალჯერ, უფრო მრავალჯერ ვინატი შენთან ყოფნას.

შენი სამუდამოდ

ილია ჭავჭავაძე.

ამაღამ მე ელენესთან წავალ, არ ვიცი შეგიძლიან შენ მოსვლა თუ არა. ოთხს წყვილს საყურეს გიგზავნი, რომელიც პელოს მოეწონოს ის აიღოს.

შენი ილია ჭავჭავაძე.



[8 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, ოლიკო! შენ მეკითხები, იცის თუ არა ნიკომ ჩვენი საქმისა, — სრულიად არაფერი იცის და არც ეცოდინება ჩვენს ქორწილამდე.

რად უნდა იცოდეს?

ჩვენ უმისოდაც მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. თუმცა ისიც და მისი ცოლიც ზოგჯერ სიტყვას გადამოკრავენ შენსა და ჩვენი ქორწილის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვა-გადმოკერად რჩება, იმიტომ რომ მე თავს ვიძვრენ ყველგან და ყოველთვის. როგორა ვცდილობ დამალო და მინც...

(წერილის შავი, დაუმთავრებელი)

[9 მარტი, 1863 წ.]

ოლიკოჯანი ნუ გეშინიან, ქალო, განა ისე ავათა ვარ, რომ ვეღარ წამოვდგე ქვეშაგებიდამ. წუხელ შუალამისას სისხლი მომაწვა გულზედ და მთელი გული დაძინებოდა. დღეს ორლანდინმა მითხრა, რომ ერთი ორიოდ დღე ქვეშაგებში იყავიო, კარგად შეიქმნებო. მეც მთელი დღეა ქვეშაგებში ვარ. დილანდელ წიგნის პასუხს ლაზარეს გამოვატან საღამოზედ.

ნუ გიფობ და ნუ ჰსწუხარ, თორემ არ ვიცი რას გიზამ.

შენი ოლიკო ჰ ა ვ ვ ა ვ ა ძ ე .

[10 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ტრედო! არ ვიცი, ჩვენს წინაპარ ნოეს ნუთუ ისე გაუხარდა ტრედის მოფრენა მწვანე რტოთი, როგორც მე გამიხარდა შენი ნახვა? არა მგონია. როგორი კარგიც არ უნდა იყოს ცხოვრება, მაინც მწვანე რტო იმდენად არ გამიხარებდა, როგორც კონცნის თაიგული, რომელიც შენ მომიტანე...

რა კარგი იყავ, შე გიყო! ჯადო ხარ, ჯადო! შენ რომ არ შემოფრენილიყავ ჩემთან, გუშინდელი დღე მკედარი იქნებოდა, ჩემო საოცარო ვენიავ! ოლიკომ გააცოცხლა იგი. ეს ჩაიწერება — იცი სად? — იქ სადც ზის ჩემი გიფი, ე. ი. გულში. აჰ, ერთხელ მაინც განმეორდეს ასეთი დღე. მაგრამ ჩემი კდემამოსილი ოლიკო როდი ინებებს.

*შენი კი ჰირიმე, ჩემო ოლიკო! ეს რა გამიჩნდი? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი. ღმერთმა უშენოდ ერთი საათი ნუ მაიცოცხლოს**.

ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ. მე ხომ ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა, — მანამდე დამზრალი ვიყავ, ჩემო მეგობარო, — შენ გამომეცხადე და მე დავიწყე სულით აღვსილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ თუნდაც მინდოდეს. ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად კი არ გიწოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო ის გაეკეთებინა, რაც შენ ჰქმენ, ჩემო მშვენიერო და კეთილო გენიავ! ღმერთო ჩემო! როდის და დამითმობ შენ ჩემს ოლიკოს? უმისოდ მოწყენილი ვარ... დღეები ვადის და ჩემი ოლიკო ჩემთან არ არის, რითი მიბრძანებ ვინუგეშო? *ნეტავი მაგისთანა მაინც არ იყო; რა ვქნა, რა ვიყო, რომ ისეთი კარგი, ხარ, რომ როდესაც შენ ვერა გნახამ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია, მითომ არც კი ვათენებულა.

შენი საუკუნოდ ოლიკო ჰ ა ვ ვ ა ვ ა ძ ე .**

P. S. შენ, ჩემო მეგობარო, ჩემზე ნუ იღარდებ. გამოვჯამრთელდები: შენ ზომ კონით ისეთი წამალი მომეცი, რომ მკვდარსაც კი გააცოცხლებდა და ეს უბრალო ავადმყოფობა როგორღა დაუდგება მას.

ჩემი ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ზეგ სრულიად გამოვჯამრთელდები და ვეცდები როგორმე დაგენახვო.

მიიღე პორტრეტი; არაა კარგი; სხვა დროს გადავიღებ.

შენი საუკუნოდ

ილიკო ჭ.

38

[11 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა, *ოლიკოჯანი! ** ნუთუ შენ არ იცი, რაზე ვისაუბრებთ? მეშინია, ქედმაღლური რჩევა-დარიგებებით არ ამაფეთქონ, თორემ ხანდახან ძალზედ უხეში ვარ.

რა კარგი იყო გუშინდელი პემანი, ოღონდ თუ სემინარიაში მარტო არ ივლი, მეც არ მოვალ.

შენ აშბობ, ლიზა არაფერს იტყვისო. ჯანა მე მეშინია მისი სულელური სიტყვებისა, დე თავისთვის იპუტუნოს, რაც მოესურვება, მაგრამ მე არ მისნა პატარა შესაძლებლობაც კი მივცე ჩემზე ლაპარაკისა.

შენი მეეტლე მაჩქარებს, ნახვამდის.

შენი საუკუნოდ.

39

[12 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი! ** მადლობელი ვარ შენი ღირსეული პასუხისათვის. შენი დისაგან მოწვევა მივიღე, უნდა ვეწვიო ან დღეს მ საათზე ან ხვალ 12-ზე. მადლობა უთხარი ჩემს მაგივრად და გადაეცი, რომ ხვალ დანიშნულ საათზე გამოვცხადდები, რათა მიშითა და თრთოლვით დაველოდო მომავალ საშინელ განსჯას. დღესაც მოვიდოდი, მაგრამ მეშინია ჩვეულებისამებრ სტუმრები იქნებიან და არ მინდა ჩემი იქ ყოფნა თვალში მოხედეთ; გარდა ამისა, ისინი შეუშლიან ხელს საქმეზე ლაპარაკს. თუმცა, თუ თქვენ გგონიათ, რომ არავენ იქნება, შემატყობინე და მოვალ.

ბოღიში მოუხადე შენს დას ჩემს მაგივრად, წერილითვე რომ არ ვპასუხობ. გთხოვ გადასცე სიტყვიერად ჩემი პასუხი. მართალია, ჩემი მხრით ეს უზრდევლობაა, მაგრამ ის მაპატიებს.

40

[14 მარტი, 1863 წ.]

*ოლიკოჯანი! ეს ეს არის შენმა მოწონებულმა ლაზარემ გამაღვიძა და მითხრა, რომ ქალბატონს წიგნი უნდა მიჰსწეროთო. — რას მიჰქარავე? ვის ქალბატონს? — აი, ახალ ქალბატონსაო; მაშინ კი მიგხვდი, რომ შენზედ მეუბნება. ჩემო კარგო, ძლივ ავახილე თეალები და ისე გწერ, რომ ვერც ვერაფერსა ვხედავ და ვერც ვერაფერსა ვფიქრობ. ამიტომაც ვიცი შენის სიკეთისაგან მაპატივებ, რომ გუშინდელ წიგნზედ ეხლა, ამჟამად მოკლეთ მოგწერ.

შენა მკითხამ, როგორა ვნახოთ ერთმანეთითო; როგორც გინდა, შენ ოღონდ ბრძანე და ასრულება ჩემზედ მოაგდე. გინდა გუშინდელსავით აქ მოდი ჩემთან, არავენ არა გნახავს, გინდა მე მანდ მოვალ. გუშინდელ წიგნში მხოლოდ ერთი



რამ არ მამეწონა: შენ დას რად უთხარი ყველაფერი? მართალია, შენი და მთელ ქალაქის ქალებში უკეთესი ქალი მგონია, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა გეთქვა **.

რაც შეეხება წერილების გზავნას, ბარბარეს საშუალებით გადმოგვზავნი. მან დაიწყო, მანვე დაასრულოს.

შენი მარად

ილიკო ჭავჭავაძე.

41

[14 მარტი, 1863 წ.]

*ჩემო კარგო ილიკო! რათა ფიქრობ, რომ მე შენზედ გაჯავრებული ვარ? შენს დას რაც უთხარი, — ეგ მე რად მეწყინება ისე, რომ გაეჯავრებულიყავი, და ან რა ნება მაქვს გაეჯავრდე შენზედ, მე და შენ თავთავისი ბატონები ვართ, ჩემო ილიკო! შენ ფიქრი ნურაფრისა გაქვს. მხოლოდ ეს კია, რომ დღეს უნდა შენ დასთან ვიზიტად წავსულიყავი და რაკი შევიტყუე, რომ იმან ჩვენი ამბავი იცის, ამასაც თავი დავანებე **. ამას უზრდელობად ჩამომართმევს, მაგრამ რა გქნა? თუმცა ერთი მანუგეშებს, ის იმდენად ჭკვიანია, გაიგებს, რამ მაიძულა არა გწვივოდი. იცი, რა უხერხულია? იმედი მაქვს, თავის დროს გამოვისყიდო მის წინაშე დანაშაული, მანამდე კი ასე დაერჩები, როგორც ვარ. გთხოვ, შენი სულისა, არც ერთი სტრიქონი ჩემი წერილისა იმას არ აჩვენო. არ იფიქრო, თითქოს არ ვენდობოდე, ღმერთმა დამიფაროს, — ამას იმიტომ გთხოვ, რომ როგორცაა უკეთესია, როცა იცი, შენს წერილს მხოლოდ ის კითხულობს, ვინაც უგზავნი.

*ეგე, შენ გეთყვანე, მე ახლა ვარვარა ილინინასთან მივდივარ. ამ წიგნს მალე არ გავთავებდი, მაგრამ სტუმარი მოვიდა.

გაკოცებ ათასჯერ

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე **.

42

[14 მარტი, 1863 წ.]

როგორც მონა, მორჩილებით, შევასრულებ ჩემი დედოფლის ბრძანებას. 11 საათზე, თუ მელირსა, ჩემს ძვირფას ილიკოს მოგვხვევი. მე კარგადა ვარ, ჩემზე ნუ იღელვებ. მომიტევე. მოკლედ რომ გწერ, ჩემთან ზის ისეთი „ბობოლა“, უხერხულია ბევრის წერა.

გაკონი, ილიკო!

შენი სამუდამოდ ილიკო ჭ.

43

[15 მარტი, 1863 წ.]

*შენი კი ჭირიმი, ჩემო ილიკო! ** რატომ არის ასე, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ძვირფასი რად ხდები ჩემთვის? ოჰ, შე ჯადოქარო, შენა! შენ დღეს, რომელიც ასე მორჩილულია, ჩვეული ხალისით მილინოდ აღთქმული ფანჯრიდან: მამ მეც მთელი დღე კარგ გუნებაზე ვიქნები. როდესაც შენ რალაცეებზე ჩაიფიქრებდი ხოლმე, სხვათა შორის იმაზეც ვფიქრობ, რომ შენ სრულიად დამიმორჩილე. იყო კი დრო, როცა ზვიადად ვფიქრობდი ჩემ შესახებ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მევე ვიქნები-მეთქი. ახლა კი მე გამიჩნდა მფლობელი, ვისადმი დამონებაც ისე საამოა, რომ თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანს. დიახ, ჩემო შეგობარო, ცხოვრება მამინ ნიშ-



ნავს სიბოხსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძობაც ამეტყველდება.

ჩემ პირველ ჟურნალში, მოთხრობაში * „გლახის ნამბობი“ **, ეს აზრი შენსანიშნავად გადმოსცა ჯუშმბერიძემ: *ჭკვა გზას გავინათებსო, გული კი გაათბობსო**.

ამ აზრის მთელი მშველება ახლავს გავიგე, იგი მეტად სწორი და სამართლიანია.

(წერილის შავი, ხელმოწერელია)

[16 მარტი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! ეს ეს არის შინ მოვედი ბულგარიდამ, სადაც შენა გნახე. ხომ არ გაჯავრდი გულში, რომ არ მოვედი თქვენთან? როგორ მოვსულიყავი ქალაქის კორებს ვილა გადურჩებოდა. დარწმუნებული იყავ, რომ შენი ნახვა, იქნება, მე უფრო მინდა, ვიდრე შენა ჩემი ნახვა, მაგრამ ჯერ ჩვენი საქვეყნოდ ნახვა ჩვენთვის მარხვავა. დღეს შიოგვის სახლებში პორტრეთი აგელო, რატომ არ შემატყობინე? ხომ არ დაგავიწყდი?

იმ დღეს ელენემ რაღაცაები მითხრა, მე რუსული „ატაკიზი“ ვუთხარი, მე არა ვიცი რა მეთქი. გაჯავრდა, მგონი, ჩემზედ. შენ დასთან ჯერ ვერ მოვალ, მინამ მამაშენიდან პასუხი არ მომივა. გუშინ, ვილაც სოლომონაა, ის გაეუგზავნე. დიდი იმედი მომცა და არ ვიცი რატომ არ შემატყობინა პასუხი, რომელიც დღეს უნდა მოეტანა. ეს კი იცოდე, ჩემო ოლიკო, რომ არც ერთს შენს ნათესავს არ უნდა, რომ მისიძონ. მე, რასაკვირველია, ეს თუმცა მწყინს, მაგრამ ისე კი არა, რომ ჩემს ოლიკოზედ მინდობილი არ ვიყო. რაკი ჩემი ოლიკო თანახმაა, იმათ ბევრი ქოქოლაც რომ გვაყარონ, მაინც კიდევ ჩვენებურად ბედნიერი ვიქნებით. ტყუილია თუ? **

მამაშენის პასუხს თრთოლოვით ველოდები, ჩემო მეგობარო. გული მეუბნება, მაინცდამაინც საამო პასუხი არ იქნებაო. ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე! სხვა, შენ როგორა ხარ? მითხრეს, თითქოს შენ გაჯავრებენ, მართალია? იმათ ერთი შენებურად დაუტრიალდი, ჩემო მეგობარო, რომ ცოტათი ენა ჩააწყვეტინო, თორემ ძალიან შეატოპეს.

გიგზავნი ბევრ ქალაღს, ამ ქალაღების გათავებამდე, მე მგონი, შენ უკვე ჩემი ცოლი იქნები. მამინ ქალაღი აღარ დაგჭირდება, რადგან სულ ერთად ვიქნებით, * შენი ჭირიმე, ოლიკო! **

როგორმე მოახერხე ხვალ ექვსი საათის შემდეგ ჩემთან შემოვლა. ძალზე მინდა ჩემი ოლიკოს ნახვა.

თუ ვერ შესძლებ, მომწერე — ელენესთან როდის იქნები, მეც იქ მოვალ. ხვალ კიდევ გამოგიგზავნი ბიჭს.

შენი საუკუნოდ ილიკო კ.

დღეს ლაქსინთან ვიყავი; ის ჯვარი შენი იქნება. იქნებ ერთხელ კიდევ შეიარო ლაქსინთან? კარგად დაათვალიერე სამაჯურები. სხვათაშორის, იქ ყველა სამაჯურის ფასი გაიგე, და იმ სამაჯურს, რომელიც, მისი ანგარიშით, 700 მანეთი ღირს, მიაქციე განსაკუთრებული ყურადღება, ეგების მოგეწონოს.

მომიტყვევ წერილისათვის, შემინია, სადმე არ გამასწრო, ამიტომ ჩქარა მინდა გამოგიგზავნო.

შენი ილიკო და მარად შენი ჰაკვავაძე.

[17 მარტი, 1863 წ.]

ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! დღეს ბარბარემ რაღაცა კი ამბავი მომიტანა თქვენის სახლიდამ, არ ვიცი როგორ დაბოლოვდა. რა უნდა შენგან იმ სულ წაწყემენდილს, ნინოა ვილაცა? ნუთუ მე და შენი საქმე ისე უღვთო რამ არის, რომ იმაში ღმერთ-



მა გარია ეგ ქაჯი და სულთამხუთავი? აი დაშამათოს ღმერთმა, — აქედამვე ქოქოლას ვაყრი მის ბრწყინვალეებას. სხვა არაა იქ შენს ახალს სადგომში? როგორ მოეწყვე? შენი ოთახის ფანჯრები საით არის? დღეს ორჯერ გამოვიარე და შენ ისეთი უგულო იყავ, რომ არცკი გადმოიხედე. შენი ქირიმე ოლიკო! არაფერი არ დამიმალო, ყველაფერი მომწერე, რაც მუხრანსკის ცოლისაგან შენ გადაგზებდა.

შენი სამუდამოდ
ილიკო ქავჭავაძე.

46

[18 მარტი, 1863 წ.]

ოლიკოჯანი! გუშინ ვიყავ შენ დასთან, იმისთანა ამბავი არა მომხდარა, რომ ცოტა იმედი მოგვმატებოდა. სწორედ გითხრა, ვერც რიგიანად მოვილაპარაკეთ, ვილაცა ქალი იჯდა და იმან დაგვიშალა.

ჩემო კარგო! შევიტყვე, რომ შენ თურმე გაწუხებენ, რაღაც ნივთებს და კამოდებს გთხოვენ, შენ ნუ სწუხარ, დაე სულ წაიღონ, ოღონდ შენ კი მოგასვენონ. მაგის გულისათვის ჩხუბს და დავიდარაბას ნუ გამართამ, თუ გიყვარდე. თუ ვინიცობაა დაგჭირდეს რამე, მე შემატყობინე, ყველაფერს გიშოვნი. ერთი რამ უნდა გითხრა და მეშინიან არ გამიწყრე, მაგრამ რადგანაც მე შენი ვარ და შენ ჩემი, იმისათვისა ვბედავ თქმას. აი რა მინდა გითხრა: თუ ფული დაგჭირდება, მე ძალიან შეწყინება, რომ არ შემატყობინო. ან რად უნდა გჯავარდუ ამაზედ, მე ხომ შენი ილიკო ვარ და შენ ჩემი ოლიკო, თუ ეგრეა, ნურაფერში ნუ მომერიდები, შენ გეთავყვა.

დღეს თორმეტს საათზე ელენეს დაუბარებვივარ, ნეტავი შენც მოხვიდე, საშინლად მინდა შენი ნახვა. მოხვალ, თუ არა?

შენი უკუნითი უკუნისამდე

ილიკო ქავჭავაძე.

47

[19 მარტი, 1863 წ.]

ჩემო, მეგობარო ოლიკო! გუშინ 11 სათამდე ვიჯექ შენს დასთან, მეგონა მოხვიდოდი, ამოაო! — არ მოხვედი.

დღეს გელოდები, კარგს იხამ თუ მოხვალ. მძიმე ნადგელი დამაწვა გულზე, არ ვიცი, ძვირფას სტუმარს რომ ველოდები იმიტომ, თუ სხვა მიზეზისა გამო. ხვალ მოდი ჩემთან, თავისუფალი ვიქნები, თუნდაც შუალამემდე. თუ შეგიძლია მოდი დღესვე, ძალიან მინდა გნახო და შეგახურო გუშინდელი წერილისათვის.

იმიტომა გწერ ასე ცოტას, რომ შენი მოსვლის იმედი მაქვს, ღვთის გულისათვის, მოდი, თუნდ ერთი წუთით შემოიარე.

შენი საუკუნოდ ილიკო.

დღეს ნამდვილად არავინ მეყოლება. 10-დე დაგელოდები, ეცადე, არ დაიგვიანო.

48

[20 მარტი, 1863 წ.]

შენი სულისა ოლიკო! დღეს რომ არ გინდა ჩემთან შემოვლა, როგორი არა კეთილი ხარ. შენ ხომ შემპირდი, კვირამდე მოსვლას როგორმე მოვახერხებო. რად დიდე ასეთი ცოდვა, ჯერ იმედი მომეცი და გამახარე, მერე წამართვი და მომაწყინე. ეს მით უფრო საწყენია, რამდენადაც შეხვედრის იმედი სასიხარულო იყო, ჩემო ანგელოზო! თუმცა შინ და გარეთ ისე ხარ გართული, რომ ჩემთვის აღარა გცალია. ტყუილია თუ? მხიარულად გართული, ძალდაუტანებლად არცკი მოგაგონდება, რომ სადღაც არის ერთი არსება ისე განწყობილი, რომ შესაძლოა შენ გამო დაღონებული იყვეს.

მიუხედავად ამდენი საქმისა, რომელიც გადავიყვარე, მას შემდეგ, რაც შევიყვარე ერთი გიჟმაგი, ეს სამი დღეა 12-დან საღამოს 6 საათამდე ბულვარზე დავსეირნობ, იმ იმედით, იქნება თვალი მოიკრა მეთქი. მითხრეს, რომ შენ ყოველ დღე სეირნობ და, აბა მე რა გული გამიძლიებდა. მხოლოდ გუშინ გამიღიმა ბედმა და დავინახე, — მადლობა მოძიხსენებია ბედისათვის, ეტყობა, არც ისეთი ინდაური ყოფილა.

მართლა არ მოგწონს ჩემი ამორჩეული მაჭანკალი? დარჩიანოვი მართალია, არისტოკრატი არ არის, მაგრამ კარგ მაჭანკლობას არისტოკრატობა რაში სჭირდება? მითხრეს, თითქოს ეს ბატონი მამაშენთან დაახლოვებული კაცია და სხვაზე მეტად მას უჯერებსო. ამის შემდეგ, როგორ არ უნდა მომენახა ასეთი ძვირფასი აღამიანი იმ საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ერთდღიანი დროს გვახარებს და გვტანჯავს კიდევც. ესეც არ იყოს, მას რითი სჯობია შენი ამორჩეული * მაჭანკალი **, რომელიც პირველ დღეს გამომიგზავნე? მე მგონია, ერთმანეთის უკეთესობას ვერცერთი დაიტრახებებს, ასე რომ ბარი ბარში ვართ, ჩემო ანგელოზო! ხუმრობა იქით იყოს, მე მინდა ერთერთი ჩემი მთავარი ნაკლი იცოდეს: ჩემი არსება ისეა აგებული, რომ ამ უბრალო, გულზეგავობას მოკლებულ მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი სალი აზრი მეგულება, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობითი კეთილშობილური სისხლი გულზე გადადობას შეუძლებელია. შენ ისე ჭკვიანი ხარ, ჩემო ანგელოზო, არ მისაყვედურებ ამ სიტყვების გამო, ამ სიტყვების სიმართლე ფაქტებზეა დაფუძნებული.

ვნახოთ რა პასუხს მომიტანს მამაშენისაგან ეს სიტყვები, მერმე თუ საჭირო იქნება, ირაკლის მივავითხავ. თუმცა ეს მეტად მიმიძის, მაგრამ რა ვქნა, როცა ჩემი ოლიკო თავის სიყვარულს მაფიცებს. ასეთ დროს ცეცხლშიც ჩავვარდებოდი დაუფიქრებლად, მით უმეტეს მივალ ირაკლისთან გამოვითხოვო ის, რასაც ასე ვესწრაფვით სიზმარსა და ცხადში.

* თუ გიყვარდე, ოლიკოჯან, დღესვე შეიარე ლაქსინთან და კარგად გასინჯე ის სამაჯური თავის მოწყობილობით, რომელიც იმის, ფიქრით, სამოცდაათ თუმნათა ღირს. ნუ გეშინიან, შენ ოღონდ მოიწონე, მე იაფად გამოვიტან. ეს კია, რომ არაინ არ უნდა იცოდეს ეს ამბავი.

შენი ჭირიმი, ოლიკო! ახლა მინამ ჩვენი საქმე არ გათავდება, არ მეჩვენები მე? რა არი, ქალო, მოიგონე რამ, ან სტარიცკისთან წადი ან დობლანსკისთან და იქიდან ჩემთან შემოფრინდი. შენი დის ფაქტონით კი არ მოხვიდე, იქირავე და მე გაიგისტურებ. ელენესთან თუნდ რომ გნახო, რა გამოვიდა? ხომ ვერ გაკოცებ? ** მე კი ისე მინდა გეამბორო, ჩემო მეგობარო!

შენი საუკუნოდ ილიკო.

P. S. მართალია, რომ არ შეიძლება ყოველდღე ბიპის გამოგზავნა?

[21 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო! რა გითხრა მამაშენმა, ალბად რამე არა სასიამოვნო. ნუ მიბრალებ, რაც იყო ყველაფერი მომწერე, რომ ვიცოდე, როგორ ვიმოქმედო. ძალზე მომეწონა ასეთი სულელური, გაურკვეველი მდგომარეობა, მალე უნდა მოვთავთო. მე უთუოდ წავალ ირაკლისთან, თუ კი უიმისოდ მართლაც არაერთი ხერხდება. დღეს ან ხვალ გამოვიცხადები უმდაბლესი საღმთა და მორჩილი თხოვნით. თუ აქაც არაფერი გამოვიდა, დამრჩენია რომანტიკული რალაც მოვიმოქმედო, რომ ამით მაინც დავამარცხო ისინი, რომლებიც მე ბედნიერებას მართმევენ.

* ლაქსინთან იყავი? მოგეწონა, თუ არა. ოპ, როდის იქნება გნახო, მე კი ჩემი დამემართა და შენი კი არ ვიცი. რომ მნახო, ვერც კი მიცნობ, ისე თურმე გამხდარავარ. მოხვალ დღესა? შენი ჭირიმი, თუ გიყვარდე, მოდი. შეყოფა, რაც შენი უნახაობით ჭირი გამოვიარე.

შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე.

მომიტევე პატარა წიგნზედ, საჩქაროდ ვწერ. შენი და როგორ არის? ხომ არ დაწვა? **

[22 მარტი 1863 წ.]

*ჩემო კარგო ოლიკო! ** ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ჩემო ანგელოზო, თორემ ცუდი დღე დამადგება! დარჩი ტფილისში. გინდაც ყველანი აგვიჯანყდნენ, შენ მაინც ჩემი იქნები, ძე კი შენი. ოღონდ, რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ღვთის გულისათვის ირაკლისთან ნუ გამგზავნი, შენ მას კარვად არ იცნობ, მეგობარო! თუკი ვინმე ჩვენს ბედნიერებას ხელს უშლის, ეგ არის, მე სანდო წყაროებიდანა მაქვს გაგებული.

გუშინწინისწინ ჩემზე ლაპარაკი ყოფილა მამაშენთან და, ამბობენ, შენი ირაკლი ყბა-აღებით აუგად მახსენებდა, აბა ამის შემდეგ როგორღა მივიდე მასთან, მაგ ბატონის ნახვისას ხომ სულ ღვარძლი უნდა ვანთხო. ძნელი იქნება თავი დავიჭირო უკმეზობისაგან, რისი ღირსიც ეგ არის. თუმცა, მგონი, მაგის დახმარება აღარც დაგვჭირდეს. მამაშენი დღეს კინაღამ დაეთანხმა ჩემს წინადადებას და ამით ჩვენი საქმის კეთილად დამთავრების იმედი არის. მამაშენი, შეიძლება ითქვას, ნაადვილად დაგვეთანხმება, თუკი ირაკლი და მისთანანი მამაშენთან არ იფილდებენ. ხვალ წერილით მინდა აღუდიცნა ვთხოვო მამაშენს. აი, იქ კი ქრისტედ უნდა მოვიკატუნო თავი, რომ მაძინვე დავიყოლო. თუმცა ზედმეტად რაღად უნდა ვილალოთ? მე ისა მკლავდა, რომ მეგონა, თუკი გასაქცევად გვექნებოდა საქმე, არ გამოწყვებოდი, — ხოლო რაკი თანახმა ხარ, ზღუასაც კი გადავლახავთ.* აი მაგისთვის მიყვარხარ ჩემო ოლიკო! ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი! **.

ამის შემდეგ როგორღა წარძოსთქვი, — დაფიქრდი, ჩემთან უბედური არ იყო. ო, ჩემო მეგობარო, ის თუ გამხდინდა უბედურს, რომ თვით შემშურდეს ჩემი თავისა, ჩემი ძვირფასი ოლიკო ასეთი კარგი რომ მყავს: მიზეზი უბედურებისა სხვა რა უნდა წარმოვიდგინო! ჩემზე ნუ ფიქრობ, ოლიკო ისეთი ქალი იქნება, რომ მისი ქმარი იმად არ ეღიერება. თუ გინდა, შენ თვითონ დაფიქრდი, ყველაფერი აწონდაწონე, მერმე რომ კმაყოფილი დარჩე, — ადამიანები ხომ კმაყოფილებამი ხედავენ ბედნიერებას. * ეგრე გეთაყვახე, გამახარე ხოლმე, როგორც შენმა წიგნმა დღეს საღამოზედ გამახარა და მე ბედნიერი ვიქნები **.

ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარ-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, ვადვილით კიდევ, ჩემო მეგობარო! ღმერთმა იმტომ მოგცა გრძობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გავიტობოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელია და თვით დამარცხების დროსაც სასახელია.

* შენი პორტრეტი მე დილასვე გამოვართვი **. რა ნაღვლიანი ხარ, ჩემო ანგელოზო! ყველას მე დავიტოვებ. ისინი მთლად ისე კარგი არ არის, შენ ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე სურათებში. * ნეტავი დღეს მოსულიყავ: რა რიგად გელოდი? რამდენი რალაცეები უნდა მეჩვენებინა შენთვის.

შენი უკუნითი უკუნიამდე ილიკო ქავჭავაძე **.

[ცალკე ქალღმერთი მინაწერი:]

ის ნივთები, შენ რომ ლაქსინთან ნახე, ჩემთვის გადავანახვინე. საათი თავისი მოწყობილობით (შენ ის არ გინახავს), ჯვარი და სამაჯური ქინძისთავებით, საყურეები, გულდასახნევეები, სამი ოქროს ძეწკვი, სხვადასხვა რამისათვის რომ გამოდგება, — ეს ყველაფერი ჩემთვის გადავანახვინე ერთის პირობით: თუ შენ არ მოგწონება და თუ მამაშენი თანხმობას არ გვეტყვის, უკანვე დაუბრუნებ. თუ მართლაც მამაშენმა უარი გვითხრა, უკეთესი იქნება, ეს ფული უფრო საჭირო საქმისათვის გადავინახოთ. განა მართალი არ არი, მეგობარო!

[24 მარტი, 1863 წ.]

* შენი სულისა ოლიკოჯანი! დანაშაული მაქვს, შენ გეთყვანე, რომ წიგნი არ მოგწერე. მე მინდოდა ჯერ ირაკლი მეხახა და მერე მომეწერა ყველაფერი. ნუ გამოგავრდები, რაღა ეგ მინდა, ისიც მეყოფა, რაც ბედი ჩემზედ ჯავრობს, რომ შენს თავს არ მაჩვენებს ხოლმე. შენთან, რაც უნდა საქმე მქონდეს, როგორ დამხარდება წიგნის მოწერა**. ეს მიმოწერა, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ჩემთვის არსობის პურია, შენ ეს იცოდე, და მომიტევე.

* შენ რომ გნახე, ირაკლისთან წავედი; შინ არ იყო, მაგრამ მე ახალი ამბავი შევიტყე. დილას ერთი ჩემი ამხანაგი წინამძღვრიშვილი ყოფილა მამაშენთან. ჩემზედ დაუწყევიათ ლაპარაკი. წინამძღვრიშვილს უთქვამს, მოვილოცოთო ქალის ბედნიერებაო. მამაშენს შორს დაუქერია. მე მოლოცვისა არა ვიცი რა, თუ უნდათ ერთმანეთით, ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეთო. მე არც არას ვეტყვი, არც ჰოსაო, როგორც დაუწყევიათ, ისეც ვაათავონო. ესეც შევიტყე, რომ ჩემი მიღება არ უნდა, აბა, აქ ამ ქონხანშია სად მივილო, — უთქვამს მამაშენს.

აი, მოკლედ ის, რაც ულაპარაკია მამაშენს. სხვა რაც უთქვამს, ისე სასიამოვნო არ არის, როგორც საწყენია, რად გინდა რომ იცოდე.

რა უყო, შენი ჭირიმე, ოლიკო? წუხელ მთელი ღამე არა მძინებია სიხარულითა, რომ ხვალ ოლიკოსთან ვიქნები მეთქი, მაგრამ აქაც მოვსტყუედი და ვეღარ მოვალ. შენც არ მამიკედე, ხომ იცი შენს სახელს ძნელად დავიფიცამ. რომ ჯაერისაგან აღარა ვარ. თავი გატენილი მაქვს უსიამოვნო ფიქრებითა და თუ რამ სასიხარულო მაქვს, ეგ ისა, რომ ოლიკო ჩემკენ არის და ჩემი იქნება. ნეტავი მალე გახსნილდეს მაინცა, მე ვიცი ამ საქმეს რა რიგად მოვეუბნებოლა**.

ჩვენი ჯერიც მოვა და ბედს ჩვენს დუღუჭუჭე სულის ამოხდამდე ვაცეკვებთ. თუ თვითონ არ შეგიბრალა, არც ჩვენ შეგიბრალებთ მაგ სულელსა. დე იქ მამაშენმა ჩვენზე იბუზღუნოს, თუ კი იამება. კარგი იყო დაველოცეთ; — არა ქნა, ღმერთი იყოს მისი შემწე, დაულოცავადაც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება. შენი და არის ამის ცოცხალი მოწმე.

მე ოთხიდან ხუთამდე და ექვსამდე ბაღში ვიქნები. თუ გინდა მოდი.

შენი საოკუნოდ ილიკო.

მინდოდა კოცნა გამომეგზავნა, მაგრამ ჩემზე გაბრაზებული ხარ და არ მიიღებ.

[26 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო ოლიკოჯანი! მომიტევე, გვიან რომ გასულხობ წერილზე. ჩემთან ზაგურსკი იჯდა და ღამეს 2 1/2 საათამდე დარჩა. უხერხული იყო მასთან წერა.

რა საკვირველი ხარ, ჩემო ტრედო! დღეს მოწყენილი ვიყავი, შენ კი მოგჩვენებია, თითქოს შენზე ვიყავი გაჯაერებული, რადგან პლატონოვსა და ბრიუგელს ესაუბრებოდი. როგორ ფიქრობ, ვითომ ვეჭვიანობ? იცოდე, ჩემო ანგელოზო, სადაც ვეჭვიანობაა, იქნლობა და პატივისცემა არ არის. მე არ მინდა, ასე რომ ფიქრობდე ჩემზე. * შე გიყო, მაგისათვის ყურების გასაწევი ხარ, მაგრამ რა გიყო, რომ შორსა ხარ**. იმიტომ კი არ ვიყავი მოწყენილი, რომ შენ მზიარულობდი, ძალზე სუსტად ვგრძნობდი თავს და ცუდად ვხდებოდი. შენი მზიარული და გამომწვევი ჩემად ნასროლი შერა მაცოცხლებდა, თორემ ღმერთმა იცის, რა დამემართებოდა — ნახევარი საათიც კი ვერ გაძილ ფეხზე. დიან, ჩემო ანგელოზო, ცუდად ვგრძნობ თავს, საშინლადა ვარ მოშლილი. არ ვიცი რით დამთავრდება ეს ყველაფერი, ის კი ვიცი, იმდენად დაგსუსტდი, რომ იძულებ



ბული ვიქნები ისევ ჩავეწვე ლოგინში. გუშინ რალაც რეცეპტი გამომიწერე, ვისარგებლებდი, მაგრამ იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ მქავე მურაბებისა, ფორთოხლებისა და ზოგიერთი ხილის გარდა სხვა რამის ჭამა აკრძალული მაქვს. დღეს უკვე მეოთხე დღეა საჭმელად არაფერს მაძლევენ. მაგრამ შენ ნუ ინაღვლებ, ყველაფერი გაივლის და გამოვჯანმრთელდები.

*ჩვენი საქმისა რა შეიტყე? რატომ არასა მწერ? რა კარგი იყავ დღეს! შენც კი რამდენიმე ხანს დამიღონდი, ჩემო გვრიტო, მე რომ ისე მნახე. მე შემეცოდე და მერე, თუმცა არ მეცინებოდა, გაგიცინებდი ხოლმე. მაშინ ჩემი ოლიკოც გამიმხიარულდა. შენი ჭირიმე, ოლიკო, წიგნები არ მომაკლო, თორემ უკეთესს წამალს წამართმევ მე და მერე კარგილი დამჩნები. ასე ნეტაჲი კიდევ ერთხელ მაინც ჩემთან შამოპტრინდე! ღმერთს გეფიცები, რომ მკვდარიც რომ ვიყო გავცოცხლდები. გაგონილა ამისთანა უღვთობა: დღესა თუ ხვალ ჩემი ცოლი უნდა იყო და როცა კი მიჭირს ვერა გხედამ.

შენი საუკუნოდ ილიკო ქავქავაძე **.

53

[27 მარტი, 1863 წ.]

მობარული ვარ, ჩემო ანგელოზო! ნება მომეცი გაკოცო კარგი ამბის შეტყობინებისათვის.

შენი ილიკო.

54

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო ანგელოზო, მგონი, ცოტათი მოეჯობინდი. ექიმს ველოდები, ვნახოთ რას მეტყვის. ალბათ ნახევარი საათით ადგომის ნებას მომცემს. მე იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ მინდა, რამდენადაც ჩემ მშვენიერ ანგელოზს ოდნავ მოვკრა თვალი.

იყავი ჯამრთელად.

შენი საუკუნოდ ილიკო.

55

[28 მარტი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო! ახლა ჩემთან ექიმი იყო, ხვალ გარეთ გამოსვლის ნება მომცა, თუკი კარგი დარი იქნება. მართალია, სუსტადა ვარ, მაგრამ ავადმყოფობისაგან კი არა, არამედ იმის გამო, რომ ორი დღეა პირში ფორთოხლებისა და მქავე მურაბის გარდა ლუკმა არ ჩამიდვია.

ხვალ შენს სანახავად გამოვალ. ძალზე მიხარია, რომ ჩვენი საქმის თაობაზე კეთილი ამბავი მაუწყე.

ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, ჩემო ანგელოზო! ჩემი და ჩემთან არის და კიდევ ერთ წელს დარჩება აქ.

იყავი მშვიდად,

საუკუნოდ შენი ილიკოს გამო.

[2 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო მეგობარო ოლიკო! მომიტევე, რომ ასე გვიან გიგზავნი წერილს. ჩემი უპატივცემულები ლაზარე მთელი კვირა ისე იქცეოდა, რომ ბრაზით მავსებდა; მის მიმართ რომ ცუდი რამე არ შეკადრა, გადავწყვიტე გამეგდო და გავაგდე კიდევ. არ ვიცოდი, ვისთვის გამომეტანებინა ბარათი, შე კი ძუავეს ხალხი, მაგრამ არ მეგონა, თუ ვინმემ იცოდა თქვენი სახლი. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, თორემ ყველას სკოდნია. მე მიხარია ეს ამბავი და გწერ.

გუშინ ჩემთან იყო ზეჩო (დარჩიანოვი). როგორც ის ამბობს — არის იმედი, რომ მამაშენი დამლოცავს. მაგრამ, ამბობენ, ნაწყენი კი არისო, რადგან ჩვენ არაფერი შევატყობინეთ და უძისოდ მოვაგვარეთ საქმე. — ეს სხვათა თორის. დღეს საღამოს ირაკლისთან წავალ, შუადღისას კი — დახმარების სათხოვნელად — ივანე მალხაზის-ძესთან.

გუშინ 7—9 საათამდე ძალივით დავწანწალებდი ძაღლების ბაღში. წერილის გამო უყურადღებობისათვის შენ რივიანად დამსაჯე.

ათხოვ. თუ შენთან ლაზარე მოვიდეს, * თუ გიყვარდე ** ნუ მიიღებ და ნუ შოუშვებ შენთან, თორემ ძალზე მაწყენინებ.

შენი ოლიკო კ.

[3 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო გვრიტიკო! რაზედ მიწყებოდი დღეს, რომ შენს სანახავად მაღლა ბალკონზედ ავედი? დღეს მთელი საღამო სულ ბაღში დავალამე და შენ ვერა განახე. რა დაგეძარათა?

ხვალ მალხაზიჩი წავა მამაშენთან და ხვალვე იქნება მეც ვიახლო ჩემს ქალბატონსა.

ლაზარესი ნუ გეშინიან, არ გავცემს.

ცოტასა გწერ იმიტომ, რომ სტუმრებით გატენილია ჩემი სახლი. იმედი მაქვს პასუხს მაღირსებ.

შენი საუკუნოდ

ოლიკო ჭავჭავაძე.

[4 აპრილი, 1863 წ.]

ჩემო ოლიკოჯანი! დილა კარგა ყოფნისა. რა რიგათა ვწუხვარ, რომ შენ მუშტაიდში ყოფილხარ გუშინ და მე კი არა. განა არა, გული ძიწვედა, მინდოდა წამოვსულიყავ, მაგრამ იმისიც შეშინოდა, რომ ვაი თუ აქ ბაღში გამოვიდეს მეთქი და მოვცდე ოლიკოს ნახვასა. დღეს სადილს იქა ვჰსკამ, საიღამაც გუშინ დაგინახე. მეორე საათზე მოვალ და დამენახვე, თორემ გიჯს დაგიძახებ.

რა რიგად მოუთმენლად ველი ივანე მალხაზიჩისა! ჩვენი ბედი რომ დატრიალდეს და შენის ნახვის ნება მომცეს, რა რიგად გამოვიტყევი შენკენ. ეს კია, რომ მე და შენ მანდ ცალკე ოთახი უნდა გიქოსდეს, რომ შე და იეს ვიყენეთ ხოლმე და სხვა არავინ. არა, შენ გეთაყვანე, ესე კარგი არ იქნება? შეყვარებულებსო, პოეტები ამბობენ, მარტოობა უყვართო; მე ეხლა მჯერა, რომ ეს მართალია. ეჰ, ნეტავი კი განახო ხოლმე და საცა უნდა იყოს სულ ერთია, იმიტომ რომ, ათასი კაცი რომ იყოს, შენს მერტს არავის დაგინახამ.

შენი ოლიკო ჭავჭავაძე.



[5 აპრილი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! ** „ვაშა“ ვის ეკუთვნის? მე თუ შენ. არც ერთ ჩვენთაგანს; მხოლოდ ხეჩოს, უკვდავ ხეჩოს შევეძახოთ ერთხმად ვაშა! აი, ხელავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა საქმე გააკეთა ამის შემდეგ იცოდე, პატარა აღამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმის მოგვარება. სახელი და დიდება მას, რომ მოახერხა ჩვენი საქმის უდავიდარაბოდ გათავება. მას, ჩემო მეგობარო, შევეძახოთ „ვაშა!“ შენ უნდა ჩამოაცვა წვეტიან თავზე დაფნის გვირგვინი. ამ გვირგვინში იგი ალკივიადეს მსგავსად გამოიყურებოდეს იქნება.

შენ უკვე დათრობა მოასწარი? ცუდად ახასიათებ ხომ შენს თავს პირველსავე ხანებში. თუმცა თვით სიხარულიც, მით ყოვეტეს მოულოდნელი, ხომ დამატობელი ბანგია, ზოგჯერ ღვინოზე მეტად არყივს, თუ კი კაცი არ არის მას შეჩვეული. შენი მორჩილი მსახურიც ახლა მისგან იმასვე გრძნობს, რასაც შენ გრძნობდი შამპანიურის დაღვეის შემდეგ. *ბარი ბარში, ჩემო გვრიტიკო!.. **

როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდისთან გავგზავნი. თუ ხვალ ჩემი წამოდგომა სახიფათო არ იქნება, თვითონ წავალ იქ, სადაც საქიროა და ყველაფერს მოვაგვარებ.

*ქალო! მართალა ჩემი ხარ?.. **

შენი საუკუნოდ ი ლ ი კ ო კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე .

[6 აპრილი, 1863 წ.]

*ო ლ ი კ ო ჯ ა ნ ! ** დღეს ხუთ საათზე ავდექი და სრულიად ჯანმრთელი ვარ. იცი, რატომ ავდექი ასე ადრე? რომ ვიმუშაო, რომ ჩემი საქმეები ადრე მოვათაო და დიდი დრო დამრჩეს შენთან სალაღობოდ, ჩემო ანგელოზო! დილის საათებში, როცა ჩემს ანგელოზს სძინავს, მე ვიმუშავებ, რომ მთავარი დრო მასთან გავატარო, — რა ბედნიერებაა!..



გიორგი ნაგროშვილი

ფიქრები ჩვენს კრიტიკაზე

როცა სიტყვა ქართულ კრიტიკაზე ჩამოვარდება, ხშირად უიმედოდ ჩაიქნევენ ხოლმე ზელს — ვითომდა საღ არის ჩვენში კრიტიკაო, უმალ მიაწებებენ მას ჩამორჩენილის იარაღებს და დაიწყებენ მტკიცებას, რომ ეს ქანრი მხარს ვერ უსწორებს ჩვენს ლიტერატურას, რომ თავისი ინტელექტუალური დონის მიხედვით არ შეეფერება ჩვენს მართლაც საქვეყნოდ ცნობილ პროზასა და პოეზიას. და საილუსტრაციოდ გაიხსენებენ რომელიღაც ყურნალში თუ ვაზეთში დაბეჭდილ წყალ-წყალა რეცენზიას, რომელსაც ჩვენს კრიტიკასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

გულახდილად რომ თქვას კაცმა, ეს ძალზე უსამართლო და მკაცრი განაჩენია იმ ადამიანების მიმართ, ვინც მთელი განვლილი ათეული წლების მანძილზე არა მარტო განამტკიცა, არამედ ტრადიციაც შეუქმნა ქართულ საბჭოთა კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას. ამ ადამიანების შრომას აუცილებელ საჭიროებად თვლიან და, ამავე დროს, არც აფასებენ. სინამდვილეში კი, კაცმა რომ ჩამოთვალოს მარტო საათურები ჩვენი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების ვრცელი ნაშრომებისა და კრებულებისა, გაითვალისწინოს წრე პრობლემებისა, რომლებიც აღძრულია ამ წიგნებში — უკვე ასე აფილიად ვეღარ ჩაიქნევს ზელს.

ავიღოთ ჯერ ის საკითხი, თუ რა როლი ითამაშა ჩვენმა კრიტიკამ თანამედროვე ლიტერატურის წინ წაწევისა და აღორძინების პროცესში. კრიტიკოსის ღვაწლის ნაყოფი ამ სფეროში არც თვალთი დაინახება და არც სტატისტიკით აღირიცხება. ეს ნაყოფი, ეს დადებითი ზეგავლენა ჩვენი კრიტიკისა ჩაქსოვილია

ჩვენზე მოეტებისა და პროზაიკოსების წიგნებში, მათი ოსტატობის ზრდაში, იმაში, რომ ისინი წლიდან წლამდე უკეთ წერდნენ, და აი ამ პროცესში ეხმარებოდა კრიტიკა მწერალს, ამხნევებდა, აქეზებდა, ხალისსა მატებდა, სტიმულს აძლევდა, ან შეცდომას უსწორებდა და ხელს უწყობდა, ეხმარებოდა არა მარტო მწერალს, არამედ — და ესეც მთავარია — მკითხველსაც. განა ჩვენი ლიტერატურა, დაწყებული მისი პირველი ნიმუშებიდან დღევანდლამდე რომ ასე პოპულარულია მთელ ქართველ ხალხში, რომ ამოხსნილი და გადაჭრილია უამრავი რთული პრობლემა, უახლესზე აღარას ვიტყვი, განსაკუთრებით ძველი და ახალი ლიტერატურის სფეროში — განა ეს იმათი ღვაწლი არ არის, ვინც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შეცინებების, ლიტერატურისმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის სფეროში მუშაობს? რა თქმა უნდა, ასეა.

მაგრამ ეს ხშირად არა ჩანს ხოლმე, იმიტომ, რომ რალაც უხვირო ჩვეულებისა თუ ტრადიციის წყალობით ჩვენში კრიტიკაზე არავინ არაფერს არ წერს, ამ ქანრის მწერალს არც კარგს მოუწონებენ და არც შეცდომასზე მიუთითებენ, კარგზე ბარაქალას არ ეტყვიან და ცუდზე საყვედურს.

და აი შედეგიც: ათი, ოცა, ოცდაათი, ორმოცი წელი წერს კაცი წიგნებს და ვითომც არაფერი მომხდარაყოს, თითქოს ეს წიგნები არც არსებულებო. მაგრამ კრიტიკოსსაც ხომ აქვს თავისი ოსტატობა, თავისი „ხელი“ თუ ზელ-წერა, თავისი მანერა, თავისი შემოქმედება, თავისი ხელვა სამყაროს; მასაც სჭირდება წახალისება, როცა ის ამის ღირსია, ნაკლებ მიითთება, რათა თავისი შეცდომა თუ ხარვეზი გაასწოროს, მაგრამ ჩვენში ამას არავინ აკეთებს.

რალა შორს წავიდეთ — ავერ სულ ახლახანს წავიდა ჩვენგან უბრწყინვალესი მოქართული

* გიორგი ჯიბლაძის წიგნის „კრიტიკული ეტიუდები“ გამო.

და შესანიშნავი მოაზროვნე გერონტი ქიქოძე. მის ყოველ წერაღს, მისი ფრაზის ელვარებას ჩვენ მუდამ აღტაცებაში მოვყავდით, გვიხაროდა, ღრმა ინტერესით ველოდით მის ყოველ ახალ სტატიას. მე, როგორც ერთი რიგითი მუსიკი და მორტფილე ქართული სიტყვისა, მუდამ უღრმესი სიამოვნების გრძობით ვიხსენებ მის ეტიუდებს ილიაზე, აკაკიზე, იაკობ ნიკოლაძეზე, ფიროსმანზე, ლადო გულიაშვილზე, პაოლო იაშვილზე, მის „თამარისა და შოთას პორტრეტებს“. ეს ნამდვილი შედეგებია იყო. მათ გატაცებით კითხულობდა მთელი საქართველო. და ეს იმიტომ, რომ გ. ქიქოძის ნაწარმოებში ინტელექტუალური განსჯა საოცარი ოსტატობით იყო შერწყმული ხელოვანის ინტუიციისთან; არ შემძლია აქ ერთი მაგალითი არ მოვიყვანო:

„თუშეცა ბრინჯაოს ქანდაკებანი თითქოს არ უნდა ექვემდებარებოდნენ ორგანიულ არსებათა ზრდის კანონებს, მაგრამ ეს უცნაური ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია, აშკარად გაიზარდა ჩვენს თვალწინ. თვალწინ მდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ოდესმე მიწაზეა. ილია, თუ არ ვცდები, ახლანდელი კომინტერნის, ყოფილი სასახლის ქუჩაზე დგას და ვილდას უხმობს მარცხენა ხელის მარჯვენაგული თითის ოდნე შესამჩნევი მოძრაობით — მეტრულს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს? მე მეჩვენება, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობდეს და ჩვენც მას ვუახლოვდებით. ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქო თანდათან იზრდება ჩვენი დედამამაქის ქვების ფონზე და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარდასულ წინაპართა შორის, ჩვენთან ბევრი არ დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯმუხი ადამიანი“.

ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი? ხელოვანი, მეცნიერი, პოეტი? ერთიც, მეორეც, მესამეც, რადგან აქ ისტორიული შემეცნებაც არის, უცნაური პოეტური ნათელხილვაც და მხატვრის თვალცი. რაც გინდა დაუძახებ, მაგრამ ერთში კი უნდა შევთანხმდეთ: წიგნის უზარმაზარი ტომი ვერ იტყვის იმას ილიაზე და ჩვენს ისტორიაზე, რაც ამ ერთი შეხედვით უბრალო ფრაზაშია ნათქვამი. იი ამას ჰქვია ოსტატი სიტყვისა!

და ეს კაცი ისე წავიდა ჩვენგან, რომ ყოველივე ეს ვერ ვუთხარათ, ჩვენი აღტაცება ვერ გავუზიარეთ. თუ არ ვცდები, მეგონა გიორგი ნადირაძე ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც საპეციალური წერილი მიუძღვნა გერონტი ქიქოძის სტილს. ეს იყო და ეს.

რაკი-ღა სიტყვას მოჰყავა, გავიხსენოთ თვითონ გ. ნადირაძის წიგნი „რუსთაველის ესთეტიკა“. ნ. ნადირაძის მაღალი ესთეტიკური

კულტურის ადამიანი იყო და ამ წიგნში მან მართლაც იპოვა ფართო ასპარეზი, გადაუშალა მკითხველს თვალწინ სიბრძნისა და მშვენიერების ის თვალწმედნელი სამყარო, რომელსაც რუსთაველის პოემა მოიცავს.

და არც ამ წიგნს გამოხმაურებია ჩვენი პრესა. ესეც იმ უხებრო ტრადიციის ბრალია, რომელიც კრიტიკოსზე და ლიტერატურის თეორეტიკოსზე წერას არასასურველ და ამოო საქმედ მიიჩნევს.

არ მინდა ეს სტრიქონები ისე გაიგონ, თითქოს კრიტიკოსისათვის დაფნის გვირგვინებსა ვთხოულობდე, თითქოს ღიბრამბების მოსურნე ვყო. არა, ვთქვათ ჩვენს კრიტიკაზე ვიცო და კარგიც; სხვათა შორის, ეს საკითხი მართლ ჩვენში როდი მომწიფდა. აბა ერთი წიკითხვით წლევანდელი „ოქტიაბრის“ მეორე ნომერში კორნელი ზელინსკის წერილი „პარადიქსი კრიტიკაზე“, ნახეთ ერთი როგორ გულნატკენი ჩივის ზელინსკი: „მე თვითონ კრიტიკოსი ვარ და არ შემძლია დავუწყუო ქვის სროლა ჩემს თანამომამეებსო, ყველანი დიდი ხანია მიეჩვივნენ რომ კრიტიკული წერილი ეურნალში უნდა აიწყოს ყველაზე წერილი შრიფტით და ის უნდა ითვლებოდეს როგორც რაღაც მეორეხარისხოვანი რამ თვით ყველაზე ცუდ მოთბრობსთან შედარებითაც კი“. გ. ზელინსკის ამ წერილს უმალ გამოეხმაურა „ლიტერატურისა და გაზეთა“ თავის სარედაქციო წერილში და აღნიშნა, რომ კრიტიკოსები ტყუილად არ ჩივიან — ეურნალეში თავს ისე ვერ ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლშიო, ეზო-ყურეში არ გვიშვებენ, ღობის იქით გვერეკებიანო.

მე არც კომპრომისებს, არც შედგავთებს და არც დათმობებს მოვითხოვ კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნისათვის. არც იმის დამალვა მინდა, რომ ამ სფეროში ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს; ამას ვის დამალავ, ნათქვამია — კაცმა ჭირი მაღა და ჭირმა თავი არ დამალაო. მაგრამ უნდა გავერკვეთ, როგორია ეს ნაყოფანებანი და სად იჩენენ ისინი თავს. ახლა მართლაც ბევრი იბუქდება წერილებო, რომლებშიც იშვიათად ჩანს შემოქმედებითი მიდგომა საკითხებისადმი, გაბატონებულია მეციტატებმა და მედავითნეობა, დოგმატიზმი და ერთი და იგივე, საყოველთაოდ ცნობილ ქეშ-მარტებთან თალმუდისტური განმეორება. ასეთ წერილებს აკლია ანალიზის სიღრმე, არგუმენტაციის საფუძვლიანობა, მითში დამკვიდრებულია გაცვეთილი შტამი და ტრაფარეტი, დეკლარაციული ფრაზა ცვლის კონკრეტულ ანალიზს; ასეთ წერილში აღარ ჩანს განსახილველი ნაწარმოების თავისებურება, აღარ ჩანს მწერლის მხატვრული სამყარო, და მით უმეტეს ინტელექტუალური სამყარო თვით კრიტიკოსისა. საკმარისია ასეთ წერილებში შეცვალოთ



ერთი პოეტის გვარი მეორეთი და ამით არაფერი შეიძლება.

ეს ასეა, მრავალი ასეთი წერილი იბეჭდება, მაგრამ მოდი ნუ ავიკლებთ ჩვენს პროფესიულ კრიტიკას ყველა ცოდვას, რასაც კი რომელიმე მოხალისე კალმოსანი ჩაიდენს. ამ წყალ-წყალა წერილებს ნუ მივიჩნევთ, თითქოს აქ იყოს თავი და ბოლო ჩვენი კრიტიკისა, არა. ჩვენ უკვე გვყავს კადრები, რომელნიც ამ ქანრის ნამდვილი ოსტატები და ხელოვანნი არიან.

კორნელი ზეღინსკიმ თავის ზემოხსენებულ წერილს უწოდა „პარადოქსი კრიტიკაზე“. რა იგულისხმება აქ? ზეღინსკის აზრით, კრიტიკას საფუძვლად უდევს პარადოქსი, როგორც დღეროს მსჯელობას სცენიურთ ხელოვნების შესახებ. ეს პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკა მით უფრო მეტად ხდება მეცნიერებად, რაც უფრო მეტია მასში ხელოვნება. პარადოქსებს რომ თავი დავანებოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკოსი, ერთსა და იმავე დროს, უნდა იყოს მეცნიერიც, მოაზროვნეც და პოეტიც: „როგორ უნდა წეროს კრიტიკოსმა პოეზიაზე, — წერს ზეღინსკი, — თუ ის სულთი პოეტი არ არის?“ ეს, რა თქმა უნდა ახალი აზრი არ არის, მაგრამ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ამას უფრო სერიოზულად ჩავუფიქრდეთ.

დაიხ, ლიტერატურული კრიტიკა თავისთავად შემოქმედება. ამიტომ კრიტიკოსი არ შეიძლება აწროს გულრილ კომენტატორს, რომელიც დაინჯებით გაიმბობს მოთხრობისა თუ პოემის შინაარსს. არა! ის უნდა იყოს მგზნებარე, დაუღლელი და დაუტყობელი მძიებელი; მან ისევე უნდა ათეოს ღამეები ფრანგების გამოკვეთაზე, ახლის ძიებაზე, როგორც პროზაიკოსს თუ პოეტს იქცევა. კრიტიკული წერილი ახალ კარგ წიგნზე — ეს უნდა იყოს აღმოჩენა და უნდა იგრძნობოდეს ამ აღმოჩენით გამოწვეული სიხარული. ამიტომ კრიტიკოსმა არ შეიძლება იაროს გატყენილი გზით, იმეოროს ცნობილი ქეშმარიტებანი — ეს მოსაწყენი და მოსაბუზრებელია, ხოლო ლიტერატურას არა აქვს უფლება მოსაწყენი იყოს. თავის წერილში „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ კრიტიკოსი არ უნდა ჰგავდეს გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟს — ვაგნერს, რომელსაც „ცოდნა აქვს და საკუთარი ჭკუით ტარების უნარი კი ღმერთს თუ ბედს იმისთვის არ მიუცია“. ილიას ამ სიტყვებს რომ წაიკითხავთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ის ეპიზოდი გოეთეს უკუდავი ქმნილებიდან, სადაც ფაუსტი ფრთებსა ნატრობს. ვაგნერი კი უპასუხებს: მაგვარი მისწრაფება არასოდეს აღმძვრია, იმაზე მოსაწყენი რა იქნება — იხტილო ტყეებსა და მინდვრებში, რად მინდა ფრთები და რისთვის ვინატრო ფრინვე-

ლივით ფრენა შემედლოს-მეთქი, რა სჯობია წყნარად, უხრუნველად ყოფნასა და განცხრომას.

ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი შედარება მოიყვანა: კრიტიკოსის ფანტაზიას ისევე ესაჭიროება ფრთები, როგორც პოეტისა თუ პროზაიკოსისას. საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს პროზაიკოსი სწავლობს ცხოვრებას, ეძებს და პოულობს ახალს, გულის თრთოლვითა და სიხარულით ხატავს ამ ახალს, აქვეყნებს წიგნს, მერე მოდის კრიტიკოსი და კმაყოფილება იმით, რომ წიგნის შინაარსს მოგითხრობთ. რა აზრი აქვს ასეთ კრიტიკოსს ვის რად უნდა ისეთი კრიტიკი, რომელიც მკითხველს მარტო იმას ეუბნება, რომ ეს ლექსი ეხება მთაწმინდას, ხოლო ეს კიდევ მახაიას მთასო, ეს არის ანი, ეს არის ბანიო. ნამდვილად კი საჭიროა კრიტიკოსიც ისევე ეძიებდეს, როგორც მწერალი, მას უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულება მოვლენაზე, და ამ შეხედულების მიხედვით უნდა შეამოწმოს მართალი თქვა თუ არა მწერალმა, რა თქვა მან ახალი და სწორად გამოსახა თუ არა ცხოვრება! არ შეიძლება კრიტიკოსი რჩებოდეს იმ შინაარსის ტყუილობაში, რაც მოთხრობაშია. მან თვითონაც უნდა გადაიხედოს ცხოვრებაში. უნდა მოისპოს ასეთი ხელოვნური დაყოფა — მწერალი და კრიტიკოსი. კრიტიკოსი იგივე მწერალია. რა მოთხოვნილებას უყენებს კრიტიკოსი პოეტსა და პროზაიკოსს, როცა მის ნაწარმოებებს არჩევს? იმას, რომ ეს ნაწარმოები ემსახურებოდეს ხალხს, პარტიას, ხელს უწყობდეს კომუნისმის წინსვლას, ღრმად შეიჭრას ცხოვრების შუაგულში. აი რა მოთხოვნილებებს უყენებთ მოთხრობას, რომანს, პოემას. ასეთივე მოთხოვნილება უნდა წაუყენოს კრიტიკოსმა არა მარტო პროზაიკოსს, არამედ თავისთავსაც, თავის ნაშრომსაც. მისი ნაშრომიც უნდა ზრდიდეს ადამიანს, იტაცებდეს, აღელვებდეს, განუტკიცებდეს მომავლის რწმენას, უნერგავდეს კეთილშობილურ მისწრაფებას, ამათარებდეს ძველსა და ჩამორჩენილს, და ძალა ყოველივე ამისთვის მან უნდა მოძებნოს არა მარტო სარეცხიო წიგნში, არამედ თავის სულშიც. ის, მთარის მსგავსად, სხვისი სხივებით კი არ უნდა ანათებდეს! არა. წერილში, ნაშრომში, გამოკვლევაში მისი გონების შექიცი უნდა ჩანდეს. გერცენი ამბობდა: ბელინსკიზე, რომ „კრიტიკულ წერილებში ის ზნობილად მალდებოდა პოეტურ შთაბეჭებით. გასარჩევი წიგნი მისთვის საბაბი იყო, შუა გზაზე მიატოვებდა ხოლმე ამ წიგნს და ჩაეკიდებოდა რომელიმე საკითხს. რათა გამოეთქვა თავისი აზრი არა მარტო ამ ნაწარმოებზე, არამედ მთლიანად ცხოვრებაზე“. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები: გადაიკითხეთ მისი პირველივე წერილი „შეშლილი“



თარგმანის გამო და ნახეთ, რა ცეცხლი დღეს ეტრორის გულში, რაოდენი სულიერი მღელვარებაა მასში; ამ წერილში პირდაპირ ხედავთ ხან სიხარულითა და სიყვარულით გაბრწყინებულ მის ნათელ შუბლს, როცა სიტყვა რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ლერმონტოვსა და მიცვეიჩზე ჩამოვარდება; ხოლო ხან დაინახავთ მრისხანებით შეკუმხვნილსა და მოჭრულულ წარბებს, როცა ლაპარაკი მოხალტურეებზე და უნიკოებზე დაიწყება. გადაქარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს სტატია დაწერილია როგორც „გლახის ნამშობი“, როგორც „ოთარანთ ქვრივი“.

რა დასამალია და აი ეს ცეცხლი ხანდახან ავლია ჩვენს კრიტიკას.

კრიტიკის საპირბოროტო საკითხები მეტად იშვიათად აღიძვრის ხოლმე ჩვენი პრესის ფურცლებზე და ამიტომ ყოველ ჩვენგანს აქ ბევრი სათქმელი დაუგროვდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, რაკ ჩვენი კრიტიკის პრობლემებზე ვსაუბრობ, კიდევ ერთი რამ აღვნიშნო. „ლიტერატურნაია გაზეტას“ სარედაქციო წერილში ნათქვამია: „გადაფურცლეთ ეურნალები და თქვენ დაინახავთ, თუ რა იშვიათად შეეჯახება ხოლმე მათს ფურცლებზე ერთი აზრი მეორეს, როგორ იშვიათად წარმოიშვება ხოლმე დაეა, განზილვა და დისკუსიები ლიტერატურის აქტუალურ მოვლენათა გამო“.

ასე აქვთ საქმე რუსულ ეურნალებს. ხოლო რალა უნდა ვთქვათ ჩვენ? რატომ არ უნდა იყოს ჩვენში დაეა, გაცხარებული აზრთა გაცელა-გამოცელა, კამათი, პოლემიკა. ჩვენ ამას რატომღაც გავერბით, ვერიდებით, რატომღაც გამოკამათებას ჩვენში მტრობად თვლიან, ლიტერატურულ დაეას უმაღ მიიჩნევენ ხოლმე მტრულ ვალაშქრებად, შურაბაცხოვდალ. აი ეს უსაფუძვლოდ დამკვიდრებული აზრი ხელს უშლის დისკუსიების ფართოდ გაჩაღებას; მერე ასეთი კარგი ტრადიცია მაინც არ გვქონდეს პოლემიკისა, კამათისა, აზრთა მძაფრი შეხლა-შემოხლისა! გაიხსენეთ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე; განა ილია ჭავჭავაძის არ უყვარდა გრავოლ ორბელიანი? უყვარდა და მერე როგორ! თავის პირველსავე წერილში „ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმანზე“ ილიამ გრ. ორბელიანის ლექსები დახასიათა, როგორც ბრწყინვალე ნიმუშები ყველაზე მაღალი პოეზიისა, როგორც განსაზოვნება ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა, როგორც გამოხატვა „წმინდა ქართული პოეტური დარღებისა, კენესისა და ნატეარისა“, ხოლო როცა გრ. ორბელიანი გარღეცვლა, ილიამ თქვა მასზე: „...იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, შალაის ნიჭით ცნებული, იგი იყო მოძღვარი

ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელი“ აი რა წმინდა ძლიერი სიყვარულითა ჰყვარებია ილიას თავისი სიჭაბუკიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ეს პოეტი. მერე, განა ამ სიყვარულმა ხელი შეუშალა ილიას ცხარე ბრძოლაში გამოეწვია გრ. ორბელიანი? დააკვირდით მათს პოლემიკას და გულწრფელად თქვით: განა ამ შეტაკებებს არ მიჰყავდა წინ ჩვენი ლიტერატურა, განა ეს არ აფხიზლებდა აზრს? რა თქმა უნდა, ასე იყო!

უწმინდესი და უღრმესი სიყვარულით უყვარდათ ერთი-მეორე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელს. „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ საქართველოს და გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურსა და ღვაწლს ქართული გულში ჩაირჩენს სამუდამო სასსოვრალა“, — წერდა ილია. ასევე სიყვარულით უხდიდა მას აკაკიც; მათი სულიერი ძმობა — ეს უმშვენიერესი ღურცელია ჩვენი კულტურის ისტორიისა. ახლა მათი პოლემიკა გაიხსენეთ თუნდაც იმავე „გეფხისტყაოსნის“ გამო და დაინახავთ, რომ იქნებ სწორედ ის სიყვარული აძლევდა ამდენ სიფიცხეს, ამდენ მგზნებარებას და ცეცხლს მათს კამათს! მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ აზრთა შეხლა-შემოხლაში მიჰყავდა წინ ქართული კულტურა და ამიტომაც ასე ხალისით გამოდიოდნენ საბრძოლო ასპარეზზე, სადაც აზრის აზრთან ჭიდილში გაირკვეოდა ხოლმე ჭეშმარიტება. კიდევ საჭიროა მაგალითები? გაიხსენეთ იმავე ილია ჭავჭავაძის უმძაფრესი პოლემიკა ნიკოლოაქესთან. „დღეს „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციამ ბელისკობა უბოძანა კოლოზ იაკობის ძეს ნიკოლაქეს. ჭეყვანა სიხარულით ფეხზე აღარა დასა“, — ასე მწარედ იწყებდა ილია თავის ერთ წერილს, მაგრამ ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ მათ უღრმესი სიყვარულით არ უყვარდათ ერთმეორე! მაშ სიყვარულის საზომი ეს არ ყოფილა და ჩვენ ტუუილად დაეკარგეთ ეს კარგი ტრადიცია ძველი ქართული პრესისა, ეს ტრადიცია ცხარე კამათისა უახლოეს მეგობართა შორის.

ერთი ამბავი თანამედროვე ლიტერატურიდანაც უნდა გავიხსენო. ეს იყო 1945 წლის ზაფხულში. იმ ზაფხუში კონსტანტინე გამსახურდია „ლიტერატურულ გაზეთში“ აქვეყნებდა თავის უღრმესად საინტერესო წერილებს სერბის „თანამედროვე რომანისათვის“. ამ წერილებში ის მძაფრად გამოეკამათა გერონტი ქიქოძეს. რა საკითხზე კამათობდნენ ისინი, ამის დაწვრილებით ვაღმოცემა ახლა შორს წავიყვანა, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ დაეა უფარესად პრინციპული იყო და ეხებოდა იმას, თუ რა გზა უნდა აირჩიოს თანამედროვე რომანისტი. გ. ქიქოძე მაშინ „ლიტერატურული გაზეთის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და ბუნებრივია, რომ დაბეჭდ-



ვამდე ვაეცნო კ. გამსახურდიას წერილს და იმავე ნომერში უპასუხა, სადაც გამსახურდიას წერილი იყო დაბეჭდილი, თანაც მკაცრად უპასუხა და, სხვათა შორის, ერთი რამ აღნიშნა: „რადგან საბაზის მიუცემლად და დიპლომატიური ურთიერთობის შეუწყვეტლად საომარი მოქმედების დაწყება დღეს კულტურულ კაცობრიობაში დისავკობად ითვლება, მე დიდად ვამაოცა ამ მოულოდნელმა თავდასხმამ“. ეს, რა თქმა უნდა, გერონტიასთვის ჩვეული ხუმრობა იყო, მით უმეტეს, რომ ბერძნული „პოლემოს“ ნიშნავს ომს და მოკამათებაც ეს სიტყვა გაათამაშა. და, აი, მახსოვს როგორ შეხვდნენ მეორე დღეს ეს „მომამირი მხარეები“ ერთანეთს მწერალთა კავშირის ბუფეტში. მათს ვალიდადელ სახეებს რომ შეეხედე, დავრწმუნდი, რომ სულ არ იგრძნობოდა, თუ მათ შორის „დიპლომატიური ურთიერთობა“ შეწყვეტილი იყო და მათი დივიზიები იერიშზე იყვნენ გადასული. პირიქით, ეს იყო შეხვედრა ორი გულთადი მეგობრისა, რომელიც თავიანთი დავა დავიწყებოდათ, დაეტრებინათ საღვალად გაზეთების ფურცლებზე და ახლა იმაზე დაობდნენ, თუ როგორ წარმოითქმის ლათინურ ენაზე სათაური პეტრე აბელარის წიგნისა „ჩემი უბედურების ამბავი“. მაშინ მათ ამაზე სანაძლეო დასდეს ურთიერთ შორის. მე არ ვიცი ვინ წააგო ვახშამი იმ სანაძლეოს შედეგად, მაგრამ ის კი ვიცი, რომ უმკაცრესმა პოლემიკამ ერთ ხელი არ შეუშალა უახლოესი მეგობრები ყოფილიყვნენ და უღრმესი პატივისცემით მოპყიდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენ კი, როგორცაც ვეღარ ვახერხებთ ამას, რატომღაც მძაფრი პოლემიკური გამოსვლა ითვლება დღვის რისხვად, სენსაციად, და ეს იმ დროს, როცა იგი სავესებით ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს; იწყება ამის მერე ერთი ამბავი, „გაგრიტიკებული“ გამალებული მირბის უფროსებთან საჩივრელად, „გამკრიტიკებელიც“ ისე სწუხს, შფოთავს და ისეთ სინანულს ეძლევა, როგორსაც რომელიმე მწიორი ეძლეოდა შუა საუკუნეებში, როცა უნებურად ქრისტესა ჰგებოდა ხოლმე. მახსოვს ასეთი შემთხვევაც: ერთმა კაცმა დაწერა მწერლის წიგნზე გამანადგურებელი სტატია, დაბეჭდა კიდეც და როგორც კი მისი წერილი გამოქვეყნდა, თითონვე გაიქცა საჩივრელად — არიქა, მოშველეთ, იმ მწერალს საწინელი პასუხი დაუწერია და დამეხმარეთ, რომ არ დაიბეჭდოსო. შეიქმნა ერთი ამბავი და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ იმ მწერალს არავითარი პასუხი ჯერ არა ჰქონდა და მგონი არც აპირებდა დაწერას. ეს უცნაური ამბავიც იმის შედეგია, რომ ჩვენს გადაწყვეტილი ვართ პოლემიკას. ჩვენი რედაქციების მუშავეს კარგად ახსოვთ, თუ რამდენ მწერალს უთქვამს თავის ამხანაგზე თუ მეგო-

ბარზე: — დაეწერდი წერილს, შევეკამათებოდი, მაგრამ ვიცი, სხვანაირად გამიგებს და აუტკივარი თავი რაზე აფიქტოვო. არა, ასე აღარ შეიძლება; უნდა უქუთვადოთ ეს „სხვანაირად გაგება“, უნდა აფიქტოთ თავი, თორემ ისე არაფერი გამოვა, უამისოდ წინ ვერ წაწვევთ ჩვენს მწერლობას. სწორედ ქართული მწერლობის ინტერესები და მისდამი სიყვარული გვიკარნახებს აღვადგინოთ ლიტერატურული პოლემიკის შესანიშნავი ტრადიცია, რადგან ეს აქლია, მეტად საგრძნობლად აკლია ქართულ მწერლობას და ხელს უშლის ჩვენი აზროვნების განვითარებას, იწვევს რაღაც ინდიფერენტრზმს, ინტერესის დეგრადაციას, კომპრომისებს და ყოველივე ეს აჩლუნგებს კალამს ლიტერატურის თეორეტიკოსისაც და მწერლისაც.

*

დღევანდელ კრიტიკოსს უხდება, ერთსა და იმავე დროს იმუშაოს საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დარგშიც და კონკრეტული კრიტიკის სფეროშიც. აქ საჭიროა ერთგვარი გარკვეულობის შეტანა: საბჭოთა ქართული ლიტერატურის აწმყო და მისი ისტორია არც ისე დამორბეული არიან ერთმეორისაგან; ახსოვლურთა უმრავლესობა მწერლებსა, რომლებიც ამ ისტორიის ფურცლებზე გვხვდებიან, დღეს კვლავ აქტიურად მოქმედ ძალას წარმოადგენს. მათ არ დაუმთავრებიათ ან, ცალკე შემთხვევებში, ჩვენს თვალწინ დაამთავრეს თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრება; ეს, ასე ვთქვათ, ცოცხალი ისტორიაა; ასეთია საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, მაგრამ მაინც ეს არაა ის, რასაც ეწოდება მიმდინარე ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც უშუალოდ წარმართავს ლიტერატურის პროცესს; საბჭოთა ლიტერატურის ისტორია შეისწავლის, ვთქვათ, „არსენა მარბლეუსა“ და „ჯონ რილს“, „ტარიელ გოლუსა“ და „გვალი ბიგვას“, „კოლხეთის ცისკარსა“ და „დავით აღმაშენებელს“, განსაზღვრავს მათს ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, კონკრეტული კრიტიკა კი თავს დასტრიალებს ახალ დაწერილობებს იმ დროს, როცა ისინი ჯერ ისევ კვირტში არიან, ჯერ არ გაფურჩქნულან, აგერ ახლა იბეჭდებიან ჟურნალების ფურცლებზე და ცალკე წიგნებად ქვეყნდებიან. საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, ასე თუ ისე, დადგენილ და დამთავრებულ პროცესებს გამოხატავს, ხოლო კონკრეტული კრიტიკა მონაწილეობს ახალი პროცესების ქმნალობასა და დადგენაში. და ჩვენი კრიტიკოსიც ვალდებულია წეროს იმაზეც, რაც უკვე დამთავრებულია, აღიარებულია, ხალხის ემოქის მიერ და იმასაც ხელი შეუწყოს, რაც ახლა მოდის, იზრდება, რაც მზარდი და განვითარებადია ჩვენს ლიტერატურაში. მაშასადა-



მე, კრიტიკოსი აქ შემართანეც უნდა იყოს და მებრძოლო პუბლიცისტიც, აღმზრდელიც.

გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე წიგნი მოიცავს როგორც პირველი, ისე მეორე ხასიათის ნაშრომებს. მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძეზე, ლ. ჭიაჩელზე, მ. ჯავახიშვილზე თავისი ხასიათით განეყოფნებიან საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის დარგს, ხოლო წერილები „პოეზიის მხატვრული სახეები“ და „ქართული მხატვრული პროზა“ უფრო კონკრეტული კრიტიკის სფეროს მოიცავენ — მათში, იმავე დროს, არის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ცალკეული საკითხების თეორიული ანალიზის ცდა.

„კრიტიკული ეტიუდები“ იხსნება მონოგრაფიით გალაკტიონ ტაბიძის შესახებ. სრულიად გასაგებია, რომ ეს არის ყველაზე ვრცელი ნაშრომი ამ წიგნში და იგი ფართო მასშტაბით იღებს და აფასებს ამ უშესანიშნავესი ქართველი პოეტის შემოქმედებას.

არიან პოეტები, რომლებიც იმისათვის იბადებიან, რომ თავიანთი საუკუნე უეცრადვე მოსახებდნენ, მისი სული ჩაიდგან და თავიანთი სული გადასცენ მას; სწორედ ასეთი იყო გალაკტიონ ტაბიძე — მისი ლექსების კრებული უბრალო, ჩვეულებრივი კრებული როდია, უცებ რომ გადაფურცლავს მკითხველი და მერე დაივიწყებს. მის წიგნში XX საუკუნის ცხელი სუნთქვა ისმის.

„არიან ადამიანები, — წერს პოლონელი პოეტი ი. ივაკევიჩი, — რომლებიც თავგანწირვით და აღტაცებით შესწირავენ ხოლმე სიცოცხლეს საყვარელ იდეას და დასკვიპავენ რა მთელ ძალღონეს, იარაღით ხელში იბრძვიან ამ იდეისათვის. მათ მიჰყავთ ხალხები გამარჯვებებისა და დიდებისაკენ, მაგრამ თუ დამარცხდებიან, ხანდახან მათი დამარცხება უფრო სახელოვანია, ვიდრე გამარჯვება. ასეთი ადამიანები თავიანთი ხალხების მდგომარეობა არიან და ჩვენ მუხლს ვიყრით მათ წინაშე, როგორც გმირების წინაშე.“

„მაგრამ ამ დიდ ადამიანთა გვერდით, მთლიანად რომ შეეწირებიან ხოლმე სამართლიანობისათვის ბრძოლას და მთელ ხალხსაც თან გაიყვლიბენ პროგრესის მწვერვალებისაკენ, არიან სხვებიც, უფრო მშვიდნი, მაგრამ, შვიძლება, არანაკლებ დიადნი. არიან გმირები, რომელთა ბრძოლა არც ისე თვალსაჩინო და ადვილად დასანახია მთელი მსოფლიოსათვის და მათი დეაწლიც ადამიანებს სწირად იოლი და ადვილად მისაღწევი ეჩვენებათ.“

„ესენი არიან სწავლულნი და პოეტები, მხატვრები, რომლებიც თითქოს მიმალულად თავიანთი საშუაო კამინეტების ოთხ კედელში, სადაც ისინი იპყრობენ მთელ სამყაროებს, რათა მერე გეაჩუქონ ჩვენ, ყოველ ჩვენგანს, მთელ კაცობრიობას.“

ეს სიტყვები რომ წაეიკებო, გალაკტიონი გამახსენდა. და მინდა მეც პოლონელი პოეტის სიტყვებით ვთქვა, რომ გალაკტიონმა გვაჩუქა ჩვენ, ყოველ ჩვენთაგანს, მთელ კაცობრიობას პოეტის თვლით ხილული სამყარო და მანამდე აღმოუჩენელი სილამაზე ქვეყნისა. გალაკტიონმა ხელახლა დაინახა მანამდე ათასგერ დანახული და გამოხატული საქართველო, ახალი ქვეყანა და დაინახა ეს რევოლუციის პოეტის თვლით, რა დასამალია, ჩვენ ჯერ კიდევ შესაფერი-სად შესწავლილი არა გვაქვს გალაკტიონ ტაბიძის დიდი სულიერი შემოქმედებობა. ამ მხრივ უთუოდ კარგი საქმე ვაკეთა გიორგი ჯიბლაძემ, როცა დაწერა ვრცელი მონოგრაფია გალაკტიონზე; პირველი, რაც ამ მონოგრაფიაში იპყრობს ყურადღებას, ის გარემოებაა, რომ მკვლევარი გალაკტიონის შემოქმედებას განიხილავს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ასპექტში, იმ გარემოებაში, სადაც იბადებოდა და იწრთობოდა XX საუკუნის პოეზია; აქ გალაკტიონი განხილულია მათ გვერდით, ვინც იწყებდა ჩვენს დროს პოეზიას, განხილულია ბლოკთან, ესენინთან, მიაიკოსკისთან ერთად; ასე წარმოიქმნება ფართო პანორამა, ცოცხალი პროცესი მეოცე საუკუნის პოეზიის განვითარებისა.

გ. ჯიბლაძე მუდამ ცდილობს კონკრეტული მოვლენის ანალიზი თეორიულ სფეროში გადაიტანოს და ამ გზით ყოველი ცალკე მოვლენა ლიტერატურაში მჭიდროდ დაუკავშიროს განვითარების საერთო პროცესს. ეს ნათლად ჩანს თვით ამ მონოგრაფიაშიც; ავტორი ლირიკის არის განმარტებით იწყებს, რათა თავიდანვე განისაზღვროს, თუ როგორ შემოს ლირიკოსმა პოეტმა მოეცა მთელი თავისი ეპოქა და შესწევს თუ არა ლირიკას ამის ძალა. ამას გარდა, კრიტიკოსმა აქვე დაახასიათა რა საერთოდ სიმბოლოზმის ბუნება, გვიჩვენა, რა ადვილი ეჭირა გ. ტაბიძეს იმ ევოლუციაში, რომელიც ქართული ლექსმა, საერთოდ, ჩვენმა ლიტერატურამ მეოცე საუკუნის დასაწყისში განიცადა; კრიტიკოსი გ. ტაბიძის შემოქმედების პირველი პერიოდის განხილვასთან ერთად ქართული სიმბოლოზმის გენეზისსაც აღგვსნ და სვამს საკითხს: რა საფუძველი ჰქონდა ასეთი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობას, იყო თუ არა, საზოგადოებრივ-ეკონომიური ბაზისის გარდა, თვით მწერლობაში ისეთი ტენდენცია, რომელიც გვაუწყებდა ახალი სკოლის, ახალი მიმდინარეობის მისალოდნელ წარმოშობას? და კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ სიმბოლოზმის პირველი პოეტური მანიფესტები ჩვენში იყო გალაკტიონის პირველი პერიოდის ლექსები. „ედგარი მესამედ“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „სახალწლო ეფემერა“, 1915 წელს დაწერილი



ნი, ხოლო უფრო ადრე გამოქვეყნებული „ხელოვნება“ (1909 წელი), „სილაკვარდე ანუ ვარდი სილაში“ (1914 წელი), „ამაო ძახილი“ (1912 წელი), „მწვანე ზოლი მთის“, „ბედისწერა“, „მიცქირე თვალში“ (1914 წელი), „ორი“ (1908 წელი), „შავი ყორანი“, „მიმღერე რამე“ (1912 წელი), ლიტერატურულად, სინამდვილის მხატვრული ათვისების თვალსაზრისით ნიადაგს უმზადებდნენ ქართველ სიმბოლიტებს; სიმბოლიზმი აღიარებდა პოეზიაში მარტოოდენ მინიმუმებს აზრზე სიმბოლოების საშუალებით, რათა აღეძრა მისტიკურ სამყაროსთან მიხალვების განწყობილებები; გ. ტაბიძეს ბოლომდე არ მიუღია ამგვარი მსოფლმხედველობა და პოეტი თავი-დათავი გრძნობდა ყველაზე ძლიერ მოწოდებას ყოველთვის დარჩენილიყო ქართული რეალისტურ-რომანტიკული ლექსის კლასიკურ ტრადიციებთან და მას არ მოსწყვეტოდა. ამ შინაგანი წინააღმდეგობებიდან გამოარღვია მან გზა რევოლუციისაკენ და აქეთ წამოიყვანა მთელი ქართული პოეზია და ამაშია მისი ისტორიული დამსახურება; სწორედ მან დაუღო სათავე დღევანდელ ჩვენი პოეტურ მაჯისცემას, როგორც ქართული ლექსის დიდმა ნოვატორმა და შთაგონებულმა ხელოვანმა. და კრიტიკოსმა აქ ნათელყო, თუ რაოდენ ბევრი რამ გააკეთა გალაკტიონ ტაბიძემ ჩვენი პოეტური კულტურის ამაღლებისათვის, ნათელყო, თუ რატომ არის მიჩნეული გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ნოვატორად და რეფორმატორად; კრიტიკოსმა გვიჩვენა, თუ როგორ შეძლო გალაკტიონმა გაეფართოებინა ჩვენი პოეტური შემეცნება, რა ახალი ორიგინალური ლერწმები მოიტანა მან, როცა ქართულ სიტყვას ლექსში მოსცა არა მარტო მეტი კოლორიტი, არამედ მეტი პლასტიკურობა და მუსიკალობა; და არ შეიძლება არ დაეთანხმოთ კრიტიკოსს, როცა ის აღნიშნავს, რომ რაც უნდა მოხდეს, როგორი დიდი პოეტებიც უნდა მოველიონ ქართულ ლიტერატურას, როგორადაც უნდა აამაღლონ მათ ჩვენი მხატვრული აზროვნება, წინ წასწიონ და განავითარონ იგი, როგორადაც უნდა გაამდიდრონ პოეტური სახეებით ჩვენი შემეცნება, გალაკტიონ ტაბიძე მიიწე ყოველთვის დაამშვენებს ქართულ პოეზიას, როგორც მისი ნამდვილად დიდი ოსტატი, რომელმაც ბუნებრივი ქართული სიტყვით ისეთი გრძნობები გადმოსცა და ისე მძაფრად შეატოკა მკითხველის გული, ისე ღრმად ჩაგვახედა თავისი დროის აღმპიანის სულის სიღრმეში, როგორც ეს, ასევე თავისი დროისათვის შეიძლო ბარათაშვილის მძლავრმა გენიამ. სწორედ ეს ეპოქალურიბა განაპირობებს უკვადებას პოეტისას, განაპირობებს იმას, რომ მისი სიტყვა უძლებს საუკუნეების გამოცდას. კრიტიკოსის ეს სავეტებით სწორი დასკვნა დაფუძნე-

ბულია „მთაწმინდის მთეარისა“ და „ლურჯა ცხენების“, „მერისა“ და „მე და დამის“, ლექსების ჩვენ პოეტები საქართველოს“ და „დროშები ჩქარის“, „მღვრიე ქარისა“ და „ამაო ძახილი“, „განახლა გულისა“ და „შავი ყორანის“, ლექსებისა „ქალაქი წყალქვეშ“, „შშობ-ლიტრო ჩემო შიწვე“ და მრავალი სხვა ნაწარმოების ახალიზის საფუძველზე.

გიორგი ჯიბლაძე გვიჩვენებს მთელ გზას პოეტისა და განსახლდევას იმ ადგილსაც, რომელიც გალაკტიონმა დაიჭირა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „ადგილი“ იმას კი არ ნიშნავს, რომელიმე მწერალი მიმდინარეობას მიაკუთვნო, ამა თუ იმ პლუადას დაუკავშირო, ისტორიაში მათათვის, განსახლდევას მისი მოღვაწეობის პერიოდ, დრო და ეპოქა, ზუსტად თარიღები დაადგინო, თვით მხატვრულ ნაწარმოებთა დაწერის ან საზოგადოებრივი ცხოვრების ვახვითარებაზე მათი გავლენის მნიშვნელობა აღნიშნო, — ასეთი ადგილი ყველას უჭირავს, სულ ერთია — პირველხარისხოვანი ოსტატია ის თუ არა. ადგილის მიუხედავად იმის განსახლდევას ნიშნავს, თუ ვინ შეავსო ის ხარვეზი, რომელიც წინამორბედი დიდი მწერლის შემდეგ დარჩა ლიტერატურის ისტორიაში, ვინ შეიძლო თავისი მხატვრული ძალით ეგრძნობინებინა რაღაც ახალი, მათყუებელი და მანიშნებელი ახალი ეპოქის მძაფრი ეპოქალური გარდატეხისა, ისე, რომ აქ მარტო გარდატეხა კი არ ყოფილიყო ნაგრძნობი, არამედ თვით ის ეპოქაც, რომელიც ისტორიის ამ შემობრუნებას უნდა მოჰყოლოდა. აი ეს არის მწერლისათვის ადგილის მონახვა ისტორიაში, თუ ეს ისტორია პროცესის სახით, შემოქმედებითად არის წარმოდგენილი და არა მარტოდ მარტო მწერლოგობითად, თარიღების გამწერებით, როცა ერთს მეორე მისდევს, მეორეს მესამე და ა. შ.

და აქ მკვლევარი კიდევ ერთხელ გადააღებს თვალს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიას, რომლის უკანასკნელი დიდი შთაგნება ვეფ-შაველა იყო თავისი სულის უმძლავრესი მტეხიარობითა და ლალი ფანტაზიით. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულ პოეზიაში დიდი ხარვეზი გამოჩნდა, რომლის შევსება ვერავინ შეძლო. ყველა დროს თავისი ზედიერი მიაქვს და მოაქვს, ვეას სიმძლავრე ასედა კი მხოლოდ განსაკუთრებულ ტალანტს შეეძლო. ასეთი ტალანტი კი ყოველთვის არაჩვეულებრივი შემთხვევაა და ყველაფერში კანონზომიერი ბუნება ამ მხრივ ძალიან ხშირად არაქანონზომიერი გვეჩვენება. თავის დროსადაცა სრულად განსაკუთრებული სახით გამოჩნდა, მის საოცარ ფანტაზიას, მხატვრულ თავისებურებას და ორიგინალობას აძლიერებდა მთელი შემოქმედების მეტისმეტად განსხვავე-



ბული იერი. ამის შემდეგ კიდევ უფრო ძნელი იყო ვინმე ისე ამაღლებულიყო მკითხველის თვალში, როგორც, ვთქვათ, პუშკინის გარდაცვალების შემდეგ ლერმონტოვმა ერთბაშად დაიკვირა პირველი ადგილი.

და, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ვაქას შემდეგ ყველაზე ბუმბერაზული ფიგურა სწორედ გალაკტიონი იყო. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის გალაკტიონი ჰგავს ვაქას; არა. ეს სრულიად სხვადასხვა ეპოქებია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, თავისებურია მათი როგორც სულიერი, ისე პოეტური სამყაროები, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ, თუ ვინმემ აგრძნობნა ვაქას შემდეგ ჩვენს მკითხველს დიდი პოეტური ძალა, ქართული ლექსის სითამაშე, სიღამაზე, მრავალფეროვნება, მისი თვალგაღუწვდენელი ჰორიზონტები, მისი პირდაპირ განსაკვიფრებელი უნარი ჩასწვდეს ადამიანის სულის ყველაზე იღუმალ ზეუფლებსა და ნიუანსებს, აღმოაჩინოს ახალი პოეტური ქვეყანა — ეს იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომლის მძლავრ პოეტურ სიმფონიაში თავის საწყისებს პოულობდნენ მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები. საკითხის სწორედ ამ კუთხით დაყენების თვალსაზრისით კრიტიკოსის ზემოსწინებულ ნარკვევში ბევრი სავალისებრო რამ არის ნათქვამი და შეუფასებელია ჩვენი დროის გამოჩენილი პოეტის უმდიდრესი შემეფიქრებლობა.

„კრიტიკული ეტიუდების“ მომდევნო თავი შალვა დადიანს ეთება, მაგრამ აქ კრიტიკოსი მწერლის შემოქმედების მხოლოდ ძირითადი შტრიხების მოხაზვით კმაყოფილდება. მაინც ეს კონტურები და შტრიხები საკმაოდ მკაფიოდ წარმოგვიდგენენ სახეს ამ მწერლსა, რომლის შემოქმედება ორი საუკუნის მიჯნაზე გაიშალა და მოიცავდა არა მარტო პროზისა და დრამატურგიის, არამედ თეატრალური ხელოვნების სფეროსაც. ეტორი ცდილობს განსაზღვროს შალვა დადიანის მხატვრული პალიტრის ხალხური ხასიათი, ცდილობს ერთ მთლიანობაში გვიჩვენოს დადიანი, როგორც აქტიორი და რეჟისორი, დრამატურგი და მოქალაქე, „მოგზაური დასის“ ხელმძღვანელი, რომლის აუდიტორია ყოველთვის მართლაც „ხალხი იყო, მშრომელთა ლიანგი“. შედარებით უფრო ვრცლად იხილავს ეტორი შალვა დადიანის დრამებს „მღვიმეში“, „გუშინდენი“, „ნაერწყლიდან“, აქვე აღძრავს იგი საკითხს მწერლის მოქალაქეობრივი ღვაწლისა. შალვა დადიანის ცხოვრება ხომ ამისათვის უხე მასალა იძლევა. უფრო ვრცლად განიხილავს კრიტიკოსი ე. გრიშაშვილისა და ლ. ქიანელის შემოქმედებას. ეს ფრიად კოლორიტული ფიგურები ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისა ავტორს განიხილდა ჰყავს იმ თვალსაზრისით,

თუ რა შესძინებს მათ საერთოდ ქართულ მწერლობას, რით გაამდიდრებს იგი, როგორ ასახეს თავიათი ეპოქის ტყვიულები თუ სიხარული. პირველ ეტიუდში ყურადღების იქცევის ანალიზი ი. გრიშაშვილის ლირიკის თავისებურებისა, მეორეში კი ვრცელი დებასიათება ლ. ქიანელის საქვეყნოდ ცნობილი რომანებისა, რომელთაც თანმიმდევრობით გამოხატეს ჩვენი ეპოქის განვითარების განსაზღვრული ეტაპები.

„კრიტიკული ეტიუდების“ ავტორს საკუთრად მიუჩნევია ყველაზე უფრო ვრცლად განხილვა მეოცე საუკუნის ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. ეს უაღრესად მიზანშეწონილია სწორედ იმიტომ, რომ, გასაგები მიზეზების გამო, კარგა ხნის განმავლობაში მიხეილ ჯავახიშვილზე ჩვენს კრიტიკაში არავის არაფერი უთქვამს, არაფერი დაუწერია. და, აი, ახლა, როცა მწერლის მდიდარი მემკვიდრეობა ხელახლა ქვეყნდება, იგრძნობა საჭიროება შეფასებული იქნას წიგნები ამ მწერლისა, რომლებიც დიდი ხანია შეიყვარა მკითხველმა და რომლებმაც დიდად წასწიეს წინ მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზა. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ვრცელი გზის შესწავლა მეტად რთული საქმეა, თანაც ვრცელი მონოგრაფიის სავანი, და ამიტომ ამჯერად ვერ ვიკისრებთ ასეთი მძიმე ტვირთის აღებას, „ჩვენი მიზანია კრიტიკული ეტიუდის სახით წარმოვადგინოთ ზოგიერთი შენიშვნა „არსენა მარაბდელის“ ავტორის შემოქმედებით შემკვიდრების საკითხებზე და უაღრესად ზოგადად დავახასიათოთ მისი განვითარების ძირითადი მომენტები“. ამრიგად, ავტორი არ იღებს ვალად მწერლის მთელი შემოქმედების ვრცელ მიმოხილვას, მაგრამ მაინც კარგა იქნებოდა მას მეტი ყურადღება მიექცია მწერლის ყველაზე მთავარი ნაწარმოებისათვის — „არსენა მარაბდელისათვის“. ეს კი ასე არ არის, მწერლის ზოლოდროინდელი ნაწარმოებების განხილვის დროს კრიტიკოსს აქცენტი უფრო მეტად „ქალის ტვირთზე“ გადაუტანია და ეს რომანი მართლაც ვრცლად და გულდასმით განუხილავს. ამ ხარვეზის მიუხედავად, ეს ეტიუდი მაინც მკაფიოდ წარმოგვიდგენს მწერლის პორტრეტს და გვიჩვენებს მისი შემოქმედების ძირითად თავისებურებებს.

საერთოდ, ეს „კრიტიკული ეტიუდები“ იმით არის საინტერესო, რომ კარგად წარმოგვიდგენენ არა მარტო ხსენებული მწერლების ლიტერატურულ პორტრეტებს, არამედ კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე აღძრავენ ესთეტიკისა თუ ლიტერატურის თეორიის საინტერესო საკითხებს. ეს კი სწორედ საუკეთესო გზაა ლიტერატურის კრი-



ტიკოსისაოვის, რომელმაც უაროდ და ცოცხლ-
მხრინად უნდა შეხედოს მოვლენას.

გიორგი ჯიბლაძის წიგნი სრულდება ნარკ-
ვევებით ქართული საბჭოთა პოეზიისა და პრო-
ზის შესახებ. აქ ყურადღებას იპყრობს ავტო-
რის მოსაზრებანი მხატვრული სახის, მოვლენის
მოქმედებაში ჩვენების, პოეტური შედარების,
შემოქმედებითი შრომის კულტურის, პროზაუ-
ლი ნაწარმოების სიუჟეტის, ლიტერატურული
ენის, თანამედროვე და ისტორიული თემატი-
კის, იდეური და მხატვრული ოსტატობის შე-
სახებ. ქართული მხატვრული პროზის განვი-
თარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგუ-
ლისხმოა, რომ კრიტიკოსი სამართლიანად ილაშ-
ქრებს მრავალტომიანი რომანებით გადაჭარბე-
ბული გატაცების წინააღმდეგ. ეს ტენდენცია
მართლაც განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ ხა-
ნებში, როცა ხსენებული წერილი იწერებოდა.
და არ შეიძლება არ დაეთანხმეთ ავტორს, რო-
ცა ის აღნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ძალიან
შორს წავსულვართ რაოდენობრივად და ჩამო-
ვრჩენილვართ ოსტატობის მხრივ, ბევრი გვი-
ფიჭრია დიდტანიან წიგნებზე, მაგრამ ძალიან
ცოტა — ტიპებსა და ხასიათებზეო.

„მ წერალს“ ქართულ აბრეშქვსადაც
ბევრი მწარე სიმართლევით ნათქვამი და, ამას-
თან, კრიტიკოსი აღნიშნავს იმ წარმატებებსაც,
რომლებსაც ჩვენმა პროზაიკოსებმა დაძაბული
შემოქმედებითი შრომით მიაღწიეს.

საერთოდ, გ. ჯიბლაძის „კრიტიკული ვტიუ-
ლების“ მესამე წიგნი მნიშვნელოვანი მოვ-
ლენაა ჩვენი ლიტერატურული აზროვნების სფე-
როში; იგი აღძრავს და წყვეტს როგორც ქარ-
თული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის, ისე
ლიტერატურის თეორიის არაერთ საინტერესო
საკითხს. „კრიტიკული ეტიუდების“ ავტორი
ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური თეორი-
ისა, ისტორიისა და კრიტიკის საუკეთესო მო-
ნაცემებს ფლობს და თანაბარ უნარს იჩენს
ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამ სახს,
ერთმანეთისაგან განუყრელ დარგში. ეს კი
ისეთი თვისებაა, რომელიც კრიტიკულ ნაშრომს
მატებს ცხოველმყოფლობას, აქტუალურობას,
აძლევეს მას უნარსა და ძალას არა მარტო შეა-
ფასოს ჩვენი ლიტერატურის განვლილი გზა,
არამედ, ამავე დროს, აქტიური მონაწილეობაც
მიიღოს მისი შემდგომი ზეაღმავალი წინსვლის
ცოცხალ პროცესში.





კობა ივანეშვილი

ოტია იოსელიანის ნოველები

უკანასკნელ წლებში გამოსულმა ქართველმა ახალგაზრდა პროზაიკოსებმა ბევრი ახალი რამ მოიტანეს თან. და თუ ჩვენი საუკუნის დღევანდელი დღეები ისტორიაში აღინიშნება ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდაქმნისა და გამდიდრების დროდ, ეს ნაწილობრივ ამ ახალგაზრდობის დამსახურებაა. ეს დრო ჩვენს ლიტერატურას ისეთ პრობლემებს უყენებს, რომელთა გადაჭრაც ქართული მწერლობის მთელი სულიერი ძალების მობილიზაციას მოითხოვს.

ქართული მწერლობა თავისი არსებობის მანძილზე ბევრ წყაროს დასწავებია, მაგრამ იგი მაინც არასოდეს არ გადასულა თავისი განვითარების მაგისტრალური ხაზიდან და ყოველთვის ეროვნულ ფარგლებში რჩებოდა, ეროვნულში, რომელიც ინტერნაციონალური ქღერით არის გამდიდრებული და შევსებული, თუმცა, ეს ახალი ამბავი არაა და არც მარტო ჩვენი ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენი მწერლობა დღეს სწორედ სხვა ერებთან ურთიერთკავშირისა და ინტენსიური გამდიდრების კარგ მაგალითს წარმოადგენს.

მაგრამ მარტო ურთიერთგაველენა და ურთიერთგამდიდრება დიდ მწერლობას ვერასოდეს ვერ წარმოშობს. აქ აუცილებელია დიდი ტრადიცია. ტრადიციისკენ მიხედვა კი ზომ იგივე გამდიდრებაა, ცალმხრივი გამდიდრება, ცალკე გადაძახილი წინაპრებთან, მათ ვეშოვნებასა და ზნესთან.

ეს ორი რამ აუცილებელი ბიძგია მწერლობის განახლებისა და წინსვლისა, მაგრამ არა მთავარი. ამ განახლების უპირველესი წყარო ცხოვრებაში უნდა ვეპებოთ, იმ ქართველებში, ტკივილებსა და სიამეში, დღევანდელი დღე რომ პქვია, მაგრამ ხშირად წაივითხავ ნაწარმოებს, ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი თავის ადგილზეა. მწერალი გეუბნება, რომ აქ შენზე და შენს ცხოვრებაზეა ლაპარაკი, მოთხრობა კი შავით თეთრზე გიმტკიცებს, რომ მეცხრამეტე

საუკუნიდან მოიყვანეს და დაბადების წელი გადაუქეთეს მხოლოდ.

წარსულს ბევრი რამე შეგიძლია დაესესხო — თემა, სიუჟეტი და ფორმაც კი, მაგრამ სული, ხასიათი და სახე ნაწარმოებში დღევანდელი უნდა იყოს. მაგრამ არც ის ივარგებს, რომ დღევანდელი იყოს და უცხო იყოს, სტუმარი იყოს და თვალი კარებისკენ ექიროს. მწერლობა უდიდეს ზომიერებასა და ტაქტს მოითხოვს სწორედ იმისათვის, რომ ტრადიცია, დღევანდელი დღე და ურთიერთგამდიდრება ერთმანეთში მოარიგოს და თავისი ადგილი მიუჩინოს თვითივეს. ამ სამი ელემენტის მშვიდობიან და ზომიერ თანაარსებობაზე დღეს ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ ძიებისა და წინსვლის პროცესში ყოველთვის ძნელია თანაფარდობის დაცვა.

ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ძირითადი დამახასიათებელი სწორედ ამ პარამონიულობისაკენ ლტოლვაა. თანამედროვე ქართველი მწერლები ცდილობენ ქართული მწერლობა ახალ სიმაღლემდე აიყვანონ, თანამედროვეობის დონეზე დადგნენ და იქიდან ილაპარაკონ. ასე რომ, პროზაიკოსთა დღევანდელი თაობა დიდი ამოცანების წინ დგას და აპიტომ ბევრიც მოეთხოვებათ. პროზაიკოსთა სწორედ ამ თაობის გზას მიჰყვება ოტია იოსელიანი.

თანამედროვე პროზა და პოეზია ავლენენ მძლავრ ტენდენციებს ერთობის განწყობების, გამოსახვის ხერხებისა და ხასიათების გადაღებისა. პირველი ნაბიჯი აქეთკენ თითქოს პოეზიამ გადადგა და ეს მისთვის ნამდვილად სასიკეთო იყო. პროზის ლტოლვა პოეზიისკენ მეორეული მოვლენაა, მაგრამ ლიტერატურისთვის და ქართული მწერლობისთვისაც იგი უკვე საიხლდე აღარაა. აქ შეგვეძლოს გაგვესუნებინა ჭოლა ლომთათქმე და ნიკო ლორთქიფანიძე, მაგრამ თუ პოეზია მთს პროზაში ფორმისმიერ ელემენტებში იჩენდა თავს, დღეს პოეზია ცდილობს იმომქედოს პროზის შინაგან



ბუნებაზე, მისი აზროვნების ლოგიკაზე. ყველა ზემონათქავემ უფრო ნათელი რომ გახდეს, დავაკვირდეთ ოტია იოსელიანის კრებული პირველივე ნოველას — „ჩქარი მატარებლიდან“.

ნოველა მთლიანად ლირიკულ ტონშია დაწერილი და განწყობის მთლიანობის, რეალურის გვერდით მასში მონათხრობი, ცალკე გაზვიადებით დაეჭვებას იწვევს.

ეს პოეტური ამბავია, რომელსაც დაეჯერება კიდევ და არც დაეჯერება: მატარებლის მემანქანე და წითელკაბა გოგო თვეების განმავლობაში ზედმიწევნით ერთმანეთს და ელიან ამ შეხვედრას. ცოტა უცნაურია მათი შეხვედრა. ერთს მატარებელი მიაჭროლებს, მეორე კი თავისი სახლის აივანზე გადმომდგარა; მანძილი მათ შორის იმხელაა, რომ ერთმანეთის სახესაც ვერ არჩევენ, მაგრამ იციან დრო, მატარებელი და სახლი, და ელიან. ბიჭმა იცის როგორია გოგო, იგი მას ოცნებაში ხედავს და იმდენად დარწმუნებულია თავისი ტუტელის სიმართლეში, რომ სახელიც კი იცის მისი — მათა. ბოლოს ისინი ხედებიან ერთმანეთს. ბიჭი ჩამოდის მასთან (აქ საოცარი დისონანსი შეაქვს თხრობაში მის ჩაქმულობას, თითქოს სახასიათო დეტალს), მაგრამ ქალი მას არ ელის. იგი ღიანდაგს გასცქერის და როცა მატარებელი ჩაივლის, გოგო ქვითინებს გაცრუებულ მოლოდინზე, ბიჭი რწმუნდება, რომ მისი ოცნების ქალი ნამდვილად ეს გოგო ყოფილა, სახედადაც კი მათა რქმევი, მაგრამ ხედავს, რომ მას არ ელიან, რომ იგი მოვიდა სხვა დროს, სხვა სახით. და უბრუნდება მატარებელს, უბრუნდება ოცნებას.

როგორც ვხედავთ, იმ მომენტამდე, სანამ ვაეი შეხვდება ქალს, ყველაფერი ოცნებათა სამყაროში ხდება. შეხვედრამ შეკრა მსაფერი კონფლიქტის კვანძი — ოცნება და ცხოვრების სინამდვილე არ ეთანხმებიან ერთმანეთს. ნოველა ფაქტურად უკვე დამთავრდა, დამთავრდა ლექსი ოცნებაზე, წერტილი დაესვა განწყობას. მაგრამ ავტორი არ ამთავრებს — ოცნების სამყაროში აბრუნებს შემანქანებს.

ამ ნოველაში უპირველესად ყურადღებას იპყრობს ის, რომ გმირები ნორმალურ მდგომარეობაში კი არა, ერთი გრძნობის გამძაფრების, გაზვიადების ფონზე არიან მოცემულნი. ასეთი დანახვა გმირებისა პროზისათვის ნაკლებ დამახასიათებელია. პროზა ცდილობს თავის ყოფითობაში, რეალობაში ასახოს ხასიათი, გაჭნობს, განიცდ, პოეზია კი აზვიადებს ამა თუ იმ მომენტს, ჰქმნის რეალურ შეგრძნებებს არარეალურის გზით; პროზა გაჯერებს ამბის სიმართლეში; ამბის პირობითობის გვერდით, სიტრუის გვერდით, გაჯერებს განწყობის სიმართლეში. ამ ნოველის ამბავს აკლია დამა-

ჯერებლობა, მაგრამ მას აქვს ნამდვილი პოეტური განწყობის სიმართლე — მისი ყველაზე დადებითი რამ. ნოველის წაიკითხვის შემდეგ მკითხველს რჩება არა ამბავი, არა გმირთა ხასიათები, არამედ განწყობა, ნაზი, სიფრთხანა, სიყვარულს თუ სევდიანი სიხარულის შეგრძნებით გამოწვეული.

ასეთ პოეტურ პროზას მიეკუთვნება კიდევ რამდენიმე ნოველა მწერლის კრებულიდან — „თამაში“, „დაგვიანება“, „მენავე“ და „თეთრი ქალიშვილი“. ისინი სხვადასხვა სიძლიერით არიან დაწერილნი, მაგრამ, პოეტურ ბუნებასთან ერთად, სხვა რამეც აქვთ საერთო. გმირები ამ ნოველებსა ასაკით მამა-შვილად ერგებიან ერთმანეთს, გარემოს ხედავს, ლირიული გმირის განცდა სამყაროსი ერთნაირია, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ისინი თვით მწერლის მეს- ოდნავ შეფერილი სახეცვლილებანია. შეიძლება ამ მავალითებში თავისთავად ეს არაფერს ცუდს არ შეიცავდეს, მაგრამ ასეთი, ერთი ლირიული გმირის ვარაიციის, გზით სიარული ავტორს ნამდვილად ერთფეროვნებამდე მიიყვანს.

პოეტური პროზის შინაგანმა ბუნებამ თავისი დალი ნოველის ფორმასაც დაანია, შურია მასში ზოგი პოეტური რამ. ეს ამ ნოველებსაც ეხება. ცნობილია, რომ ლექსში რიტმი განსაზღვრავს კომპოზიციას, ერთი სარიტმო ერთეული იქცევა ლექსის ლერძად. ასეთივე მოვლენას ვხვდებით „ჩქარ მატარებელში“. სმენითი შეგრძნება — მატარებლის რიტმული ხმაური, და ხედვითი — ორთქლმავლიდან დანახული სურათების თანაზომიერი მონაცვლეობა, ქმნიან ნოველის რიტმულ ერთეულს, რომელიც განსაზღვრავს თხრობის ტემპს.

„ორთქლმავალი გრუხუნებს მთებს შორის, მიზარგუნებს ხიდეზზე და მიდის...“

სოფელი, მდინარე, ყანები, ვენახები, ალგები, მუხები, ქალი, კაცი, ცა და მიწა — ჩემია ქვეყანა.

ვიქნევ ხელს, ქულს, თავს, მთელი ზედატანით ვიხრები სარკმელში.

- გამარჯობათ, ზიღებო!
- გამარჯობათ, ბავშვებო!
- თქვენი სიცოცხლე, მუხებო, ვენახებო!
- მთაო!
- კაცებო!
- გამარჯობათ, გამარჯობათ, ვენახებო!

მთის ფერდობზე ოდა მოჩანს. შორიდანვე კარგად ვარჩევ, ოდა ბოკონდერ ღვას, საცალფეხო, უსახელო კიბე აქვს მიდგმული. ოთახის ფანჯარა ღიაა. ეს წითელი რა უნდა იყოს ფანჯარაში?

მთა აიტუნა, გაქრა ოდა, ოთახი, ფანჯარა... მაყვალი შეწითლებულა. ავტო აქვია, ხელით მიწვდება.



— გამარჯობა, მაცვალაო
 ისევ მთის ფერღობი, ოღა კარგად ჩანს, ფანჯარა ღიაა, რაფაზე გოგონა შემოშვდარა, წითელი კაბა აცვია, ხელში ცისფერყდიანი წიგნი უჭირავს.

— გამარჯობა, გოგონა! — ვიქნევ ხელს, თავს ვიციანი...

იქნევს წიგნიან ხელს, მიცინის, იწევა ფანჯარიდან, ისევ მიქნევს ხელს.

მატარებელი მიჭრის, გასცდა სახლს, სადაცაა — თვალს მიეფარება გოგონა, მაგრამ არა, აივანზე გამოდის, აივნის კუთხეში სვეტს ეხვევა, მარცხენა ხელით ეკიდება აქეთ, ჩემცხედ და იქნევს ხელს, იქნევს...

მიდის მატარებელი...

— ნახვამდის, გოგონა!

ეფარება თვალს ჯერ გოგონა, მერე სახლი, გზო, ფერღობი, მატარებელი. მატარებელი სალ კლდეს მისდევს, მე უკან ვიციკრები, თითის წვერებზე ვღვები, რალაც კიდეც მინდა დავინახო.

მიდის მატარებელი, მიდის ქოთქოთით, ვიშოვით, დავიდარბით. ისევ სახლები, ხეები, მდინარე, ბავშვები ხბორებით, ვენახები... ვენახები!

ამ ნაწყვეტის (ოღონდ უფრო და უფრო დაწურულის, სიჩქარე და დამაბუღობა) რეფერნული მონაცელობა იწევეს შესაბამ ასოციაციებს — სმენითა და ხედვით, იქმნება რეალური სურათი, რეალური განწყობა, რომელიც ამავე დროს მთლიანია. თანაც ეს ყველაფერი ნოველაში პოეტური გადახვევა კი არ არის, არამედ მისი, როგორც ერთი მთლიანის, დამახასიათებელია და იგი სწორედ ამ მთლიანობაში ატარებს პოეტური პროზის ხასიათს. მაგრამ ლტოლვა პოეტურობისაკენ, თუ იგი მკაცრად კონტროლირებული არ არის, ხშირად აზიანებს პროზას. მავალითად „მენავევი“, ზღვის მოტივის რეფერნული გამოვრება იწევეს საპირისპირო ეფექტს, რადგან არაა დაცული ზომიერების გრძნობა, ეს მოტივი არ არის განწყობის შექმნის მთავარი ელემენტი.

პოეტურ ნოველაში უნდა მოხდეს შინაგანი მორიგება პროზასა და პოეზიას შორის. ეს თანადგობლობა ნაწარმოების შინაგან კანონზომიერებას ეყარება და მისი დარღვევა განწყობის მთლიანობის დარღვევას გამოიწვევს. ნოველა „თეთრი ქალიშვილი“, მიუხედავად ბევრი დიდებულისა, სტილისტურად არამთლიანია, რადგან მასში სწორედ ეს კანონზომიერებაა დარღვეული. ნოველის ექსპოზიცია გულისხმობს ამბის განვითარებას, მაგრამ ამბავი წყდება და შემოდის ახალი გმირი — ნათია თავისი განწყობით, ამ განწყობის შესაქმნელად აუცილებელი ამბის მინიმუმით, და ეს ამბავი

და განწყობა იქერენ მთავარ ადგილს ნოველაში, ხდებიან მისი სპეციფიკის წამმართველნი. ნათიას განწყობა და ამბავი არავითარ კავშირში არაა ექსპოზიციასთან, ექსპოზიცია არა თუ ამზადებს მომდევნო ამბავს, განწყობას, პირიქით, დისონანსი შეაქვს თხრობაში.

როცა ვიხილავთ იოსელიანის ამ ნოველებს და ვლაპარაკობთ პოეტურ პროზაზე, უნდა გავცეთ პასუხი კითხვაზე — შეიძლება თუ არა ასეთი სტილით დიდი პროზის შექმნა? შეიძლება თუ არა პოეტურმა პროზამ გვიჩვენოს შეჯახებანი ხასიათებისა, კონფლიქტები, და, რაც მთავარია, შეძლებს თუ არა მწერალი ასეთი პროზით არა მარტო ცხოვრების სურათების ჩვენებას, არამედ რაიმე დღის თქმას? ხომ არ დარჩება იგი თავის ნაწარმოებში მხოლოდამხოლოდ პასიურ მკერეტელად?

ამ კითხვის თვითონ ოტბი იოსელიანის მოთხრობა „ლევანა“ პასუხობს. ამ მოთხრობაში ნაჩვენებია ძალზე ცნობილი და ძველი ტრადიციული მარტოხელა კაცობა, რომელსაც ცოლ-შვილი დახოცვა და მარტოღმარტო ცასა და მიწას გამოყვრებული დარჩენილა. მსოფლიო მწერლობაში მამის კარგად ცნობილი ტრადიციის მოტივზე ჩვენც გვაქვს კლასიკური მოთხრობა. ესაა მიხელო ჯავახიშვილის „ტუის კაცი“. მასში მტრეყვე ხალხისაგან მოწყვეტილი, ცალკე ცხოვრობს, შვილების დახოცვამ იგი უბედურებასთან მარტოდ მარტო დაყუენა. მარტოხელა კაცმა ვერ გაუძლო და დამარცხდა — ქუაზე შეცდა.

ოტბი იოსელიანმა შვილებზე დამწუხრებულ მამის თემა ახლებურად გადაწყვიტა.

ლევანა მიწისა და ოჯახის მოყვარული გლეხია. ცოლ-შვილის დახოცვის მერე მან სიზმრებითა და მოღანდებებით დაიწყო ცხოვრება, რომელიც მისივე გარდასული ცხოვრების არეკილი ზმანება იყო: იგი ზრუნავდა კარ-მიღამოზე, ქუას არიგებდა შვილებს, ემზადებოდა ქორწილისათვის. დღის სინათლე ეჯავრებოდა ლევანას, იგი ხელს უშლიდა, არღვედა მისი სამყაროს მთლიანობას. ამიტომ ლევანა სახლიდან მხოლოდ საღამოობით გამოჰყვდიან ხოლმე თავს და იქვე უბრუნდებოდა თავის ზმანებებს. ეს მოჩვენებითი — ზრუნვა ოჯახზე — მისთვის რეალურ სამყაროდ იქცა, მან თითქმის ჩვეული გზით გააგრძელა ცხოვრება. ლევანა შესანიშნავად გრძნობდა თავს ახალ სამყაროში. იღუპებოდა კაცი, მაგრამ ვერავინ ვერ უშველა. მაგრამ ავტორი ლევანას ხსნას წინასწარ ამზადებს, როცა ლევანას ერთ თვისებას წამოსწევს წინ — ეს არის მიწის, საქონლისა და შრომის გლეხური სიყვარული. თუმცა, სიყვარული აქ ზუსტი სიტყვა არაა, გიყვარს ის, რაც შენს გარეთაა, ეს ყველაფერი კი ლევანას

სისხლი, ძვალი და ხორცია მისი, და იმ წაშიდან, როცა ზმანებაში წასული ლევანა ხარების ზმუილსა და ბაკუნს გაიგონებს, ბოლომდე, ლევანას ხსნამდე, ნოველა დიდი ექსპრესიითა და დრამატიზმით არის დაწერილი. მწერალი გვიჩვენებს ლევანას გადარჩენისათვის ატეხილ ბრძოლას და თანდათან შემოყვას ნოველაში ის მოკავშირეები, რომელმაც კაცი შეინარჩუნა ცხოვრებას.

ხარები მიაღწენენ ჭიშკარს. ლევანამ იცადა, მაგრამ შვილი არ გამოჩნდა. ჩაივდა ეზოში და თვითონ გაუღო ჭიშკარი. გადის დრო. თენდება. თითქოს ლევანა დაეკვდა (სად არის შვილი?), მაგრამ აელურტულდა ჩიტი. „ჩიტი ვერ დაასწრებდა ლევანას წამოდგომას“, მინდორში გასვლას. დაათენდა მიწის მუშას. ლევანამ კავს მიხედა, სახნისი დაეანგოდა. ამირანი კი არ ჩანს. აქ ქარი მოძალდა. შეახსენა მიწის ამბის შტოდნეს — თუ კიდევ შეყოვნდებოდა, მიწა გამოიკვალებოდა, კვი ალარ მოეკიდებოდა საყანეს. „სოფელი იღვიძებდა, როცა ლევანა ყანაში გავიდა“. დარჩა მარტო გლეხიკაცი მიწასთან, შეეჭიდა; მიწა და კაცი ზმანებას შეეჭიდნენ. ლევანამ გაიტანა ერთი კვალი, უკან გამობრუნდა. „გაუქირდათ ნაგვალავი მიწის გარღვევა ხარებს და შეჩერდნენ“.

—ა, მიდი-ოო! — სახრე გადაუჭირა ლევანამ, მიიხედ-მოიხედა. არაინ არ ჩანდა. შეეშინდა საკუთარი ხმის, თითქოს რაღაცას მიხედა, თითქოს რაღაცა გაუტყვირდა. ხარები უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ნისლა გვერდზე გადაიწია. გადაიწია ნიკორაჲ და ნახანავში გადავიდა.

ლევანამ სახრე შემოაჭირა მარჯვნიდან.

— გარე გამოდი, ოო! — შეუძახა და როცა ისევ გადაიწია ბელტი ბელტზე, დაავიწყდა წელანდელი შიში თუ გაოცება.

მზე მტუხუნავრედ ამოძვრა, შიგ თვალბეში ეცა მეგრის. მარცხენა ხელი აიფარა შუბლზე, რაღაცის ისევ შეეშინდა, ეუცხოვა მზე.

შეჩერდნენ ხარები, ხელი მიაშველა მეგრემ, მოარყია კავი. ჩამჩალ ჯირკს წასდგომოდა სახნისი.

— ხი-ოო, ხი-ოო! — ისევ ორივე ხელით დასწია ერქვანს“.

ასე გრძელდება, მიწა ეხმარება გლეხიკაცს სიცოცხლისაკენ მობრუნებაში, მიწა ალარ უშვებს ზმანებებისა და მიჩაყებისაკენ.

და გადარჩა კაცი. მეორე დილა მისთვის ადამიანური დილა იყო, ტკივილით სავსე, მაგრამ მიწიერი, ამქვეყნიური.

ლევანა სანამ მარტოა, ბევრით არაფრით განსხვავდება შეშლილისაგან, მაგრამ საკმარისია მისდა შეუმჩნეველად მას მეორე ადამიანი ამოუღდეს გვერდში, რომ ლევანაში მიმაღლდა ადამიანურმა, ნამდვილმა გლეხურმა — მიწისა და სახნისის სიყვარულმა იძალოს

და დაამარცხებინოს ბოროტება. სწორედ ამ ახალმა ორმა მომენტმა მისცა ამ ძველ თემას თანამედროვე გადაწყვეტა, მასში ნათლად ჩანს თანამედროვე ადამიანიც, მწერლის პოზიცია და დღევანდელი ყოფაც.

იქნებ შემთხვევითაა, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის მეორე მოთხრობის — „მღევრის“ რემინისცენციას იწვევს ნოველა „ბასარა“. „ლევანასაგან“ განსხვავებით ოტია იოსელიანი მასში ვერ გასცილდა ჯავახიშვილს. „მღევრის“ მანქანასთან გაჯიბრიბულ ჭინკა ბიქს გული უსკდება; სოფლის თვალს, ჭინკა ბიქსი დამარცხდა ქალაქის ემშაქთან ქიდილში. ქალაქი ამარცხებს სოფელს.

თითქმის ასევეა დაყენებული და გადაჭრილი საკითხი „ბასარაში“. სოფლის სანაჭებო ძალი ბასარა მარცხდება ქალაქის ჯადოქართან, მემანქანესთან ბრძოლაში. აქაც ძალს გული უსკდება, ოღონდ დარდისაგან. ოტია იოსელიანთან, იქნებ მისდაუნებურად, დაპირისპირებულია ქალაქი სოფელთან, და ქალაქი იმარჯვებს. საკითხის ასე დასმა და გადაწყვეტა უკვე წარსულის საქმეა, რადგან ცხოვრებამ დიდი ხანია მოხსნა იგი.

ამ კრებულში არის ერთი საინტერესო ნოველა — „ოჯახის ამბავი“. მასში ავტორი დიდ თემას ეჭიდება, ცდილობს საერთო გმირებით გაერთიანებულ სამ პატარა ნოველაში გადმოგვეცეს ამბავი სკოლის მეგრზე დაბადებული სიყვარულისა, ოჯახის შექმნისა, ახალი სიცოცხლის აღმოცენებისა. მასში არის შესანიშნავად დაჭერილი განწყობების მთლიანი გამა, ენა უმეტესად მთლიანად დატვირთულია და ყოველი სიტყვა თავის ადგილას ზის, მაგრამ თვით თემა — ოჯახის ამბავი იმდენად დილია, იმდენად ბევრს მოითხოვს, რომ თუ ჩასახვა-განვითარებთში მოვიწინდომებთ მის ასახვას, მარტო განწყობები მის გადწინააღმდეგ არა კმარა. აქ საჭიროა პროზაიკოსის დინჯი საჭრეთელი, რომელიც ამ განწყობებს ხასიათებთან ერთად გამოკვეთდა. ეს თემა სიჩქარეს ვერ აიტანს. იოსელიანის სტიქია კი სიჩქარეა. მართალია, ამ სიჩქარით, სისხარტით ბევრი რამ მიიღწევა, მაგრამ ყოველი თემა თავისებურ მიდგომას თხოულობს. ამ ნოველაში ავტორი ცდილობს ოჯახური იდილია დაგვიხატოს — იდილია კი ყველა მწერლისათვის დიდი საფრთხეა. ეს გზა არ უნდა იქცეს მწერლის გზად. არასწორად არის გააზრებული თანამედროვე მწერლობის ტენდენცია — ადამიანი აისახოს მის ყოველდღიურობაში. ახლა მწერალი უფრო ხშირად ტრივიალურზე წერს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ნაწერიც ტრივიალური იყოს. „ოჯახის ამბავში“ არის ეპიზოდული — ქალი შეიკობის, რომ ფეხმძიმედაა და შეატყობინებს ამ ამბავს ქმარს. რეალურად და კარგად არის



გადმოცემული სიხარული და სიცოცხლის დაცვის მამაკაცური ინსტინქტი ქმრის მოქმედებაში, მაგრამ თვით სცენა განდობისა იმდენად ტრივიალურია, რომ მთელ ნოველას აუფერულებს.

შართალია, „ოჯახის ამბავი“ მთლიანად ვერ არის „ჩქარი მატარებლის“ ან „თამაშის“ სიმალღეზე ასული, მაგრამ მასში მაინც ჩანს ავტორისეული აღღო კოლორიტისა და მისი ილუზიის შექმნის უნარი, სიწყინარისა და სიმწიფის უცნაური, თითქმის აქუსტიკური შეგრძნება. დაწერილია იგი კარგი ენით, კარგი ტექნიკით. ოჯახის ამბავს ავტორი ალბათ კიდევ არაერთგზის დაუბრუნდება, ოღონდ უფრო სხვაგვარად და სხვა სტილით.

ოტია იოსელიანი ნოველაში „ქვრივის ცრემლები“ ადამიანს ძალზე ახლოს ხედავს და აელენს მის ფიქრთა გამოცნობის შესანიშნავ უნარს. მას ადამიანი უყვარს მისივე სისუსტით, რომელიც ბუნებრივია, მაგრამ ნაკლებ სათქმელი, და იგი მწერლისათვის დაფიქრებისა და შეფარული ირონიის საგანი ხდება. ცოტა სახიფათოც კია ქალის ვენებისა და სურვილის ასე გაშიშვლება, მაგრამ ავტორი ყოველთვის იცავს ზომიერებას და ხელოვნების ფარგლებში რჩება. გმირის შინაგანი ბუნების გახსნამ გამოიწვია ნოველის თავისებური აგებულება. იგი, ისევე, როგორც, „ლევანა“ (ოღონდ უფრო მეტი ექსპრესიით), მთლიანად შინაგან მონოლოგზეა დამყარებული და ფაქტიურად ერთ მოქმედ გმირს მოიცავს. ავტორმა კარგად გა-

მოიყენა თანამედროვე მწერლობაში გავრცელებული ეს ხერხი.

როცა ვლაპარაკობთ ოტია იოსელიანის ძიებებზე, არ შეიძლება რაიმე არ ითქვას იმ ხასიათებზეც, რომელთა შემოყვანასაც ლიტერატურაში იგი ცდილობს.

უდავო არაა, რომ ხასიათები, ძლიერი, მკვეთრი ხასიათები, დღევანდელ პროზას პერიოდით სჭირდება.

ოტია იოსელიანი ცდილობს გვერდმ აუაროს ჩვენს ტრადიციულ ხასიათებს და ახალი ხასიათი გაგვაცნოს. საინტერესოა ხასიათები ანტონასი და სერაფიონისა (ნოველებში „ხელმოცარული“ და „ეპიტაფია“), მაგრამ ჩვენი სინამდვილის წამყვან ძალებს ისინი არ გამოხატავენ. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ახალგაზრდის სახე — ხასიათი, ოტია იოსელიანის ნოველიდან ნოველაში რომ გადადის. ეს კაცი ცხოვრებას ბედნიერი, მიამიტი თვალებით შეპყურებს, მისთვის ყველაფერში სიცოცხლეა, სიცოცხლე, მზითა და ხალისით სავსე. ეს არის და ეს, ამ კაცზე ჯერ მეტის თქმა არ შეგვიძლია. აქ არა ჩანს რთული ადამიანური ვენებები,

ოტია იოსელიანის ნოველების კრებული სავსეა ძიებით, ნიჭითა და იმედებით. მას უკვე ჰყავს თავისი მკითხველი. ეს მკითხველი უპირატესად ახალგაზრდა კაცია. თანამედროვე ახალგაზრდა, რომელიც ელის თავის მწერალს და თავის ადგილს მწერლობაში. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს და ოტია იოსელიანსაც არ უნდა დაევიწყდეთ იგი.





ლიბიჯი თუხაკელი

ლიტერატურული წერილები

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად განუწყვეტლად მიღდება საბჭოთა კავშირის ხალხის კულტურაც. შესაბამისად იზრდება ინტერესი მეზობელი მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურის მიმართ, მათ შორის რუსული ლიტერატურის მიმართ. რუსული ლიტერატურის შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს და კიდევ მეტი გასაქანი ეძლევა ჩვენს დროში. ქართველი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების მუშაობა მოძმე რუსი ხალხის ლიტერატურის შესწავლის საქმეში ვითარდებოდა რამდენიმე მიმართულებით. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით ქართულ ენაზე რუსული ლიტერატურის შესახებ დაწერილ გამოკვლევებს. ამ თვალსაზრისით თენგიზ ბუაჩიძის წიგნი „ლიტერატურული წერილები“¹, მისასალმებელია, როგორც ვარკვეული წვლილი რუსული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

„ლიტერატურული წერილები“ არსებითად ნარკვევების კრებულს წარმოადგენს. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში „ლიტერატურული ურთიერთობანი“ მოთავსებულია ორი ნარკვევი: „ბუშკინი და ქართული საზოგადოებრიობა“ და „ქართულ-უკრაინული ურთიერთობიდან“. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია თვალსაჩინო რუსი მწერლების — დერკავეინის, რადიშჩევისა და გოგოლის შემოქმედება. გარდა ამისა გარჩეულია რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, დეკაბრისტები პოეტების შემოქმედება, აქვეა ნარკვევი ლებრონტოვის რომანტიული პოეზიის თავისებურებაზე და, ბოლოს, წიგნის მესამე ნაწილში — „უკრაინისა და ბელორუსიის ლიტერატურა“, მოთავსებულია ნარკვევები ორი

მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე. სამწუხაროდ, უკრაინული და ბელორუსული ლიტერატურის შესახებ ჩვენთან არც ისე ხშირად წერენ. ამიტომ ყველა ნაშრომი ამ სფეროში ზედმიწევნით საკირო და აუცილებელია.

როგორც ვხედავთ, საკითხები, რომლებიც აინტერესებს „წერილების“ ავტორს, საკმაოდ ვრცელია.

ფართო თემატიკასა და აქტუალობასთან ერთად უნდა აღინიშნოს თ. ბუაჩიძის „წერილების“ სხვა ღირებებები: უპირველეს ყოვლისა შეკრებილი და სისტემაში მოყვანილი მასალის სისრულე, მაღალი ხარისხი და შესანიშნავი ენა, რომლითაც დაწერილია ნარკვევები. წიგნი, როგორც ეტყობა, გამიზნულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და მისაწვდომია კიდევაც მისთვის. ქართველი მკითხველი უსათუოდ დაინტერესდება თენგიზ ბუაჩიძის წიგნით.

„წერილების“ ავტორმა სწორი გზა აირჩია. მისი მხედველობის არეში მოხვდა საქართველოში ნაკლებ ცნობილი და შესწავლილი ლიტერატურული პრობლემები. ესენია „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, დერკავეინისა და რადიშჩევის შემოქმედება, დეკაბრისტების პოეზია. უკრაინული და ბელორუსული ლიტერატურის ისტორიიდან ასეთი აღმოჩნდა ყველა თემა, გარდა ტარას შევჩენკოს შემოქმედებისა.

წიგნი დაწერილია მაღალ პროფესიულ დონეზე. განაკვეთში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ავტორმა გადმოგვცა შინაარსი, მოგვცა წარმოდგენა ნაწარმოების პოეტურ ხერხებსა და მხატვრულ თავისებურებებზე. ნარკვევში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სათაურის საკითხს. ვინაიდან ნაწარმოები შეიცავს სამი ეპიკის — ორატორული ნაწარმოების საბრძოლო ისტორიული მოთხრობისა და საგმირო სიმღერის ნიშნებს, ამიტომ ავტორი მას ხან „ამბავს“ არქმევს, ხან „სიმღერას“, ხან კიდევ „მოთხრობას“. თ. ბუაჩიძე სამართლიანად

¹ თენგიზ ბუაჩიძე. ლიტერატურული წერილები. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1960.



უპერს მხარს იმ აზრს, რომ ყველაზე კარგად ნაწარმოების ხასიათს გადმოგვეცემს სათაური — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. ნარკვევში მოცემულია „ამბის“ წყაროების ანალიზი, დახასიათებულია მთავარი პერსონაჟი იგორი — თავისი დროის საშუალო თავადი — შემთხვევის გამო დიდი ნაწარმოების გმირად ქცეული. თ. ბუაჩიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მოთხრობის მთავარ სახეებზე. უპირველეს ყოვლისა იხატება ძირითადი სახე — რუსული მიწა. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, მთლიანი არსება. მისი თვალწინდელი სიერეცხი, მისი მიწოდებები, მდინარეები, ქალაქები, ბუნება, მისი ხალხი, მისი ადამიანები; ესენი არიან მიწის მუშები, მემორები, ცოლები და დედები, რომლებიც დასტირბიან დაღუპულ ქმრებსა და შვილებს; თავადები, მოუსაზრებელი იგორიეც კი, რომელმაც რუსეთი დამღუპველ ლაშქრობაში ჩაითრია. ყოველივე ამას „ამბის“ ავტორი დიდი სიყვარულითა და ოსტატობით ასახავს. თ. ბუაჩიძე გვაჩვენა ამ მხატვრული სახის (ისევე, როგორც სხვა სახეების) ღრმა ლირიზმი და პუბლიცისტური შემაჯობების ძალა.

არანაკლებ კვალიფიციურადაა დაწერილი თავი დერეჟინის შესახებ. ავტორი იცნობს უამრავ წყაროს მწერლის შესახებ და არჩევს ქართველი მკითხველისათვის მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს. ის საფუძვლად დერეჟინის, ამ „უდროოდ დაბადებულ პუშკინის“, ცხოვრების ბიოგრაფიულ ქარგას კი არ იღებს, არამედ მწერლის ადგილს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შორის ბრძოლაში, განსაკუთრებით „მალდა“ — ლომონოსოვისებურ და სატირიკულ-კანტემირისებურ ორ პოეტურ სტიქიას შორის ბრძოლაში. თ. ბუაჩიძე გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდა დერეჟინის შემოქმედებაში ეს ორი ნაკადი ოდა „ფელიცა“ დაწერამდე და როგორ დაადგა შემდეგ მწერალი კლასიციზმის ტრადიციების დარღვევით ოდისა და სატირის შეერთების გზას. იმ დროის მთავარი მიმდინარეობის — კლასიციზმისა და მასში სხვადასხვა სტიქიის ბრძოლის ფონზე გვაძლავს. თ. ბუაჩიძე მწერლის მნიშვნელოვანი ოდების ანალიზს. „წერილების“ მკითხველი იგრობს, რომ დერეჟინის შემოქმედებაში მართლაც „აღიბეჭდა მე-18 საუკუნის რუსეთი, ეკატერინეს დროის რუსეთის ვრცელი სურათი: ომები, რუსული იარაღის გამარჯვება, მთავრობის ღონისძიებები, ეპოქის მწვევე საკითხები, ადამიანები — დედოფალი, სახელმწიფო მოღვაწეები: პოტიომკინი, რუმიანცევი, პანინი, ზუბოვი, სუვოროვი, ნაკლებ ცნობილი თანამედროვეები, დიდებულთა ცხოვრების თავისებურებები; ყოველივე ამან თავისი მომღერალი კპოვა დერეჟინის სახით“.

ყოველი თავის ბოლოს „წერილების“ ავტორი აკეთებს მოკლე დასკვნებს. გამოწავლის შედეგებს თავი რადიშჩევის შესახებ. არ ღირს გამეორების შიშით კარგი წესის დარღვევა; საჭირო იყო მითითება, რომ რადიშჩევის თავის ნაწარმოებში სამი ძირითადი თემა აქვს მოცემული: ბატონყმური წესების მხილება, თვითმპყრობელობის მხილება და მოწოდება აჯანყებისაკენ. ასეთ შემთხვევაში ეს თავი მითვლება ისეთ გამოკვეთილსა და დამთავრებულ სახეს, როგორც დანარჩენი ნარკვევები.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაწარმის ყველა ნაწილი ერთნაირი სიძლიერითაა დაწერილი და საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება დეკაბრისტების, ლერმონტოვის, პუშკინის შესახებ დაწერილ თავებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაწილი, რომელიც ა. ფურცელაძეს ეხება. ა. ფურცელაძე პისარევის ცნობილი იდეების გავლენას განიცდიდა; იგი ერთერთ წერილში წერდა: „ჩვენ... არა გვეპიკიკიკ-პუშკინ-პოეზიება რა!“ (გვ. 21). ამასთანავე ერთად, თ. ბუაჩიძის ცნობის მიხედვით, ა. ფურცელაძემ ბრწყინვალედ თარგმნა „ნასროლი“ პუშკინის „მელკინის მოთხრობებიდან“, შეძლო გადმოეცა ნაწარმოების თავისებურებები, ჩასწავლა პუშკინის შემოქმედებითის სპეციფიკას, დაინახა ისეთი ნიუანსები, რომელთა გადმოცემა შეუძლებელია, თუ საქმისადმი გულგრილად ხარ განწყობილი. განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ა. ფურცელაძეს მოსწონდა და უყვარდა დიდი რუსი პოეტი!

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ქართულ-უკრაინული მეგობრობის ბრწყინვალე ტრადიციები (ა. წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრა, ა. წერეთლის უკრაინაში, აჯაკის ნაამბობი შევჩენკოზე), უძველესი საწინდარი დღევანდელი მტაცე და შეგნებული მეგობრობისა.

წიგნის საუკეთესო ნაწილია „პეტერბურგიდან მოსკოვის მოგზაურობის“ ანალიზი (გვ. 124) და ცნობები „ამბავის“ ავტორის შესახებ (გვ. 57-59). შესანიშნავადაა გამოკვეთილი დერეჟინის ხასიათი — კონსერვატორი, თავისი კლასის პირში და მისი ინტერესების დამცველი. მაგრამ დერეჟინის ობიექტურად უყურებდა სინამდვილეს. პატიოსნება და სიმართლის რწმენა მასში არასოდეს ამოწურულა. დერეჟინის ეკუთვნის ეს სიტყვები: „ღმერთების მომღერალი არასოდეს უსინდისო არ იქნება“.

არანაკლებ ნათლადაა დახასიათებული რომანტიკული ნაკადი, რომელიც ყოველთვის არსებობდა რუსულ ლიტერატურაში და რომელიც განსაკუთრებით გამოიხატა როგორც დეკაბრისტების, ისე ლერმონტოვის პოეზიაში. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ საკმარისად ბევრი ითქვა, რათა შეიქმნას სრული წარმოდგენა სარტყენიწი წიგნზე.

თითქმის ყველა ნარკვევში მოტანილია ქართული მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო ცალკეული მონაცემები. ზოგჯერ ეს თარგმანებს ეხება (მაგალითად, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, ღერკავინის ოდების, რადიშჩევის ნაწარმოებებისა და სხვათა თარგმანები), ზოგჯერ ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და რუსი ან უკრაინელი მწერლების კავშირს (ტარას შევჩენკოსთან და სხვ.). სამწუხაროდ, ავტორი არც ისე გულუხვად გვაწვდის ასეთ ცნობებს. ამავე ღრის გამოცემლობა „ცოდნას“ მიერ ქართულ ენაზე გამოცემული „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი¹, რომელიც ქართველი სტუდენტების სახელმძღვანელოს წარმოადგენს და რომლის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება თენგიზ ბუაჩიძე, იმითა შესანიშნავი, რომ მასში მოტანილია ქართულ-რუსული ლიტერატურის ურთიერთობის ამსახველი მასალა უძველესი პერიოდიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე. ასეთი ხასიათის წიგნი ჯერ არ შექმნილა საბჭოთა კავშირში.

იმ დიდი მასალიდან, რომელიც მოეპოვება ავტორს ნიკო ნიკოლაძისა და პუშკინის დამოკიდებულების შესახებ², სარეცენზო წიგნში მხოლოდ ნაწილია შეტანილი.

ნაშრომი გამოირჩევა შესრულების მაღალი კულტურით. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გაკეთება. მაგალითად, კარგი იქნებოდა დასახელება: რა მასალიდანაა ამოღებული-

ლი ცნობა კიევის თავადის იზიასლავ მსტინლავის ძისა (1154 წ.) და ქართველი დედოფლის ქორწინების შესახებ (გვ. 34), ცნობა ქართველებისა და მოკავშირე კაზაკების თურქეთთან ბრძოლაზე (გვ. 35); კარგი იქნებოდა სქოლიოების დათვა და ღერკავინზე დაწერილ თავზე (სად იბეჭდებოდა თარგმანები, ვინ და როდის თარგმნიდა და ა. შ.) და სხვ. ეს შენიშვნებზე დაეხმარებოდა მათ, ვინც მონიღომებდა წყაროების გაცნობას.

წიგნი დაწერილია შესანიშნავი ლიტერატურული ქართულით, სათქმელი გადმოცემული მკვეთრად და ლაკონურად. ყოველი აზრი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული, გამოთქმულია მკაფიოდ და რელიეფურად. დამატებებში, თანმიმდევრობა, ლოგიკურობა — ყოველივე ეს გააძღვეს წარმოდგენას ავტორის სტილზე.


თ. ბუაჩიძე კარგად იძლევა წარმოდგენას ეპოქაზე, აღამიანებზე. ჩვენი აზრით კარგადაა გაანალიზებული რადიშჩევის „მოგზაურობის“ სტილი, მაგრამ დასკვნები მეტად ჭბილადაა გაკეთებული.

ჩვენი მცირე შენიშვნები ეხება უმნიშვნელო, არაპრინციპულ საკითხებს. ჩვენს მიერ შემჩნეულ ხარვეზების გამოსწორება კიდევ უფრო სრულყოფილს გახდიდა წიგნს. რუსულ-ქართული, ქართულ-უკრაინული, ქართულ-ბელორუსული და სხვა ლიტერატურული ურთიერთობები ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფება და ყველა ახალი ნაშრომი მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს.

თენგიზ ბუაჩიძის კრებულს — „ლიტერატურული წერილები“ გარკვეული წვლილი შეაქვს ამ საკითხების გაშუქების საქმეში. იგი კარგად ჩაფიქრებული და მეტად საყურადღებო წიგნია.

¹ რუსული ლიტერატურის ისტორია. ტომი I (დასაწყისიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის რედაქციით. ცოდნა, თბილისი, 1960.

² თ. ბუაჩიძე, ა. ს. პუშკინი ნ. ნიკოლაძის შეფასებით. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71, 1958, (რუსულ ენაზე).



ნუნუ ხომაიკი

ლიბიტრი ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროში

არიან მწერლები, რომელთაც არ დაჩინიათ თვალისმომკრელი ლიტერატურული შემკვიდრება, მაგრამ მაინც უკვდავების გვირგვინი ხედომიათ წილად. ისინი ნიადაგს უშვადებდნენ დიდ შემოქმედებითს ძვრებს, წვრთნიდნენ მკითხველის გემოვნებას, საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდნენ იქით, საიდანაც განმაახლებელი ძალა უნდა გამოჩენილიყო, პირველნი ამჩნევდნენ ამ ახალს და მხარს უჭერდნენ მას. ამ ტიპის მწერლები ქმნიდნენ დროის ლიტერატურულ გემოვნებას, ურომლისოდაც არ არსებობს დიდი შემოქმედებითი აღმავლობა. ისინი იქნებ თვით არ იყვნენ დიდი მწერლები, მაგრამ შეეძლოთ უწვევრულვამო ყრმის პირველსავე სტრიქონებში ტალანტის ამოცნობა, გენიოსთა ნაწერებში მიმალული ზინჯის შემჩნევა და დიდი შემოქმედნიც მხოლოდ მათ უწეოდნენ ანგარიშს.

ასეთი იყო ლიბიტრი ყიფიანი.

მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა თითქმის მთელ საუკუნეს სწვდება, მაგრამ მშობლიური კულტურის სამსახურში გათეთრებული ოლიმპიელი არასოდეს დაძველებულა ლიტერატურაში. ყველა თაობა ერთნაირი მოწიწებით ექცეოდა ლიბიტრი ყიფიანს, თავის თანამედროვედ და თანამებრძოლად თვლიდა. მისი ტრაგიკული აღსასრულის დროსაც მათ ერთნაირი გულსტიკივლით დაიტირეს იგი. «ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან ლიბიტრი ყიფიანსა. — წერდა ილია ჭავჭავაძე. — დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ზნეირი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ შიდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული, ყველანი ერთად და თვითელი ცალკე გრძნობს, რომ რაღაც დააქადა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩასწყდა გულში».

ხოლო აქ წერეთელმა დ. ყიფიანის ხსოვნაშ უძღვნა უკვდავი ლექსი «განთიადი».

თავბრუდამხვევი სამსახურებრივი კარიერის

მიუხედავად, სამოცი წლის მანძილზე დიშ. ყიფიანი ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობის მოწინავე ხაზზე იდგა.

არ არის მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი, რომ ამ „ენერგიაშობარებულ ადამიანს“ თავისი ნიჭისა და ჭკუის კვალი არ დაეჩნისო. მაგრამ თანამედროვეთა წარმოდგენაში ლიბიტრი ყიფიანი უპირველესად მაინც მწერალი იყო. თავის მოწოდებად მას ლიტერატურა მიაჩნდა, ყველაზე ბედნიერად ამ ასპარეზზე გრძნობდა თავს. ყოველ თავისუფალ წუთს იგი ლიტერატურას ახმარდა. მისი კარადები მუდამ სახეე იყო ნაწერებით, რომელთა გაგრძელება თუ დახვეწა მის სასუქვარ ოცნებას წარმოადგენდა.

ლიბიტრი ყიფიანმა გარკვეული კვალი დააჩნია ჩვენს მწერლობას და მას უდავოდ აქვს თავისი საკუთარი სამყარო, რომელზედაც წარმოდგენას გვაძლევს როგორც დაბეჭდილი, ისე მის არქივებში დატული გამოუქვეყნებელი ხელნაწერები. დიშ. ყიფიანის ნაწერები, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობენ მაღალი ლიტერატურული გემოვნებითა და დამუშავების სრულყოფით. ამ თვალსაზრისით ისინი უთუოდ ნორმას წარმოადგენენ იმ ეპოქისათვის (40-50-იანი წლები).

ქართულ მწერალთა შორის დიშ. ყიფიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა როგორც მშობლიურ, ისე რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. მისი ახალგაზრდობის სულიერ ინტერესებს გადმოგვცემს ვახტანგ ორბელიანის ლექსი «ქველს მეგობარს»:

«მოდი, აქ მიძევს, თვალთ წინა, რუსთველის დიდი ქმნილება,
იმის ფურცელის ლექსებით სული და გული დაეიტკობო;



გატე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ. გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული, სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რვეული.

60-იან წლებში, როცა ახალმა თაობამ გაილაშქრა ლიტერატურული უგემოვნობისა და პრიმიტივიზმის წინააღმდეგ, დიმიტრი ყიფიანის ნაწერები სანიშნუშო გამოჩაჩივრებდა ალიბარეს. ილია ჭავჭავაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი უკანასკნელი დროის საუკეთესო თხზულებათა შორის ერთხმად ასახელებდნენ დიმიტრი ყიფიანის მოთხრობას „ზევიმა“, რომელიც „ციცკრის“ 1858 წლის სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი.

ეს მოთხრობა არა მარტო დიმიტრი ყიფიანის შემოქმედების იდეურსა და მხატვრულ ღირსებებზე მეტყველებს, არამედ შუქს ჰფენს იმ მოთხოვნებსაც, რომლებსაც ახალი თაობა უყენებდა ქართულ ლიტერატურას.

„ზევიმა“ გადმოკეთებულია („გამოკრებილი“) ვანლისის თხზულებიდან და მთელი რიგი რეალიზმით ისტატირება დაახლოებული ქართულ სინამდვილესთან.

მკითხველს თვალში ხვდება დიმიტრი ყიფიანის ბრძნული აზრები, სენტენციები და აფორიზმები, რომლებიც გამოხატავენ მწერლის პროგრესულ შეხედულებებს, კონკრეტული სინამდვილისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებას და ცხოვრების გამოცდილებას.

სიუჟეტის განვითარების ყოველ საკვანძო და პრობლემატურ ადგილზე დიმიტრი ყიფიანი საგულისხმო ჩანართებით ამბავილებს მკითხველის ყურადღებას; ერთგან ის წერს: „სიკოცხლეს რამეად დასთმობს, რაკინდ ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს, ვისაც განწმენდილი სინდისით უცხოვრია, სინანული არ ამძიმებს... დიდი საუნჯეა განწმენდილი სინდისი“.

იმ დროისათვის ფენომენალურად უნდა ჩაითვალოს „ზევიმას“ ენა. ეს არის ერთი პირველი პროზაული თხზულება, დაწერილი მსუბუქი, ძალდაუტანებელი ახალქართულით. წინადადებები ნათელია, მეაფიოდ გამოხატავენ სათქმელს, მწერალი გაურბის პათეტიკას ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სადღესასწაულოებს“.

სწორედ იმ წელს, როცა „ზევიმა“ დაიბეჭდა, ლარენტო არღანიანი იმავე ეტრნალის ფურცლებზე გულისტკივლით აღნიშნავდა ქართული პროზის სავალალო მდგომარეობას, რის უმთავრეს მიზეზადაც ენის დაუმუშავებლობას თვლიდა. ამა რა ეთქმოდა მწერალს იმ დროს, როცა ეტრნალი აჭრებულელი იყო სარდიონ მესხიშვილის გაუთავებელი თარგმანებით, რომ-

ლებსაც არავინ კითხულობდა. ასეთ ვითარებაში, დიმიტრი ყიფიანის „ზევიმა“ მართლაც რომ მოვლენა იყო და ახალთაობასაც შეუმჩნევლად არ დარჩენია ის.

დიმიტრი ყიფიანის ორიგინალური მოთხრობა — „თურქმენული ცხენი“ „ციცკარმა“ 1863 წლის იანვარში გამოაქვეყნა. ეს თხზულება, ისევე, როგორც დიმიტრი ყიფიანის ყველა ნაწარმოები, (მათ შორის, თარგმანებიც) იწყება მიმართით თეიმურაზისადმი, რომელშიც ავტორი ქართველ მკითხველს გულისხმობს საერთოდ.

„თურქმენული ცხენი“ გადმოგვცემს მწერლის სულიერ განწყობილებას, მის უცაყოფილებას საშახურებრივი საქმეებით გადატვირთვის გამო, აგრეთვე დამოკიდებულებას ახალი ეტრნალისადმი („საქართველოს მოამბე“). მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება: „ნასრულა“ და „ნაზიმათი“.

არ ვიცი, საკუთარი თვალთა ნანახს აგვიწერს თუ არა ამ მოთხრობაში დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მწერლის მიზანი როდი იყო იმ პერიოდისათვის დრომოქმული აღმოსავლური სატრფიალო სიუჟეტის თხრობა, სამარყანდის ეგზოტიკა ან ნახევრად ზღაპრული სიტუაციები, პროლოგსა და ეპილოგში ავტორი გვაგარდობინებს, რომ იგი ეხება ქართულ მკითხველისათვის მტკივნეულ საკითხებს. მართლაც, მოთხრობა დაწერილია მკითხველთან საუბრის ინტიმური მანერით და დამაინტერესებელი სიუჟეტური ქარცა მწერალს საშუალებას აძლევს გზადგავს ვრცელ გამოცხადებულ მკითხველს მთელ რიგ საკუთრობო პრობლემებზე. სწორედ ეს პუბლიცისტური წილსუღებია მოთხრობის მთავარი ღერძი, სწორედ იგი აძლევს ამ თხზულებას განსაკუთრებულ ხასიათს და ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს ზღაპრული სიუჟეტი ავტორს მხოლოდ მკითხველის გულისყურის დასაპყრობად შეუთხზავს.

დიმიტრი ყიფიანი განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას, კერძოდ, სამართალს, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველგან თვითნებობა გამეფებულა. სახელმწიფო წესდებულება და სამართლის კანონები თითქო ცული არაა, მაგრამ საქმით კანონი უღონოა და ბოროტმოქმედება იქაურის მშარობის მოსამსახურებისა იქამდინ არის გავრცელებული, რომ თვითმნებლობა უძვეს საფუძვლად ყოველს მშართველსა და მსაჯულსა. ქვეყნის სიკეთესა და მშვიდობისათვის რომ იქ გულით ჰზრუნავდეს ვინმე, თვითონვე იტყვის: „ერთი კაცმა მკითხოს, მე რაღაზედ ვიციებ თავსაო“.

ავტორი გმობს თვითნებობას, სახელმწიფო აპარატის ბუროკრატიულ ხასიათს: „აღლიარს რომ... მთავრობისათვის მიემართა, — წერს

ის, — მოურავებისა, დივანბეგებისა, ბეგლარ-ბეგებისა, მსაჯულებისა და მსაჯულთა უხუცესების კარების ცვეთას მოუნდებოდა თვითონაცა და ყოველი იმის საცხოვრებელიცა, ამიტომ რომ, — აღორძინდით და გამარავდითო, — ამის მაგივრად სხვა სიტყვა არის ჩვეულებით სჯულად დადებული იქაურს მოხელეებში: „სიარგებლეთ და იცხოვრეთ, გვასარგებლეთ და გვაცხოვრეთ“.

რაკი ყველგან უსამართლობა მეფობს, ადამიანს, ხალხს მართლმსაჯულებასა და კანონებზე გული გასტეხია — „შეჩვეულია მის უსინდისობასა და ბოროტმოქმედებას“ და ამიტომ უკანონო, დანაშაულებრივ გზას ირჩევს მიზნის მისაღწევადო, ამბობს ავტორი; ამ მსჯელობას დღემ. ყოფიანი თვისებურ ფილოსოფიურ დისკუსიამდე მიჰყავს: „საოცარი ქმნილებაა ადამიანი: მფლობელი არის აურაცხელის ნიჭისა და, თუ მოიწადინა, შეუძლია ძლიერება უძლეველი და სიწმინდე ანგელოზის შესადარებელი შეიქმნოს; თუ არადა შეუძლია დამდაბლდეს სასულითა და ზორციით, უმდაბლეს ყოვლად საზიზღარი ქვეწარმავლისა“.

ასევე ვრცლად მსჯელობს ავტორი ქალის უფლებებზე. ახასიათებს დედაკაცის მდგომარეობას პირველყოფილ საზოგადოებაში, მამადიანებთან, ქრისტიანებთან, გმობს ქალის უფლებობას და მას მამაკაცის თანასწორად თვლის.

„ზვიამა“ და „თურქმენული ცენი“ ბევრ რასამე გვიხსნის დღემ. ყოფიანს მეტად რთულ ხასიათში. ახლა უფრო გასაგები ხდება ჩვენთვის მისი გატაცება ჯუჯებზე გარბილადითა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატებით. ამ უღირესად სიანტირესო ადამიანის არქივის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 50-60-იან წლებში იგი იყო ერთადერთი ქართველი, რომელიც მოსწავლე შვილებისათვის სისტემატურად იწერდა წიგნებს იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, ავრთვე ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვის გამოცემებს. გასაგები ხდება ის აღტაცებაც, რომლითაც დღემ. ყოფიანი ილია ჭავჭავაძის თაობასა და „საქართველოს მოამბეს“ შეხვდა.

დღემ. ყოფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „მე-მზარებს“, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა. ეს თხზულება XIX საუკუნის საქართველოს თავისებური მატანია. ამ შიკრი ნაწარმოებში ავტორი დიდი ოსტატობით აცოცხლებს თავის ეპოქას, ხატავს თანამედროვეთა ათობით დასამახოვრებელ სახეს, ნათესს ჰვენს აწ ფეერ-გადასულ მოვლენებს. ნაკვეთში „სკოლა სურსისა“ — ათიოდე გვერდზე დღემ. ყოფიანი ადგილდგენს სწავლის პერიოდის, სახელმწიფო სამსახურის, საარჩევნო სამსახურისა თუ კერ-

ძო ცხოვრების მკაფიო სურათებს. აქ ჩანს დიდი ლიტერატურული დაკვირვებისა და ეპიზოდების შერჩევის უნარი. ამა თუ იმ მოვლენის დასახასიათებლად დღემ. ყოფიანი ერთ ეპიზოდს გადმოგვიცემს მხოლოდ, არასოდეს არ ერევა თხრობაში, არ ამქვადენებს თავის ვნებებს, ცივი და მიუტყეპრებელია. მკითხველს უფრო მეტს ეუბნება ასე სიტყვა-ძუნწად გადმოცემული ფაქტი, რომელიც მხოლოდ მთავარსა და არსებითს შეიცავს. ავტორი საგანგებოდ გაურბის ხელოვნურ გახმატრულებას, რაკი არაჩვეულებრივ დამაჯერებლობას ანიჭებს მის მოგონებებს.

დღემ. ყოფიანი ლექსებსაც წერდა. „ღროების“ 1883 წლის № 231-ში ბაქარ ქართლის ფსევდონიმით დაბეჭდილია მისი ვრცელი ლექსი „ჩველი მეგობრის პასუხი“, რომელშიც იგი ეხმინება ვახტანგ ორბელიანის ლექსს „ძველ მეგობარს“. ეს არის მოხუცის გულმხურვალე სიმღერა, საშობლობსა და პოეზიაზე თქმული. დღემ. ყოფიანის არქივზე შემოუნახავს მისი ვრცელი ლექსი „ქვიშებით მთაწმინდა“. ლექსები ჩართულია მის მოთხრობებსა და თარგმნებშიც, რაკი გვიჩვენებს, თუ რაოდენ მრავალმხრივი იყო დღემ. ყოფიანის ლიტერატურული ინტერესები.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიმიტრი ყოფიანმა მთარგმნელობითს ლიტერატურაში. საკმარისია ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა შექსპირის თარგმნის ქართულ ენაზე. 1841 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ბიძის, გიგოლო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ექვბით იხსენიებს დღემ. ყოფიანის მიერ გადმოთარგმნილ „რომეო და ჯულიეტას“, „ლიტერატურა ჩვენი, ღვთათ, დღე და დღე შოთლობს ახალ მოყვარეთა, — წერს იგი. — მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცულნი სამსახურადგან, მუვლორებაში და მარტობაში შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა, ყმაწვილ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინათ გონებობა“ — და შემდეგ დასძენს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის ტრადელია და მე ვთარგმნი „Юлий Терентский“ ტრადელია ლიბოვეიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“.

გარდა „რომეო და ჯულიეტასი“, დღემ. ყოფიანმა თარგმნა შექსპირის „ვენეციელი ვეპარი“ (დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“, 1872, № 3, 4) და „ორი ვერონელი აზნაური“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1867 წელს (ითარგმნა უფრო ადრე, 1865).



ქურნალოს რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავდა, ეს თარგმანი მეტად ახლოს დგას დედანთანო: „ამ დრამის ქართულად მთარგმნელს ინგლისურთან შესადარებლად ჰქონდა საუკეთესო ფრანკულული თარგმანი ლაროშისა და რუსულად კეტჩერისა; ქართველმა მთარგმნელმა პპოვად, რომ ადგილ-ადგილ ვერ არის სწორად გადმოღებული შექსპირის სიტყვები, ამისათვის იმას მოჰყავს ხელნაწერში ნამდვილი სიტყვები შექსპირისა. მაგრამ, რადგანაც ჩვენს სტამბაში ლათინური და ფრანკულული ასოები არ მოიპოვებოდა, ამისათვის ეს ნამდვილი სიტყვები ბეჭდვაში ვერ ვიხმარეთ“ („ცისკარი“, 1867, № 5).

1871 წელს ასპარეზზე გამოვიდა ივანე მაჩაბელი და ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა შექსპირზე მუშაობა შეწყვიტა.

შექსპირის შემდეგ დიმიტრი ყიფიანის ყურადღება ყველაზე მეტად მოლიერის კომედიებში მიიქცია. მან გადმოთარგმნა „სიყვარული მკურნალობა“ („ივერია“, 1879, № 2), „სიყვარული მხატვრობა“ („ივერია“, 1879, № 3), „ძალად ცოლის შერთვევინება“, „ავთია ვარო, დაუქინია“, და „ჩინებული სასიძოინო“. ამოვან ქართველ მსაყრებელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა „ძალად ცოლის შერთვევინება“. ეს კომედია ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა პირველად წარმოადგინა 1865 წელს. იმავე წლის „ცისკრის“ მე-4 ნომერში ამ დადგმის შესახებ გამოქვეყნებულია ცნობა: „წარმოდგენილი იქნა უფ. დიმ. ყიფიანისაგან ჩინებულის ენით ნათარგმნი ფრანკულულიდან მოლიერის „ცოლის შერთვევინება“. „მნათობის“ 1870 წ. № 1-ში კი განსაკუთრებული ქებითაა მოხსენებული სგანარეღის როლის შემსრულებელი მსახიობი ნათიშვილი.

1879 წ. დიმ. ყიფიანმა თარგმნა კომედია „ავთია ვარო, დაუქინია“, რომლის ავტოგრაფი ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული (14764-ბ). ეს თარგმანი არ დაბეჭდილა, რადგან ვიდრე დიმ. ყიფიანი მასზე მუშაობას დაამთავრებდა (1879 წლის 14 თებერვალს), ქართულ სცენაზე უკვე წარმოადგინეს ამ კომედიის მაჩაბლისეული თარგმანი სათაურით — „ეკვითი ავადმყოფი“ და „ივერის“ მეორე ნომერში საგანგებო რეცენზიაც გამოქვეყნდა მასზე.

როგორც ჩანს, ამის გამო დ. ყიფიანი იმ პერიოდში აღარ უნებებია თავის თარგმანის გამოქვეყნება, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ განუზრახავს მისი დაბეჭდვა. ლიტერატურულ მუზეუმისეული ავტოგრაფი სწორედ სასტამბოდ გამზადებული ეგზემპლარია, რომელსაც ცენზორის ნებართვაც ახლავს. ცენზორის მიერ აღნიშნული თარიღია: „1884 წლის 10 აპრილი“. მაგრამ, ჩვენთვის ჯერჯერობით

გაურკვეველი მიზეზების გამო, თარგმანის ბეჭდვა ამჟამად შეუძლებელია.

ყიფიანისეული და მაჩაბლისეული თარგმანის ტექსტები ზუსტად მისდევს ერთიმეორეს, მაგრამ მაჩაბელი შედარებით თავისუფლად ექცევა ცალკეულ წინადადებებს, რათა უფრო ნათელი გახადოს ამბავი. ყიფიანი კი ზუსტად თარგმნის, რაც ერთგვარად ზღუდავს მას. თავისი „დედნის სწორად გადმოღების“ თეორიის მიხედვით, იგი ცდილობს სიტყვა-სიტყვით თარგმანი მოგვარდოს. საერთო შთაბეჭდილების მიხედვითაც, მაჩაბლისეული ტექსტი შემოქმედებით თარგმანის ნიმუშია, მაშინ, როცა ყიფიანი დედნის დიდ ზემოქმედებას განიცდის. ეს განსხვავება თვით სათაურის თარგმანშიც მკაფიოდაა გამომჟღავნებული. დ. ყიფიანი სათაურად გვთავაზობს: „ავთია ვარო, დაუქინია“, ივ. მაჩაბელი კი სხარტად და ლაკონურად გადმოგვცემს: „ეკვითი ავადმყოფი“.

ივ. მაჩაბლის თარგმანში ყოველი მოქმედება, დიალოგი მეტად თავისუფლად ვითარდება და მას ხელს უწყობს ისიც, რომ ენა აქ გასაოცრად მსუბუქი, ლაღი და კომედიისათვის ასახანია. მაგრამ ყიფიანისეული თარგმანის ბევრი ადგილი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთია, მაგალითად, II მოქმედების მე-8 სურათი, III მოქმედების მე-12, მე-13 და მე-14 სურათები, აგრეთვე მთელი რიგი სიტყვები და გამოთქმები.

საერთოდ, დიმ. ყიფიანის თარგმანი არ არის ცუდი. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ თავისი დროისათვის იგი კარგ თარგმანდაც ჩაითვლებოდა, ზოგიერთი რედაქტორული შესწორება რომ განეცადა... რაც მთავარია, მთ კარგად აქვთ შენარჩუნებული მოლიერის კომედიის სცენურობა და ეანრობრივი კოლორიტი. ძალიან ბევრია აქ ისეთი თქმა, რომ თუარ მაჩაბლის კლასიკური თარგმანი, ვერც კი ვიფიქრებდით, რომ შესაძლებელი იყო უკეთ გამოთქმა.

ლიტერატურულ მუზეუმშივეა დაცული „ჩინებული სასიძოინო“ (14765-ბ) ყიფიანისეული თარგმანის ავტოგრაფი, რომელიც სასტამბოდ გადათვითრებულ ცალს წარმოადგენს. იგი 1879 წელსაა გადმოთარგმნილი, ხოლო ცენზორის ნებართვა დათარიღებულია 1884 წლის 11 აპრილით. მაგრამ იმ პერიოდში არც „ჩინებულ სასიძოინო“ დაბეჭდილა. იგი მხოლოდ დიმ. ყიფიანის სიკვდილის შემდეგ, 1894 წელს გამოქვეყნდა ქურნალ „მნათობის“ № 7-ში.

დაბეჭდილი ტექსტი ნაწილობრივ განსხვავდება დიმ. ყიფიანის ავტოგრაფისაგან. ერთობა, დაბეჭდვისას გაუსწორებიათ „მნათობის“ რედაქციას, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერს სრულიად ხელუხლებელია, და,



ამიტომ უნდა ეიფიქროთ, რომ რედაქციაში ავტორგრაფის მეორე ცალი წარადგინეს ან სხვის მიერ გადაწერილი ასლი.

„ჩინებული სასიძინო“ არ წარმოდგენილა ქართულ სცენაზე, ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოგვეპოვება. ეს თარგმანი მიეწევა ულია და ქართველ მკვლევარებსაც გამორჩენილ მხედველობიდან.

ლიმ. ყიფიანი იყო ევროპული კულტურის მქონე პირველი ქართველი მთარგმნელი. ლიტერატურულ თარგმანს „ნამდვილ შემოქმედებად“ თვლიდა. ამიტომ ცდილობდა ორიგინალში გასცნობოდა ევროპული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში გულმოდგინედ ეუფლებოდა ევროპულ ენებს (ფრანგული ენა თურამბერი წლის ყმაწვილმა ციხეში ყოფნისას შეისწავლა 1832 წელს). 60-იან წლებში დამოუკიდებლად მოჰკიდა ხელი ინგლისურ ენას და ისე კარგად დაეუფლა მას, რომ შექსპირის ფრანგულსა და რუსულ თარგმანებშიც მრავალ ხინჯს პოულობდა. ხოლო სამოცი წლისამ ლათინური ენა დასძლია.

ლიმ. ყიფიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დახასიათებისას კიდევ ერთ ვარაუტობას უნდა გავიყოს ანგარიში. მან ერთმა პირველთაგანმა მოჰკიდა ხელი ევროპული ენებიდან პროზაული და დრამატული თხზულებების თარგმანს. მაშინ კი ამ ამოცანის განხორციელების თვალსაზრისით ახალი სალიტერატურო ენა გაუტეხავ ყამირს წარმოადგენდა. გორაკეველი და დაუდგენელი იყო მთელი რიგი სიტყვებისა და ცნებების მნიშვნელობა. ყიფიანი გამუდმებული შემოაბოა უხდებოდა, რათა მათი ქართული შესატყვისები დაეძებნა. მაშინდელ მთარგმნელთაგან განსხვავებით, ლიმ. ყიფიანი 40-იანი წლებიდანვე ახალი სალიტერატურო ენით ასრულებდა თარგმანებს, ფართოდ იყენებდა ხალხურ გამოთქმებს; მან გასაქანი მისცა მსუბუქ სასაუბრო ენას, რითაც საერთოდ ხელი შეუწყო ორიგინალური ქართულ პროზისა და დრამატურის განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ დიდ დაბრკოლებას ჰქმნიდა მკითხველი საზოგადოების ჩამორჩენილობა. ასე, მაგალითად, ლიმ. ყიფიანის თარგმანები ავტორლებულია აუტრაცხელი შენიშვნებით, რომლებშიც თავის მკითხველს (რომელსაც იგი მიმართავს სახელით, თეიმურაზ!) ვრცლად განუმარტავს ოდნავ განათლებული ადამიანისათვისაც ადვილგასაგებ სიტყვათა მნიშვნელობას: პარამენტი, სენატი, სასტუმრო, ჯენტლმენი და სხვ.

ლიმ. ყიფიანის ლიტერატურულ სამკვიდროზე წარმოდგენა მეტად ნაკლები იქნება, თუ

მოკლედ მიიხილოთ არ გავითვალისწინებთ იმ დეაწლს, რომელიც მას ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მიუძღვის. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მისი მოსაზრებანი შეეხება სწორედ მწერლის ენას.

ლიმ. ყიფიანი უკვე 30-იანი წლებიდან აღიარებული იყო ქართული ენის შესანიშნავ მკოდნედ. მის აზრს ანგარიშს უწევდა ყველა — კლასიკოსიდან არქაისტამდე. 1860 წელს პოეტმა კოლხიდელმა „ციცქრის“ რედაქციას გაუგზავნა იამბიკო დავით აღმაშენებელზე და მისწერა: „გზოვთ ბაქარ ქართულს გაუგზავნით იამბიკო ესე, ვიდრე დაბეჭდვდეთ, რომ მან განიხილოს და თუ ზოგიერთი ადგილი ამისი მრუთება, სარკმელი გაუკეთოს ისრე, რომ მშუშ შეუქმნატიოს. მეც მადლობელს მყოფს და ვითარცა ქართული, ქართულსაც დაავალბებს იგი“.

ერთ წერილში ალექსანდრე ჯამბაყურ-ორბელიანი გულისტკივლით აღნიშნავს, რომ ქართული ენა „აჭრელა“ და მიმართავს ლიბერალი ყიფიანს, როგორც „ქართული ენის ზედმიწევნით მკოდნეს“, შეისწავლოს მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები: „გსთხოვით ბაქარ ქართულს, თუ ოდესმე მოცლა ჰქონდეს ბევრის საქმისგან, შემოკლებული სწორი ქართული გრამატიკა შევიდგინოს საქდგნო ძმებისა და ამით დაგვავალოს ყველანი. თუმცა შრომა დიდი ექნება ამაზე, მაგრამ ჩვენი მადლობა უფრო უკეთესი“ (ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი: „ქართული უბნობა ანუ წყარა“, „ციცქარი“, 1860, № 6). ლიბერალი ყიფიანმა მართლაც მოჰკიდა ხელი ქართული გრამატიკის შედგენას და, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატური მუშაობის საშუალება არ ჰქონდა, მიიხილოთ იგი.

80-იან წლებში ლიმ. ყიფიანი „ეფესისტკაონის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში მიიწვიეს. იგი იყო სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრი და პოემის ტექსტში მთელი რიგი საყურადღებო შესწორებანი შეიტანა.

სანამ შეეცხებოდეთ ლიმ. ყიფიანის წერილებს „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შესახებ, მოკლედ განვიხილოთ მისი მოსაზრებანი საერთოდ ენის საკითხებზე.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს მისი მოთხრობა „უცნაური ნადირობა“, რომელიც „ბაქარ ქართულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა „ივერიის“ 1880 წლის პირველი ნომერში. ეს ორიგინალური თხზულება საყურადღებოა როგორც ლიტერატურულად, ისე ენობრივად. მსგავსად „კალმასობისა“, მასში ბუმბარს

1 კოლხიდელი — გრიგოლ დადიანის ფსევდონიმი (1814 — 1901).



წველით, კითხვა-მიგების ფორმით განმარტებულია ქართული ენის მნიშვნელობა, მისი ბუნება და კანონები. დიმი. ყიფიანი ცალკეული დიალექტებიდან შემოტანილი სიტყვებით სალიტერატურო ენის გამდიდრების წინააღმდეგ არ არის, მაგრამ დიდი სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს ამ მხრივ. იგი წერს: „ყოველი მწიგნობრობის უმთავრესი მისაღწევი საგანი არის ორი! დაახლოვება, რამდენათაც შეიძლებაოდეს, სასაუბრო ენასთან, მაგრამ დაახლოვება იმ განზრახვით, რომ თვით ეს ენა ვასუფთავდეს, დამშვენდეს და დაწმენდილი იქნეს ყოველი უგვანი და უშვერი ლექსისაგან და ადვილი ვასაოწნი იყოს ყველასთვის. 2. მართლწერა ისეთი იყოს, რომ სიტყვის ძირეულად დასაწყისის გამოცნობა არას დროს არ გაჰიღვდეს: ეს დიდად საჭიროა“. ამრიგად, დიმი. ყიფიანის აზრით, ენა ხალხის კუთვნილებათა და იგი ერთნაირად ვასაგები უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენისათვის, დიმიტრი ყიფიანი მეცნიერულად განიხილავს ენის განვითარების საკითხებს. „ახლანდელი მეცნიერება ამბობს, მსოფლიოში უძრავი არა არის რაღაც, — წერს იგი, — ზოგს ეტყობა, ზოგს არა, მართალია, მაგრამ ყოველივე კი მოძრაობს; ან მიდის, ან მოდის. ენაც ამგვარს მოძრაობათაში“...

ავტორის აზრი უაღრესად თანადროულია. საწყერლო ენა უნდა იქმნებოდეს, იხვეწებოდეს და ვითარდებოდეს მხოლოდ საზოგადოების განვითარებასთან მჭიდრო კავშირში. ასეთი ენა იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი, ვასაგები და გამოსადეგი. როგორც ყველაფერი ბუნებაში, ენაც ვითარდება, მოძველებული სიტყვები კვდება და მათ ადვილზე ჩნდება ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში შემოდიან და თანდათან მკვიდრდებიან.

დიმი. ყიფიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ენის შესწავლას. „მოგვსენებათ, — წერდა ის, — ვისაც თავისი ბუნებითი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის. ეს მოვლინება ბუნებითი არის ყოველგან და ყოველთვის უცვალელებელი: და არის ის ზნეობითი ჩვენი აზარმაკი, რომლითაც უძრავი იმერის, ურყველი ირყვი და უშენი შენდება“.

დიმი. ყიფიანის თქმით, მშობლიური ენა „მცნებათა კიდობანია“, იგი წმიდითაწმიდაა და სკოლებში დიდი სიფრთხილით უნდა ისწავლებოდეს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ დიმიტრი ყიფიანმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიჰქცია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, ბავშვთათვის პირველსაკითხავ წიგნებს. ეს მეტად პასუხსაგები საქმეაო, ამბობდა დიმი. ყიფიანი, რადგანაც „პირველ საკითხავს წიგნში,

ახალ მოსწავლეთათვის გამოცემულში, არა შეეცდომა არა უნდა იყოს რა, რომ ნაკლოვანება კანონიერებათ არ დამკვიდრდეს და შეცთომა შემეცნებათ არ მიიღონ“.

დიმიტრი ყიფიანს წერილი ი. გოგებაშვილის „ღვინისა“ შესახებ გამოქვეყნებული არაა. იგი დაუვლია ლიტერატურულ მუხურეში ორ ცალად: შავად და გადათეთრებული სახით. როგორც შავი, ისე გადათეთრებული ხელნაწერი ბოლონაკლულია და უსათურო.

წერილი „ბუნების კარის“ შესახებ მუსხუშვილი სრული სახით არის დაუვლი. ეს სწორედ ის ავტორგრაფია, რომელიც ხელში ჩაეპარნია იოსებ მერკვილიძეს (რასაც ადასტურებს 1-ლი და მე-2 გვ. აშეებზე მინაწერი, ზოგან ფანტრით, ზოგან წითელი მელნით: „იოსებ მერკვილიძე“) და გამოუქვეყნებია ვაზ. ჩვენი დროებაში“ 1913 წელს (№ 26).

აღნიშნული წერილების მასში გამოუქვეყნებლობის შიზნეში, ჩვენი აზრით, ისაა, რომ დიმი. ყიფიანს არ სურდა პოლემიკა ვაეპარნა გოგებაშვილთან და სადავო საკითხები საჯაროდ გამოეტანა პრესაში. მსოფლივ მწერალს უნდა და შეგობრული რჩევა მიეცა იაკობისათვის, მასთან ერთად ვაესწორებინა ყველა შემწინელი ნაკლი. ამდენად, დიმი. ყიფიანს თვალსაჩინო ამაგი მიუძღვის ქართული ენის სახელმძღვანელოთა დახვეწა-დამუშავებაში.

პედაგოგიური თვალსაზრისით, დიმი. ყიფიანი მაღალ შეფასებას აძლევს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. წერილში „ღვინისა“ შესახებ, იგი აღნიშნავს: „ღვინისა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი“. მაგრამ ალაგ-ალაგ ყიფიანი ავტორის ქართულ ენას უწუნებს.

„ღვინისა“ და „ბუნების კარის“ რეცენზირებას, როგორც ჩანს, დიმი. ყიფიანი შედგომია ამ წიგნების პირველი გამოცემისთანავე. მაგრამ თავის შენიშვნებს იგი ჯერ მხოლოდ პირადი წერილების სახით უზგავნიდა სახელმძღვანელოთა შემდგენელს.

„სხვადასხვა ათასნაირი შესამცნებელი ამბის ერთ წიგნად მოქცევა ძალიან მომეწონა, — წერს დიმიტრი ყიფიანი „ბუნების კარის“ რეცენზირის შესავალში, — და მართლაც, ჩემს ფიქრით, კარგად იყო შეწყობილი; მაგრამ რა ენით? დიმიტრი დიდებელი „Подъный слезавал за стряпчим — ქვეშე ვისი კვალაფა მზვარეულხაო! — ეს მთარგმნელების საკითხნებელი სიტყვები მომაგონდა და ესთქვი ჩემს გუნებაში: — ბან იაკობს დიდი შრომა გაუწევია და ახალ-მოსწავლეთათვის შეუძღვა-

1 ხაზი ავტორისაა.



ნია ეს წიგნი. მოდი, შეინარსულად, მეგობრულად მოვეხმარებო, რომ ეს მთას-იქითური ენა ვადმოვაქართლებინოთ როგორმე, თორემ ენა ხომ ენათ წაიბილწა და მოსწავლეთაც თავი საწყველად გაუხდებოთ მეოჭი“.

მასალებიდან ირკვევა, რომ იაკობ გოგებაშვილი დიდი გულისყურით ისმენდა და ითვალისწინებდა დიმი. ყიფიანის შენიშვნებს. მაგალითად, „ბუნების კარის“ მე-4 გამოცემის წინასიტყვაობაში იგი მადლობით იხსენიებს დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია ამ სახელმძღვანელოს სრულსაყოფად და წერს, ამ შენიშვნებით „ჩვენი ჯეროვანად ვი-სარგებლეთ და ენა ყველგან გავასწორეთ, სადაც კი მის უკანონობაზე დავრწმუნდით“.

სამწუხაროდ, შეცდომები მე-4 გამოცემაშიაც ჩარჩენილია და დიმი. ყიფიანს არც ამჯერად გამორჩენია ეს. 1883 წლის ზღვებულს, ქვიშებითი ყოფნისას, მას კვლავ დაუწერია რეცენზია, რომელიც ახლა უკვე ვაზ. „დროების“ მაშინდელი რედაქტორის ივანე მაჩაბლისთვის გაუგზავნია: „გთხოვთ ეს რეცენზია გადასცეთ ბატონს იაკობს, — სწერს იგი „დროების“ რედაქტორს, — რომ თუ მეტოთელ დაბეჭდულს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ენაზე, მაშინ კი ნურას უკაცრავად, რომ აღარც ჩხუბს მივჭხედო, აღარც რა ვის ხათრი შევეუწახო და მოურიდებლად და ეთქვა ჩემი სათქმელი“.

დიმიტრი ყიფიანის შენიშვნები შემდეგი სახისაა:

1. სტილისტური: ი. გოგებაშვილი წერს: „სი-რაქლმა მალე მიჩვევა მოსამსახურებასაცა“. ყიფიანი შენიშნავს: — „მოსამსახურობა და სამსახური იქნება ბ. იაკობს ერთი ეგონოს, მაგრამ არ არის ერთი“...

შემდეგ დიმი. ყიფიანი მიუთითებს, რომ არ არის სწორი გამოთქმა „უბედურებას მორჩა“, უნდა იყოს „უბედურებას გადაჩრა“, გადაურჩა“.

იაკობ გოგებაშვილის სიტყვეს „ჯალაბობა გაუსაღებოდეს“, დიმი. ყიფიანი ასე ასწორებს: „თუ კარვად ეყოლებოდა? **გასაღება** ქართულად გაცემა არის, დახარჯვა, მოხმარება“...

დიმი. ყიფიანი შენიშნავს, რომ გამოთქმა „სილნახი ათი ათასს მცხოვრებს იყრობს“, არაა სწორი. იგი გაცივრებით ამბობს: „როგორ? ხელში უქირავს ყველანი? მიპყრია-მიპყრავს, მიპყრია...“

გამოთქმა „ქვეყნის მდებარობა...“ სწორედ არ მიაჩნია დიმი. ყიფიანს. „მდებარობა ავად-მყოფობიდან თითქმის, მძიმე ავადმყოფობა, მდებარეობა. თქვენი რომ თქმა გინდოდათ, ის არის მდებარეობა, მდებარეობა“.

„ირიცხებოდა და ირიცხებოდა დიად სხვადა-

სხვა, — შენიშნავს რეცენზენტი, — მეოთხე ნაწილად ირიცხებოდა და ეკუთვნის ირიცხებოდა. ერთის დასაბამი არის რიცხვა (თვლა), მეორესი — რაცხვა“.

იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს: „თუ ამაზე უფრო დიდი ნაყოფი ბმოდა, თავს გამიქუცუტ-დაო“, ყიფიანი ასე ასწორებს: „აქ „თუ“ არ ვა-რგა, ქართულად ასე ითქმის: „ამაზე უფრო დიდი ნაყოფი რომ ბმოდა, თავს გამიქუცუტ-დაო“ და ა. შ.

2. დიმი. ყიფიანი მიუთითებს აგრეთვე ზმნე-ბის არასწორი ფორმის ხმარების მთელ რიგ მა-გალითებზე. ი. გოგებაშვილი ხმარობს ზმნას „დაარსა“, ყიფიანი ასწორებს: „ანდრიამ დაარ-საო, ქართულად არ არის. ქართული ზმნა არის დაარსება და ასე მომიხვრის: დააარსე, დააარ-სე, დააარსა“...

„ანამყენება“ ქართული არ არის. უნდა ან „ამყნობდა“ ან „ანამყენებდა“. გამყნობ, დაე-ნამყენე, დაენამყენე“.

დიმი. ყიფიანი წერს: „იყოს“ და არა „იყვეს“. — იყვეს სხვა ზმნაა: იყვეს, იყვეს და ვერ გაი-ყვეს“... და ა. შ.

3. აღსანიშნავია რეცენზენტის ტერმინოლო-გიური ხასიათის შენიშვნებიც. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში დიმი. ყიფიანს გამო-ვლინებული აქვს სიტყვის არა სწორი გაგების მრავალი შემთხვევა.

მაგალითად, „რასაც რუსულად **домашняя животная** ჰქვია,—მიუთითებს ის,—ქართულად ეწოდება „საქონელი“, „შინაური პირუტყვი“.

ერთგან დიმი. ყიფიანი განმარტავს: „ქართულს ენაზედ ორი სხვადასხვა ლექსი არის: წყვა და რწყვა; —საწყვი, სარწყავი; სწყვენ, ჰყვენ; აიწყვის, მორიწყვის — პური, ქერი, ფქვილი, ღვინო — აიწყვის; ზოსტანი, ვენახი მორიწყვის. ერთის მაგიერ მეორე არ იხმარება“...

4. რუსული კალკი ქართულში

როგორც ჩანს, ანდაზა — „ქურდზედ ქუდი იწვის“ ი. გოგებაშვილს სიტყვა-სიტყვით უთარ-გმნია. დიმი. ყიფიანი იწუნებს ამ თარგმანს და ამბობს: ეს სიტყვები თარგმნილი უნდა იქნეს ქართული ენის თავისებურებათა შესაბამისად.

„ქურდზედ ქუდი იწვისო“. „На воре шапка горит“. ეს რუსულია. ქართულად ვამბობთ: „ქურდს ქუდი ეწვისო“. „У вора шапка горит“.

დიმი. ყიფიანი აკრიტიკებს აგრეთვე ნაცვალ-სახელი „ყველას“ ზმნასთან რიცხვში შეთანხმე-ბის გოგებაშვილისეულ გაგებას. „ყველას ეშო-ნოდაო“, რუსულის გველენაო, — შენიშნავს ის, — „ქართულად უნდა — ყველას ეშინოდა. სიტყვა „ყველა“ მრავლობითი არ არის“.

აღნიშნული შეცდომების გასწორებას დიმი. ყიფიანი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ეგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ამ სახით სახელმძღვანელოების გავრცელება არ შეიძლება, რადგან ზიანს მოუტანს მოსწავლე ახალგაზრდობას.


1913 წელს, როცა ვაზ. ჩვენნი დროების რედაქტორმა სოფრომ მგალობლიშვილმა წერილი „ბუნების კარის“ შესახებ დაბეჭდა, ასეთი შესავალი წარუმძღვარა მას: „ჩვენ თუ ვბეჭდავთ დღეს დიმიტრი ყიფიანის წერილს, ვბეჭდავთ, როგორც ისტორიულ მასალას, მაჩვენებელს იმისა, თუ როგორ ღრმად იცოდა დიმიტრიმ ქართული ენის ბუნება, როგორ უყვარდა თავისი სამშობლო ენა, რანაირად გული სტიოდა, როცა ვინმე უცოდინარობით ამახინჯებდა მას...“

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ი. გოგებაშვილი დიმიტრი ყიფიანს ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნედ თვლიდა და მის შენიშვნებს სერიოზულ ანგარიშს უწევდა. წერილში „ბურჯი ეროვნებისა“ ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა შორის ი. გოგებაშვილი პირველ რიგში ასახელებს დიმიტრი ყიფიანს. „თუ ჩვენში იპოვებოდნენ და იპოვებთან უცხო ენების მშვენიერად მცოდნენი, ეს იყვნენ და არიან ის პირნი, რომელთაც პატარაობიდანვე ქართული ენა ზედმიწევნით შეუესწავლიათ და ამ ცოდნაზედ აუშენებიათ რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის და ნემენ-

ცურის ენების შესწავლა. მაგალითად, საკმარისია დავასახელოთ დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი და სხვანი (ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 386).

დიმიტრი ყიფიანი შეუპოვრად იბრძოდა ქართული ენის უფლებების დასაცავად. 80-იან წლებში იგი გვერდში ედგა ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს, გაბედულად ილაშქრებდა მშობლიური ენის მტრების წინააღმდეგ. მის ერთ მგზნებარე წერილში ვკითხულობთ: „მერე რა ენას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო? იმ ენას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთა სწორი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც მწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულმდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე“.

დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც მკაფიოდ ჩანს ის სიმტკიცე ხასიათისა, პრინციპულობა, უანგარობა და გულწრფელობა, რომლისთვისაც იგი მშობელმა ერმა თავის სათაყვანო შვილთა შორის შერაცხა.



სანიკ ბაღვაჩიანი

«რალაც უნდა ვილონოთ»

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საწვრთნელ მომზადებას გადიოდა დიდძალ სპორტულ ბაზაზე. ა. ტალავერანის წერილს ვურთავთ საწვრთნელი ვარჯიშის დროს ოთარ თურქიას მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს.

ჩვენმა გუნდმა, რომელმაც ბრწყინვალედ მოამაშა თასის ფინალში, არასახარბიელო აღვლილი დაიკავა 1960 წლის პირველობის სატურნირო ცხრილში. ამის მიზეზი ბევრი იყო. ცუდად იყო შედგენილი მოამაშების კალენდარი (ამჟამად იგი უკვე შეცვლილია), ძირითადად მოთამაშეთა ერთი ჯგუფი დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებში, მაგრამ ბევრ რამეში თვითონ გუნდიც იყო დამნაშავე.

მოალოვდა ახალი სპორტული სეზონი. მსჯელობენ და კამათობენ ფეხბურთზე. ყველას აინტერესებს: როგორი იქნება გუნდის ძირითადი შემადგენლობა, ითამაშებს თუ არა ლოდობერიძე, რა არის ახალი გუნდში? ათასი ასეთი კითხვა უტრიალებს თავში გულშემოტივარს.

მოთამაშეების მხრივ გუნდს თუ ძალიან კარგად არაა, ყოველშემთხვევისათვის, ცუდად არა აქვს საქმე. გუნდში არიან მაღალი და ზოგიერთი ექსტრაკლასის ფეხბურთელები. გუნდი თამაშობს კარგად და მიჩნეულია საბჭოთა კავშირში ერთერთ უძლიერეს კოლექტივად. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩვენ არაერთხელ გვქონდა თასის მოპოების შანსი და ასევე მრავალჯერ ვიმყოფებოდით ჩემ-

პიონობის ზღვარზე. მაგრამ ვერცერთ ამ სანუკვარ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწიეთ, ყოველთვის რალაც გვიშლიდა ხელს. იქ-



კვლედი ლ. იაშინის ერთ-ერთი „მწვრთნელთაგანია“...



სტ. კახალინი ცდილობს მესხის „საიდუმლოებანი“ გაუძლიოს ო. თაყაიას ამის მაგჭერადი მ. მესხი ალბათ კონტროლისძიებაზე ფიქრობს...

ნებ გადამწყვეტ მომენტში ვერ გადავლახეთ რაღაც სიძნელები, რის გამოც შესანიშნავმა ანსამბლმა ვერ გაარღვია „მოჯადოებული წრე“. ხან დაცვამ გვიღალატა, ხან თავდასხმაში ვერ იყო ყველაფერი რიგზე, ჩვენ მატჩებს ვაგებდით არა მარტო პირველი ადგილის პრეტენდენტებთან, არამედ იმ გუნდებთანაც, რომლებიც „ბ“ კლასში გადასვლის საფრთხის წინაშე იდგნენ. ასეც ხდება. ხოლო, როდესაც განკითხვის ეამი დგება და შედეგებს აჯამებენ, ირკვევა, რომ „შემთხვევით“ დაკარგულმა ქულებმა თავის საქმე უკვე შეასრულა და ოქროს მედალზე ფიქრი კიდევ ერთი წლით გადაიდო.

ახლაც, როცა წლებანდელ სეზონზე ვფიქრობთ, თავში ათასი საშინელი აზრი გვიტრიალებს, მაგრამ ეს შიშით სულაც არ არის გამოწვეული. ჩვენ გვიყვარს ჩვენი გუნდი მისი მალალი ოსტატობის გამო და გვეკერა კიდევაც მისი, მაგრამ მაინც შემფთებულები ვართ. ვაი თუ ისევ წაიბორჩიოს და ძველი ისტორია განმეორდეს. განა არ შეიძლება თავის დაზღვევა გაუმართლებელი დამარცხებებისაგან? განა ყოველი ზომალდი უსათუოდ მერჩეზე უნდა დაჯდეს? რა თქმა უნდა, ძნელია ვთამაშების მთელი გზის დაუმარცხებლად გავლა, მაგრამ ფაქტობრივ რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს.

სულ უფრო იზრდება იმ აღამიანთა რიცხვი, რომელთა აზრითაც „რაღაც უნდა ვიღონოთ“. ერთი ქართული ანდაზაა: „ურემი რომ გა-

დაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება“. ჩვენ ურემი არაერთხელ გადაგვბრუნებია, გზაც ყოველთვის გამოჩენილა, მაგრამ გზა მუდამ სწორი როდი იყო. დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა გავყვეთ ერთადერთ — ოქროს მედლისაკენ მიმავალ გზას.

ჩვენი წარუმატებლობის კუმშირითი მიზეზები ყოველთვის მხოლოდ ამა თუ იმ ფეხბურთელის ცუდ თამაშში არ იმალებოდა, ეს მიზეზები უფრო ღრმა იყო.

ამჟამად გუნდი ეშვადება, საძირკველი ეყრება მის მიმავალ წარმატებებს. ეს განსაკუთრებით პასუხსაგები დროა, რომელზედაც დიდადა დამოკიდებული გუნდის მიმავალი. საკითხი „ვინ ვის“ რეალურად გუნდის მომზადების პერიოდში წყდება. მწვანე მინდორზე მხოლოდ ფაქტიური დადასტურება ხდება. ამიტომ საჭიროა კარგად მოვემზადოთ. რა თქმა უნდა, ყოველ თამაშში, ისევე როგორც ყოველ ბრძოლაში, გამოირჩეული არაა წაუწყვედთ მოულოდნელ სიძნელებებს, რომელთა გადალახვაც არც თუ ისე ადვილი იქნება. მაგრამ ეს უნდა იყოს იშვიათი გამოჩაჩისი და განსაკუთრებული შემთხვევის ხასიათს უნდა ატარებდეს. ასე ვფიქრობთ და ასე გვინდა გულშემატკივრებს.

მასასადამე, საჭიროა კარგად მოვემზადოთ. ეს ძველი და ყველასათვის გასაგები „სიბრძნეა“. მთავარია, ვიცოდეთ თუ როგორ მოვემზადოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი „შემთხვევითობა“ და ბრაზილიელთა მსგავსად მივი-

დეთ დიდ გამარჯვებამდე. დიახ, სწორედ ასე უნდა დაესვათ საკითხი. ასე რომ თქვენი ღიმილი, მკითხველო, მგონი, უაღვილოა.

ფიცი გულშემატკივრები გვიჩვენებენ ავამღლოთ ტექნიკა. ზოგიერთები ტაქტიკაზე ან ფეხბურთის სხვა რომელიმე კომპონენტზე ამახვილებენ ყურადღებას. მე, რა თქმა უნდა, სულაც არ ვაპირებ კამათს იმაზე, თუ რა არის მთავარი ფეხბურთში: ტექნიკა, ტაქტიკა, თუ ფიზიკური ან მორალური მომზადება. ყველაფერი, მთავარია. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, ყველა ეს კომპონენტი ერთმანეთზე ისე ძლიერ არის დამოკიდებული, რომ რომელიმე მთავანის დონის დაქვეითება ან ამაღლება შესაბამისად გველენას ახდენს დანარჩენებზე. მაგალითად, ტექნიკის ამაღლება მივიყვანს ტაქტიკის ვაუმჯობესებამდე. ფეხბურთელიც შესაბამისად ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, რადგან უკეთესად იქნება დაუფლებული ბურთის ტარების რთულ ტექნიკას. თუ გუნდი ჩამორჩენილია ტაქტიკურად, არაორგანიზებულ თამაში აუცილებლად მოითხოვს გაუმართლებლად დიდი ენერგიის დახარჯვას, ეს უკანასკნელი კი გუნდს შეიძლება ყოველთვის არ ეყოს. როცა ფეხბურთელები ფიზიკურად ცუდად არიან მომზადებულნი, ჩქარა იქანცებიან და კარგად სისწრაფესა და მოძრაობის სიზუსტეს. თვით უმაღლესი კლასის ფეხბურთელებიც კი დაღლილობისას უხეშ ტექნიკურ შეცდომებს უშვებენ. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკურ-მორალურ მომზადებაზედაც. გამარჯვების რწმენადკარგული ფეხბურთელი უხეშობს, უშვებს ტექნიკურ შეცდომებს, ნერვიულობს, კარგავს წონასწორობის გრძობას, ვეღარ იმორჩილებს ბურთს და მამასადაც ნაკლები სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის.

ჩვენ ხშირად გამოვთქვამთ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ვაიარა მძიმე გზა და უკან ჩამოიტოვა რამდენიმე მცველი, ძალზე ცუდად ურტყამს კარში. როდესაც ისწავლიან ჩვენი ფეხბურთელები კარში დარტყმას? როდემდის უნდა ვითმინოთ ეს ნერტყმის მომშლელო ამბავი? ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, ასე ძნელია კარში დარტყმის ხელისხლების სრულყოფა? ეს საყვედურები ნამდვილად გულწრფელია. და ალბათ ცოტა ვინმე თუ ფიქრობს, რომ ეს არასიზუსტე კარში დარტყმისა ყოველთვის ტექნიკური ჩამორჩენილობის ბრალი როდია. დაღლილ-დაქანცული მოთამაშე კარგავს მოძრაობის სიზუსტეს და საკმარისია იგი კარგად მოეზადოს ფიზიკურად, რომ მის მიერ დარტყმული ბურთების მეტი წილი ზადეხი გაეზვიოს.

ჩვენმა „ღინამომ“ ერთგვარ სრულყოფას მიაღწია. თუ წინათ დიდ ყურადღებას ვაქცევდით მოთამაშეთა ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების საერთო დონეს და

ნაკლებ ვულრმადებლობით დეტალურს, ახლა საშუალება გვაქვს საქმეს სხვა მხრივ მოუვაროთ. გუნდის საერთო ოსტატობის ამაღლებასთან ერთად შეგვიძლია განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ გუნდის მომზადების ცალკეულ მხარეს და წინ წამოვიწყოთ ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელსაც შეუძლია წარმატებისათვის ბრძოლისას სასწორი ჩვენს მხარეს ვადმხაროს. რომ გავიმარჯვოთ, უნდა ვჯობდეთ კიდევაც ჩვენს მოწინააღმდეგეს. გავუსწროთ ჩვენს მეტოქეებს ერთბაშად ტექნიკასა, ტაქტიკასა და ფიზიკურ მომზადებაში იმდენად, რომ ეს საკმარისი იყოს გამარჯვებისათვის — ძალზე ძნელია, რადგან არც ისინი სხედან გულზელაკრფილი და გულსოდენად ცდილობენ ყველა ამ კომპონენტის სრულყოფას. საამისოდ არც დრო გვეყოფა და ძალბესაც ზედმეტად დავკავსავდით. ყოველი შემთხვევისათვის ამ საკითხის გადაჭრა დღემდე ვერ მოგახერხებთ.

იმეება კითხვა: რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ მაშინ?

ჩემის აზრით, საჭიროა არ ჩამოვრჩეთ სხვებს საერთო განვითარებაში, ამასთან მოვლოდნელად გამოვიყენოთ ბრძოლის ხან ერთი, ხან მეორე საშუალება ისე ძლიერად, რომ იგი ჩვენს ხელში უდავო გამარჯვების ირალად იქცეს.

ამ საშუალებებიდან, ვფიქრობ, დინამოლათვის ყველაზე ორგანული, რეალური და შესაფერისია დიდ ფიზიკურ გამოვლბასთან შერწყმული დიდი სისწრაფე. მხოლოდ ამას შეუძლია გამარჯვების გზაზე ჩვენი გაყვანა.

აი, ჩვენ თვალს ვადევნებთ საფეხბურთო მატჩს. ერთი გუნდი თამაშობს სწრაფად, მისი მოთამაშეები დიდ შრომისუნარიანობას ამჟღავნებენ, ისინი ელვისებურად ჩნდებიან მოედნის სხვადასხვა ადგილას და ისე ჩვენება კაცს, თითქოს რიცხობრივად სჭარბობენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. მათს მეტოქეებს უფრო და უფრო უჭირთ. ილღებიან, ვეღარ მიჰყვებიან თამაშს. მაღალი ტემპი ჰქანცავს, შლის მათ რიგებს, უკარგავს ინიციატივის გამოვლენის ყოველგვარ უნარს. როგორც იტყვიან, ვერა და ვერ აეწყო მათი თამაში. ფეხბურთელები ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ძლიერძლივობით იგერიებენ იერიშს. სტილიონზე ისმის შექაბილები: „რა მოუვიდათ! სად გაჭრა მათი ტექნიკა! ესაა ტაქტიკა? ყოველად მოუზადებელი არიან ფიზიკურად!“

პირველი გუნდის გულშემატკივრები კმაყოფილი არიან. მათმა გუნდმა ააწყო თამაში, მოწინააღმდეგის კართან ზედღივრ იქმნება სახიფათო მომენტები, იგრძნობა აშკარა უპირატესობა, მწიფდება გოლი. მოთამაშენი აჩვენებენ დახვეწილ ტექნიკას, შესანიშნავ ტაქტიკას, მოკლად — ნამდვილ ფეხბურთს.



ს. მეტრეველი ცდილობს წამოაყენოს მისი ფინტის მსხვერპლი ვ. ვორონინი. ვოველთვის ასე „რაინდულად“ როდი იქცევა იგი მოვლანზე...

ჩვენ ხშირად ვნახულობთ ასეთ სურათს, და არა მარტო ვნახულობთ, არამედ მწვეველ განვიცდით.

აქ დიდი როლი შეასრულა გუნდის კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ და დიდმა სისწრაფემ, რომელიც ფეხბურთელებმა მთელი თამაშის მანძილზე შეინარჩუნეს.

საყოველთაოდ ცნობილი აზრია, რომ ჩვენი გუნდი მაღალტექნიკური და დამაკმაყოფილებელი ტაქტიკური მომზადების მქონე კოლექტივია, რომელიც ტოლს არ უდებს მთავარ გუნდებს, და თუ იგი მიაღწევს ფიზიკური მომზადების ისეთ დონეს, რომელიც საგრძნობლად მაღალი იქნება სხვა გუნდებისაზე, მაშინ ამოცანაც გადაჭრილი იქნება.

მთამაშეთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება გაიცლებით იოლი საქმეა, ვიდრე ტექნიკისა ან თუნდაც ტაქტიკის დონის ამაღლება.

ფეხბურთის სამშობლოში დინამოელთა ტურნემ ერთი საგულისხმო მგავლითის მოტანის საშუალება მომცა. ჩვენს გუნდთან შეხვედრამდე ორი დღით ადრე ინგლისელებმა უკიდურესად დამაბული მატჩი ჩაატარეს ქვეყნის პირველობაზე. საფიქრებელი იყო, რომ უადრესად მწე-

ლი შეხვედრის შემდეგ, რომელშიც განსაკუთრებით დიდი ენერჯიის დახარჯვა მოითხოვა, ინგლისელები ორ დღეში ვერაფრით ვერ აღიდგენდნენ, და მამასაღამე, დინამოელებს გადაქანტულ გუნდთან მოუხდებოდათ თამაში.

როგორც ცნობილია, ყველასათვის მოულოდნელად ინგლისელებმა ჩვენთან თამაშის დროსაც შეინარჩუნეს არაადამიანურად მაღალი ტემპი, რის ხარჯზედაც მიაღწიეს კიდევაც წარმატებას.

კიდევ ერთი მაგალითი ინგლისური ფეხბურთიდან, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ შეხვედრის დღეს

ინგლისელმა ფეხბურთელებმა თბილისის ღირსშესანიშნაობათა დავალიერება მოიწადინეს. ინგლისელებმა, მიუხედავად საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა, რომ თამაშის დღეს ბანაობა მვენებელია, რომ ეს ცუდად მოქმედებს სპორტსმენთა ფიზიკურ მომზადებაზე, გული იჯერეს ლისის ტბასა და თბილისის ზღვაში ბანაობით. მათმა ამგვარმა „შეცდომამ“, ბუნებრივია, დინამოელთა გულშემატკივრების ალტაცება გამოიწვია. ისინი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ბიჭები შესაფერისად დასჯიდნენ ინგლისელებს ამგვარი „შეცდომისათვის“. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. ინგლისელები ისე კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ ფიზიკურად, რომ სპორტული რეჟიმის დარღვევას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია მათ თამაშზე. ამ მატჩის შედეგი კარგადაა ცნობილი...



„ძანოშინა ხანუ, ვორონინი ისე გამოიხსენა--ამბობენ ფეხბურთელები.



აი რას ნიშნავს მოთამაშეთა შესანიშნავი ფიზიკური მომზადება. მისი საფუძვლების შერყევა არც თუ ისე ადვილია.

საზღვარგარეთის გუნდები დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ მომზადებას. ერთმა იუგოსლავიელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მათ თითქმის ათჯერ გააღიდეს მოთამაშეთა ფიზიკური დატვირთვა საწვრთნელი ვარჯიშის დროს. ასე რომ მატჩი საწვრთნელ ვარჯიშთან შედარებით მოთამაშეებს თურმე დასვენებლად ეჩვენებათ. ამაში არაფერია საშიში, ამას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს. ე. ი. მთავარი საშუალება გამარჯვებისათვის ბრძოლაში, მთავარი კოხირი ჩვენთვის უნდა ვახდეს განსაკუთრებით მაღალი ფიზიკური ამტანობა, განსაკუთრებით მაღალი ტემპი, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში არ შენედება. და ბოლოს მაყურებელს უნდა შეეძლოს გარჩიოს რომელ მხარეს თამაშობენ სამხრეთელები და რომელ მხარეს კიდევ—ჩრდილოელები. ქართველსათვის დამახასიათებელი თვისება, და თუ გნებავთ, ეროვნული თვისებურება — შეუკავებელი ტემპერამენტია, და მან ფეხბურთშიც თავისი სიტყვა უნდა თქვას.

შეგიძლია თუ არა, რომ ამას მივაღწიოთ? რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ უსათუოდ შეუძლებელი. და მაშინ გაიხსნება გზა უსაზღვრო შესაძლებლობებისაკენ. მოთამაშეებისათვის ფეხბურთი იქნება თამაში და არა ჯაფა. გარწმუნებთ, რომ საგრძნობლად იკლებს კარში არაზუსტი დარტყმების რიცხვი.

ახლა ტაქტიკაზე. უკვე მომწიფდა მინდორზე ჩვენი ფეხბურთელების განლაგების სისტემის გადასინჯვის საკითხი. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე სეზონში ბევრი გუნდი გადავა ბრაზილიურ სქემაზე 1-4-2-4. თამაშის ეს სქემა პროგრესულია და მალე გაიკვლევს გზას ჩვენშიაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს მიაჩნიათ იგი დაცვიით სისტემად, რომელიც თითქოსდა ეწინააღმდეგება ჩვენი ფეხბურთის შემტევ სტილს. ვითომ მართალია ეს?

ურიგო არ იქნება, თუ ორიოდ სიტყვას ვიტყვით თამაშის სისტემის ევოლუციაზე და იმ მიზეზებზე, რომლებიც ფეხბურთის სპეციალისტებს აიძულებდათ ეძებნათ მოედანზე მოთამაშეთა განლაგების ახალი და ახალი ვარიანტები.

მაშინ, როდესაც ფეხბურთი ის-ის იყო ფეხს იდგამდა, ყველა მოთამაშე კარს უტევდა. თამაშის კლასის ამაღლებასთან ერთად მაღალდებობა ორგანიზებულობაც. ცხადი გახდა, რომ ვილაცის უნდა ჩაეკეტა კართან მისასვლელი გზები. საამისოდ გამოყვეს ერთი მოთამაშე. როცა ამ ერთმა დამცველმა თავი ვერ გაართვა ამოცანას, მეორე მიახმარეს. თამაშის კლასი დღით-დღე მაღალდებობა და სწარმოება თავისებური ბრძოლა და ცეცხლა და თავდასხმას შორის. თავდამსხმელები, რომლებიც რიცხობრივი უპირატესობით სარგებლობდნენ, სისტემატურად უგებდნენ ბრძოლას დაცვას. ამიტომ ძალაუნებურად იზრდებოდა მცველთა რიცხვი. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, დამცველთა და თავდამსხმელთა ძალები არ გაიწინასწორდა — ხუთი თავდამსხმელი ხუთი დამცველის წინააღმდეგ. სწორედ ამან მიგვიყვანა პერსონალურ დაცვამდე — ყოველ თავდამსხმელს დამცველი მიუჩინეს. მაგრამ ბრძოლა დაცვის ხაზსა და თავდასხმის ხაზს შორის მაინც გრძელდებოდა. თამაშის კლასი განუზომლად ამაღლდა და ამჟამად ხუთი დამცველიც ვეღარ უძლებს დაცვით ფუნქციებს. შემთხვევითი არ არის, რომ უცხოელი მწვრთნელების შემოქმედებითმა აზრმა კიდევ ერთი ფეხბურთელით გაზარდა დაცვის ხაზი.

ცხოვრებამ დაამტკიცა იმგვარი გარდაქმნის კანონზომიერება, ბრაზილიელების განთქმულმა გუნდმა ცხადყო ამ სისტემის უპირატესობა.

თამაშის სისტემის შეცვლის ნოვატორულმა ცვლებმა თავის დროზე დიდი უკმაყოფილო მითქმა-მოთქმა და წინააღმდეგობა გამოიწვია ჩვენი თამაშის ძველი სტილის უკიდურეს მომხრეებს შორის. მწვრთნელები დავობდნენ. დაიკარგა ძვირფასი ღრო და ახალ სისტემაზე გადასვლის მთელი სიძნელე ახლა უნდა დაგაწვეს მხრებზე.



ვევლას საკირო მოძრაობა ფიზრზე ადბიქვლებს, გარჩევას, განასლიზლებს...

აღბათ იკითხავთ, კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საღამოდ, მიგვიყვანეს ეს მდგომარეობაო? აჩქარება არ ღირს. ჯერჯერობით ეს ასეა. შესაძლოა, მომავალში დაცვისა და თავდასხმის შორის ბრძოლის შემდგომმა ეტაპმა თავდასხმის მოქმედება უფრო შეზღუდოს და გაართულოს.

1925 წ. ფეხბურთის კანონმდებლებმა ხომ შეცვალეს „თამაშვარე მდგომარეობის“ წესი..

„კარგით, სისტემა შეეცვალეთ, გადავიდით 1-4-2-4 სისტემაზე და ფეხბურთელებს შესაბამისი ფუნქციები დაეკისრეთ. რა გამოვა მერე აქედან? — ყველას შეუძლია ასეთი კითხვა მომკეს. მითუმეტეს, რომ შეეჩვივნენ: ყოველთვის უტეეს ხუთი თავდასხმელი ორი ნახევარდამცველის აქტიური მხარდაჭერით. ახალი სქემა კი ოთხ თავდასხმელს ვეთავაზობს.

თებერვალში მოსკოვში ყოფნისას, ფეხბურთის საკითხებისადმი მიძღვნილ მეთოდურ თათბირზე საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელთან გ. დ. კაჩალინთან საუბარში შევიტყვე, რომ ჩვენი ნაკრებიც ოთხი დამცველის სისტემაზე გადადის.

თუ ჩვენი ნაკრები აპირებს გაზარდოს მცველთა რიცხვი თავდასხმელთა რიცხვის შემცირების ხარჯზე (მაშინ, როდესაც მათი თავდასხმელები ვერ დაიტრაბახებენ სახარბიელო შედეგებით), ჩვენ, მითუმეტეს, თამამად შეგვიძლია ეს გავაკეთოთ.

ამ გარდაქმნის შედეგად ჩვენი გუნდი გააძლიერებს არა მარტო დაცვის ხაზს, არამედ უკეთესად შეუტეეს მოწინააღმდეგეს. მე მტკიცედ ვარ ამასი დარწმუნებული. ჩვენს ოთხ თავდასხმელს მეტი სივრცე ექნება, როგორც მოქმედებისათვის, ისე მანევრირებისათვის.

წარმატება ხშირად იქნება დამოკიდებული დაცვისთან ბრძოლაში თავდასხმის უპირატესობაზე, ეს კი ჩვენ ხელს გვაძლევს. ამასთან ზურგიც გამაგრდება და მას ასე ადვილად ვეღარ

გადალახავენ. ეს კი თავდასხმის უკეთ ორგანიზების გაჩინება იქნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოწინააღმდეგის გაძლიერებული დაცვა ჩვენს შეტევებსაც შეაფერხებს და გააძლიერებს.

როცა ჩვენ ახლებურად განვლაგებთ მოთამაშეებს, თავიდანვე ყველაფერი რიგზე როდი იქნება; ყველა მოთამაშე ადვილად როდი შეეგუება ახალ პირობებს. გულშემამტკიცებელი მოთმინებით უნდა აღიჭურვონ და თავი შეიკავონ პირველივე თამაშის მიხედვით სისტემის შეფასებისაგან. უნდა მზრუნველობითა და გულისხმიერებით მოვეპყროთ ჩვენს ფეხბურთელებს ამ გარდაქმნის პერიოდში. მხარი უნდა დაუჭიროთ მწვრთნელების წამოწყებას და არ უნდა შევარყიოთ მოთამაშეთა ფსიქიკა.

მე ამ წერილში მხოლოდ ორი საკითხი წამოვიჭერი. უნდა ითქვას, რომ როდესაც ამ წერილს ეწერდი, განსაკუთრებით ვლელავდი, რადგან მე ვლაპარაკობდი ჩვენს საყვარელ გუნდზე — თბილისის „დინამოზე“, და რედაქციის თხოვნა რომ არა, აღბათ ასე თამამად ვერც გამოვთქვამდი ჩემს შეხედულებებს. მე ვვავდი იმ ჭირურგს, რომელსაც არ შეუძლია საოპერაციო მაგიდაზე გაიყვანოს თავისი სისხლი და ხორცი...

მოხარული ვიქნები, თუ ამ წერილში წამოჭრილი საკითხები განსჯის ან თუნდაც დავის საგანი გახდება. მე, ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი მონაწილე ვარ იმ კონსილიუმისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყვიტოს ეს საჭირბოროტო საკითხები. პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, მინც მწვრთნელებს ეკუთვნით.

საერთოდ კი უნდა დავეთანხმოთ იმათ, რომლებიც ამბობენ, რომ „რაღაც უნდა ვიღონოთ“. ვინც იცის, ბრაზილიელთა მსგავსად იქნებ ჩვენც გველოდება სიხარულის ცრემლები..



აშშ

ალმორჩანა გლენდვილიში

გლენდვილიში (კალიფორნია) ერთერთი სახლის სხვეზე აღმორჩინეს დიდი ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის უცნობი ლექსის „ტყის საამოს სურნელის“ ხელნაწერი. ამ ლექსში აღწერილია პოეტის გასტირება გლენდვილის ტყეში.

საინტერესოა ამ ხელნაწერის აღმოჩენის ისტორია.

პოეტს კალიფორნიისაში ჰყავდა მეგობრები — სტაფორდების ოჯახი. თავის დროზე მან სტაფორდებს შესანახად დაუტოვა ხელნაწერებით სავსე ყუთი. მრავალი წლის განმავლობაში ეგდო ეს ყუთი სხვეზე და იგი მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ გახსნეს.

პოეტი ფერადოვნად ხატავს ნაწვიმარ ტყეს, ტბებმა დაფენის რტოებისა და ვარდისფერი მიხაკების სიმშვენიერით და უხმენს „შაშვეების გალობას“.

„და უსასრულოდ განფენილი სურნელი ტყისა სჭირდება ყველას...“

უიტმენის ლექსი გამოქვეყნებულია ამერიკული ჟურნალის „პარპერს მეგენისის“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში.

ჯეიმს კუპანის ბედი

უფროს თაობას ალბათ კარგად ახსოვს ჯეიმს კუპანი — სახელგანთქმული ფუნდერკინდი, რომელიც ოციანი წლების მრავალ ამერიკულ ფილმში

თამაშობდა. იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ჩარლი ჩაპლინის ცნობილ ფილმში „ბიჭუნა“. მაშინ აშშ-ში ბევრს სწერდნენ ამ მსახიობის განსაკუთრებულ ნიჭზე და „ამერიკული ეკრანის სიამაყეს“ უწოდებდნენ.

მაგრამ ეს იყო წარსულში. კუპანის ვარსკვლავი დიდხანა ჩაქრა. ჰოლივუდის კინობოხებმა კუპანს ჰოლივუდის კარი მიუხურეს. იგი ამჟამად 48 წლისაა და აღარავის ახსოვს, გარდა პოლიციისა, რომელმაც იგი ციხეში გამოაწყევლია. შიშვით რომ არ მომკვდარიყო, სახელგანთქმული არტიტი, იძულებული იყო ნარკოტიკებით ევაჭრა.

ბერმანია

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

აპიტისის რომანის პარანიზაცია

კინორეისორი ვოლფგანგ ლანგჰოფი, გდრ-ს ნაციონალური პრემიის ლაურეატი, ამჟამად ფილმს, რომელსაც საფუძვლად დაედო ბრუნო აპიტისის რომანი — „შიშვლად მგლებს შორის“. აპიტცი, რომელმაც პიტლერის დროს ცხოვრება გაატარა საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, ამ რომანში აგვიწერს თუ ბუნებვალდის ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკში როგორ მალავდნენ 8 წლის ბავშვს მამისის და სხვა პატიმრები და, გათავისუფლდ-

ბის მოლოდინში, რა ღონეს არ მიმართავდნენ, რომ ეხესელებს არ შეეტყოთ მისი იქ ყოფნა. რომანი, რომელიც გერმანულ ენაზე ნახევარ მილიონზე მეტი ტირაჟით გამოვიდა, ნათარგმნია 115 ენაზე, მის მიხედვითაა დაწერილი პიესა და სატელევიზიო დადგმა. ახლა დიდი ინტერესით მოედიან მის ეკრანიზაციას.

ბახის პრემია

ბახის არქივი, რომელიც ამ 10 წლის წინათ შეიქმნა ლაიპციგში, ბახის შემოქმედების კვლევა-ძიების საერთაშორისო ცენტრად იქცა. შარშან აღინიშნა დიდი კომპოზიტორის დაბადების 275 და გარდაცვალების 210 წლისთავი. არქივში ინახება ბახის ყველა ხელნაწერი, ასეულ ათასობით ფოტოპირი, კომპოზიტორის დროინდელი სურათები, მიკროფილმები, პროგრამები და აფიშები.

პიონერთა თეატრი

ლაიპციგში გაიხსნა პიონერთა თეატრი, რომლის პირველი პრემიერა იყო გაიდარის „თემური და მისი რაჟში“.

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბონეს ფარდა დაუშვა

ამჯერად საქმე ებება თეატრის ფარდის ნამდვილ დაშვებას, ვინაიდან ბონის ხელისუფალთა ახალმა ჩარევამ აკრძალა გფრ-სა და გდრ-ს



ინგლისი

ცენაზურის წინააღმდეგ

თეატრებს შორის დღემდე არსებული თანამშრომლობა. თუმცა ეს თანამშრომლობა მაინცდამაინც ფართო ხასიათისა არ იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელობა ჰქონდა გაყოფილი გერმანიის ორივე ნაწილს შორის კულტურული ურთიერთობისათვის. თანამშრომლობა, უმთავრესად, იმაში მდგომარეობდა, რომ ეწყობოდა გაცვლითი ვახტროლები, რის დროსაც ერთმანეთს აჩვენებდნენ ახალ პიესებსა და ახალ დადგმებს და საუბრობდნენ ხელოვნების საკითხებზე. მაგრამ ამ ბოლო ხანებში დასავლეთ გერმანიის თეატრები ზედიზედ უარს აცხადებენ დემოკრატიულ გერმანიაში ვახტროლებზე იმ მიზეზით, თითქოსდა ახალი სიტუაცია შექმნა... ეს სიტუაცია იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ-გერმანულ თეატრს ურჩიეს, შეწყვიტოს ურთიერთთანამშრომლობა ა. შ. ამიტომ გერმანული თეატრი ერთთვისად ღებულობს გერმანული თეატრებიდან საბოლოო წერილებს, რომლებშიც თეატრალური მოღვაწეები ამბობენ, ბარემაც მოხარული ვიქნებოდით კვლავ გაგვეგრძელებინა აღრიხინდელი კონტაქტი, მაგრამ მდგომარეობა არ გვაძლევს ამის შესაძლებლობას.

იწერდა თავის შთაბეჭდილებებს. ბუნებრივია, რომ მახვილი თვალის მწერალს, ამასთან ერთად, არ შეეძლო არ შეემჩნია თანამედროვე ფრანკისტული ესპანეთის ცხოვრების ნამდვილი სურათები.

როცა ამერიკულმა ჟურნალმა „ლაიფმა“ დაიწყო „სახიფათო ზაფხულის“ ნაწყვეტების ბეჭედა, ესპანეთის პრესაში გამაყრუებელი ხმაური ატყდა. მადრიდის გაზეთები ეშუქებოდნენ ჰემინგუეის და ძალზე უჩემად აფრთხილებდნენ, რომ ფეხი აღარ დაეღვა ესპანეთის მიწაზე.

რაშია საქმე?

ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალის „ობსერვერის“ აზრით, ჰემინგუეის წინააღმდეგ ხმაური გამოიწვია მწერლის გადაჭრბეულმა მიკერძობამ მატადორ ორდონიესის ხელოვნებისადმი, მაგრამ შემდეგ „როგორც ასპარეზე პოლიტიკაც გამოათრის“. საქმე იმაში როდია, თუ მოედანზე უფრო რომელი მატადორის სტილს ამჯობინებდნენ ჰემინგუეი. ეტყობა, მათ აწუხებთ მწერლის შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე, რომლებსაც მატადორის ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვთ. ერთ-ერთმა მადრიდელმა მჯღაბნელმა, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით ესხმის თავს ჰემინგუეის, გულუბრყვილად წამოაყარა ტოლა და გამოააჟიარა იმის მიზეზი, თუ რატომ ესხმის პრესა ასეთი გაშმაგებით მწერალს: „რას უნდა ველოდეთ სხვას ჰემინგუეისაგან?“ — ამბობს ის და ჰემინგუეის „ცნობილ კომუნისტს“ უწოდებს.

ეს პოლიტიკური შტრიხი, ჟურნალ „ობსერვერის“ სიტყვით, ცხადყოფს იმ ჰემინგუეის მიზეზს, რის გამოც ფრანკისტულმა მთავრობამ ჰემინგუეი „პერსონა ნონ გრატა“ გამოაცხადა.

გაზეთმა „რინოლდს ნიუსმა“ დაბეჭდა ლეიბორისტის, პარლამენტის წევრის ჰიუ დელერჯის სტატია, რომელიც ეხება ინგლისის ცენაზურის მეტად უცნაურ და აუსწრებელ საქციელს — ვარშავის გიტოს შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენების აკრძალვას. ავტორი მოგვითხრობს, თუ რა შემარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ფილმმა პარლამენტის წევრებზე, რომელთაც არაოფიციალურად ნახეს ფილმი. როდესაც დარბაზში სინათლე აინთო, მყუარებულები კიდევ დიდხანს ისხდნენ გაოგნებულები, ისე ღრმად შესძრა ისინი ვარშავის გიტოსში ფაშისტების მიერ ჩადენილმა დანაშაულობებმა. უკვლანი, ვისაც ესაუბრა დელერჯი, ამბობენ, რომ ფილმი უნდა ნახოს ინგლისის ფართო საზოგადოებრიობამ, თუნდაც ტელევიზიით. ლეიბორისტთა დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ლონდონის მუნიციპალიტეტი ცენაზურის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს და, სხვა თუ არაფერი, თავის ტერიტორიაზე მაინც შესძლებს ამ ვამაფრთხილებელი ფილმის ჩვენებას საზოგადოებისათვის.

თითო პენი აპტორისათვის

ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატთა შორის გავრცელდა პროექტი კანონისა, რომელიც მიზნად ისახავს ინგლისელი მწერლების მატრიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ პროექტის მიხედვით, მწერლებს დახმარება უნდა გაუწიონ საჯარო ბიბლიოთეკებმა: ბიბლიოთეკის ყოველმა აბონენტმა, გარდა წიგნებით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადისა, უნდა გა-

ესპანეთი

მ. ჰემინგუეი — „პერსონა ნონ გრატა“

ამერიკელი მწერლის ე. ჰემინგუეის უკანასკნელ ნაწარმოებში „სახიფათო ზაფხული“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ორი ესპანელი მატადორის — დომინგენისა და ორდონიესის ქიშობის აღწერას. მწერალი 1959 წლის ზაფხულში მთელს ესპანეთში კვალდაკვალ დაჰყვებოდა დომინგენსა და ორდონიესს და



დაიხადოს აგრეთვე თითო პენ-
ნი ამ წიგნის ავტორის „პო-
ნორარის“ სახით. ვინაიდან
დღევანდელი ბინების სიჭრ-
როვე მკითხველს საშუალებას
არ აძლევს იქონიოს დიდი
პირადი ბიბლიოთეკა, წიგნი
ძნელად იყიდება და უფრო
და უფრო მეტი ხალხი აწყ-
დება საჯარო ბიბლიოთეკებს.
ამრიგად მწერლები მხოლოდ
გაყიდული — მეტწილად ბიბ-
ლიოთეკების მიერ შექმნილ
ეგზემპლარებზე შეწერალი
გადასახადის სახით აიღებენ
ფულს.

ტაქსირის შურნალის იუბილე

თავისი 100 წლისთავი აღ-
ნიშნა ინგლისის ყოველთვი-
ურმა შურნალმა „კორნსილ-
მა“, რომელიც 1860 წელს
დააარსა მწერალმა ტაქსირიმ.
შურნალის საიუბილეო ნომე-
რი 450-გვერდიანი გამოვიდა.

გრამკე გრინის ახალი რომანი

ცნობილი ინგლისელი მწერ-
ლის გრემე გრინის ახალ რო-
მანში „განკურნება“ მოქმედ-
ბა სწარმოებს გამოგონებულ
ქვეყანაში, რომელიც ძალიან
ჭვავს კონგოს. რომანის მთავარ
გმირი საქვეყნოდ ცნობილი
არქიტექტორი უარს ამბობს
კარიერაზე და თავს აღწევს
ყალბ და გაყიდვულ ბურჟუ-
აზიულ საზოგადოებას. იგი
ეხმარება სამედიცინო მისიას
და იმედოვნებს, რომ სხვათა
სამსახური მას მორალურად
განკურნავს. მაგრამ მას აქაც
უკან დასდევს ერთი დასავლე
თელი სენსაციების მოყვარული
შურნალისტი, რომელიც თავის
გაზეთში აჭვეუნებს ცნობას
განთქმული არქიტექტორის
ცხოვრების შესახებ. არქიტექ-
ტორსა და შურნალისტს შო-
რის წამოჭრალი კონფლიქტი
ტრაგიკულად მთავრდება. გრი-

ნის რომანი, რომელიც ნორვე-
გიაში დაიბეჭდა უკვე ცალკე
წიგნად გამოიცა.

იტალია

ედუარდო დე ფილიპოს ახალი პიესა

ედუარდო დე ფილიპოს პი-
ესებს, რომელთა რიცხვი ორ-
მოცს აღემატება, მიემატა კი-
დევე ერთი პიესა „სანიტას რა-
იონის შერი“. დრამატურგი
გვიჩვენებს მშობლიური ნეაპო-
ლის ცხოვრების სურათებს. სა-
მოცდათხუთმეტი წლის ანტო-
ნიო ბაროკო არ ენდობა მარ-
თლსაჯულებას და თვითონ გა-
მოაქვს გადაწყვეტილება და გა-
ნაჩენი. ედუარდო დე ფი-
ლიპოს არცერთ ნაწარმოებს არ
ახასიათებს საზოგადოების ასე-
თი მძაფრი კრიტიკა, — წერს
გაზეთი „უნიტა“.

გაზეთ „პაევე სერას“ თეატ-
რალური კრიტიკოსი აღნიშ-
ნავს, რომ „დრამატურგმა შექ-
მნა ახალი ტიპი, რომელიც
თავისუფლად ამოუდგება
გვერდით მისსავე ფილუმენა
მარტურანოს“.

ბრძოლა ფილმის ცენზურის ბაჰამებისათვის

იტალიის კინოხელოვნებამ
ომისშემდგომი წლების ნეო-
რეალისტური ფილმებით
სოფლიო სახელი მოიხვეჭა,
თუმცა ამ ფილმებს მაშინაც
თავს ეხსმოდნენ რეაქციულ-
კლერიკალური წრეები, რომ-
ლებმაც მოახერხეს კიდევაც
ახალი მიმდინარეობის შენე-
დება. 50-იანი წლების მეორე
ნახევარში იტალიის ფილმი
კრიზისს განიცდის და თავდა-
პირველად ასე ცხოველყოფ-
ფელი ნეორეალიზმი ჰქნება.
მაგრამ 1960 წელს იტალიის
კინომრეწველობა კვლავ
აღორძინდა, რასაც მეტყვე-
ლებს ფილმები—„გენერალი
დელა როვერა“, „როკო და მი-
სი ძმები“, „ტკბილი ცხოვ-

რება“, „კარპი“ და სხვ. უარ-
ყოფითი სოციალური მოვლე-
ნების ამსახველ ამ ფილმებს
დიდი წარმატება ხვდათ რო-
გორც იტალიაში, ისე საზ-
ღვარგარეთ. ამავე დროს საუ-
ბეთესო იტალიური ფილმები-
სა და რეჟისორების წინააღმ-
დეგ დაიწყო კარგად ორგა-
ნიზებული შეტევა, რომელ-
შიც მონაწილეობდნენ კლერი-
კალური ორგანიზაციები და
მათი პრესის ორგანოები, აგ-
რეთვე მთავრობის პარტიათა
წარმომადგენლები. საქმეში
ჩაერივნ სხვადასხვა ქალაქის
პროკურატორები და მოსა-
მართლები და ბევრი ფილმი-
დან ამოჭრეს სკეპოდ მოზრ-
დილი ადგილები. ასეთი მოქ-
მედების გასამართლებლად
მოჰყავდათ ვითომდა ამ ფილ-
მების „ამორალურობა“, ერო-
ტიკულობა და ძალადობის
სურათები. მაგრამ თუ კარ-
გად ჩაუკვირდებით, ამ „მო-
რალისტთა“ აღმოფხვრებას იწ-
ვევს მხოლოდ იტალიური
ფილმები, ამასთან ისეთები,
რომლებშიც მოცემულია სო-
ციალური კრიტიკა, ვინაიდან
იტალიის ეკრანებზე დაუბრ-
კოლებლად უჩვენებენ საზ-
ღვარგარეთულ ფილმებს, სა-
დაც უზავდაა ნაჩვენები უხამ-
სობა, ეროტიკა და ძალმომ-
რეობა.

უკანასკნელ ხანებში სხვა-
დასხვა ქალაქში ადგილი
ჰქონდა დემონსტრაციებს.
ოხსენარტიზმის წინააღმდეგ
ბრძოლაში მონაწილეობენ
ცნობილი რეჟისორები, მწერ-
ლები, ინტელიგენციის წარმო-
მადგენლები. ისინი გამოდიან
ახალი კანონპროექტის დასა-
ცავად, რომელიც მოითხოვს
ფილმის ცენზურის გაუქმე-
ბას და მის მაგიერ ერთგვარი
კომისიის შექმნას. კომისია
კომპეტენტური იქნება გა-
დაწყვიტოს, შეუძლიათ თუ
არა ამა თუ იმ ფილმის ნახვა
ბავშვებს; თუ ფილმი არღვევს
სამოქალაქო მორალურ ნორ-
მებს, კომისიამ უნდა გადაწყ-
ვიტოს, გადაეცეს თუ არა ის

საქციალურ სასამართლოს, რომლის შექმნასაც აგრეთვე ითვალისწინებს კანონპროექტი.

განზრახულია კანონპროექტი ცენზურის გაუქმების შესახებ წარუდგინონ პარლამენტს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხრივ, არამედ როგორც „სახალხო ინიციატივა“, 50.000 ხელმოწერით.

კინოკრიტიკოსთა გაერთიანების პარიზის მიწივება

იტალიის კინოკრიტიკოსთა გაერთიანების საქციალური ჯილდოები, რომლებიც ყოველწლიურად ენიჭებათ ხოლმე, წელს მიიღო მსახიობმა ქალმა სოფია ლორენმა, როგორც „1960 წლის საუკეთესო მსახიობმა“, (ვიტორიო დე სიკას ფილმ „ჩოჩარაში“ მთავარი როლის შესრულებისათვის); გარდა ამისა, იტალიელ კინოკრიტიკოსთა გაერთიანებამ დემონსტრაციულად დიდი ყურადღება გამოიჩინა ფილმ „ტკბილი ცხოვრებისადმი“, რამაც კლერიკალური ცენზურის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. გაერთიანებამ ამ ფილმს ერთდროულად ორი პრემია მისცა: ჯილდო ორიგინალური სცენარისა და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; ჯილდო საუკეთესო რეჟისურისათვის მიიღო ფილმმა „რკო და მისი ქმეხი“.

შედეგების აღდგენა

დურჩო დი ბუონინენის მადონა, სიენის სკოლის ერთერთი შედეგით, რომელიც 1308 წელსაა დახატული, ხულოვანებმა დაამახინჯეს 1771 წელს. რომის ცენტრალური სარესტავრაციო ინსტიტუტი 1953 წლიდან შეუდგა ამ სურათის აღდგენას. ამჟამად მუშაობა დამთავრებულია და

სიენის მადონა კვლავ თავის ადგილზეა.

იტალიური პრემია

სახელგანთქმული მხატვრის მოდილიანის სახ. პრემია მიენიჭა ორ იტალიელ მხატვარს — პიეტრო მარტინის და რენატო სანტინის, რომლებმაც გაიყვეს 1 მლნ ლირა.

ბრძოლა ოპიუმის წინააღმდეგ

რომლო მარჩელინიმ გადაიღო ოპიუმის წინააღმდეგ მმართველი ფილმი „დამოსავლეთში“. ფილმის მოქმედება მიმდინარეობს ტაილანდში. ფილმში მოთხრობილია როგორ თავგანწირულად იბრძვის ახალგაზრდა ქალი საყვარელი ქმრის სიცოცხლის გადასარჩენად. ოპიუმით მოშხამული ქმარი სტოვებს ოჯახს და ნევრასტენიკი ხდება. ათასი მსხვერპლისა და გაპირვების ფასად ქალი ახერხებს ქმრის გადასარჩენას და ქმარი კვლავ ოჯახს უბრუნდება. ფილმის გადაღება მიმდინარეობდა ტაილანდში, ეგვიპტეში, იაპონიაში, ნეპალსა და მალაის კუნძულებზე.

ფილმი გარბილადიწი

რობერტო როსელინიმ დაიწყო გადაღება ისტორიული ფილმისა „გაუმარჯოს, იტალიას!“ რომელშიც მოთხრობილი იქნება გარიბალდის ბრძოლაზე იტალიის გასაერთიანებლად. ფილმში მთავარ როლებს შეასრულებენ რენცო რიცი, პაულო სტოპა, ჯოვანე რალი.

ჭაპალინი ჩაპრლინი მილიონებში

უკანასკნელ ხანებში იტალიელი კინორეჟისორები ზშირად

მიმართავენ ბიბლიურ თემებს ისტორიული ფილმების შესაქმნელად. ამ მიზნით ისინი იყენებენ ისეთ დეკორაციებს, რომელშიაც დაცულია უძველესი ქალაქებისა და უბნების სიდიდე და მოცულობა. ასე გადაიღეს ფილმი „ქართავანი ცეცხლში“ (რეჟისორი კარმინე გალონე), არქიტექტორის პროფესორის გვიდო ფიორინის ხელმძღვანელობით საზღვაო ბატალური სცენებისათვის ააგეს 28 მეტრი სიგრძის ხომალდები 40 მეტრის ანჭებით. სტუდიის ტერიტორიაზე გააშენეს კართავანის მთელი კვარტალი მდიდრული ვილებითა და ღარიბული ქოხნებით. შაადება ფილმის გადაღებისათვის წელიწადნახევარი გრძელდებოდა. ასეთი ღონისძიებისა და პირ ბრასიორის მონაწილეობის მიუხედავად ფილმს წარმატება არ ჰქონია.

მემსიკა

კაზალსის ორატორია

ამას წინათ ქ. აკაპულკოში პირველად შესრულდა მსოფლიოში სახელმოხვეცილი ესპანელი ვიოლონჩლისტის პაბლო კაზალსის ორატორია. ორატორიას, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება, დირიჟორობდა თვით ავტორი, 84 წლის კაზალსი.

კინემატოგრაფიის ნაციონალიზაცია

ამჟამად მიმდინარეობს მექსიკური კინომრწველობის ნაციონალიზაცია. დღემდე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში გადავიდნენ კინოსტუდია „ურუბუსკო“, რომელიც იქმნება ხოლმე მექსიკური ფილმების უმრავლესობა, 280 კინოთეატრი და კინობანკი.



პოლონეთი

უძველეს სპარსეთს ორამსტრი

ქ. ზიგდლონიეში ჩამოყალიბდა პირველი ორკეტრი, რომელიც უკრავს XVII და XVIII საუკუნეების დროინდელ 18 საკრავზე. ამ ორკეტრის ორღანო ზუსტი განმეორება XVIII ს. ორღანოსი.

პრემია ინგლისელ მწერალს

ვლოდიმერუ პეტერუაქის სახ. ლიტერატურული პრემია მიენიჭა ინგლისელ მწერალს გრემემ გრინს მთელი მისი შემოქმედებისათვის. ეს პრემია 1948 წელს დაწესდა და 15.000 ზლოტს აღწევს; იგი დაწესებულია პოლონელი მწერლის საპატივცემულოდ, რომელიც 30 წლისა დაიღუპა ვარშავის აჯანყების დროს.

საფრანგეთი

„სალამზო“ მარანზე

ახლანდელ ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე აფრიკაში ვაშენენს ლამაზი ქალაქი, რომელიც ახალი ფრანგული ფილმის „სალამზო“ დეკორაციას წარმოადგენდა. გუსტავ ფლობერის შესანიშნავი ნაწარმოები ეკრანზე გადაიტანა რეჟისორმა სერჟ გრეკომ, სცენარი დაწერა ანდრე ტაბემ. სალამზოს როლს ასრულებს ფან ვალერი, მათოსას — ფაქ სერნე.

კლოდ ოტან ლარას ახალი ფილმი

როგორც საფრანგეთის პრესა იტყობინება, ცნობილია კინორეჟისორმა კლოდ ოტან ლარამ გადაიღო ახალი ფილმი „შეუვარებულთა ტყე“. ამ ფილმამდე მან გადაიღო ორი უღიმღამო ფილმი „მთათაშუა“ (დოსტოევსკის მიხედვით) და

„მწვანე ფაშატი“. ახალი ფილმი რეჟისორის რეპლიტიკაა, მოქმედება ვითარდება ერთი ღამის განმავლობაში მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ოკუპირებული ნორმანდიის სანაპიროზე. გერმანელები ყოველწუთს ინგლისელების დესანტის გადმოსხმას მოელოან. ამ სიტუაციაში ერთმანეთი შეუყვარდებიან ერთ ფრანგ პარაშუტისტსა და გერმანელი პოლიკავშირის ცოლს, რომლებიც შემთხვევით ერთ ჰერკვეშ აღმოჩნდებიან. ფილმში ნაჩვენებია ხანმოკლე და უბედური, ღამისა და ძლიერი სიყვარული, რომელსაც ბედი არ უწერია. ფილმის ლოგოჟურ დასასრულს წარმოადგენს უბედური შეყვარებულების ტრაგიკული დაღუპვა.

„შეუვარებულთა ტყე“ ფრანსუა დიუ კიურელის ცნობილი პიესის ეკრანისტიკაა. მთავარ როლებს ასრულებენ ლორან ტერზიევი და ერიკა რემბერგი.

ბარდანიცვალ რინარდ რამტი

პარიზში გულის ინფარქტით გარდაიცვალა ამერიკელი ზანგი მწერალი რინარდ რამტი. იგი დაიბადა 1905 წელს მისისიპის შტატში, მენისქვილის ოჯახში. რასიული დისკრიმინაციისათვის თავი რომ დაედო, 1946 წლიდან რინარდ რამტი საფრანგეთში ცხოვრობდა.

„ზანი მებტროში“

საფრანგეთის ეკრანებზე უჩვენებენ ახალგაზრდა რეჟისორის ლუი მალის ახალ ფილმს „ზანი მებტროში“. ფილმს საფუძვლად დაედო ფრანგი მწერლის რაიმონ კენოს ამავე სახელწოდების პოპულარული სატირული რომანი.

ფილმის მთავარი გმირია თერთმეტი წლის სოფლელი გოგონა ზანი, რომელიც პირველად ჩამოვიდა საფრანგეთის

დედაქალაქში. ამ ეშმაკი და თამამი გოგონას საშუალებით, რომელსაც არასოდეს არ უცხოვრია პარიზში, ნაჩვენებია თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს სიმახინჯე. ყოველკვირული ფრანგული პროგრესული ურნალი „ავანგარდი“ აღნიშნავდა, რომ ფილმი გვიჩვენებს „დასავლეთის მოდერნიზმის არაადამიანურობას, რომელიც გაბატონებულია ამერიკანიზირებულ პარიზში“. პატარა გოგონას თვალწინ იშლება საშინელი გროტესკული სამყარო, სადაც უბრალო და კეთილ აღმანიურ გრძნობებს ფეხქვეშ თვლავენ.

„ცარიელი სივრცე“

რეჟისორ მარსელ კარნეს ახალი ფილმი „ცარიელი სივრცე“ გვაგონებს მისსავე ცნობილ ფილმს „თვალთმაქცები“. ფილმი ეტება პარიზელი ახალგაზრდების ცხოვრებას და მოგვითხრობს თექვსმეტი წლის გოგონებისა და ბიჭების ბედზე.

„მადამ სან შენი“ მარანზე

ფრანგმა კინორეჟისორმა კრისტინა ეაკმა გადაიღო ფილმი „მადამ სან შენი“. ფილმში მთავარ როლს ასრულებს სოფია ლორენი.

„ელეპტრონული სიწყარული“

ახალგაზრდობის დემოკრატიულმა მუსიკალურმა ორგანიზაციამ „ჟენეს მუსიკალ დე ფრანს“ წარმოადგინა ი. კოზმას (წარმოშობით უნგრელი) კომპიუტრი ოპერა — „ელეპტრონული სიყვარული“, რომელიც იღვებება საფრანგეთის პროვინციულ ქალაქებში. ოპერის ლიბრეტოს ავტორია პროგრესული მწერალი ანდრე კედროსი; თავისი ანტიფაშისტური რომანებით სახელმწიფოებრივმა მწერალმა სიყვარულის სამკუთხედის ძველ თემაზე დაწერა მეტად გონებაშახლეური ტექსტი: ამ

ოპერაში, რომლის მოქმედებაც 2000 წელს ხდება, რაყიფად გამოყვანილია რობოტი. ეს ელექტრონული მანქანა სიუჟარულს უნგრეცს შეცნინერ მუშა ქალსა და მეფაბრიკეს, რომელიც აღმინათა ამ ტიპის უკანასკნელი ეგზემპლარია. გასაგები მიზეზების გამო მუხიკა ნაწილობრივ მქანეიკური რიტმისა, მაგრამ სხვა მხრივ მელოდურობით გამოირჩევა. ოპერას მალე პარიშიშიც აჩვენებენ.

პატიმართა ფონდისათვის

პაბლო პიკასომ და ბერნა სხვა გამოჩენილმა დახვეთეულმა მხატვარმა და მოქანდაკემ თავიანთი ნახატები და ქანდაკებები შესწირეს ციხეებში გამომწყვედულ პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლების ფონდს.

**სემანავა ზ. შოუს
სიმპარული**

პარიზის თეატრში „ატენული თუვე“ დიდი წარმატებით დაიგა ახლგაზრდა ამერიკელი დრამატურგის ჯემრომ კილტის პიესა „ვიტრფანს ცრუ“, რომელსაც საფუძვლად დაედო ბერნარდ შოუსა და ინგლისელი მსახიობი ქალის სტელა კემპბელის ორმოცწლიანი სასიყვარულო მიმოწერა. თარგმანიცა და რეჟისურაც კოკტოს ეკუთვნის. პიესაში სულ ორი მოქმედი პირია — შოუ და სტელა კემპბელი, რომელთა როლებს ასრულებენ პიერ ბრასერი და მარია კაზარესი. ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ე. გოტიემ მათს თამაშს ტრიუმფალური უწოდა.

ახალი ფილმები

ცნობილი რეჟისორი ჟან დელინდა ჰქმნის ფილმს ბლ-

ზაკის ნოველას „ოქროსფერითვალემა ქალიშვილის“ მიხედვით; ანრი დაკენი კვლავ მიუბრუნდა სტენდელს და იღებს „პარმის სავანეს“ ახალ ვარიანტს, თუმცა კრისტინა ჟამა უკვე უკვდავყო თავისი თავი ამ რომანის ეკრანიზაციით, სადაც მთავარ როლს ეტრარ ფილიპი ასრულებდა; კლოდ შაბროლი „ახალი ტალღის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, იღებს სტენდალის უკანასკნელ, დაუთავრებელ რომანს „ლამიელი“; დიუმას ნაწარმოებები მრავალჯერ გადაუღიათ, მაგრამ ბერნარ ბორდერი კვლავ აშვადებს „სამ მუსკეტერს“, ხოლო ოტან-ლარას გეგმაში აქვს ახალი „გრაფ მონტეკრისტოს“ გადაღება.

ფრანგი ეროვნული გმირის ჟანა დ'არკის ბედი კვლავ დაკვლავ იზიდავს ხელოვნების მუშაკებს. ორღენელი ქალწულის გასამართლებისა და სიკვდილის ამბებმა ისე მოხიზლა ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი რობერ ბრესონი რომ გადაწყვიტა გადაედო ფილმი მის შესახებ. ამ თემაზე გადაღებული მრავალი ფილმისაგან განსხვავებით, ეს უთუოდ საინტერესო ფილმი იქნება, ვინაიდან ბრესონმა უკვე განაცხადა, მე ყურადღებას ვავამახვილებ არა ლამიზ სანახაობებზე, არამედ ჩემი გმირების შინაგან ცხოვრებასა და გრძნობებზეო.

რეჟისორმა ფრანსუა ტრიუფომ, რომელიც ცნობილია ფილმით — „არავის ვუყვარვარ“, გადაიღო ფილმი — „ეროლე პიანისტის“. ესაა პაროდული ხასიათის კრიმინალისტური ფილმი.

— მალე დატოვებ კინოს. მინდა ვიცხოვრო ისე, როგორც ყოველი ქალი ცხოვრობს, — თქვა ამას წინათ


ბრიჟიტ ბარდომ, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩქარობს. ბრიჟიტ ბარდო ახლა რამდენიმე ფილმში მონაწილეობს. დებიუტანტი რეჟისორი ჟან ორელი იღებს ფილმს „ლაგამული“, რომელიც მთავარ როლს შეასრულებს ბ. ბარდო; მისი მოთხოვნით ფილმის გადაღებას კონტროლს უწევს ამ კინოვარსკვლავის ყოფილი ქმარი როჟე ვადიმი, რომელიც ისე ენერგიულად მოეცადა ცოლყოფილის თხოვნას, რომ თითქმის მთლიანად შესცვალა ფილმის რეჟისორის ყველა წინასწარი ჩანაფიქრი, რის გამოც გაბარებულმა ჟან ორელმა უარიც კი განაცხადა ფილმის გადაღების გაგრძელებაზე. გარდა ამისა ბრიჟიტ ბარდო მონაწილეობას მიიღებს კიდევ ორ ფილმში: ერთ-ერთ მათგანს — „ჯარისკაცის სიმვიდე“ როჟე ვადიმი გადაიღებს. ამავე დროს ბარდო მიწვეულია მთავარი როლის შესასრულებლად ცნობილი ამერიკელი მოცეკვავისა და რეჟისორის ე. კელის მუსიკალურ კომედიაში — „ამ საღამოს სამარქანდში“. ფილმს იღებენ ჟაკ დევილას პიესის მიხედვით.

რეჟისორი ჟან ჟაკ ვიტალი იტალიელ პროდიუსერ ამატოსთან (იტალიელი ცხოვრების“ პროდიუსერი) ერთად იღებს „გრაფ მონტეკრისტოს“ ახალ ვარიანტს. მთავარ როლს შეასრულებს ფრანგი მსახიობი ლუი ჟურდანი.

ჩემოსლოვაკია

ოპერა „ბლდგომა“

ცნობილი სლოვაკი კომპოზიტორი იან ციკერი სწერს ახალ ოპერას, რომელსაც საფუძვლად დაედო ლეე ტოლსტოის რომანი „ბლდგომა“.





6. 186/119

ՅՆՆ 60 ՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ՏԱԲՇՈՒ ՄՇԵՐԱԼԻ“